


# უილიამ შექსონი



R30.042  
3



8

საქართველო  
თბილისი  
1948



ქართული



თარგმანი  
ვ. ჭელიძისა

## მოკმედნი პირნი

ალონზო—ნეაპოლის მეფე.

სებასტიანი—მისი ძმა.

პროსპერო—მილანის კანონიერი ჰერცოგი.

ანტონიო—პროსპეროს ძმა, რომელმაც უკანონოდ მიითვისა ტახტი.

ფერდინანდი—ნეაპოლის უფლისწული.

გონზალო—პატიოსანი მოხუცი, მრჩეველი მეფისა.

ადრიანი }  
ფრანცისკო } დიდებულნი.

კალიბანი—ველური, მახინჯი მონა.

ტრინკულო—მასხარა.

სტეფანო—ლოთი, მსახური მეფისა.

კაპიტანი გემისა.

ბოცმანი

მეზღვაურები

მირანდა—პროსპეროს ქალი.

არიელი—ჰაეროვანი სული.

ირისი

ცერერი }  
იუნონა } სულები.  
ნიმფები }

სხვა სულები.

მოკმედება სწარმოებს ხომალდზე და კუნძულზე.

## მოქმედება პირველი

### სურათი I

ხომალდი ზღვაში. ისმის ქარიშხლის ზუზუნი და ქექა-ქუხილის ხმა.  
(შემოდინ კაპიტანი და ბოცმანი)

კაპიტანი—ბოცმანო!

ბოცმანი—აქა ვარ, ბატონო. რას მიბრძანებთ?

კაპიტანი—მეზღვაურებს უბრძანე მარდად იმუშაონ, თორემ  
მეჩეჩს მივეხეთქებით. აბა, ჩქარა, ცოცხლად.  
(შემოდინ მეზღვაურები)

ბოცმანი—აბა მარდად, ცოცხლად, ბიჭებო! ყოჩაღად, ყო-  
ჩაღად! კაპიტანის ნიშანს ელოდეთ. (მეზღვაურები გადიან)  
ახლა ჩაჰბერე რამდენიც გინდოდეს, მანამ არ გასკდები.  
(შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, ფერდინანდი, გონზალო  
და სხვები)

ალონზო—აბა, ფრთხილად, ბოცმანო, კაპიტანი სადღაა?  
ვაეკაცურად მოიქეცით.

ბოცმანი—გთხოვთ, ქვევით ჩახვიდეთ.

ანტონიო—კაპიტანი სად არის, ბოცმანო?

ბოცმანი—განა არ გესმით კაპიტანის ხმა? კაიუტაში ჩა-  
დით. აქ ხელს გვიშლით მუშაობაში, ქარიშხალს ეხმა-  
რებით.

გონზალო—დამშვიდდი, ჩემო კეთილო.

ბოცმანი—ზღვა რომ დაწყნარდება, მეც მაშინ დავმშვიდ-  
დები. ნეტა, მეფესთან რა უნდათ ამ მოყაყანე ბრიყ-  
ვებს. კაიუტაში! გამეცალეთ მეთქი, ნუ გვაწუხებთ.



გონხალო—კეთილი, ოლონდ ეს მაინც გახსოვდეს, ვინა  
გყავს ხომალდზე.

ბოცმანი—ისეთი არავინ, ჩემს თავზე უფრო მიყვარდეს. თქვენ ხომ მეფის მრჩეველი ხართ! თუ კი მართლაც შეგწევთ ძალა, უბრძანეთ ახლა ქარიშხალს ჩადგეს, დაწყნარდეს, ჩვენ ხელსაც არ გავანძრევთ მაშინ. გამოიყენეთ თქვენი უფლება. მაგრამ თუ არ ძალგიძთ, ზეცას მადლი მოახსენეთ, რომ ამდენი ხანი გაცოცხლათ და თქვენს კაიუტაში აღსასრულს ელოდეთ, ალბათ ასეთია ჩვენი ბედი. აბა, ყოჩაღად, ბიჭებო. გაგვეცალეთ მეთქი, გეუბნებით.

გონხალო—დიდად მანუგეშა ამ ყმაწვილმა კაცმა. ჩამოსახრჩობი კაცის სახე აქვს და არა მგონია წყალში დაიხრჩოს. კეთილო ბედისწერავ, ნურც შეუცვლი ბედს: დე, მაგისი სახრჩობელას თოკი ჩვენი ღუზის ჯაჭვი გახდეს, თორემ ჩვენი საკუთარი მეტად უიმედოა. და თუ სახრჩობელა არ უწერია—ჩვენი საქმე წასულია მაშინ\*. (გადის. შემოდის ბოცმანი)

ბოცმანი—ანძა დაუშვით, მარდად! უფრო დაბლა, კიდევ უფრო დაბლა! (ისმის ყვირილის ხმა) ჭირმა გაგწყვიტოთ, ქარიშხალიც არ ბლავის ასე, ბრძანებასაც ვერ გაიგონებ. (შემოდინან სებასტიანი, ანტონიო და გონხალო) ისევ დაბრუნდნენ! აბა, აქ რა საქმე გაქვთ? ხომ არ გინდათ ყველაფერს ხელი ვუშვათ და დავიხრჩოთ? გინდათ ჩავიძიროთ?

სებასტიანი—ჭირი გეცეს, შე უღმერთო ყიამყრალო, გულქვა ძაღლო!

ბოცმანი—მაშ მოდით და თქვენ იმუშავეთ.

ანტონიო—ჩამოსახრჩობი ხარ, ქოფაკო, უზრდევლო ყიამყრალო, ჩამოსახრჩობი. შენ ჩვენზე უფრო გეშინია დახრჩობისა.

\* ინგლისური ანდაზა: He that is born to be hanged will never be drowned—ვისაც ჩამოსახრჩობა უწერია, წყალში არასოდეს არ დაიხრჩობა (მთარგმნელის შენიშვნა).

გონზალო—იმედი გქონდეს, არ დაიხრჩობა, თუნდაც  
ლის ნაქუჭზე მაგარი არც კი იყოს ჩვენი გემი.

ბოცმანი—ქარის მიმართულებით მოაბრუნეთ! ორი ატრა  
კიდეც აუშვით! ჩქარა!

(შემოდინან დასველებული მებღვაურები)

მეზღვაურები—დავილუპეთ! ჩქარა ილოცეთ, ილოცეთ,  
დავილუპეთ!

ბოცმანი—როგორ, უფსკრულმა უნდა ჩაგვთქას?

გონზალო—იქ ხელმწიფე და უფლისწული შესთხოვენ  
ღმერთსა,

მათთან მივიდეთ და ვილოცოთ. ერთი გვაქვს ხვედრი.  
სებასტიანი—მე მოთმინება მეკარგება.

ანტონიო—მორჩა, ლოთებმა წუთისოფელს გამოგვასალმეს.

გონზალო—თუნდ პირი შეჰკრას ყველა წვეთმა მის  
ჩასანთქავად,

და ყველა ტალღამ ძლიერ ფართოდ გაულოს ხახა,  
მაინც ვიტყვი, რომ ჩამოხრჩობა მოელის მაგას.

(მოისმის არეული ხმები)

„ღმერთო გვიშველე!“ „ვილუპებით, ო, ვილუპებით!“

„ვაი, ცოლშვილო გეთხოვებით უკანასკნელად!“

„მშვიდობით, ძმაო, ვილუპებით! ო, დავილუპეთ!“

ანტონიო—წავიდეთ, მეფესთან ერთად ჩვენც ჩავიძიროთ.

სებასტიანი—წავიდეთ, გამოვეთხოვოთ.

გონზალო—ათას მილ ზღვას მივცემდი ახლა ბარდითა

და ბუჩქებით დაფარულ მიწის ერთ პატარა ნაკვეთში.

მაგრამ ზეცა განაგებს ყველაფერს! ეჰ, ნეტავი ხმე-

ლეთზე დამელია სული! (გადის)

## სურათი II

კუნძული. პროსპეროს ქოხი.

(შემოდინან პროსპერო და მირანდა)

მირანდა—თუ კი მისნური ხელოვნებით ააბობოქრე

ეს ველური ზღვა—კვლავ დააცხრე, ძვირფასო მამავ.

ზეცას თითქო სურს მყრალი კუპრი წამოანთხოს,

მაგრამ ზღვის ზვირთნი აგერ, ცამდე ამხედრებულან  
და ნთქავენ იმ ცეცხლს. ო, ვეწამე იმათის ცოდვით,  
ვის წამებასაც ვუყურებდი. მდიდრული გემი,  
ექვი არ არის, კეთილშობილ მგზავრებით სავსე,—  
ნაკუწ-ნაკუწად გადაიქცა. ჩემს გულში რეკდა  
მათი კენესის ხმა. საბრალონი სულ დაილუპნენ!  
ძლიერი ღმერთი ვყოფილიყავ მე მოვაქცევდი  
ზღვას დედამიწის შუაგულში და ლამაზ ხომალდს,  
მგზავრებით სავსეს, ჩასანთქაეად არ დავუთმობდი.

პროსპერო—დამშვიდდი, ნულარ აღშფოთლები, შენს  
მოწყალე გულს  
შთააგონე, რომ არ მომხდარა უბედურება.

მირანდა—ო, ბედკრულო დღე!  
პროსპერო—ნუ, ნუ შფოთავ! ეს მხოლოდ შენთვის,  
ჰო, მხოლოდ შენთვის გავაკეთე მე ყველაფერი,  
ჩემო ძვირფასო, ერთადერთო ასულო ჩემო,  
შენთვის, რომელმაც ჯერ არ იცი ვინა ხარ თვითონ,  
და არც ის იცი მამაშენი საიდან არის!  
გგონივარ მხოლოდ ამ უბადრუკ ქოხის მფლობელი,  
ის კი არ იცი, რომ მე ბევრად უდიდესი ვარ.

მირანდა—ამის გაგება მე ფიქრადაც კი არ მომსვლია.  
პროსპერო—დროა ავიხსნა ყველაფერი. ხელი მომეცი  
და ჩამომხსენი ეს გრძნეული წამოსასხამი.  
ასე. (მოსასხამს დაბლა დააგდებს)

ახლა კი მოისვენე, ჩემო მისნობავ.  
აბა, ცრემლები მოიწმინდე და დაშოშმინდი.  
ხომალდის მსხვერვეის საშინელი სანახაობა,  
შენს სათნო გულში სიბრაღული რომ აღძრა ახლა,  
ჩემი გრძნეული ხელოვნებით გამოვიწვიე,  
ისე, რომ არც ერთ იმ ხომალდში მყოფ ქმნილებასა,  
რომელთ ყვირილი გესმოდა და რომლებიც უკვე  
შენ დაღუპულიც კი გეგონა, არც ერთ სულს მათში  
ბეწვის დაკარგვის მწუხარებაც არ განუცდია.  
ჩამოჯექ, შვილო, მსურს მოგითხრო ბევრი რაიმე.

მირანდა—აქამდეც ხშირად დაგიწყია თბრობა, თუ ვინ ვარ,  
მაგრამ უმაღლე შეწყვეტი და მიმატოვებდი  
ამ გამოცანის ფიქრით პურობილს. მერე იტყოდი:  
„არა, ჯერ არ ღირს“.

პროსპერო— უკვე დადგა იგი საათი:  
ქამი გიბრძანებს გულხმიერად მომაპურო ყური  
და მორჩილებით მომისმინო. აბა თუ გახსოვს  
იგი დრო, ვიდრე ამ სოროში დავსახლდებოდი?  
არა მგონია, რომ გახსოვდეს, რადგანაც მაშინ  
შენ სამი წლისა იყავ მხოლოდ.

მირანდა— მახსოვს, ბატონო.

პროსპერო—აბა რა გახსოვს? სხვა სახლი, თუ სხვა ხალხი  
გახსოვს?  
რის წარმოდგენა შეუძლია შენს მოგონებას,  
მითხარი ერთი.

მირანდა— ძველისძველი ამბავი გახლავს,  
ის მოგონება სიზმარს უფრო ჰგავს, ვიდრე ცხადსა.  
არ მყავდა განა ერთ დროს ოთხი-ხუთი მოახლე?

პროსპერო—გყავდა, მირანდა, მეტიც გყავდა. მაგრამ ვით  
მოხდა,  
რომ ისევ ცოცხლობს ეს შენს თავში? კიდევ რას ხედავ  
გარდასულ დროთა ბნელს უფსკრულში? თუ ძველი  
გახსოვს  
მაშინ აქ მოსვლაც გეხსომება.

მირანდა— ეს კი არ მახსოვს.

პროსპერო—თორმეტმა წელმა ჩაიარა, ჩემო მირანდა,  
თორმეტმა წელმა იმის შემდეგ, რაც მამაშენი  
ძლიერი პრინცი და მილანის ჰერცოგი იყო.

მირანდა—როგორ, ბატონო, ნუთუ მამა არ ხარ შენ ჩემი?

პროსპერო—თვით დედაშენმა, სათნოებით განთქმულმა  
ქალმა,

ასე გადმომცა, რომ ასული ყოფილხარ ჩემი,  
მამაშენი კი იქ მილანის ჰერცოგი იყო,  
მისი მემკვიდრე, ღირსეული, შენა ხარ, შვილო.



მირანდა—ჰოი, ზეცაო! საძაგელმა ბედის თამაშმა  
მოგვიყვანა აქ, თუ ნეტარმა ბედისწერამა?  
პროსპერო—ორივემ, შვილო. ვით შენ ამბობ, ბედის  
თამაშმა

ჩვენ გამოგვრეკა იქედანა. ნეტარმა ბედმა  
აქ გამოგვრეკა.

მირანდა— გული მტკივა, რომ ავიშალე  
მწარე ფიქრები, წაშლილი ჩემს მოგონებაში.  
მაგრამ, განაგრძე, მამაჩემო.

პროსპერო— ჩემი ღვიძლი ძმა,  
და შენი ბიძა, ანტონიო,—მაგრამ, მირანდა,  
გთხოვ ყური მიგდო, —ასე უნდა გიმუხთლოს ძმამა,  
ძმამ, ვინც შენს შემდეგ, ქვეყანაზე ყველას მერჩინა,  
რომელსაც ქვეყნის მართვა თვითონ გადავაბარე,  
იმ დროს კი ჩვენი საჰერცოგო პირველი იყო,  
პროსპეროც მაშინ ითვლებოდა პირველ ჰერცოგად,  
უბაღლო თავის ღირსებით და მეცნიერების  
ულრმესი ცოდნით. მე გართულმა ჩემი მოძღვრებით,  
იმას მივანდე მმართველობა. და ისეთგვარად  
აღმაფრთოვანა, გამიტაცა მე იღუშალი  
სიბრძნის ძიებამ, რომ თანდათან, ჩემი ქვეყნისთვის  
უცხო შევიქენ. შემდეგ შენი ვერაგი ბიძა...  
მაგრამ, თუ მისმენ?

მირანდა— გულისყურით, ბატონო ჩემო.

პროსპერო—დახელოვნდა რა მოწყალების უხვ გაცემაში,  
თუ ვის მოაკლოს მან პატივი, ვინ აღამაღლოს,  
ანუ დათრგუნოს მეტისმეტი ზვიადობისთვის,  
ხელახლა გაწვრთნა ჩემნი კაცნი, ანუ შესცვალა,  
ან, უკეთ რომ ვთქვა, გარდაქმნა და რაკი ხელთ ჰქონდა  
მას გასაღები სახელმწიფოს და ქვეშევრდომთა,  
სუყველას გული ისეთნაირ ჰანგზე მომართა,  
რაც ყურთასმენას დაუტკობდა. ამრიგად გახდა,  
ჩემს სამეფო ტანს მოხვეული სურო, რომელიც  
ნელნელა მწოვდა ნორჩ ყლორტებსა. მაგრამ არ მისმენ?

მირანდა—გისმენ, ბატონო.

პროსპერო—

მომისმინე, გემუდარები.



მე კი დავთმე რა საზრუნავი ამქვეყნიური,  
შევეწირე რა მთელის არსით ჩემს საიდუმლო  
მეცნიერებას, რაიც, თავის იდუმალებით,  
ყველა სხვა ცნობილ სწავლის დარგზე უფრო მაღლა დგა,  
და დავეწათე რა გონების გამდიდრებასა,  
ბოროტი სული გავალვითე ჩემს ვერაგ ძმაში.  
ჩემმა მისადმი მშობლის მსგავსმა მიმნდობელობამ  
მასში წარმოშვა ვერაგობა ისეთ ზომამდე,  
რა ზომამდისაც ვენდობოდი. ჩემი ნდობა კი  
უზომო იყო და უსაზღვრო. ამრიგად იგი  
გაბატონდა და დაეუფლა არა მარტო მას,  
რასაც აძლევდა სახელმწიფოს შემოსავალი,  
არამედ მასაც, რის მიღება თვით მე შემეძლო.  
და იმის მსგავსად, ვინც ოცნების ცოდვიან ზრახვებს  
მართლად მიიჩნევს და ენდობა საკუთარ ჩმახვას,  
ჩემმა ძმამ თავი დაარწმუნა ჰერცოგი ვარო.  
გამოიყენა დროებიითი უფლება მარჯვედ,  
თანდათანობით, მედიდურის თავგასულობით...  
მაგრამ თუ მისმენ?

მირანდა—

ეს ამბავი ყრუსაც განკურნავს.

პროსპერო—საჭიროდა სცნო მილანის ტახტს დაუფლებოდა.

მე საბრალომ კი საჰერცოგოდ, საკმაოდ დიდად,  
ჩემი წიგნები დავისახე. მე ძმამ ჩამთვალა  
შეუფერებლად, უუნაროდ გვირგვინისათვის.  
და შემდეგ თვითონ, ჰერცოგობას დახარბებული,  
შეუკავშირდა ნეაპოლის მეფეს, აღუთქვა  
წლიური ხარკი, მორჩილება. თავისი ტახტი,  
ისე როგორც თვით საჰერცოგო ქედმოუხრელი,  
მეფის გვირგვინის ქვეშევრდომი და ყმა გახადა.  
ვაგლახ მილანო, ასე მდაბლად მხრებმოღრეკილო!

მირანდა—ჰოი, ზეცაო!



პროსპერო— დააკვირდი მათს შეთანხმებას

შედევებს მისას და მითხარი ის ძმაა განა!

მირანდა—მე შეეცოდავდი მოკრძალებით რომ არ მეფიქროს

დიდდაჩემზე. მაგრამ რამდენ ღირსეულ საშოს გაუჩენია უღირსი ძე!

პროსპერო— ჰა, შეთანხმებაც:

ჩემმა დიდიხნის მტერმა—მეფემ ნეაპოლისამ მორჩილების და ხარკის ფასად,—ოლონდ არ ვიცი რამდენს შეჰპირდა,—ანტონიოს პირობა მისცა, რომ მე ოჯახით განმდევნიდა საჰერცოგოდან, და ტურფა მილანს მას მისცემდა მთელის ღირსებით. შემდგომ ამისა შეჰკერეს გუნდი მოლალატეთა და ერთხელ ღამით ამ განზრახვის შესასრულებლად მილანის კარი ანტონიომ მტრის ჯარს გაუხსნა. სამარისებურ სიბნელეში ავისმზრახველთა გამოგვაძევეს მეც და შენაც, მტირალი ბავშვი.

მირანდა—ო, გული მტკივა. თუმც არ მახსოვს როგორ ვტიროდი,

მაინც მინდა რომ ხელმეორედ გამოვიტირო, თვალები ისე მეწვის ახლა და ცრემლებსა ვგრძნობ.

პროსპერო—ცოტაც მისმინე და გაიმბობ, თუ ქარიშხალი რად ამოვადდე. უამისოდ ეს საუბარიც ხომ უადგილო იქნებოდა.

მირანდა— როგორ მოხდა, რომ სულმთლად არ მოგვსპეს მაშინ იმათ?

პროსპერო— კარგადა მკითხავ, ჩემმა მოთხრობამ აღგიძრა შენ ახლა ეს კითხვა. ისეთნაირად ვუყვარდი ხალხს, ჩემო ძვირფასო, რომ ვერ გაბედეს, თვის ბნელ საქმეს სისხლი ვერ მოსცხეს,

უფრო ნათელის ფერადებით შეაფერადეს. მოკლედ, ბარქაზში ჩავგვსხეს იმათ და შეგვაცურეს შორს ზღვის სიღრმეში. იქ გველოდა მათგან წინასწარ მომზადებული ძველისძველი კოპანო ერთი,

მოუკაზმავი, უიალქნო, უანძ-უსაქო.  
ვირთაგვებსაც კი ეგრძნოთ დიდი უბედურება  
და დაეცალათ იგი ნავი. იქ მიგვატოვეს  
რათა გვებღაველა ზღვაზე, ის კი ჩვენ მოგვბღაოდა,  
რათა გვეოხრა და გვექშინა ჩვენ ქარიშხლისთვის,  
რაც სიბრაღის თანაგრძნობით ჩვენვე გვიქმენდა  
და ამით გვენებდა.

მირანდა — ღმერთო ჩემო, მაშინ რა ტვირთი  
ვიქნებოდი მე!

პროსპერო — ქერუბინი იყავი ჩემი,  
ჩემი დამხსნელი! ზეციური ღიმილი შენი,  
როცა ვაფრქვევდი ზღვას მლაშე ცრემლს, როცა  
გვენესოდი  
ჩემის ტვირთის ქვეშ, მე ვაჟკაცურ ძალას მმატებდა.  
მიცხოველებდა სიჰამაცეს, რომ მოთმინებით  
გადამეტანა გასაჭირი.

მირანდა — მაგრამ ნაპირზე  
როგორღა მოვხვდით?

პროსპერო — ზეცის ნებით. ნეაპოლელმა  
კეთილშობილმა გონზალომა, რომელსაც ჰქონდა  
ჩვენი განდევდა მინდობილი, შეგვიბრალა და  
მოგვამარაგა სანოვაგით, სასმელი წყლითა,  
მოგვცა მდიდრული ტანსაცმელი და თეთრეული,  
მრავალის სახის მოსახმარი საჭირო ნივთი,  
რანიც დღემდისაც დიდად გვწველის. იმან იცოდა  
რარიგ მიყვარდა მე წიგნები, და იმოღენი  
კეთილშობილი ხასიათი გამოიჩინა,  
რომ შემირჩია რამდენიმე ჩემივე წიგნი,  
რომელთაც თვითონ ტახტზე უფრო დიდად ვაფასებ.

მირანდა — ნეტა ოდესმე დამენახა მე იგი კაცი!

პროსპერო — (აიღებს მოსასხამს)  
ახლა ავდგები. შენ იჯექი და მოისმინე  
ამა მგზავრობის დასასრულიც. აქ, ამ კუნძულზე  
გამოვირიყეთ. აქვე შენმა მასწავლებელმა  
უფრო მეტი რამ შეგასწავლე, ვიდრე შეეძლოთ

სხვა მეფის ასულთ შეესწავლათ უფრორე მეტის  
ზანტ, მოსაწყენი საათების განმავლობაში,  
უფრო ნაკლებად გულმოდგინე აღმზრდელთა ხელში.  
მირანდა—სამაგიერო ზეცამ გიზღოს. ახლა, ბატონო,  
გემუდარები, განმიმარტო, ველარ ვისვენებ,  
ეს ქარიშხალი რად აღძარი?

პროსპერო— ახლავ გაიგებ.

უხვმა იღბალმა უცნაური შემთხვევის ძალით,  
ჩემო ძვირფასო, ჩემი მტრები აქ მოიყვანა.  
და წინაგრძობით, როგორც ვხედავ, ჩემი სვე-ბედი  
უკავშირდება სხვებზე უფრო ბედნიერ ვარსკვლავს.  
თუ კი ამით არ ვისარგებლე, ხელი შევუშვი  
სამარადქამოდ დამერღვევა ბედნიერება.  
ნულარას მკითხავ. დაიძინე და დამშვიდდები.  
ხელავ, თვალებიც გეხუჭება, სჯობს დაიძინო.  
(მირანდა იძინებს)

უკვე მზადა ვარ, აბა მოდი ჩემთან, მსახურო.  
ჩქარა გამოდი, მოახლოვდი, ჩემო არიელ.  
(შემოდის არიელი)

არიელი—მოგესალმები, დიდო ბრძენო, დიდო პატრონო!  
ჰა, მოვედი, რომ შეგისრულო ყველა სურვილი,  
თუნდ ფრენა იყოს, თუნდა ცურვა, თუნდ ცეცხლში  
ჩასვლა,  
თუნდ ამხედრება, თმახუჭუჭა ღრუბელთ ქულებზე.  
მზადა გახლავართ არიელი და მისი სულნი  
შენს მკაცრ ბრძანებას მოვუსმინოთ.

პროსპერო— როგორც გიბრძანე,

ისეთნაირად თუ წარმართე ქარიშხლის ქროლვა?

არიელი—ყველაფრით ისე. თავს დავესხი ხელმწიფის  
ხომალდს,

ხან გემის ცხვირზე, ხან ბაქანზე, ყველა კუნჭულში  
მე შეშფოთების ცეცხლს ვანთებდი; ხან ვიყოფოდი  
მრავალ ნაწილად და ვესხმოდი სხვადასხვა ადგილს  
ანძას, იალქანს, გემის ბაქანს. ცეცხლს გაუჭინდი  
ყველას ცალცალკე, მერე ისევ შევაერთებდი.

თვით შემზარავი მეხთა სკდომის მაუწყებელი  
იუპიტერის ელვაც მგონი არ იქნებოდა  
ისეთი სწრაფი და ისეთი თვალშეუსწრობი.

ცეცხლმა, გოგირდის ტკრციალის ხმამ თითქოს შებოჭეს  
ძალგულოვანი მხნე ნებტუნი. მის მამაც ტალღებს  
ძრწოლვა მოჰგვარეს, დიახ, მისი მრისხანე კვერთხი  
მთლად აათრთოლეს.

პროსპერო — ჰოი, ჩემო მამაცო სულო!  
თუ აღმოაჩნდა ვინმეს სიმხნე, გულოვანება  
რომ შიშით გონი არ მიხდოდა.

არიელი — არც ერთს იმათგანს,  
ყველა მოიცვა იქ სიგიჟის ციებ-ცხელებამ  
და განწირულის გაბრძოლებით აათამაშა.  
ცეცხლმოდებული გემი ყველამ, მეზღვაურთ გარდა,  
მიატოვა და აქაფებულ ზღვაში ჩაცურდა.  
ტახტის მემკვიდრე, ფერდინანდი, თმააბუზრძკვილი,  
— თუმც ლერწმის უფრო გავდა ის თმა, — პირველი ჩახტა  
და დაიყვია: „ჯოჯოხეთი სულ მთლად დაცლილა,  
ეშმაკები კი აქ მოსულან!“

პროსპერო — ყოჩაღ შენ, სულო!  
ნაპირთან ახლოს მოხდა ესა?

არიელი — აქვე, ბატონო.

პროსპერო — გადარჩნენ?

არიელი — ერთი ღერი თმისა არ დაუკარგავთ. ✓  
ტანსაცმელს იმათს ერთი ლაქაც არ დასჩენია,  
უფრო კარგადაც გასუფთავდნენ. როგორც მიბრძანე,  
მიმოვანებე მთელს კუნძულზე გუნდგუნდად ყველა.  
ტახტის მემკვიდრე გამოვრიყე სულ მარტოდმარტო  
და ამ კუნძულის ერთ უდაბნო კუთხეს მივაგდე,  
იქვე ზის ახლაც მოწყენილი გულხელ დაკრეფით  
და ამოოხვრით ქარს აგრილებს.

პროსპერო — რა მოუვიდა  
ხელმწიფის ხომალდს და მეზღვაურთ, ანუ დანარჩენს  
ხომალდზე მყოფთა?



არიელი — მეფის გემი მშვიდობითა დგას  
 ნავსაყუდელში, ღრმა უბეში, სადაცა ერთხელ  
 შუალამისას გამაგზავნე მარად ტანჯულის  
 ბერმუდისკენ ცვრის მოსატანად, ის იქ დაემალე.  
 მეზღვაურები გემის ფსკერზე ჩაეყარე ყველა,  
 ამ სატანჯველით დაქანცულნი მოვაჯადოვე  
 და მივაძინე. სხვა მგზავრები ჯერე გაფხანტე,  
 მაგრამ კვლავ შეხედნენ ერთმანეთსა. ახლა ისინი  
 ხმელთაშუა ზღვით მისცურავენ ნეაპოლისკენ  
 და დაღვრემილებს ჰგონიათ, რომ მეფის ხომალდი  
 და თვითონ მეფეც დაიღუპა.

პროსპერო — ეს ყველაფერი  
 შენ ჩინებულად შეასრულე. სხვა საქმეცა გვაქვს.  
 რა დრო იქნება ახლა დღისა?

არიელი — ნაშუადღევი.  
 პროსპერო — ექვსამდე ორი საათიღა თუ დაგვრჩენია.  
 უნდა დაზოგვით მოვიხმაროთ ეს ძვირფასი დრო.

არიელი — კიდევ საქმეა? ვიდრე ახალ საქმეს მომცემდე,  
 მსურს მოგაგონო შეპირება, რომელიც ჯერ არ  
 შესრულებულა.

პროსპერო — რაო? ისევ უმადური ხარ?  
 ნეტავ, რის თხოვნა ძალგის კიდევ?

არიელი — თავისუფლების.  
 პროსპერო — დრომდე? აროდეს აღარ მითხრა.

არიელი — გემუდარები,  
 ეს მოიგონე, რა ერთგულად მიმსახურია,  
 არცა ტყუილი მითქვამს შენთვის, არც მცდარი რამე,  
 არ ვწუწუნებდი არაოდეს. აკი შემპირდი  
 ერთი წლით აღრე გაშვებასა.

პროსპერო — გადაგავიწყდა,  
 რა წამებიდან დაგისხენი?

არიელი — არ დამეიწყნია.

პროსპერო — ჰო, დაგავიწყდა. დიდ საქმედ თვლი ზღვის  
 მლაშე წყლებში  
 ხეტიალს, ფრენას ჩრდილოეთის მსუსხავ ქარის ფრთით,

ყინულისაგან გაქვავებულ მიწის ძარღვებში  
ჩემთა საქმეთა შესრულებას...

არიელი— არა, ბატონო.  
პროსპერო— გულღვარძლიანო, ტყუი შენა. ნუთუ არ  
გახსოვს

სიბერითა და შურით რკალად შემოგრაგნილი  
ბილწი მისანი სიკორაქსი? გადაგავიწყდა?

არიელი— არა.  
პროსპერო— არ გახსოვს. აბა მითხარ, სად დაიბადა?  
არიელი— ალჯირში, ჩემო მბრძანებელო.

პროსპერო— ო, ნუთუ მართლა?

K 30.042  
3

მე უნდა თვეში ერთხელ მაინც ჩამოგითვისალო  
რაცა ყოფილხარ, რადგან ასე გავიწყდება შენ.  
იმ წყეულ მისანს უთვალავი ბოროტებისთვის,  
კაცთ მოსასმენად შემზარავი ჯადოქრობისთვის,  
გადაუწყვიტეს გაძევება ალჯირიდანა.  
არ მოჰკლეს მიტომ, ეს შენც იცი, რადგან ახსოვდათ  
ერთი კეთილი საქმე მისი. ხომ მართალს ვამბობ?

არიელი— დიახ, ბატონო.

პროსპერო— ის ლურჯთვალა ავი ბებერი  
თავისი შეილით აქ დასტოვებს მეზღვაურებმა.  
შენ, ჩემო მონავ, როგორც თვითონ გითქვამს ეს კიდეც,  
მისი მსახური იყავ მაშინ და რაკი გქონდა  
კეთილშობილი სული, იმის მიწიერ ზრახვებს,  
იმის საძაგელ ბრძანებასა არ მორჩილებდი.  
ერთხელ ბებერმა, თავის ჩვეულ გაცოფების დროს,  
მოიშველია ძლიერებით განთქმულნი სულნი,  
ნაძვი გააპო და ნაპობში გამოგამწყვდია.  
იქ გაატარე ტანჯვით სავსე თორმეტი წელი.  
ამასობაში იგი მოკვდა. იქ გაჰედლილი  
შენ წისქვილის ქვის სისწრაფითა კვნესდი, ბლაოდი.  
მაშინ კუნძულზე კაცის ფეხი არ ჰქანებდა  
ბებრის მოგდებულ, ქორფლიანის ლეკვისა გარდა.

არიელი— ჰო, მისი ვაჟი კალიბანი.

2. შექსპირი.







პროსპერო—

იმ კალიბანზე გეუბნები, რომელიც ახლა მსახურადა მყავს, თვითონ უკეთ გემახსოვრება, რა წამებაშიც დამიხვდი აქ. შენი კვენის ხმა მგლებს აყმუვლებდა სიბრაღულით და მარად ანჩხლ დათვს

გულს უკუმშავდა. ამგვარ ტანჯვას მხოლოდ წყეულ სულთ თუ მიუტყვიან. სიკორაქსსაც აღარ შეეძლო შენი გამოხსნა. როგორც მოველ და მოვისმინე მე შენი კვენისა, ჩემის ცოდნის ხელოვანებით ნაძვი მოვეგრიხე, ნაპოპს პირი დავალებინე და დაგიხსენი.

არიელი— მადლობელი ვარ, მბრძანებელო.

პროსპერო— მაგრამ კიდევ თუ მორთავ წუწუნს მუხას გავაპობ,

იმის ნაპობში გამოგამწყვდევ და აგაყმუვლებ იქ თორმეტ ზამთარს.

არიელი— მბრძანებელო, გთხოვ მომიტეო.

დავმორჩილდები შენს ბრძანებას და შეგისრულებ ყველაფერს უხმოდ.

პროსპერო— ასე ჰქმენ და მაშინ ორ დღეში

თავისუფლებას მოგანიჭებ.

არიელი— კარგო ბატონო,

რა საქმე უნდა შეევასრულო, მიბრძანე რა გსურს?

პროსპერო— წა, ზღვის ფერიად გადაიქეც, ხილული მხოლოდ

ჩემთვის და შენი საკუთარი თავისთვის იყავ, სხვისთვის ყველასთვის უხილავი. მაშ გასწი ჩქარა, ფერიად იქეც და აქ მოდი. წადი ყოჩაღად, ძვირფასო სულო, გაიღვიძე, გეყოფა ძილი. (გადის არიელი)

გამოიღვიძე!

მირანდა— თქვენის ამბის უცნაურობა

გულს მაწევს ლოდად.

პროსპერო — შეარხიე და მოიშორე.

ახლა გამომყე კალიბანთან, ვინაც აროდეს  
ტკბილი სიტყვით არ გვიპასუხებს.

მირანდა — ო, არამზადა.

დასანახადაც მძულს, ბატონო.

პროსპერო — სხვა გზა არ არის.

ვერ მოვიშორებთ მას თავიდან: შეშას გვიზიდავს,  
ცეცხლსაც გვიჩაღებს და ყოველგვარ სამსახურს გვიწევს.  
შენ, ეი, მონავ, კალიბანო, მიწის ნაჭერო.

ჭეი, ხმა გამე.

კალიბანი — (შიგნიდან) შეშა სახლში საკმაოდ ყრია.

პროსპერო — აქ მოდი მეთქი, გეუბნები. სხვა რამ საქმე  
მაქვს.

ამ კუს შეხედე! აბა ჩქარა.

(შემოდის არიელი წყლის ფერიად ქცეული)

ტურფა ზმანება!

ჩემო არიელ, ყური მიგდე.

არიელი — კარგი, ბატონო. (გადის)

პროსპერო — შხამის მთესავო, მონავ, ალბათ თვითონ ეშმაკმა  
ჩაგსახა წყეულ დედაშენში, აქ მოდი ჩქარა.

(შემოდის კალიბანი)

კალიბანი — დაგსხურებოდეთ თქვენ ორივეს ის სნების ნამი,  
რაც კი ოდესმე საზარელი ჰაობისაგან

დედას ყორნის ფრთით მოუწურავს. სამხრეთ დასავლის  
ქარმა დაგფაროთ მუწუკებით.

პროსპერო — სწორედ მაგისთვის,  
გჯეროდეს. ამღამ სულ დაგკრუნჩხავს ფილენჯის ქარი,  
სუნთქვას შეგიკრავს გვერდის ჰვალი. ეს გრძელი ღამე,  
რომ უსაქმოდ არ გაატარონ, დაგესევინა  
შენ ალქაჯები და მთელს ტანზე ივარჯიშებენ.

ვით თაფლის ფიჭა ისე მსხვილად დაიჩხვლიტები  
და თითო ჩხვლეტა უფრო მწარე იქნება, ვიდრე  
იმ ფიჭის შემკვრელ ფუტკრის კბენა.

კალიბანი — სადილი მინდა.

ეს კუნძული ხომ მე მეკუთვნის დედიჩემისგან,

შენ კი მას მართმევ. პირველად რომ მოხვედი აქა,  
მეფერებოდი, მარწყვიან წყალს მასმევედი ხოლმე,  
ისიც მასწავლე, თუ რა ჰქვიან დიდ მანათობელს  
და მასზე მომცროს, დღედაღამე რომ ანათებენ.  
მეც შეგიყვარე, დაგატარე მთელი კუნძული,  
ანკარა წყარო, მლაშე გუბე, მწირი მიწები  
და ნოყიერი ადგილები. ო, ამისათვის  
წყუთლიმც ვიყო! ყველა ჯადო სიკორაქსისა  
ჯოჯო, ღამურა, ხოქოები შემოგეხვიოს,  
რადგან თვით ვიყავ ჩემი თავის ხელმწიფე უწინ,  
ახლა კი შენი ერთადერთი მონა შევიქენ.  
ჩემი კუნძული შენ გიქირავს, მე კი სანაცვლოდ  
კლდეზე ვავდივარ.

პ რ ო ს პ ე რ ო — ო, ცრუ მონავ, კეთილ მოპყრობას  
შენ ცემა-ტყეპა გირჩევნია. ასეთ კუჭყვიანს  
მე მაინც რკბილად გექცეოდი. ჩემთანვე ქობში  
გეძინა ღამით, ვიდრე ბოლოს არ განიზრახე  
ჩემი ასულის გაწბილება.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ოჰო, ჰო, ჰო, ჰო!  
ნეტავი მართლაც ასე მექნა. შენ შემიშალე,  
თორემ ამ კუნძულს კალიბნებით დავსახლებდი.

პ რ ო ს პ ე რ ო — საზარო მონავ, კარგს ვერაფერს ვერ  
შეითვისებ,  
გაჩენილი ხარ ბოროტისთვის. მე შეგიბრალებ,  
დიდის წვალეებით მეტყველებას ძლივს შეგაჩქ . .  
ყოველ საათში, ხან რას და ხან რას გასწავლიდი.  
შენ კი, ველურო, არ გესმოდა შენი ფიქრები  
და პირუტყვივით ზმუკუნებდი. მოგეცი ნიჭი  
მეტყველებისა, შეგასწავლე საგანთ სახელი,  
მაგრამ ბუნებით ბოროტი და ბილწი არსება  
კეთილ და სათნო საქმეს როგორ შეითვისებდი.  
ამიტომაც ხარ ჩაკეტილი იმ კლდის სოროში,  
თუმც უარესი საპყრობილის ღირსი ხარ შენა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ენა მასწავლე და რად უნდა გამოვიყენო!  
მხოლოდ წყევლისთვის: გაზმუილოს წითელმა ქირმა  
ამ შენი ენის სწავლებისთვის.



პროსპერო—

გა, ჯოჯოს თესლო

წადი და შეშა მოგვიზიდე, მაგრამ ის გიჯობს  
ცოტა იჩქარო, სხვა რამ საქმეც უნდა გიბრძანო.  
რაო? მხრებს იჩეჩ, არამზადავ? თუ არ წახვედი,  
ან უხალისოდ შეასრულე ჩემი ბრძანება,  
კრუნჩხვით გაწამებ, ტკივილებით ძვლებს გაგიჭვალავ,  
გაბლავლებ ისე, შენის ცოდვით მხეცნიც კი თრთოდნენ.

კალიბანი—ნუ, ნუ იზამ, გთხოვ. (თავისთვის) რა ვქნა,  
უნდა დავემორჩილო.

მისნობას მისას ის ძალა აქვს, რომ სეტებოსსაც,  
დედიჩემის ღმერთს, მონად აქცევს.

პროსპერო—

მაშ, გასწი მონავ. (კალიბანი გადის.

შემოდის არიელი. უხილავია. მღერის. მას მოსდევს ფერდინანდი).

არიელი—

ხელი ხელს ჩასჭიდეთ, აქეთკენ ჩქარა!

ქვიშაზე იხტუნეთ ჩიტების დარად.  
დაჰფარეთ ურთერთი ამბორით მწველით,  
ზღვა დაცხრა, რონინებს ტალღები ნელი.  
ჰა, მარდად გაუსვით, იმღერეთ მალლა,  
ბანს მოგცემთ სულების გუნდები ახლავ.  
გაიგონეთ, სმენა! სმენა!

(ისმის სხვადასხვა მხრიდან) აუ! აუ!

ეს ძაღლებმა იწყეს ღრენა.

(ისმის სხვადასხვა მხრიდან) აუ! აუ!

გაიგონეთ, ჰეი, სმენა!  
გაბღენძილმა მამლაყინწამ  
დაიყვილა მედიდურად.

ფერდინანდი—ნეტა სად მღერენ? ჰაერში თუ მიწის  
სიღრმეში?

უკვე ხმა მიწყდა, ახლა ალბათ ამა კუნძულის  
ღმერთს მოელიან. ზღვის ნაპირას ვიჯექი ჩემთვის  
და მამაჩემის დალუპვაზე მოვთქვამდი მწარედ,  
უეცრად მომწვდა ტალღებიდან მე სიმღერის ხმა,  
და იმა ჰანგის ტკბილმა ჟღერამ დააშოშმინა  
მღელვარე გულიც და ტალღების მრისხანე ცოფიც.

მას გამოვეყვი. არა. უფრო მომაჯადოვა.  
ახლა კი გაჰქრა. მაგრამ აი, ისევ იწყება.

(არიელი მღერის)

არიელი—ხუთი ეჯის სიღრმეზე წევს მამაშენი,  
ძვლები მისი გადაიქცა მარჯნის დარად,  
თვალეები კი მარგალიტად ზღვის ფსკერს შვენის;  
არაფერი დაკარგულა, არ დამჰქნარა.  
ზღვის ტალღებმა შეუცვალეს მხოლოდ ნირი,  
მდიდრულ რამედ გარდაქმნეს და ყოველ ღამე  
ფერიები ჩამოჰკრავენ მწუხრის ზარებს.

(შიგნიდან ისმის: ძინ! ძინ!)

აჰა, „ძინ, ძინ!“ ეფინება არემარეს.

ფერდინანდი—დამბრჩვალნი მამა მომაგონა მე ამ სიმღერამ.

ამას მოკვდავი ვერ იმღერებს და თვითონ ჯღღერა  
მიწიურს არ გავს, ეს ზეციდან მომესმის ახლა.

პროსპერო—შენი თვალების ფოჩოვანი ფარდა ზე ასწი  
და მითხარ, აბა, იქ რას ხედავ.

მირანდა— ეს რაა? სული?  
ო, ღმერთო, როგორ იცქირება! ჩემო ბატონო,  
მას ვაჟკაცი იერი აქვს, მაგრამ სულია!

პროსპერო—არა, გოგონი. ჭამს, იძინებს და სხვა  
გრძნობებიც

ჩვენნაირი აქვს. ეს ჭაბუკი გემის მარცხს მოჰყვა.  
მშვენიების მატლი—სევდის ჩრდილი რომ არ ბურავდეს,  
მაშინ შენ ალბათ უწოდებდი მოხდენილ ვაჟკაცს.  
მას მეგობრები დაუკარგავს და ახლა მარტოდ  
დაეხეტება მათ საძებრად.

მირანდა— მე ვუწოდებდი  
ღვთიურ ქმნილებას, რადგან მისებრ კეთილშობილი  
ბუნების შვილი არ მინახავს.

პროსპერო— (თავისთვის) მე როგორც ვატყობ  
ისე ეწყობა ყველაფერი, ვით გულს სურს ჩემსას.  
ო, ჩემო სულო, მშვენიერო, ორი დღის შემდეგ  
თავისუფლებას მოგანიჭებ.

ფერდინანდი— ახლა კი ვხედავ,  
თვითონ ღვთაება მღერდა თურმე. ჩემი ვედრება  
შეისმინე და ეს მითხარი, აქაური ხარ?  
თუ ამ კუნძულის მცხოვრები ხარ, მაშინ მასწავლე  
როგორ მოვიქცე, რა უნდა ვქნა. პირველი თხოვნა  
მანც ეს არის, თუმცა გკითხავ ყველაზე ბოლოს,  
საკვირველებავ, ქალი თუ ხარ?

მირანდა— საკვირველება  
არ ვარ, ბატონო, ქალი კი ვარ.

ფერდინანდი— ო, ჩემი ენა!  
ჰოი ზეცაო, პირველი ვარ მე იმათ შორის,  
ვინც კი ამ ენას ლაპარაკობს. ოღონდ იქ ვიყო  
სადაც ამ ენით მეტყველებენ.

პროსპერო— როგორ, პირველი?  
რა იქნებოდი, ნეაპოლის მეფე გისმენდეს.

ფერდინანდი— იგივე ეული ვიქნებოდი, რაიც ახლა ვარ.  
გაოცებული იმითი, რომ ნეაპოლს იცნობ.  
მეფე მისმენს მე და მიტომაც ვქვითინებ ასე.  
თვითონ ვარ მეფე ნეაპოლის. და ამ თვალებით,  
სადაც მას შემდეგ მუდამ ღელავს ცრემლის ტალღები,  
მე ვნახე, როგორ დაიღუპა ხელმწიფე—მამა.

მირანდა—ჰოი, საბრალოვ!

ფერდინანდი— იმასთან სხვაც ბევრი დაიხრჩო.  
თვითონ ჰერცოგიც მილანისა, თვის უფლისწულით,  
იქ დაიღუპა.

პროსპერო—(თავისთვის) რომ დრო იყოს ახლა ამისი,  
მაშინ ჰერცოგი მილანისა თავისი ქალით,  
უფრორე მეტად მშვენიერით, გეტყოდა მართალს.  
მაგრამ შეხედე: პირველივე თვალის შევლებით  
მოხიბლეს ამათ ერთმანეთი. ყოჩაღ არიელ,  
თავისუფლებას მოგანიჭებ. კარგო ბატონო,  
ამ თავხედური ლაპარაკით ძალიან ვწიშობ  
არ ავნო თავსა.

მირანდა— ნეტავ მამა რატომ ინებებს  
ასეთ სიმკაცრეს. კაცთა შორის ეს მესამეა,

ვისთვისაც თვალი შემვივლია ჩემ სიცოცხლეში.  
ეს პირველია, რომლისთვისაც აღმომხდა ოხვრა.  
ნეტავი მამაც მას ჩემსავით შეიბრალებდეს!

ფერდინანდი—თუ კი არავის დაუპყრია ჯერ შენი გული,  
გამოგაცხადებ ნეაპოლის დედოფლად მაშინ.

პროსპერო—ჩემად ბატონო. ეს კი უკვე მეტისმეტია.  
(თავისთვის) უკვე დაიპყრეს ერთმანეთი, მაგრამ აჯობებს  
ცოტათი უფრო გავუძნელო ჯვრისწერის საქმე,  
თორემ ადვილად მოპოებულს, ადვილად დათმობს.  
(ფერდინანდს)

მე მომისმინე, გამომყევი ახლავ, გიბრძანებ,  
სხვისი სახელი მიგიღია გაიძვერობით,  
შემოპარულხარ ამ კუნძულზე და ახლა ცდილობ.  
მეც, მფლობელს მისას, წარმტაცო ეს საბრძანებელი.

ფერდინანდი—არა, მერწმუნეთ, თუ კაცი ვარ, სიმართლეს  
ვამბობ.

მირანდა—ასეთ ტაძარში ბოროტი ვერ დაისადგურებს!  
მაგრამ თუ ასე მშვენიერი სახლი აქვს ავ სულს,  
მაშინ კეთილიც მოინდომებს მასთან ცხოვრებას.

პროსპერო—აბა, წამოდი! შენ კი მასზე ნულარას მეტყვი,  
ვერაგი არის იგი. აბა, წავიდეთ, მომყე!  
თავს ბორკილებით ფეხებამდე დაგახრევენებ,  
სასმელად მოგცემ ზღვის მლაშე წყალს, ხოლო საქმელად  
ქეცედს თევზისას, წყლის ნიჟარას, ხის გამხმარ ფესვებს.  
აბა, გამომყე!

ფერდინანდი—არ მოგყვები, ვიდრე ძალა მაქვს.  
ასეთ მიღებას საკადრისად უნდა დავუხედე.

(ხმალს იძრობს, მაგრამ მოჯადოებული გაშეშდება)

მირანდა—ძვირფასო მამავ, რათ დასაჯე ასე სასტიკად,  
პატიოსანი არის იგი და უშიშარი.

პროსპერო—ჰა? გადასწყვიტე, რომ მამაშენს ასწავლო ჭკუა?  
ხმალი ჩააგე, მოღალატე, შებორკილი ხარ!  
ასე შეგიკრა სინიდისი დანაშაულმა,  
ნულარ ბაქიობ. შემიძლიან, აი ამ ჯოხით,  
დაგაყრევიან იარაღი.



მირანდა— ვთხოვ, მამაჩემო...

პროსპერო—იქით გამშორდი, ტანსაცმელზე ნუ მეკიდები!

მირანდა—ჩემო ბატონო, შეიბრალებ, მე ვუთავდებებ!

პროსპერო—გაჩუმდი მეთქი, ერთი სიტყვაც საკმარისია, რომ შენც გაგკიცხო, შეგიძულო იქნება კიდევ. ვის ესარჩლები, გაიძვერას? გაჩუმდი მეთქი! კალიბანისა და მის გარდა არვინ გინახავს და ფიქრობ, თითქოს მაგისდარი არ იყოს ქვეყნად. სულელი ვოგო! რომ განახვა აგრეთვე სხვებიც, ამას ჩასთვლიდი კალიბანად, სხვებს—ანგელოზად.

მირანდა—მაგრამ რა ვუყოთ, თუ კი ასე მოკრძალებული გული მქონია. არც გავბედავ კადნიერებას და არ ვისურვებ მე უკეთესს.

პროსპერო— დამემორჩილე და გამომყევი. თვითონ ხედავ არა გაქვს ძალა, ჩვილი ბავშვივით მოგიდუნდა კუნთები.

ფერდინანდი— დიახ, ეს მართალს ამბობს. თითქოს მართლაც სინმარში ვიყო, ისე წამერთვა მე ძალლონე. მამის დაკარგვას, ძალის წართმევას, მეგობართა ზღვაში დაღუპვას, მუქარას ჩემი დამპყრობისას არად მივიჩნევ, ოლონდ კი დღეში ერთხელ მაინც ჩემი საკნიდან თვალი შევაგლო მე ამ ქალწულს. ყოველი კუთხე ამა ქვეყნისა დაე, იყოს თავისუფალი, მე აქ ტყვეობას ვამჯობინებ.

პროსპერო—(თავისთვის) ძალიან კარგი! (ფერდინანდს) აბა გამომყე. (თავისთვის) ყოჩაღ, ჩემო კარგო არიელ!

მირანდა—გულს ნუ გაიტეხ, მამაჩემი ასეთი მკაცრი სიტყვებითა სჩანს, თორემ ისე კეთილი არის. პირველად მესმის დღეს იმისგან ეს ლაპარაკი.

პროსპერო—ჯერ ყველაფერი შეასრულე, რაც მე გიბრძანე და თავისუფლად ინავარდებ მთის ნიაფივით.

არიელ—ბრძანებას თქვენსას ავასრულებ.

პროსპერო— აბა, წავიდეთ. შენ კი სიტყვასაც ნულარ დასძრავ მეტად ამაზე. (გადიან)



## მოდებება მეოცი

### სურათი I

იმავე კუნძულის სხვა ნაწილი.

(შემოდინ ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო, ადრიანი, ფრანცისკო და სხვები).

გონზალო—ჩემო ბატონო, გვედრებით, გამზიარულდეთ.

ახლა ხომ ყველას გვაქვს მიზეზი სიხარულისა.

ამ გადარჩენამ შეანელა ის მწუხარება.

ყველას ხვედრია ეს ნაღველი: ყოველდღიურად

ვინმე ვაჭარი, ანუ ვინმე ვაჭრის მფარველი,

ან ცოლი ვინმე მეზღვაურის ამგვარად გლოვობს.

მე სასწაულად მიმაჩნია ეს გადარჩენა,

არა მგონია ჩვენებრ ბევრმა დაიტრაბახოს!

ჩვენ სევდას ბრძნულად შეუწონეთ ჩვენივ ნუგეში.

ალონზო—გთხოვ, მომასვენო!

სებასტიანი—(ანტონიოს) ნუგეშს ყლაპავს ცივ

ფაფასავით.

ანტონიო—თავს ვერც დააღწევს აგრერიგად მანუგეშებელს.

სებასტიანი—ხედავ, მომართა ჭკუამახვილობის საათი, სა-

ცაა ჩამოჰკრავს კიდეც.

გონზალო—ბატონო ჩემო...

სებასტიანი—ეს ერთი! დათვალე!

გონზალო—თუ ყველა სადარდებელი გულთან მიიტანე, რა

გამოვა, რას მიიღებ...

სებასტიანი—დოლარს...  
გონზალო—დიახ, დოლორს, ესე იგი მწუხარებას\*. რისი  
თქმაც გსურდათ, იმაზე უფრო მართალი გამოგივიდათ.  
სებასტიანი—თქვენ კი ისე ბრძნულად გამიგეთ, რომ არც  
მოველოდი.  
გონზალო—ამრიგად, ჩემო ბატონო...  
ანტონიო—როგორ უწყალოდ ფლანგავს სიტყვებს!  
ალონზო—შემიბრალე, გემუდარები!  
გონზალო—კარგი, დავამთავრე. მაგრამ მაინც...  
სებასტიანი—კიდევ იყბედებს.  
ანტონიო—როგორ გგონია, პირველად რომელი იყივლებს,  
ეს თუ აღრიანი? სანაძლევს ჩამოვიდეთ.  
სებასტიანი—ძველი მამალი.  
ანტონიო—არა, ყვინჩილა.  
სებასტიანი—კეთილი, სანაძლეო რა იქნება?  
ანტონიო—არაფერი, ვიცინოთ.  
სებასტიანი—აგრე იყოს.  
აღრიანი—მართალია, ეს კუნძული უდაბნოსა ჰგავს...  
სებასტიანი—ჰა, ჰა, ჰა!  
ანტონიო—წავაგე, მე ვიხდი.  
აღრიანი—მიუვალსა და დაუსახლებელს...  
სებასტიანი—მაგრამ მაინც...  
აღრიანი—მაგრამ მაინც...  
ანტონიო—ამ სიტყვას ვერ შეეღევა.  
აღრიანი—წყნარი, ნარნარი და საამო ჰავაა...  
ანტონიო—დიახ, ნარნარი ქალწული გახლავთ...  
სებასტიანი—და წყნარიც, როგორც მან ბრძნულად გან-  
მარტა.  
აღრიანი—ჰაერი ერთობ ტკბილსურნელოვანია.  
სებასტიანი—თითქოს დამპალი ფილტვები ჰქონდეს.  
ანტონიო—ან, თითქოს, ჰაობიდან იყოს მონაბერი.  
გონზალო—მშვენიერი საცხოვრებელი ადგილია.

\* ორიგინალში სიტყვის თამაშია, აგებული სიტყვების „doulour“ და „dollar“-ის ფონეტიკურ მსგავსებაზე (მთარგმნელის შენიშვნა).

ანტონიო—რა თქმა უნდა, ოღონდ არაფერია ისეთი,  
მაც უნდა გაცხოვროს.

სებასტიანი—დიახ, ასეთი რამ სულ არ მოიპოვება, ან ძა-  
ლიან ცოტა.

გონზალო—რა ქორფა, ცვრიანი ბალახია! როგორი მწვანე!  
ანტონიო—ნიადაგი კი მართლაც აგურისფერია.

სებასტიანი—აქა-იქ მწვანე ელფერი დაჰკრავს.  
ანტონიო—დიდი შეცდომა არ მოსდის ხოლმე.

სებასტიანი—არა, მას მხოლოდ ქეშმარიტებაში მოსდის  
შეცდომა.

გონზალო—მთავარი საოცრება მაინც ის არის,—რომელიც  
თითქმის დაუჯერებელია...

სებასტიანი—როგორც ყოველი საოცრება.  
გონზალო—რომ ჩვენს ტანსაცმელს, ზღვაში დასველების

მიუხედავად, მაინც შერჩა სიახლე და ელვარება. მარი-  
ლიან წყალს კი არ გაუფუჭებია, პირიქით, თითქოს ახ-  
ლად შეღებილაო.

ანტონიო—მაგის ერთერთ ჯიბეს რომ ლაპარაკი შეეძლოს,  
არ იტყოდა ტყუისო?

სებასტიანი—რა თქმა უნდა, ან თუ არა, თავისი პატრო-  
ნის სიცრუეს ჩუმად ჩაჯიბავდა.

გონზალო—მე მგონი, ისეთივე სიახლე აქვს ჩვენ ტანსაც-  
მელს, როგორც პირველად ჩაცმის დღეს ჰქონდა აფ-  
რიკაში, მეფის მშვენიერი ასულის კლარიბელის და  
ტუნისის მეფის ქორწილში.

სებასტიანი—ბედნიერი ქორწილი იყო, ჩვენც კარგ ფეხ-  
ზე დაებრუნდით იქედან.

ადრიანი—ასეთი მომხიბლავი დედოფალი ჯერ არ ღირსე-  
ბია ტუნისს.

გონზალო—ქვრივი დიდონას მერე მართლაც არ ღირსებია.  
ანტონიო—ქვრივიო! ღმერთმა დალახვროს! საიდან მოა-  
გონდა ეს ქვრივი? ქვრივი დიდონა!

სებასტიანი—ენეასიც რომ ქვრივობით ეხსენებია, მაშინ  
რალას იტყოდით, ჩემო ბატონო?



ადრიანი — ქვრივი დიდონაო? თქვენ მასწავლით? ის ხომ ტუნისელი არ არის, კართაგენელია.

გონზალო — ტუნისი ხომ კართაგენი იყო.

ადრიანი — კართაგენი?

გონზალო — დამერწმუნეთ, კართაგენი იყო.

ანტონიო — ჯადოსნური ჩანგის ძალა აქვს მის ენას.

სებასტიანი — დიდი კედლები და სახლები აუშენებია.

ანტონიო — კიდევ რა სასწაულს მოახდენს, ნეტა?

სებასტიანი — ალბათ ამ კუნძულს წაიღებს ჯიბით და თავის ბიჭს მიუტანს ვაშლის მაგივრად.

ანტონიო — ვაშლის კურკებს კი ზღვაში დასთესს და ახალ კუნძულებს აღმოაცენებს.

გონზალო — რაო?

ანტონიო — რა თქმა უნდა, რამდენიმე ხნის შემდეგ.

გონზალო — იმას მოგახსენებდით, ბატონო, რომ ჩვენს ტანსაცმელს ახლაც ისეთავე იერი აქვს, როგორც ტუნისში, თქვენი ასულის ქორწილში ჰქონდა, რომელიც ახლად დედოფალია.

ანტონიო — და რომლის ბადალს ტუნისი არ მოსწრებია.

სებასტიანი — გათხოვთ, ქვრივ დიდონას ნუ იგულისხმებთ.

ანტონიო — ო, ქვრივი დიდონა! ჰო, ქვრივი დიდონას გამოკლებით.

გონზალო — ხომ ისეთივე ახალია ჩემი კამზოლი, ბატონო, როგორც ჩაცმის პირველ დღეს იყო? რამდენადმე მაინც.

ანტონიო — ეს დამატება სწორედ დროული იყო.

გონზალო — აი, თქვენი ქალის ქორწილში რომ მეცვა.

ალონზო — შენი სიტყვები ყურს ხვდებიან — გულს არ წვდებიან.

ჩემი ასული ნეტავ იქ არ გათხოვილიყო!

სწორედ იქედან წამოსულმა დავკარგე ვაჟი!

ველარასოდეს ვერ ვიხილავ ალბათ ჩემს ქალსაც,

იტალიიდან იმ სიშორეს გადაკარგულსა.

ვაიმე, შვილო, მილანისა და ნეაპოლის

შენ ერთადერთო მემკვიდრეო, ნეტა ვიცოდე

რომელ საშინელ ზღვის ურჩხულის კერძი შეიქენ?

ფრანცისკო — ბატონო, იქნებ ცოცხალია. მე თვითონ ვნახე აბობოქრებულ ტალღებზედა ამხედრებული,

ვით მიაღრვევდა ის მტრად ქცეულ წყლისა სიუხვეს,  
როგორ გააპო მკერდით ტალღა მოხეთქებული,  
მღელვარე ზღვაში მას ამაყად ეჭირა თავი,  
ნაპირისაკენ ისწრაფოდა მძლავრი მკლავებით.  
და თვით ნაპირიც გალეული ზვირთთა ცემისგან,  
თითქო თავს ხრიდა მის საშველად. ეჭვი არა მაქვს,  
ხმელეთს მშვიდობით მიაღწევდა.

ალონზო — ის დაიღუპა.

სებასტიანი — შენსავე თავს უნდა უმადლოდე ამ  
მწუხარებას,

შენი ასულით ევროპა არ აბედნიერე  
და ის არჩიე გადაგეგდო აფრიკელისთვის.  
თვალიდან ასე მოიშორე, რაღა თქმა უნდა,  
ახლა ტირილის მიზეზი გაქვს.

ალონზო — გთხოვ, მომასვენო.

სებასტიანი — მუხლმოდრეკილნი შეგთხოვდით და თავს  
გაბეზრებდით,

თვითონაც სულმა მშვენიერმა აღარ იცოდა,  
შენს ნება-სურვილს მორჩილებით დათანხმებოდა,  
თუ აპყლოდა თვის გულისტქმას. შენი მემკვიდრეც,  
მე იმას ვშიშობ, სამუდამოდ დაკარგულია.  
ახლა მილანს და ნეაპოლში ქალთაგან უფრო  
მეტი დაქვრივდა, ვიდრე ჩვენ მათ მანუგეშებლად  
ჩავუყვანთ ვაჟკაცთ. ყველაფერი შენი ბრალია.

ალონზო — და მწუხარებაც მიტომ მერგო ყველაზე მეტი.

გონზალო — ჩემო ბატონო, სებასტიან, თუმც მართალს  
ამბობთ,

სიტლანქე დაჰკრავს თქვენს ლაპარაკს და დროც არ  
არის

ახლა ასეთი საუბრისა. მალამოს ნაცვლად  
სჯიჯვანით ჭრილობას.

სებასტიანი — აგრე იყოს!

ანტონიო — დოსტაქრულად სჯის.

გონზალო — კარგო ბატონო, როდესაც თქვენ

მოიღრუბლებით,

ჩვენ ავი დარი გვიდგას მაშინ.

სებასტიანი—

ავე დარიო?

ანტონიო—ჰო, ძლიერ ავი.

გონზალო—

მე რომ ვიყო, ჩემო ბატონო,

ამა კუნძულის პლანტატორი...

ანტონიო—

ჰინჰარს დასთესდა.

სებასტიანი—ან იქნებ ბალბას, ან მჟაუნას.

გონზალო—

მეფე რომ ვიყო

ამ კუნძულისა, როგორ ფიქრობთ, მაშინ რას ვიზამ?

სებასტიანი—ვიცი, რომ ღვინოს ვერ იშოვი და ვერ

დათვრები.

გონზალო—მაშინ ცხოვრებას მოვაწყობდი სულ სხვანაირად.

უპირველესად ავკრძალავდი ქვეყნად ვაჭრობას;

სამსჯავროების ხსენებაც კი არ იქნებოდა;

არ იქნებოდა არც სიმდიდრე, არც სიღარიბე.

არცა მსახურნი, წერაკითხვის მცოდნეც არავინ.

გავაუქმებდი საკუთრებას, მემკვიდრეობას,

საზღვრებს მიწისას, ნიადაგის დამუშავებას,

ვენახის მოვლა-მოშენებას, ზეთის დაწურვას,

ხორბლის მოყვანას და ლითონის გამოყენებას.

სუყველა უქმად იქნებოდა კაციც და ქალიც,—

და იცხოვრებდნენ უცოდველად, წმინდად ყველანი.

არც მმართველობა...

სებასტიანი—

მაშ მეფობას როგორღა

ფიქრობს.

ანტონიო—მის ქვეყანაში უთავბოლოდ მეტყველებს ყველა.

გონზალო—არ დასჭირდება ხალხს არც შრომა, არც

ოფლის დაღვრა,

საჭირო საგანს თვით ბუნება მიაწვდის ყველას.

ჩემს ქვეყანაში არ იქნება არც გამცემლობა,

არც ბოროტება, არცა ხმალი, თოფი, მახვილი,

არც სხვა რაიმე იარაღი: ბუნება უხვად

და ნოყიერად გამოკვებავს ჩემს უცოდველ ხალხს.



სებასტიანი—ქვეშევრდომები ურთერთთან არ იქორწინებენ.

ანტონიო—აჰ, არა! ყველა არამზადა, კახა იქნება.

გონზალო—მე ისე ბრძნულად ვიმეფებ, რომ თვით ოქროს ხანას

აჯობებს ჩემი სახელმწიფო.

სებასტიანი— დიდება მეფეს!

ანტონიო—დღეგრძელი იყოს გონზალო!

გონზალო—ჰო, მისმენთ, ბატონო?

ალონზო—გთხოვ, გაჩუმდე: შენი სიტყვები არაფრის მთქმელია.

გონზალო—ყველაფერში ვემორჩილები თქვენს აღმატებულებას, მე მხოლოდ სიცილის მიზეზი მივეცი ამ ბატონებს, რომელთაც ისე მოქნილი და მგრძნობიარე ფილტვები აქვთ, რომ შეუძლიათ უმიზეზოდ იცინონ.

ანტონიო—ახლა თქვენ დაგცინოდით.

გონზალო—თქვენთან შედარებით, მე, აბა, რა სასაცილო ვარ. შეგიძლიათ განაგრძოთ უაზრო სიცილი.

ანტონიო—მაგრად კი მოგხვდა!

სებასტიანი—მადლობელი უნდა ვიყოთ რომ ალესილი პირით არ მოგვხვედრია.

გონზალო—თქვენ გულფიცხნი ხართ, ბატონებო, მთვარემ რომ ხუთი კვირის განმავლობაში სახე არ იცვალოს, ალბათ თავისი სფეროდან ამოაგდებდით.

(შემოდის არიელი. უხილავია. ისმის სადღესასწაულო მუსიკის ხმები)

სებასტიანი—რა თქმა უნდა, მერე კი სიბნელეში კეტებითა და ჩირალდნებით ფრინველებზე სანადიროდ გავსწევდით.

ანტონიო—ოღონდ ნუ გაგვიბრაზდებით, კარგო ბატონო.

გონზალო—არა, მერწმუნეთ. ასე ადვილად როდი ვკარგავ მოთმინებას. იქნებ ინებოთ და თქვენი სიცილით დამაძინოთ, მეტისმეტად დაღლილი ვარ.

ანტონიო—მაშ მითძინეთ და ჩვენ გვისძინეთ.

(ალონზოს, სებასტიანისა და ანტონიოს გარდა ყველა დაიძინებს).

ალონზო—ყველას რა უცებ დაეძინა! ნეტა ჩამთვლიმოს,

იქნება ძილში მომასვენოს მძიმე ფიქრებმა.

თითქოს და მართლაც მეძინება.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენც დაიძინე,  
ძალად ნუ იფრთხობ მოსვენებას. მწუხარების დროს  
ძილი ძალიან იშვიათად მოგვეკარება,  
და თუ გეწვია დაგამშვიდებს.

ა ნ ტ ო ნ ი ო — ჩვენ კი, ბატონო,  
აქვე ვიქნებით ორივენი და გიდარაჯებთ.

ა ლ ო ნ ზ ო — მადლობელი ვარ. თავი როგორ დამმძიმებია.  
(ალონზოს ჩაედინა. გადის არიელი)

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — რა უცნაურად მოეკიდა სუყველას ძილი.

ა ნ ტ ო ნ ი ო — ეს უნდა იყოს აქაური ჰავის გავლენით.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მერე ჩვენ რატომ არ ჩავვთვლიმა. მე  
ს რ უ ლ ე ბ ი თ ა ც  
არ მეძინება.

ა ნ ტ ო ნ ი ო — არც მე. ერთგვარ აღმაფრენას  
ვგრძნობ.

ამათ კი თითქოს პირი შეჰკრეს: მეხდაკრულივით  
სუყველა ერთად განერთხო ძირს. რა შემთხვევა გაქვს,  
ო, ღირსეულო სებასტიან, რა შემთხვევა გაქვს.  
თუმც გავჩუმდები... მაგრამ, მაინც ასე მგონია,  
შენს სახეზედაც ვხედავ ახლა, რაც უნდა გახდეს.  
შენ თვით შემთხვევა გიკარნახებს, მე კი ძლიერი  
წარმოსახვით ვჭვრეტ შენს თავზედა დაშვებულ  
გვირგვინს.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ჰა, კიდევ ფხიზლობ?

ა ნ ტ ო ნ ი ო — საუბარი ჩემი არ გესმის?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მესმის და ვგრძნობ, რომ ძილნარევი ხმით  
ლაპარაკობ.

გძინავს და ისე მასლაათობ. ჰა, რა მითხარი?  
უცნაურია, გეძინოს და თვალღია იყო;  
ლაპარაკობდე, ზეზე იდგე, მიმოდიოდე  
და ღრმად გეძინოს.

ა ნ ტ ო ნ ი ო — სებასტიან, კეთილშობილო,  
კარზე მომდგარი ბედი გინდა აძინო, ჩაჰკლა.

არა გძინავს და თვალი მაინც დახუჭული გაქვს.

3. შექსპირი.





სებასტიანი—მკაფიოდ ხვრინავ. აზრი არის მაგ შენს ხვრინვაში.

ანტონიო—ჩვეულებრივად როდი ვხუმრობ, შენც ნუ იხუმრებ,

ჩემი ისმინე, სამჯერ უფრო თუ გსურს ამალდე.

სებასტიანი—დამდგარ წყალს ვგავარ.

ანტონიო— მე გასწავლი როგორ იღინო.

სებასტიანი—კარგს იზამ. მომდგამს სიზარმაცით უძრავად დგომა.

ანტონიო—ნეტა იცოდე რა სათუთად ულოლიავენ მაგ შენს ოცნებას, სასაცილოდ რომ იგდებ თანაც! თითქოს იშორებ—თან კი უფრო მჭიდროდ ეკვრები. გაუბედავ კაცს ასე მოსდის: ძალიან ხშირად სიზარმაცისა, თუ შიშისაგან მიაღწევს მიზანს.

სებასტიანი—თქვი, გვედრები, სახეზე და თვალეზე გატყობ

რაღაც გაწუხებს, სათქმელი გაქვს, და დაბადება მაგ სათქმელისა, მშობიარის ტკივილით გიჭირს.

ანტონიო—აი, რა მინდა: გულმავიწყმა ამ ვაჟბატონმა, რომელიც მიწად გადაქცევის შემდეგ მაშინვე თვით მიეცემა დავიწყებას, ხელმწიფეს ჩვენსას დაუსაბუთა,—მას ზნედა სჭირს დასაბუთება,— რომ ძე იმისი ცოცხალია, მაგრამ მეფის ძე არ დამხრჩვალის, ისევეა შეუძლებელი, ვით ის, რომ თვითონ მიძინებულს შეეძლოს ცურვა.

სებასტიანი—მეც აღარა მაქვს იმედი მის გადარჩენისა.

ანტონიო—სამაგიეროდ მაგ იმედის უქონლობისგან უფრო დიდ იმედს მოელოდე! უიმედობა გზას გაგიკაფავს ისე მაღალ იმედისაკენ, რომლის დანახვა და განჭვრეტა შორ მანძილიდან პატივმოყვარე თვალეებსაც კი არ შეუძლია.

შენც ხომ გჯერა, რომ ფერდინანდი დამხრჩვალის არის.

სებასტიანი—ის დაიღუპა!

ანტონიო— ნეაპოლის ტახტის მემკვიდრედ მაშ ვინდა დარჩა?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — კლარიბელი.

ა ნ ტ ო ნ ი ო — რომელიც ახლა  
ტუნისის დედოფლობს? ცხრა მთას იქით გადაკარგული?  
თუ მზემ თვითონვე არ იკისრა მის შიკრიკობა,  
ვერვინ მიაწვდის ამბავს ჩვენსას. მთვარის მცხოვრები  
ნელა მოძრაობს, ვერც ჩაადწევს. ახლადშობილსაც  
ნიკაპზე წვერი მოეზრდება ტუნისის ჩასვლამდე.  
იმის მიზეზით, ზოგის გარდა, ზღვამ შთანთქა ყველა  
და ბედისწერით გადარჩენილთ საქმე რამ შეგვხვდა,  
რომლისათვისაც პროლოგია რაც გამოცვადეთ,  
ხოლო რაც გველის, ჩვენ ორზეა დამყარებული.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — ნეტა რას ბოდავ? ცხადია, რომ ჩემი  
ძმისწული

დედოფალია ტუნისისა, თანაც ის არის  
ტახტის მემკვიდრე ნეაპოლის. ამ ორ ქვეყანას  
მართლაც აშორებს რაღაც სივრცე...

ა ნ ტ ო ნ ი ო — ყოველი გოჯი  
იმა სივრცისა გაიძახის:— „ო, კლარიბელმა  
ხელახლა უნდა გადამსეროს ნეაპოლისკენ?  
ის იქვე დარჩეს. დე, ფხიზლობდეს სებასტიანი!“  
არ ჯობდა სიკვდილს მიეწვინა ეს ხალხი ასე?  
მერწმუნე უფრო ცუდ დღეშიაც არ იქნებოდნენ.  
ნეაპოლისთვის გამგებელი მოიძებნება,  
არა ნაკლები ამ მძინარზე. კარისკაცებიც  
გამოჩნდებიან გონზალოსებრ ენა ლაქლაქა.  
მეც, ჩემდა თავად, კაჰკაჰსავით ძალმიძს ყბედობა.  
ეჰ, ნეტავი შენც ჩემი ფიქრი დაგტრიალებდეს!  
მაშინ ეს ძილი ჰოი, რა რიგ აგამალღებდა!  
მიმიხვდი მაინც რისი თქმაც მსურს.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მგონი მიგიხვდი.

ა ნ ტ ო ნ ი ო — კმაყოფილი თუ ხარ ბედისა?

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — მე მაგონდება  
როგორ წაართვი შენს ძმას ტახტი.

ა ნ ტ ო ნ ი ო — შენ მართალი ხარ.  
ახლა შეხედე, ეს სამოსი როგორ მიხდება!

წინანდელზედაც უფრო მშვენიის. მაშინ ჩემი ძმის  
ხელქვეითები მშეგობრობდნენ. ახლა ისინი  
მე მსახურებენ.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — სინდისი როგორილა გაქვს?

ა ნ ტ ო ნ ი ო — ჩემო ბატონო, სად ბინადრობს ეგ სინდისი?

თუ ჩემს მოყინულ ქუსლში არის — წალაში ჩავდებ.

გულში ვერა ვგრძნობ მაგ ღვთაებას. გზა მილანისკვებ

გადამიღობოს თუნდა ოცმა სინდისმა ერთად,

უწინ გადნება შაქარივით, მე კი ვერ მომდრეკს.

აჰა, შენი ძმა აგერ გდია. ის რომ გადიქცეს,

იმაღ, რასაც გავს ახლა ძილში, — მკვდრად რომ

გადიქცეს, —

რითი აჯობებს მიწას, რაზეც თვითონ ვანრთხმულა.

ამ მორჩილი ხმლით მივაძინებ მას სამუდამოდ,

ამასობაში შენც შომბაძე და ბებერ ქოფაკს,

ამ განათლებულ ბატონ კეთილგონიერებას,

სამარადქამოდ დაუხუჭე თვალები, რომ კვლავ

ველარ შეიძლოს შენი საქმის გამომეღაენება.

დანარჩენებს კი, ვით კატას რძე, ისე მოვიტკობთ

და საათივით ჩვენს ნებაზე ავაჭიკჭიკებთ.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი — შენი ამბავი მაგალითად გამომადგება:

შენ მილანის ტახტს დაეუფლე, ჩემო ძმობილო,

ამავე ხერხით მე ნეაპოლს ჩავიგდებ ხელში.

ხმალი იშიშვლე: ერთი დაკვრით ხარკს მოიშორებ,

და ჩემს — ხელმწიფის, სიყვარულსაც დაიმსახურებ.

ა ნ ტ ო ნ ი ო — შენც მოენზადე და როგორც კი აღვმართავ

მახვილს,

მაშინვე დაჰკარ გონზალოსა.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ი —

ო, შეიცადე!

ჯერ მათქმევიწე.

(მუსიკის ხმა. შემოდის უხილავი არიელი)

ა რ ი ე ლ ი — ჩემმა ბატონმა ჯადოსნური წინასწარქვრეტით,

როგორც კი ნახა მეგობარი განსაცდელში ყავს,

მყისვე აქეთკენ გამომგზავნა მის დასახსნელად,

თორემ გეგმები სულ მთლიანად ჩაეფუშება.

(ყურში ჩამღერებს გონხალოს)

ხვრინავთ ასე მოსვენებით  
და არ იცით, რომ აქ მტრები  
წამს ელიან მოხერხებულს.  
თუ სიცოცხლე გიღირთ რადმე,  
გაიღვიძეთ, წადით სადმე.  
წამოდექით, გაიღვიძეთ!

ანტონიო—აბა ვიჩქაროთ, ერთად დავკრაოთ.

გონზალო—(იღვიძებს) კეთილნო სულნო,  
თქვენ დაიფარეთ ჩვენი მეფე!

ალონზო— რა ამბავია?

რა მოხდა მეთქი? ჰეი, ჰეი, გამოიღვიძეთ!  
მახვილს რად იქნეეთ? თვალი ასე რამ აგვიმღვრიათ?  
რა ამბავია?

სებასტიანი—აქ ვიდექით, თქვენ გდარაჯობდით,  
უეცრად მოგეწვედა საზარელი და მძვინვარე ხმა,  
ლომის ღრიალის, თუ კამეჩის ბლავილის მსგავსი.  
სმენა დამიხშო იმ ბლავილმა და ალბათ მაშინ  
თქვენც გაგელვიძათ.

ალონზო— არაფერი გამიგონია.

ანტონიო—ო, იმ ზათქის ხმა ურჩხულსაც კი  
შეადრწუნებდა.  
სულ მთლად შესძრავდა დედამიწას. მე ასე ვფიქრობ  
ლომების ხრო თუ ღრიალებდა.

ალონზო— შენც გაიგონე

ის ხმა, გონზალო?

გონზალო— სინდისს ვფიცავ, ჩემო ბატონო,  
მე უცნაური ზუზუნის ხმამ გამომადვიძა,  
მყის შეგანჯღრით, ხმა გაგეცით. თვალი რა გავხსენ  
ესენი ვნახე აქ, მეფეო, ხმალამოწვდილნი.  
რალაც ხმაური მართლაც იყო. უმჯობესია  
აქაურობას გავეცალოთ, ანუ თვითონვე  
ვუდარაჯოთ თავს, ხმალი ვიძროთ.

ალონზო— მართლაც წავიდეთ,  
ჩემი საბრალო შეილის ძებნა კვლავ განვაახლოთ.



გონჯალო—ო, ზეცის ძალნო, დაითარეთ ამ მხეცებინსა  
მჯერა, კუნძულზე არის იგი.

ალონჯო— აბა გავსწიოთ! (გადიან)  
არიელი—ჩემო ბატონო, მალე ნახავთ ჩემს. ნამოქმედარს.  
გასწი, მეფეო, ფიქრი ნუ გაქვს, ეძიე შვილი!

(გადის)

## სურათი II

იგივე კუნძული.

(შემოდის კალიბანი, შეშა მოაქვს. ისმის ქუხილის ხმა).

კალიბანი—დამძალ წუმპისგან აორთქლილი ყოველი სნება  
შემოეხვიოს თავს პროსპეროს, დაღრღნას, დაწიწკნოს.  
ვიცი მისმენენ სულნი მისნი, მაინც დაეწყეველი:  
თუ კი თვითონვე არ უბრძანა, ვერ შემბედავენ  
და ვერ მიჩხვლეტენ, მანქვა-გრეხით ვერ დამაჟროთხობენ,  
სიბნელეშიაც მუგუზლით ვერ გამიტყუებენ  
და ვერც ჭაობში ჩამაფლობენ. მაინც რა არის,  
სულ ცოტა რამე გაახელებთ, მომესევიან,  
ხან მიიღებენ მაიმუნის სახეს ისინი,  
იღმიკებიან, მკბენენ, კბილებს აღრქიალებენ,  
გადიქცევიან ხანაც ზღარბად და შიშველ ფეხებს  
ბასრი ეკლებით მიჩხვლეტავენ. მერე უეცრად  
შემომეხვევა ტანს სრიალა ასპიტად ყველა,  
ენით მლოკავენ და სისინით კკუას შირყევენ.

(შემოდის ტრინკულო)

შეხე, შეხედე, ერთი სული აქეთკენ მოდის,  
უნდა მაწამოს, შეშა ზანტად რატომ მოგაქვსო.

სჯობს აქ განვეროთხო, იქნებ სულაც ვეღარ შემნიშნოს.

ტრინკულო—არც ბუჩქია სადმე და არც ჯაგი, რომ კაცმა  
თავი შეათაროს. ქარიშხალი კი კვლავ ამოვარდება.  
უკვე მესმის ქარის ხმა. ჰა, ის შავი ღრუბელი ისე დამ-  
ძიმებულა, თითქოს ვეება კასრი იყოსო. საცაა გად-  
მოდანთხევს... ახლაც თუ წელანდელივით დაიგრუხუნა,  
აღარ ვიცი სად შევემალო თავი. ის ღრუბელი კოკის-



პირულად წამოვა. ეს რაღა არის? თევზია თუ ადამიანი? ცოცხალია თუ მკვდარი? თევზია. სუნით ვატყობ, რომ თევზია. ნამდვილი ძველი თევზის სუნი აქვს, დამბალი ვირთევზას სუნი. საოცარი ცხოველია. ახლაც ინგლისში ვიყო და ამ თევზის თუნდაც სურათი მომცა, სხვა არა მინდა რა, ბევრ დოკლამპია ბედოვლათს დავცანკლავდი ვერცხლის ფულებს. ეს ურჩხული კაცს ააშენებს იქა. ყოველგვარი უცნაური მხეცი გაამდიდრებს იქ ადამიანს. ხეიბარ გლახაკს ერთ გროშსაც არ აჩუქებენ, ხოლო მკვდარი ინდიელისათვის თვალის შესაფლებად ათსაც კი არ დაიშურებენ. ფეხები ადამიანისას მიუფავს! ფარფლიც თითქოს მკლავებიანო. სინდისს ვფიცავ, თბილია. ა, მამ შეემცდარვარ. ეს თევზი კი არ არის, ამ კუნძულის მკვდარი ყოფილა. ალბათ მეხი თუ დაეცა. (ქუხილი) ვაი, ისევ ამოვარდა ქარიშხალი. არსად თავშესაფარი! ისლა დამრჩენია მაგის ხიფთანში შევძვრე. გაჭირვება კაცს დედოფალთან დააწვენსო. ვიდრე ქარი ჩავარდებოდეს, აქ შევაფარებ თავს.

(შეძვრება კალიბანის ხიფთანში. შემოდის სტეფანო. მღერის. ხელში ბოთლი უჭირავს)

ს ტ ე ფ ა ნ ო — ალარ გავალ, ალარ გავალ ზღვაში,  
 მირჩენია აქ დავლიო სული.  
 ეს სიმღერა მკვდრისათვის ზარად არ გამოდგება, მაგრამ რა ვქნა, ეს მიმწვიდებს გულსა. (დაღვებს)

(მღერის)

ჩვენ ყველასა გვკავს გულის ტრფიალი,  
 კაპიტანს, ბოცმანს, თოფჩასა და მე,  
 ვის მერი უყვარს, მარგერი, მალი,  
 კატერინა კი ვერ შევიყვარეთ.  
 მწარე ენა აქვს, არის თავნება,  
 ჯანდაბას გვგზავნის! და ან კი რა ქნას:  
 სუნს კუბრისა და ზღვისას ვერ იტანს,  
 თერძი კი მუდამ მორჩილად დაფხანს.

ჯანდაბას თვითონ წავიდეს მაშინ!

ჩვენ კი გავსწიოთ, ბიჭებო, ზღვაში.

ცული სიმღერაა, მაგრამ რა ვქნა, ეს მიმშვიდებს გულსა.

კალიბანი—ნუ მაწამებ, ჩამომეხსენი. ოჰ!

სტეფანო—რაო? ეშმაკები ყოფილან აქა? ველურებისა და ინდიელებისაგან ხომ არ გისწავლია ასეთი ოინები, ა? იმიტომ კი არ გადაფურჩი დახრჩობას, რომ ახლა აქ, შენი ოთხი ფეხისა შემეშინდეს; ჩემზე ტყუილად როდი უთქვამთ, „ისეთი ძალგულოვანი ვინმეა, რომ ოთხფეხი კაციც ვერ მოაცვლევინებს ადგილიდან ფეხსო“. ასე იტყვიან მუდამ, ვიდრე სტეფანო თავის ცხვირითა სუნთქავს.

კალიბანი—ვაი, როგორ მაწამებს სული! ოჰ!

სტეფანო—ეტყობა ამ კუნძულის ოთხფეხა ურჩხულია. ალბათ ციებ-ცხელება აწუხებს. მაგრამ ჩვენი ენა სად ისწავლა ამ ქაჯმა. ამისთვის მაინც მივეშველები. როგორმე რომ განვკურნავდე და ნეაპოლში წავიყვანდე! მშვენიერი საჩუქარი იქნება ყოველი იმპერატორისთვის, როგორ ქოშებსაც უნდა ატარებდეს იგი.

კალიბანი—ნულარ მაწამებ, გემუდარები. ახლავე წავიღებ შეშას.

სტეფანო—სიცხეს ჭკუაც წაურთმევია. მოდი ჩემს ბოთლს გავასინჯებ. თუ აქამდე არასოდეს უგემნია ღვინო, ახლა უთუოდ განიკურნება. მოვარჩენდე და მოვათვინიერებდე, მერე მე ვიცი. რა ფასიც უნდა ავიღო, ძვირი არ იქნება. ერთიორად აუნაზღაურებს მყიდველს.

კალიბანი—ჯერ კი არ მაწუხებს, მაგრამ ვატყობ ახლავე დაიწყება ჩემი წამება. სულ მთლად კანკალებ, უკვე პროსპერო მოქმედობს შენზე.

სტეფანო—აბა, წამოდექი და პირი გააღე. აი, ეს აგალაპარაკებს კატასავით. გახსენი მეთქი პირი, გეუბნები გიშველის, მაშინვე მოსპობს შენს მომსპობ ცხელებას. ვერ გიცვნია მეგობარი. აბა კადევ გააღე პირი.

ტრინკულო—თითქო ნაცნობი ხმა მესმის. ეს ხომ... მაგრამ არა. იგი დაიხრჩო. ესენი ეშმაკები არიან! ღმერთო მიშველე!

სტეფანო—რაო? ოთხი ფეხი და ორი ხმა! აი, მართლა  
ოცარი ურჩხული! წინა ხმა უფრო დალაგებით ლაპა-  
რაკობს, უკანა ხმა კი მყრალად იგინება და ილანძღება.  
სულ დავაცლევინებ ამ ბოთლს, ოღონდ კი განიკურნოს.  
ჰა, შესვი, მეორე პირშიაც ჩაგასხამ.

ტრინკულო—სტეფანო!

სტეფანო—შენი უკანა პირი მეძახის! გმადლობთ, მადლო-  
ბელი ვარ. ეს ურჩხული არ არის, ეშმაკია. უნდა გავე-  
ცალო. მე ხომ გრძელი კოვზი არა მაქვს! \*

ტრინკულო—სტეფანო! თუ კი მართლა სტეფანო ხარ,  
ხმა გამეცი, ხელი შემახე, მე ტრინკულო ვარ. ნუ გეშინ-  
ნია. შენი მეგობარი ტრინკულო ვარ.

სტეფანო—თუ კი მართლა ტრინკულო ხარ, აქეთ გამოდი.  
მე გამოგათრევ ფეხებით. მართლაც მის ფეხებსა ჰგავს.  
(გამოათრევს) ტრინკულო ყოფილხარ. ამ მახინჯთან რამ  
მოგიყვანა. ნუთუ მაგან მოსკორა ტრინკულო.

ტრინკულო—მეხდაცემული მეგონა. მაგრამ ეს მითხარი,  
შენ არ დაიხრჩე ზღვაში, სტეფანო? იმედი მაქვს, რომ  
არ დამხრჩვალხარ. ქარიშხალი ჩადგა. სწორედ ქარიშ-  
ხალის შიშით შევაფარე თავი ამ მახინჯის ხიფთანს. ჰა,  
შენც ცოცხალი ხარ, სტეფანო? ო, ორი ნეაპოლელი გა-  
დარჩენილა!

სტეფანო—ასე ნუ მატრიალებ, კუჭი მსუბუქადა მაქვს.

კალიბანი—(თავისთვის) თუ სულელები არიან ესენი, კარგი ვინ-  
მეები ჩანან. აი თვითონ კეთილი ღმერთი ციური სასმე-  
ლით ხელში. მოდი დავუწოქებ.

სტეფანო—როგორ გადარჩი, აქ როგორ მოხვედი? არა, ამ  
ბოთლს გაფიცებ, როგორ მოხვედი? მე გადამარჩინა  
ღვინის კასრმა, რომელიც მეზღვაურებმა გამორიყეს ნა-  
პირზე. მერე საკუთარი ხელით ხისაგან ეს ბოთლი გა-  
მოვჭერი.

\* ინგლისური ანდაზა: He needs a long spoon that sups with the  
devil—ვინც ეშმაკთან ერთად ვახშობა, გრძელი კოვზი სჭირდება (მთარ-  
გმნელის შენიშვნა).



კალიბანი—მაგ ბოთლსა ვფიცავ, შენი მორჩილი მონა-  
ხდები. ეს ხომ მიწიური სასმელი არ არის.

სტეფანო—აჰა. (ტრინკულს) შემომფიცე მეტქი, როგორ გა-  
დარჩი.

ტრინკულო—იხესავით მოვუსვი ნაპირისაკენ. გეფცები  
იხესავით ვცურავ.

სტეფანო—აჰა, ემთხვიე სახარებას. იხესავით ცურავ, მაგრამ  
მაინც ბატი ხარ.

ტრინკულო—ოჰ, სტეფანო, კიდევ გაქვს ღვინო?

სტეფანო—მთელი დიდი კასრი. ზღვის პირას მოვაწვე მა-  
რანი და იქ შევიწინახე. ურჩხულო, გაგიარა ბნელამ?

კალიბანი—მითხარი, ხომ ციდან ჩამოვარდი?

სტეფანო—მთვარიდან ჩამოვედი. ერთ დროს მთვარეზე მიც-  
ხოვრია.

კალიბანი—მეც მინახიხარ მთვარეზე და გაღმერთებ კიდევ.  
მირანდას ხშირად უჩვენებია მთვარეზე შენი ძალლი და  
ფიჩხი.

სტეფანო—კეთილი. მაშ დაიფიცე და ემთხვიე სახარებას  
კიდევ ჩამოვასხამ. დაიფიცე.

ტრინკულო—ამ კეთილ მნათობსა ვფიცავ, მეტად ბრიყვი  
ურჩხულია, მე კი მისი შემეშინდა. როგორ დაიჯერა  
მთვარეზე შენი ყოფნა. ჩერჩეტი ურჩხული ყოფილა, მია-  
მიტი ურჩხული.

კალიბანი—ამ კუნძულის ყოველ ნაყოფიან და ნოყიერ  
კუთხეს გაჩვენებ, ფეხებსაც დაგიკოცნი, ოღონდ ჩემი  
ღმერთი იყავი.

სტეფანო—აგრე იყოს. დაიჩოქე და შექომფიცე.

ტრინკულო—ლამისაა სიცილით მომკლას ამ ქარაფშუტა  
ურჩხულზე. რა ქვეწარმავალია! ისე მინდა ვცემო...

სტეფანო—ემთხვიე მეტქი.

ტრინკულო—მთვრალი არ იყოს... საზარელი ურჩხული!

კალიბანი—გეტყვი სად არის წყაროები, დაგიკრფე კენკრას.  
შეშას მოგიტან, ვითეუზაებ შენთვის მუდამდღე.  
ქირმა დაახრჩოს ის მტარვალი, ჩემი ბატონი,

ამიერიდან შეშას მისთვის აღარ მივჭიდავ.  
შენ, მშვენიერო ქმნილებო, შენ გამოგყვები.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო—უცნაური ურჩხულია, უბედურ ლოთს მშვე-  
ნიერი ქმნილება შეარქვა.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი—გთხოვ გამომყევო. მე მიგიყვან პანტის ხეებთან,  
ჩემი კლანჭებით ამოგიტხრი შენ მიწავაშლას,  
გასწავლი ჩხიკვი სად იკეთებს ბუდეებს ტყეში,  
ანუ ხაფანგით მაიმუნებს როგორ იჭერენ.

გაჩვენებ ტყეში თხილის ბუჩქებს, ხანდახან კიდევ  
ჩიტის ბარტყებსაც კი მოგიყვან. არ გამომყვები?

ს ტ ე ფ ა ნ ო—ახლა ლაყბობა შესწყვიტე და წინ გაგვიძეხი.  
წყეფე და მისი ამაღა დაიღუპა. მისი მემკვიდრეები ჩვენ  
ვართ, ტრინკულო. აჰა, ბოთლი გამომართვი. ჩემო  
ტრინკულო, მალე გავეცხებთ ღვინით.

კ ა ლ ი ბ ა ნ ი— (მთვრალია, მღერის)  
მშვიდობით, ჩემო ბატონო  
მშვიდობით, ჩემო ბატონო!

ტ რ ი ნ კ უ ლ ო—ყუილა ურჩხული! ლოთი ურჩხული!

კ ა ლ ი ბ ა ნ ი—არც ვსდევ თევზებს, მოვრჩი ხენეშას,  
არც ცეცხლისთვის მომაქვს შეშა.

აღარც თეფშებს ვრეცხავ მეტად,  
მიწის თხრასაც მოვრჩი ბედად.

ბან, ბან, კალ-კალიბან.

ემსახურე პატრონს ახალს,

ძველი კი სხვას გამონახავს.

თავისუფლება ჰეი, ჰეი! თავისუფლება მეწვია! ჰე, ჰეი!

ს ტ ე ფ ა ნ ო—აბა, მამაცო ურჩხულო, გზა გვასწავლე.

## მოქმედება მესამე

### სურათი I

პროსპეროს ქობთან.

(შემოდის ფერდინანდი, კუნძი მოაქვს).

ფერდინანდი—მომქანცველია თამაშობა, მაგრამ საამო.  
მრავალგვარ საქმეს, მდაბიურსა, დამაპცირებელს  
ხშირად ვასრულებთ საპატიო ღირსეულებით,  
და მწირ დასაწყისს მოსდევს ხოლმე მდიდარი ბოლო.  
ჩემი უმსგავსი მუშაობაც შეიქმნებოდა  
ისევე მძიმე, ვით ბილწია, მაგრამ ის ქალი,  
რომელსაც ახლა მე ვმსახურებ, მკვდარს გააცოცხლებს.  
ის მიმსუბუქებს მძიმე შრომას. ტლანქ მამამისზე  
იგი ათჯერაც მეტადაა კეთილშობილი,  
მამამისი ხომ გულქვად არის დაბადებული.  
ნაბრძანები მაქვს ათასობით ასეთი კუნძი  
გადმოვზიდო და ერთ ალაგას დავაწყო ყველა.  
ჩემი ძვირფასი ქალბატონი მუდამ ქვითინებს,  
როცა ამ დღეში დამინახავს. თან ასე ამბობს:  
ასეთსა უნსგავს საქმეს ჯერე არ ჰყოლიაო  
შემსრულებელი ასე კარგი. ეჰ, დამავიწყდა,  
ეს ტკბილი ფიქრი მიმსუბუქებს მძიმე სატანჯველს  
გულსაც შეგებას ჰფენს.

(შემოდის მირანდა. მოშორებით პროსპერო დგას, მაგრამ ვერ ხედავენ).

მირანდა—

ო, ვაიმე, გემუდარებინა

ნუ იწყვეტო ქანცსა. მეხმა დასწვას ყველა ეს კუნძი.  
დააგდეთ ტვირთი, დაისვენეთ. ეს კუნძი ცეცხლში  
თქვენი ასეთი ტანჯვის გამო ტირილს დაიწყებს.  
გთხოვთ დაისვენოთ. მამაჩემი გართული არის  
მეცნიერებით, ვერც მოიკლ ს იგი სამ საათს.

ფერდინანდი—უძვირფასესო ქალბატონო, ველარ

მოვასწრებ—

ნაბრძანები მაქვს მზის ჩასვლამდე მოვრჩე ყველაფერს.

მირანდა—თუ დაჯდებით და დაისვენებთ, კუნძს მე წავიღებ,  
გემუდარებით მომცეთ ტვირთი, მოგეშველებით.

ფერდინანდი—არა, ძვირფასო ქმნილებაო. ის მირჩვენია,  
კისერი მელრძოს, სულ დაჰაწყდეს ყოველი ძარღვი,  
ვიდრე თქვენ საქმეს აკეთებდეთ დამამცირებელს,  
მე კი აქ ვიჯდე უქმად, გულზე ხელდაკრეფილი.

მირანდა—რაც თქვენთვის არის, ის იქნება ჩემთვის

ეს შრომა—

არა, ის ჩემთვის უფრო მეტად ადვილიც არის,  
რადგან მე ამას გავაკეთებ მხოლოდ ხალისით,  
თქვენ კი მუშაობთ იძულებით.

პროსპერო—

საბრალო ბაღლო,

შენც აინთე? მაშ აქ რა გინდა?

მირანდა—

განაწამები

სახე გაქვთ.

ფერდინანდი—არა, ქალბატონო. თუნდ ღამე იყოს  
თუ ჩემთანა ხართ ახლოს, მაშინ დილა მგონია!  
გემუდარებით, მსურს ლოცვაში მოგიხსენიოთ,  
თქვენი სახელი მითხრათ, იქნებ.

მირანდა—

მირანდა მქვია.

ო, მამავ, ეს ვთქვი, შენი ნება გავტეხე ამით.

ფერდინანდი—ოი, მირანდა, მომხიბლავეო, სწორობოვარო,  
ყველაზე უფრო სანუკვარო მთელ ქვეყანაზე,  
მრავალი ქალი შემხვედრია, ხშირად მომხდარა,  
დამონებია მათ ხმას ჩემი ერთგული სმენა,  
მომწონებია ბევრი კარგი ღირსებისათვის,

მაგრამ აროდეს არ მინახავს ისე სრულქმნილი, რაიმე ნაკლი არ ქონოდეს. იმათ ღირსებას მუდამეამს რალაც ზადი ახლავს და იგი ჩრდილავს. მაგრამ თქვენ კი, ო, თქვენ ისეთი სრულყოფილი ხართ, ისე უზადო და უზადლო, რომ უეჭველად, ქვეყნად იუ არის რაიმე კარგი, თქვენ დაგყოლიათ.

მირანდა—ჯერ არ მიხილავს ქალის სახე, მხოლოდ სარკეში თუ დამინახავს ანარეკლი ჩემივე თავის. მამაკაცთაგან მხოლოდ ჩემი კეთილი მამა და თქვენ, კეთილი მეგობარი, დამინახიხართ. რა აღნაგობა აქვს ქვეყნად ხალხს, არ გაეგება. მაგრამ ვფიცავ ჩემს სათნოებას,—ჩემი მზითვის ძვირფას მარგალიტს ერთადერთსა,—რომ თქვენ

ერთს გარდა

ქვეყნად არავის არ ვისურვებ. ვერცა ოცნებით ვერ წარმოვიდგენ თქვენს გარდა სხვას, რომ მოქეწონოს. მაგრამ რას ვყბედობ უთავბოლოდ, მამის ბრძანება გადამავიწყდა.

ფერდინანდი—მირანდა, მე უფლისწული ვარ. ახლა კი, ვაგლახ, ალბათ მეფეც კი შევიქენი. და ეს იცოდე, ამ მონობას არ მოვითმენდი, ისევე, როგორც არ მოვითმენ ტუჩზე მკვდრის ბუხსა... მაგრამ მისმინე, მინდა გული გადაგიშალო, როგორც კი მოგკარ თვალი, მყისვე შენი შევიქენ და ჩემი გული დაგემონა სამარადეამოდ. მიტომაც ასე მოთმინებით ვათრევე ამ კუნძებს.

მირანდა—ნუთუ გიყვარვარ?

ფერდინანდი— ო, ზეცაო, ო, დედამიწავ, თქვენ დამიმოწმეთ ჩემი აღთქმა. თუკი სიმართლეს ვამბობდე, მაშინ ეს წადილი დაავიკრგვინეთ! და თუ ვტყუოდე, ყოველგვარი ბედნიერება უბედურებად გადამექცეს. მე შენ მიყვარხარ, მე შენ გაღმერთებ და თაყვანს გცემ განუზომელად.

მირანდა—რა სულელი ვარ! სიხარული ასე მატირებს.

პროსპერო—(თავისთვის) ორი სპეტაკი გრძნობის ასე  
წმინდა შეხვედრა!

ზეცაო, მადლი დააპყრე მათ წმინდა კავშირს!  
ფერდინანდი—მაინც რად ტირი?

მირანდა— იმად ვტირი, რომ უღირსი ვარ,  
ვერ გამიბედავს მოგანიჭო, რის მოცემაც მსურს  
და იმისგანაც ცოტას ვიღებ, რის სურვილიც მკლავს.  
სისულელეა! რაც მეტს ცდილობს თავის დაფარვას,  
ჩემი სურვილი მით უმეტეს ვეება მოსჩანს.  
განვედ ცბიერო მორცხვობაო! შენ შთამაგონე,  
ო, შენ უბრალო და წმინდაო უმანუკობაე!  
თუ კი შემირთავთ, მე მზადა ვარ გამოგყვეთ ცოლად,  
თუ არ შემირთავთ, დაე მოვკვდე, მხევალი თქვენი.  
იპის ნება გქვთ, ცოლობაზე უარი მითხრათ,  
მაგრამ მონად რომ გადაგექცეთ, ვერ მეტყვეით უარს.

ფერდინანდი—ჩემო ძვირფასო ქალბატონო, მეც  
სწორედ ასე

შენი მორჩილი ვიქნები სულ.

მირანდა— გასურთ ჩემი ქმრობა?  
ფერდინანდი—ისე მწყურია, როგორც მონას თავისუფლება.  
ჰა, ჩემი ხელი.

მირანდა— აჰა, ჩემს ხელს გულიც მოჰყვება.  
ახლა მშვიდობით, ნახევარი საათით გტოვებ.

ფერდინანდი—ო, ათასჯერაც, ათასჯერაც მშვიდობით  
იყავ.  
(გადიან)

პროსპერო—თქვენებრ არ ძალმიძს განვიცადო ეს  
აღტაცება,—

რადგანაც თქვენთვის ყველაფერი ეს ახალია,—  
მაგრამ ამგვარად არაფერი გამახარებდა.  
ახლა წავალ და ჩავუჯდები ისევ ჩემს წიგნებს,  
ვახშმობის დრომდე მოვაგვარო უნდა ბევრი რამ.

(გადის)

სურათი II

იგივე კუნძული.

(შემოდინ კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო).

სტეფანო—კმარა. მეტად აღარ გაიმეორო. წყალს მხოლოდ მაშინ დაეღვეთ, როცა კასრი გამოიცილება. მანამდე არც ერთ წვეთს. აბა, ჩამოასხი. მონა-ურჩხულო, ჩემი სადღეგრძელო შესვი.

ტრინკულო—მონა-ურჩხულო, გამოთაყვანებულო! ამბობენ, ამ კუნძულზე სულ ხუთნი ვართო. სამი მათგანი აქა ვართ, თუ კი სხვებიც ჩვენსავით შეხურებულია, მაშინ ასე გამოდის, რომ მთელი სახელმწიფო ირყევა.

სტეფანო—დალიე მეთქი, გიბრძანებ, მონა-ურჩხულო. თვალები როგორ ჩაგჩრია შუბლის ქვემოთ.

ტრინკულო—მაშ, სად უნდა ჩასულიყო? მართლაც მამაცი ურჩხული მაშინ იქნებოდა, კუდის ქვეშ რომ ჩასჩროდა.

სტეფანო—ამას ღვინოში ჩაეხჩო ენა, მე კი ზღვამაც ვერ დამახჩო. ნაპირზე გამოსვლამდე ოცდახუთმეტი მილი გადმოვკურე. სინათლეს ვფიცავ, შენ ჩემს თანაშემწედ, ან მედროშედ დაგნიშნავ, ურჩხულო.

ტრინკულო—სჯობს, თანაშემწედ დანიშნო, თორემ ფეხებს ძლივს მიათრევს, დროშა როგორღა უნდა წაიღოს.

სტეფანო—ბატონო ურჩხულო, უკან არ დავიხევთ, ხომ?

ტრინკულო—მაგრამ წინაც ვერ წახვალთ, ძაღლებივით მიწას განერთხმით და ხმას ჩაიწყვეტთ.

სტეფანო—თუ მართლა კარგი ურჩხული ხარ, შენს სიცოცხლეში ერთხელ მაინც ამოიღე ხმა.

კალიბანი—როგორ ბრძანდები, ვაჟბატონო? ნება მომეცი, რომ ეს წაღები აგილოკო, (ანიშნებს ტრინკულაზე)

ეს კი მხდალია

და ამიტომაც მას აროდეს ვეშახურები.

ტრინკულო—მიქარავ, ბრიყვო ურჩხულო. ახლა მზადა ვარ, თუნდ ჯარისკაცს წავეჩხუბო. როგორა გგონია, თავხედო თევზო, სამი კაცი ამდენ ღვინოს შესვამს? თუ იმას ფიქ

რომ, რომ რაკი ნახევრად თევზი ხარ და ნახევრად ტურ-  
ჩხული, ნება გაქვს რამდენიც გინდა იცრუო.

კალიბანი—გესმის, რა სიტყვებითა მთათხავს. ნუთუ ამის  
ნებას მისცემ, ჩემო ბატონო?

ტრინკულო—ბატონოო! ძართლა თუ ურჩხული მიიჩნევდა  
მაგას ბატონად.

კალიბანი—შეხე, შეხე, ისევ დაიწყო. ერთი სასიკვდილოდ  
უკბინე, გემუდარები.

სტეფანო—ტრინკულო, ენას კბილები დააჭირე, თორემ ხომ  
იცი, პირველივე ხეზე... ეს საბრალო ურჩხული ჩემი მსა-  
ხურია და შენისთანა ჩხუბისთავს ნებას არ მივცემ  
შეურაცხეოს.

კალიბანი—მადლობელი ვარ, კეთილო ბატონო. იქნებ  
ინებო და მოისმინო ჩემი სათხოვარი.

სტეფანო—რატომაც არა. ოღონდ დაიჩოქე და ისე მით-  
ხარი. მე და ტრინკულო კი ფეხზე ვიდგებით.  
(შემოდის არიელი, უჩინარია)

კალიბანი—როგორც მოგახსენეთ, მე ერთ მტარვალ მისანს  
ვემსახურები. იმან გაიძვირობით კუნძული წამართვა...

არიელი—ტყუი.

კალიბანი—თვითონვე ტყუი, შე მასხარავ, შე მაიმუნო,  
ჩემი მამაცი მბრძანებელი ნეტავ მოგკლავდეს.  
ჰოი, შენ მართლაც მატყუარავ.

სტეფანო—ტრინკულო, თუ კიდეც არ დააცალე თქმა, ამ  
ხელსა ვფიცავ, კბილებს დაგაძრობ.

ტრინკულო—მე ხომ არაფერი მითქვამს.

სტეფანო—გაჩემდი, კრინტი არ დასძრა. (კალიბანს) მერე?

კალიბანი—წამართვა მეთქი ეს კუნძული იმან მისნობით,  
ახლა ამას გთხოვ, თუ კი შენი დიდებულებაც  
წინააღმდეგი არ იქნება, იძიე შური.  
ვიცი გაბედავ, ძალი შეგწევს. ეს ვერ გაბედავს.

სტეფანო—შენ მართალს ამბობ.

კალიბანი—მთელი კუნძულის მბრძანებელი თვითონ იქნები.  
მე კი მსახურად გეყოლები.



სტეფანო—ახლა ეს მითხარი, რა გავაკეთოთ. მისთან მივიყვან?

კალიბანი—ჰო, მე მივიყვან, მე მივიყვან. შენ კი მძინარეს თავში ლურსმანი ჩააქედე.

არიელი—სტყუი, ვერსად ვერ მივიყვან.

კალიბანი—ამას შეხედე, ამ მასხარას, სულელსა და ბილწს. გემუდარები, ერთი მაგრად მიასულმკვდარე, ეს ღვინის ბოთლიც გამოართვი. მერე მიბრძანდეს და ზღვის მლაშე წყალს დაეწაფოს. ჩუხჩუხა წყაროს მე არ ვასწავლი.

სტეფანო—გაჩუმდი მეთქი, ტრინკულო. თავი ხომ არ მოგბეზრებია. კიდევ ერთი სიტყვა და, ამ ხელსა ვფიცავ, მოთმინება დამეკარგება და ქაშაყივით გაგზდი.

ტრინკულო—ჩემთან რა გინდა. მე ხომ არაფერი მითქვამს. აქედან წავალ.

სტეფანო—შენ არ თქვი ახლა, ტყუისო?

არიელი—შენ თვითონ ტყუი.

სტეფანო—რაო, მე ვტყუი? აჰა, იგეჟე. (სცემს) თუ მოგეწონა კიდევ გაიმეორე სიცრუე.

ტრინკულო—მე არაფერი მითქვამს. ჰკუაჯ დავიკარგავს და სმენაც. ჯანდაბას ეს შენი ბოთლი, ამან გიყო ყველაფერი. ჭირმა სული გააგდებოთს შენს უჩხუხულს, ეშმაკმა დაგაქამოს თიოები.

კალიბანი—ჰა, ჰა, ჰა?

სტეფანო—(კალიბანს) განაგრძე. შენ კი გვერდზე მიდექი.

კალიბანი—კიდევ მიბეგვე. ცოტა ხანში მეცა ვცემ მაგრად.

სტეფანო—(ტრინკულოს) გვერდზე მიდექი მეთქი, აბა, განაგრძე.

კალიბანი—როგორც გითხარი, ნაშუადღევს იძინებს ხოლმე, შენც სწორედ ამ დროს შეხვალ ქობში. ყველაზე ადრე წიგნებს მივარდი, მერე მშვიდად შეშის ნაპობი თავში ჩასცხე და გაუჩეჩქე, ანუ თუ გინდა,

ჯოხით მუცელი გაუთატრე, ყელი გამოსჭერ.

ოღონდ გახსოვდეს, ჯერ წიგნები უნდა იგდო ხელთ,

უიმწიგნებოდ ისიც ჩემებრ ბედოვლათია;

არც ერთი სული მის ბრძანებას არ შეასრულებს, იგი ჩემსავით ეზიზღება ყოველ იმათგანს. დაიმახსოვრე, უნდა დასწვა წიგნები მხოლოდ. სხვაც ბევრი რამ აქვს სანუკვარი ნივთი იმ ქოხში, რომელთაც სახლის შესამკობად ინახავს ხოლმე, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად შესანიშნავი მისი ლამაზი ასულია, რომელსაც იგი თვითონ უწოდებს სწორუბოვარს. ჩემს სიცოცხლეში ქალთაგან მხოლოდ დედაჩემი და ის მინახავს. მაგრამ ისევე შეედრება მას დედაჩემი, როგორც უდიდესს პაწაწინა, ნამკეცა რამე.

- ს ტ ე ფ ა ნ ო — მაშ, შენ ამბობ ძალიან ლამაზიაო?  
კ ა ლ ი ბ ა ნ ი — დიახ, ბატონო. ლოგინშიაც გამოგადგება. თანაც მერწმუნე, რომ ჯიშთან შეილებს გაგიჩენს.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ასე იყოს. მე მოგვკლავ მას, ურჩხულო, მე და იმისი ქალი ამ კუნძულის მეფე და დედოფალი ვიქნებით. ღმერთო, დაიფარე ჩვენი ბრწყინვალეობა! შენ და ტრინკულოს ვეზირობას გიბოძებთ. რას იტყვი ტრინკულო. შოგწონს ჩვენი შეთანხმება?
- ტ რ ი ნ კ უ ლ ო — დიდებულია.
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ხელი მომეცი. ახლა ვნანობ, რომ გცემე. მაგრამ ვიდრე ცოცხალი ხარ, ენას კბილი მაგრად დააჭირე.
- კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ის დაიძინებს ნახევარი საათის შემდეგ, არ გინდა, მაშინ მოუსწრაფო ბარემ სიცოცხლე?
- ს ტ ე ფ ა ნ ო — ახლავე, ვფიცავ.
- ა რ ი ე ლ ი — ჩემს მბრძანებელს უნდა ვაცნობო.
- კ ა ლ ი ბ ა ნ ი — ამით ძალიან გამახარე, გულზე მომეშვა. მოდი ვილალოთ, არ ისურვებ ვიმღეროთ ერთად, დღეს რომ მასწავლე ის სიმღერა?
- ს ტ ე ფ ა ნ ო — დე, ასე იყოს, შენს ყოველ თხოვნას შევასრულებ, ჩემო ურჩხულო. აბა, ტრინკულო, წამოვიწყოთ.

(მღერის)  
ვილალობოთ, ვიმღეროთ,  
ვიმღეროთ, ვილალობოთ!  
ჩვენი ნება. არ არის...

კალიბანი—არა, ეს არა. სხვა ხმაზე.

(არიელი დოლისა და სალამურის ხმაზე მღერის)

სტეფანო—ეს რა არის?

ტრინკულო—„არავინ“ მღერის ჩვენს ხმაზე.

სტეფანო—თუ კაცი ხარ, ადამიანად გამოგვეცხადე, თუ  
ემშაკი ხარ, როგორც გინდოდეს ისე გვეჩვენე.

ტრინკულო—ღმერთო, შეშინდე ცოდვები.

სტეფანო—სიკვდილს ვერაღ გაექცევი! გამოდი, ვინცა ხარ.  
ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

კალიბანი—გეშინია?

სტეფანო—არა, ურჩხულო, არ გეშინია:

კალიბანი—შიში ნურათერის ნუ გექნება: მთელი კუნძული  
ასეთი ხმებით, სიმღერითა და ტკბილი ჟღერით  
არის მოცული. მაგრამ არვის არ ვნებს ეს ხმები.

ხშირად ათასი ჩანგისა და საყვირის ჟღერა  
გამიზუნუნებს ხოლმე ყურთან, გამომალვციძებს  
ხანდახან რამე ტკბილი ჰანგი და ისევე ძილს მგერის.

მაშინ სიზმარში გადიხსნება უცებ ღრუბლები

და გამოჩნდება სანუკვარი სიმდიდრე ცაში,

უნდა დამეფრქვეს თითქოს თავზე მთელი დოვლათი,

მაგრამ უეცრად ვიღვიძებ და კვლავ სიზმარს ვნატრობ.

სტეფანო—დიდებული სამეფო მექნება, მუქთი მუსიკა!

კალიბანი—ჯერ პროსპერო უნდა მოჰკლა.

სტეფანო—მაგასაც ვიზამ. არ დამევიწყნია.

ტრინკულო—თანდათან გეშორდება სიმღერა. მოდი ჩვენც  
გავყვეთ, ჩერე კი საქმეზე ვიზრუნოთ.

სტეფანო—გაგვიძებ, ურჩხულო. ნეტა ის მედოლე მანახა,  
ჩინებულად უკრავს.

ტრინკულო—არ წავიდეთ? მე გამოგყვები, სტეფანო.

(გადაიან)

### სურათი III

იგივე კუნძული.

(შემოდინან ალონზო, სებასტიანი, ანტონიო, გონზალო, ადრიანი, ფრანცისკო და სხვები).



გონზალო—ღვთისმშობელს ვფიცავ, ამას იქით ფეხს  
ვერ მოვიცვლი,

ბებერი ძვლები საშინლად მტეხს, ბატონო ჩემო.  
მაინც როგორი მომქანცველი საეალი არის,  
ყველგან, ვაკეზე და დაკლაკნილ წაგარებზედაც.  
გთხოვთ დამასვენოთ.

ალონზო— როდი გკიცხავ, მოხუცო კაცო,  
რადგან თვითვე მაქვს არაქათი გამოლეული  
და სულიერად დავემულვარ. შენც დაისვენე.  
იმედსაც უნდა საბოლოოდ გამოვეთხოვო,  
ვერ მანუგეშებს ამის მეტად მისი ლაქუცი.  
ვისთვისაც ამდენს ვეხეტებით, იგი დაიხრჩო  
და ზღვაც დაგვცინის, ხმელეთზე რომ ვეძებთ ამოდ.

ანტონიო—(ჩუმად სებასტიანს)  
მიხარია, რომ იმედს ასე გამოეთხოვა.  
პირველი მარცხი აგრერიგად ნუ შეგაშფოთებს,  
და განზრახვაზეც ნუ აიღებ ხელს ამის გამო.

სებასტიანი—(ჩუმად ანტონიოს)  
როგორც ვიხელთებ, შევისრულოთ ჩვენი წადილი.

ანტონიო—(ჩუმად სებასტიანს)  
მგონი აჯობებს ამალამვე, მძიმე მგზავრობით  
ისე არიან დაქანცულნი, რომ ფხიზლად ყოფნას  
არც ისურვებენ, ვერც შესძლებენ.

სებასტიანი—(ჩუმად ანტონიოს) ამალამ მეთქი,  
გეუბნები და ამით მორჩა.

(ისმის სადღესასწაულო მუსიკის ხმა)

ალონზო— ჩუ, მეგობრებო,  
ასე საამო რა ხმა არის?

გონზალო— ტკბილი ჰანგია.

(ხმით შემოდის პროსპერო, უჩინარია სცენაზე შემოვლენ უცნაუ-  
რი ფორპის არსებანი. მდიდრულ სუფრას გაშლიან. საამერი ცეკ-

ვით ჩამოაშულიან სცენაზე მყოფთ და მისაღმების შემდეგ  
თან მიიწვევენ. შემდეგ გადიან)



ალონზო—ზეცავ, შენს კეთილ მფარველობას ნუ  
მოგვაშორებ.

ნეტა ვინ იყვნენ?

სებასტიანი— თოჯინები გაცოცხლებული.  
ახლა კი მჯერა, რომ არსებობს ქვეყნად მარტორქაც,  
რომ არაბეთში ტახტად მართლაც ხე აქვთ ფენიქსებს,  
და ამჟამადაც იმ ტახტზე ზის ფენიქსი ერთი.

ანტონიო—ორივე მჯერა. შემძლია ფიცით შევიკრა,  
თუნდაც ამაზე საოცარი რამ დავინახო  
ქვეშარიტებად მივიღებ მას. მოგზაურები  
არა ტყუიან არასოდეს, თუმცა ყოველთვის  
ნაცარში მჯდომნი უგუნურნი ჰკიცხავენ იმათ.

გონზალო—ვთქვათ ნეაპოლში განვაცხადო მე აქ ნახული,  
დამიჯერებენ? როგორ ფიქრობ? აი, რომ ვუთხრა  
ისეთი ხალხი ცხოვრობს მეთქი იმა კუნძულზე,—  
ისინი ალბათ ამ კუნძულის მცხოვრებნი იყვნენ,—  
რომლებიც თუმცა გარეგნულად ურჩხულებს გვანან,  
მაგრამ ზრდილობით, მიხვრა-მოხვრით, ქცევის ლაზათით,  
ბევრს ჩვენებური მოდგმის ხალხსაც კი აჯობებენ,—  
ჩვენში მათ მსგავსთა ბევრს ვერ ნახავ.

პროსპერო—(თავისთვის) კარგადა ბრძანებ,  
კეთილშობილო ვაჟბატონო. აქ თქვენს შორისაც  
ბევრია ქაჯზე უარესი.

ალონზო— გონს ვერ მოვსულვარ!  
რა მიხვრა-მოხვრა, რა სიმარდე, მოხდენილობა!  
და თუმც არ ძალუძთ ლაპარაკი, ვერ დაინახეთ,  
რა ჩინებულად მიგვახვედრეს.

პროსპერო—(თავისთვის) ჯერ დაიცადე,  
ბოლოს შეაქე.

ფრანცისკო— უცნაურად გაუჩინარდნენ

სებასტიანი—რა გვენაღვლება, დავგიტოვეს მშვიკრებს  
ხორაგი.

შენ არ ინებებ, ხელმწიფეო? გემო გასინჯე.

ალონზო—არა, მე არა.

გონზალო—გარკინის  
სამხარეთო შიში ნუ გაქვს, ჩემო ბატონო

აბა რომელი ჩვენთაგანი დაიჯერებდა,  
ჯერ კიდევ ჩვენი ბავშვობის დროს, რომ მთიელებსა  
ხარების მსგავსად ხორცის ბურთი ეკრათ კისერზე,  
ან რომ არსებობს ქვეყნად მოდგმა ისეთი ხალხის,  
რომელთაც მკერდზე გამობმული ჰქონია თავი.  
ახლა ჩვენ ამას დავუჯერებთ ყველა მოგზაურს.

ალონზო—კარგი. მეც შევჭამ, თუნდაც ამით ბოლო  
მომელოს.

ხომ სულერთია, უკვე გაქრა ჩემი ცხოვრება  
და კარგს აღარას ველოდები. შენც მოდი, ძმაო.  
ჩემო ბატონო ჰერცოგო, შენც. ერთად მოვუსხდეთ.

(ქუხილი და ელვა. შემოდის არიელი. ჰარპის ფორმა აქვს. სუფრის  
თავზე ფრთებს იბერტყავს, ხორაგი გაქრება)

არიელი—სამ ცოდვილს ვხედავ ახლა აქა. ისინი ბედმა,  
რომელიც მართავს ამ ქვეყნიურ საქმეებს ყველას,  
მარადეამს მშვიერს, გაუმადლარს და მრისხანე ზღვას  
წაანთხევია და კუნძულზე გამოირიყა.  
თქვენ არ იყავით ღირსი კაცთა შორის ცხოვრების  
და ამიტომაც უკაცრიელ მიწაზე მოხვდით.  
მე თქვენ ჰკუიდან შემიშლიხართ.

(ალონზო, სებასტიანი და სხვები ხვალს იძრობენ)

ეს გულადობა

სიკვდილს გიმზადებთ თქვენ თვითონვე. უგუნურებო,  
მეცა და ჩემი მეგობრებიც ბედსა ვმსახურებთ.  
თქვენი მახვილი როდი არის ისე ნაწრთობი,  
რომ ქარიშხალი გადაჰკვეთოს, დაჰკოდოს ზღვები,  
ან მოაცალოს ჩემს ფრთებს თუნდაც ერთი ბუმბული.  
ხელუხლებია თანამომძმე სულელები ჩემი.

თუნდაც შეგეძლოთ ჩვენი ვნება, ეს მახვილები  
ისე დამძიმდა, რომ ოდნავაც ვერ ასწევთ მაღლა.  
არ გაგონდებათ,—ამისთვის ვარ თქვენთან მოსული,—  
მილანის ტახტი, ვით წარსტაცეთ კეთილ პროსპეროს?



- უმანკო ბავშვით შეატურეთ მრისხანე ზღვაში,  
 ახლა სამივეს იმ ზღვამ გიზლოთ სამავიერო.  
 სამართლის ძალამ თქვენნი ცოდვა არ დაივიწყა,  
 მხოლოდ ცოტათი დააყოვნა. მერე ერთბაშად  
 გააგულისა თქვენზე ზღვაცა და ზღვის ნაპირიც.  
 დიახ, ბევრი რამ ემუქრება თქვენს მოსვენებას!  
 შვილი წარგტაცეს შენ, ალონზო. ახლა გიცხადებთ,  
 მოგელით გრძელი სატანჯველი, სადაც კი წახვალთ,  
 თვითონ უეცარ სიკვდილზედაც უფრო საზარი.  
 ამ მძიმე რისხვას შეგირბილებთ მხოლოდ ერთი რამ:  
 მონანიება და ცხოვრება წმინდა, უმანკო.

(ქუხილთან ერთად გაუჩინარდება. შემოდინ სულელები. ცეკვავენ.  
 სცენაზე წყოფთ დასცინიან. მერე სუფრა გააქვთ)

პ რ ო ს პ ე რ ო — ჩემო არიელ, ჩინებული ჰარპი იყავი,  
 როგორც მე მსურდა ყველაფერი ისე წარმართე,  
 ხორაგი მოსპე, შეასრულე ბრძანება ჩემი.  
 და სხვა სულელებიც მოქმედებდენ ასევე კარგად.  
 ეს არის ჩემი ჯადოს ძალა: შეშლილი მტრები  
 შებორკილია ჩემს წინაშე, მე მმორჩილებენ.  
 ამათ დაეტოვებ ახლა ასე, გავეშურები,  
 ჩემს საყვარელ ქალს და ფერდინანდს მოვიანახულებ.

(გადის)

გ ო ნ ზ ა ლ ო — ჩემო ბატონო, ყველა წმინდანს გაფიცებ  
 მითხრა

რას უმზერ ასე გაშტერებით, რა მოგივიდა?  
 ა ლ ო ნ ზ ო — ო, საშინელი, საშინელი ჯოჯოხეთია!  
 თითქოს ტალღებიც ჩამძახოდენ ყურში შე ამას,  
 ქარი ბლავილით მიმღეროდა და თვით ქუხილი  
 თავის საზარი საყვირითა გაიძახოდა  
 მხოლოდ ერთ სახელს, იმ განდევნილ პროსპეროს  
 სახელს.  
 ზღვის უფსკრულზე წვეს ჩემი შვილი, მაგრამ მოვძებნი,  
 იქ ჩავეშვები, გავეხვევი მის გვერდით ლამში.

(გადის)

სებასტიანი—გავანადგურებ თუნდაც მთელ დასს



ეზმაკებთსსსკრთთთთთთთ

ოღონდ ბრძოლაში თითო-თითოდ გიწვევთ, იცოდეთ.

ანტონიო—მეც შენთანა ვარ. (გადიან სებასტიანი და ანტონიო)

გონზალო— შეიშალა საჩივე ერთად:

კარგა ხანს მალა ცოდვამ თავი საწამლავსავით,  
და მერე უცებ შეურყია ყველას გონება.

გთხოვთ გაეშუროთ ვისაც ჩემზე მარდი ფეხი გაქვთ,  
კვალდაკვალ მიჰყეთ და უშველეთ. შემლილობის დროს  
თავს არა ავნონ.

ადრიანი— აბა, მომყეთ, გემუდარებით!

(გადიან)



## მოქმედება მეოთხე

### ხურათი I

პროსპეროს ქობთან.

(შემოდინან პროსპერო, ფერდინანდი და მირანდა).

პროსპერო—თუ მეტისმეტად მკაცრი იყო ჩემი სასჯელი, სამაგიეროდ ახლა ერთად გინაზღაურებ: დაფს საკუთარი ცხოვრებისას მე შენ გაბარებ; არა, უფრო მეტს—მე სიცოცხლეს გაბარებ ჩემსას, შენ მოგანიჭე, მომინდვია დღეიდან შენთვის. მიტომ გაწვალე. რომ მინდოდა გამომეცადე, და ეს გამოცდა ჩინებულად ჩააბარე შენ. ზეცის წინაშე მე გიბოძებ. ამ სანუკვარ განძს. ჩემი ასულით რომ ვიკვებნი კი ნუ დამცინებ, ამას თვითონვე დაინახავ, ჰოი, ფერდინანდ, რომ ის ყოველგვარ შექებაზე უფრო მალა დგას.

ფერდინანდი—თუნდ ორაკულმა მითხრას სხვა რამ, მე მაინც მჯერა.

პროსპერო—რახან ეგრეა, წაიყვანე ჩემი ასული, შენს მიერ უკვე ღირსეულად მოპოვებული. ღვთისმსახურების წმინდა წესის შესრულებამდე შენ რომ მოსწყვიტო ქალწულების კოკორი იმას, ზეცა თქვენს გვირგვინს საამო ცვარს კი არ დააფრქვევს და ცოლ-ქმრულ კავშირს არ დალოცავს,—სარეცელს თქვენსას

დაესხურება ზიზლის ბილწი თესლები მაშინ, ისე უმსგავსი მძულვარება მოგიცავთ მყისვე, რომ საკუთარ თავს შეგაზიზღებთ. მაშ ფრთხილად იყავ, წმინდა სანთელი ჰიმენისა მოგფენდეთ ნათელს.



ფერდინანდი—მე იმედი მაქვს ნწვილობაში გავლით დღენი

ვიქნებით დღეგრძელ, გავამრავლებთ შთამომავლობას,  
ბოლომდე ასე გვეყვარება ჩვენ ერთმანეთი,  
ვერც ბნელი ღამე, ვერც ადგილი მოხერხებულნი,  
ვერცა ბოროტი ანგელოზის ცდუნება ავი  
პატიოსნებას ვერ წარმტაცებს, უნის ვერ აღმიძრავს.  
მე არ შევბღალავ სილამაზეს იმ წმინდა დღისას,  
როცა მერნები თებოსისა მომეჩვენება  
დაკოჭლებული, ხოლო ღამე, ჯაჭვით შეკრული.

პროსპერო—მშვენივრადა სჯი. ჩამოჯექი და ესაუბრე,  
ამერიიდან იგი შენი საკუთრებაა.  
აბა, არიელ! კარგო მონავ, ჩემო არიელ!  
(შემოდის არიელი)

არიელი—მე აქ გახლავარ, ყოვლისშემძლე ბატონო,  
რა გსურს?  
პროსპერო—წარსული საქმე ღირსეულად შეასრულეთ  
თქვენ,

შენცა და შენმა მეგობრებმაც. ახლა მკირდება,  
იმისი მსგავსი სხვა ოინი მოგაწყობინოთ.  
წა, აქ მომგვარე იგი გუნდი, რომელიც ერთხელ  
დაფუმორჩილე ძალას შენსას. აბა, გაფრინდი,  
ყველას სიმარდე მიანიჭე. ამ ახალგაზრდებს  
უნდა ვაჩვენო ჩემის ცოდნით გამოწვეული  
არარსებული, ზღაპრული რამ სანახაობა.  
ასე შევპირდი და ესენიც მას მოეღიან.

არიელი—ახლავე?  
პროსპერო— ახლავ, ვიდრემდის თვალს დავახამხამებ.

არიელი—ვიდრე მეტყოდე, „გასწიე ჩქარა“,  
ვიდრე იტყოდე, „ასე, ამგვარად“,  
მოზღვავდებიან სულები ჯარად,  
მანკვას და გრეხას ჩვეულნი მარად.  
ჩემო ბატონო, გიყვარვარ? არა?

პროსპერო—ძლიერ მიყვარხარ, ჩემო კარგო არიელ,  
ძლიერ...  
მანამდე თვითონ მოგიხმობდე, ნუ მოხვალ ახლოს. —

ა რ ი ე ლ ი—მესმის, ბატონო. (გადის)

პ რ ო ს პ ე რ ო— გაამართლე შენი პირობა

ვნებათაღელვას არ მოუშვა სადავეები.

როცა სისხლი დულს, აღმოდებულ ჩაღას გაეს ფიცი.  
თავშეკავებით მოიქეცი, ან და შენს აღთქმას  
უთხარ მშვიდობით.

ფ ე რ დ ი ნ ა ნ დ ი— სიტყვას გაძღვეთ, ჩემო ბატონო!

სპეტაკი თოვლი, ღვთაებრივად გულს მოხვეული  
დამიქრობს მწველსა ვნებათღელვას.

პ რ ო ს პ ე რ ო— ძალიან კარგი.

აბა, არიელ, შენი გუნდი გამოიყვანე,  
ნუ დააკლდება ერთი სულიც. მარდად, მოქნილად.  
ახლა დაჩუმდით და უყურეთ.  
(ნახი მუსიკა)

ი რ ი ს ჯ ი—ცერერ, მოწყალე ქალბატონო, აქეთ იჩქარე,  
ყანები პურის, ქერის, ცერცვის დასტოვე ბარემ;  
ცხვრით მოფენილი, მარად მწვანე დასტოვე მთები  
და თივის ზვინით დატვირთული ვრცელი მინდვრები;  
მდელო, ფერადი ყვავილებით დამშვენებული,  
რასაც აპრილი მუდამ შენის ბრძანებით უელის  
ნიმფებისათვის საგვირგვინოდ; ქალაც დასტოვე,  
სადაც მიჯნური, განატანჯი, სიმშვიდეს პოეებს;  
ზღვის სანაპირო; ვაზი ჭიგოს შემოხვეული;  
კლდეები შენგან სანავარდოდ ამორჩეული;  
ცის დედოფალი, რომელსაც მე ვშიკრიკობ მარად  
გიბრძანებს დასთმო ეს სამყოფი, მოხვიდე ჩქარა.  
იმისმა დიდმა მოწყალეებამ ასე ინება,  
აქ, ამ მწვანეზე საზეიმოდ გასეირნება.  
ჰა, ვერ უყურებ, ფარშავანგთა დაჰფარეს ზეცა,  
ცერერ, დედოფლის შესახვედრად გამოდი შენცა!  
(შემოდის ცერერი)

ც ე რ ე რ ი—სალამს მოგიძღვნი, მოხატულო შენ მრავალ  
ზოლად,

იუპიტერის ცოლის მარად ერთგულო მონავ.  
ზაფრანის ფრთებით ყვავილების ჩემის საპკურად

თაფლივით ტკბილი შენ თან მოგაქვს წვიმა შხაპუნა.  
ჩემს ტიტველ მთებსა და ჩემს მინდვრებს, ბუჩქებით  
ნაფენს,

შენ თალად ადგამ ცისარტყელას გვირგვინს, მრავალფერს.  
მაუწყე, შენმა დედოფალმა რისთვის მახლა,  
ამ პაწაწინა ბუსნოთ ნაფენ მინდორზე ახლა.

ი რ ი ს ი—უნდა აკურთხოს საზეიმოდ მიჯნური წყვილი  
და საქორწინო საჩუქრები მიაართვას ტკბილი.

ც ე რ ე რ ი—ესეც მაუწყე, ცის შიკრიკო, შენ ყველა იცი,  
ახლავს დედოფალს ან ვენერა, ან შვილი მისი?  
რაც მათ ბნელ პლუტონს ვერაგულად შეუწყვეს ხელი  
და ჩემი ქალი გაიტაცეს, მე აღთქმით წრფელით  
დავგმე ისიც და მისი ბრმა ძეც.

ი რ ი ს ი—  
ო, ნუ გაქვს ფიქრი,  
იგი ღვთაება მტრედის ეტლით პაფოსკენ მიჰქრის.  
ღრუბლებს მიაპობს ახლა ისიც, მემკვიდრეც მისა.  
ჯერ კი უნდოდათ გაწბილება ამ ქალ-ვაჟისა,  
მაგრამ ამოდ: მათ დაასწრეს, წმინდად შეჰფიცეს  
უმანკობა სარეცელის დაიცვან მტკიცედ,  
ვიდრე ლამპარი ჰიმენისა არ აინთება,—  
მარსის მიჯნურიც გატრიალდა, დაუცხრა გზნება.  
ბოროტმა შვილმა მისმა, ბრაზით განახელებმა  
ისრები მყისვე გასტეხა, თქვა: „ჩემმა ხელებმა  
არ ისროლოსო ამის მეტად. დღეიდან მარად  
მე ბელურებთან ვითამაშებ, ვით ყრმა პატარა“.

ც ე რ ე რ ი—ციის დედოფალი ეშურება აქეთკენ მალლით,  
იუნონაა, მე ხმაზე ვცნობ.

(შემოდის იუნონა)

ი უ ნ ო ნ ა—დიდი სიმდიდრე, კურთხევა, ლხენა,  
ბედნიერება და გამრავლება!  
ნურც სიხარული მოგშლოდეთ თქვენა!  
ეს იუნონამ თქვენთვის ინება.

ც ე რ ე რ ი—სავსე ბელელი, საბძელიც სავსე,  
დასრულებული მტევნები ვაზის.  
ტოტი, ნაყოფით დამძიმებული

და გაზაფხული თქვენთან მარადის!  
მიწის სიუხვე, ბარაქა მუდამ

გაჰირვება კი თქვენთან აროდეს!  
ამას ცერერი გისურვებთ გულით  
და ეს კურთხევა თქვენთვის კმაროდეს.

ფერდინანდი—რა დიდებული ხილვა არის, რა მიმზიდველი,  
გავბედავ გკითხოთ, სულებია, განა, ესენი?

პროსპერო—დიახ, სულები. ისინი მე ჩემის მისნობით  
გამოვიწვიე, რათა თქვენთვის ერვენებიათ  
ეს მშვენიერი ხილვა.

ფერდინანდი— ნეტა, მუდამ აქ ვიყო,  
ასეთი მამა, საოცნებო ასეთი ცოლი,  
სამოთხედ აქცევს ამ კუნძულსა.

(იუნონა და ცერერი ჩურჩულებენ და ირისს უბრძანებენ რალაცას)

პროსპერო— ჩუმაღ, ძვირფასო,

ხედავ ცერერი იუნონას ერჩურჩულება,  
ეტყობა უნდათ კიდევ რამე ხილვა გვაჩვენონ.  
გაჩუმდი, თორემ გაქრებიან.

ირისი—ნაიადებო, ვისაც ბინად გაქვთ რუ ანკარა,  
ლელის გვირგვინი, მოხდენილი, ვის გშვენით თავზე,  
დასთმეთ მორევი და ამ მწვანე მდელოზე ჩქარა  
გამოეშურეთ, იუნონა გიბრძანებთ ასე.

ნუ დააყოვნებთ, ფერიებო, ჩვენ შველა გვინდა,  
უნდა ვაკურთხოთ ამ ქალ-ვაჟის კავშირი წმინდა.  
(შემოდინა ფერიები)

თქვენც, მთიბავებო, გატრუსულნო აგვისტოს მზითა,  
გამოეშურეთ, მიატოვეთ სამკელი ყანა,  
ქილის ქუდები დაიხურეთ თავზე და ლალად  
ფეხი გაუსვით თქვენებურად ფერიებთანა.

(შემოდინა სახეიმოდ მორთული მთიბავები. ცეკვავენ ფერიებთან  
ერთად. ბოლოს პროსპერო წამოვარდება და ლაპარაკობს, სულელები  
ნელ-ნელა, ყრუ ხმაურით გავლენ)

პროსპერო— (თავისთვის) აკი ბოროტი შეთქმულება  
გადამავიწყდა,  
მხეც კალიბანის და მის თანამზრახველთა მიერ

ჩემს მოსაკლავად შემზადებულ შეთანხმებული.  
უკვე ახლოა უამი მათი ამოქმედების.  
(მიმართავს სულეებს)

ჩინებულია. განმერინეთ, მეტი არ მინდა.

ფერდინანდი—საოცარია, აგრერიგად რამ ააღელვა  
ნეტავი მამა?

მირანდა— არც მინახავს დღემდე აროდეს  
იგი ამგვარად შეძრწუნებულ-აღელვებული.

პროსპერო—შეშფოთებული თვალები გაქვს, ჩემო სიძეო,  
თითქოს და რამემ შეგაშინა. გამხიარულდი,  
სანახაობა დაამთავრეს ამ აქტიორთა.

გითხარით კიდევ, რომ ესენი სულეები იყვნენ,  
ახლა თხელ ჰაერს შეერიენ, გაუჩინარდნენ.

დადგება დრო და ამ ზღაპრული ხილვისა მსგავსად,

ციხე-კოშკები, ღრუბლის ქუდით დამშვენებულნი,

სასახლეები დიდებული, წმინდა ტაძრები,

თვით დედამიწა და ყოველი სულდგმული არსი,

ასე გაქრება, ამ სულეების ზემის გვარად

დაიშლება და ღრუბლის კვალსაც აღარ დასტოვებს.

ჩვენ ნაქსოვი ვართ სიზმრეული ნივთიერებით,

წუთისოფელი სიზმრითაა გარემოცული.

არეული ვარ, მომიტევეთ ჩემი სისუსტე,

მოხუცი ტვინი ჩემი მძიმე ფიქრებს მოუცავს,

მაგრამ თქვენ ეს ნუ შეგაწუხებთ, თუ გირჩევნიათ

ქოხში შედით და მოისვენეთ. ცოტას გავივლი,

იქნებ დავმშვიდდე.

ფერდინანდი }  
და } —ვისურვებთ თქვენ მშვიდობით ყოფნას.  
მირანდა } (ქოხში შედიან)

პროსპერო—(არიელს) ჩემო არიელ, ჩემთან მოდი ფიქრის  
სისწრაფით!

მადლობელი ვარ შენი დიდად, მოდი არიელ.

(შემოდის არიელი)

არიელი—შენს ფიქრთა დენას მეც თან დავსდევ.

კიდევ რა გნებავს?

პროსპერო — მომზადებული უნდა დაეხვედეთ კალიბანს,  
სულო.

არიელი — ჰო, მბრძანებლო. როს ცერერი წარმოვადგინე,  
მაშინ მინდოდა მეთქვა შენთვის, მაგრამ ვერ გითხარ,  
გავარისხებ თქო, შემეშინდა.

პროსპერო — რაო, არიელ,  
ის ვერაგები სად დასტოვე?

არიელი — ბატონო ჩემო,  
როგორც გითხარი, სმისგან იყვნენ გახურებულნი,  
გულმოცემულნი იმნაირად, რომ ნიავს სცემდნენ,  
პირისახეში რათა გვეცემო, მიწას ჰკიცხავდნენ,  
ფეხს რად გვეკოცნო. თან განზრახვას არ ივიწყებდნენ.  
უცებ დოღს დავკარ, გაუხედნავ კვიცივით დაფრთხნენ,  
ყურები ცქციტეს, დააჰყიტეს თვალები ფართოდ,  
ცხვირი აბზიკეს, თითქო ყნოსვით გრძნობდნენ მუსიკას.  
მოვაჯადოვე მათი სმენა, ხბოსებრ კუნტრუშით  
დოღის ხმას აჰყვნენ, შევიტყუე ასკილის ტყეში,  
ეკალბარდებში. ნემსისწვერა ცხრატყავიანში  
სულ დაიჩხვლიტნენ. ბოლოს თქვენი ქოხის გადაღმა  
- დამპალ ქაობში მივატოვე. ახლაც იქ ხტიან,  
მყაყე ქანჭრობი იმათ ფეხზე უფრო მეტად ყარს.

პროსპერო — ეს ჩინებულად მოგიწყვია, ჩემო ჩიტუნა.  
კვლავ უჩინარი უნდა დარჩე. წადი ჩემს ქოხში  
და ხარახურა მომიტანე იქედან ჩქარა,  
აქ დაგვკირდება ავაზაკთა მოსატყუებლად.

არიელი — აი, მივდივარ. (გაღის)

პროსპერო — ავი სული, ის დაბადებით  
ავი სულია, ვერ გარდაქმნა იმის ბუნება  
ვერც აღზრდა-გაწრთვნამ, ვერც ბეჯითმა ზრუნვამა  
ჩემმა.

წყალში ჩავყარე მთელი შრომა ტყუილ-უბრალოდ!  
რაც უფრო ხანი ემატება, ხორციით და სულით  
იგი უფროვე საზიზღარი და ბილწი ხდება.

ისე ვაწვალებ მაგათ ყველას, რომ სულ ბლაოდნენ.

(შემოდის არიელი. ბრჭყვიალა ტანსაცმელი მოაქვს)

აბა შემოდი, ჩამოჰკიდე ესენი ჩქარა.

(პროსპერო და არიელი უჩინარი არიან. შემოდიან კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო, მთლად გაწუწულები)

კალიბანი—ახლა კი სიფრთხილე გემართებს, იმის ქოხს მივადექით. ბრუტნიანმა თხუნელამაც არ უნდა გაიგონოს ჩვენი ფეხის ხმა.

სტეფანო—მახინჯო ურჩხულო, შენი ჯადოქარი—აი უკნებელი ჯადოქარიო რომ ამბობ, ცუდად მოგვექცა. გესმის, ურჩხულო!

ტრინკულო—ურჩხულო, საიდანღაც ცხენის შარდის სუნი მომდის, ჩემი ცხვირი შეურაცხყოფილია.

სტეფანო—ჩემი ცხვირიც, გესმის, მახინჯო ურჩხულო. თუ გამაგულისე, მაშინ...

ტრინკულო—მაშინ შენი საქმე წასულია, ურჩხულო.

კალიბანი—კარგო ბატონო, შემიწყალე, ცოტაც მადროვე და ამ ტანჯვის წილ ისეთ ჯილდოს მივალე ბინებ გადაგავიწყოს განსაცდელი. ახლა კი ჩუმაღ, შუალამეა და მდუმარედ არის ყოველი.

ტრინკულო—ეს კარგი. მაგრამ ბოთლები რომ ჩაეყარეთ ლაფში...

სტეფანო—ეს მარტო შერცხვენა და გაწბილება როდია, მახინჯო ურჩხულო, ეს დიდი ზარალიცაა.

ტრინკულო—ჭაობში ჩაფლობაზე უფრო ეს მაწუხებს. შენ კი, ურჩხულო, მაინც იმას გაიძახი, უკნებელი ჯადოქარიო.

სტეფანო—ყურებამდე რომ ჩავიფლა ჭაობში, იმ ბოთლს მაინც გამოვათრეგ.

კალიბანი—ჩუმაღ იყავი, ხელმწიფეო, გემუდარები. აჰა, კარებიც ამ ქოხისა. უხმოდ შებრძანდი და შეასრულე ეს კეთილი ბოროტქმედება. შენი გახდება ეს კუნძული სამარადქამოდ და მეც, მორჩილი კალიბანი, ფეხს ავილოკავ.





სტეფანო—ხელი მომეცი, თავში რაღაც სისხლი  
რები მომდის.

ტრინკულო—მეფეო სტეფანო! კეთილშობილო, ღირსეულო  
სტეფანო! ერთი შეხედვ, შენთვის რა სამოსელი მოუმზა-  
დებიათ.

კალიბანი—ხელი გაუშვი, ბრიყვო, ბრჭყვიალა ჩვრები  
სხვა არაფერი.

ტრინკულო—დიახ, ურჩხულო! გვესმის რა ჩვრებიც არის.  
ო, მეფეო სტეფანო.

სტეფანო—მაგ მოსასხამს ხელი უშვი, ტრინკულო, მარჯვე-  
ნას ვფიცავ, ჩემი უნდა გახდეს ეს მოსასხამი.

ტრინკულო—ეს ჩემს დიდებულებას ჰქონდეს.  
კალიბანი—ბრიყვო, წყალმანკსაც დაუხრჩვიხარ,  
გაუბერიხარ.

ნეტა ვიცოდე რად გპირდება ეს ხარახურა.  
ხელი გაუშვით, გირჩევნიათ ჯერ მოჰკლათ იგი,  
თორემ იცოდეთ, თუ დაგასწროთ გამოღვიძება,  
თავით ფეხამდე გაგვხდის ტყავსა და დაგვამგვანებს  
რაღაც საშინელ მოჩვენებას.

სტეფანო—ხმა ჩაიკმინდე, ურჩხულო. ქალბატონო თოკო, ეს  
ჩემი ჯუბაა, განა? მაშ ტანზე მოვირგო.

ტრინკულო—მოირგე, მოირგე. ყველაფერი ჩამოვიღოთ და  
მოვირგოთ, შეგვერგება.

სტეფანო—ასე, მადლობელი ვარ. არავის დავტოვებ დაუ-  
ჯილდოვებლად. რაო? მოვირგოთ შეგვერგებო? აჰა,  
კიდევ ქურთუკი.

ტრინკულო—მოდით, ურჩხულო, და რაც დარჩა შენ წამოიღე.

კალიბანი—არა მინდა რა. დროსა ვკარგავთ ტყუილ-  
უბრალოდ

და იმას ვუცდით, რომ ბატებად გადაგვაქციოს,  
ან მოგვანიჭოს მაიმუნის მახინჯი სახე.

სტეფანო—გეუბნებიან, ხელები გაანძრეო. მოგვეშველე, ეს

ჩენს ღვინის კასრთან მივათრიოთ. ხომ არ გინდა  
ლაც გაგაძეგო ჩემი სახელმწიფოდან. აბა, წაილე ჩქარა.

ტ რ ი ნ კ უ ლ ო—ესეც წაილე.

ს ტ ე ფ ა ნ ო—ესეცა.

(მოისმის მონადირეთა შეძახილები. შემოდინ ძალღად ქცეული  
სულელები და მიესევინ სცენაზე მყოფთ. პროსპერო და არიელი  
უსისინებენ)

პ რ ო ს პ ე რ ო—მიდი, მთაო, მიდი!

ა რ ი ე ლ ი—ვერცხლო, არ გაგექცეს, ეცი ვერცხლო!

პ რ ო ს პ ე რ ო—აბა, გიჟმაეო, აქეთ, აქეთ, მტარვალო, აქეთ!

(განდგენიან კალიბანს, სტეფანოს და ტრინკულოს)

უბრძანე სულეებს, დაუწიწკრონ ყველას სახსარი,  
ძარღვები სულ მთლად დაუკრუნჩხონ, დაუნაოჭონ,  
ლეოპარდივით აუჭრელონ სხეული ჩხვლეტით.

ა რ ი ე ლ ი—გესმის, ბლავიან.

პ რ ო ს პ ე რ ო—

დე, აწამონ უფრო სასტიკად.

ჩემს ხელთ მოექცნენ უკვე ჩემი ბოროტი მტრები.

ახლა სულ მალე თავს მოვაბამ ჩემს სამუშაოს

და მოგანიჭებ ჰაერივით თავისუფლებას.

მანამ კი მომყე.

(გადიან)

## მოქმედება მისუთი

### სურათი I

პროსპეროს ქობთან.

(შემოდინ პროსპერო, თავისი ჯადოსნური მოსასხამით, და არიელი).

პროსპერო— უკვე თავს ვუყრი ჩემს საქმეებს, ჩემი მისნობაც

არა მალატობს. მმორჩილებენ სულელები კარგად.

და დროც ტვირთის ქვეშ გამართული მიემართება.

რა დრო იქნება ახლა დღისა?

არიელი—

მალე ექვს დაჰკრავს

და ამ დროისთვის, შენვე ბრძანე წელან, ბატონო,

ჩვენ საქმეებსაც მოვრჩებითო.

პროსპერო—

ასე ვთქვი მართლაც,

როცა აღდარი ქარიშხალი. მიიხარი, სულო,

რა მოუვიდათ ხელმწიფესა და მის ქვეშევრდომთ?

არიელი— ისე არიან შებორკილნი, როგორც მიბრძანე,

მომწყვდეული მყავს სუყველანი მე იმ ჭალაში,

რომელიც თქვენ ქოხს ავდრისაგან იფარავს ხოლმე.

შენ უნებართვოდ განძრევაც კი არ შეუძლიათ.

ჭკუიდან შეშლილს მეფეს, შენს ძმას და ძმას მეფისას,

დანარჩენები, მწუხარებით გულდათუთქულნი,

სასოწარკვეთით შეჰყურებენ, მელოვიარობენ.

ყველაზე მეტად კი ის ნაღვლობს, შენ რომ ამბობდა

აი, „მოხუცი გულკეთილი გონზალოაო“.

წვერებზე ცრემლი ღაპა ღუპით მოედინება,

როგორც ზამთრობია, წვიმა ისლის სახურავიდან.  
ისე წვალობენ შენი ჯადოთ მონუსხულები,  
რომ დაგანახვა უსათუოდ გულს მოგიღბობდა.

პროსპერო—აგრე გგონია?

არიელ— მე რომ ვიყო ადამიანი,  
ბატონო ჩემო, ჩემი გულიც კი მოღბებოდა.

პროსპერო—ჩემიც მოღბება. თუ შენ ძალგის, ჰაეროვან  
სულს,

ჩასწვდე მათ სევდას, თანაუგრძნო და შეიბრალო,  
მე ხომ მით უფრო. მე ხომ მათი მოდგმის არსი ვარ,  
მათებრ განვიცდი სიხარულსა და მწუხარებას.  
ბევრი შესცოდეს ჩემს წინაშე, ბევრი რამ მავნეს,  
მაგრამ მაინც ჩემს გულისწყრომას დავუმორჩილებ  
გონებას, კეთილ მოაზროვნეს. ჰო, შევიწყალებ.  
შურისგებაზე მალალია გულმოწყალება.  
თუ ს ნანული აღეძრათ გულს, რა დამრჩენია,  
მაშინ მე წარბსაც რისხვის ნიშნად არ შევიკმუხნი.  
წადი, არიელ, გაეშურე. ათავისუფლე.  
მე მათ ვხსნი ჯადოს, დავუბრუნებ გონიერებას  
და ძველებურად იქნებიან.

არიელ— აქ მოგვერი იმათ.  
(გადის)

პროსპერო—ნაკადულების, მთების, ტბების, ჭალების  
სულს,

ვინაც ნებტუნის მიქცევისას მსუბუქი ფეხით  
ტალღას მიჰყვებით, მოქცევისას უკან გამორბით;  
თქვენა, ნახევრად თოჯინებო, მთვარიან ღამეს  
მწვანე ბალახს რომ ცეკვა-ხტომით წრიულად თელავთ  
და ისე აფრთხობთ ცხვრის ფარას, რომ იქ ველარ ძოვენ;  
აღმოაცენებთ ხოლმე სოკოს შუალამისას  
და მით ერთობით, მწუხრის ზარი გვიამებთ სმენას,  
თქვენ შეთქი, თქვენა, თუპც სუსტნი ხართ, გამოგიყენეთ  
და შუადლისას მცხუნვარე მზე ჩავაქრობინეთ.  
გამოვიწვიეთ მარად ანჩხლი ქარები ერთად,

მწვანე ზღვასა და ლაქვარდოვან ზეცის თაღს  
გავამართვინეთ ჩვენ ფიცხელი, მქუხარე ომი.  
ბობოქარ ქუხილს, შიშის მომგვრელს, ცეცხლი შეგუნთე,  
ზევისის ისარით ზევისისავე მუხა გავაპე.

ღრმად ფესვგადგმული კუნძული სულ ავაცახცახე,  
ნაძვი, კედარი ამოვგლიჯე ძირფესვიანად.

ჩემის ბრძანებით საფლავებმაც კი გახსნეს პირი  
და გაიღვიძეს მარადიულ ძილისგან მკვდრებმა.

მისნობას ჩემსას სამუდამოდ ვემშვიდობები,  
მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა უკანასკნელად:

მყისვე ციური მუსიკა მსურს გამოვიწვიო  
და იმ შემოღობებს დაეუბრუნო საღი გონება.

მერე დავამსხვრევე ჯადოსნურ კვერთხს და ღრმად  
ჩაემარხავ

შორს დედამიწის შუაგულში. წიგნებს კი ჩემსას  
ისე ჩავძირავ, გემის ლუხაც ველარ მიწვდება.

(სადღესასწაულო მუსიკა. შემოდის არიელი. მას მოჰყვებიან:  
ალონზო, რომელსაც შეშლილი სახე აქვს და თან გონზალო ახლავს;  
ასევე შეშლილი სებასტიანი და ანტონიო, რომელთაც ანდრიანი  
და ფრანცისკო მოჰყვებიან. ისინი შევლენ და დადგებიან პროსპე-  
რის მიერ მოხაზულ წრეში)

დაე, მუსიკამ, რასაც შესწევს განკურნვის ძალა  
და ყველაფერზე უფრო მეტად რაც გვანუგეშებს,  
შენც დაგვიამოს აწეწილი ტვინის დუღილი!

მანდვე იდექი — შენზე ახლა ჯადო მოქმედებს.

წმინდა გონზალო, კარგო კაცო, პატიოსანო,  
შენის წაბაძვით ჩემს თვალებსაც მოადგა ცრემლი.

ჩქარა ეცლება ჯადოს ძალა უფრო და უფრო.

ვით განთიადი ღამეს ჩუმი მიეპარება

და ფანტავს წყვილადს, სწორედ ისე მათი გონება  
ბურუსს ფანტავს და იწმინდება თანდათანობით.

ჰოი, გონზალო, ჩემო მხსნელო, კეთილო კაცო,

ახლაც როგორი ერთგულებით უვლი შენს მეფეს!

სამაგიეროს სიტყვითაც და საქმითაც გიზღავ.

შენ კი, ალონზო, რა სასტიკად მოგვეპყარ მაშინ

მეც და ჩემს ქალსაც. შენმა ძმამ კი გადააქარბა,  
მიტომაცაა, სებასტიან, ასე რომ გტანჯავ.  
ჩემო სისხლხორცო, ჩემო ძმაო, გულზეიადობამ  
კაციშვილობაც ჩაკლა შენში და სინიღისიც.  
ხელმწიფის მოკვლა განიზრახე მაგასთან ერთად,  
მიტომაცაა, სხვებზე მეტად რომ იტანჯები.  
არა ხარ ღირსი, მაგრამ მაინც შენც მოგიტყევებ,  
აჰა, თანდათან გონს იკრეფენ. წმინდა ნაკადი  
მალე გადარეცხს დამყაყებულ ქუჩყსა და ტალახს.  
ყველა მიცქერის და ვერც ერთი მათგანი ვერ მცნობს.  
არიელ, ჩემი მახვილი და ქუდი მომეცი.  
იქ არის ქოხში. მსურს ვეჩვენო მე ძველებურად,  
როგორც ოდესღაც ვუნახივარ მილანში ამათ.  
ჩქარა და მყისვე მოგანიჭებ თავისუფლებას.

(არიელი მღერის და მორთვაში შველის)

არიელი—მეც იქა ვწოვ, სადაც ნექტარს სწოვს ფუტკარი,  
ყვავილების გული ჩემი ბინა არის,  
დაეფრენ მარად დამურების ლალი ფრთებით,  
მძინავს მაშინ, როს ბუ ყვირის გახელებით.  
ზაფხულობით, ზაფხულობით ლაღობს გული,  
აწ სილაღე მექნება და სიხარული.

პროსპერო—ჩემო არიელ, აი ასე. მე კი მშორდები,  
მაგრამ სულ მალე გახდები შენ თავისუფალი.  
ჰო, მალე, მალე. ახლა მიდი მეფის ხომალდთან,—  
ოღონდ ასევე უჩინარი იყავი ჯერე,—  
მეზღვაურებთან მიხვალ ახლავ გემის ბაქანზე,  
გამოაღვიძებ მათ, ბოცმანსაც და კაპიტანსაც  
და აქ მოიყვან, ოღონდ ჩქარა, გემუდარები.

არიელი—ფრენის დროს შევსვამ მსუბუქ ჰაერს და აქ

გავჩნდები.

გონხალო—მხოლოდ წამება, გაჭირვება, ტანჯვა და შიში  
ბინადრობს ამა კუნძულზედა. ო, ზეცის ძალნო,  
თქვენ დაგვიფარეთ, მოგვაშორეთ ამ საშიშ მხარეს.

პროსპერო—აბა, შემხედდე, ხელმწიფეო, მე ვარ, პროსპერო,  
დამცირებული მბრძანებელი მილანის ტახტის.

დასამტკიცებლად, რომ ცოცხალი პრინცი მოგმართეს აჰა, გეხვევი. ვესალმები სულით და გულით შენს თანამგზავრებს და ქვეშევრდომთ.

ალონზო— ეგ როდი ვიცი, ნამდვილად ის ხარ, თუ სხვა ვინმე. იქნებ სული ხარ და როგორც წელან, ახლაც გინდა ჭკვიდან შემშალო. მაჯის ცემა გაქვს, როგორც ყველა ხორცსხმულ არსებას, თვალი შეგავლევ და გონება ამბობებულის მყის დამიმშვიდდა, შესლილობამ გადამიარა. შენს საჰერცოგოს მე უჯანვე გიბრუნებ ახლა და გევედრები მომიტევეო შეცოდებისთვის. ეს მაინც მიკვირს, ვით გადარჩა ცოცხლად პროსპერო, ან ამ კუნძულზე როგორ მოხვდა.

პროსპერო— უპირველესად, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ნება მომეცი მკერდზე მივიკრა შენი წმინდა მოხუცი გული, ღირსებას შენსას არც ზომა აქვს და არც საზღვარი.

გონზალო—ვერ დავიფიცებ სიხმარია, თუ სინამდვილე.

პროსპერო—ჯერ კიდევ თავში გიტრიალებთ აქ დანახული მოჩვენებები და ის გიშლით ცხადი ირწმუნოთ. მოგესალმებით, მეგობრებო, გულით სუყველას.

(მიმართავს სებასტიანს და ანტონიოს)

და თქვენ კი, წყვილო ვაჟბატონო, მე რომ მინდოდეს, დავამტკიცებდი. რომ თქვენ მხოლოდ მოლაღატე ხართ; მის ბრწყინვალეებას აღვავზნებდი თქვენზედა რისხვით, მაგრამ ამჯერად არ ვინდომებ.

სებასტიანი— (თავისთვის) თვითონ ეშმაკი ლაპარაკობს მაგისი ენით.

პროსპერო—სტყუი. მაგრამ შენ, ვაჟბატონო უბოროტესო, ძმას არ გიწოდებ, არ მსურს ამით პირი შეგებილწო, შენს უბუნებო დანაშაულს მე გაპატიებ, ოღონდ ახლავე დამიბრუნე მილანის ტახტი. ვიცი, შენ ამას შეასრულებ.

ალონზო— თუ პროსპერო ხარ,  
გაგვაგებინე დაწვრილებით როგორ გადარჩი,  
აქ როგორ შეგვხვდი ამ კუნძულზე, საცა ჩვენ, აგერ  
უკვე მესამე საათია, გამოვირიყეთ,  
სადაც დავკარგე, ო, რა მძიმე მოსაგონია,  
ჩემი ძვირფასი ფერდინანდი.

პროსპერო— ჩემო ბატონო,  
ამას შეც ვწუხვარ.

ალონზო— ამ დანაკარგს რა დამიბრუნებს.  
თვით მოთმინებაც ველარ კურნავს ჩემს მწუხარებას.

პროსპერო— ალბათ, თქვენ არც კი მიგიმართავთ  
მოთმინებისთვის.

მე გამოვცადე მისი ნაზი გულმოწყალება,  
სწორედ ასეთი მწუხარება იმისმა ძალამ  
დამიამა და მომასვენა.

ალონზო— ეს მწუხარება?

პროსპერო— მძიმე მით უფრო, რომ ახლახან შემემთხვა იგი  
და თანაგრძნობაც აგრერიგად ვერ დამამშვიდებს.  
შენ უფრო ძალგიძს ინუგეშო თავი როგორმე,  
ქალი დავკარგე ერთადერთი.

ალონზო— ქალი დავკარგე?!

ო, ზეცის ძალნო, ნეაპოლში იყვნენ ისინი,  
როგორც მეფე და დედოფალი! შეიძლებოდეს  
იმათ მაგივრად გავეხვიო ზღვის ფსკერზე ლამში,  
სად ჩემი შვილი არის ახლა. ერთი მითხარი,  
როდის დავკარგე ქალიშვილი?

პროსპერო— ქარიშხალის დროს.

მაგრამ მე ვამჩნევ ამ შეხვედრით ეს ბატონები  
ისე არიან გაკვირვებულ-გაშტერებულნი,  
რომ სულ ამოდ და უბრალოდ დაბავენ ჭკუას;  
მათ საკუთარი ხმისაც ახლა აღარა სჯერათ.  
როგორც ის არის მართალი, რომ ჭკუა შეგერყათ,  
უნდა ირწმუნოთ თქვენს წინაშე არის პროსპერო,  
ჰერცოგი თავის ქალაქიდან გაძევებული,  
და ამ კუნძულზე, — თუმც ეს მეტად უცნაურია,



სადაც ხომალდი დაგიმტვრიათ თქვენ ქარიშხალში  
გამორიყული, მბრძანებელი ამ მიწა-წყლისა.  
მაგრამ ეს კმარა, ამის თხრობას დღეები უნდა,  
ასე უეცრად არც ითქმება, არც საპიროა.  
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონო ჩემო,  
ეს ქოხი გახლავთ აქ ამჟამად ჩემი სასახლე.  
მყავს აქ მხლებლები, ქვეშევრდომი არავინა მყავს.  
შიგ შეიხედეთ, ჯერ შენ ტახტი არ მოგიცია  
მე კი გთავაზობ ამ ჩინებულ სამაგიეროს.

(ფარდას გადასწევს. გამოჩნდებიან ფერდინანდი  
და მირანდა, რომლებიც ჰადრას თამაშობენ)

მირანდა—ტკბილო ბატონო, რად მატყუებ!  
ფერდინანდი— არა, ძვირფასო,  
მთელი ქვეყანაც რომ მიბოძონ, არ მოგატყუებ.  
მირანდა—ოცი სამეფოც რომ გიბოძონ, მე შაინც ვიტყვი  
რომ მატყუილებ.

ალონზო— თუ კი ესეც მოჩვენებაა,  
მაშინ მე ორჯერ დამიკარგავს ძვირფასი შვილი.  
სებასტიანი—ჯერ არ მომხდარა ამის მსგავსი რამ  
სასწაული.

ფერდინანდი—თუმც ზღვა ყოველთვის გვემუქრება  
სიკვდილის რისხვით,  
ის მოწყალეა: უმიზეზოდ ვწყველიდი იმას.  
(დაიჩოქებს ალონზოს წინაშე)

ალონზო—ნურც მოგკლებოდეს ბედნიერი მამის დალოცვა!  
ახლა აღეჭი და მითხარი, აქ როგორ გაჩნდი?  
მირანდა—ო, საოცრებავ, ერთად ვხედავ ამდენ ლამაზ არსს!  
რა მომხიბლავი არის თურმე ადამიანი!  
ან ის ქვეყანა რა იქნება, სადაც ამდენი  
ადამიანი ცხოვრობს ერთად.

პროსპერო— პირველად ხედავ.  
ალონზო—ნეტავ ვინ არის ეს ქალწული? ვისთან თამაშობ?  
სამი საათი არც იქნება, რაც გაეცანი.  
მითხარ ქალღმერთი ხომ არ არის? იქნება ამან  
ჯერ დაგვაშორა ერთმანეთსა და კვლავ შეგვყარა.



ფერდინანდი—მოკვდავი გახლავთ ეს ქალწული, ბატონო ჩემო,

და მომანიჭა თვით უკვდავმა ბედისწერამა.  
ამოვირჩიე მაშინ, როცა მე არ შემეძლო  
რჩევა მეკითხა მამისათვის. არც კი ვიცოდი  
თუ მყავდა მამა ქალი გახლავთ მილანის მთავრის,  
რომლის დიდება ძლიერ ხშირად ვამიგონია,  
მაგრამ რომელიც აქამომდე მე არ მენახა.  
მან მომანიჭა მეორეჯერ სიცოცხლის სხივი,  
ამ ქალწულმა კი ის მეორე მამად აქცია.

ალონზო—მაშ ამ ქალისთვის მე ვიქნები მეორე მამა.  
მაგრამ, ო, როგორ უცნაური, უჩვეულოა,  
მამამ საკუთარ ქალიშვილსა შენდობა თხოვოს.

პროსპერო—რა საკიროა. ნურას ამბობთ, ჩემო ბატონო,  
წარსულის მძიმე მოგონებით ნუ შევწუხდებით.

გონზალო—ცრემლები ყელში მებჯინება, ლაპარაკს მიშლის.  
გადმოიხედეთ მალლით ღმერთნო და ბედნიერ წყვილს  
თავზე დაადგით კუთხეული გვირგვინი წმინდა!  
ალბათ მიტომაც გამოგვრიყეს ჩვენ ამ კუნძულზე.

ალონზო—ამინ. გისმინოს!

გონზალო— ხედავთ, როგორ საოცარია,  
ნუთუ ჰერცოგმა მილანისამ თავისი ტახტი  
მიტომ დაკარგა, რომ შემდეგ მის შთამომავლობას  
ემეფნა თვითონ ნეაპოლში. ო, გიხაროდენ  
განუსაზღვრელი სიხარულით! ამბავი ესე  
ქვაზე ოქროთი ამოსკერით: ერთ მგზავრობაში  
ტუნისში ჰპოვა კლარიბელმა ქმარი თავისი  
და ფერდინანდმა, ძმამ იმისმა, თვისი საცოლვე  
იქ ნახა, სადაც დაღუპული გვეგონა თვითონ;  
პროსპერომ ტახტი დაიბრუნა ბედკრულ კუნძულზე  
და ჩვენც გონება დაგვიბრუნდა სწორედ იმ წუთში,  
როცა გვეგონა დაღუპული ვიყავით ყველა.

ალონზო—(ფერდინანდს და მირანდას)

ხელი მომეცი. დე, ნაღველი და მწუხარება  
ნუ მოშორდება იმის გულს, ვინც ავი გისურვოთ.

გონზალო—ამინ. ავიხდეს!

(შემოდის არიელი. მას მოყვება გაკვირვებული კაპიტანი და ბოცმანი)

ჰა, შეხედეთ, ჩემო ბატონო, გვემატებიან. ხომ ვამბობდი, თუ კი ხელეთზე სახრიობელები დარჩა მეთქი, ეს ვაჟბატონი წყალში აროდეს დაიხრიობა. ჰა, ლეთის მგმობელო, ზღვაში ღრიალით მწყალობელი დააფრთხე მაშინ, ხმელეთზე ენა რამ წაგართვა? რა ამბავს იტყვი?

ბოცმანი—ყველაზე კარგი ის ვახლავთ, რომ ხელმწიფეს ვხედავთ და სხვასაც ყველას. თანაც გემი ცოტა ხნის წინათ ჩვენ დამსხვრეული რომ გვეგონა, ახლა კოხტად დგას და ისევე მოკაზმული, ვით მგზავრობის წინ.

არიელი—(ჩუმად პროსპეროსს)  
ჩემო ბატონო, ყველაფერი ეს მოვაგვარე, როცა დაგშორდით იმის შემდეგ.

პროსპერო—(ჩუმად არიელს) ყოჩაღ, არიელ.

გონზო—უფრო და უფრო საოცარი ამბები გვესმის. აქ როგორ მოხვდით, მითხარ ერთი.

ბოცმანი— ბატონო ჩემო, თავი სიზმარში არ მეგონოს, ვცდიდი მოყოლას. აქ როგორ მოხვდით, ეს არ ვიცი, მაგრამ სუყველას, როგორც ნამდვილ მკვდრებს, გემის ფსკერზე დაგვკინებოდა, სწორედ ახლახან გაგვადვიდა უცხო რამ ხმებმა, ღრიალის, კენესის, ყმუილის, თუ ჯაჭვის ჩხრიალის შიშის მომგვრელმა ხმაურობამ. ფიცხლავ წამოვბტით და მაშინ მივხვდით, რომ გადავრჩით მძიმე განსაცდელს. ჩვენი ლამაზი, კოხტა, კარგი სამეფო გემი ვიხილეთ ისევ ძველებურად. ჩვენმა უფროსმა ხტუნვა დაიწყო სიხარულით. მერე კი უცებ. ჩემო ბატონო, რაღაც ძალამ თითქოს მოგვეწყვიტა იქაურობას და აქეთკენ გამოგვაქანა.

არიელი—(ჩუმად პროსპეროსს) არ მოგწონთ ჩემი მუშაობა?

პროსპერო— ყოჩაღ, არიელ!  
თავისუფლებას მოგანიჭებ.

ალონზო—

კაცთაგანს ალბათ

ამ დახლართული გზებით ჯერაც არვის უვლია,  
უჩვეულოა ყველაფერი და უცნაური.  
ორაკული თუ გაგვიმარტავს!

პროსპერო—

ჩემო მეუფევე,

ტყუილად იმტვრევ თავს უცნაურ გამოცანებით,  
თავისუფალ ჟამს,—ეს დროც ახლა მალე დადგება,—  
თვითონ აგიხსნით სუყველაფერს, ყოველგვარ წვრილმანს,  
რაიც თქვენ ასე უჩვეულოდ მიგიჩნევიათ.

ფიქრი ნურაფრის ნუ გექნება, გამხიარულდი.  
(ჩუმად არიელს)

შენ კი აქ მოდი ჩემთან, სულო, წადი საჩქაროდ  
და აქ მომგვარე კალიბანი, სხვებიც სუყველა.

(არიელი გადის)

ბატონო ჩემო, თავს როგორ გრძნობთ? ამალას თქვენსას  
კიდევ აკლია რამდენიმე. არ გაგონდებათ?

(შემოდის არიელი, რომელიც კალიბანს მოათრევს. შემოდის სტეფანო და ტრინკულო. მოპარული ტანსაცმელი აცვიათ)

სტეფანო—ყველაფერი ბედისწერაზეა დამყარებული. ამიტომ ყველამ სხვისთვის უნდა იზრუნოს. საკუთარ თავზე ბევრი არ იფიქროს. Coragio, სულელო ურჩხულო! Coragio.

ტრინკულო—თუ ჩემი თავის მზვერავეები არა ტყუიან, დიდებული სანახაობაა.

კალიბანი—ოი, სეტებოს, რა მოხდენილ სულებსა ვხედავ. რა მშვენიერი პატრონი მყავს, მაგრამ მე ვშიშობ ის დამსჯის, ალბათ!

სებასტიანი—

ანტონიო, ჩემო ბატონო,

ერთი შეხედვე, ჰა, ჰა, ჰა, ჰა! ამას რას ვხედავ?  
ნეტა ფულით თუ იყიდება.

ანტონიო—

რატომაც არა,

ბაზრად გასატან თევზს გავს სწორედ ერთი მათგანი.

პროსპერო—

ერთი შეხედვით, ბატონებო, ამათ სახეებს

და თვით განსაჯეთ, პატიოსან ხალხს გვანან, განა?

ამა მახინჯი მონის დედა მისანი იყო,

ისე ძლიერი, რომ მთვარესაც ის მბრძანებლობდა

და იპავ მთვარის დახმარება არც სჭირდებოდა

- ზღვის მიქცევისა თუ მოქცევის გამოსაწვევად. სამივემ ერთად მე გამძარცვა. ამ ნაბუშარამ, აზან, ნახევრად ჯადოქარმა, ჩემ მოსაკლავად პირობა შეჭკრა ამათთანა. ორს ხომ თქვენც იცნობთ, ეს მოციქული ბნელეთისა კი მე მეკუთვნის.

კალიბანი—ალბათ, საშინლად. სასიკვდილოდ დავეჩხვლიტები.

ალონზო—ეს სტეფანოა? ჩემი ლოთი მოსამსახურე?

სებასტიანი—ახლაც მთვრალია, ნეტა, ღვინოს სად იშოვიდა...

ალონზო—ვატყობ, ტრინკულოც კარგა მაგრად შეხურებულა. ნეტა ვიცოდე, ამდენ ღვინოს სად იშოვნიდნენ.

ერთი მითხარი, ამგვარად რამ დაგამარილა?

ტრინკულო—რაც გაგშორდით, მერე ასე დ მარილებული დავდივარ. მე ის მაფიქრებს ძვლებშიაც თუ გაატანა. თუმცა არა უშავს: ბუზები არ შემაწუხებს.

სებასტიანი—შენ რაღა მოგივიდა, სტეფანო?

სტეფანო—ხელი არ მახლო, სტეფანო არა ვარ მე, კრუნ-ჩხვა ვარ.

პროსპერო—შენ აპირებდი ამ კუნძულის მეფობას, ბრიყვო?

სტეფანო—არა, მე მსურდა მაშინ მხოლოდ იარად ყოფნა.

ალონზო—ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი რამე!

(კალიბანზე უჩვენებს)

პროსპერო—ეს მაჩინჯია ქცევითაც და აღნაგობითაც.

წა. ჩემს სენაკში შედი, ბრიყვო, ეს მეგობრები თან წაიყვანე, როგორც გატყობ შეწყალებას მთხოვ, ჯერ ყველაფერი შეასრულე უხმოდ, უსიტყვოდ.

კალიბანი—ყველაფერს ისე შევასრულებ, როგორც მიბრძანებ;

ქკუთ ვიქნები, მოწყალებას დავემსახურებ.

ვირი ვყოფილვარ, ეს ლოთი რომ ღმერთად ვიწამე, და ამ სულელსაც ვაღმერთებდი.

პროსპერო— გასწიე ჩქარა.

ალონზო—ეს ტანსაცმელი იქ დააწყეთ, სად გიპოვნიათ.

სებასტიანი—არა, იქ, სადაც მოიპარეს.

(გადიან კალიბანი, სტეფანო და ტრინკულო)

პ რ ო ს პ ე რ ო — თქვენს ბრწყინვალეობას და ქვეშევრდომთა  
ბატონო ჩემო,

ჩემს ღარიბ ქოხში ვიწვევ ღამის გასატარებლად.  
იქ მოისვენეთ, შევიქცითო თავი საუბრით  
და დროც ამ ტკბილსა მასლაათში სწრაფად გაივლის.  
გიამბობთ ყველას, რაიცა თავს გადამხდომია  
იმ დღიდან, როცა ამ კუნძულზე გამოვირიყე.  
ღილით მიგიყვანთ თქვენს ხომალდთან და გავეშუროთ  
ნეაპოლისკენ. იმედი მაქვს იქ ქორწინებით  
ძვირფასი წყვილის წმინდა კავშირს დავაგვირგვინებთ.  
მერე, იქედან დავბრუნდები მე ჩემს მილანში  
და მოსვენებით ვიოცნებებ საფლავის კარზე.

ა ლ ო ნ ზ ო — მოუთმენელად ველოდები როდის მიაშობ  
საინტერესო და უცნაურ თავგადასავალს.

პ რ ო ს პ ე რ ო — ყველას გიამბობთ, თან ალგითქვამთ  
დამშვიდებულ ზღვას,  
სამშობლოსაკენ მქროლსა ნიავს, კეთილ მგზავრობას,  
სამეფო ფლოტსაც დავეწევით საცა იქნება.

(არიელს მიმართავს)

არიელ, ამას შეასრულებ. მერე მშვიდობით,  
კვლავ შეერევი ჰაერსა და სამარადქამოდ  
თავისუფალი ინავარდებ. — შევიდეთ ქოხში. —  
(გადიან)

ქირვეყუდის  
მთრჯყუდეზა



თ ა რ ვ შ ა ნ ი  
ს. ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა

## მოქმედი პირობები

ლორდი.

კრისტოფერ სლაი—მკალავი.

ლუდხანის დიასახლისი.

პაუი.

მსახიობნი.

მონადირენი.

მსახურნი.

ბაპტისტა—მდიდარი პადუელი აზნაური.

ვინჩენციო—მოხუცი პიზელი აზნაური.

ლუჩენციო—ვინჩენციოს ვაჟი, ბიანკას მიჯნური.

პეტრუჩიო—ვერონელი აზნაური, კატარინას ხელის მძიებელი.

გრემიო

მორტენზიო

ტრანო

ბიონდელი

გრემიო.

კურტისი

ნათანიელი

ფილიპე

პედაგოგი.

კატარინა—ჭირვეული

ბიანკა

ქვრივი.

თერძი.

მეწკრიმალე—(მეჭუდე).

ბაპტისტას და პეტრუჩიოს სტუმრები და მსახურნი.

ქალაქის მცველნი.

მოქმედება სწარმოებს პადუაში და სოფლად—პეტრუჩიოს სახლში.



## პროლოგი

### სურათი I

ლუდხანის წინ—მინდორში.  
(შემოდინ დიასახლისი და სლაი)

- სლაი—ლმერთმანი, მაგრად მიგბეგვავ!  
დიასახლისი—ხუნდის ღირსი ხარ, შე<sup>1</sup>თაღლითო და  
ქურდბაცაცავ!
- სლაი—ერთი უყურეთ ამ გარეწარს, გათახსირებულს! სლაე-  
ბის მოდგმაში თაღლითები როდი ყოფილან: აბა ერთი  
ჩვენს საგვარეულო ქრონიკებში ჩაიხედე—ჩვენ რიჩარდ  
დამპყრობელთან ერთად მოვსულვართ! მაშ Paucas pal-  
labris!\* დაწყნარდი მეთქი! დაე, თავისი გზით იდინოს  
წუთისოფელმა!!. Sessa!\*\*
- დიასახლისი — მაშ არ გადიხდი შენგან დამტვრეულ ჭი-  
ქების საფასს?
- სლაი—არა, არც ერთ გროშს! წმინდა იერონიმეს ვიმოწმებ  
ამაში! გიჯობს წახვიდე და იმ შენს ცივ ლოგინში თბი-  
ლად შეგორდე!
- დიასახლისი—მე ვიცი შენი წამალი: წავალ და უმცროს  
ხელჯოხიანს გამოვიძახებ.
- სლაი—უმცროსი კი არა და, თუნდაც უფროსზე უფროსი  
ხელჯოხიანი მობრძანდეს, მე მას კანონებით ვუპასუხებ.

\* ბერს ნუ ლაპარაკობ.

\*\* გაჩუმდი.

ადგილსაც არ მოვიცვლი. ბიკოს! მოვიდეს—~~ქეთილი~~  
იყოს მისი მობრძანება!

(დაწვება მიწაზე და ჩაიძინებს. ისმის ბუკის ხმა. შემოდის ნადირობიდან დაბრუნებული ლორდი—მონადირეების და მსახურთა თანხლებით)

ლორდი—გავალებ, კარგად მოუარო მწვევარ-მეძებრებს!

განსაკუთრებით კი მერიმენს, ის დაიქანცა  
და დორბლი მოსდის... კლაუდერი კიდევ აუშვი  
დღეს ამძუნებულ იმ თავდიდა, მყეფარა ძაღლზე!  
სილვერმა დღესაც გვასახელა: ხომ შეამჩნიე,  
გზაჯვარედინთან გაციებულ კვალს ვით მიაგნო!  
ვერა, მე ამ ძაღლს ვერასოდეს შეველეოდი,  
თუნდ საფასურად ოც გირვანქა სტერლინგს მომცემდნენ!

1 მონადირე—რადა! ბელმანიც მშვენიერი ძაღლია, მილორდ!  
დღეს მან შეჰყეფა გაციებულ კვალზე და შემდეგ,  
თითქმის წაშლილი ნაკვალევი ორჯერ იპოვნა!

არა, მერწმუნეთ, თქვენს ძაღლებში ის ყველასა სჯობს!  
ლორდი—შენ სულელი ხარ!.. „ექო“ რომ ცოტა

მკვირცხლი იყოს,  
ის ჩემთვის თორმეტ ასეთ ძაღლად ეღირებოდა!  
მაშ ასე, კარგად აჭამე და კარგად მიჰხედე.

ხვალ დილით ისევ სანადიროდ წასვლას ვაპირებ!

1 მონადირე—კარგი! რაც ბრძანეთ, შევასრულებ, ბატონო  
ჩემო!

ლორდი—(შენიშნავს სლას)

რა არის ეს აქ? მკვდარია, თუ მთვრალი წევს ვინმე?  
ნახე, თუ სუნთქავს?

2 მონადირე— დიახ, სუნთქავს, მილორდ, ეტყობა,  
რომ იგი ლუდით მაგრად არის შეხურებული,  
თორემ ამნაირ ცივ საწოლზე ის ვერ იხვრენდა.

ლორდი—ბილწი ცხოველი! ლორივით რომ გართხმულა  
მტვერში!

ჰოი, პირქუშო სიკვდილო, რა საზიზღარია  
მსგავსება შენი!.. მინდა ერთი ცდა მოვახდინო:  
როგორა ჰფიქრობთ, ბატონებო, ახლა ეს ლოთი

სუფთა, თივთრის ლოგინში რომ გადააწვინონ, შემოსონ წმინდა თეთრეულით, ძვირფას ბეჭდებით შეუმკონ თითნი და საწოლთან მადის აღმძვრელი ნაირნაირი საკმელებით გაუწყონ სუფრა, თანაც მსახურნი დაუყენონ, როს გაიღვიძებს არ დაივიწყებს ეს ბრყვი, თუ ვინ იყო უწინ?

1 მონადირე—მერწმუნეთ, ლორდო, რომ ნამდვილად დაავიწყდება.

2 მონადირე—მაგრამ დიდად კი გააოცებს მას გაღვიძება. ლორდი—ისე, ვით ტკბილი რამ სიზმარი, ან მოჩვენება!

მამ აიყვანეთ და ყოველმხრივ კარგად მოაწყეთ: გადაიყვანეთ ფრთხილად ის ჩემს საწოლ ოთახში, ირგვლივ, კედლებზე დაუკიდეთ თვალსაამურად ჩემი მდიდრული სურათები, თანაც ამ ბინძურს სურნელოვანი თბილი წყალით დაჰბანეთ თავი და დააკმით მუშკამბარი საწოლის ირგვლივ! მზად იყოლიეთ საკრავებით მემუსიკენიც და გაათრთხილეთ, რომ როდესაც გამოიღვიძებს— უმაღ დაუკრან ღვთაებრივი ტკბილი ჰანგები! თუ ლაპარაკი დაგიწყით, თქვენ დახარეთ თავი და მორჩილებით შეეკითხეთ: „რას ინებებს თქო, თქვენი ნათელი ბრწყინვალება?“ და ამავე დროს ერთმა თქვენგანმა მიაწოდოს ვარდის წყლით სავსე ვერცხლის ლანგარი, შიგ ჩაბნეულ ყვავილებითა, მეორე თქვენგანს ხელში სავსე სურა ეჭიროს და მესამეს კი—პირსახოცი. კიდევა ჰკითხეთ: „თქვენს ბრწყინვალებას ხომ არ ნებავს ხელის დაბანა?“ ზოგსაც ეჭიროს მზად მდიდრული ტანისამოსი და სთხოვოს, რომელ სამოსელის ჩაცმას ისურვებს? ზოგიც იმისი ძაღლების და ცხენების ამბავს მოჰყვეს და თანაც დასძინოს, რომ მისი მეუღლე, ლედი, დიდად სწუხს მის ესოდენ ავადმყოფობას! მით დაარწმუნეთ, რომ ის დღემდე შეშლილი იყო და როცა თავის ვინაობას დაასახელებს,

უთხარით, რომ ის კვალად ჰბოდავს,—ის სხვაგვარად  
სახელგანთქმული და ძლიერი ლორდია მხოლოდ!  
მაშ ასე, ჩემო მეგობრებო! ეს ყოველივე  
სინდისიერად შეასრულეთ განზრახვისამებრ!  
ჩინებული რამ გასართობი თამაშა არის,  
თუკი მოაწყობთ ჯეროვანის გონიერებით!

1 მონადირე—გარწმუნებთ, მილორდ, ჩვენს როლს ისე  
გავითამაშებთ,

რომ მიენდობა გულმოდგინე შთაგონებასა  
და დაიჯერებს, რომ ის მართლაც ლორდია სწორედ!  
ლორდი—მაშ აიყვანეთ, მოათავსეთ ფრთხილად საწოლში  
და მხად იყავით როცა იგი გამოიღვიძებს.

(სლავი გაჰყავთ. ისმის საყვირის ხმა)

წადი, გაიგე, რა საყვირის ხმა არის... (მსახური გადის)  
აღბათ,

წარჩინებული ვინმე დიდი ბატონი არის  
და შემობრუნდა, რომ ნამგზავრმა აქ დაისვენოს!

(მსახური შემოდის)

რა ამბავია, ვინ არის?

მსახური—მსახიობები. თუ, ბატონო, კეთილინებებთ,  
თქვენს ბრწყინვალეობას სთავაზობენ თავის სამსახურს.

ლორდი—უბრძანე, რომ მოგვიახლოვდნენ.

(შემოდინ მსახიობნი)

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჰაბუკნო!

მსახიობნი—გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ თქვენს  
ბრწყინვალეობას!

ლორდი—ხომ არ აპირებთ თქვენ ამ ღამის აქ გატარებას?

მსახიობნი—დიახ, თუ თქვენი ბრწყინვალეობა  
კეთილინებებს

მიიღოს ჩვენი სამსახური.

ლორდი—  
ო, მთელის გულით!  
ეს ახალგაზრდა კარგად მახსოვს: ერთხელ სცენაზე  
იგი ფერმერის ვაჟიშვილის როლს თამაშობდა  
და იშვიათის მოხერხებით სთხოვდა ერთ ლედის-  
ცოლად გაყოლას! დამავიწყდა როლის სახელი,

თქვენ თამაშობდით ბუნებრივად და მოხდენილად.

1 მსახიობი—ვგონებ, რომ სოტოს როლი ახსოვს თქვენს  
ბრწყინვალებას!

ლორდი—სწორედ ის არის! საუცხოოდ გაითამაშეთ!  
კარგი! თქვენ სწორედ ზედგამოჭრილ დროზე  
მოსულხართ,

მით უმეტეს, რომ გასართობი რამ განვიზრახე,  
რისთვისაც ახლა სამზადისი მაქვს დაწყებული  
და მე აქ თქვენი ოსტატობა დამეხმარება:  
ერთი ლორდია, რომელიც დღეს თქვენს წარმოდგენას  
უნდა დაესწროს! მაგრამ ვეჭვობ, თავშეკავებას  
ვერ მოახერხებთ, როს ნახავთ მის უცნაურ ქცევას,  
რადგან თეატრის წარმოდგენა ჯერ არ უნახავს!  
თუ ამის გამო თქვენ მხიარულ სიცილს დაიწყებთ,  
იცოდეთ—დიდად აწყენინებთ. მიტომ გაფრთხილებთ,  
ოღნავ ღიმიც კი რომ შეგატყოთ—გავირისხდებით!

1 მსახიობი—ნუ შიშობთ, მილორდ! მოვახერხებთ  
თავშეკავებას,

თუნდ ჩვენს წინაშე იყოს ქვეყნის ტაკიმასხარა!

ლორდი—წადი, მსახურო, წაიყვანე საკუქნაოში  
და ყოველ მათგანს ისე უხვად გაუმასპინძლდი,  
რომ ნაკლებობა არაფრისა რგძნონ ჩემს სახლში!  
(გადიან მსახურნი და მსახიობნი)

შენ კი წადი და ჩემი პაეი ბართლომიუსი  
გააფრთხილე, რომ შეიმოსოს ლედის სამოსით!  
ასე მორთული წაიყვანე ლოთის ოთახში,  
და იქ ეცადე, მოაჩვენო ლორდის მეუღლედ!  
შენც თან ეახელ, ვით მორჩილი, ზრდილი მსახური,  
და მას ყოველთვის მიმართავდე, როგორც ქალბატონს;  
თან ჩემს მაგივრად გადაეცი, რომ თუ ვუყვარვარ,  
თავი ეჭიროს ღირსეულის სიდარბაისლით,  
ისე, ვით ამას ასრულებენ მაღალ წოდების  
აღზრდილნი ქალნი—პატივსაცემ ქმრების წინაშე!  
მან საუბარში, იმ ლოთს, ქალურ მოკრძალებითა



და მორჩილებით ჰკითხოს ხოლმე: „რა ჰსურს მიბრძანოს  
თქვენს ბრწყინვალეობას? თქვენს მორჩილ ცოლს რით  
შეუძლიან

გამომეღავენოს სიყვარული და თავისი ვალი?!“  
და მოკრძალებულ ხვევითა და მაცდური კოცნით  
და თავის დახრით ლოთის მკერდზე, უხვად აფრქვიოს  
ცრემლები, თითქოს უხაროდეს, რომ კეთილშობილ  
მის ქმარს და ბატონს ჯანმრთელობა დაჰბრუნებია!  
განკურნებულა, ვინც შვიდი წლის განმავლობაში  
სთვლიდა თავს ლატაკ, საზიზღარი მათხოვარივით!  
და თუ იმ ყმაწვილს ჯეროვანად არ შესწევს ნიჭი,  
რომ ქალის მსგავსად შეკვეთილი ცრემლი დაღვაროს,  
მაშინ მან ერთი თავი ხახვი მოიშველიოს;  
გამოახვიოს ცხვირსახოცში და საჭირო დროს  
მალულად თვალი მოიწმინდოს, მაშინ ვარწმუნებ,  
მის უნებურად დაპა-ლუპით დააფრქვევს ცრემლებს!  
მაშ ასე, ჩქარა გადაეცი მას ეს ბრძანება  
და შემდეგისთვის კიდევ მოგცემ სხვა მითითებას!

(მსახური გადის)

ვიცი, ის ბიჭი მოხდენილად გაითამაშებ  
ლედის გარეგნულ მოქნილობას, ხმას და სიარულს!  
ოჰ, მოუთმენლად ველი იმ წუთს, როს გავიგონებ,  
როცა ის იმ ლოთს კრძალვით ეტყვის: „ჩემო ქმარო!“  
ხოლო მსახურნი სიცილს ძლივსღა შეიკავებენ,  
როცა თავდახრით თავყანს სცემენ იმ მაწანწალას!  
წავალ მეც რჩევის მისაცემად! ეჭვი არ არის,  
ჩემი იქ ყოფნა შეანელებს იმ სიცილ-ხარხარს,  
რაც უჩემოდ გადასცდება ზომიერებას.

(გადის)



დავიწყე: აბა ჰკითხეთ მარია ჰეკეტს, იმ უინკოტელ მსუქან მელუდხანის ცოლს, თუ არ მიცნობს! თუ მას არ დაადასტუროს, რომ მე მისი თოთხმეტი პენსი მმართველს მარტო ლუდისა—მაშინ გამწკებლეთ, როგორც ყველაზე მატყუარა და ოხერი მთელს საქრისტიანოში! დიახ! მადლობა უფალს, მე შეშლილი არა ვარ! მომცილდით!

- 1 მსახური—აი, რატომ სწუხს მწარედ თქვენი მეუღლე ლედი!  
2 მსახური—აი, ეს არის, რაც აღონებს თქვენს ყველა მსახურს!

ლორდი—აი, ამიტომ გაურბიან ნათესავეები დაქვეითებულს შენს სახლს, შენის შერყევის გამო! ო, გაიხსენე შენი დიდი შთამომავლობა, კეთილშობილო ლორდო, შენი ნათელი აზრი კვლავ მოიკრიფე და განფანტე ავი სიზმრები! შეხე, მსახურნი რა ერთგულად თავს გეველებიან: ყველა მზად არის შეასრულოს შენი ბრძანება. მუსიკა გნებავს? მაშ ისმინე! (უკრავს მუსიკა) მას აპოლონი უკრავს და შენთვის ტკბილად გალობს ოცი ბულბული! იქნებ ძილი გსურა? მაშინ ბრძანე და მოგათავსებთ ისეთ საწოლზე, რაც სინაზით აღემატება სემირამიდის განსაცხრომად მორთულ სარეცელს! თუ სიარული გსურს—გვიბრძანე და დედამიწას მოვფენთ უტურფეს, სურნელოვან ვარდ-ყვავილებით, ან იქნებ ცხენზე ჯდომა გინდა? მაშ შეგიკაზმავთ არჩეულ ცხენებს, რომელთ ზურგზე უნაგირები იელვარებენ ოქროთი და თვალმარგალიტით! გიყვარს ქორებით ნადირობა? შენი ქორები დილის ტოროლას აასწრებენ ცაში ასხლეტვას! და თუ მეძებრით ნადირობა მოგესურვება, შენი ძაღლები თვით ზეცასაც შესძრავენ ყეფით და გამონახმევს მოსწყვეტენ თვით მიწის გულიდან!

- 1 მსახური—ოღონდ თქვი, რომ გსურს დამფრთხალ ნადირს გამოეკიდო:

შენი მწვერები თვით ირმებზეც სწრაფნი არიან და უმკვირცხლესნი ველზე მქროლავ ნიამორებზე!



2 მსახური — გიყვართ მხატვრობა? გვიბრძანეთ და უშალ  
მოგიტანთ

ჭაბუკ აღონისს, დახატულსა მდინარის პირად,  
და ცითერეას, ხშირ ფოთლებში კრძალვით დამალულს!  
მწვანე რტოები ირხვევიან მის ნელ სუნთქვაზე,  
როგორც ნიავის შერხვევაზე, ტყე ფოთლოვანი.

ლორდი — გიჩვენებთ იოს, როცა იგი, ნაზი ქალწული,  
მოტყუებული განცვიფრებით დგას ისე ცოცხლად  
და მომხიბლავად, როგორც იყო სინამდვილეში.

3 მსახური — ან ტურფა დაუნას, როცა იგი ქაცვიან  
ტყეში

მირბის შემკრთალი და იქ ისე იკაწრავს წვივებს,  
რომ შეგიძლიან დაიფიცო, რომ სისხლი დასდის;  
ამის მნახველი აპოლონი მწუხარედ სტირის  
და, როგორც ცრემლი, ისე სისხლი დახატულია  
ისე მაღალი ოსტატობით, რომ ცოცხალსა ჰგავს.

ლორდი — შენ ხომ ლორდი ხარ, მხოლოდ ლორდი და  
სხვა არავინ,

ხოლო მეუღლე შენი, ლედი, თანამოსაგრე  
უტურფესია ჩვენი დროის ყველა ქალებზე!

1 მსახური — და სანამ იგი თქვენი სენის გამოისობით  
ცრემლს დააფრქვევდა ნაზ ლაწვებზე, ვით სწრაფ  
ნიაღვარს,

მთელს ცისქვეშეთში უტურფესი არსება იყო,  
მაგრამ თვით ახლაც მას ვერავინ შეეღარება!

სლაი — ნუთუ ლორდი ვარ? ნუთუ მე მყავს ასეთი ცოლი?  
იქნებ სიზმარში ვარ? ან იქნებ მესიზმრებოდა?  
არა, არ მძინავს! ვხედავ, მესმის და ვლაპარაკობ!  
ვცნოსავ ტკბილ სურნელს და კარგად ვგრძნობ ამ  
რბილ სარეცელს!

ვფიცავ განგებას, რომ მე მართლა ლორდი ვყოფილვარ!  
ლორდი და არა მესპილენძე კრისტოფერ სლაი!

კარგი, მომგვარეთ ჩემი ლედი, ჩემი მეუღლე!  
მაგრამ კიდევ გთხოვთ: ერთი ტოლჩა ლუდი დამისხათ!



2 მსახური — ხელის დაბანა ხომ არ ნებავს თქვენს ბრწყინვალეობას?

(მსახური მიართმევს სურას, თასს და პირსახოცს. სლადი ხელებს იბანს)

რა მოხარულნი ვართ, რომ გხედავთ, კვლავ დაგიბრუნდათ

ქუა-გონება და კვლავ იცით ვინცა ბრძანდებით! ხუთმეტი წელი გაატარეთ მძიმე სიზმრებში და გაიღვიძეთ ბოლოს ისე, როგორც მძინარემ!

სლადი — ხუთმეტი წელი! პატიოსან სიტყვასა ვფიცავ, ეს დიდი დროა... მერე სულ არ ვლაპარაკობდი?

1 მსახური — ო, როგორ არა, მაგრამ ყოვლად უაზრო სიტყვებს,

ბატონო ჩემო! თუმც იწეკით ამ სავანეში, მაინც ბოდავდით, თითქოს ცემით კარში გაგდებდნენ, თან აგინებდით თქვენს მასპინძელს — დიასახლისსა, და ამბობდით, რომ გსურთ უჩივლოთ სასამართლოში, რადგან მან, თითქოს, სიქადაკრულ ტოლჩების ნაცვლად, რაღაც ქვის ჯამი მოგიტანათ, ამასთანავე, ხშირად თქვენ ვიღაც ცეცილია ჰეკეტს უხმობდით.

სლადი — ჰო, ეს ლუდხანის მსახურია, ფარეში ქალი!

3 მსახური — ბატონო ჩემო, თქვენ არ იცნობთ არც ლუდხანასა

და არც ფარეშ-ქალს, არც იმ კაცებს, ვინც ჩამოსთვალეთ:

როგორიცაა თუნდაც ვინმე სტეფანო სლადი, ანდა მოხუცი ჯონ ნეფესი, საბერძნეთიდან, ან პეტერ ტორფი და ვინმე ჰენრი პიმპერნელი, იმათთან კიდევ ოციოდე ისეთი გვარი, რომლის პატრონებს არც იცნობდით და არც გინახავთ.

სლადი — ახლა კი ვმადლობ უფალს ჩემი მორჩენისათვის.

ყველანი — ამინ!

სლადი — გმადლობთ, თქვენ ასეთ ქცევით არას წააგებთ!

(შემოდის პატი — გადაცმული ლედის სამოსში — ამალით)

პატი — როგორ ბრძანდება კეთილშობილი ჩემი ლორდი?

ს ლ ა ი—კარგად გახლავარ, რადგანაც აქ მხიარულება  
სულ არ მაკლია, მაგრამ ჩემი ცოლი სად არის?

პ ა ე ი—მე აქ გახლავართ, რას მიბრძანებთ კეთილო ლორდო?

ს ლ ა ი—ახ, ეს შენა ხარ ჩემი ლედი, ჩემი მეუღლე?  
მერე და რატომ არ მიწოდებ „ჩემო ქმაროო?“  
ლორდი მე ჩემი კაცებისთვის ვარ, ხოლო შენთვის,  
ქმარი ვარ, შენი პატრონი ვარ!

პ ა ე ი—ო, დიახ, ქმარი,  
ქმარი და ლორდი, ჩემი ლორდი და ჩემი ქმარი,  
მე კი ერთგული და მორჩილი ცოლი ვარ თქვენი!

ს ლ ა ი—ეს ვიცი, მაგრამ რა სახელი უნდა გიწოდო?

ლო რ დ ი—ქალბატონი!

ს ლ ა ი—ახ, ალლის, თუ ჯოუნ ქალბატონი?

ლო რ დ ი—არა, პირდაპირ „ქალბატონი“, სხვა არაფერი,  
ასე უხმობენ თავის ცოლებს დიდი ლორდები!

ს ლ ა ი—მაშ, ქალბატონო ცოლო, ერთი ესეც მითხარი,  
მართალი არის რომ ამბობენ, თითქოს მეძინა  
და სულ სიზმრებში გავატარე ხუთმეტი წელი?

პ ა ე ი—დიახ, და ეს დრო ოცდაათ წლად მეჩვენებოდა,  
რადგან ამ ხანში სარეცელით მთლად განმეშორეთ!

ს ლ ა ი—მეტისმეტია! მაშ მსახურნო, დაგვტოვეთ მარტო...  
შენ, ქალბატონო ცოლო, ახლავ ტანთ გაიხადე  
და დაწექ ჩემთან.

პ ა ე ი—ო, სამმაგად კეთილშობილო  
ბატონო ჩემო, ნება დამრთეთ მორჩილად გთხოვოთ,  
რომ მოითმინოთ კიდევ ერთი, ან ორი ღამე,  
ან საღამომდე მაინც, ვიდრე მზე ჩავიდოდეს,  
რადგან თქვენს მკურნალთ თქვენი სენის განმეორების  
შიში აქვთ კიდევ და სასტიკად ითხოვენ ჩემგან,  
რომ ჯერჯერობით საწოლი არ გავიზიაროთ!  
მწამს ეს მიზეზი გაამართლებს ჩემს მორჩილ ბოდისს!

ს ლ ა ი—ეშმაკმა უწყის, თუ რამდენად ძნელია ჩემთვის  
ამ საქმეში დაცდა, მაგრამ რადგან აღარ მსურს, რომ  
ჩემს სიზმრებს კვლავ დავუბრუნდე, ძალაუნებურად

დავიცდი, თუმცა ჩემი სისხლიც და ხორციც  
წინააღმდეგია. (შემოდის მსახური)

- მსახური—თქვენი ბრწყინვალეების მსახიობებმა შეიტყეს  
თქვენი განკურნვა და მოვიდნენ, რომ შეგაქციონ  
სასიამო რამ კომედიით, ეს თქვენს ექიმებს  
მოსახლენ საქმედ მიაჩნიათ, რადგან დარწმუნდნენ,  
რომ მეტრისმეტრი მოწყენა თქვენ სისხლს გიყინავდათ  
და მოწყენა ხომ ძიძა არის თვით სიგიჟისა,  
ამიტომ, მათის აზრით, ღიდად კარგი იქნება  
რომ მოიხილოთ წარმოდგენა, რაც თქვენს გუნებას  
სამხიარულოდ და საამოდ წარმართავს კვალად,  
და დაგიბრუნებთ ხალისსა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.
- სლაი—მართლაც და ჩინებულია, ასე მოვიქცევი. დაე, ითა-  
მაშონ, მაგრამ რა უნდათ რომ წარმოადგინონ: საშო-  
ბაო ბერიკაობა თუ ჯამბაზობა?..
- პატი—არა, ჩემო კარგო ბატონო! ეს უფრო ღირსშესანიშ-  
ნავი რამეა.
- სლაი—როგორ თუ „რამე“? საშინაო რამ საგანია?
- პატი—არა, ეს ერთგვარი ისტორიული საგანი გახლავთ.
- სლაი—კარგი, მაშ ვნახოთ. მოდი, ქალბატონო ცოლო,  
გვერდით მომიჯექ. ჯანდაბას ყველაფერი, დაე, იდინოს  
წუთისოფელმა, მით ამაზე უფრო ახალგაზრდები აღარ  
ვიქნებით.

(სხდებიან)

## მოქმედება პირველი

### სურათი I

სცენა: პადუა. მოედანი.

(შემოდინან ლუჩენციო და ტრანიო)

ლუჩენციო — დიდად მეწადა, რომ მენახა, ჩემო ტრანიო,  
ტურთა პადუა, ეს აკვანი მეცნიერების,  
და, აი, უკვე შემისრულდა დიდი ხნის ნატვრა:  
მოვედით მდიდარ, ნაყოფიერ ლომბარდიაში —  
მთელ იტალიის ამ გაუფრჩქვნილ წალკოტის გულში.  
აქ წამოსვლისთვის მამაჩემმა გზა დამილოცა,  
აღმჭურვა თვისი მშობლიური სიყვარულითა  
და თანამხლებლად შენი თავი გამომაცოლა.  
მუდამ ერთგულო და ნაცადო მსახურო ჩემო,  
დავრჩეთ აქ ერთად, ბედნიერად, ვიმეცადინოთ  
და გულმოდგინედ მივყოთ ხელი ცოდნის შეძენას.  
უდარბაისლეს შვილთა აღზრდით განთქმულმა პიზამ  
მე მომანიჭა არსებობის უშრეტი წყარო, —  
აწ მამაჩემი ვინჩენციო ბენტევიოლი ხომ  
გამოჩენილი ვაჭარია მთელს ქვეყანაზე...  
მე, მისი შვილი, აღვიზარდე ფლორენციაში  
და საამაყო იქნება, რომ მამის სიმდიდრე  
დაჩრდილოს შვილმა, მაღალ ცოდნით და სათნო  
ღვაწლით.

ამიტომ, ვფიქრობ, ტრანიო, რომ მოწადინებით  
შევუდგე სწავლას და უფრო მეტ გულმოდგინებით

ფილოსოფიის იმ ნაწილში ვიმეცადინო,  
რაიც ეხება მარტოოდენ ბედნიერებას  
და საგანგებოდ სათნოებით მოიხვეჭება.

შენ რაღას მირჩევ, მეგობარო? თქვი შენი აზრი:  
ხომ საქებრად და გონივრულად მოვიმოქმედე,  
რომ დავთმე პიზა და პადუას გამოვეშურე?

ჩემი ქცევა ხომ იმ მწყურვალის მოქმედებას ჰგავს,  
ვინც სტოვეებს გუბეს, რომ შეერთოს კამკამა წყალსა  
და მის სიღრმეში დაიოკოს მძაფრი წყურვილი!

ტ რ ა ნ ი ო — Mi perdonate\*, მარად სათნო, ბატონი ჩემო,  
მე ყველაფერში გეთანხმებით და თანაგიგრძნობთ,  
მახარებს დიდად, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი  
ფილოსოფიის უტკბეს შარბათს ღრმად დაეწაფოთ,  
მაგრამ ერთ რჩევას გაგიბედავთ, თუ ნებას მომცემთ:  
სანამ გვიტაცებს ჩვენ სწავლა და მეცნიერება,  
ნუ ვენსგავსებით სტოიკოსებს, ან უძრავ კუნძებს,  
ნურც გაგვიტაცებს უსაზომო ჩვენ ერთგულება  
არისტოტელეს ეთიკისა, რაც გვაიძულებს  
ოვიდიუსის ხელალებით უარყოფასა.

დაე, ლოლიკა ავარჯიშეთ ნაცნობთა შორის,  
საუბრის დროს კი — რიტორიკას მიმართეთ ხოლმე.  
უხმ თ მუსიკას, პოეზიას — გასამხნეებლად,  
ხოლო ამავე დროს, ალგებრას და მეტაფიზიკას  
თქვენ დაეწაფეთ მხოლოდ იმგვარ ზომიერებით,  
რამდენადაც მას თქვენი კუჭი მოინელებდეს.

მოკლედ, ბატონო, ჩემი აზრი ასეთი არის:  
ისწავლეთ იგი, რაც ყველაზე მეტად გიზიდავთ.

ლ უ ჩ ე ნ ც ი ო — გამაღლობ, ტრანიო, შენი რჩევა ჩინებულია.  
ნეტავი ესლა ბიონდელო ნაპირზე იყოს  
გადმოსული, რომ დრო ლოდინში არ დაგვეკარგა:  
მყისვე ჩვენ ერთად შევუდგებით იმის თაღარიგს,  
რომ ვიქირავოთ შესაფერად მორთული ბინა,  
სად შეგვეძლება მეგობართა გამასპინძლება,

\* მომიტვეთ.

რომელთაც შეგვეძენს პაღუაში ჩენი ყოფნის დრო.  
მაგრამ მოიცა, ეს რა ხალხი მოდის აქეთკენ?

ტრანიო—პროცესიაა, ბატონო, ეს ჩვენსკენ მოდიან,  
რომ მოგვესალმონ პაღუაში ჩამოსვლის გამო.

(გვერდზე გადავებთან. შემოდინ ბაპტისტა, კატარინა, ბიანკა,  
გრემიო და ჰორტენზიო)

ბაპტისტა—კმარა... გეყოფათ, ბატონებო, ნულარ  
მაბეზრებთ;

თქვენ უკვე იცით, რომ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი  
არ გადათხოვო მე უმცროსი ქალი მანამდე,  
სანამ უფროს ქალს, კატარინას, ქმარს არ ვუშოვი.  
თუ ერთერთ თქვენგანს კატარინა სურს რომ შეირთოს,  
რადგან ორივეს კარგად გიცნობთ და თან მიყვარხართ,  
უფლებას გაძლევთ ეაშიკოთ და მოირიგოთ!

გრემიო—(თავისთვის)

მოირიგოთო?... უკეთ რომ ვსთქვათ, მოვირგოთ, არა?  
სამისოდ ხომ იგი ჩემთვის მეტად ტლანქია!  
შენ ხომ არა გსურს, ჰორტენზიო, შეირთო ცოლი?

კატარინა—(ბაპტისტას)

ბატონო ჩემო, რატომ გნებავეთ, რომ გამაწბილოთ  
ამ ჩემს ტოლებთან?

ჰორტენზიო—ტოლებთანო? რა გსურთ მაგით სთქვათ?

აქ თქვენი ტოლი არვინ არის... სულ სხვა საქმეა  
თქვენ რომ ნაზი და ოდნავ სათნო ყოფილიყავით.

კატარინა—ო, დამიჯერეთ, რომ ვერც მაშინ ეღირსებოდით,  
მიჰკარებოდით ოდნავ ჩემს გულს, სათნო ბატონო!

ხოლო თუკი ეს მოხდებოდა, მე ვიზრუნებდი,  
სამფეხა სკამით დამეგარცხნა ეგ თქვენი გოგრა,  
ეგ პირისახე შემეთხუზნა ჰვარტლით და მურით  
და გამეხადეთ სასაცილო ტაკიმასხარად.

ჰორტენზიო—ღმერთო კეთილო, მიხსენ ასეთ ალქაჯისაგან!

გრემიო—მეც დამიფარე, გვედრები, ჰოი, უფალო!

ტრანიო—ბატონო ჩემო, წყნარად ვიყოთ, აქ რაღაც კარგი  
ხუმრობა უნდა მზადდებოდეს—ის კუდიანი,  
აშკარა გიყს ჰვავს, ან საოცრად უკეთურია!

ლუჩენციო—მაგრამ მეორის კდემამოსილ დუმილში



ქალის ნახ ქცევას და სიწყნარეს. ჩუმად, ტრანიო!  
ტრანიო—მშვენიერად ბრძანებთ... დააკვირდით კარგად,  
ბატონო!

ბაპტისტა—რაც მე გითხარით, ბატონებო, მას შეეასრულებ  
დაუყოვნებლივ, შედი სახლში, ჩემო ბიანკა!  
ნუ გეწყინება, შედი მეთქი, ჩემო კეთილო,  
მე შენ ნაკლებად არასოდეს არ მეყვარები.

კატარინა—საბრალო კრავი! საუცხოოდ თვალთმაქცობს  
მუდამ,

და კარგად იცის რა სარგებელს მოიხვეჭს ამით!

ბიანკა—შენ ვიხაროდეს, დაო, ჩემი უბედურება...  
(მამას) ბატონო ჩემო, მორჩილებით და მოკრძალებით  
თავს ვიხრი თქვენი მშობლური ნების წინაშე,  
წავალ და ისევ ჩემს ოთახში ჩავიკეტები,  
ვიკითხავ წიგნებს, ვივარჯიშებ საკრავებზედა  
და მხოლოდ ამით გავერთობი მარტოობაში.

ლუჩენციო—ყური დაუგდე, იმ მშვენიერ ასულს, ტრანიო,  
თვითონ მინერვა ლაპარაკობს იმისი ბავით.

ჰორტენზიო—(ბაპტისტას)

ბატონო, ნუთუ ასე მკაცრად ძალგძით მოიქცეთ?  
დიდად ვნანობ, რომ აწ კეთილი სურვილი ჩვენი  
ბიანკასათვის მწუხარების მიზეზად ხდება.

გრემიო—ნუთუ მას მართლა გალიაში გამოამწყვდევთ  
თქვენ

და დათანხმდებით, რომ გულგრილად დასდოთ სასჯელი  
ამ ჯოჯოხეთის ავი სულის მწარე ენისთვის?

ბაპტისტა—გთხოვთ, რომ დამშვიდდეთ. მე მტკიცედ მაქვს  
გადაწყვეტილი...

შედი, ბიანკა, სახლში შედი, ნულარ აყოვნებ!

(ბიანკა გადის)

ვიცი, ბიანკას თუ რაოდენ თავდავიწყებით

უყვარს მუსიკა, პოეზია და საკრავები,

ამიტომ სახლში ვიყოლიებ მასწავლებლებს, რომ



ჩემი ასული შესაფერი ცოდნით აღჭურვონ!  
თქვენ, ჰორტენზიო, ან, ბატონო გრემიო, თქვენა,  
მოგზავნეთ ჩემთან, თუ კი ასეთ ოსტატებს იცნობთ.  
ჰკვიან ხალხს მუდამ პატივს ვსცემ და უხვი ვიქნები,  
სამაგალითოდ ვინც აღმიზრდის მე ქალიშვილებს.  
აწ კი მშვიდობით... კატარინა, შენ შეგიძლიან  
აქ დარჩე, რადგან ბიანკასთვის სათქმელი რამ მაქვს.

(გადის)

კატარინა—რად უნდა დავრჩე? მაჩნჩალა ხომ არ ვარ  
სხვისი,  
რომ ის ვაკეთო, რაც სხვებს ნებაეთ? თითქოს მე თვითონ  
არ ვიცოდე, თუ რა მომწონს მე, ან რა არ მომწონს!  
ო, ვერ მოგართვით!.. წასვლა მინდა და, წავალ კიდეც!

(გადის)

გრემიო—ეშმაკებთანაც წასულხარ. ისეთი მომხიზლავი ღირ-  
სებებით ხარ აღჭურვილი, რომ სიამოვნებით უარს ვაც-  
ხადებთ შენზე. მშვიდობით, ჰორტენზიო, როგორც ვხე-  
დავ, ჩვენი კვერი ჯერ კიდევ არ გამომცხვარა, არც  
ქვეშიდან და არც ზევიდან, მაგრამ არა უშავს რა, ჯერ-  
ჯერობით შეგიძლიან ვიმარხულოთ, რაც შეეხება მშვე-  
ნიერ ბიანკას—მისდამი სიყვარულს იმით დავამტკიცებ,  
რომ თუ კი შევხვდი შესაფერ ადამიანს, ვინც ამას საყ-  
ვარელ საგნებს შეასწავლის, უმაღლესი მამამისის გამოვუგზავნი.

ჰორტენზიო—მეც სწორედ ასე მოვიქცევი, ბატონო გრემიო.  
თან ამასაც გეტყვით: თუმცა დღემდე ჩვენ ერთმანეთის-  
თვის უცხონი ვიყავით, ამიერიდან, როგორც ვხედავ,  
უკვე საერთო მისწრაფება გვაკავშირებს. თუ გვწადიან,  
რომ უფრო მეტად დაუფახლოვდეთ ჩვენი ოცნების სა-  
განსა და ვიყოთ მშვენიერი ბიანკას სიყვარულის ბედ-  
ნიერი მეტოქენი, ჩვენ ერთი საქმე უნდა მოვაწყოთ.

გრემიო—და მერე განა რა საქმეა ნეტავ ისეთი?

ჰორტენზიო—მის კირვეულ დას ქმარი უნდა გამოვუნახოთ!

გრემიო—ქმარიო, ბრძანეთ? ესე იგი, თუ თონ ეშმაკი?

ჰორტენზიო—მე ვამბობ: ქმარი.

გრემიო— მე კი ვამბობ: ეშმაკი, რადგან  
თვით ეშმაკიც უარს იტყოდა იმის ქმრობაზე...

შენა გგონია, ჰორტენზიო, რადგან კატარინას მდიდარი მამა ჰყავს, აღმოჩნდება ისეთი სულელი, ვინც დათანხმდება რომ ჯოჯოხეთი ცოლად შეირთოს?

ჰორტენზიო—მოითმინეთ, გრემიო, მართალია, თქვენ მას ვერ იტანთ, სწორია ისიც, რომ არც მე მყოფნის მოთმინება იმ კაპასის აურზაურის ასატანად, მაგრამ ქვეყანაზე ბევრი ახალგაზრდაა და შესაძლოა ჩვენც წავაწყდეთ სადმე ისეთ ბრიყვს, ვინც მას წაიყვანს მთელი მისი ნაკლით და საკმაოდ დიდი მზითვით!

გრემიო—არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ჩემთვის მაინც უღაგოა: მე იმის მზითევს ავიღებდი იმ პირობით, რომ ყოველ დილით მოედანზე გავემათრახებანე.

ჰორტენზიო—რალა თქმა უნდა, სწორი ბრძანებაა: ორ დამპალ ვაშლს შორის—არჩევანი არაფერს შეგვძენს, მაგრამ რადგან ეს დაბრკოლება ჩვენ მეგობრად გვხდის, დავრჩეთ მეგობრად, ვიდრე ბაპტისტას უფროს ქალს ქმარს მოვუნახავდეთ და ამით მისი უმცროსი დის გათხოვებას გზას გავუკაფავდეთ. მერე კი ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ: დეე, მშვენიერი ბიანჯა მას დარჩეს, ვინც ჩვენს შორის უფრო ბედნიერი აღმოჩნდება. ვისაც სწორად სირბილი შეუძლიან და მიზანთან ადრე მიაღწევენ, ცხადია, გამარჯვებაც იმას ერგება. რას იტყვით, ბატონო გრემიო?

გრემიო—ასე იყოს, თანახმა ვარ! მთელს პადუაში ყველაზე უმჯობეს ცხენს ვაჩუქებდი, ვინც კატარინას დასანიშნად ეახლებოდა, მოირიგებდა, შეირთავდა, ლოგინში ჩაიწვენდა და ამით მისგან ბაპტისტას სახლს გაანთავისუფლებდა. მაშ წავიდეთ, ჰორტენზიო.

(გადიან გრემიო და ჰორტენზიო. ლუჩენციო და ტრანია გამოდიან სიღრმიდან)

ტრანია—ბატონო ჩემო, ნუთუ მართლა ეს შესაძლოა, რომ სიყვარულმა კაცი ასე უცბად შეიპყროს?

ლუჩენციო—არც მე მჯეროდა, რომ ეს იყო შესაძლებელი,

ვიდრე არ მივაწვდი ამ ურყვევლ ჭეშმარიტებას;  
აქ უზრუნველად ყურს ვუგდებდი იმათ ლაპარაკს  
და მისმა ხილვამ გამიღვიძა მე სიყვარული!  
ჩემო ტრანო, ძვირფასი და მახლობ ლი ხარ,  
ვით ანნა იყო, კართაგენის დედოფლისათვის,  
და ამიტომაც გულახდილად გამოგიტყდები:  
მე ვიტანჯები, ვიწვი და მთლად დავიღუბები,  
თუ ის ასული ჩემს საცოლედ არ დავიგულებ.

მირჩიე რამე, ტრანო, მენ ხომ შეგიძლიან  
რომ დამეხმარო, მეგობარო, თქვი, ხომ მიშველი?

ტრანო—ახლა წყრომის დრო აღარ არის, ჩემო ბატონო,  
რადგან დატუქსვით ვერ განვდევნით ტრფობას  
გულიდან,

თუ სიყვარულმა დაგიმონათ—სჯობს შეურიგდეთ!  
Redime te captum quam queas minimo\*.

ლუჩენციო—ყოჩაღ, განაგრძე, მე მაგ სიტყვამ დიდად მაამა,  
შენ კარგი რჩევა იცი მუდამ, ნუგეშს მცემს იგი.

ტრანო—ბატონო, ისე გატაცებით უტკერდით იმ ქალს,  
რომ იქნებ მთელი ამბის კვანძი ვერც კი შენიშნეთ?

ლუჩენციო—ო, მე შეენიშნე მისი სახის უცხო მშვენიება,  
აღსავსე კრძალვით, სინაზით და მომხიბლაობით.  
ის აგენორის ასულს ჰგავდა, რომლის წინაშე  
ზევსმაც კი მუხლი მოიდრიკა კრიტოსის პირად.

ტრანო—სხვა არაფერი? ვერ შენიშნეთ მაშ უფროსი და,  
რომელმაც ლანძღვის დააყენა კორიანტელი,  
რასაც მოკვდავის ყურთასმენა ვერ აიტანდა?

ლუჩენციო—მარჯნისფერ ტუჩთა მოძრაობას ვხედავდი  
მისას,

ხოლო მის სუნთქვა, ჰაერსაც კი სურნელს ჰმატებდა!  
იგი წმინდაა, მომხიბლავი მთელის არსებით.

ტრანო—ახლა კი უნდა ბურანიდან გამოვიყვანო:  
ბატონო ჩემო, გაიღვიძეთ, გთხოვთ გამოფხიზლდეთ,  
თუ ის ასული შეგიყვარდათ, ჰკუა-გონება

\* იხსენი თავი ტყვეობიდან, რამდენადაც შეგიძლიან მცირე სასყიდლით.

- მოიკრიფეთ და ეცადეთ, ის ხელში ჩაიგდოთ.  
ამ საქმის მთელი ვითარება კი—ასე გახლავთ:

- იმ ქალს უფროსი და ჰყავს—ანჩხლი და ჭირვეული  
და ვიდრე მამა მას თავიდან არ მოიცილებს,  
მანამდე თქვენი სატრფო ასე სახლში იჯდება!  
მიტომ ჩაკეტა იგი მამამ თავის ოთახში,  
რომ მთხოვნელებმა თავი მეტად არ მოაბეზრონ.

ლუჩენციო—ახ, რა სასტიკი მამა ჰყავს მას, ჩემო ტრანო!  
მაგრამ ხომ კარგად გაიგონე მისი სიტყვები:  
ეძებს გამოცდილ მასწავლებლებს ბიანკასათვის.

ტრანო—ღიახ, ბატონო, და მე გეგმაც კი მოვისაზრე.  
ლუჩენციო—მეც მოვიფიქრე.

ტრანო— გარწმუნებთ, რომ ორივეს აზრი  
ერთი არის და ერთდამივ მიზანს ისახავს.

ლუჩენციო—აბა, ჯერ შენ თქვი!

ტრანო—განზრახული გაქვთ გახდეთ მისი მასწავლებელი  
და მისი აღზრდა იდოთ კისრად.

ლუჩენციო— სწორედ ასეა.  
მაგრამ შევძლებთ კი ჩვენ ამ საქმის შესრულებასა?

ტრანო—არ შეიძლება... მაშინ თქვენს სახლს ვინ გაუძღვება,  
ნაცნობ-მეგობრებს ვინ მიიღებს ოჯახის რიგზე,  
ვინ უმასპინძლებს ძვირფას თანამემამულეებს,  
როგორც შეჭურვის ვინჩენციოს ღირსეულ შვალსა?

ლუჩენციო—კმარა, შეჩერდი, უკვე ვიცი რა მოვაგვარო:  
აქ არც ერთ სახლში ჯერ ჩვენ არვის არ უნახივართ,  
არავინ გვიცნობს სახით, როგორც ბატონს და მსახურს,  
ამიტომ ჩემსა მაგიერად აწ შენ იქნები  
ბატონი და შენ გაუძღვები სახლის საქმეებს.

- მე კი სხვა ვინმედ გადავიქცევი: ვსთქვათ, ფლორენციელ,  
ან ნეაპოლელ, ანუ კიდევ პიზელ ლატაკად.  
მორჩა, გადაწყდა. შევასრულოთ, რაც განვიზრახე:  
აქ მომეც შენი ტანსაცმელი და გამოეწყე  
ჩემს სამოსელში, ჩემს ჭრელ ქუდსა და მოსახამში.  
აწ ბიონდელი გეყოლება მსახურად, მე მას  
დავარიგებ, რომ დაიმოკლოს ჭარტალა ენა.

ტრანიო—თუ საჭიროდ სთვლით, ეგრე იყოს... როგორც  
გენებოთ.

(ტანსაცმელს სცვლიან)

მე ყველაფერში მოვალე ვარ დაგემორჩილოთ;  
აქ წამოსვლისას, მამათქვენმა ასე მიბრძანა:  
„ჩემს ვაჟს ყოველმხრივ სამსახური გაუწიეო“,—  
თუმცა ის ამას სულ სხვა აზრით ამბობდა, მაგრამ  
მე თანახმა ვარ მაინც გაეხდე ლუჩენციოდ,  
რადგან მე მეტიხმეტად მიყვარს ლუჩენციო.

ლუჩენციო—დე ასე იყოს, ტრანიო, აწ ლუჩენციო  
შეყვარებული არის უღვთოდ... თუნდ მონად ვიქცე,  
თავს არ დავზოგავ. ოღონდ ის კი დავინარჩუნო,  
ვისმა დანახვამ დაატყვევა ჩემი თვალები!

(შემოდის ბიონდელო)

აი, გამოჩნდა გაიძვერაო! სად ბრძანდებოდი,  
ვაქებატონო?

ბიონდელო—მე სად ვიყავი? თქვენ თვითონ სად ხართ?  
ტრანიომ თქვენ, თუ თქვენ ტრანიო გაჰქურდეთ?

ღმერთო,

თქვენ ერთმანეთი გაგიძარცვავთ? რა ამბავია?

ლუჩენციო—აქეთ მობრძანდი, ვაქებატონო,

ხუმრობისათვის

არა გვცალიან და შენც ისე უნდა მოიქცე,  
როგორც რომ ამას დრო მოითხოვს, ყური დამიდგე:  
კეთილ ტრანიოს სურს სიცოცხლე შემინარჩუნოს,  
ამიტომ იცვამს ჩემს სამოსს და ჩემ სახეს იღებს,  
მეც მის ტანსაცმელს ვიცვამ თავის გადასარჩენად;  
დღეს, ამ ნაპირზე გადმოსვლისას, ჩხუბში, უეცრად,  
ვიღაცა კაცი შემომაკვდა; მგონი შემნიშნეს!  
გიბრძანებ: სანამ მე გაქცევით თავს ვუშველიდე,  
ჯეროვან ზრუნვით ემსახურო ერთგულ ტრანიოს.  
ხომ გესმის, რაც ვთქვი?

ბიონდელო—

მე, ბატონო? სულ არაფერი.

ლუჩენციო—კრინტიც არ დასძრა ტრანიოზე, რადგანაც იგი  
ლუჩენციოდ გადაიქცა.

ბიონდელიო—

მოხარული ვარ ტრანიოსთვის

ნეტავ შემეძლოს, რომ მეც ასე გარდავექმნილიყავ.

ტრანიო—მეც მოხარული ვიქნები: ასრულდეს ნატვრა

ბაპტისტას უმცროს ქალიშვილის ცოლად შერთვისა,  
მაგრამ ჩემთვის კი არა, ბრიყვო, ბატონისათვის!  
შენ აქედანვე ჭკუით იყავ, შეეცადე, რომ

თავის დაჭერა ღირსეულად შეგეძლოს ხალხში,  
როცა მარტონი ვიყოთ—მაშინ ტრანიოდ მთვლიდე,  
სხვებთან კი—შენი ბატონი ვარ—ლუჩენციო!

ლუჩენციო—ტრანიო! წამო, აი, კიდევ რა გევალება:

შენ იმ ასულის მოტრფიალე ყმაწვილკაცთ შორის  
უნდა ეცადო ჩაირიცხო დაუყოვნებლივ!

თუ მკითხავ რატომ? ამისათვის საკმარისია,  
რომ მე უკვე მაქვს ნამდვილი და მძიმე მიზეზი.

(გადიან)

აივანზე მსხდომნი—მაყურებელნი: ლორდი, სლაი, პაეი, მსახურნი.

1 მსახური—ბატონო ჩემო, თქვენ კვლავ ტკბილად  
განაგრძობთ თვლემას  
და წარმოდგენა არ იზიდავს თქვენს ყურადღებას.

სლაი—ო, გეფიცებით წმინდა ანნას, რომ მე ნამდვილად  
მიზიდავს თქვენი წარმოდგენა, რამდენხანს გასტანს?

1 მსახური—ეს გახლავთ მხოლოდ დასაწყისი, ბატონო ჩემო.

სლაი—ჩინებული რაპ არის სწორედ, ლედი, მეუღლევე,  
მაგრამ აჯობებს, რომ ის უფრო მალე დამთავრდეს.

(განაგრძობენ წარმოდგენის ყურებას)

## სურათი II

იგივე ქუჩა—ჰორტენზიოს სახლის წინ.

(შემოდინ პეტრუჩიო და გრუმიო)

პეტრუჩიო—დავთმე ვერონა დროებით და მოველ პადუას,  
რომ ვინახულო მე აქაურ მეგობართა წრე,  
განსაკუთრებით ჰორტენზიო, ჩემი ნაცადი  
და საყვარელი მეგობარი სიყმაწვილისა.  
ვგონებ, ეს არის მისი სახლი. ჰეი, გრუმიო!  
აბა ყოჩაღად დატრიალდი, ჩვენ აქ დავარტყათ.

გრუმო—დავარტყათო? ვის დავარტყათ, ბატონო ჩემო  
განა აქ ვინმემ აწყენინა თქვენს მოწყალებას?

პეტრუჩიო—ოჰ, არამზადავ, დარტყმა მინდა მე შენგან,  
გესმის?

გრუმო—დარტყმა გსურთ ჩემგან? მე ვინ მომცა ამის  
უფლება?

პეტრუჩიო—დარტყმა მსურს შეთქი, სალახანავ, გესმის  
თუ არა?

დამირახუნე, თორემ გირტყამ სულელ გოგრაში.

გრუმო—ჩემი ბატონი ჩხუბის გუნებაზე ბრძანდება?  
მაგრამ ახლა რომ გავბრიყვდე და მართლაც დავარტყა,  
ხომ ცხადია, რომ ბოლოს ისევ მევე მომხვდება?

პეტრუჩიო—კიდევ ჯიუტობ? მაშ დარტყმაზე უარს  
მიბედავ?

აი, ესეც შენ! (ყურებს აუწევს გრუმოს) ვნახოთ ახლა,  
როგორ მიმღერებ.

გრუმო—ჰეი, მიშველეთ, გადირია ჩემი ბატონი.  
(მიწაზე დაეცემა)

პეტრუჩიო—არც ახლა იზამ, ავაზაკო, როგორც გიბრძანებ?  
(შემოდის ჰორტენზიო)

ჰორტენზიო—რა ამბავია, რა მოხდა აქ? გრუმო, შენა?  
ო, პეტრუჩიო, ჩემო კეთილო მეგობარო!

როგორ გიკითხოთ, ვერონაში როგორ ბრძანდებით?

პეტრუჩიო—ო, ჩემო ბატონო ჰორტენზიო, თქვენ მოხვე-  
დით რომ გაგვაშველოთ?

შემიძლიან ვთქვა: *Con tutto il core bene venuto* \*.

ჰორტენზიო—*Alla nostra casa bene venuto,  
molto honorato, signor mio Petruchio* \*\*.

ადექ, გრუმო, შენ და ბატონს მე შეგარიგებთ!

გრუმო—არა, ბატონო, რასაც ეგ ლათინურად მოგახსენებთ, მაგით აღარაფერი გაეწყობა. განა ახლა მე კანონიერი საბაზი არა მაქვს, რომ თავი დავანებო მაგას-

\* სიკეთით სავსე გულით ვარ მოსული.

\*\* კეთილი იყოს შენი მოსვლა ჩემს სახლში, უფალო ჩემო, პეტრუჩიო!



თან სამსახურს? აბა განსაჯეთ: თვითონ მიბრძანდა დარტყმა, „აბა მაგრაო!“ ღიახ, მაგრა დარტყმა მომთხოვა! განა შეჰფერის მსახურს ბატონისადმი ასე მოპყრობა? ღმერთს გეფიცებით, მე რომ პირველად დამერტყა მისთვის, გრუმო ამათ სულ არაფერს არ წააგებდა.

პეტრუჩიო—ყეყეჩი, ბრიყვი, არანზადა, ო, მაწანწალა! ჩემო კეთილო ჰორტენზიო, მე მას ვუბრძანე, თქვენს სახლის კარზე დარტყა, მისი დარახუნება, მაგრამ ბრძანების შესრულება ვერ ვაიძულე!

გრუმო—კარზე დარტყმაო! ღმერთო ჩემო, ერთი უყურეთ: განა თქვენ თვითონ არ ამბობდით: „დარტყმა მიხდაო?“ „მე შენგან მაგრა დარტყმა მსურსო“, ასე არ ბრძანეთ? „დამირახუნე, რაც კი ძალი და ღონე გაქვსო“, ახლა კი—გინდათ რომ ეს კარებს გადააბრალოთ?

პეტრუჩიო—წა, გაეთრიე, ვაუბატონო, ენა ჩაიგდე!

ჰორტენზიო—გთხოვთ მოითმინოთ, პეტრუჩიო, თვით მე ვკისრულობ გრუმოსათვის თავდებობას, რადგანაც მჯერა, რომ თქვენს გამოცდილს, ერთგულსა და მხიარულ მსახურს

არ შეუძლიან გაწყენინოთ შეგნებულ ზრახვით. გაუგებრობა დაივიწყეთ და თქვით, რომელმა კეთილმა ქარმა მოგიყვანათ თქვენ ვერონიდან?

პეტრუჩიო—იმ ქარმა, რომელიც ჭაბუკ ახალგაზრდობას ქვეყნიერებას მოსდებს ხოლმე ბედის საძებრად, სადაც ნელნელა იძენს კაცი გამოცდილებას. მოკლედ, ბატონო, ჩემი საქმე ამგვარად გახლავთ: აწ მამაჩემი, ანტონიო, გარდაიცვალა და გულის ჯავრის გასართობად დავეხეტები: ვნახულობ ქვეყნებს, თან ვაპირებ ცოლის შერთვასაც და თუმც ბლომად მაქვს საკუთარი ფულიც. ქონებაც, მაინც ვცდილობ, რომ შევიძინო დიდი მზითვეი და შევქმნა მყუდრო ოჯახური კეთილდღეობა.

ჰორტენზიო—რაკი ასეა, მაშ პირდაპირ საქმეს შევუდგეთ: მე გაგირიგებ ერთ ჭირვეულ და აყვია ქალს,



თუმც მართალია, შენ ამისთვის ბოლოს ინანებ,  
მაგრამ პირობას გაძღვე, რომ ის სამაგიეროდ  
მდიდარია და მეტისმეტად მდიდარიც... მაგრამ  
შენ, ჩემს მეგობარს, მისთვის მაინც ვერ გაგიმეტებ.

პეტრუჩიო — ბატონო ჩემო, ისეთ ახლო მეგობართ შორის,  
როგორც ჩვენა ვართ, ორიოდ სიტყვაც იკმარებს  
დიდი საქმის გასარიგებლად; თუ მართლა იცნობ  
პეტრუჩიოსთვის შესაფერის მდიდარ საცოლეს  
(რადგან სიმდიდრე ტკბილ ბანს მისცემს ჩემს ქორწილის  
ლხინს),—

მე თანახმა ვარ ამთავითვე, თუნდ იგი იყოს  
ფლორენციუსის ტურფაზეც კი უმახინჯესი,  
მოხუც პითია სიბილაზე უფრო ხნიერი  
და უანჩხლესი თვით სოკრატეს ქსანტიპაზედაც,  
თუნდ ყველა მათზე უარესიც,—ეს სულერთია.  
დე, იყოს მკაცრი, უჯიათი, ჰქუხდეს, გრგვინავდეს,  
ადრიატიკის მღვღვარე ზღვის ტალღების მსგავსად,  
მაინც მე უკან არ დავიხევ, რადგან პაღუას  
მიტომ ჩამოველ, რომ შევირთო მდიდარი ცოლი!

გრემიო — აი, ბატონო, ხომ ხედავთ ყველაფერი  
გუ — ახდილად გადმოვიღავათ: მიეცით მას საკმაო ოქრო  
და უაოს არ იტყვის, რომ შეირთოს თუნდაც თოჯინა,  
თუნდაც ლითონის ფიფინური, ან უკბილო ქინკა, ან  
ბებერი ჯაგლაგი, რომელსაც ორმოცდათორმეტზე მეტი  
სენი სჭირს. დიახ, ფული მიეცით მეთქი, ოღონდ ფული,  
იყოს და ეგ არაფერს იუკადრისებს.

პორტენზიო — მაშ, პეტრუჩიო, თუ აქამდე მივიდა საქმე,  
განვაგრძობ რჩევას, რაც ხუმრობით დავიწყე წელან:  
მე შემოდლიან გაგირიგო კეთილშობილი  
ოჯახის ზრუნვით ნებიერად აღზრდილი ქალი:  
მეტად მდიდარი, ახალგაზრდა, თანაც ლამაზი.  
მხოლოდ ერთადერთ იმის ნაკლად ის ჩაითვლება,  
რომ ხასიათით ჯიუტი და ქირვეულია,  
ზომაზედ მეტად კაპასია, იმდენად ანჩხლი,



რომ პირადად მე მათხოვრობას უფრო ვირჩევდით, ვიდრე მის შერთვას, თუნდ მოეცათ ოქროს მადნებიც.

პეტრუჩიო—ჩუ, ჰორტენზიო, ოქროს ფასი არა გცოდნია! მითხარი მისი მამის გვარი და ეს იკმარებს, რომ მოვძებნო და მოვთოკო ის, თუნდაც იგრგვინოს, ვით შემოდგომის აედრიანმა ჭექა-ქუხილმა.

ჰორტენზიო—ბაპტისტა გახლავთ მამამისი, გვარად მინოლა.

თავაზიანი კაცი არის და გულკეთილი.

მის ქალიშვილს კი—კატარინა ჰქვია სახელად, და თვის სიანჩხლით განთქმულია მთელს პადუაში.

პეტრუჩიო—ბაპტისტას ვიცნობ, ის განსვენებულ მამაჩემის ნაცნობი იყო.

მისი ქალი კი ჩემთვის უცხო და უცნობია.

ვერ დავიძინებ, ჰორტენზიო, ვიდრე არ ვნახავ მე იმ ასულსა, ნუ ჩამითვლი კადნიერებად, რომ მსურს დაგტოვო აქ შეხვედრის პირველ წამშივე, მაგრამ იქნება შენც წამომყვე და მითანამგზავრო?

გრუმიო—ბატონო ჩემო, ვთხოვთ, გაუშვათ, სანამ უინი დაუყუჩდება: სიტყვას გაძღვეთ, რომ ის ქალი ჩემს ბატონს ჩემებრ იცნობდეს, დარწმუნდებოდა, რომ ჩხუბით იგი ვერას გააწყობდა. დაე, იანჩხლოს, იყვიროს და თუნდ ათჯერაც სალახანა უწოდოს, წარბსაც კი ვერ შეახრევიანებს. მაგრამ თუ ამან პირი მოხსნა ლანძღვის გუდასა, მაშინ მშვიდობით! არ დაზოგავს, ყველაფერს გადმოუტრიალებს. თან ერთ რამესაც მოგახსენებთ, ბატონო ჩემო, თუ იმ ქალბატონს აზრად მოუვა, თუნდაც მცირე გამკლავება სცადოს ამასთან, მაშინ მშვიდობით, ერთს ისეთს ჩაადარებს სახეში, რომ წელს აათრევიანებს და თვალებს კატასავით ჩააბუთენებს. დიახ, ბატონო, თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ ამას!

ჰორტენზიო—მაშ მოითმინე, პეტრუჩიო, მეც გამოგყვები! ბაპტისტას ხელში არის მთელი ჩემი საუნჯე, მისი უმცროსი ქალიშვილი, ტურფა ბიანკა:

მას არ გვაჩვენებს არც მე და არც ჩემს მეტოქეებს!  
რაკი დარწმუნდა, რომ უფროს ქალს არვინ შეიძლება,  
როდესაც უმცროსს გაეცნობა და შეადარებს  
(იმ ნაკლის გამო, რაც მე ზემოთ უკვე გითხარი),  
ბაპტიტამ იგი ჩაკეტა და არვის აკარებს,  
სანამდის კაპას კატარინას არ გაათხოვებს!

გრუმო—კაპასი კატარინა!.. ქალწულ ქალისათვის უარესი  
სახელი არც მოიძებნება.

პორტენზიო—ეხლა იმას გთხოვ, პეტრუჩიო, რომ  
დამეხმარო

ერთი განზრახვის წარმატებით აღსრულებაში:  
მე მასწავლებლის ტანსაცმელში გამოვეწყობი,  
შენ კი წარმადგენ იმ მოხუცი მაპის წინაშე,  
როგორც მუსიკოსს, ბიანკასთან სამეცადინოდ.  
ეს ხერხი მომცემს შემთხვევას, რომ შევხვდე იმ ტურფას  
და გავუმელავენო სიყვარული ესდენ მგზნებარე,  
რომ მისი გული იდუმალად გადმოვიბირო.

გრუმო—ეს თვალთმაქცობა არ არის! ახალგაზრდებს დამი-  
ხედეთ—კეპუს როგორ ძალას ატანენ მოხუცების გასაწბი-  
ლებლად! ერთი შეხედეთ, ბატონებო, იქ ვინ მოდის, პეი!  
(შეჰოდიან გრემიო და ლუჩენციო უკანასკნელი გადამშლია  
მასწავლებლად, ხელში წიგნები უჭირავს)

პორტენზიო—წყნარად, გრუმო! ეს ხომ ჩემი მეტოქე  
არის!

ცოტა შორს დავდგეთ, პეტრუჩიო, ისე ვუყუროთ!

გრუმო—თქვენ ამ ლაწირაკს დამიხედეთ: მიჯნურობს  
კიდევ!

გრემიო—ძალიან მომწონს თქვენი სია: აქ ყველა წიგნი  
სასიყვარულო ამბავზეა. მე ძვირფას ყდაში  
ჩავსამევიინებ ამ წიგნებს და ისე გაგატანთ,  
ეცადეთ, მასთან სხვა ნაწერი არ წაიკითხოთ  
ამ წიგნებს გარდა, ჩემი აზრი ხომ კარგად გესმით?  
ბაპტიტა, ქალის სწავლისთვის უხვ სასყიდელს მოგცემთ



და მეც ჩემის მზრივ უფრო მეტად დაგაჯილდოვებთ  
 აი, ეს თქვენი რვეულებიც; უხვად აპკურეთ  
 მათ სურნელება. რადგან იგი, ვისთანაც მიგაქვთ,  
 უფრო საამო არის თვითონ სურნელებაზედ.  
 რას წაუკითხავთ?

ლ უ ჩ ე ნ ც ი ო — რაც უნდა იყოს, გავაკეთებ მხოლოდ თქვენს  
 საქმეს,

ვით ჩემი დიდი მფარველისას და თან გარწმუნებთ,  
 უფრო ერთგულად ვიმოქმედებ, ვიდრე შესძლებდით  
 თქვენ იქ ყოფნით და. საკუთარის მეცადინებით,  
 თუ კი არა ხართ მეცნიერი, ყველაფრის მცოდნე!

გ რ ე მ ი ო — „მეცნიერება!“ რა დიდი რამ განძი ყოფილა!

გ რ უ მ ი ო — ეს რა ქედანი ვინმე არის, ნამდვილი ვირი!

პ ე ტ რ უ ჩ ი ო — ჩუმად იყავი, უსაქმურო!

ჰ ო რ ტ ე ნ ზ ი ო — გრუმო, ჩუმად!

ბატონო გრემიო, ღმერთი გფარვიდნეთ!

გ რ ე მ ი ო — ო, ჰორტენზიო, რა კარგ ბედზე შევხვდით  
 ერთმანეთს:

აბა თუ მიხვდით სად მივდივარ?.. პაბტისტას სახლში.  
 დავპირდი, უნდა მომეძებნა მე გულმოდგინედ  
 მასწავლებელი მშვენიერი ბიანკასათვის.

და აი, ბედზე შევხვდი კიდევ ამ ახალგაზრდას,  
 სწავლულებით და ყოფაქცევით მისთვის შესაფერს:

მცოდნეა დიდად, თან ბეჯითიც, კითხულობს მგოსნებს  
 და სხვა კარგ წიგნებს, ჩინებული ყმაწვილი გახლავთ.

ჰ ო რ ტ ე ნ ზ ი ო — კარგად გარჯილხარ. მეც დამპირდა ერთი  
 ნაცნობი

დახელოვნებულ მუსიკოსის მონახვას ტურფა  
 ბიანკასათვის, როგორც ხედავ, არც მე ჩამოვრჩი,  
 რომ დავუმტკიცო ერთგულება ჩემს ძვირფას სატრფოს.

გ რ ე მ ი ო — ჩემი სატრფოა, ამას საქმით მე დავუმტკიცებ!

გ რ უ მ ი ო — (თავისთვის) თავისი ქისით დავუმტკიცებს.

ჰ ო რ ტ ე ნ ზ ი ო — კმარა, გრემიო, აქ სრულებით უადგილოა,  
 რომ სიყვარულის საქმეებზე მსჯელობა ვიწყოთ.

თუ პატიოსნად ყურს დამიგდებ, გავიზიარებ

ერთ ახალ ამბავს—ორივესთვის სასიამოვნოს:  
ამ კეთილშობილ ადამიანს შეგხვდი შემთხვევით  
და საქმიანი საუბრიდან გამოვარკვეე,  
რომ გულითა სწადს კატარინას გაუმიჯნურდეს  
და შეირთოს ის, თუ მზითევი მოეწონება.

გრემიო—ნეტავი სიტყვა მუდამ საქმით შესრულდებოდეს!  
მერე, უამბეთ მისი ყველა ნაკლოვანება?

პეტრუჩიო—ვიცი, ის თურმე კაპასია, ანჩხლი, ბუზღუნა,  
თუ უარესი ნაკლი არ სჭირს—მე თანახმა ვარ!

გრემიო—უარესიო, მეგობარო? სადაური ხართ?

პეტრუჩიო—ვერონიდან ვარ, შვილი მოხუც ანტონიოსი:  
თუმც მამაჩემი გარდიცვალა, მისი ქონება  
ცოცხალია და კუთვნილებას შეადგენს ჩემსას  
და იმედი მაქვს ბედნიერ და მშვიდი ცხოვრების.

გრემიო—არა, ბატონო, ასეთ ცოლთან მშვიდი ცხოვრება  
უცნაური რამ იქნებოდა, მაგრამ თუ მაინც  
არ დაიშლით და განზრახვაზე უარს არ იტყვიან,  
ღმერთი გფარვიდეთ, მეც ყოველმხრივ დაგეხმარებით.  
არ ხუმრობთ? მართლა შეირთავთ იმ გარეულ კატას?

პეტრუჩიო—თუ კი ვიცოცხლე!..

გრემიო—(თავისთვის) მოდი და მას მართლა ნუ შერთავ!  
მე კი იმ კატას წავახრჩობდი, ჩემი რომ იყოს!

პეტრუჩიო—მაშ რად ჩამოველ პადუაში, თუ შემაკრთობს და  
სმენას დამიხშობს დედაკაცის სუსტი წრიპინი?  
უდაბნოებში მე მსმენია ლომის ღრიალი,  
ყური მიგდია გრიგალთაგან გაცოფებულ ზღვის  
კლდეთა მგლეჯავი, ბობოქარი ტალღებისათვის,  
გამიგონია ღრიანცელი ბრძოლისა ველზე,  
ზარბაზნით გრგვინვა, ცის შემძრავი ქექა-ქუხილი,  
მომაკვდავთ გმინვა, ხელჩართული ბრძოლის ყიყინა,  
ცხენთა ჭიხვინი და ბუკის ხმა თავზარდამცემი,  
მაგრამ ყველა მას ჩემთვის წარბიც არ შეუხრია.  
თქვენ კი აქ გინდათ შემამინოთ ქალისა ენით,  
რომელიც უძღურ სიანჩხლისგან იმაზე უფრო



სუსტად ტკაცუნობს, ვიდრე წაბლი გლეხის ბუხარში  
კმარა... ბავშვები შეაშინეთ კუდიანებით!

გრემიო—(თავისთვის) ცხადია, ამას კუდიანით ვერ შეაშინებ!

გრემიო—გესმის, ბატონო ჰორტენზიო? მე როგორც ვხედავ,  
ეს კაცი ბედზე ჩამოსულა და ბედსაცა გვწვევს!

ჰორტენზიო—მე მას აღვუთქვი ნიშნობის დროს  
დახმარება და

მისი ხარჯების გასტუმრება, რასაც შევიძლებ!

გრემიო—დე, ასე იყოს, ოღონდ საქმე კი გაიჩარხოს.

გრემიო—(თავისთვის)

ნეტავ ისევე ნაღდი იყოს კარგი საღილი  
ჩემთვის, როგორც ეს საქმე არის აშკარად ნაღდი!  
(შემოდიან ტრანო—მდიდრულად გამოწყობილი და ბიონდელო)

ტრანო—ბატონებო, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გთხოვთ, მომიტევეთ შეწუხება და მიმასწავლოთ  
უმოკლესი გზა ბაპტისტა შინოლას სახლისკენ.

ბიონდელო—ორი ლამაზი ქალის მამის—შინოლას სახლი!

ტრანო—დიახ, იმისი... ბიონდელო, ყური დაუგდე!

გრემიო—თქვენ ის გვიბრძანეთ, მამასთან, თუ ქალთან  
მიდინართ?

ტრანო—ქალთან მივალთ, თუ მამამისთან, რა გესაქმებათ?

პეტრუჩიო—რახან ასეა, გთხოვთ, იმ ანჩხლ ქალს ხელი  
არ ახლოთ.

ტრანო—მე მძულს ანჩხლები, ბიონდელო, წამო, წავიდეთ!

ლუჩენციო—(თავისთვის)

ყოჩაღ, ტრანო! ჩინებულად დაიწყო საქმე.

ჰორტენზიო—ვიდრემდე წახვალთ, ერთს კითხვაზე გთხოვთ  
მიპასუხოთ:

იმ ქალის ხელის მაძიებლად ხომ არ სთვლით თავსა?

ტრანო—ეგრეც რომ იყოს, ვითომ ამით რა დაშავდება?

გრემიო—არაფერი, თუ გაივლით და კრინტს აღარ  
დასძრავთ!

ტრანო—განა ეს ქუჩა, ბატონებო, თავისუფალი

არ არის ჩემთვის ისე, როგორც თქვენთვის ყველასთვის?

გრემიო—დიახ, ქუჩა კი არის, მაგრამ არა ის ქალი!

ტრანო—მართალსა ბრძანებთ? ვითომ რატომ, რა მიზეზია?



გრემიო—თუ გსურთ შეიტყოთ, მოგახსენებთ: მიტომ,

რომ იგი

ბატონ გრემიოს თავისთვისა ჰყავს არჩეული.

ჰორტენზიო—მიტომ, რომ ბატონ ჰორტენზიოს რჩეული არის.

ტრანიო—გთხოვთ, რომ დაწყნარდეთ, ბატონებო, თუ თქვენ ნამდვილად

კეთილშობილნი ბრძანდებით და რაინდობა გსურთ, დამაცადეთ და მოთმინებით ყური დამიგდეთ:

ბაპტისტა არის ახნაური დარბაისელი,

რომლისათვისაც მამაჩემი უცხო არ იყო,

მისი ქალი რომ უფრო მეტად ლამაზიც იყოს,—

მის მამიებელთ წრეში მაინც ვიქნებოდი მე.

ლედას ასულს ხომ ათასობით მთხოვენელი ჰყავდა,

დაე, ბიანკას ჰყავდეს კიდევ ერთით ზედმეტი,

და ეს იქნება თვით ბატონი ლუჩენციო.

მე კი მეტოქის არასოდეს არ ნეშინიან,

თუნდ თვით პარისმაც სცადოს მისი გამიჯნურება—

იმ იმედით, რომ მას ვერავენ შეეცილება.

გრემიო—ეს ვაჟბატონი გაწბილებას აპირებს ჩვენსას!

ლუჩენციო—დაე, იცმუკოს, ვნახავთ თუ რა ბედაურია!

პეტრუჩიო—რა მიზანი აქვს, ჰორტენზიო, ასეთ მსჯელობას?

ჰორტენზიო—(ტრანიოს)

ბატონო ჩემო, მომიტევეთ კადნიერება:

იცნობთ თუ არა თქვენ ბაპტისტას უმცროს ქალიშვილს?

ტრანიო—თვით არ მინახავს, მხოლოდ სხვისგან მსმენია, რომ მა,

ორი ქალი ჰყავს, რომელთაგან პირველი არის

განთქმული თავის სიანჩხლით და მწარე ენითა,

ხოლო მეორე—სილამაზით და მოკრძალებით.

პეტრუჩიო—ბატონო ჩემო, ის პირველი ჩემთვის იგულეთ!

გრემიო—ღიან, ეს ღვაწლი, თქვენ ჰერკულესს მიანდეთ, რადგან

იგი აღკიდეს თორმეტ ღვაწლზეც უფრო მძიმეა\*.

\* იგულისხმება ჰერკულესის 12 ღვაწლი.



პეტრუჩიო—ბატონო ჩემო, რასაც გეტყვით—აწონ-დაწონდა  
 ასული, რომლის რაინდობაც თქვენ განგიზრახავთ,  
 ჩაკეტილი ჰყავს მოხუც მამას და არცერთ მთხოვნელს  
 არა ჰპირდება იმის ხელსა, ვიდრე უფროს ქალს  
 ქმარს არ უშოვის და სახლიდან არ გაისტუმრებს.  
 ტრანო—მაშ თუ ასეა, თვით განგებას მოუვლენიხართ,  
 რომ დაეხმაროთ ყველა საქმროს და,

მათ შორის—მეც,  
 თუ გასტეხთ ყინულს და ამ საქმეს მოაწესრიგებთ...  
 მაშ დაეუფლეთ უფროს დას, რომ ამით უმცროსი  
 განთავისუფლდეს ცყვეობიდან და ვისაც ბედი  
 გაუღიმებს და იმ მშვენიერს ცოლად შეირთავს,  
 არ აღმოჩნდება ის იმ ენად უმადური, რომ  
 არ გადგინდოს ჯეროვანი სამაგიერო.

ჰორტენზიო—კა-გად ნათქვამი სიტყვაა და თან გასაგებიც.  
 და რადგანაც თქვენ თავი მოგაქვთ მის ერთ-ერთ  
 საქმროდ,

ზრუნვა გმართებთ, რომ აწ ჩვენს მსგავსად დააჯილდოოთ  
 კაცი, რომელსაც ჩენა გვმართებს, რომ უუმაღლოდეთ.

ტრანო—მოხარული ვარ და ამ საქმეს არც დავაყოვნებ!  
 და ამიტომ გახივთ, დღეს საღამოს მეწვიოთ ყველა,  
 რომ ჩვენს სატრფოთა სადღეგრძელო შეესვათ  
 გულწრფელად.

მოვიქცეთ ღოგორც ვექილები: სასამართლოში  
 თავს მტრებად ვსთვლიდეთ, ქეიფის დროს კი—  
 მეგობრებად.

გრუმო—კარგი სიტყვაა, ჩინებული წინადადება.  
 ბიონდელი—წავიდეთ, ამას რაღა დიდა ფიქრი სჭირდება?  
 ჰორტენზიო—წინადადება კარგია და ასეც აჯობებს.  
 მე თვით ვიქნები, პეტრუჩიო, თქვენი ben venuto.

(გადიან)



## მოქმედება მეორე

### სურათი I

ოთახი ბაპტისტას სახლში.

(კატარინა და ბიანკა)

ბიანკა—კმარა, ნუ მტანჯავ! თვით შენს თავსაც იმცირებ  
მაგით,

რომ საკუთარ დას, ვით მოახლეს, ისე მექცევი!  
ამას ვერ ვიტან... ნუ მაწვალებ... ამ ტანსაცმელს კი  
მე თვით გავიხდი, გამიხსენი ოღონდ ხელები...  
დიახ, ყველაფერს თვით გავიხდი, ქვედა ტანამდე  
და ყოველივეს შეგისრულებ, რასაც მიბრძანებ,  
რადგან მე ჩემი უმცროსობა ვალად მდებს იმას,  
რომ ვმორჩილებდე უფროსების ნებასურვილსა!

კატარინა—გიბრძანებ მითხრა, არ გაბედო სიცრუე მეთქი:  
რომელი უფრო მეტად მოგწონს შენს მთხოვნელთაგან?

ბიანკა—ო, დამიჯერე, დაო ჩემო, მამაკაცთ შორის  
მე ჯერედ არვინ შემხვედრია ისე რჩეული,  
რომელიც სხვებზე თუნდაც ოდნავ მეტად მომწონდეს!

კატარინა—სტყუი, პატარავ. შენა სტყუი, მაშჰორტენზიო?

ბიანკა—თუ ის შენ მოგწონს, ვფიცავ, დაო, გულით  
ვეცდები,  
ისე მოვაწყო თქვენი საქმე, რომ მან შეგირთოს!

კატარინა—ო, გეტყობა, რომ შენ სიმდიდრეს უფრო  
დაეძებ  
და გსურს გრემიოს გაჰყვე, რომ მან კარგად გაცხოვროს!

ბიანკა—ნუთუ ისიც გშურს შენ ჩემთვისა? მაშ, ალბათ  
ხუმრობ,

ახლა კი ვხედავ, რომ შენ თურმე მეხუმრებოდი,  
გემუდარები, კატარინა, ხელი გამიხსენ!

კატარინა—მაშ თუ ასეა, დაე, ესეც ხუმრობა იყოს!

(სცემს. შემოდის ბაპტისტა)

ბაპტისტა—რა ამბავია? ერთი შეხვით ამ ქალბატონსა!

საიდანა გაქვს, ქალბატონო, ეს ბოროტება?

ბიანკა, წადი, გაეცალე. საწყალი სტირის...

წადი, ხელსაქმეს დაუბრუნდი, რას ჩააცვივდი?

ფუი! გრცხვენოდეს, ში ასპიტო, ეშმაკის სულო,

რად სჩაგრავ? მისგან როდის გახსოვს თუნდ მცირე  
წყენა?

შენთვის ხომ მაგას თუნდაც მწარე სიტყვა არ უთქვამს?

კატარინა—მისი სიჩუმე შეურაცხმყოფს და შურს ვიძიებ.

(მივარდება ბიანკას)

ბაპტისტა—როგორ? ჩენს თკალწინ! (აშველებს) წადი მეთქი,  
წადი, ბიანკა!

(ბიანკა გადის)

კატარინა—ამასაც მიშლი? ახლა კი მე მშვენივრად ვხედავ,

რომ თქვენს საუნჯედ მიგაჩნიათ თქვენი ბიანკა:

გინდათ, რომ იგი გაათხოვოთ და მე კი გძულვართ.

აქ, მის ქორწილში ფეხშიშველმა უნდა ვიცეკვო,

და ჯოჯოხეთში ვათამაშო მაიმუნები! \*

სიტყვაც არ მითხრათ... წავალ და ბედს გამოვიტოვებ,

სანამ შემთხვევას არ ვპოვებ რომ შური ვიძიო!

(გადის)

ბაპტისტა—სხვა რომელ მამას განუცდია ასეთი ცეცხლი,

რაც მე გულს მიკლავს? მაგრამ აქეთ ვილაცა მოდის!

(შემოდის გრემიო, ლუჩენციო—ღარიბულად ჩაცმული, პეტრუჩიო

ჰორტენზიო—მუსიკოსად გადაცმული, ტრანიო—მდიდრულად ძორ

თული და ბიონდელიო—ფანდურითა და წიგნებით ხელში).

\* ინგლისში ხალხური ცრუმორწმუნეობა დარჩენილი: თუ ქალი გაუთხოვრად დაბერდა, მას საიქიოში ცხრა მაიმუნს ჩააბარებენ მოსაველედად და სათამაშოდ.

გრემიო—დილანშვიდობის, მეზობელო, ჩემო ბაპტისტა  
ბაპტისტა—დილანშვიდობის, მეზობელო, ჩემო გრემიო!  
ღმერთი გფარვიდეთ, ბატონებო, მოგესალმებით.  
პეტრუჩიო—აგრეთვე თქვენცა, გულკეთილო ბატონო ჩემო.  
გავიგე, რომ გყავთ ქალიშვილი—საანო და ტურფა,  
სახელად უხმობთ კატარინას...

ბაპტისტა— დიახ, მყავს ქალი,  
და მას ნამდვილად კატარინა ჰქვიათ სახელად!

გრემიო—(პეტრუჩიოს)  
როგორ უშნოდ და უცბად იწყებ? თქვი წესიერად!  
პეტრუჩიო—გთხოვ, ხელს ნუ მიშლი, გრემიო! (ბაპტისტას)  
მე ვერონიდან ვარ,

მესმა რა თქვენი ქალიშვილის უსაზღვრო ქება,  
მისი ნშვენება, მოკრძალება, გონიერება  
და ყოფაქცევა, ადემამოსილ ზნეობით საესე,  
გავკადნიერდი მოვსულიყავ მო-წვეველად,  
რომ რაც მსმენია თქვენს ასულზე—თვალთ მენახა!  
და ნიშნად კეთილ სტუმრობისა, მე წარმოგიდგენთ  
ჩემს ერთგულ მსახურს (წარუდგენს ჰორტენზიოს) მანტუელ  
მკვიდრს, სათნო ლიჩიოს,  
დახელოვნებულ მუსიკოსს და მათემატიკოსს,  
რომ მან თქვენს ასულს შეასწავლოს მეცნიერება,  
რაც იმისათვის, როგორც ვიცი, უცხო არ არი!  
გთხოვთ, მიიღოთ და უარის თქმით არ მაწყენინოთ.

ბაპტისტა—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ბატონო ჩემო.  
თქვენი გულისთვის მას მივიღებ, მაგრამ ვიცი, რომ  
თქვენ კატარინა არ შეგფერით, ჩემს სამწუხაროდ!

პეტრუჩიო—გხედავ, თქვენ მასთან განშორება გიმძიმთ და  
არ გსურთ,  
ან, ალბათ, თვით მე არ მოგწონვართ და მიზეზს ეძებთ.

ბაპტისტა—გთხოვთ, სხვანაირად ნუ გამიგებთ, მე  
ჩემს აზრს ვამბობ.  
სადაური ხართ, ბატონო? თქვით თქვენი სახელი.

პეტრუჩიო—მე პეტრუჩიოს მიწოდებენ, შვილი გახლავართ  
იტალიაში ყველგან ცნობილ ანტონიოსი.

**ბ ა პ ტ ი ს ტ ა**—მას კარგად ვიცნობ და გულწრფელად მოხარული ვარ,  
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩემსა ოჯახში.

**გ რ ე მ ი ო**—გთხოვთ, პეტრუჩიო, რომ მცირე ხანს, თუნდ  
ერთის წამით,  
ლაპარაკისთვის ჩვენც გვაცალოთ, საწყალ  
მთხოვნელებს. თქვენ ერთობ ჩქარობთ და ვხედავ, რომ  
ღრმადაც შესტოპეთ!

**პ ე ტ რ უ ჩ ი ო**—გთხოვთ პატიებას! მე ვიჩქარებ სიამოვნებით,  
რომ კატარინას შერთვის საქმე დავაგვირგვინო!

**გ რ ე მ ი ო**—ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ისიც უეჭვო არის—  
რომ თქვენ დასწყევლით კატარინას ცოლად შერაგვის  
წამს! (ბაპტისტას) მეზობელო, ცხადია, პეტრუჩიოს ნო-  
ბათმა დიდად გაამათ. მსურს ჩემის მხრითაც გამოვხატო  
ღირსეული პატივისცემა თქვენდამი, რადგან თქვენ სხვებ,  
ზე მეტის ყურადღებითა და თავაზით მეპყრობით. ამ  
პატივისცემის საწინდარად ნება მიბოძეთ წარმოგიდგი-  
ნოთ ეს ახალგაზრდა მეცნიერი (წარუდგენს ლუჩენციოს).  
იგი დიდხანს სწავლობდა რაიმსში; ისევე დახელოვნებუ-  
ლია ბერძნულსა, ლათინურსა და სხვა ენებში, როგორც  
ის პირველი—მუსიკასა და მათემატიკაში. ამ ახალგაზრ-  
დას სახელად კამბიო ჰქვია, გთხოვთ, მიიღოთ მისი  
სამსახური.

**ბ ა პ ტ ი ს ტ ა**—უსაზღვროდ გმადლობთ, ბატონო გრემიო! კე-  
თილი იყოს ჩვენი გაცნობა, სათნო კამბიო! მაგრამ...  
(მიუბრუნდება ტრანიოს) თქვენ რაღაც არ მეცნობით, შეიძ-  
ლება გავკადნიერდე და ვიკითხო მიზეზი თქვენი აქ  
მობრძანებისა?

**ტ რ ა ნ ი ო**—ბოდიში მმართვებს, რომ მე თვითონ გავკადნიერდი:  
სრულიად უცხო ამ ქალაქში, მოვედი თქვენთან  
და ვხედავ, გთხოვთ ულამაზეს ბიანკას ხელი.  
ცნობილი არის ჩემთვის თქვენი მტკიცე განზრახვა,  
რომ უწინარეს უფროს ასულს ათხოვებთ მხოლოდ

და ერთადერთი მოწყალება, რაც მინდა გთხოვოთ—  
ეს არის ის, რომ, როს შეიტყობთ ჩემს ვინაობას,  
ნება მიბოძოთ ვითვლებოდე მეც, სხვებთან ერთად,  
ბიანკას ხელის მადიებლად და თქვენს ოჯახში  
შემოსვლისათვის მათ თანაბრად მომცეთ \* დასტური.  
ხოლო მისთვის კი, რომ ჩემის მხრით ხელი შევეწყო  
თქვენი ქალების აღზრდის საქმეს, მორჩილად გიძღვნით  
ამ ხელსაწყოს და ამ ბერძნულ და ლათინურ წიგნებს!  
და თუ მიიღებთ—მათ უდიდეს ფასს დასდებთ ამით!  
(სთავაზობს ფანდურს და წიგნებს)

ბ ა პ ტ ი ს ტ ა — ლუჩენციო გქვიანთ თქვენა?.. სადაური ხართ?  
ტ რ ა ნ ი ო — მე პიზელი ვარ, ვინჩენციო ჰქვიან მამაჩემს.

ბ ა პ ტ ი ს ტ ა — დიახ, მსმენია, გაველენიან კაცად ითვლება.  
კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, ჩემო ბატონო!  
(ჰორტენზიოს)

აიღეთ თქვენ ეს ფანდური (ლუჩენციოს)  
და თქვენ ეს წიგნები!

ახლავე წახვალთ ჩემს ქალებთან ვაკვეთილებზე!  
ვი, მანდ ვან ხართ? (შკოპის მსახური)

ყური დამიგდე, ვაჟბატონო, ეს ბატონები  
ქალბატონებთან წაიყვანე და გადაეცი,  
რომ ღირსეულად მოექცნენ და ყური დაუგდონ,  
ვით მასწავლებლებს.

(გადიან მსახური, ჰორტენზიო, ლუჩენციო და ბიონდელო)  
გავიაროთ მცირე ხნით ბალში,  
შემდეგ კი ერთად ვისადილოთ. გთხოვთ,  
დამერწმუნოთ,  
რომ თქვენი მოსვლა, ბატონებო, დიდად მიხარის!

ბ ე ტ რ უ ჩ ი ო — ბატონო ჩემო, ვჩქარობ საქმის დაბოლოვებას,  
მე ცისმარე დღეს აქ ვერ ვივლი ნიშნობისათვის!  
რაკი გცნობიათ მამაჩემი—ამით მეც მიცნობთ.  
მე ვარ მემკვიდრე მის სიმდიდრის და მამულების,  
რაიც არა თუ შევამცირე, უფრო გავზარდე.

ამიტომ ვთხოვთ, რომ გადაჭრით სთქვათ: რას მომცემთ მზითვად,

თუ თქვენი ქალის სიყვარული დავიმსახურე?

ბაპტიستا—ოცი ათას კრონს მე ნაღდ ფულად ახლავე გაძლევთ,

თუ მას შეირთავთ,—ხოლო ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემთა მამულთა ნახევარი თქვენი იქნება!

პეტრუჩიო—ამ ქონებისთვის უზრუნველვყოფ იმას საქვრივო

მზითვით ჩემს მხრივაც: თუ მან ჩემზე მეტხანს იცოცხლა, მთლად ჩემს მამულებს და ქონებას მას ვუანდერძებ.

აწ ყოველივე წერილობით აღვნიშნოთ მტკიცედ და ის ჩავთვალოთ გარიგებად ურთიერთშორის.

ბაპტიستا—ჯერ მთავარია—მოიპოვოთ მის სიყვარული, რადგან იგი სწყვეტს ყველა საკითხს, რაზეც აქ ვმსჯელობთ.

პეტრუჩიო—ამაზე არც ღარს, უნდა ვითხრათ, სიმამრო ჩემო,

რომ მე ისევე მტკიცე ვარ და შეუდრეკელი, როგორც ამაყი და ფიცხია თქვენი ასული.

როს ბობოქარი ორი ცეცხლი ერთმანეთს ხედება— ისინი ნთქავენ მას, რაც ჰკეიბავს მათს ბობოქრობას,— ასე, ნაპერწკალს მცირე სიო დიდ ხანძრად აქცევს, დიდ ქარიშხალს კი—შეუძლიან ხანძრის ჩაქრობა!

ჩემის სიმკაცრით მეც მოვდრეკავ მის სიჯიუტეს,— ბაღლი ხომ არ ვარ, რომ ვცდებოდე მე ამ საქმეში?

ბაპტიستا—მაშ თუ ასეა, შეეცადე, გულით გისურვებ კეთილ ბოლომდე მიგრყვანოს შენმა სისწრაფემ, მაგრამ მზად იყავ გაუმკლავდე მის მედგარ სიტყვებს.

პეტრუჩიო—მე მას გავუძლებ, ვერ შემარყევს, როგორც საღ კლდეებს

იოტისოდენ ძვრას ვერ უზამს მძაფრი გრიგალი.

(შემოდის ჰორტენზიო, თავგატეხილი)

ბაპტიستا—რა მოხდა? რად ხართ, მეგობარო, ფერდაკარგული?

ჰორტენზიო—შიშისაგან ვარ ფერწასული, დიახ,  
შიშისაგან!

ბაპტისტა—რას იტყვიო? ამჩნევთ მუსიკის ნიჰს ჩემს  
უფროს ასულს?

ჰორტენზიო—გვონებ, ის მხედრად უფრო ვარგა და  
შეჭფერის, რომ  
ფოლადის შუბი ეპყრას ხელში, ვიდრე ფანდური!

ბაპტისტა—მაშ ვერ გაწროთენით, რომ მას შეეძლოს  
ფანდურის დაკვრა?

ჰორტენზიო—ფანდურის დაკვრა უკვე შესძლო იმან ჩემს  
თავზე!

როს მოკრძალებით აგუხსენ, რომ საკრავის ტარზე  
ქდეულთა შორის ის შეცდომით აქერდა თითებს  
და ოდნავ ხელი მოვულუნე, რომ განმემატა,  
მან სატანური გაცოფებით შემომიძახა:

„მაშ თქვენ ქდეულებს უწოდებთო ამ რალაც ხაზებს?  
მე თქვენ დაგაქდევეთ ახლავეო“ და ამ სიტყვებით  
თავზე დამთხლიშა ის საკრავი მთელის ძალღონით,  
ფიცარი უმაღ გადაიპო და მე ანაზდად  
გოგრა გავყავი იმ განაპობ საკრავის ღრუში,  
დაერეტიანდი და გავმეშდი ხმაგაკმენდილი,  
ვით მსჯავრმიზღული სამარცხვინო ბოძის წინაშე...  
ის კი მომდგა და მიწოდებდა ხან მეელარუნეს,  
ხან მაწანწალა მეფანდურეს და ხან სხვა სიტყვებს,  
რაც თითქოს განგებ უსწავლია ჩემს საღანძღავად!

პეტრუჩიო—ჩემს თავსა ვფიცავ, მხიარული გოგო ყოფილა!  
ის ათჯერ უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე აქამდე,  
ო, როგორ მწყურის მასთან ყოფნა და საუბარი!

ბაპტისტა—(ჰორტენზიოს) მაშ წამომყევით, დამშვიდდით  
და გულს ნუ გაიტეხთ.

ასწავლეთ ჩემსა უმცროს ასულს: ის სათნო არის,  
ნიჰიც დიდი აქვს, მადლიერიც დაგრჩებათ დიდად  
თქვენი კეთილი სამსახურის გაწევისათვის.  
თქვენ კი, ბატონო პეტრუჩიო, თან წამოგყვებით,  
თუ ჩემი ქალი—კატარინა აქ გამოვგზავნო?



პეტრუჩიო — მორჩილად გთხოვთ, გამოგზავნოთ, მე აქ  
დავუცდი.

(გადიან ბაპტისტა, გრემიო, ტრანიო და ჰორტენზიო)

გამიჯნურება გაბედულად უნდა დავუწყო:  
ვთქვათ, უმალ ლანძღვა წამოიწყო, მე მაშინ ვეტყვი,  
რომ ის ბულბულზეც საამურად მღერის ტკბილ ჰანგებს!  
თუ მოიღუშა—ვეტყვი, რომ მის სახე, ნათელი  
ახლად გაფურჩქენილ, ცვარნაკუტრებ დილის ვარდსა  
ჰგავს!

ან თუ დადუმდა ის სიბრაზით, სიტყვაც არა სთქვა,  
მაშინ შევაქებ მის საუბარს, ენაწყლიანსა,  
ვეტყვი, რომ მსმენელს აღნობს მისი მქვერმეტყველება  
და თუ გაგდება მოძინდომა—მადლობას ვეტყვი,  
ვითომც ის მთხოვდეს მთელი კვირით სტუმრად  
დარჩენას;

თუ ცოლობაზე უარს მეტყვის—ესთხოვ დანიშნოს დღე  
ეკლესიაში წასვლისა და ჯვრისწერისათვის!  
მაგრამ ჩუ! მოდის! პეტრუჩიო, ილაპარაკე!

(შემოდის კატარინა)

სალამი კატას! მსმენია, რომ თქვენ კატა გქვიანთ!

კატარინა—გსმენიათ, მაგრამ გეტყობათ, რომ ყრუ უნდა  
იყოთ,

მე კატარინას მიწოდებენ ნამდვილ სახელად!

პეტრუჩიო—ვფიცავ, თქვენ სტყუით, ნამდვილად კატას  
გიწოდებენ,

მშვენიერ კატას და ზოგჯერ კი ფხაკნია კატას!  
მაგრამ მაინც კი უტკბეს კატას, უნახეს კატას,  
კარგო კატუნი, ჩემო კატავ—საკატეთიდან,  
ფალუსტაკივით საკნატუნევ! ძვირფასო კატავ!  
ყური დამიგდე, ჩემო კარგო, ჩემო კატუნი:  
მესმა რა შენი სილამაზის უსაზღვრო ქება,  
შენი სინაზის, სათნოების დიდება ყველგან  
(თუმც მასზე სუსტი, რა დიდების ღირსიც შენა ზარ),  
მტკიცე სურვილით აღვიძარი—ცოლად შეგიერთო.



კატარინა—აღვიძარიო? მაშ ვინც აღგძრათ აქ  
მოსვლისათვის,

იმანვე დაგძრათ თქვენ აქედან. გნახეთ თუ არა,  
უმაღლვე მივხვდი, რომ თქვენ სწორედ მოძრავი სჩანდით.

პეტრუჩიო—როგორ? რა არის ეგ მოძრავი?

კატარინა— საკეცი სკამი!

პეტრუჩიო—გამოიცანი. მაშ მოდი და ზედ დამაჯექი!

კატარინა—ტვირთის საზიდალ ღმერთს ვირები გაუჩენია,  
თქვენც ასევე ხართ!

პეტრუჩიო—ჩვენს საზიდალ კი ღმერთს ქალები გაუჩენია!  
თქვენც ასევე ხართ!

კატარინა—არა თქვენგვარი ჯაგლაგისთვის ვარ გაჩენილი,  
თუ მე მგულისხმობთ.

პეტრუჩიო—ო, კატუნიავე, მე შენ სულაც არ დამამძიმებ,  
რადგან ვიცი, რომ ახალგაზრდა და მსუბუქი ხარ!

კატარინა—მეტად მსუბუქი, რომ ბრიყვებს არ დავექვინო  
და, ამასთანვე, იმ წონისა, როგორც შემფერის!

პეტრუჩიო—მსუბუქი—მკვირცხლი ფრთოსანივით?

კატარინა— მშვენივრად მიხვდით,  
მსუბუქი, მკვირცხლი ფრთოსანივით, თან სუსხიანიც.

პეტრუჩიო—მაშ შევარდენი მოგიტაცებს, ფარფატა  
მტრედო!

კატარინა—თქვენ მტრედს უფრთხილდით: ის თქვენგვარ  
ბუზს იტაცებს ხოლმე!

პეტრუჩიო—ჩემო კრაზანავ, გეყოფათ, თქვენ მეტად  
გაბრაზდით!

კატარინა—თუ კრაზანა ვარ, გეშინოდეთ ჩემი ნესტარის!

პეტრუჩიო—წამალი ვიცი: მე მაგ ნესტარს ამოგაწიწკნი.

კატარინა—თქვენებრ სულელმა არც კი იცის, სად მაქვს  
ნესტარი.

პეტრუჩიო—ვინ აღარ იცის თუ კრაზანას სად აქვს  
ნესტარი?

კულის ძირში აქვს!

კატარინა— ენის წვერში!

პეტრუჩიო— ვის ენის წვერში?

კატარინა—მაგ თქვენს კარტალა ენის წვერში, რაკი  
კულებზე ლაპარაკობთ!

აწ კი მშვიდობით!

პეტრუჩიო—მაშ ჩემის ენით—თქვენს კულის ძირში?

არა, ნუ წახვალ, კატუნი, მე აზნაური ვარ...

კატარინა—ამასაც ვნახავთ, მაშ გამოგცდით. (შემოჰკრავს)

პეტრუჩიო—დაგზუბნი, თუ კიდევ შემომკრავ!

კატარინა—თუ მცემთ, მაშინ ხომ აზნაური აღარ იქნებით!

და თუ ეს მოხდა, მაშინ ღერბიც დაგეკარგებათ!

პეტრუჩიო—მაშ შენ ჩამწერე შენს დაფორებში,

ჰერალდიკოსო!

კატარინა—რომელი არის თქვენი ჯილა? მამლის ბიბილო?

პეტრუჩიო—არა, პირდაპირ უბიბილო მამლად ჩამწერე,

და თანაც გირჩევ, თვითვე გახდე ჩემი დედალი!

კატარინა—ნუ ვაირჯებით, თქვენ ჩემს მამლად არ

გამოდგებით!

რადგან წიწილას უფრო გიგავთ „წიაგ-წიაგი!“

პეტრუჩიო—კატი! კატუნი! ეგრე მჟავედ რატომ მიცქერი?

კატარინა—ასე მჭირს მულამ, როცა კიბოს ვუყურებ ხოლმე!

პეტრუჩიო—მე ვერსად ვხედავ აქ კიბოს და ამიტომ ასე

მჟავე სახით ნუ იცქირები!

კატარინა— მე კი ვხედავ მას.

პეტრუჩიო—მეც მაჩვენე.

კატარინა— გაჩვენებდით, სარკე რომ მქონდეს.

პეტრუჩიო—მაშ, ჩანს ჩემს სახეს გულისხმობ შენ!

კატარინა—გამოიცანი. მიხედრილი ყმაწვილი სჩანხარ!

პეტრუჩიო—წმინდა გიორგის გეფიცები, თქვენთან მე

მართლაც

რომ ყმაწვილი ვარ!

კატარინა— მაგრამ მაინც გამოფიტული.

პეტრუჩიო—ეს დარღმა მიყო!

კატარინა— ეგ მე სულაც არ შედარდება.

პეტრუჩიო—ო, შესდექ, კატი! შენ მე ასე ვერ გამისხლტები.

კატარინა—თუ მეტხანს დავრჩი, კიდევ უფრო მეტად

გაგლანძღავთ!

პეტრუჩიო—ო, არასოდეს! შენ მორცხვი და თავდაბალი ხარ!

ბრალად კი გდებდნენ უხეშობას, ველურ სიმკაცრეს, ახლა მე ვხედავ, რომ ეს მხოლოდ ქორი ყოფილა! შენ ხომ დინჯი ხარ, უაღრესად თავაზიანი, სიცოცხლით სავსე, გულკეთილი, მკვირცხლი, კუდრაქა და ისე ნაზი, როგორც ია გაზაფხულისა! შენ არ გჩვევია წარბის შეკვრა, ირიბად ცქერა, ტუჩების კენჭა, ბრაზიანი გოგოებივით, ლაპარაკის დროს—პირში შებმა სულაც არ გიყვარს და ტკბილ საუბრით მუდამ ნიბლავ საქმროების გულს. მაშ რად გქორავენ, თითქოს კატი კოჭლი არისო? ო, გამკილავო ქვეყნის ენავ! შენ მას ცილს სწამებ: ის ტანსარო და წერწეტაა—თხილის ყლორტივით, მისებრ შავტუხა, მაგრამ ტკბილი იმის ნაყოფზეც. არა, შენ სულაც არა კოჭლობ!—აბა გაიარე!

კატარინა—კმარა, რეგვენო, მას უბრძანეთ, ვისაც თქვენ არჩენთ.

პეტრუჩიო—განა დიანა ასე კდემით ამკობდა ქალაკს, როგორც ამ დარბაზს ამკობს კატი, მეფურ იერით? მაშ, დაე, კატი სათნო იყოს დიანასავით, ხოლო დიანა კი—გიჟმაჟი, მოუსვენარი!

კატარინა—სად ისწავლეთ ეს საუცხოო საუბრის კილო?

პეტრუჩიო—ეს ექსპრომტები გამომყვა მე დედაჩემისაგან.

კატარინა—რა ჭკვიან დედის ჭკვით ღარიბი შეილი ყოფილხარო!

პეტრუჩიო—მაშ, ამბობ რომ ჭკუა მაკლია მე?

კატარინა—დიახაც, მაგრამ  
არც თუ იმდენად, რომ მან თბილად ვერ შეგინახოთ.

პეტრუჩიო—მეც ეგ მწადიან, ტკბილო კატი, და კარგად ვიცი,

რომ შენს საწოლში უფრო მეტი სითბო იქნება; ამიტომ კმარა ლაყბობა და საქმეს შევუდგეთ. გეტყვი პირდაპირ: მამაშენი თანახმა არის, რომ შენ შეგიერთო. მზითევზედაც უკვე მოვრიგდით;

გსურს, თუ არა გსურს—ქორწინება მაინც მოხდება,  
რადგან, გარწმუნებ, რომ ნამდვილი საქმრო ვარ შენი!  
ფფიცავ სინათლეს, რომელიც შენს სიტურფეს ამკობს,  
რომ აწ ჩემს გარდა ცოლად ვერვის ველარ გაჰყვები.  
თვითონ განგებამ დამბადა მე შენს მომრჯულეზლად—  
ანჩხლ და გარეულ ქსუ კატიდან—ოჯახის ფისოდ!..  
აგერ, აქ მოდის მამაშენიც... უარი არ სთქვა,  
მე შენი ცოლად შერთვა მსურს და შეგიერთავ კიდევ!  
(შემოდინ ბაპტისტა, გრემიო და ტრანო)

ბაპტისტა—აბა, ბატონო პეტრუჩიო, როგორ მორიგდით  
ჩემს ქალიშვილთან?

პეტრუჩიო— რა თქმა უნდა, სამაგალითოდ,  
შეუძლებელი იყო, რომ ვერ მოვრიგებოდი!

ბაპტისტა—შენ? ჩემო შვილო, კატარინა, შენ რაღას  
იტყვი?

კატარინა—კიდევ შვილად მივლი? ეხლა კი მე მშვენივრად  
ვხელავ

რა მზრუნველი და მოყვარული მამა მყოლია,  
რომელიც ცდილობს ქვაზე შეშლილს მე ცოლად მიმცეს,  
ხოლო ამ ვიდაც გადარეულს, პირბოშა რეგენს  
სწადიან, ჩემთან თავხედობით გააწყოს საქმე!

პეტრუჩიო—(ბაპტისტას) როგორც თქვენ, ისე მიელს  
ქვეყანას, ამ ქალიშვილზე

გქონიათ მცდარი აზრი, თითქოს ის ანჩხლი იყოს.  
რა ბრძანებაა! თურმე განგებ ეშმაკობს ასე!  
ანჩხლი კი არა, მოლულუნე მტრედი ყოფილა!  
ცხარე კი არა, წყნარი არის ისე, ვით დილა!  
თავდაბლობით და მოკრძალებით ლუკრეციას ჰგავს,  
მოთმინებით კი—თვით მეორე გრიზელდა არის!  
მოკლედ: ჩვენ უკვე შეგვიყვარდა ერთიმეორე  
და კვირისათვის ქორწილიც კი დავნიშნეთ ერთად.

კატარინა— ნუმც მოსწრებხარ!.. ნეტავ შაბათს  
ჩამოგახრჩობდნენ!

გრემიო— ჩამოხრჩობა ჰსურს, პეტრუჩიო, შენი, ხომ გესმის?  
ტრანო— ასე მორიგდით? მაშ წასულა მთლად ჩვენი საქმე!

პეტრუჩიო—გთხოვთ, რომ გვაცალოთ, ბატონებო, ეს ქალი ჩემთვის

ამოვირჩიე და ჩვენ ამით კმაყოფილნი ვართ.  
შეეთანხმდით კიდევ, როცა ორნი ძარტო ვიყავით,  
რომ ხალხში იგი შეეცდებოდა კვლავ ანჩხლი იყოს.  
გეფიცებით, რომ დაჯერებაც ძნელია მისი,  
თუ რა ძლიერად ვყვარებივარ—მშვენიერ კატის:  
ჩამომეკიდა კისერზე და სულმოუთქმელად  
დამიწყო კოცნა. თან სიყვარულს მეფიცებოდა!  
ასე, ტრფიალით ჩემი გული მოინადირა  
და ცოლად შერთვის პირობაზე ნებას დავყევი!  
თქვენ გამოუტდეღ ბავშვებს ჰგავხართ და ჯერ არ იცით,  
თუ რა სასწაულს ნიშნავს ქალთან მარტო დარჩენა:  
თვით მხდალს, უბადრუკს, ჩია კაცსაც კი შეუძლიან  
ქირვეულ ცოლის მორჯულება მარტო ყოფნის დროს.  
ხელი მომეცი, კატი! ვჩქარობ ვენეციაში,  
რომ საქორწილო ტანსაცმელი შევაკერინო.  
თქვენ კი თადარიგს შეუდექით, სიმამრო ჩემო,  
მოუხმეთ სტუმრებს და ლხინისთვის მოემზადენით,  
დარწმუნებული ვარ, რომ კატი ყველას მოხიბლავს.

ბაპტისტა—არ ვიცი რა ვთქვა... მაშ მომეცი თ ორივემ  
ხელი,  
ღმერთმა გაკურთხოთ, თქვენ ერთუერთის შესაფერი ხართ.  
გრემიო | ამინ! ჩვენც ვამბობთ და მოწმე ვართ  
და ტრანიო | მათი ნიშნობის.  
პეტრუჩიო—მამავ, მეუღლე, ბატონებო, მშვიდობით  
გნახეთ!

მე კვირა დილას დავბრუნდები ვენეციიდან,  
რომ მოვიტანო ბეჭდები და სამკაულები.  
მაკოცე, კატი, კვირას ჩვენი ქორწილი არის.

(გადიან პეტრუჩიო და კატარინა—სხვადასხვა მხარეს)

გრემიო—ასეთი სწრაფი ქორწინება ჯერ არ მიჩახავს!

ბაპტისტა—სასოწარკვეთილ ვაჟარს ვგვევარ, ვისც საქონელი  
კუდ ბაზრობაზე ალაღბედზე გამოაქვს ხოლმე.



ტრანო—ეგ საქონელი თაროს გეწყოთ და გაწუხებდით  
აწკი მოგებას მოგცემთ, ან და ზღვებში დაგელუებათ.

ბაპტისტა—მოგებად ჩავთვლი მე ამ წყვილის მშვიდობიან  
ხვედრს.

გრემიო—ო, ბედნიერი ხვედრი ერგო თქვენს უფროს ასულს!  
ახლა კი—უმცროს ქალიშვილზე ვილაპარაკოთ.

დადგა დღე, როცა უნდა ახდეს დიდიხნის ნატვრა:  
მეზობელი ვარ მე თქვენი და ნუ დაივიწყებთ,  
რომ მე პირველმა გთხოვეთ ტურფა ბიანკას ხელი.

ტრანო—მე კი იმაზე უფრო მეტად მიყვარს ბიანკა,  
ვიღრე ეს სიტყვით გამოითქმის, ან თქვენ მიხედვებით.

გრემიო—ჰაბუკო! ჩემი სიყვარული უფრო მტკიცეა!

ტრანო—ჰარმაგო, შენი სიყვარული მის გულს გაჰყინავს.

გრემიო—შენი კი—დასწავას. ჩამოდექი, ძუძუმწოვარო,  
ხნიერთ ჰასაკი დოვლათიანს იძლევა საზრდოს!

ტრანო—ახალგაზრდობა კი ქალის გულს უფრო აამებს!

ბაპტისტა—დაწყნარდით, ბატონებო, ამ დავას თვითონ  
გადავწყვიტ:

რომელ თქვენგანსაც შეუძლიან მეტის სიმდიდრით  
უზრუნველჰყოს ის დაქვრივების შემთხვევის გამო,  
ბიანკას გულიც მას აირჩევს. ბრძანეთ, გრემიო:  
თქვენს ცოლს რას დაუტოვებთ თქვენი სიკვდილის  
შემდეგ?

გრემიო—თქვენც კარგად იცით, პადუაში ჩემი სახლკარი  
მდიდრულად არის შემკობილი ოქროთ და ვერცხლით,  
იგი სავსეა სურათებით, ძვირფას სურებით,  
ნაზი, ხელების დასაბანი ლამაზ თასებით,  
ტიროსის წმინდა ხელსაქნარით, ნაქსოვ ფარდებით,  
სპილოს ძვლის ნაკვეთ ზანდუკებში ოქრო მიწყვიდა  
და კვიპაროსის სკივრებში კი—ნოხი და ფარჩა,  
უძვირფასესი სამოსელი და ქსოვილები,  
საჩრდილობლები, ოსმალური ბალიშ-მუთაქა,  
მარგალიტებით მოოჭვილი ტანსაბურავი,  
ვენეციური ოქრომკედი, ბაფთა, ხავერდი,  
რვალი, ბრინჯაო, მინანქარი და სხვა დოვლათი  
ავსებს ჩემს ოჯახს. ამას უნდა დავსძინო ისიც,

რომ ნახირში მყავს ასეული მეწველი ძროხა,  
ხოლო ბოსლებში-- ასოცამდე ნაკვები ხარი.  
გამოგიტყდებით, რომ მე უკვე ხანდახმული ვარ  
და, ხვალ რომ მოვკვდე-- ეს ქონება ბიანკას რჩება,  
თუ სანამ ვცოცხლობ--იგი ჩემი ცოლი იქნება.

ტ რ ა ნ ი ო — ბატონო ჩემო, თქვენ ეგ „მხოლოდ“ კარგად  
წამოგცდათ!

მეც მომისმინეთ: მამაჩემის დიდი ქონების  
მემკვიდრე მხოლოდ მე ვარ, და, თუ თქვენ ქალს  
გამატანთ,

მას ვუანდერძებ სამს, ან ოთხ სახლს--ქალაქ პიზაში,  
ისევე მდიდრად მოწყობილებს, როგორც ჰქონია  
მოხუც გრემიოს პადუაში, ამასთან ერთად  
მას წილად მივცემ ორი ათას დუკატს წლიურად  
ნაყოფიერი მამულების შემოსავლიდან.

ახლა რას იტყვით, გრემიო? ხომ კარგად მოგწუროთ?

გ რ ე მ ი ო — ორი ათასი დუკატიო, ყოველწლიურად?  
ჩემი მიწები სულ მაგ ფასად არც ელირება.  
მაგრამ მე დავსძენ: ის მიიღებს ჩემს სავაჭრო გემს,  
რომელიც ახლა დგას მარსელის ნავსაყუდარში!  
(ტრანიოს)

ახლა რას იტყვი? ხომ დავახრჩე მე ჩემი გემით?

ტ რ ა ნ ი ო — მამაჩემსა აქვს სამი დიდი სავაჭრო გემი,  
ორი კარჭაბა და თორმეტი მცირე ხომალდი;  
მე ყველა იმათ, საკუთრებად ვაძლევ ბიანკას  
და ორჯერ მეტსაც ამის შემდეგ, რასაც თქვენ მისცემთ.

გ რ ე მ ი ო — (ბაპტისტას) მე ყველაფერი შევთავაზე, რაც კი  
მებადა,  
სხვა არა მაქვს რა, მაგრამ თქვენ თუ დასტურს  
მიბოძებთ,

მისი ვიქნებით მეც და მთელი ჩემი ქონებაც.

ტ რ ა ნ ი ო — იგი ჩემია--თქვენი მტკიცე აღთქმის თანახმად,  
ქვეყნის წინაშე აწ გრემიო უკვე დამარცხდა.

ბ ა პ ტ ი ს ტ ა — საუკეთესო პირობაა, გამოგიტყდებით,  
თუ მამათქვენი უზრუნველყოფს მათს განაღდებას—



ქალი თქვენია, თუ არა და—მოტყევებას გთხოვთ ვთქვათ, რომ მამაზე აღრე მოკვლით—ქვრივს ვინ რას მისცემს?

ტრანო—თქვენ შარს მღებთ: მამა—მოხუცია, მე კი—  
ჭაბუკი.

გრემიო—განა არ ხდება, რომ მოხუცზე უფრო უადრეს  
მოკვდება ხოლმე ახალგაზრდა, სიცოცხლით საფსე?

ბაპტისტა—კარგი, შევწყვიტოთ, ბატონებო! აი, რას  
გეტყვით:

მოშავალ კვირას, როგორც იცით, უკვე ჯვარსა ვწერ  
ჩემს უფროს ასულს—კატარინას, შემდეგ კვირას კი—  
ჩემი ბიანკა პატარძალი იქნება თქვენი,  
თუ უზრუნველყოფთ თქვენს პირობას—თუ არა და მას  
ბატონ გრემიოს მივათხოვებ პირობისამებრ.  
აწ კი მშვიდობით, ბატონებო, ორივეს გმადლობთ!  
(გადის)

გრემიო—მშვიდობით, კარგო მეზობელო! (ტრანოს) შენ კი  
ყვინჩილავ,

არ მეშინიან მე აწ შენი მეტოქეობის,  
რადგან მამაშენს ჭკუა ისე არ დაუკარგავს,  
რომ სიბერის ჟამს ყველაფერი შენ დაგილოცოს,  
თვითონ კი შენის მოწყალების იმედით დარჩეს!  
ამაო ცდაა, ჩემო ბიჭო, ასეთი უხვი  
სულაც არ არის იტალური ბებერი მელა.  
(გადის)

ტრანო—ჯანდაბას წადი. გაიძვერავ, გიჩვენებ ოინს:  
ბანქოს ათიანს—შენს ქალაღებს გავაჭრევენებ  
და მით ჩემს ბატონს გავუჩარხავ განზრახულ საქმეს.  
ცრუ ლუჩინციო—მოახერხებს, რომ გამონახოს  
ყალბივე მამა, ვინჩენციო, ბენტივოლელი.  
აი, სერიცი ეს იქნება!—ჩვეულებრივად  
შამები შვილებს აჩენენ და აქ კი, პირიქით,  
შვილი გააჩენს თავის მამას, თუ არ გავწბილდი!  
(გადის)



## მოქმედება მესამე

ხურათი I

პადუა.

(ოთახი ბაპტისტას სახლში)

ლუჩენციო—კმარა, შესწყვიტეთ, მემუსიკევ, ნულარ  
აჭარბებთ!

თქვენ დაგავიწყდათ კატარინას გამასპინძლება?

პორტენზიო—მოჩნუბარო, ბუზლუნა პედანტო!

მუსიკა—ეს ხომ ციურ ჰანგთა დედოფალია!

ამიტომ, მისი სწავლებისთვის უპირატესი

უფლებაც მე მაქვს... მე ერთ საათს ვიმეცადინებ

და შემდეგ თქვენი გაკვეთილის ჯერიც დადგება.

ლუჩენციო—უტვინო ვირო! თქვენ იმდენიც არ  
წაგიკითხავთ,

რომ გაგერკვიათ თვით მუსიკის დანიშნულება:

იგი ხომ ჩვენი დასვენების საგანს შეადგენს

საქმიან შრომის დამთავრების შემდეგ. ამიტომ

ჯერ მე მაცალეთ, რომ ვასწავლო ფილოსოფია

და შემდეგ კია, გასართობად თქვენ დაუკარით!

პორტენზიო—შენს ჯიუტობას, ვაჟბატონო, ველარ  
ავიტან!

ბიანკა—თქვენ მე ორმაგად შეურაცხყოფთ, ბატონებო,  
მით,

რომ ჩხუბობთ მასზე, რის არჩევაც თვით შემიძლიან.

სკოლის მოწაფე ხომ არა ვარ, რომ მეშინოდეს მე გაწკებლებისა, ან მზლუდავდეს დრო და საათი? ვისწავლი ისე, ვით სურვილი იქნება ჩემი.

გთხოვთ, რომ შესწყვიტოთ ეგ კამათი, აწ დავსხდეთ მშვიდად და კვლავ განვაგრძოთ. (ჰორტენზიოს) სანამ საკრავს თქვენ ააწყობდეთ,

მანამდე უკვე დავამთავრებთ ჩვენს გაკვეთილსაც.

ჰორტენზიო — (ბიანკას) მაგის გაკვეთილს ხომ შესწყვეტო, როცა მოვემართავ?

ლუჩენციო — ეს არ მოხდება... თუმც მომართეთ თქვენი საკრავი!

ბიანკა — სად გავჩერდით უკანასკნელად?

ლუჩენციო — აქ, ქალბატონო!

Hic ibat Simois; hic est Sigeia tellus,

Hic steterat Priami regia celsa senis. \*

ბიანკა — გადამითარგმნეთ.

ლუჩენციო — Hic ibat, როგორც უკვე გითხარით, — Simois, მე ვარ ლუჩენციო, hic est — ვინჩენციოს შვილი — პიზიდან; Sigeia tellus, ასე გადაცმული, რათა მოვიპოვოთ თქვენი სიყვარული. Hic steterat, დიახ, მე, ლუჩენციო მოვედი აქ, თქვენს მთხოვნელად. Priami, ჩემი მსახური — ტრანიო, — regia, რომელიც ჩემს სახელს ატარებს; celsa senis, რათა ის ჩერჩეტი მოხუცი მოვატყუოთ.

ჰორტენზიო — უკვე მზად არის, ქალბატონო, ჩემი საკრავი. (ჰორტენზიო უკრავს)

ბიანკა — მაშ, მოვისმინოთ... ფუ!.. დისკანტი ტყუის!

ლუჩენციო — ჩააფუროთხე მაგ ნახვრეტებში და კვლავ ააწყე!

ბიანკა — აბა, ვნახოთ, ვთარგმნი თუ არა. Hic ibat Simois, მე თქვენ არ გიცნობთ, hic est Sigeia tellus, მე არ მჯერა თქვენი სიტყვები, — Hic steterat Priami, ფრთხილად იყავით, ყურს გვოგდებენ, არ გაგვიგონონ, regia, საკუთარ თავს ნუ დაენდობით, celsa senis, მაგრამ იმედსკი ნუ დაჰკარგავთ, გულს ნუ გაიტეხთ!

\* აქ დიოდა სიმონისი, აქ სიგეიის მიწაა, აქ იდგა მოხუცი პრიამოსის ბრწყინვალე სასახლე... (ოვიდიუსი. „ჰეროიდები“, V. I).

ჭორტენზიო—უკვე მოვმართე, ქალბატონო!

ლუჩენციო—აშკარად ვგრძნობ, რომ ბანი ტყუის!

ჭორტენზიო—ბანი კი არა, შენა სტყუი, შე ენაგრძელო!  
რა გულფიცხი და ტლანქია ეს ცრუ მეცნიერი!  
(თავისთვის)

ფეიცავ, აშკარად ის ჩემს სატრფოს უმიჯნურდება!  
Pedasculi, ახლა კი უკეთ გითვალთვალებ!

ბიანკა—იქნებ შემდეგში დაგიჯეროთ, ეხლა კი—ვეჭვობ!

ლუჩენციო—ო, ნუ იეჭვებთ, დამიჯერეთ, რომ ეასიდი—  
პაპის სახელით—აიაქსად იწოდებოდა.

ბიანკა—მასწავლებელი ხართ თქვენ ჩემი და მოვალე ვარ,  
რომ დაგიჯეროთ, მოვიფიქრებ ამაზე კარგად!  
ახლა კი კმარა. თქვენს გაკვეთილს ვიწყებთ, ლიჩიო!  
გთხოვთ, ბატონებო, ნუ მიწყენთ ამ კადნიერებას,  
რომ მე ორივეს გეხუმრებით ასე თანამად.

ჭორტენზიო—(ლუჩენციოს) თქვენ შეგიძლიანთ დაგეტოვოთ  
და გაისეირნოთ,

რადგან დღეს ჩემი გაკვეთილი სულაც არ გახლავთ  
ნაგულსხმევი სამხშიანი მუსიკისათვის!

ლუჩენციო—თქვენ მეტად მკაცრობთ! (თავისთვის) აქ  
დავიცდი და ვუთვალთვალებ,

ცხადად ვატყობ, რომ სიყვარულის სახმილით იწვის  
პატივცემული მემუსიკე—ბიანკასადმი!

ჭორტენზიო—ჯერ მომიტმინეთ: სანამ საკრავს  
შეეხებოდეთ

და ისწავლიდეთ ზედ თითების ამოძრავებას,  
მსურს განვიმარტოთ მე ანბანი ამ ხელოვნების;  
აგისნათ მისი დედააზრი, გასწავლოთ გამმა,  
უფრო სხარტად და გასაგებად, უფრო ადვილად—  
ვიდრე ოდესმე სხვა მუსიკოსს უსწავლებია.

აი, გარკვევით ყველაფერი აქა სწერია!

(აწვდის ქალადის გრაგნილს)

ბიანკა—გამმა ხომ უკვე კარგად ვიცი, დიდი ხანია!



ბიანკა—(კითხულობს)

მე გამმა ვარ—ჰარმონიას მე ვქმნი სრულს,  
„A—re: გამცნობთ პორტენზოს სიყვარულს,  
„B—mi: საქმროდ აირჩიეთ მხოლოდ ის,  
„C—fa—ut: მას თქვენ უყვარხართ გულით,  
„D—sol—re: ერთი საკრავი აქვს და მღერის ორ ჰანგს,  
„E—la—mi: ან შეიბრაღეთ, ან მოიკლავს თავს...  
მაშ ეს ყოფიღა თქვენი გამმა? არა, არა მაჟრს!  
მე ძველი გამმა უფრო მომწონს და ქარაფშუტა  
არ გახღავართ, რომ ნამღვიღი წესი ვანაცვალღ ამ  
თქვენს საოცარ გამოგონებას.

(მსახური შემოდის)

მსახური—მამა გიბრძანებთ, ქალბატონო, რომ მიატოვოთ  
წიგნები და დაეხმაროთ—დაალაგონ თქვენი დის ოთახი.  
ხომ იცით, რომ ხეალ ქორწიღია!

ბიანკა—მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მასწავლებლებო!

(გაღიან ბიანკა და მსახური)

ლუჩენციო—მაშ, ქალბატონო, აღარც მე მაქვს მიზეზი აქ  
დარჩენისა.

პორტენზიო—მე ჯი მაქვს ახღა მიზეზი, რომ ამ ცრუ  
პეღაგოგს

თვალღ ვაღვენო: მგონღ იგღ შეყვარებულს ჰგავს,  
მაგრამ ბიანკა! ნუთუ ისე გაღატაკღება  
შენღ გრძნობა, რომ მაგ მასხარას თვალს გაუსწორებ?  
და თუ კღ ასე ქარაფშუტა აღმოჩნღდი, მაშინ,  
გაჰყე ვისაც გსურს—პორტენზიოს აღარ უნღიხარ!  
იგღ სხვით შეგცვღის და შენ ამით გაგღსწორღება.

(გაღის)



ბაპტისტას სახლის წინ.

(შემოდინ ბაპტისტა, გრემიო, ტრანიო, კატარინა, ბიანკა, ლუჩენციო და მსახურნი)

ბ ა პ ტ ი ს ტ ა—(ტრანიოს) ბატონო ლუჩენციო, თქვენ ხომ იცით, რომ დღეს

კატარინას და პეტრუჩიოს ქორწილის დღეა! მაგრამ ჩვენი სასიძო კი ჯერ კიდევ არსად ჩანს! რას იტყვის ხალხი? მღვდელი უკვე ტაძარში იცდის, რომ შეასრულოს საქორწინო წესი და რიგი, საქმრო კი არ ჩანს,—ეს სულელურ ხუმრობასა ჰგავს! რას იტყვით ამ ჩვენს შერცხვენაზე, ლუჩენციო?

კ ა ტ ა რ ი ნ ა—ეს მხოლოდ ჩემი შერცხვენაა! იძულებული ვარ ხელი მივცე ვილაც სულელს, მკვებარა თავხედს, ვინც გზად გავლისას ინიშნება, თავშესაქცევად და ქორწინებას ფიქრობს მხოლოდ მოკლილობისას. აკი გითხარით—დასაბმელი გიქია მეთქი?

ტლანქ ყოფაქცევით ჰსურს დაჰფაროს მწარე დაცინვა და რომ უდარდელ ხუმარად მან თავი აჩვენოს, ათას საცოლეს აირჩევს და ქორწილს დანიშნავს, ეკლესიაში დაიბარებს თავის მეგობრებს, მაგრამ თვითონ კი აღარ მივა დანიშნულ ადგილს. აწ კატარინა ხდება თითოთ საჩვენებელი, იტყვიან: შეხეთ, პეტრუჩიოს ცოლი არისო, ნეტავი მოვიდოდეს და ჯვარს დაიწერდესო.

ტ რ ა ნ ი ო—მოითმინეთ კეთილო კატარინა და ბაპტისტა! გეფიცებით, რომ პეტრუჩიო არ მოგატყუებთ! ალბათ დაბრკოლდა, მაგრამ სიტყვას მაინც არ გასტებს, მე ვიცნობ, თუმცა უხეშია, მაგრამ—ჭკვიანი, თუმც მხიარული—მაგრამ დიდად პატიოსანი!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — ო, ნეტამც იგი კატარინას სულ რ ენახა! (გადის ტირილით, გაჰყვებიან ბიანკა და მსახურნი)

ბ ა პ ტ ი ს ტ ა—წადი, შვილო, მაგ ცრემლისათვის მე არ დაგტუქსავ:

ეს გაწბილება თვით წმინდანსაც გააბოროტებს  
და მით უმეტეს შენ, ვინც ასე გულგოროზი ხარ!

(შემოდის ბიონდელი)

ბიონდელი—ბატონო ჩემო, ძველი ახალი ამბავი, ძველი  
ახალი ამბავი და თანაც ისეთი ამბავი, რომლის მსგავსიც  
ჯერ არ გსმენიათ!

ბაპტიستا—ახალი და თან ძველიც? ეს როგორ შეიძლება?

ბიონდელი—განა პეტრუჩიოს მოსვლის ამბავი ძველი,  
მაგრამ ამავე დროს ახალი ამბავი არ არის?

ბაპტიستا—განა მოვიდა პეტრუჩიო?

ბიონდელი—არა, ბატონო!

ბაპტიستا—მაშ რა სთქვი ახლა?

ბიონდელი—მე ვთქვი, რომ ის მოდის, ბატონო!

ბაპტიستا—მერე აქ როდის იქნება?

ბიონდელი—როცა იქ იდგება, სადაც ახლა მე ვდგევარ  
და აქედან მანდ დაგინახავთ!

ტრანიო—აბა, მოჰყევი ეგ ახალი-ძველი ამბავი!

ბიონდელი—ჰოდა, პეტრუჩიო მოდის აქეთკენ! ახალი ქუდი  
ჰხურავს და ძველი ქურთუკი მოუგდია მხრებზე. სამჯერ  
გადაბრუნებულ ძველ შარვალში გამოწყობილა და ისე-  
თი წაღები აცვია, როგორც ერთ დროს სანთლის ნამ-  
წვების ჩასაწყობი ყუთები იყო: ცალი—ზონრით არის  
შეკრული, ცალი—აბზინდით; ერთი რაღაც ქანგიანი ხმა-  
ლი ჩამოუტანკურებია—გეგონებათ ქალაქის საჯაბადრო-  
დან გამოუტანიაო: ტარგატეხილი და უქარქაშოა,—  
თანაც თასმებდაწყვეტილი; მისი ფილენჯიანი ჯაგლაგი  
შეკაზმულია, ჩრჩილისაგან დაცხრილულ ძველი უნავი-  
რით, რომელსაც უზანგები ცალ-ცალი აქვს,—ამასთან,  
ეტყობა, ცხენს ქოთაო სჭირს—სულ ქოშინობს და ბორ-  
ძიკობს. გავაზე თითქოს ხავსი მოჰკიდებიაო—ქეციანიო,  
წელკავიანი, ბეჭკვერდელა, ოჩანი და თანაც ყვითელი სე-  
ნით შეპყრობილი ჩანს, მატლებისაგან კანდასვრეტილია.  
მისი მეშის აღვირი სულ ნაკვანძებით არის საკსე: რო-  
გორც ჩანს, ხშირად წყდებოდა, რადგან ეტყობა—თავს  
მაგრად უჭერდნენ, რომ არ წაებოროძიკნა; ერთი მოსართავი

ექვს ადგილას არის დაკერებული. საძუე ხავერდისა  
საქალბო უნაგირიდან ახსნილი; მის ნაქედ ბალთაზე  
ამოზარნიშულია ვილაც წარჩინებული ქალბატონის სა-  
ხელ-გვარის ასომთავრულები. მაგრამ ბალთის ძირებში  
ის გაწყვეტილია და ბაწრით გადაბმული.

ბ ა პ ტ ი ს ტ ა -- თან ვინ მოჰყვება?

ბ ი ო ნ დ ე ლ ო -- ო, ბატონო, თან მისი მორბედი მსახური  
მოსდევს, ისევე უცხოოდ მორთული, როგორც მისი ჯაგ-  
ლაგი ცხენი: ცალ ფეხზე ბამბის წინდა აცვია, ცალზე  
კი -- ნაბდის წალა; ერთ ფეხს წითელი წვივსაკრავი უმ-  
შვენებს, მეორეს -- ლურჯი; თავზე ჰხურავს გაქუცული  
ქუდი, რომელსაც ფრთების ნაცვლად, ჩაოჭობილი აქვს  
ორმოცი სამიჯნურო სიმღერის პერგამენტი. მოგახსენ-  
ებთ, რომ ნამდვილ ურჩხულად გამოიყურება თავისი  
სამოსელით, ის სრულებით არა ჰგავს კეთილშობილ აზ-  
ნაურის მსახურს, არა თუ ქრისტიანს, არამედ საერთოდ,  
წესიერ ადამიანსაც კი არ მოგავგონებთ.

ტ რ ა ნ ი ო -- რალაც უცნაურ გუნებაზე დამდგარა, ალბათ, რომ  
ამნაირად მოქცეულა, თუმცა კი ხშირად ცუდად ჩაც-  
მული ვერონაშიც დაიარება!

ბ ა პ ტ ი ს ტ ა -- რაც უნდა ეცვას, მაინც ვხარობ, რაკი ის  
მოდის.

ბ ი ო ნ დ ე ლ ო -- არა, ბატონო, ის არ მოდის.

ბ ა პ ტ ი ს ტ ა -- აკი თვითონ სთქვი, რომ მოდისო?

ბ ი ო ნ დ ე ლ ო -- ვინ? პეტრუჩიო?

ბ ა პ ტ ი ს ტ ა -- დიახ, შენა სთქვი: პეტრუჩიო მოდისო აქეთ.

ბ ი ო ნ დ ე ლ ო -- მე მოგახსენეთ, მოდის მეთქი, იმისი ცხენი,  
პეტრუჩიო კი შემჯდარია იმ ცხენის ზურგზე.

ბ ა პ ტ ი ს ტ ა -- ეგ სულერთია...

ბ ი ო ნ დ ე ლ ო -- არა, ვფიცავ წმინდა იაკობს,  
და თან ერთ პენსსაც სანაძლეოდ ვსდებ, რომ ცხენი  
და კაცი სათვალავით ერთზე მეტია,  
თუმც არც ბევრია.

(პეტრუჩიო და გრუმიო შემოდინა)



პეტრუჩიო—გამოდით, სად ხართ, კოპწიებო?

ბაპტიტა—კარგ დროს მობრძანდით, ბატონო ჩემო.

პეტრუჩიო—მაინცდამაინც არც ისე კარგად.

ბაპტიტა—მადლობა ღმერთს, მაინც არ კოქლობთ!

ტრანიო—ისე ნობდენილ ტანსაცმელში ჩვენ ვერა გხედავთ, როგორც გვსურდა, რომ დღეს გვენახეთ გამოწყობილი.

პეტრუჩიო—უკეთ ჩაცმული უფრო ჩქარა შევძლებდი მოსვლას?

მაგრამ სად არის ჩემი კატი, ჩემი საცოლენ?

როგორ ბრძანდები. მაშაჩემო? რას მოლუშულხართ?

ყველანი ისე განცვიფრებით მიცქერით, თითქოს

სასწაულქმედი კუდიანი ვარსკვლავი ვიყო,

ან შორის ქვეყნით მოყვანილი უცხო ნადირი?

ბაპტიტა—როგორ, ბატონო! დღეს ხომ თქვენი

ქორწილის დღეა:

ჯერ გვაწუხებდა თქვენი ესრეთ დაგვიანება,

ახლა ორმაგად შეგვაწუხა მაგ ჩაცმულობამ,

ფუ, გაიხადეთ ეგ სამოსი, რაც თქვენ გარცხვენთ და

ეკლად გვესობა ჯვარისწერის საზეიმო დღეს.

ტრანიო—თან ისიც გვამცნეთ, რა შემთხვევამ

დაგავვიანათ,

რამ დავაშორათ თქვენს დანიშნულს ასე ხანგრძლივად,

ან მაგ უმსგავსი მორთულობით რამ მოგიყვანათ?

პეტრუჩიო—ჩემი ამბავი გრძელია და თან მოსაწყენიც,

ამაზე სხვა დროს... მთავარი კი ახლა ის არის,

რომ მე მოველ და ჩემი სიტყვა არ დავარღვიე,

თუმც ზოგ რამეში გადუხვებე, მაგრამ ამისთვის

თავისუფალ დროს ჯეროვანად მოვიბოდიშებ

და თქვენ დარჩებით კმაყოფილნი. მაგრამ ჩითხარით,

სად არის კატი? უკე დროა ტაძარში ვიყოთ.

ტრანიო—ნუ ეჩვენებით საპატარძლოს ვერე მორთული,

წამოდით ჩემთან, გამოეწყეთ ჩემს ტანსაცმელში.

პეტრუჩიო—არა, მე იმას სწორედ ასე ჩაცმული ვნახავ!

ბაპტიტა—მაგრამ მჯერა, რომ მაგ სამოსში ჯვარს არ

დაიწერთ!





პეტრუჩიო—რატომაც არა? დიახ, სწორედ ასე დავიწვინებ

კატარინა ხომ ტანსაცმელზე არა თხოვდება?  
 მე მომდევს იგი. რომ შემეძლოს ჩემი გამოცვლა  
 ისევე, როგორც ამ ღარიბულ ტანსაცმელისა,  
 ორივესათვის უფრო მეტად ის აჯობებდა!  
 მაგრამ რას ვჩივებ? დროს რად ვკარგავ აქ ლაპარაკით  
 მაშინ, როდესაც ჩემს პატარძალს უნდა ვეახლო  
 და ტკბილის კოცნით განვამტკიცო ჩემი უფლება?  
 (გადიან პეტრუჩიო, გრუმო და ბიონდელი)

ტრანო—რალაც განზრახულ მნიშვნელობით მორთულა ასე,  
 უნდა ვურჩიოთ, რომ ჩაიცვას სხვა სამოსელი,  
 ვიდრე საყდარში წავიდოდეს ჯვარისწერისთვის!

ბაპტისტა—წავალ და ვნახავ, რას აკეთებს, ან რა მოხდება.  
 (გადის)

ტრანო—ახლა ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ბიანკას ტრფობას,  
 მამის თანხმობაც ზედ დაერთოს განსამტკიცებლად.  
 ამიტომ, როგორც მოგახსენეთ, საჭირო არის,  
 რომ ჩვენ ვიშოვოთ კაცი ვინმე, ვინც დათანხმდება,  
 რომ აქაურებს მამათქვენად გააცნოს თავი,  
 თქვას, რომ პიზიდან ჩამოვიდა აქ, იმისათვის,  
 რომ სასიამაოროს თქვენი სიტყვა დაუდასტუროს  
 და თან აღგიტყვათ მასზე მეტი, რაც მე დავპირდი.  
 მაშინ უეჭვოდ შეგიძლიანთ იმედი გქონდეთ—  
 მამის თანხმობით, თქვენ ბიანკას ცოლად შერთვისა.

ლუჩენციო—ის ძემუსიკე პორტენზიო რომ არ გვზვერავდეს,  
 მე ბიანკაზე საიდუმლოდ ჯვარს დავიწვინდი.  
 ქორწინება ხომ იმ ურყეველ უფლებით გვმოსავეს,  
 რომელსაც შემდეგ, თვით ქვეყანაც ველარ დაარღვევს.

ტრანო—ამას ნელნელა მოვახერხებთ, ეჭვი არ არის:  
 თქვენს უპირატეს პირობებს ჩვენ გამოვიყენებთ  
 იმისათვის, რომ გავაცუროთ ბეცი მინოლა  
 და მშრალზე დავსვათ მეტიჩარა მეტოქეები:  
 ბალდი ლიჩიო და თეთრწვერა საქმრო—გრემიო.  
 ლუჩენციოს გულისათვის ჩვენ ამას შევძლებთ!  
 (შემოდის გრემიო)

ბატონო გრემიო, ეკლესიიდან მობრძანდებით?

გრემიო—დიახ, იქიდან და თან ისე გულმზიარულად,  
როგორც ოდესღაც გამოვრბოდი სკოლიდან სახლში!

ტრანიო—მაშ, ალბათ მეფე-დედოფალიც სახლში მოდიანი!

გრემიო—მეფეო, ბრძანეთ? იგი უფრო მეჯინიბეს ჰგავს: -  
ანჩხლს და ჭირვეულ მეჯინიბეს... მალე შეიტყობს  
მისი ცოლი, თუ რა უმგვანს და უჯიათს შეხვდა.

ტრანიო—ნუთუ ის, მართლა, ქალზედაც კი ავი სულია?

გრემიო—ის ეშმაკია, თვით სატანა და ბელზებელი!

ტრანიო—მაგრამ ქალი ხომ ალქაჯების მამიდა არის?

გრემიო—ქალი მის გვერდით კრავი არის, უმანკო მტრედი!  
ყური დამიგდეთ: როცა მღვდელმა შეკითხვა მისცა  
ჰსურდა თუ არა კატარინას მისი ცოლობა,  
მეფემ შეჰყვირა: „ეშმაკს ვფიცავ, გულითა ჰსურსო!“  
დაიღრიალა ისე მკვებედ, რომ მღვდელს შიშისგან  
წიგნი ხელიდან გაუვარდა და როცა იგი  
მის ასალეზად დაიხარა,—მეფემ წიხლი ჰკრა  
და წიგნთან ერთად თვით მოძღვარიც ძირს გაიშხლართა,  
„ეხლა აიღეთ, —თქვა მან,—ვისაც ხალისი გაქვთო!“

ტრანიო—გადარეულა... კატარინამ რა თქვა ამაზე?

გრემიო—ის ცახცახებდა შიშისაგან,—პეტრუჩიო კი  
იგინებოდა და თან ფეხებს აბაკუნებდა,  
ვითომც ის მღვდელმა მოატყუა! როცა დამთავრდა  
ჯვარისწერა და ზიარების ღვინო მიართვეს,—  
„იდღეგრძელეთო“, შესძახა ხალხს, თითქოს ხომალდზე  
მეზღვაურებთან ქეიფობდა—ქარიშხლის შემდეგ,  
უცბად გადაჰკრა მთელი თასი მუსკატის წვენი,  
ხოლო მის ძირში ჩარჩენილი დამბალი პური  
სახეში სთხლიშა საწყალ მნათეს, რომელიც მის წინ  
კრძალვით იდვა და დაგვალულ წვერს აცანცარებდა,  
თითქოს შესთხოვდა იმ დამბალ პურს... მორჩა რა ამას,  
ხელი მოჰხვია კატარინას უცბად კისერზე,  
და ისე ტლანქი მტლაშა-მტლუშით დაუწყო კოცნა,  
რომ ეკლესიის კედლებმაც კი მას ბანი მისცეს!  
მე ასეთ სირცხვილს ვერ გავუძეღ და გამოვიქეცე,

უკან გამომყვინენ დანარჩენნიც... ჩემს სიცოცხლესი  
ასეთ სულელურ ქორწინებას არ შევსწრებვიარ!..  
მაგრამ, ჩუ! გესმით მუსიკის ხმა?.. აქეთ მოდიან!

(მუსიკა. შემოდის პეტრუჩიო, კატარინა, ბიანკა, ბაპტისტა,  
ჰორტენზიო, გრუმო და ძმლებლები)

პეტრუჩიო—ბატონებო და მეგობრებო, გმადლობთ  
გარჯისთვის!

ვიცი, თქვენ ჩემთან აპირებდით დღეს ნადიმობას,  
სამზადისიც გაქვთ მეტად დიდი, სუფრებსაც შლიან,  
მაგრამ საჩქარო საქმე მიწვევს აქედან წასვლად  
და ამის გამო ყველას უნდა გამოგეთხოვოთ!

ბაპტისტა—როგორ? ნუთუ თქვენ შეგიძლიანთ ამაღამ  
წასვლა?

პეტრუჩიო—უნდა წავიდე დღესვე, სანამ დაღამდებოდეს,  
ნუ გაიკვირვებთ: თქვენ რომ ჩემი საქმე იცოდეთ,  
თვითონვე მთხოვდით ჩქარა წასვლას, არ დაყოვნებას!  
მადლობას გიძღვნი, ბატონებო, რომ დაესწარით,  
თუ ვით ჩავბარდი ჩემს მომთმენ და სათნო მეუღლეს,—  
თქვენ გადიხადეთ ჩემს სიმამართან ერთად ზეიმი,  
ილხინეთ გულით, სადღევრძელო დალიეთ ჩემი,  
მეკი მივდივარ, მეჩქარება, მშვიდობით გნახეთ!

ტრანო—გემუდარებით, დარჩით, სანამ ვინადიმებდეთ.

პეტრუჩიო—შეუძლებელს მთხოვთ!

გრემიო— მეც გულით გთხოვთ!

პეტრუჩიო— არ შემიძლიან!

კატარინა—მეც ძალიან გთხოვთ დარჩენას!

პეტრუჩიო— ეს მიხარია!

კატარინა—გიხარიათ, რომ გადასწყვიტეთ უკვე აქ დარჩით?

პეტრუჩიო—მე მიხარია, რომ შენა მთხოვ დარჩენას, მაგრამ  
რაც უნდა ბევრი შემეხვეწო, მე მაინც წავალ!

კატარინა—დარჩი, ნუ წახვალ, თუ გიყვარვარ!

პეტრუჩიო— გრუმო, ცხენები!

გ რ უ მ ი ო — მზად გახლავან, ჩემო ბატონო,  
ისინი უკვე შვრიამ შექამა!\*

კ ა ტ ა რ ი ნ ა — თუ ასეა, მე არ წამოვალ არც დღეს, არც ხვალ,  
არც ხვალის შემდეგ,

მანამდე, სანამ ამას მე თვით არ მოვინდომებ.

კარი ღიაა, გათხოვთ მიბრძანდეთ — გზა მშვიდობისა,

იარეთ, სანამ წაღები არ შემოგაცვდებათ,

მე კი აქ ვრჩები, არ წამოვალ, ვიდრე ასე მსურს.

ჩანს, თუ რა ზრდილსა და ხათრიან ქმარს გავყოლივარ,  
რომ ქორწილის დღეს ასე ტლანქად უჭირავს თავი!

პ ე ტ რ უ ჩ ი ო — დამშვიდდი, კატი, დამიჯერე, ნულარა ბრაზობ!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — მსურს და ვიბრაზებ, შენ ამისთვის რა გესაქმება?

მამავ, დამშვიდდით, აქ დარჩება, ვიდრე მე ეს მსურს.

გ რ ე მ ი ო — აბა, ახლა კი დაიწყება ორომტრიალი!

კ ა ტ ა რ ი ნ ა — გათხოვთ, სანადიმოდ მაგიდასთან მიბრძანდეთ  
ყველა!..

თურმე ადვილი არის ქალის გამასხარება,

თუ მას არ შესწევს ძალა, რომ ძალს წინააღუდგეს!

პ ე ტ რ უ ჩ ი ო — მიბრძანდებიან, რა თქმა უნდა, როგორც შენ  
ბრძანებ!

დაემორჩილეთ, ბატონებო, პატარძლის სურვილს:

მიდით, ილხინეთ, იღრიალეთ, იჭირვეულეთ,

სვით სადღეგრძელო თქვენ პატარძლის უმანკობის,

ან და კისერიმც მოგტეხიათ, ჯანდაბას წადით!

ჩემი მტრედი კი — ჩემთან მოდის, აქ არა რჩება,

ნუ იღუშები და თან ფეხებს ნუ აბაკუნებ,

მე მსურს, რომ ჩემი საკუთრების მკვლობელი ვიყო:

შენ ახლა ჩემი ქონება ხარ, ჩემი ავეჯი,

ჩემი მინდვრები, მამულები, ყანა, ბელელი,

ჩემი ჭურჭელი, ჩემი ხარი, ცხენი და ვირი,

ყველაფერი ხარ... დიახ, იგი თქვენს წინაშე დგას, —

აბა გაბედეთ და თუნდ თითი დააკარევით!

\* აქ ის აზრია, რომ ცხენების მიერ შეჭმული შვრია თვით ცხენების  
ღირებულებას აღემატება.

მე ყველა თავხედს და უტიფარს ჭკუას ვასწავლი,  
ვინც შეეცდება პაღუაში გზა გადმიღობოს!  
გრემიო, ხმალი! ყაჩაღები გვესხმიან თავსა;  
თუ ვაქკაცი ხარ, ქალბატონი გამოიხსენი!  
ჩემო ძვირფასო, არ შეშინდე, ხელს ვერვინ გახლებს,  
თუნდაც მილიონ მტრებისაგან მე დაგიფარავ!  
(გადიან პეტრუჩიო, კატარინა და გრემიო)

ბ ა პ ტ ი ს ტ ა — დეე წავიდნენ, რა სათნო და მშვიდი წყვილია!  
გ რ ე მ ი ო — მალე რომ არ წასულიყვნენ, სიცილი მოგვეკლავდა!  
ტ რ ა ნ ი ო — ასეთ სულელურ ქორწინებას არ მოვსწრებია ვარ!  
ლ უ ჩ ე ნ ც ი ო — რა აზრისა ხართ, ქალბატონო, თქვენი დის  
გამო?

ბ ი ა ნ კ ა — თვით გიყი არის და გიყურად გათხოვდა კიდეც!  
გ რ ე მ ი ო — მაშ, ჩანს, რომ თვითონ პეტრუჩიოც გაკატარინდა!  
ბ ა პ ტ ი ს ტ ა — მეზობლებო და მეგობრებო, თუმც ჩვენს  
მაგიდას,

აკლია მეფე-პატარძალი, მაგრამ ჩვენ მაინც  
საქმელ-სასმელი არ გვაკლია და თქვენთან ერთად  
სამაგალიათო ლხინს ვადვიხდით, გთხოვთ,  
წამობრძანდეთ, —

ლუჩენციო, თქვენ დაიჭერთ სიძის ადგილსა,  
ხოლო ბიანკა — თვით პატარძლის მაგიერ დავსვათ.

ტ რ ა ნ ი ო — რომ ამ თავითვე შეეჩვიოს ის პატარძლობას?  
ბ ა პ ტ ი ს ტ ა — რომ შეეჩვიოს, ლუჩენციო! ბატონებო,  
გთხოვთ წამობრძანდეთ.  
(გადიან)

## მოქმედება მეოთხე

### სურათი I

პეტრუჩის სოფლის სახლი.

(შემოდის გრუმო)

გრუმო—ფუი, ეშმაკმა წაიღოს ყველა ჯაგლაგი, მოქანცული ცხენი! ყველა შეშლილი ბატონი და ყველა გაუვალი და საზიზღარი გზა! განა როდისმე ჩემნაირად დაღლილა გინმე? განა ასე უცემიათ ვინმე? განა ასე ამოსვრილა ვინმე ტალახში? მე წინ გამომგზავნეს, რომ ცეცხლი ავანთო, ისინი კი უკან მომდევნ, რომ გათბნენ. მე რომ პატარა კაცი არ ვიყო და მომცრო ქვაბივით მალე არ ვთბებოდე, ტუჩები კბილებზე მიმეყინებოდა, ენა—სასას და გული კი—მუცელს, სანამ ცეცხლამდე მივალწევდი და შევთბებოდი; მაგრამ მე ისე ფიცხლავ დავუწყებ ცეცხლს ბერვას, რომ თვითონვე გავთბები. ახლა გარეთ ისეთი სუსხიანი ამინდია, რომ ჩემზე ახოვან კაცსაც კი შეიძლება შესცივდეს და სურდო შეეყაროს. ჰეი, კურტის!

(შემოდის კურტისი)

კურტის—ვინ მიძახდა ასეთი გათოშილი ხმით?

გრუმო—ვინა და ყინულის ლოლუა! თუ ეჭვი გეპარება, შეგიძლონ ჩემი ბეჭებიდან ფეხის ქუსლებამდე ჩასრი-ალდე. შენ ამისათვის დიდი მანძილით გაქანება არ დაგჭირდება. მხოლოდ თავიდან—კისრამდე. ცეცხლი, ძვირფასო კურტის, ცეცხლი!

კურტის—შენ ეს მითხარი, გრუმო, ბატონი და მისი მეუღლე მობრძანდებიან?

გრუმო—ღიახ, ღიახ, მობრძანდებიან! ამიტომ ცეცხლი ძვირფასო კურტის, ღიახ, ცეცხლი—გულს ნუ აწყალებ!

კურტის—მართლა ისეთი ჭირვეულია, როგორც ამბობენ?

გრუმო—ისეთი იყო ამ ყინვამდე, მაგრამ ხომ იცი, ზამთარი ათვინიერებს მამაკაცსაც, დედაკაცსაც და ნადირსაც. მან ისევე მოგვათვინიერა: ჩემი ძველი ბატონიც, ახალი ქალბატონიც და მეც, ძმობილო კურტის!

კურტის—წადი, შე სამგოჯა პამპულავ! მე არა ვარ ნადირი!

გრუმო—სამგოჯაო? როგორ? შენს რქებს მთელი ადლი სიგრძე აქვს და მე ხომ იმათზე მოკლე არა ვარ? მაგრამ დაანთებ თუ არა ცეცხლს? თუ გიჩივლო ქალბატონთან, რომლის ხელსაც (ის ხელდახელ აქ გამოჩნდება) შენ მალე იგრძნობ, როგორც ცივ ნუგეშს—ცხელს საქმეში, ზანტობისათვის.

კურტის—მითხარი, ძვირფასო გრუმო, რა ხდება ქვეყნად?

გრუმო—ქვეყანა იყინება სიცივისაგან, ცხელი მხოლოდ შენი სამსახურია, ამიტომ ცეცხლი! ჯეროვნად შეასრულე შენი საქმე და ჯეროვანიც მიიდე; გააჩაღე ცეცხლი, რადგან ჩემი ბატონი და ქალბატონი მკვდრებივით გაითოშნენ.

კურტის—ცეცხლი უკვე გიზგიზებს, ამიტომ, ჩემო მეგობარო გრუმო, გადმოალაგე ახალი ამბები!

გრუმო—(მღერის) „თუ აგრეა, ჩემო ჯექ,  
მაშ წინ გასწი, ნუ დაჯექ!..“  
ახალი ამბები, რამდენიც გინდა!

კურტის—მაშ დაიწყე, შე ჭორების გულავ, დაიწყე შეთქი!

გრუმო—ო, დღეს მე თვითონ გამგულდეს ქვლებმა და სიცივემ. მაშ ისევ ცეცხლს მიუმარჯვე და თან მიპასუხე: სად არის მზარეული? ვახშამი მზად არის? სახლი მოვლილია? იატაკი მოფენილია ჭილით? აბლაბუდები ჩამოწმენდილია? მსახურებს ახალი ქურთუკები და თეთრი წინდები აცვიათ? ყველა მორბედი გამოწყობილია საქორწინო ტანისამოსში? სუფთაა თუ არა თასები—შივნით და ჭიქები—გარედან? სუფრები აფარია თუ არა მაგიდებს? და-

- გებულისა თუ არა ხალიჩები? ერთის სიტყვით, მზად არის თუ არა ყველაფერი?
- კურტის — ყველაფერი მზად არის, ამიტომ დაიწყე ახალი ამბები.
- გრემიო — უპირველეს ყოვლისა, გეტყვი, რომ ჩემი ცხენი დაილალა, ხოლო ბატონმა და ქალბატონმა ძირს ტყაპანი მოადინეს.
- კურტის — როგორ თუ ტყაპანი?
- გრემიო — ისე, უნაგირიდან პირდაპირ ტალახში და სწორედ აქ არის მთელი ამბავიც.
- კურტის — მიაბზე, ჩემო გრემიო, გისმენ, მიაბზე.
- გრემიო — აბა, ყური მათხოვე.
- კურტის — აჰა, გისმენ.
- გრემიო — ჰოდა... (ყურში შემოჰკრავს)
- კურტის — ეს ხომ ამბავის გრძნობაა და არა მოსმენა.
- გრემიო — ამიტომაც უწოდებენ მას მგრძნობიერს. ამ სილით კი მხოლოდ ყური დაგიკაკუნე და მოსმენა გთხოვე, რადგან საგრძნობელ ამბავს მოგითხოვობ. ახლა კი ვიწყებ: ერთ აჭოჭებულ დაღმართზე ჩამოვდიოდით, ბატონი ქალბატონს უკან ეჯდა.
- კურტის — უკან ეჯდა? ერთ ცხენზე?
- გრემიო — მერე შენი რა საქმეა?
- კურტის — დიახ, მაგრამ ერთ ცხენზე!..
- გრემიო — მაშ, რაკი არ მაცლი, შენ თვითონ მიაბზე. რომ არ შეგეწყვეტინებინა, გაიგებდი, თუ როგორ დაეცა ცხენი და ქალბატონი როგორ მოექცა ცხენქვეშ. გაიგებდი რა წუმპიანი ადგილი იყო და როგორ ამოიხუპნა პატარძალი, როგორ დასტოვა ის ბატონმა ცხენქვეშ მწოლიარე და როგორ გამშოლტა — ცხენმა რატომ წაიბორძიკაო, როგორ ფორთხავდა პატარძალი ტალახში, რათა ხელიდან გავეგდებინებინე; როგორ იგინებოდა ბატონი, როგორ ემუდარებოდა ქალბატონი, რომელსაც წინათ არავისთვის არაფერი უთხოვინია. გეტყვოდი იმასაც, თუ მე როგორ



ვლრიალებდი, ან როგორ დაფრთხნენ ცხენები ალვირის გაწყვეტის გამო, ან საძუე როგორ დავეკარგე. ამას გარდა, ვიამბობდი სხვა, მრავალ ღირსშესაცნობ ამბავს, რაც ეხლა დავიწყებ. ს უნდა მიეცეს და შენ ისე უნდა ჩახვიდე სამარეში, რომ ვერაფერი შეიტყო.

კურტის—შენი ლაპარაკიდან გამოდის, რომ ჩვენი ბატონი უფრო ჭირვეული ყოფილა, ვადრე მისი პატარძალი.

გრუმო—ოღონდაც რომ ასეა! ამაში შენც და თქვენს შორის ყველაზე უტიფრებიც დარწმუნდებიან, როცა ბატონი შინ დაბრუნდება, მაგრამ ნეტავი რა მალაპარაკებს? დაუძახე ნათალიელს, ჯოზეფს, ნიკოლას, ფილიპეს, უოლტერს, იმ ჯამილოკიასა და სხვებს უთხარი: თმები კარგად დაივარცხნონ, ლუჯი ქურთუკები გაიწმინდონ და წვივსაკრავები ლაზათიანად შემოიჭირონ. ახსოვდეთ, რომ მისალმების დროს მარჯვენა მუხლი ოდნავ უნდა მოდრიკონ და არ გაბედონ ბატონის ცხენის ერთი ძუის ხელის შეხებაც, სანამ მეფე-პატარძალს ხელზე აკოცებდნენ. ყველანი მზად არიან?

კურტის—დიახ...

გრუმო—აქ დამიძახე.

კურტის—თქვენ, ეი, გესმით? გამოდით და მოემზადეთ, უნდა მიეგებოთ ბატონს და თანაც ქალბატონს პირი უნდა უჩვენოთ.

გრუმო—რატომ? მას ხომ საკუთარი პირი აქვს.

კურტის—მერე და ეგ ვინ არ იცის?

გრუმო—მაშ რატომ მოუწოდებ მსახურთ, რომ პირი უჩვენონ?

კურტის—მე მათ მოვუწოდებ, რომ ქალბატონს თავაზითა და ნდობით შეხვდნენ.

გრუმო—ვითომ და რატომ? ის ხომ აქ იმიტომ არ მოდის, რომ მათ ესესხოს რამე?

(შემოდის რამდენიმე მსახური)

ნათანიელ—კეთილი იყოს შენი დაბრუნება, გრუმო!

ფილიპე—რასა იქ, გრუმო?

ჯოზეფ—ხომ კარგ გუნებაზე ხარ, გრუმო?

ნიკოლას—ეს შენ მოხვედი, მეგობარო გრუმო?  
ნათანიელ—როგორა ხარ, ჩვენო ხნიერო ახალგაზრდავ?  
გრუმო—ო, გამარჯობა, მეგობარო! რასა იქ და როგორ  
გიკითხო? მაგრამ სალამად თქვენთვის ესეც კმარა.  
ეხლა ის მითხარით, ჩემო კოპწიებო, ყველაფერი ხომ  
მზადა გაქვთ, ყველაფერი ხომ წესიერად და რიგზე  
არის?  
ნათანიელ—ყველაფერი მზად არის. შორს ბრძანდება ჩვე-  
ნი ბატონი?  
გრუმო—სულ ახლოს არის, იქნებ კიდევაც ჩამოხტა ის  
თავის ცხენიდან. მაგრამ სიჩუმე, —ეშმაკმა იცის, თუ რა  
ხდება, მისი ხმა მესმის.

(შემოდინ პეტრუჩიო და კატარინა)

პეტრუჩიო—რა ამბავია? რა იქნენ ის არამზადები,  
რომ უხანგს ხელი მომიკიდონ, ცხენებს მიხედონ!  
სად არის გრიგოლ, ნათანიელ და ან ფილიპე?  
მსახურნი—(ერთად) აქ ვართ, ბატონო! აქ გახლავართ,  
აქ ვართ, ბატონო!  
პეტრუჩიო—„აქ ვართ, ბატონო, აქ გახლავართ!“ ო, თქვე  
ბრიყვებო!

არამზადებო, ხეპრეებო, რას მოასწავებს  
თქვენი ასეთი საქციელი? ხომ არ დაგვცინით?  
ის სალახანა რაღა იქნა? გრუმო, სად ხარ?

გრუმო—მე აქ გახლავართ, ძველებურად ბრმა და რეგვენი.  
პეტრუჩიო—ლორო, ყყყჩო, კახპისშვილო! აკი გიბრძანე,  
ბალთან შეხვედრა და ამ ბრიყვთა თან წამოყვანა!  
გრუმო—ნათანიელის ქურთუკი მზად კიდევ არ გახლდათ  
და გაბრიელის ფენსაცმელებს ლანჩები ასძვრა,  
ჩირაღდნის ჭვარჭლი არ იყო, რომ პეიტროს ქუდი  
ჩვენ შეგვეღებნა და გაგვეშრო, ხოლო უოლტერს  
ხანჯლის ქარქაში ვერ ვუპოვეთ, რომ მოგვეკახმა,  
ადამის, რალფის და გრეგორის გარდა ყველანი  
ამ ძველმანებში პირწავარდნილ მათხოვრებს ჰკვანან,  
მაგრამ რა მექნა? მაინც მომყავს თქვენს შესახვედრად!

პეტრუჩიო—გასწით, ბრიყვებო, და ვახშამი მოგვართვით ჩქარა.

(ზოგი მსახური გადის... პეტრუჩიო მღერის)

„სადღაა ჩემი მარტოხელი, ლალი ცხოვრება,  
სადღაა იგი“... დაჯექ, კატი, გთხოვ, ნუ მოიწყენ.  
ჰო, ჰო, ჰო, ჰო! (მსახურნი ვახშამს შემოიტანენ)  
აბა, ძვირფასო, გახსენ წარბი, გამხიარულდი!  
ეი, წაღები გამხადეთ, თქვე არამხადებო!

(მღერის)

„ის იყო ბერი, ნაცრისფერი ტანსაბურავით,  
როცა გაუდგა თავის გრძელ გზას“...  
ო, არამხადავ, ფეხი მიღრძე... აი, ესეც შენ!

(სცემს)

და ეცადე, რომ არ მომგლიჯო მეორე ფეხიც.  
გამხიარულდი, კატი! ჰეი, წყალი საჩქაროდ!  
მართლა: სად არის ჩემი ძაღლი, ტროილიუსი?  
ახლავე უხმეთ ჩემს ბიძაშვილს, ფერდინანდს, აქა!

(მსახური გადის)

შენ იმას კოცნით უნდა შეხვდე, ძვირფასო კატი!  
სად არის ჩემი ფაჩუჩები? წყალი რა იქნა?

(მსახურს შემოაქვს ტაშტი და ტოლით წყალი)

მოდო, ხელები დაიბანე, ჩემო კატუნო!  
კეთილი იყოს შენი ტკბილად დაბინავება.

(მსახურს ხელიდან ტოლია გაუვარდება)

შე კახპის ბუშო, ეს რა ჰქენი? (სცემს) კიდევ დააგდებ?  
კატარინა—ეს უცაბედად მოუვიდა... გთხოვთ, რომ  
დამშვიდდეთ!

პეტრუჩიო—პირუტყვი, ბრიყვი, ხოქოსთავა, ვირი, ყყყეი!..  
დაჯექი, კატი, ალბათ გშიან... მაგრამ მოიცა,  
„მამაო ჩვენო“ რომელმა ვსთქვათ? მე—თუ შენ იტყვი?  
(სხდებიან)

ეს რა მოგვართვით? ცხვრის ხორცია?

მსახური—

ღიახ, ბატონო!

პეტრუჩიო—ვინ მოიტანა?

მსახური—

მე მოგართვით, ბატონო ჩემო!



პეტრუჩიო — მთლად დამწვარია, გარუჯული, გამომწვარი?  
 მიხმეთ მზარეულს, აქ მომგვარეთ ის ავაზაკი!  
 როგორა ბედავთ, რომ საქმელად მთავაზობთ იმას,  
 რაც მე არ მიყვარს? მომაშორეთ ჩქარა აქედან  
 ეს თეფშები და ეს თასები! ახლავე მეთქი!

(ხელს წამოიხრება და ყველაფერს გადაყრის მაგიდიდან)

არამზადებო, ნადირებო, უტვინოებო!

ბუზლუნებოთ კიდევ? მე თქვენ ყველას გიჩვენებთ სეირს.

კატარინა — კმარა, ძვირფასო, ნულარ ღელავთ,  
 ღვთისგულისათვის,  
 სულაც არ იყო ხორცი ცუდად მომზადებული!

პეტრუჩიო — ო, არა, კატი, დამწვარია, მთლად გამომწვარი,  
 აკრძალული მაქვს მე ასეთი საქმელი, რადგან  
 იგი ნალველის ჩაქცევას და სიანჩხლეს იწვევს!  
 ჩვენ ხომ ისედაც გუჟღავნებთ ვართ... ამიტომ გირჩევ,  
 დამწვარ ხორცისგან შევიკავოთ ორივემ თავი.  
 ამაღამ ერთად ვიმარხულოთ, არაუშავსრა,  
 ხვალისათვის კი — ჩვენ ყველაფერს გამოვასწორებთ!  
 წამომყე, კატი, მე წაგიყვან საწოლ ოთახში.

(გადიან პეტრუჩიო, კატარინა და კურტის)

ნათანიელ — (წინ წამოდგება)

მითხარი, პიტერ, მოსწრებიხარ შენ ასეთ რამეს?

პიტერი — მას თავისივე იარაღით უპირებს მოკვლას!  
 (შემოდის კურტისი)

გრუმეო — სადა ბრძანდება ბატონი?

კურტის — იქ, საწოლ ოთახში.

სათნოებაზე უქადაგებს, ჭკუას ასწავლის.

თან ივინება, ეფიცება, თან ჯავრობს ისე,  
 რომ იმ საბრალომ აღარ იცის, თუ სად გაჩერდეს,  
 საით იცქიროს, ან რა უთხრას, — უმწეოდა ზის,  
 თითქოს სიზმრიდან ახლად იყოს გამორკვეული,  
 მაგრამ, ჩუ!.. თვითონ აქეთ მოდის, — დროა წავიდეთ!

(გადიან. შემოდის პეტრუჩიო)



პეტროჩიო — მოხერხებულად შევეუდექი ჩემსა მეფობას და, იმედი მაქვს, მას კეთილად დავაგვირგვინებ!  
 აწ ჩემს შევარდენს გულს უხელებს შიმშილის გრძნობა, მაგრამ ის ჩიჩახვს ვერ გაივსებს, ვიდრე არ მოვდრეკ...  
 თორემ პატრონის ნიშნებს იგი აღარ შეხედავს!  
 მე მაქვს სხვა ხერხიც, რაც ამ ფრინველს ისე გარდაჰქმნის, რომ პატრონის ხმას მუდამ სცნობდეს, კვალდაკვალ სდევდეს,

და მორჩილებით მოდიოდეს მის დაძახილზე:  
 მე ვუდარაჯებ იმ დამწყვედულ მიმინოსავით, რომელიც ბორგავს, უძილობით ქანცმიღეული, — დღეს მე მშიერი დავტოვე ის და ჯერ ვერცა სქამს, არ სძინებია წუხელ და არც დღეს დავაძინებ!  
 როგორც შემწვარ ხორცს განგებ წუნი გამოვუძებნე, ისე ლოგინსაც მოვუძებნი რაიმე მიზეზს:  
 ვიტყვი, რომ იგი ცუდად არის აწ დაგებული, მიმოვუფანტავ აქეთ-იქით საბან-სასათუმალს და მოვაჩვენებ, თითქოს მისთვის ვზრუნავდე ასე!  
 მოკლედ, მთელ დამეს ძილს გავუფრთხო და თუ ჩასთვლიმა,

მოვეყვები ღრიალს, აურზაურს, იმდენს ვიყვირებ, რომ ბურანიდან გამოფხიზლდეს, და ასე მოვდრეკ მის სიანჩხლეს და კერბ ხასიათს. აი წამალი ჭირვეულ ცოლის სიყვარულით მორჯულებისა! იქნებ სხვამ იცის უკეთესი საშუალება? თქვას—ეს ხომ დიდად სასიკეთო საქმე იქნება!

სურათი II

პადუა. ბაპტისტას სახლის წინ.  
 (შემოდინ ტრანიო და ჰორტენზიო)

ტრანიო — ნუთუ თქვენ ფიქრობთ, ლიჩიო, რომ ქალბატონ ბიანკას ლუჩინციო არ უყვარს და სხვა ვინმე მოსწონს? გამოგიტყდებით: ის მე მიცქერს წყალობის თვალთ!



ჰორტენზიო—რომ დაიჯეროთ ჩემი სიტყვის ჭეშმარიტება,  
აქ მოვეფაროთ და თვით ნახავთ, რასაც ასწავლის.

(გვერდზე გადაგვიან. შემოდინ ბიანკა და ლუჩენციო)

ლუჩენციო—როგორა სწავლობთ, ქალბატონო, ახლა ჩემს  
საგანს?

ბიანკა—ჯერ ეს მიბრძანეთ: რომელ საგნის სწავლაზე  
მკითხავთ?

ლუჩენციო—ჩემი საგანი—სიყვარულის ხელოვნებაა!

ბიანკა—ნეტავი შესძლოთ დაეუფლოთ მაგ ხელოვნებას!

ლუჩენციო—შევძლებ, ძვირფასო, თუ თქვენ ამ გულს  
დაეუფლებით!

(განზე გადაგვიან)

ჰორტენზიო—აწ რაღას იტყვით? ხედავთ, რა ღრმად  
შეუტოპიათ!

თქვენ ხომ სულ იმას მიმტკიცებდით, თითქოს ბიანკას  
ლუჩენციოზე უფრო მეტად არვინ უყვარსო?

ტრანიო—ჰოი, ცბიერო დედაკაცის ვერაგო მოდგმავ!  
დიდად მაოცებს ეს ამბავი, სათნო ლიჩიო!

ჰორტენზიო—ნულარ სტყუვდებით! მე ლიჩიო სულაც არა  
ვარ,

არც მუსიკოსი, როგორც დღემდე თავს გაჩვენებდით,  
მე ამ ცრუ ნიღაბს ვატარებდი ბიანკასათვის,  
რომელმაც დაჰგმო აზნაური კეთილშობილი  
და სიყვარულის საგნად ირჩევს ვილაც მდაბიოს!  
აწ კი იცოდეთ: ჰორტენზიო მქვიან სახელად!

ტრანიო—ბატონო ჰორტენზიო, ხშირად მსმენია  
თქვენი უსაზღვრო სიყვარული ბიანკასადმი,  
მაგრამ როს ვნახე მისი ესდენ ცვალებადობა,  
მე გადავწყვიტე, თქვენთან ერთად, უარყო იგი  
და სამუდამოდ დავივიწყო მის სიყვარული.

ჰორტენზიო—ერთი შეხედეთ იმათ ალერსს და ხვევნა-  
კოცნას!

მომეცით ხელო, მეგობარო! მტკიცე ფიცსა ვდებ,

აღარ ვითხოვო მე ბიანკა, როგორც უღირსი  
იმ სიყვარულის, ალერსისა და გულწრფელობის,  
რასაც მე მისთვის არასოდეს არა ვზოგავდი.

ტრანო— ვფიცავ, რომ არც მე შევირთო ის, თუნდ  
შემეხვეწოს.

ვთქვი სირცხვილო! ერთი შეხვით, რა უტიფარის  
თავდავიწყებით ეხვევა ის ლუჩენციოს.

ჰორტენზიო— დე ასე იყოს! ამ ლალატის სამაგიეროდ  
ზიზლით შეხედავს მას ქვეყანა... მე კი ვაპირებ  
სამი დღის შემდეგ ვიქორწინო ერთ მდიდარ ქვრივზე,  
რომელსაც, გეტყვით, ჯერეთ ისევ მაშინ ვუყვარდი,  
როს ამ მზეჩიტა ამპარტავანს ავეკვიატე!

აწუ კი მშვიდობით, მეგობარო, არ დაივიწყოთ,  
რომ ქალში უნდა სათნოება მეტად გვიყვარდეს,  
ვიდრე იმისი მშვენიერი თვალთა ციმციმი.

მშვიდობით, ფიცის შესრულება არ დაივიწყოთ!  
(გადის. ლუჩენციო და ბიანკა წინ წამოდგებიან)

ტრანო— ზეცამ გაკურთხოთ, ქალბატონო, დაე განგებამ  
დალოცოს თქვენი სიყვარული სვებედნიერი,  
ჰორტენზიომ და მე თქვენს ალერსს აქ ვუთვალთვალეთ,  
და მასთან ერთად უარყავით, როგორც საცოლვე.

ბიანკა— ხუმრობთ, ტრანო, უარყავით მართლა, ორივემ?

ტრანო— ორივემ ერთხმად.

ლუჩენციო— მაშ ლიჩიო მოგვეცილებია!  
ტრანო— დიახ! ის ახლა მზიარულ ქვრივს ირთავს და ამ  
დღეებში

ჯვარს იწერს კიდევ.

ბიანკა— ღმერთმა ულხინოს!

ტრანო— მორჯულება სწადიან მისი!

ბიანკა— მართლა ასე სთქვა?  
ტრანო— დიახ! ის ახლა „მორჯულების სკოლაში“ შედის  
სასწავლებლად.

ბიანკა— „მორჯულების სკოლა“, ამბობ?  
განა არსებობს ქვეყანაზე ასეთი სკოლა?

ტრანო— დიახ, არსებობს, ქალბატონო, და მის-ოსტატი  
პეტრუჩიოა, ის ასწავლის მრავალნაირ ხერხს





ტ რ ა ნ ი ო — უმაღ სიკვდილით სჯიან ჩვენში ყველა მანტუელის  
რაღვან თქვენს ჰერცოგს ჩვენს ჰერცოგთან დაეა მოუხდა  
და აქლა ირგვლივ სისქლიანი შუღლი მძვინვარებს:  
თქვენი გემები დაატყვევეს ვენეციაში  
და ჩვენმა დუკამ საჯაროდაც გამოაცხადა  
მანტუელების დასჯა. ალბათ, ახლად მოსულხართ,  
თორემ თვითონაც მოისმენდით ამ განცხადებას!

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — ვაგლახ, ბატონო, ეს სიკვდილზეც  
უარესია:

ფლორენციიდან მე თან მომაქვს თამასუქები,  
რითაც დიდძალი თანხები მაქვს აქ მისაღები.

ტ რ ა ნ ი ო — თქვენთვის გულწრფელი სამსახურის გაწევის  
მიზნით,

მე ერთი კარგი რჩევა მინდა შემოგთავაზოთ.  
მითხარით: პიზას თუ ჰყოფილხართ ოდესმე მაინც?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — ბევრჯერ ვყოფილვარ მე მშვენიერ  
ქალაქ პიზაში,

იქ ბლომად ვიცნობ დარბაისელ მოქალაქეებს.

ტ რ ა ნ ი ო — ეგებ მათ შორის ვინჩენციოს ნაცნობიცა ხართ?

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი — არ ვიცნობ, მაგრამ სახელი კი გამი-  
გონია, იგი განთქმული და მდიდარი ვაჭარი არის!

ტ რ ა ნ ი ო — ის მამა გახლავთ ჩემი, დიახ, გეფიცებით, რომ  
იგი სახით და გარეგნობით თითქოს ჩამოგვავთ!

ბ ი ო ნ დ ე ლ ო — (თავისთვის)

ისევე, როგორც ლოკოკინას ვაშლი ჩამოჰგავს!

ტ რ ა ნ ი ო — რათა ხიფათი ავაცილოთ, სიკეთეს გიზამთ,  
ბედს დაუმაღლეთ ვინჩენციოს მსგავსებისათვის:

თქვენ იმას ჰგავხართ, მაშ დაირქვით მისი სახელი  
და ისარგებლეთ მისი ნდობით. წამოღით ჩემთან.

მე ჩემს ბინაში მოგათავსებთ, როგორც შეგფერით,  
ოღონდ გაფრთხილებთ, მოიქეცით წინდახედულად.

ყველას, ვანც შეგხვდეთ, მამაჩემად აცნობეთ თავი  
და აქ იცხოვრეთ, ვიდრე საქმეს მოათავებდეთ!

გთხოვთ მიპასუხოთ, თუ ლებულობთ ამ ჩემს სამსახურს.



მასწავლებელი—ო, მე ვლებულობ მაგ სამსახურს და  
თანაც დავსძენ:

რომ ჩემ სიცოცხლის სამუდამო მფარველად ჩავთვლით.  
ტრანო—მამ გამომყევით, რომ ეგ საქმე მოვაწესრიგოთ.  
ერთი ამბავი მსურს გაცნობოთ მე, სხვათაშორის:  
ახლა მამაჩემს აქ დღითი-დღე ელოდებიან,  
რომ მან იკისროს თავდებობა მზითევისათვის—  
ჩემსა და ვინმე მოქალაქე მინოლას შორის,  
რომლის ასულსაც ცოლად ვირთავ. მერე გიამბობთ.  
წავიდეთ, თქვენ ხომ შესაფერად გადაცმა გმართებთ.  
(გადიან)

სურათი III

ოთახი პეტრუჩიოს სახლში.

(შემოდინან კატარინა და გრუმო)

გრუმო—სიცოცხლეს ვფიცავ, ვერ გავბედავ, არ  
შემიძლიან.

კატარინა—თანდათან უფრო მწვავედა ვგრძნობ  
შეურაცხყოფას:

ნუთუ იმიტომ შეპირთო, რომ შიმშილით მომკლას?  
მათხოვარიც კი—მამაჩემის კარზე მისული —  
თხოვნის უმაღვე მოწყალებას ღებულობს ხოლმე,  
ან და სხვა ვინმე გაიკითხავს,—თუნდაც მცირედით,  
მაგრამ ის მაინც მაძლარია ნათხოვარ ლუკმით,  
მე კი, რომელმაც არ ვიცოდი რა იყო თხოვნა,  
ან გაქირვება, ან მუდართ სხვის შეწუხება,  
შიმშილით ვკვდები, თავბრუ მესხმის უძილობისგან,  
მხოლოდ გინებით, ღრიანცელით მკვებავს მე იგი  
და ამ ტანჯვაზე უარესი უფრო ის არის,  
რომ თითქოს ჩემი სიყვარულით იქცევა ასე!  
მარწმუნებს: თითქოს მისთვის ეთქვათ, რომ თუ ან  
გქამე,  
ან დავიძინე—დავსწეულდები და მოგკვდები!  
გემუდარები, მომიტანე რამე საკმელი,  
რაც უნდა იყოს, სუღერთია, ოღონდ საკმელი!

გრუმო—ბბოს ფეხები რომ მოგიტანოთ...

კატარინა— ჩინებულა, მომიტანე!

გრუმო—მაგრამ მე ვშიშობ... ეგ საჭმელი აღიზიანებს!

რას იტყვით კარგად შენზადებულ ჩაშუშულ ხაშზე?

კატარინა—ეგ მეტად მიყვარს! მომიტანე, კარგო გრუმო!

გრუმო—არ ვიცი... მგონი ეს საჭმელიც აღიზიანებს!

რას იტყვით ახალ ძროხის ხორცზე, ზედ ცხარე

მდოგვით?

კატარინა—მშვენნიერია... ეგ საჭმელიც ძალიან მიყვარს.

გრუმო—ეგ მართალია, მაგრამ მდოგვიც ხომ ცხარე არის!

კატარინა—მაშ ძროხის ხორცი მომიტანე, მდოგვი არ  
მინდა!

გრუმო—როგორ იქნება, ქალბატონო, ხორცი უმდოგვოდ?

ან მდოგვით ჭამეთ, ან გრუმო ხორცს ვერ

მოგართმევთ.

კატარინა—ან ცალკე იყოს, ან ორივე ერთად—როგორც  
გსურს.

გრუმო—მაშ ისევ მართო მდოგვს მოგიტანთ—ცალკე,  
უხორცოდ.

კატარინა—გასწი, გამშორდი, მატყუარავ, თავხედო მონავ!

(შემოჰკრავს)

მართო საჭმელთა სახელებით გინდა რომ მკვებო?

კირმა წაიღოს შენი მოდგმა, შე წუწკო, შენა!

ასე თამამად რომ დასცინი ჩემს უბედობას!

გასწი, მომშორდი და ჩემს თვალებს არ დაენახო!

(შემოდის პეტრუჩიო—მოაქვს საჭმელი, მას მოსდევს ჰორტენზიო)

პეტრუჩიო — როგორ გიკითხო? დადგრემილხარ, ჩემო  
ძვირფასო?

ჰორტენზიო — როგორ ბრძანდებით, ქალბატონო?

კატარინა— ძლიერ მოწყენით.

პეტრუჩიო—კმარა, კატუნე! გაიღიმე, გამხიარულდი!

აი, ხომ ხედავ, როგორ ვზრუნავ, ჩემო ძვირფასო!..

საკუთარ ხელით მოვამზადე შენთვის საჭმელი

და მოგიტანე. (თეფშს დგამს მაგიდაზე)

მე, მგონია, ძვირფასო კატი,

რომ ამნაირი სიყვარული ღირს მადლობადა!  
არაფერს ამბობ? ჩანს, საჭმელი არ მოგეწონა,  
მაშ სულ ამოდ ჩაიარა ჩემმა წვალებამ?  
ჰეი, წაიღეთ ეს თეფშები...

კატარინა— გთხოვთ, რომ დასტოვოთ!  
პეტრუჩიო—თვით უმცირესი სიკეთეც კი მადლობადა  
ღირს.

ან მადლობა თქვი და ან საჭმელს არ მიეკარო!

კატარინა—გმადლობთ, ბატონო!

ჰორტენზიო— პეტრუჩიო, კმარა, გრცხვენოდეს!  
მეც ვისაუზმებ, ქალბატონო, ერთად შევექცეთ!

პეტრუჩიო—(ჰორტენზიოს ჩუმად)  
გთხოვ, ჰორტენზიო, თუ გიყვარვარ, მთლად შენ  
შეკამე!

(კატარინას)

მე ყველა კეთილს, სიკეთითვე მივუზღავ ხოლმე.  
ღმერთმა შეგარგოს, ჩემო კატი, ჭამე, ძვირფასო!  
აი, ჩვენ მალე მამაშენსაც ვეწვევით სახლში  
და გავახარებთ საუცხოო მოკაზმულობით:  
ფარჩის კაბებით, გულქანდებით, ოქროს ბეჭდებით,  
ძვირფას ქუდებით, ჩიხორებით, მარაოებით,  
წაღნაგავლებულ ნაოჭიან საყელოებით,  
სამაჯურებით, ქარვის უცხო დასტანაგებით  
და სხვა ამგვარი სისულელით... აღარა გშიან?  
მკერვალი გიცდის, სულთუტკბესო, რომ 'შენი ტანი  
შეამკოს ძვირფას, მოშრიალე ტანსამოსელით.

(შემოდის მკერვალი)

აქ მოდი, თერძო, გახსენ ყუთი, გვაჩვენე კაბა!

(შემოდის მეწვრიმალე)

შენ რალა მოგაქვს ახალი და თვალსასიამო?

მეწვრიმალე—თქვენ რომ მე ქუდი შემიკვეთეთ, უკვე მზად  
გახლავთ!

პეტრუჩიო—ეს რა ქუდია, რალაც ციცქნა და საზიზლარი.

ქოთნის სარქველს ჰგავს, ხავერდის ჯამს, ქონდროს  
კაცის ჩაჩს...

რა არის მეთქი? ნიჟარა თუ კაკლის ნაჭუჭი,  
თუ საფრთხობელა, ბავშვებისთვის თავშესაქცევი?  
წა, გაეთრიე, სხვა შეკერე, დიდი ზომისა.

კატარინა—ამაზე დიდი მე არ მინდა, ეხლა ასეთი  
ქუდეები ჰხურავთ დარბაისელ მანდილოსნებსა.

პეტრუჩიო—როს დარბაისელ მანდილოსნად გარდაიქმნები,  
შენც იმათნაირ ქუდს გიყიდი, ჯერ კი აღრეა.

ჰორტენზიო—(თავისთვის)

მაგის გარდაქმნას კიდევ დიდი დრო დასჭირდება!

კატარინა—როგორ, ბატონო, მე ვინ მართმევს სიტყვის  
უფლებას?

ბავშვი ხომ არ ვარ, რომ შემხლუდოთ? თქვენზე  
უკეთესო,

მოუსმენიათ და ჩემს სურვილს დასთანხმებიან,  
თქვენ თუ არ მოგწონთ ჩემი აზრი, დაიშხეთ ყურნი,  
აწ ენა ჩემი იმეტყველებს ჩემს გულისწყრომას,  
ან და ეს გული გაიპობა ათას ნაწილად.  
მეტის მოთმენა აღარ ძალმიძს, არც გაჩუმება,  
და მე უნდა ვთქვა ყველაფერი, რის თქმაც მშადაიან.

პეტრუჩიო—შენ მართალს ამბობ, ეს ქუდს არ ჰგავს,  
სულზე უტკბესო,

ყაჭის ხუფია, ხაჭაპური, ხავერდის ქადა,  
როგორ მიყვარხარ, რომ ეს ქუდი არ მოგეწონა!

კატარინა—სწორედ მე ეს მსურს, მე ეს მომწონს, სხვას  
არ ვატარებ.

(მეწვრიმაღე გადის)

პეტრუჩიო—შენ კაბას ამბობ? მაშ, მკერვალო, გვაჩვენე  
კაბა!

ო, ღმერთო ჩემო, ეს ნამდვილი საშასკარადო  
სისულელეა! ეს კაბაა? ეს რაღა არი?  
სახელოა, თუ საციხოვნო ზარბაზნის ლულა?  
შეხედეთ, როგორ დაღმეჭილა ვაშლის კვერივით,  
ეს ნაკუწები რისთვის არის, ან კუწუბები?

ან ნასვრეტები—სადალაქოს მუჯამარივით?

ეშმაკს გაფიცებ, თერძო, მითხარ: რა არის ესა?

პორტენზიო—(თავისთვის)

მაშ კატარინა, ვერც კაბას და ვერც ქუდს მიიღებს.

მკერავი—თვითონ მიბრძანეთ შემეკერა ლამაზი კაბა  
დროის და მოდის მიხედვითა...

პეტრუჩიო— დიახ, გიბრძანეთ,

მაგრამ ვინ გთხოვა გაფუჭება მოდის მიხედვით?

მაშ ახლა წადი და იხტუნე რამდენიც გსურდეს,

მე აღარაფერს შეგიკვეთავ; რაც გინდა ჰქენი,

ეს ჯღანმანი კი არ მჭირდება! გასწი აქედან!

კატარინა—მე ჯერ არასდროს არ მინახავს ასე ლამაზად,

ასე კობტად და მოხდენილად ნაკერი კაბა!

გეტყობათ სცდილობთ, რომ თოჯინად გადამაქციოთ.

პეტრუჩიო—ეგ მართალი სთქვი, მეც ვატყობ, რომ

თოჯინად ქცევა განუზრახავს.

მკერვალი— არა, ბატონო!

ქალბატონმა სთქვა მხოლოდ ის, რომ თქვენს

თოჯინად ქცევა ჰნებავს მათი...

პეტრუჩიო— რაო, რას ამბობ?

ერთი უყურეთ ამ უტიფარს, ენაგრძელ ბრიყვსა!

აი, შე ძაფო, შე სათითვე, შე მაკრატელო,

აღლო, სამგოჯავ, კოლოვ, რწყილო, ზამთრის კრიკინავ!

საკუთარ სახლში მომინდომე ყოყლოჩინობა?

გადი აქედან, თორემ ისე გაგზომავ აღლით,

რომ ეგ ყბედობა ვერ გაბედო შენს სიცოცხლეში!

შე ჩვარო, შენა, შე ნაკუწო, უთოვ, მახათო,

მე გეუბნები, რომ ეს კაბა მთლად გააფუჭე!

მკერვალი—არა, ბატონო, კაბა სწორედ ისე შევკერეთ,

როგორც ბატონმა შეგვიკვეთა და ეს შეკვეთა

გრუმის ხელით თქვენ მიეცით თვითონ ჩემს ოსტატს.

გრუმისო—მე მას ქსოვილი მივეცი და არა შეკვეთა.

მკერვალი—თან ისიც ხომ სთქვით, თუ ის როგორ  
შეკერვეითო?

გრუმო — შეკერე მეტი, მე გითხარით, ნემსით დაფით!

მკერვალი — ისიც ხომ სთქვით, თუ როგორ უნდა გამოგვეკრა ის?

გრუმო — შენ კარგად იცი ტანსაცმელის გადაბრუნება?

მკერვალი — კარგად ვიცი...

გრუმო — ჰო და, ეგ შენი აბრუნდები ჩემთან არ გავა.

შენ ბევრი ვინმე პამპულურად მოგიერთავს, მაგრამ მე კი ვერ გაპამპულავებ! მე ვუთხარი შენს ოსტატს, რომ მას კაბა გამოეკრა და არა ის, რომ ნაკუწებად დასკერი მეტი. მაშ რა გამოდის აქედან? გამოდის ის, რომ შენ სტყუი!

მკერვალი — აი, შეკვეთის ბარათი, რაც თვითონ გვიმოწმებს, თუ როგორ უნდა შეგვეკერნა ეს თქვენი კაბა!

პეტრუჩიო — მაშ წაიკითხე.

გრუმო — ეგ ბარათი იცრუებს მაშინ, თუ იტყვის, რომ მე შევუკვეთე ასე შეკერვა.

მკერვალი — (კითხულობს) პირველ ყოვლისა, განიერი კაბა შეკერეთ.

გრუმო — თუ მე მეტყვას, ბატონო, განიერი კაბა შეტქი, მაშინ

ჩამკერეთ თვით იმ კაბის კალთებში და შავი ძაუის შულოთი მირტყით, ვიდრე სული ამომძვრებოდეს; მე ვუთხარი: „კაბა“ მეტი!

პეტრუჩიო — განაგრძე... მერე?

მკერვალი — (კითხულობს) პატარა, მრგვალი საყელოთი.

გრუმო — მე ვთქვი: „საყელოთი“ მეტი!

მკერვალი — მოკლე, ფუნჩულა სახელოებით.

გრუმო — მე ვთქვი: „ორი სახელოთი“ მეტი.

მკერვალი — სახელოები ღამაზად ამოჭრილი.

პეტრუჩიო — სწორედ ეგ არის საზიზღარი დამახინჯებაც.

გრუმო — ბარათი სტყუის, ბატონებო, ბარათი სტყუის.

მე ის ვუთხარი — სახელოები გამოქერი და ისევ ზედ



შიაკერე მეთქი. ამას მე დაგიმტკიცებ, თუმცა შენ  
ნეკი სათითოდ არის შეიარაღებული.

მკერვალ — მე კი ვამბობ, რომ მართალია და ამაში  
დაგარწმუნებდი

კიდევ, სხვა ადგილას რომ ვიყოთ.

გრუმო — ახლაც მზად გახლავარ, რომ თავი დავდო  
სიმართლისათვის: აილე შენ ეგ ბარათი და აქ მომეცი  
შენი ადლი. აბა, მარჯვედ და ნურც დამზოგავ!

ჰორტენზიო — ღმერთს შეხედე, გრუმო, ასეთი ბრძოლა  
ხომ თანასწორი არ იქნება!

პეტრუჩიო — ასეა თუ ისე, ეს კაბა ჩემთვის არ არის გამო-  
სადევი.

გრუმო — მართალსა ბრძანებთ: ეგ კაბა თქვენთვის გამოსა-  
დევი არ გახლავთ, რადგან ქალბატონისათვის არის  
შეკერილი.

პეტრუჩიო — ასწიე ჩქარა ქალბატონის კაბა, შენმა ოსტატ-  
მა ის, როგორც სურს, გამოიყენოს.

გრუმო — არ გაბედო, არამზადავ, ქალბატონის კაბის აწევა,  
რომ ის შენმა ოსტატმა გამოიყენოს.

პეტრუჩიო — შენ რაღას როშავ? რის თქმა გინდა ნეტავი  
მაგით?

გრუმო — არა, ბატონო, ეს უბრალო საქმე როდია,  
აქ უფრო მეტი აზრი გახლავთ, ვიდრე გგონიათ:  
„ასწიე ქალბატონის კაბა და იგი  
შენმა ოსტატმა გამოიყენოს“. ფუი, ფუი! რა ბრძანებაა!

პეტრუჩიო — (ვანზე — ჰორტენზიოს)  
უთხარ. მაგ მკერვალს, რომ კუთვნილ ფულს მერე მიიღებს!  
(მკერვალს)  
წადი აქედან, სიტყვა არა სთქვა, კრინტი არ დაძრა.

ჰორტენზიო — (მკერვალს ვანზე)  
ხვალ გაგისტუმრებ ნამუშავრის ღირებულებას,  
ნუ გეწყინება შენ მაგისი მკვახე სიტყვები,  
წადი... შენს ოსტატს ვადაეცი ჩვენი მოკითხვა!

(მკერვალი ვადის)



პეტრუჩიო—ასე, კატუნი! მამაშენის ოჯახში წავალთ, ამ ჩვენს უბრალო ტანსაცმელში გამოწყობილნი. მერე რა უშავს,—სავსე ქისა მუდამ სჯობია მდიდრულ ტანსაცმელს, საამაყოდ ესეც გვეყოფა. მდიდარი სული ხომ ამდიდრებს თვით ლატაკ სხეულს? ვით ღრუბლებიდან მზის ქიატი გამოკრთის ხოლმე, ისე გამოსჭვრეტს ძველ სამოსით პატიოსნებაც. ნუთუ კაჭკაჭი ტოროლასა სჯობია იმით, რომ მას ლამაზი ფრთები აქვს და თან გრძელი ბოლო? ან, თუნდაც გველი გველთევზაზე უკეთესია თავისი ჭრელი კანის გამო? არა, ძვირფასო, შენ ამ ღარიბულ ტანსაცმელში ბევრად სჯობიხარ ფარშავანგვივით ჭრელ-ჭრულებში მორთულ კაპასებს; თუ ეს სირცხვილად ჩაგითვალონ—მე დამდე ბრალი! მაშ მხნედ იყავი... ჩვენ ეხლავე გავემგზავრებით და მამაშენის სახლში ლხენით ვატარებთ დროსა! მაშ უხმე მსახურთ, მოამზადონ ახლავ ცხენები და ხეივნებთან დაგველოდონ... იქ ფეხით მივალთ, შემდეგ კი შევსხდეთ და გავქუსლოთ... ჯერ მხოლოდ შვიდი

საათი არის, სადილის ქაშს, უკვე იქ მივალთ.

კატარინა—მე თქვენ გარწმუნებთ, უკვე ორი საათი არის და ვახშობაზე აღრე ჩვენ იქ ვეღარ მივალწევთ.

პეტრუჩიო—სანამ ცხენებზე შევსხდებოდეთ, შვიდი განდება, რასაც კი ვიტყვი, გავაკეთებ, ან განვიზრახავ, მე შენ არაფერს მეთანხმები... თქვენ, ეი! ხალხნო! ნუ ჰკაზმავთ ცხენებს,—არ მივდივართ... და როცა წავალთ,

ჩვენ იმ საათზე და იმ წუთზე წავალთ, როგორც ვთქვი!

ჰორტენზიო—ამ ვაჟბატონს ჰსურს, რომ თვითონ მზესაც კი უბრძანოს!

(გადიან)

პაღუა. ბაპტისტას სახლის წინ.

(შემოდინან ტრანო და მასწავლებელი—ვინჩენციოდ გადაცემული).

ტრანო—ეს გახლავთ სახლი ბაპტისტასი, გსურთ  
დაუძახოთ?

მასწავლებელი—რადა თქმა უნდა, დავუძახოთ... თუ არა  
ვცდები,

ბატონ ბაპტისტას მე ვიცნობდი, ალბათ ვახსოვარ:  
მას შემდეგ განვლო ოცმა წელმა, რაც გენუაში,  
დიდხანს ვცხოვრობდით ჩვენ სასტუმრო „მერანში“

ერთად.

ტრანო—მშვენიერია! შეასრულეთ თქვენ თქვენი როლი  
აწ მამაჩემის შესაფერი სიდარბაისლით.

(შემოდის ბიონდელი)

მასწავლებელი—მაგას ნუ დარღობთ, მაგრამ მოდის  
თქვენი მსახური

და კარგს იზამთ, რომ გააფრთხილოთ—როგორ  
მოიქცეს.

ტრანო—ნუ გეშინიანთ მაგ კაცისა... შენ, ბიონდელი,  
კარგად ვახსოვდეს, რომ ეს კაცი წარმოიდგინო,  
თითქოს ნამდვილად უტყუარი ვინჩენციოა.

ბიონდელი—თქვენ ჩემი შიში ნუ გექნებათ, არ დავოვიწყებ.

ტრანო—ხომ გადაეცი, ბაპტისტასთან რაც დაგაბარე?

ბიონდელი—სულ დაწვრილებით. მე ვუთხარი, რომ დღეს  
მამათქვენს

ვენეციიდან პაღუაში ელოდებიან.

ტრანო—ყოჩად... აჰა, ეს გასამრჯელო და დღეს გადაჰქარ!  
აგერ აქ მოდის თვით ბაპტისტა, დარბაისლური სახე  
შიიღეთ.

(შემოდინან ბაპტისტა და ლუჩენციო)

(ბაპტისტას) ბატონო ჩემო, რა ბედნიერ შემთხვევით  
გხვდებით!

(მასწავლებელს) აქ თვით მობრძანდა, ვისზედაც ჩვენ  
ვლაპარაკობდით.

გთხოვთ, მოიხადოთ მამობრივი ვალი ჩემდამი  
და სამემკვიდრო დასტურის თქმით მომცეთ ბიანკა!  
მასწავლებელი—დაწყნარდი, შვილო... (ბაბტისტას) მე,  
ბატონო, პადუას მოველ,

მევალებოვან თამასუქთა გასანადღებლად.  
აქ მე მაცნობა ჩემმა შვილმა ლუჩენციომ  
თვისი განზრახვა—თქვენს ასულთან ქორწინებისა.  
იმ დიდ სახელის, გავლენის და სიმდიდრის გამო,  
რაც ქვეყანაზე თქვენ ღირსებით მოგიხვეჭიათ  
და იმ უსაზღვრო სიყვარულის საბედნიეროდ,  
რაც ჩვენს შვილების გულს ათრთოლებს ერთურობისადმი,  
მე თანახმა ვარ და მიხარის, ვით მზრუნველ მამას,  
რომ ეს სურვილი დაკვირგვინდეს და თუ ინებებთ  
გაიზიაროთ ჩემი აზრი—მე მზად ვახლავართ,  
რომ დავდო თქვენთან საქორწინო ხელშეკრულება.  
წვრილმან საკითხთა განსჯით საქმეს არ გავართულებ,  
რადგანაც თქვენზე ასე ბევრი კარგი მსმენია!

ბაბტისტა—ბატონო ჩემო, ეგ გულწრფელი პირდაპირობა  
და მოკლე სიტყვა მე უსაზღვროდ მესიამოვნა.  
მართალი არის, თქვენს შვილს უყვარს ჩემი ბიანკა,  
სიყვარულითვე მიუზღავს ის ლუჩენციოს  
და ორივენი ღრმად ჰფარავენ თავის სიყვარულს.  
ამიტომ, თუ თქვენ სწვა სათქმელი არაფერი გაქვთ,  
თუ მოეპყრობით თქვენს შვილს, როგორც მზრუნველი  
მამა

და უზრუნველყოფთ ჩემს ქალიშვილს მემკვიდრეობით,  
გათავებულად ჩავთვლით საქმეს, დავნიშნავთ ქორწილს  
და დავთანხმდები თქვენს შვილს ჩემი ქალის შერთვასა.

ტრანიო—გმადლობთ, ბატონო, თანხმობისათვის. სად  
მოისურვებთ  
ჩვენსა ნიშნობას, რომ სურვილის თქვენის თანახმად  
დავდოთ ორმხრივი საქორწინო ხელშეკრულება?

ბაბტისტა—არა ჩემს სახლში, უნდა გითხრათ, იქ  
ქოთნებსაც კი  
სმენა აქვთ ახლა, ამას ერთვის მსახურთ სიმრავლე,

- თან ის მოხუცი გრემიოც ხომ სულ გვითვალისწინებდა და შესაძლოა, თუ გაიგო, ჩაშლაც კი სცადოს.
- ტრანო—მაშ, ჩემს ბინაში თუ ინებებთ, ისევ ისა სჯობს, თვით მამაჩემიც იქვე ცხოვრობს, ჩვენ ამაღამვე შეგვიძლიან, რომ გავარიგოთ ჩუმიად ეს საქმე. თქვენ ბიანკასთან გავზავნეთ ეს თქვენი მსახური, მე კი—ახლავე, ნოტარიუსს აქ დავიბარებ.
- მხოლოდ ეს კია სამწუხარო, რომ დრო მცირე გვაქვს და თქვენ საკადრის პურმარლით ვერ დაგიხვდებით.
- ბაპტისტა—მე თანახმა ვარ, მაშ, კამბიო, შინ გაიქეცი და მოახსენე ბიანკას, რომ მსწრაფლ მოემზადოს. თან შეგიძლიან ისიც უთხრა, რაც კი აქ მოხდა: უთხარ—პაღუს ჩამოვიდა ბენტივოლი თქო და შენც მალე თქო, მივათხოვებ ლუჩენციოსა!
- ლუჩენციო—ყველა ღმერთებს ვსთხოვ გულთ, რომ ასე ინებონ!
- ტრანო—რა დროს ლოცვა და ღმერთებია, გასწი შინ, ჩქარა!
- ბატონო ბაპტისტა! ნება დამრთეთ რომ წინ გაგიძღვეთ, თუმც ღარიბულად მოგვიხდება გამასპინძლება, მაგრამ ამ დიდ ნაკლს ჩვენ პიზაში გამოვასწორებთ.
- ბაპტისტა—მაშ წავიდეთ, მეც გამოგყვებით.  
(ტრანო, ბაპტისტა და მასწავლებელი გადიან)
- ბიონდელო—კამბიო!
- ლუჩენციო—რაო, ბიონდელო? მითხარ, ყურს გიგდებ.
- ბიონდელო—შენიშნეთ, ჩემი ბატონი თვალს რომ გიშვრებოდათ და შემოგვცინოდათ?
- ლუჩენციო—მერე და რაო, ბიონდელო?
- ბიონდელო—მაინც და მაინც დიდი არაფერი, მაგრამ ის კი მინდა გაცნობო, რომ მან მე განგებ დამტოვა, რათა ავიხსნა აზრი მისი ნიშნებისა.
- ლუჩენციო—მაშ, ამიხსენი.
- ბიონდელო—ყური დამიგდეთ, ახლა ბაპტისტა აღბათ არხეინად ზის და გულმინდობით ესაუბრება ყალბი შვილის ყალბ მამას.

ლუჩენციო—მერე?

ბიონდელიო—მისი ქალიშვილი თქვენ უნდა მიიყვანოთ ვაზ-  
შამზე.

ლუჩენციო—მერე?

ბიონდელიო—წმინდა ლუკას ეკლესიის მოხუცი მღვდელი  
ყოველ წამს მზად არის თქვენი სამსახურისათვის.

ლუჩენციო—და ყველაფერი ეს რას ნიშნავს?

ბიონდელიო—არ ვიცი, მაგრამ ეხლა, როცა ისინი გართულ-  
ნი არიან ყალბი გარიგებით, თქვენ შეგიძლიანთ კანო-  
ნიერი გზით გაურიგდეთ ქალს Cum privilegio ad imp-  
rimendum Solum. წადით ეკლესიაში, უხმეთ მღვდელს,  
მნათეს, რამდენსამე წესიერ მოწმეს. თუ ეს არ არის,  
რასაც ეძებთ, მაშ ბრმა ვყოფილვარ და ბიანკასაც სამუ-  
დამოდ გზა დაულოცეთ.

(ბიონდელიო მიდის)

ლუჩენციო—მაშ გამიგონე, ბიონდელიო!

ბიონდელიო—ვეღარ დავიცდი... მე ვიცნობდი ერთ გოგოს  
რომელმაც ჯვარი დაიწერა შუადღისას, როცა ის  
ბოსტანში ოხრაბუშის მოსაკრეფად წავიდა, რომ კურდ-  
ღელი შეეკახშვა სადილისათვის. თქვენც ასევე შეგიძ-  
ლიანთ მოიქცეთ. მშვიდობით, ბატონო, ჩემმა ბატონმა  
დამავალა—წავიდე წმინდა ლუკას ეკლესიაში და ვუთხ-  
რა, რომ მღვდელი მზად იყოს, როცა თქვენ თქვენის  
კეთილშენაძენით იქ მიბრძანდებით.

(გადის)

ლუჩენციო—გადაწყდა, უნდა ვიმოქმედო... დამთანხმდება  
კი?

რაღა თქმა უნდა, დამთანხმდება, შორს მერყეობავ,  
მაშ დაე მოხდეს მოსახდენი, ყველაფერს ვიზამ,  
ოლონდ აქედან არ დავბრუნდე ხელცარიელი...

(გადის)

## შარავზა.

(შემოდინან პეტრუჩიო, კატარინა, ჰორტენზიო)

პეტრუჩიო—იჩქარე, ჩვენ ხომ მამაშენთან მიგვეშორება!  
 ღმერთო, რა ნათლად და უშუქპარბად ციმციმებს მთვარე.

კატარინა—მთვარე კი არა, მზე ანათებს, ესლა ხომ დღეა?

პეტრუჩიო—მე ვამბობ, რომ მთვარე არის—ასე რომ  
 ბრწყინავს.

კატარინა—მე ვიცი, რომ ეს მზე ანათებს და არა მთვარე!

პეტრუჩიო—ღედაჩემის შვილს გეფიცები (ეს შვილი მე  
 ვარ),

რომ ეს მთვარეა და არა მზე, არც ვარსკვლავები!

თორემ დავრჩები, მამაშენთან აღარ წამოვალ,

წადით და ახლავ დააბრუნეთ ცხენები უკან!

შენ ყველაფერში მუდამ ჩემი წინააღმდეგი ხარ!

ჰორტენზიო—დაუთმეთ, თორემ არ წამოვა!

კატარინა—გთხოვთ, რომ წავიდეთ, თუ ასეა—დე მთვარე  
 იყოს,

თუნდ მზე უწოდეთ, თუნდ ვარსკვლავი, თუნდ ზეთის  
 ქრაქი,

გეფიცებით, რომ წინააღმდეგ მე აღარ წავალ

და სწორედ ისე მოვიქცევი, როგორც ისურვებთ.

პეტრუჩიო—მე ვამბობ, რომ ეს მთვარე არის...

კატარინა—  
 დიახ, მთვარეა!

პეტრუჩიო—არა, შენ სტყუი,—ეს მზე არის,

მზე—სხივნათელი!

კატარინა—დიდება უფალს, ეს მზე არის, რაღა თქმა უნდა,

თქვენ როგორც იტყვი—ყველაფერი ისე იქნება:

მზე გარდიქმნება მთვარედ, ან და მთვარე—ვარსკვლავად,

თუ აზრს შეიცვლით—ყველაფერი გამოიცვლება

და ის კანონად გახდება აწ კატარინასთვის.

ჰორტენზიო—წინ, პეტრუჩიო, ბრძოლა უკვე მოგებულია!

პეტრუჩიო—ახლა კი წავალთ! ბურთი მუდამ დაბლა

მიგორავს,

ხოლო დაბლიდან ის აღმართზე ვერ აგორდება;  
მაგრამ მოიცათ, ეს ვინ მოდის?

(შემოდის ვინჩენციო—სამგზავროდ გამოწყობილი)

(პეტრუჩიო - ვინჩენციოს) დილა მშვიდობის,  
ულამაზესო ქალბატონო, საით ისწრაფვით?  
მითხარი, კატი, თუ ოდესმე ყოფილხარ კიდეც  
ასე ტურფა და კეთილშობილ ქალის მნახველი?  
შეხედე, როგორ კდემით ებრძვის იმის დაწვევებზე  
ვარდის სიწითლე—უსპეტაკეს თოვლის სითეთრეს!  
ცის სილაქვარდეს ვერ ჰქარავავენ ვარსკვლავნი ისე,  
ვით წყვილი თვალის ბრწყინვალეობა—მის ციურ სახეს.  
კიდეც სალამი, მშვენნიერო!... (კატარინას) ძვირფასო კატი,  
მიდი, აქოცე მას ღვთაებრივ სილამაზისთვის.

პორტენზიო—შეშლი მაგ მოხუცს, დედაკაცად რომ გსურს  
მონათლო!

კატარინა—შენ, მშვენნიერო, გაზაფხულის ნორჩო ყვავილო,  
საით მიდინარ, ან სად ცხოვრობ? რომელ ბალს ამკობ?  
რა ნეტარია ასეთ ლამაზ ბავშვის აღმზრდელი  
და უფრო მეტად ბედნიერი იგი ვაჟკაცი,  
რომელსაც ამას თანამგზავროდ არგუნებს ბედი!

პეტრუჩიო—რას ამბობ, კატი! ჭკუაზედ ხომ არ შეიშალე?  
ეგ სახემკენარი, ფერყვითელი ბერიკაცია  
და არა ქალი მშვენნიერი, როგორც შენ ჰფიქრობ!

კატარინა—სათნო მოხუცო, გთხოვთ შეუდლოთ ჩემს  
შემცდარ თვალებს!

მზის ელვარებამ დამიბნელა მე მხედველობა  
და ყველაფერი ირგვლივ მწვანედ მეჩვენებოდა.  
ახლა კი ვხედავ: თმაქალარა მოხუცი სჩანხართ;  
გთხოვთ მომიტევოთ სულელური შეცდომა ჩემი.

პეტრუჩიო—გთხოვთ მიუტევოთ და თან ისიც  
შეგვატყობინოთ,

საით გაქვთ გეზი და თუ ჩვენი თანამგზავრი ხართ,  
ჩვენ მოხარული ვიქნებით, თუ შეგვიერთდებით.

ვინჩენციო—პატივცემულო ბატონო, და თქვენც,  
ქალბატონო,

მე განმაცვიფრა უცნაურმა თქვენმა შეხვედრამ, თქვენმა ხუმრობამ, თუმც შემაკრთო, გამართო მაინც!  
მე ვინჩენციოს მიწოდებენ, ქალაქ პიზიდან  
მივალ პადუას—ჩემი შვილის სანახავადა.

პეტრუჩიო—მისი სახელი?

ვინჩენციო— ლუჩინციო, ბატონო ჩემო!

პეტრუჩიო—ბედნიერია შემთხვევითი შეხვედრა ჩვენი, ბედნიერია თქვენი შვილიც, ნება მიბოძეთ გიწოდოთ მამა, არა მარტო მაგ ჰალარისთვის, არამედ მტკიცე ნათესავურ კავშირისთვისაც: ამ კეთილშობილ ქალის დაი, ჩემი ცოლის და, ტურფა ბიანკა, თქვენი შვილის ცოლია ახლა. ნუ გაიკვირვებთ ანა ამბავს, ნურც შესწუხდებით: ის კეთილშობილ და შეძლებულ მამის შვილია, კარგად აღზრდილი, მზითვიანი, მეტად ლამაზი, ზნეობითა და სათნოებით ყოველმხრივ ღირსი, რომ იყოს ცოლი კეთილშობილ აზნაურისა. ნება მიბოძეთ, ვინჩენციო, გადაგეხვიოთ და თქვენთან ერთად განვაგრძო გზა პადუისაკენ. აწ თქვენი ჩასვლა გაახარებს ლუჩინციოსა!

ვინჩენციო—თქვენ მართალს ამბობთ? რაც ახლა სთქვით სწორედ ასეა, თუ ისევ ხუმრობთ და დამცინით თავშესაქცევად? მხიარულ მგზავრსა კაცი ახლა ხშირად შეხვდება.

ჰორტენზიო—მეც ვადასტურებ, მართალია, რაც მოგახსენეს.

პეტრუჩიო—მაშ წავიდეთ და იქ ყველაფერს თვალთა ნახავთ.

თქვენ დაგაეჭვათ წელანდელმა ჩვენმა ხუმრობამ!

(პეტრუჩიო, კატარინა და ვინჩენციო გადიან).

ჰორტენზიო—შენ დამაყენე, პეტრუჩიო, ქეშმარიტ გზაზე და ჩემი ქვრივი ქირვეული თუ გამოდგება, მე შენგან ნაცად უებარ ხერხს გამოვიყენებ!



## მოქმედება მესამე

### სურათი I

პადუა. ლუჩენციოს სახლის წინ.

(ერთის მხრით შემოდინ ბიონდელი, ლუჩენციო და ბიანკა.  
მეორე მხარეს—ბოლთას სცემს გრემიო)

ბიონდელი—რაც შეიძლება ჩუმად და თან რაც შეიძლება  
ჩქარა, ბატონო, მღვდელი უკვე მიგელოდებათ.

ლუჩენციო—მოფფრინავ, ჩემო ბიონდელი, მაგრამ შენ იმათ  
იქნებ დასჭირდე სახლში? სჯობს რომ მარტო

დაგვეტოვო!

ბიონდელი—არა, ბატონო, ჯერ მსურს გნახოთ ეკლესიაში,  
ხოლო მას შემდეგ ჩემს ბატონთან გამოვბრუნდები.

(ლუჩენციო, ბიანკა და ბიონდელი გადიან, მეორე მხრიდან  
შემოდის გრემიო)

გრემიო—მიკვირს, კამბიო ასე დიდხანს რად იგვიანებს?

(შემოდინ პეტრუჩიო, კატარინა, ვინჩენციო და მსლებლები)

პეტრუჩიო—აი, ბატონო, აქა ცხოვრობს ლუჩენციო,  
ჩემი სიმამრის სასახლე კი—ბაზართან გახლავთ,  
თქვენ აქ დაგტოვებთ... ნება დაგვრთეთ დაგემწვიდობოთ.

ვინჩენციო—ჯერ, ვიდრე წახვალთ, გულით მსურს რომ  
გაგიმასპინძლდე

და შევსვა თქვენთან სადღეგრძელო ჩვენი გაცნობის,  
როგორც ჩანს, რაღაც წვეულებაც მზადდება აქა.

(აკაკუნებს)



გრემიო—დააკაუნეთ უფრო მაგრა, რადგან მაგ სახლში  
 მეტად რთულ საქმით არის ახლა ყველა გართული.  
 (ფანჯარაში გადმოიხედავს მასწავლებელი)

მასწავლებელი—ვინ აკაკუნებს ასე მაგრა, თითქოს  
 ლამობდეს ალაყაფის კარის დამტვრევას?

ვინჩენციო—ლუჩენციო შინ ბრძანდება, ბატონო ჩემო?  
 მასწავლებელი—შინ არის, მაგრამ ახლა იმას არა  
 სცალიან!

ვინჩენციო—იმ შემთხვევაშიც ვერ მოიცილის ჩვენს  
 მისაღებად,  
 რომ მოეუტანოთ ასი, ანუ ორასი ოქრო?

მასწავლებელი—სჯობს ისევ თქვენთვის შეინახოთ ეგ  
 ოქროები,

მას არ სჭირდება, სანამდის მე ცოცხალი ვყავარ!

პეტრუჩიო—ხომ მოგახსენეთ, ვინჩენციო, რომ პადუაში  
 უსაზღვროდ უყვართ თქვენი შვილი! თქვენ კი, ბატონო,  
 კმარა ეგ როშვა... გადაეცით ლუჩენციოს,  
 რომ მამამისი ჩამობრძანდა უკვე პიზიდან,  
 და ახლა იგი ამ კარებთან უტდის თავის შვილს.

მასწავლებელი—შენ სტყუი, მამამისი დიდი ხანია რაც  
 ჩამოვიდა პიზიდან და ახლა იგი ამ ფანჯარიდან იყურება.

ვინჩენციო—როგორ, განა შენ მამა ხარ მისი?

მასწავლებელი—დიახ, ბატონო, ასე მარწმუნებდა დედა-  
 მისი, თუ კი მას დაეჯერება.

პეტრუჩიო—(ვინჩენციოს) რა ამბავია, ბატონო ჩემო! ეს ხომ  
 აშკარა თაღლითობაა, როცა სხვის სახელს ითვისებენ  
 ცბიერ განზრახვით?

მასწავლებელი—შეიპყარით და არ გაუშვათ ეგ ვივინ-  
 დარა; ალბათ, მაგას განზრახული აქვს ჩემი სახელით  
 ვიღაც მოატყუოს ამ ქალაქში. (შემოდის ბიონდელი)

ბიონდელი—ახლა ისინი უკვე ეკლესიაში არიან. კეთილი  
 მგზავრობა მისცეს უფალმა, ჩინებულად მოეწყოს საქმე.  
 მაგრამ ამას ვის ვხვდავ? ვაგლახ ჩემს თვალებს: ეს ხომ  
 ჩემი მოხუცი ბატონი ვინჩენციოა; ახლა კი დავიღუპეთ  
 და ჩაგვეფუშა ყველაფერი.



ვინჩენციო—(შენიშნავს ბიონდელოს) აქ შო, შე ჩამოსახარე შენა!

ბიონდელო—ეგ ბრძანება რა საჭიროა? მინდა მოვალ, მინდა—არ მოვალ!

ვინჩენციო—აქ მოდი მეთქი, არამზადავ, დაგავიწყდი თუ? ბიონდელო—დამავიწყდიო? არა, ბატონო, მე ვერ დავივიწყებდით, რადგან არასოდეს ჩემს სიცოცხლეში თვალთაც კი არ მინახავხართ.

ვინჩენციო—რაო, უტიფარო მაწანწალავ, შენ თვალთ არ გინახავს შენი ბატონის მამა ვინჩენციო?

ბიონდელო—ჩემი სათაყვანებელი დიდი ბატონი? ო, როგორ არა, ბატონო ჩემო, მე მას ახლაც მშვენივრად ვხედავ... აგერ, იმ ფანჯრიდან იყურება.

ვინჩენციო—მაშ ასეა? (სცემს ბიონდელოს) ამას მიბედავ?

ბიონდელო—მიშველეთ, მიშველეთ! ვილაც შეშლილი თავს დამესხა და მოკვლას მიპირებს.

მასწავლებელი — (ფანჯარაში მიიმალება) უშველეთ, შვილო, უშველეთ, ბატონო ბაპტისტა!

პეტრუჩიო—კატი, ჩვენ ცოტა მოშორებით დავდგეთ აქედან და ვნახოთ, თუ რით მორჩება ეს აურზაური!

(ქუჩის ნაპირს მიეფარებიან)

(შემოდინ მასწავლებელი, ტრანო, ბაპტისტა და მსახურნი)

ტრანო—ვინ ხართ, ბატონო, რომ ბედავთ ჩემი მსახურის ცემას?

ვინჩენციო—ვინ ვარ? თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით, ბატონო? ო, უკვდავო ღმერთებო! ერთი უყურეთ ამ არამზადას: აბრეშუმის ქურთუკი, ხავერდის შარვალი, წითელი ხირდა და მოდაზე ნაკერი ქუდი! ო, დავილუპე, გამანადგურეს, მე იქ, სახლში, დაუსრულებლივ ვზრუნავ ქონების შესაქმნელად, ჩემი შვილი და მსახური კი აქ უნივერსიტეტში, ჩემს დოვლათს ანიაგებენ.

ტრანო—რა ამბავია, რა მოხდა?

ბაპტისტა—კჳუიდან ხომ არ შეშლილა ეს ვილაც კაცი?

ტრანო—თქვენ გარეგნობით დარბაისელ აზნაურს

ჰგვეხართ,



მსჯელობთ კი, როგორც ჰქვიაზე შეშლილს შეეფერება  
 რა გესაქმებათ ამ ჩემს ძვირფას ჩაცმულობასთან,  
 თუ ჩამჯდარი ვარ ოქროსა და თვალმარგალიტში,  
 აწ ამისათვის მე ვუმაღლი ძვირფას მამაჩემს.

ვინჩენციო—მამაშენს? ის ხომ ბერგამელი მეიალქნეა?  
 ბაპტისტა—თქვენ აშკარად შემცდარი ბრძანდებით.  
 ბატონო! როგორ გგონიათ, სახელად რა ეწოდება ამ  
 კეთილშობილს?

ვინჩენციო—რა ეწოდება? თითქოს არ ვიცოდე: ეგ სამი  
 წლის ბიჭი იყო, როცა ავიყვანე და მას შემდეგ ჩემს  
 სახლში იზრდებოდა. მაგისი სახელია ტრანო.

მასწავლებელი—ერთი უყურეთ ამ რეგვენ ვირსა! ამისი  
 სახელია ლუჩენციო. ეს ერთადერთი შვილი მყავს, ეს  
 არის მემკვიდრე ჩემი—ბატონ ვინჩენციო ბენტივოლის  
 მამულებისა.

ვინჩენციო—ლუჩენციო? ვაი ჩემს თავს, რას მოვსწრებდევარ!  
 მაგას თავისი ბატონი მოუკლავს. შეიპყარით! ჰერცოგის  
 სახელით გიბრძანებთ, შეიპყარით დაუყოვნებლივ! ო,  
 შვილო ჩემო, შვილო ჩემო, ვაი ჩემს ყოფას! მითხარი  
 ჩქარა, ავაზაკო, სად არის ჩემი შვილი ლუჩენციო?

ტრანო—(ერთერთ მსახურს) უხმეთ მცველებს და დააჩქარეთ,  
 რომ წაიყვანონ ეს მაწანწალა ავაზაკი საპყრობილეში.

(მსახურა გადის. ტრანო—ბაპტისტას)

გთხოვთ გაისარჯოთ და მიიღოთ მკაცრი ზომები,  
 რომ ტყვეობიდან არ გაიქცეს ეს ცოფიანი მაწანწალა!  
 ვინჩენციო—საპყრობილეში წაიყვათო? მე მაპატიმრებთ?

(შემოდინ ქალაქის მცველები)

გრემიო—შესდექით, მცველნო! ეგ არ წავა საპყრობილეში.  
 ბაპტისტა—მაგას ნუ ბრძანებთ, გრემიო, მე მტკიცედ  
 მოვითხოვ, რომ წაიყვანონ ეგ ციხეში...

გრემიო—  
 არ გაგაწბილოთ მაგ სიჩქარემ... მე შემიძლიან  
 დავიფიცო, რომ ეს ნამდვილად ვინჩენციოა.

მასწავლებელი—მაშ დაიფიცე, თუ ასეა.

გრემიო—ვერ დავიფიცავ.

ტრანიო—იქნებ ისიც სთქვა, რომ მე არა ვარ ლუჩენციო?

გრემიო—არა, მე თქვენ გცნობთ, როგორც ბატონ ლუჩენციოს!

ბაპტისტა—მაშ წაიყვანეთ ეს სულელი საპყრობილეში.

ვინჩენციო—რა შემზარავად ეპყრობიან აქ უცხოელებს, საშინელია! ო, უგულო არამზადებო!

(შემოდინ ბიონდელო, ლუჩენციო და ბიანკა)

ბიონდელო—დავილუპენით... აი, ჰხედავთ, იგი აქ არის!

გემუდარებით, უარჰყავით, სთქვით, რომ არ იცნობთ, თორემ ყველანი ერთიანად დავილუპებით.

ლუჩენციო—(დაიხოქებს) მამავ, შემინდე!

ვინჩენციო—შვილო ჩემო, შენ ცოცხალი ხარ?

(ბიონდელო, ტრანიო და მასწავლებელი გაიქცევიან)

ბიანკა—(დაიხოქებს) მამავ, შემინდე!

ბაპტისტა—განა რა ჰქენ, რა ჩაიღინე?

(ათვალიერებს)

ლუჩენციო სადღა არის?

ლუჩენციო—აქ გახლავართ ლუჩენციო,

კანონიერი შვილი ნამდვილ ვინჩენციოსი.

ვიდრე ისინი გადაცმულნი, თქვენ თვალს გიხვევენდენ, მე თქვენს ასულზე ვიქორწინე ეკლესიაში!

L.P.S.

გრემიო—აი, ნამდვილი მოტყუებაც ამასა ჰქვიან!

ვინჩენციო—რა იქნა იგი, მაწანწალა მონა—ტრანიო, ასე უტიფრად რომ დამადგა და მაწბილებდა?

ბაპტისტა—ერთი მითხარით, ეს კამბიო არ არის განა?

ბიანკა—კამბიო უკვე გარდაიქმნა ლუჩენციოდ!

ლუჩენციო—(ვინჩენციოს)

სიყვარული ქმნის სასწაულებს და მეც ბიანკას სიყვარულისფვის გადაუცვალე მსახურ ტრანიოს ჩემი სახელი, სამოსი და მდგომარეობა,— ამ მოხერხებით ჩემს სიყვარულს გზა გავუკაფე, და მივალწიე ნეტარების მყუდრო ნავსადგურს...

ის, რაც ტრანიომ ჩაიდინა—მე დავავალე,  
ამიტომ გთხოვ, რომ აპატიო ჩემი გულისთვის!

ვინჩენციო—იმ სალახანას მე უმაღლვე ცხვირს გავუშეშეყავ,  
საპყრობილესი მიპირებდა იგი გაგზავნას!

ბაპტისტა—(ლუჩენციოს)

მაგრამ მითხარით, ბატონო, ეს როგორ გავიგო:  
თქვენ იქორწინეთ ჩემს ასულზე, ჩემს უნებართვოდ?  
ვინჩენციო—აწ მაგისათვის ნუ იწუხებთ, ჩვენ  
მოვრიგდებით.

მაგრამ იმათ კი, იმ თავხედებს, შავ დღეს დავაყრი!  
(გადის)

ბაპტისტა—მაშ მეც გავყვები, რომ ეს საქმე გამოვიძიო.

ლუჩენციო—(ბიანკას) ფერი ნუ მიგდის! მამა კმაყოფილი  
დარჩება ბოლოს!

(გადიან ლუჩენციო და ბიანკა)

ვრემიო—მე მშრალზე დავრჩი, იმედების კოშკი დაიმსხვრა,  
მაგრამ შევალ, რომ ქორწილს მაინც მაყრად დავესწრო!

(გადის. პეტრუჩიო და კატარინა წინ წამოდგებიან)

კატარინა—შევიდეთ, ვნახოთ, ეს ამბავი რით  
დამთავრდება!

პეტრუჩიო—ჯერ მაკოცე და მხოლოდ შემდეგ წამოვალ,  
კატი!

კატარინა—რა სთქვი? გაკოცო, აქ, ქუჩაში?

პეტრუჩიო— ჩემი გრცხვენიან?

კატარინა—არა, უფალმა დამიფაროს, შენი კი არა,  
კოცნის მრცხვენიან!

პეტრუჩიო—თუ ასეა, მე ძრ მოვდივარ. (მსახურთ)

გი, ახლავე სუყველანი დაბრუნდით უკან!

კატარინა—არა, ძვირფასო, სიხარულით გაკოცებ შუდამ!  
(კოცნის)

პეტრუჩიო—აი, ეს მესმის, შეგვიძლიან ახლა წავიდეთ!

სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს, ჩემო კატუნი,

მერწმუნე, ვფიცავ, რომ ასე სჯობს თვითონ შენთვისაც!

სურათი II

ოთახი ლუჩენციოს სახლში. ნადიმი.

(შემოდინ ბაპტისტა, ვინჩენციო, გრემიო, მ. სწავლებელი, ლუჩენციო, ბიანკა, პეტრუჩიო, კატარინა, ჰორტენზიო და ქვრივი, ტრანო, ზიონდელი, გრემიო და სხვა მსახურნი).

ლუჩენციო — ახდა სურვილი, მივალწიეთ ნანატრ მშვიდობას, ზაფხა დააცხრო მკაცრი ომი და შეგვიძლიან, რომ გავიცინოთ განვლილ დღეთა განვლილ ხიფათზე! აი, ბიანკა, მამაჩემი! გიყვარდეს იგი, როგორც მე მზად ვარ შევიყვარო შენი მშობელი! ძვირფასო ძმავო, პეტრუჩიო, დაო კატარინა! შენც, მეგობარო ჰორტენზიო, საყვარელ ქვრივით, — გულითა გმადლობთ, მიხარიან თქვენი აქ ყოფნა. აწ სუფრა გვიცდის, მადის აღმძვრელ უხვი საუზმით, ხოლო შემდეგ კი — საზეიმო ნადიმს დავიწყებთ. მაშ გთხოვთ, დაბრძანდეთ, თან შევექცეთ, თან ვიბაასოთ!

(შემოუსდებიან მაგიდას)

პეტრუჩიო — მხოლოდ ვისხდეთ და ვისხდეთ, ვქამოთ და ვქამოთ!

ბაპტისტა — ჩვენი პადუა გულუხვობით განთქმული არის, ძვირფასო შვილო პეტრუჩიო!

პეტრუჩიო — რაც კი რამ არის აწ პადუიდან — ყველაფერი მშვენიერია.

ჰორტენზიო — მე ვისურვებდი, რომ ეს ასე იყოს ორივესთვის!

პეტრუჩიო — სიყრმესა ვფიცავ, ჰორტენზიო ქვრივისთვის შიშობს!

ქვრივი — მაშ ნულარაფერს ნუ შენდობით, თუ შემეშინდეს!

პეტრუჩიო — თქვენ ჰკვიანი ხართ, მაგრამ სიტყვის აზრს ვერ მიმხედით,

მე ვამბობ: თქვენი ეშინიან ჰორტენზიოსა!

ქვრივი — თავბრუდასხმული ქვეყნის ტრიალს უკულმა იგებს!

პეტრუჩიო — სწორედ სხარტი და მოტრიალე პასუხი არის!

კატარინა — მე ვერ გავიგე, ქალბატონო, რის თქმა გნებადღათ?



ქვრივი—რაც თქვენმა ქმარმა შთამისახა, ის მოგასწენთ!

პეტრუჩიო—მე შთამისახავს, ჰორტენზიო, თქვენ როგორ  
მოგწონთ  
ეს ამბავი?

ჰორტენზიო—თქვენ სიტყვას ხლართავთ, ქვრივს სურდა  
ეთქვა,  
რომ ამნაირად შთასახა მან თქვენი ნათქვამი!

პეტრუჩიო—ეს ჩინებულად შეასწორეთ, მაშ, ტურფა  
ქვრივო,  
აკოცეთ მაგას მოსწრებულ პასუხის ჯილდოდ.

კატარინა—„თავბრუდასხმული ქვეყნის ტრიალს უკულმა  
იგებს“...

გთხოვთ, რომ ამიხსნათ, რას გულისხმობთ ამ ქარაგმაში?

ქვრივი—ჭირვეულ ცოლის გადამკიდე თქვენი მეუღლე,  
ჩემი ქმრის იღბალს საკუთარი ვაგებით ზომავს!

ეხლა ხომ მიხვდით იმ სიტყვებში რასაც ვგულისხმობ?

კატარინა—უბადრუკი და უმწეო რამ გიგულისხმიათ!

ქვრივი—დიახ, მე სწორედ თქვენ გგულისხმობთ, თუ  
სიმართლე გსურთ!

კატარინა—უხამსობაში მე არასდროს შეგეცვილებით!

პეტრუჩიო—აბა, ჰა, კატი, არ დაუთმო!

ჰორტენზიო—  
ყოჩაღად, ქვრივო!

პეტრუჩიო—სანაძლეოს ვდებ, რომ იმ თქვენს ქვრივს კატი  
წააქცევს!

ჰორტენზიო—ქვრივის წაქცევა უკვე ჩემი ხელობა არის.

პეტრუჩიო—ეგ ხელოსნური სიტყვა იყო, მაშ იდღეგრძელე!  
(სვამს ჰორტენზიოს სადღეგრძელოს)

ბაპტიستا—მახვილ სიტყვებით კენწლაობენ, გრემიო,  
გესმია?

გრემიო—დიახ, ერთმანეთს რქოსანებივით ერქინებიან!

ბიანკა—რით ავხსნათ ყველგან მხოლოდ რქები რომ  
გელანდებთ?

ვინჩენციო—ო, პატარძალო, თქვენ ამ რქენაჲ  
გამოგალვიდათ?

ბიანკა—გამომადვიდა, მაგრამ კი არ შემშინებია,  
ამიტომ ისევ დავიძინებ!



პეტრუჩიო— ვინ დაგაძინებთ?

რაკი დაიწყეთ თქვენც ხუმრობა, უნდა ელოდეთ,  
რომ სხვებიც მახვილ ხუმრობისვე ისრით გიჩხვლენ!

ბიანკა—თქვენი ფრინველი არ გახლავართ, თუ მე მიმიზნებთ,  
მე ამ ბუჩქიდან უმალ აღვიღს გადავინაცვლებ  
და მაშინ მდიეთ მაგ ისრებით... მომყეთ, ქალებო!  
(ბიანკა, კატარინა და ქვრივი გადიან)

პეტრუჩიო—მან პასუხს ალარ მოუცადა... მგონი, ტრანო,  
თქვენ უმიზნებდით მაგ ფრინველს და ვერ კი  
მოარტყით!..

მაშ, მოდი შევესვათ სადღეგრძელო იმ სუსტ მსროლელის,  
ვინც რომ უნიშნებს, ესერის, მაგრამ მაინც ააცდენს!

ტრანო—მე დამისიეს, ვით მწვევარი და, როგორც იცით,  
კარგი მწვევარი იქერს მხოლოდ პატრონისათვის!

პეტრუჩიო—ოდნავ ძალღურს ჰგავს, მაგრამ მაინც კარგი  
საქმეა!

ტრანო—თქვენ კი თქვენთვისვე ინადირეთ და ეს ასეც  
სჯობს,

მაგრამ ამბობენ, რომ თქვენს ირემს დაუფრენიხართ.

ბაპტიستا—ო, პეტრუჩიო, მან ნიშანში მოგარტყა სწორედ!

ლუჩენციო—გმადლობ, ტრანო, მაგ გესლიან  
ხუმრობისათვის!

ჰორტენზიო—გამოტყდი, პეტრუჩიო, ხომ მაგრა მოგხვდა?

პეტრუჩიო—ვალბარებ, რომ მან მე მართლაც ოდნავ  
გამკაწრა,

მაგრამ მე მაინც ამსხლტა მისი გესლის ისარი,  
და თქვენ ორივე ღრმად დაგკოდათ გულის სიღრმეში!

ბაპტიستا—არა, ძვარფასო პეტრუჩიო, უნდა აღვნიშნო,  
რომ შენ ყველაზე ჭირვეული ცოლი შეირთე!

პეტრუჩიო—მე კი უარეყოფ მაგ ბრალდებას და რომ  
დარწმუნდეთ

ჩემს სიმართლეში, ყველამ უხმოს აქ თავის ცოლსა  
და ვისი ცოლიც მორჩილი და გამგონე არის

და სხვებზე ადრე მოვა მასთან, ვინც მოუწოდა,  
იგი მოიგებს სანაძლეოს, რასაც აქ დავთქვამთ!



ჰორტენზიო—დე აგრე იყოს, თანახმა ვართ, სთქვი  
სანაძლეო!

ლუჩენციო—ოცი კრონი!

პეტრუჩიო— რა? ოცი კრონი? მე ამდენ თანხას  
სანაძლეოში მეძებრისათვის ჩავდივარ ხოლმე,  
ჩემი ცოლისთვის კი ოცჯერ მეტს მაინც ჩამოვალ!

ლუჩენციო—მაშ ასი კრონი!

ჰორტენზიო— ასი იყოს!

პეტრუჩიო— მე თანახმა ვარ!

ჰორტენზიო—ვინ დაიწყოს?

ლუჩენციო— მე. ბიონდელო, ახლავე წადი  
და მოახსენე ჩემს მეუღლეს, რომ აქ მოვიდეს!

ბიონდელო—მივალ, ბატონო! (გადის)

ბაპტიستا—(ლუჩენციოს)

შვილო, ნახევარს შე ვკისრულობ, რომ იგი მოვა!

ლუჩენციო—არა, მე ვაგებ პასუხს მთლიან სანაძლეოზე!  
(შემოდის ბიონდელო)

რაო, რას გვეტყვი?

ბიონდელო— ქალბატონმა შემოგითვალათ,  
რომ ვერ მოვალო... საქმე მაქვსო... არ მცალიანო!

პეტრუჩიო—„არ მცალიანო“, „ვერ მოვალო“... რა  
პასუხია?

გრემიო—მერე როგორი: წესიერი, თავაზიანი,  
ღმერთს ევედრეთ, რომ თქვენც ეღირსოთ მაგნაირ  
პასუხს.

პეტრუჩიო—იმედი მაქვს, რომ მე უკეთეს პასუხს მივიღებ.

ჰორტენზიო—წადი და სთხოვე, ბიონდელო, ჩენს მეუღ-  
ლეს, რომ აქ მობრძანდეს ის ახლავე. (ბიონდელო გადის)

პეტრუჩიო— ერიპა! „სთხოვეო“!  
რალა თქმა უნდა, „მობრძანდება“!

ჰორტენზიო— ვშიშობ, ბატონო,  
რომ თქვენ თხოვნითაც ფონს ვერ გახვალთ თქვენს  
მეუღლესთან!

(შემოდის ბიონდელო)

ჩემი მეუღლე რაღა იქნა?

ბიონდელი —

შემოგიტვალათ:

მე ვერ მოვალო, თუ საქმე აქვს, თვით მოვიდესო!

პეტრუჩიო — კვლავ უარესი პასუხია, აუტანელი,

რა სამარცხვინო ამბავია! ჰეი, გრუმო!

ახლავე წადი ქალბატონთან და მოახსენე,

რომ მე ვუბრძანებ, აქ მოვიდეს დაუყოვნებლივ!

(გრუმო გადის)

ჰორტენზიო — მე ვიცი რასაც გიპასუხებთ...

პეტრუჩიო —

რას?

ჰორტენზიო —

„არ მოვალო!“

პეტრუჩიო — მით უარესი ჩემთვის მაშინ, რა გაეწყობა?

(კატარინა გამოჩნდება)

ბაპტიستا — ღვთისმშობელს ვფიცავ, იგი მოდის!

მომილოცნია!

კატარინა — ბატონო ჩემო, რას ინებებთ? აქ რად მომიხმეთ?

პეტრუჩიო — ერთი ეს მითხარ: ბიანკა და ქვრივი რა იქნენ?

კატარინა — ბუხართან სხედან დიდ დარბაზში და

საუბრობენ.

პეტრუჩიო — წადი, ახლავე მოიყვანე ისინი აქა,

თუ უარი სთქვან, გამორეკე რითაც კი მოგხვდეს:

მუშტით, პანლურით, მუჯლუგუნით, ოღონდ ახლავე!

(კატარინა გადის)

ლუჩენციო — თუ სასწაული გწამთ, ეს სწორედ სასწაულია!

ჰორტენზიო — სასწაულია მართლაც, მაგრამ რას

მოასწავებს?

პეტრუჩიო — ეს მოასწავებს — სიყვარულსა და სათნოებას,

პატივისცემას, მკუდროებას, გულწრფელ მშვიდობას,

მოკლედ — ყველაფერს, რასაც ჰქვიან ბედნიერება!

ბაპტიستا — ღმერთმა გილხინოს, პეტრუჩიო, ეს სანაძლეო

დღეს შენ მოიგე და ჩემის მხრივ მას დავუმატებ

ოცი ათას კრონს, რომ ამითი გავაორმაგო

მზითვენი ჩემი ასულისა, რადგანაც იგი

უკვე სულ სხვაა და სხვა ზრუნვაც მმართებს მისდამი.



პეტრუჩიო—ჩემს სანაძღვოს მე მოვიგებ კიდეც <sup>ოცნების</sup> ოცნების  
 როს ნახავთ მისი მორჩილების ახალ საბუთებს,  
 მის კდემამოსილ სათნობას და თავდაბლობას.

(შემოდინ კატარინა, ბიანკა და ქვრივი)

აი, მოდის და მოჰყავს თქვენი ურჩი ცოლები,  
 როგორც ტყვეები მის ქალური მტკიცე ძალისა.  
 ყური დამიგდე, კატარინა, სულ არ გიხდება  
 ეგ უშნო ქული, მოიხადე და გადააგდე.

(კატარინა მოიხდის ქუდს და მიწაზე დააგდებს)

ქვრივი—ღმერთო მაღალო, დამიფარე გაჭირვებისგან  
 სანამდის ასე სულელურად მოვიქცეოდე.

ბიანკა—გრცხვენოდეს, ეგ რა სულელური მორჩილებაა!  
 ლუჩენციო—ნეტავ თქვენც ასე სულელურად მორჩილი  
 იყოთ,

თორემ მაგ ბრძნულმა ურჩობამ მე, ჩემო ბიანკა,  
 ამ ვახშმის შემდეგ ასი კრონი დამაკარგვინა!

ბიანკა—მეტად სულელი ყოფილხარ, თუ ჩემს მორჩილებას  
 სანაძღვოში სდებ ისე, ვით წასაგებ თანხას.

პეტრუჩიო—მე შენ გავალეებ, კატარინა, რომ განუმარტო  
 ამ ჯიუტ ქალებს—მათი სამღვთო მოვალეობა  
 ქმრების წინაშე.

ქვრივი— კმარა, კმარა თქვენი ხუმრობა,  
 ჩვენ მაგ უცნაურ ქადაგებას არ ვსაჭიროებთ.

პეტრუჩიო—მაშ თვით ქვრივისგან დაიწყე შენ პირველი  
 სიტყვა.

ქვრივი—როგორ თუ ჩემგან? არა, მაგას ეგ ვერ გაბედავს.

პეტრუჩიო—გაბედავს... აბა, ჯერ ქვრივიდან დაიწყე მეთქი!

კატარინა—ჰოი სირცხვილო! ასე მკაცრად ნუ ლუშავ  
 წარბებს

და მაგ თვალთავან სიძულვილის ისრებს ნუ ესვრი  
 შენსა მბრძანებელს, შენსა უფალს, მეფეს და ბატონს,  
 ეს ამახინჯებს შენს სიტუტურფეს, აქნობს სიყვარულს,  
 ვით ყინვის სუსხი აზრობს ველზე ყვავილთა კოკობს.  
 ბრმა ურჩობას და თვალახვეულ უმადურობას

რად უნდა მივსცეთ სათნოება დასაჩრდილავად?  
ანჩხლი ცოლი ხომ იმ მღვრიე და ხავსიან ქას ჰვავს,  
რომლის სიღრმიდან ამოდებულ შლამიან წყალს  
წვეთსაც არ დაღვეს თვით წყურვილით დაღლილი  
მგზავრი.

ქმარი ხომ შენი პატრონია, შენი უფალი,  
შენი ხელმწიფე, თვით სიცოცხლე და შემნახველი,  
რომელიც ზრუნავს განუწყვეტლივ დღედაღამ შენზე  
და მძიმე შრომას სწევს მარტოკა ზღვასა და ხმელზე.  
ლამით არ სძინავს ქარიშხალში, დღე—ძღვლებს ითოშავს,  
როცა შენ მყუდრო სარეცელში ნებივრად წევხარ  
და რა საზღაურს ითხოვს იგი ამისთვის შენგან?  
მხოლოდ სიყვარულს, ერთგულებას და მორჩილ ალერსს,—  
როგორ მცირეა აწ ეს ხარკი იმ დიდ შრომისთვის!  
ხელმწიფისადმი ქვეშევრდომის მოვალეობა—  
ეს არის ცოლის—ქმარისადმი ღიადი ვალი,  
და თუ კი ცოლი ურჩი არის, ანჩხლი, ჯიუტი,  
თუ არ მორჩილებს თავისი ქმრის სათნო სურვილებს—  
იგი ღირსია სასჯელისა, ვით მეამბოხე  
თვის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებისთვის.  
სირცხვილად უნდა მივიჩნიოთ იმ ქალთ სირეგნე,  
რომელნიც უმალ ომს იწყებენ შეურიგებელს  
იქ, სადაც უნდა მუხლმოდრეკით ზავს თხოულობდნენ,—  
ან განუსაზღვრელ ბატონობას ეძებენ ხოლმე,  
როცა მათ მართებთ მორჩილება და სიყვარული.  
ჩვენი სხეული ხომ ნაზი და სათუთი არის  
და მძაფრ ცხოვრების დუხჭირ ბრძოლებს ვერ  
ვუმკლავდებით,

ასევე ნაზი და სათუთი უნდა გაგვანდეს  
თვითონ გული და სულიერი სამყარო მთელი.  
კმარა ურჩობა, უძლურებით ფარვანას მსგავსნო!  
მეც ხასიათით ანჩხლი ვიყავ, გულით—გაოროზი  
და აუგ სიტყვას მუდამ რისხვით ვუპასუხებდი,  
მაგრამ დავრწმუნდი, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩალის  
შუბებით,

და ჩვენი ძალა მხოლოდ ჩვენსავე სასუტეშია;  
მაშ დააცხრეთ ეგ სიამაყე ქმრების წინაშე  
და მოიხარეთ ქედი ნიშნად მორჩილებისა  
და როცა აპას მოისურვებს ჩემი მეუღლე.

— მე მზად ვარ მულამ მორჩილებით მას ვემსახურო!

პეტრუჩიო—ყოჩაღ, გოგონავ, ეს კი მომწონს, მოდი,  
მაკოცე!

ლუჩენციო—ბედნიერი ხარ, პეტრუჩიო, კოცნა გერგება!

ვინჩენციო—რა კარგი არის, როცა მორჩილ ბავშვებსა  
ხედავ!

ლუჩენციო—რა ცუდი არის, როს ცოლები ურჩნი არიან!

პეტრუჩიო—წავიდეთ, კატი, უკვე დროა დაძინებისა!

თუმცა სამივემ ვიქორწინეთ აქ, მეგობრებო,

მაგრამ ნაძლევის მოგება კი მხოლოდ მე შევსძელ,

მე გავიმარჯვე... ღმერთმა მოგცეთ მშვიდობის ღამე!

(გადიან პეტრუჩიო და კატარინა)

პორტენზიო—შენ მოარჯულე ქირვეული, ზემი გმართებს!

ლუჩენციო—სასწაულია! როგორ შესძლო მის მოარჯულებას?

(გადიან)

ფ ა რ დ ა

მეთოდური ღამე



თ ა რ გ შ ა ნ ი  
ს. ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ის ა

## მოქმედი პიკნი

არსანო — ილირიის ჰერცოგი.

სებასტიანო — ახალგაზრდა აზნაური — ვიოლას ძმა.

ანტონიო — საზღვაო კაპიტანი — სებასტიანოს მეგობარი  
გემის კაპიტანი — ვიოლას ბეგობარი.

ვალენტინო }  
კურიოზ } ჰერცოგის კარისკაცი.

სერ ტობი ბელჩი — ოლივიას ბიძა.

სერ ენდრუ ეგიუჩიკი

მალფოლიო — ოლივიას მსახურთუფროსი.

ფაბიანო }  
ფესტი — მასხარა } ოლივიას მსახური.

ოლივია — მდიდარი გრაფის ასული.

ვიოლა — სებასტიანოს და.

მარია — ოლივიას ფარეში ქალი.

დიდებულნი, მოძღვარი, მეზღვაურნი, ქალაქის რეველნი, მემუნიციპალი  
და მსახურნი.

მოქმედების ადგილი: ქალაქი ილირიაში და მის მახლობლად  
ზღვისპირი.



## მოქმედი პირები

სურათი I

ათაზი პერცოვის სასახლეში.

(შემოდინ პერცოვი, კურიო და დიდებულნი—მემუსიკთა  
თანხლებით)

პერცოვი—თუ რომ მუსიკა საზრდო არის სიყვარულისა,  
განაგრძეთ დაკვრა! მომეცით მე ეს საზრდო ჭარბად,  
რომ მით გაძღეს და ჩაიფერფლოს ჩემი სურვილი.  
კიდევ ის ჰანგი! იგი თითქოს ჩაკვდა თრთოლვაში!  
ჩემს ყურთასმენას ის შეეხო—ვით ტკბილი ბგერა,  
რომელმაც თითქოს მის მდელს გადმოუქროლა,  
მომეპარა და მომიტანა მისი სურნელი!  
კმარა! შესწყვიტეთ! იგი ახლა წინანდებურად  
ტკბილად აღარ ჟღერს! ო, შენ, სულო სიყვარულისავე,  
რა ცვალებადი, მგზნებარე და მუდამ ნორჩი ხარ!  
შენში იერთებ ყოველივეს, ვით უძირო ზღვა,  
მაგრამ ყველა მას, რასაც შენი მორევი შთანთქავს—  
რაოდენ დიდი და ძვირფასიც არ უნდა იყოს,—  
უმალ უკარგავ თავისს ფასსა და მნიშვნელობას!  
ისე სავსეა სიყვარული ნაზი ალერსით,  
რომ ჭეშმარიტად, თვით ოცნებაც სიყვარულია!

კურიო—ნადირობას ხომ არ ინებებთ, ჩემო ხელმწიფე?

პერცოვი—რაზედ, კურიო?

კურიო—

ფურირემზე!



პერცოგი —

ენადირობ ახლა კეთილშობილ ჩემს ფურირემზე!  
 როს მშენიერი ოლივია ვნახე პირველად,  
 მომეჩვენა, რომ მისი სუნთქვით თვითონ ჰაერი  
 მყის განიწმინდა სენისაგან და იმ წუთიდან,  
 ხაირმად ქცეულს, სისხლისმსმელი მწევრების მსგავსად,  
 თან ამედევნენ მასზე ფიქრნი და სურვილები!

(შემაღის ვალენტინო)

აბა, მითხარი, რა ამბავი მოგაქვს იმისგან?

ვალენტინო — ვბედავ თავმდაბლად მოგახსენოთ, რომ არ  
 შემიშვეს

გრაფის ასულთან; მის ფარეში ქალი შევგზავნე  
 და როს დაბრუნდა, მიპასუხა, რომ თვით ზეცაც კი  
 შვიდ წელზე ადრე ვერ იხილავს მის პირისახეს  
 რიდეახდილსა. მონაზონად შემდგარა იგი  
 და თავის სენაკს დღენიადავ ცრემლით ასველებს,  
 რომ გარდაცვლილი ძმის სიყვარულს მით პატივი სცეს  
 და თვის მწუხარე ხსოვნაშია — უქნობ სინაზით  
 ატაროს მუდამ უზაკველი ეს სიყვარული!

პერცოგი — თუ მისი გული ასე ნაზად არის შექმნილი,  
 რომ ძმის სიყვარულს ესდენ ძნელი ხარკი უხადოს,  
 ო, რა ძლიერად აღივზნება ის სიყვარულით,  
 თუ იმ სურვილებს, რომელნიც დღეს მასში ცხოვრობენ,  
 უცბად დაამსხვრევს კუბიდონის ოქროს ისარი  
 და მისი გულის და გონების ორ მაღალ ტახტზე  
 ერთი მფლობელი დაიმკვიდრებს ხელმწიფებასა!  
 წინ გამიძეხით! მივაშუროთ ბალის თავანებს:  
 იქ სიყვარულის ოცნებანი უფრო მორჭმულად  
 განისვენებენ ყვავილები ნაზ სარეცელზე.

(გადიან)

სურათი II

ზღვის ნაპირი.

(შემოდინ ვიოლა, კაპიტანი და მეზღვაურნი)

ვიოლა—ეს რა მხარეა, მეგობრებო?

კაპიტანი— ილირიაა, ქალბატონო!

ვიოლა—აბა, რა უნდა ვაკეთო მე ილირიაში,  
როცა ჩემი ძმა ელიზიუმს დამკვიდრებულა!  
მაგრამ იქნებ ის ცოცხალია და არ დაიხრჩო!  
თქვენ როგორ ფიქრობთ, მეზღვაურნო?

კაპიტანი— თქვენ ხომ გიხსნათ საბედნიერო  
შემთხვევამ და არ დაიღუპეთ!

ვიოლა— საბრალო ძმავ!  
იქნებ ისიც იმავე შემთხვევამ გადაარჩინა!

კაპიტანი—ასეც იქნება!

და ნამდვილად რომ განუგეშოთ შესაძლებლობით,  
გიაშობთ უფრო დაწვრილებით: როცა ხომალდი  
დაგვემსხვრა და თქვენ ზღვიდან აი, ამითთან ერთად,  
პატარა ნავით გამოსცურეთ,—მე ვუყურებდი  
თქვენს გულად ძმასა, რომლისთვისაც უბედურებას  
იოტისოდნად ვერ შეეკრთო გაბედულება,—  
მამაცობითა და იმედით შთაგონებული,  
ზვირთებზე მცურავ უხარმახარ ანძას მიეკრო  
და ის, დელფინის ზურგზე შემჯდარ არიონივით,  
ბობოქარ ტალღებს შეუპოვრად მისდევდა თანა,  
ვიდრე შემედლო მისთვის თვალი გადაჰეწვდინა!

ვიოლა—აჰა, ეს ოქრო მაგ აშბისათვის! მე გადარჩენამ  
გულში იმედიც აღმიდგინა, ეგ სიტყვები კი—  
განამტკიცებენ ამ ჩემს იმედს, რომ იქნებ ისიც  
ცოცხალი დარჩა! ამ მიწა-წყალს შენ კარგად იცნობ?

კაპიტანი—ძალიან კარგად: აქედან სულ სამიოდ მილზე  
დაბადებული და აღზრდილი გახლავართ თვითონ!

ვიოლა—ვინ განაგებს მას?

კაპიტანი— როგორც მოდგმით, ისე ბუნებით  
კეთილშობილი ჰერცოგია აქ განმგებელი.

ვიოლა—რას უწოდებენ მას სახელად?

კაპიტანი—ორსინო ჰქვიან!

ვიოლა—ორსინო ჰქვიან? ეს სახელი მამაჩემისგან  
გამიგონია... მაშინ იგი უცოლო იყო!

კაპიტანი—უცოლო არის, ქალბატონო, ის ამჟამადაც!  
ან უფრო სწორად, ასე იყო ერთი თვის წინათ,  
როცა დავტოვე ილირია. მაშინ ამბობდნენ,—  
მოგეხსენებათ, რომ პატარა ადამიანებს  
უყვართ ყბედობა მის შესახებ, რასაც დიდკაცი  
აკეთებენ!—რომ იგი თითქოს გულით ცდილობდა  
ნაზ ოლივიას სიყვარულის მოპოვებას!

ვიოლა—ვინ არის იგი?

კაპიტანი—სათნოებით სავსე ქალწული:

ასული გრაფის, რომელიც ამ ერთი წლის წინათ  
გარდაიცვალა და დასტოვა ის თვისი ვაჟის—  
იმ ქალის ძმის მხრუნველობაში; შემდეგ ძმაც მალე  
განეშორა ამ წუთისოფელს, გრაფის ქალმა კი,  
ძმის სიყვარულით, მთლად უარჰყო მამაკაცთა წრე.

ვიოლა—ნეტავ შემეძლოს დავდგომოდი მე მას მსახურად  
და ვინაობა დამემალა ხალხის წინაშე,  
სანამ ჩემი დრო სავსებით არ მომწიფდებოდა.

კაპიტანი—ეგ ძნელი არის; ის უარყოფს ყველას

სამსახურს

და თვით ჰერცოგის თხოვნასაც კი ყურს არ ათხოვებს.

ვიოლა—კეთილი სჩანხარ, კაპიტანო, და, თუმცა ხშირად  
ლამაზ გარსის ქვეშ ბუნება ზრდის მანკიერებას,  
მე მაინც მჯერა, რომ ეგ შენი კეთილშობილი  
გარეგნობა ეთანხმება შენს მშვენიერ სულსა!  
გთხოვ, და ამ თხოვნის პატიოსნად შესრულებისთვის  
უხვ ჯილდოს მოგცემ, ნუ გაამხელ ჩემს ვინაობას  
და ამასთანვე დამეხმარე, რომ მაშოვნინო  
ჩემი განზრახვის შესაფერი ტანისამოსი;  
მე მინდა ჰერცოგს ვემსახურო და ამიტომ, გთხოვ,  
შენ მის წინაშე წარმადგინო, ვით საჭურისი!  
ეს შენი გარჯა არ ჩაივლის ამაოდ, რადგან

მე შემოდლიან ყველა სახის მუსიკის ენით  
ველაპარაკო, რაც ჯეროვანად ხელს შემიწყობს,  
რომ ღირსი გავხდე მე ჰერცოგის სამსახურისა!  
დანარჩენს თვით დრო დაამთავრებს კეთილად, თუ კი  
ჩუმად იქნები და ჩემს ზრახვას არ გაამჟღავნებ!

კ ა ბ ი ტ ა ნ ი—თქვენ გახდებით მის საკუთრისად! მე კი—თქვენს  
მუნჯად!

თუ ენა დავძრა—დე, დავბრმავდე ორივე თვალით!  
ვ ი ო ლ ა—გმადლობ. გამიძეხ!

(გადიან)

### სურათი III

ოთახი ოლივიას სახლში.

(შემოდინან სერ ტობი ბელჩი და მარია)

ს ე რ ტ ო ბ ი—რა შავჭირად გაიხადა ჩემმა ძმისწულმა თავის  
ძმის სიკვდილზე ეს დაუსრულებელი დარდი? მე თქვენ  
გარწმუნებთ, მწუხარება უბოროტესი მტერია სიცოცხ-  
ლისა!

მ ა რ ი ა—სინიღისს ვფიცავ, სერ ტობი, საღამოობით შინ  
ადრე უნდა დაბრუნდეთ ხოლმე. თქვენი ძმისწული, ჩემი  
ქალბატონი, უკმაყოფილოა, რომ ასე გვიან ბრუნდებით.

ს ე რ ტ ო ბ ი—დაე იყოს უკმაყოფილო, სანამ მის მიმართ არ  
ატეხილა უკმაყოფილება.

მ ა რ ი ა—თქვენ ზრდილობის ფარგლებში უნდა მოთავსდეთ.

ს ე რ ტ ო ბ ი—ზრდილობის ფარგლებში? განა მე ზრდილო-  
ბის ფარგლებში არ მაცვია? ეს სამოსი საკმარისია იმი-  
სათვის, რომ მასში ვსვა; ასევეა ეს ჩექმებიც და, თუ  
ეს ასე არ არის, დაე ჩამოეკიდნენ ისინი საკუთარ ყუ-  
რებზე.

მ ა რ ი ა—ამდენი ქეიფი და სმა თქვენ დაგლუბავთ. ჩემი ქალ-  
ბატონი გუშინაც ამბობდა ამას. იგი ჯავრობდა ვილაც  
სულელ რაინდზე, რომელიც ერთ საღამოს მასთან სამიჯ-  
ნუროდ მიგიყვანიათ.

სერ ტობი—ვინა? სერ ენდრუ ეგიუჩიკი?

მარია—ღიახ, ის.

სერ ტობი—განა ილირიაში ის ვისმეზე დაბალია?

მარია—მის სიმაღლესთან სულაც არავის ესაქმება.

სერ ტობი—რათა? მისი წლიური შემოსავალი სამი ათასი დუკატია.

მარია—ღიახ, მაგრამ ისეთი ქარაფშუტა და მფლანგველია, რომ მთელი თავისი დუკატები ერთ წელიწადსაც არ ეყოფა.

სერ ტობი—აბა მაგას რად ამბობ? კაცი ჩელოზე ბანს უკრავს და სამი-ოთხი ენა უწიგნოდ ზეპირად იცის. ბუნების ყველა ნიჭით დაჯილდოებულია.

მარია—ღიახაც, რომ ბუნებას ყველა ნიჭისაგან თითქმის გამოუყვეყჩებია! იმას გარდა რომ სულელია, დიდი ჩხუბისთავიც ბრძანდება და, ბუნებისაგან ჯილდოდ მინიჭებული სილაჩრის უნარიც რომ არ შესწევდეს, ჭკვიანი ადამიანები ფიქრობენ, რომ მას აქამდე სამართა დააჯილდოებდნენ.

სერ ტობი—ამ მარჯვენას ვფიცავ, რომ ცრუბენტელა და არამზადაა, ვინც ასე მსჯელობს. ვინ არიან ისინი?

მარია—სწორედ ისინი, ვინც დასძენენ, რომ ის ცისმარე სალამოს თქვენთან თვრება გაოგნებამდე.

სერ ტობი—კი არა თვრება—ჩემი ძმისწულის სადლეგრძელოსა სვამს! მე დავლევ მის სადლეგრძელოს, სანამ ჩემს ხახას სადინარი ექნება და ილირიაში სასმელი მოიპოვება. მხდალი და გარეწარია ის, ვინც ძმისწულის სადლეგრძელოს არ დალევს, სანამ ტვინი სამრევლო ბზრიალასავით არ დაუტრიალდება; მაგრამ ჩუ, მშვენიერო! Castiliano Vulgii!\* სერ ენდრუ ეგიუჩიკი აქ მოდის.

(შემოდის ენდრუ ეგიუჩიკი)

სერ ენდრუ—სერ ტობი ბელჩ! როგორ მოგიკითხო, სერ ტობი ბელჩ?

სერ ტობი—ძვირფასო სერ ენდრუ!

სერ ენდრუ—ღვთის წყალობა, მშვენიერო ანჩხლო!

\* კასტილიელი მდაბიო.

- მარია— თქვენც აგრეთვე, ბატონო ჩემო!
- სერტობი— შეუტე, სერენდრუ, შეუტე!
- სერენდრუ— ვინ არის?
- სერტობი— ჩემი ძმისწულის ფარეშია! შეუტე!
- სერენდრუ— უაღრესად კეთილშობილო მისტრის შეუტე!  
მე მსურდა ახლოს გაგცნობოდი!
- მარია— ჩემი სახელი მერი გახლავთ, ბატონო ჩემო.
- სერენდრუ— კეთილო მისტრის მერი შეუტე!
- სერტობი— თქვენ სცდებით, რაინდო! „შეუტე“, ესე იგი, მიუღეჭი, იერიში მიიტანე, საქმე დაიჭირო მეტქი!
- სერენდრუ— პატოსნებას ვფიცავ, მე ამ საზოგადოებაში ვერ ვაგებდავდი მასთან საქმის დაჭერას! მაშ ამას ნიშნავს— შეუტე?
- მარია— მშვიდობას გისურვებთ, ბატონებო.
- სერტობი— თუ ასე გაგისხლტავ, სერენდრუ, მაშ ველარასდროს დაშნა ველარ გიშიშვლებია!
- სერენდრუ— თუ ასე გამისხლტით, ქალბატონო, მაშ ველარასოდეს დაშნა ველარ მიშიშვლებია; ხომ არა ჰფიქრობთ, მშვენიერო, რომ სულელები ჩაგივარდნენ ხელში?
- მარია— არა, ბატონო, მე თქვენ ხელში არ ჩამვარდნიხართ.
- სერენდრუ— ვფიცავ, ჩაგივარდები. ინებე ჩემი ხელი!
- მარია— ახლა, ბატონო, „აზრები თავისუფალია“: გთხოვთ, ეგ ხელი სარდაფში ჩაიტანოთ და ცხიმის გობში დაასველოთ.
- სერენდრუ— რატომ, ტკბილი გულისავ! ეგ რანაირი ქარაგმაა?
- მარია— თქვენ ეგ ხელი გამშრალი და ხმელი გაქვთ, ბატონო!
- სერენდრუ— ოღონდაც! მე ისეთი ვირო არ გახლავართ, რომ ხელები მშრალი არა მქონდეს, მაგრამ ეგ მაინც რანაირი ხუმრობა არი?
- მარია— მშრალი ხუმრობაა, ბატონო!
- სერენდრუ— თქვენ საესე ხართ მათით?
- მარია— მე, ბატონო, ამ წუთში ყოველი თითის წვერზე თითო ხუმრობა მქონდა. ესლა კი, როცა თქვენი ხელი



ნებას მიეუშვი, მე შათგან ცარიელი დავრჩი!  
(გაღის)

ქართული  
ენების  
სამეცნიერო  
სამუშაოები

- სერ ტობი—ჰოი, რაინდო! შენთვის ახლა აუცილებელია ერთი ჭიქა კანარული! განა ოდესმე მოვსწრებივარ შენს ასე წაქცევას?
- სერ ენდრუ—ვეგონებ, არასდროს თქვენს სიცოცხლეში! მხოლოდ კანარული თუ წამაქცევს ხოლმე. ხანდისხან მგონია, რომ ჩვეულებრივ ადამიანზე, ან რომელიმე ქრისტიანზე მეტი ჭკუა არა მაქვს. იქნებ იმიტომ, რომ ძროხის ხორცს ბევრსა ვჭამ და, ალბათ, ისა ვნებს ჩემს ჭკუამახვილობას.
- სერ ტობი—უეჭველია!
- სერ ენდრუ—ეგ რომ მცოდნოდა, ხორცის ჭამას ავიკვეთავდი. ხვალ შინ მივდივარ, სერ ტობი!
- სერ ტობი—Pourquoi,\* ძვირფასო რაინდო?
- სერ ენდრუ—რას ნიშნავს ეგ Pourquoi, წასვლას, თუ დარჩენას? ძალიან ვწუხვარ, რომ ენების შესწავლისათვის არ გამოვიყენე ის დრო, რაც ფარიკაობას, ცეკვასა და დათვებზე ნადირობას მოვანდომე. ახ! რატომ მეცნიერებას არ მივყავ ხელი!
- სერ ტობი—ო, მაშინ საუცხოოდ იქნებოდა დალაგებული შენს კეფაზე ეგ თმები!
- სერ ენდრუ—ვითომ რაო? განა მეცნიერება ჩემს თმებს გააუმჯობესებდა?
- სერ ტობი—დაეკვებაც კი არ შეიძლება ამაში. თორემ ხომ ჰხედავ, რომ შენი ბუწუწებისათვის ბუნებას დახუჭუჭების ნება არ მიუცია.
- სერ ენდრუ—მაგრამ მაინც კი ძალიან მიხდება ეს თმა, ხომ მართალია?
- სერ ტობი—საოცრად გიხდება: ეგ კაწაწები ისე გკილია, როგორც სელის ფთილები სართველ ჯარას; იმედი მაქვს იმასაც მოვესწრები, რომ რომელიმე დიაცი ლაჯებში ამოგიჩრის და დართვას დაგიწყებს!
- სერ ენდრუ—ღმერთმანი, მე ხვალვე შინ წავალ, სერ ტობი! შენს ძმისწულს არც კი ჰსურს მეჩვენოს; და რომ მეჩვე-

\* რატომ?



ნოს კიდევ—სანაძლეს ვდებ, რომ არაფრად ვეპიტი-  
ვები! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ—მას ხომ თვით  
ჰერცოგი ეტრფის!

სერ ტობი—ჰერცოგი მას არ ჰსურს, რადგან არ უნდა ისეთ  
ქმარს გაჰყვეს, რომელიც მას აღემატება ქონებით, გო-  
ნებითა და ჰასაკით; ეს მან ფიციითა სთქვა და ჩემი ყუ-  
რით მოვისმინე. მაშ გაბედულად, მეგობარო, ჯერ იმედი  
არ დაკარგულა!

სერ ენდრუ—მაშ, თუ ასეა, ერთ თვეს კიდევ დავრჩები! მე  
ხომ ახირებული გუნების ადამიანი ვარ: ზოგჯერ მხო-  
ლოდ მასკარადები და დღესასწაულები მიტაცებს!

სერ ტობი—რაინდო, ნუთუ კიდევ ვარგინარ მაგვარი სი-  
სულელებებისათვის?

სერ ენდრუ—ილირიაში ბევრი როდი მოიპოვება ჩემისთა-  
ნა, იმათ გარდა, ვინც წოდებითა და ხარისხით ჩემზე  
მეტია. რაც არ უნდა იყოს—მოხუცებს მაინც არ დავედ-  
რები.

სერ ტობი—ჰოი, რაინდო, რით უფრო სჯობინარ იმათ?  
ეგებ გალიარდს მათზე უფრო მკვირცხლადა ცეკვავ?

სერ ენდრუ—ღიახ, თხასავით ხტომა შემიძლიან.

სერ ტობი—მე კი, მაგ თხასავით ხტომას, თხით შესაუზმე-  
ბას უფრო ვარჩევდი.

სერ ენდრუ—ნამეტნავად კი უკუხტომაში ისე მარჯვე ვარ,  
რომ მთელს ილირიაში ცოტა თუ მოიპოვება ჩემგვარი.

სერ ტობი—მაშ რად იჩქმალება ეგ შენი უნარი? ფარდა  
რად ჩამოჰფარებია მაგ მირონცხებულ ნიქსა? ან იქნებ  
ჰშიშობ, რომ მაგ შენს ბრწყინვალე ტალანტს მისტრის  
მალლის სურათებით—მტვერი და აბლაბუდა არ დაედოს?  
რად არ მიდიხარ ეკლესიაში დავლურით და არ ბრუნდე-  
ბი შინ ბუქნით? მე, შენს ადგილას, ბიჯსაც კი არ გადავ-  
დგამდი, თუ არა ჯიგათი, თვით შარღზედაც კი კონტრ-  
დანსით გავიდოდდი! რა დაგმართვია მეთქი! განა ეხლან-  
დელი ქვეყანა იმად ღირს, რომ კაცმა თავისი ღირსება  
ცხრაკლიტულში ჩაამწყვდიოს? მე კი, როცა შენი ფეხების



მშვენიერ აღნაგობას ვუცქერი, ვფიქრობ, პირდაპირ გალიარდას ვარსკვლავზეა შექმნილი.\*

სერენდრუ—დიახ, საკმაოდ ღონიერი ფეხები მაქვს და ცეცხლისფერ წინდებში არც თუ ისე ცუდად გამოსჩანან! მაგრამ განა დრო არ არის, რომ ქეიფს შევუდგეთ?

სერტობი—მაშ მეტი რა უნდა ვაკეთოთ? განა ჩვენ თხის რქის ვარსკვლავზე არა ვართ დაბადებულნი?

სერენდრუ—თხის რქისაო? ეგ ხომ სულ ბიძგებსა და ტყეპას მოასწავებს?

სერტობი—არა, მეგობარო! ეს სულ ხტუნვასა და ცეკვას ჰნიშნავს! აბა მიჩვენე შენი ხტომა: ასე, უფრო მაღლა, ხა-ხა-ხა! ჩინებულია.

(გადიან)

### ხურათი IV

ოთახი ჰერცოგის სასახლეში.

(შემოდინ ვალენტინო და ვიოლა—მამაკაცის ტანსაცმელში)

ვალენტინო—თუ ჰერცოგი მუდამ ასეთი გულმოწყალე იქნება, თქვენ დიდი წარმატება გელით, ცეზარიო! სულ სამი დღეა, რაც გაგიცნოთ და თქვენ უკვე უცხოდ აღარ ითვლებით.

ვიოლა—თუ მისი კეთილგანწყობილება გაეჭვებთ, სჩანს, ან მისი ხასიათის ცვალებადობისა გეშინიანთ, ან ჩემი დაუდევრობისა! რას იტყვით? ის მართლა ცვალებადია თვის გულმოწყალეობაში?

ვალენტინო—არა, მერწმუნეთ!

ვიოლა—მადლობას გიხდით, მაგრამ აი, თვითონ ჰერცოგიც!

(შემოდინ ჰერცოგი, კურო და ამალა)

ჰერცოგი—სად არის ჩემი ცეზარიო, არ დაგინახავთ?

ვიოლა—აქა ვარ თქვენდა სამსახურად, ჩემო ხელმწიფევ!

\* გალიარდა, ჯიგა, კონტრდანსი—მზიარული ცეკვებია.



ჭერ ცოგი — თქვენ, ჯერჯერობით, შორიახლოს აქ დაიციდით  
 ო, ცეზარო, ყველაფერი შენ უკვე იცი:  
 შენ ჩემს საქმეში ჩაგახედე და გადგიშალე  
 გულის უღრმესი საიდუმლო წიგნის ფურცლები;  
 ისწრაფე მისკენ! ფრთა შეისხი, შენ, მეგობარო!  
 დადექ მის კართან, ნურვის უარს ყურს ნუ ათხოვებ!  
 სთქვი, რომ ვიდრე მას არა ნახავ, ფეხს არ მოიცივლი,  
 რადგან ტერფებით თვით კარის ზღურბლს  
 შევეზარდე თქო!

ვიოლა — საექვო არის, ხელმწიფევე, რომ მან მე მიმიღოს,  
 თუ ძვირფას ძმაზე მწუხარებას და გლოვა-ნაღველს  
 იგი უსაზღვროდ მისცემია, როგორც ამბობენ!

ჭერ ცოგი — დე, იხმაურე! სჯობს თავხედად ჩაგვთვალონ,  
 ვიდრე  
 მონდობილ საქმის შესრულება ვერ მოახერხო.

ვიოლა — ვსთქვათ, რომ მომიხდეს მისი ნახვა, ჩემო  
 ხელმწიფევე,  
 როგორ მოვიქცე, რას მიბრძანებთ?

ჭერ ცოგი — ო, მაშინ კია  
 აწ გაუჰქლავენ, თუ რა გზნებით მიყვარს მე იგი  
 და განაცვიფრე ჩემი ურყევ ერთგულებითა!  
 შენ წილად გზვდება ჩემი სევდის გადაშლა მისთვის  
 და ის შენ უფრო გულმოდგინედ მოგისმენს, ვით ყრმას,  
 ვიდრე სხვა, მოხუც შუამავალს, სახემოღუშულს!

ვიოლა — არა მგონია!

ჭერ ცოგი — დამიჯერე, შენ, მეგობარო!  
 ის ცილს დასწამებს შენს გაზაფხულს, ვინც მამაკაცად  
 ჩავთვლის! დიანას ბაგე შენს ტუჩებზე ნორჩი არ არის,  
 შენი ხმა ქალწულ ქალის ხმას ჰგავს, მისებრ  
 ნაზად ეღერს

და მთელ არსებით შექმნილი ხარ ქალისა მსგავსად.  
 მონდობილ საქმის წარმატებით შესრულებაში  
 დაგეხმარება შენი ბედის თანავარსკვლავიც!  
 ოთხი თქვენგანი მას ეახლოს, თუნდ ყველა წაჰყეთ,  
 თუ მოისურვებთ; მე მით უფრო ლაღადა ვსუნთქავ,  
 როცა ჩემს ირგვლივ ნაკლებ ვხედავ ადამიანებს!

ამ დავალებას ბედნიერად თუ შეასრულებ,  
სვებედნიერი იქნები, ვით ბატონი შენი  
და მის სიამე—შენს სიკეთედ გადაიქცევა!

ვიოლა—მე შევეცდები ყველაფერი მოვიმოქმედო  
გრაფის ასულის გულის თქვენსკენ გადმოსატრეოდ!

(თავისთვის)

ო, რა ტანჯვაა: სხვას ვურიგებ გულანათრთოლი,  
როს გულით ვცდილობ—თვითონ გავხდე ამისი ცოლი!  
(გადის).

### სურათი V

ოთახი ოლივიას სახლში.

(შემოდინ მარია და მასხარა)

მარია—გამოტყდი, სად ჯანდაბაში დახეტიალობდი, თორემ  
ბეწვისოდენადაც არ დაგეხმარები; კრინტსაც არ დავძ-  
რავ შენთვის პატიების გამოსათხოვად. ჩემი ქალბატონი  
ეხლავე უბრძანებს—ჩამოგკიდონ გაპარვისათვის.

მასხარა—დაე, ჩამომკიდონ! ვინც ამ ქვეყნად მოხერხებულად  
არის ჩამოკიდებული, მას არავისი დროშებისა არ ეში-  
ნიან.

მარია—ეგ ვითომ რატომაო?

მასხარა—იმიტომაო, რომ ის მათ ველარა ჰხედავს, რომ  
შეეშინდესო!

მარია—ეგ კი მეტად სამარხვო პასუხი გამოგივიდა. მე შე-  
მიძლიან გითხრა თუ სად წარმოიშვა გამოთქმა—„არავი-  
სი დროშისა არ მეშინიანო“.

მასხარა—სად, კეთილო მისტრის მერი?

მარია—სად და ომში. ამას იქით შენ შეგიძლიან გამოიყენო  
იგი შენს სისულელეებში.

მასხარა—რა გაეწყობა, უფალმა ჭკვიანებს მოჰმადლოს  
სიბრძნე, ხოლო სულელებს ხელი მოუმართოს მათი ნი-  
კის მოხმარებაში.

მარია—შენ კი, ასე ხანგრძლივი ხეტიალისთვის მაინც ჩა-  
მოგახრჩობენ, ან ვაგაძეებენ და შენთვის ხომ გაძევება—  
იგივე ჩამოხრჩობაა!



მასხარა—ხანდისხან კარგი სახრჩობელა—ცუდი ქორწინებულნი  
 ბისაგან იხსნის. მეც თუ სახლიდან გამაგდებენ—გარეთ  
 ზაფხული მიხსნის.

მარია—მაშ შენ მტკიცედ გადაგიწყვეტია, რომ არ გინდა  
 ჩემი შველა?

მასხარა—რად მინდა? მე ხომ საკუთარი წყვილი სამველე-  
 ბელი მიმაგრებს შარვალს?

მარია—შენი ბედი, რომ წყვილია: ცალი თუ გაგიწყდა—  
 მეორე ცალი დაგიმაგრებს, ხოლო თუ ორივე გაგიწყდა—  
 მაშინ შარვალსაც ჩაგვარდება.

მასხარა—მოსწრებულად სთქვი! ვფიცავ, მოსწრებულად  
 სთქვი! თუ სერ ტობი ლოთობას დასთმობს და შენ და-  
 გისაკუთრებს—ილირიაში შენ ყველაზე ბედმოსწრებულნი  
 იქნები მათ შორის, ვისაც კი ევას წიბო დაჰყოლია.

მარია—ხმა გაკმინდე, თაღლითო! კრინტი აღარ დასძრა;  
 აგერ თვით გრაფის ასულიც მობრძანდება. გიჯობს და-  
 ნაშაული მოინანიო და პატიება ჯეროვანი მოკრძაღე-  
 მით სთხოვო.

(გადის)

მასხარა—ჰოი, გონებამახვილობავ! თუ შენი ნებაც იქნება,  
 დამეხმარე და მომანიჭე კეთილი სისულელე. ის მახვილ-  
 გონიერნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ შენი მფლობელნი  
 არიან, ხშირად სულელებად რჩებიან; მე კი, რომელსაც  
 მგონია, რომ შენ არ გამაჩნისარ—შეიძლება ჰკვიან კა-  
 ცად ვიყო მიჩნეული, რადგან, როგორც კვინაბალუსი  
 ამბობს, „სულელ ენამახვილს—ენამახვილი სულელი  
 სჯობია“.

(შემოდინან ოლივია და მალეოლიო)

მასხარა—ღმერთმა გაბედნიეროთ, ქალბატონო!

ოლივია—მოგვაშორეთ სულელი!

მასხარა—ხომ გაიგონეთ—მოგვაშორეთ გრაფის ასული!

ოლივია—დამეკარგე! მე შენ აღარ მჭირდება. სისულელი-  
 საგან გამოფიტულხარ და ამასთანავე უტიფარიც ხდები.



მასხარა—ეს ორივე ნაკლი, ჩემო მადონავ, სულ შეუძლიან გამოსწოროს ღვინომ და კეთილმა რჩევამ: ნება მიეცით გამომწრალსულელს დალიოს და უმაღლვე დაღებმა, უტიფარ ადამიანს კი—ურჩიეთ გამოსწორდეს და, თუ გამოსწორდა, მაშინ უტიფარიც აღარ იქნება! ხოლო თუ მას აღარ შეუძლიან რომ გამოსწორდეს, მაშინ მეძველმანე თერძს უნდა დაავალოთ მისი შეკეთება! მოგვხსენებათ, რომ რაც კი გამოსწორებულია—ყველაფერი დაკერებული გახლავთ: დამნაშავე სათნოება—დაკერებულია ცოდვებით, გამოსწორებული ცოდვა კი—სათნოებით არის ამოკემსილი. თუ გამოგადგებათ ეს უბრალო სილოგიზმი, ხომ კარგი, თუ არა და რა გაეწყობა! კეშმარიტი რქამოსილობა—უბედურებაა. ხოლო სილამაზე ყვავილი გახლავთ. გრაფის ასულმა ბრძანა—მოკვაშორეთ სულელიო, მაშასადამე, მოგვაშორეთ გრაფის ასული.

ოლივია—მე შენი მოშორება ვბრძანე!

მასხარა—ეს უაღრესი გაუგებრობაა, ქალბატონო! *Cuculus non facit monarchum*,\* სხვა სიტყვებით რომ მოგახსენოთ, ტვინში მე ისეთივე ჭრელი ჩვრები არა მაქვს, როგორც ეს ჩემი ქათიბი გახლავთ! სიკეთით აღსავსე მადონავ, ნება მიბოძეთ დავამტკიცო, რომ თქვენ სულელი კმნილება ბრძანდებით.

ოლივია—მერე შენ ამას შესძლებ?

მასხარა—დიდის ოსტატობით, კეთილო მადონავ!

ოლივია—მაშ დამტკიცე!

მასხარა—ამისათვის ჯერ პატარა აღსარება უნდა მომცეთ, უმშვენიერესო მადონავ! მაშ მიპასუხეთ, ჩემო სათნო თავუნავ!

ოლივია—დე, ასე იყოს! უკეთეს გასართობს მოკლებული—მზალ ვარ ავყვე ასეთ თამაშას.

მასხარა—კეთილო მადონავ, რას დარდობ?

ოლივია—კეთილო მასხარავ, ვდარდობ ჩემი ძმის სიკვდილს.

მასხარა—მე მგონია, რომ მისი სული ჯოჯოხეთშია, მადონავ!

\* კუკულუსი (თავმოსართავი) კაცს ხელმწიფედ ვერ გაზღის.



ოლივია—მე კი ვიცი, სულელი, რომ მისი სული სამოთხეშია ხეშია.

მასხარა—მით უფრო სისულელეა დარდი იმაზე, რომ შენი ძმის სული სამოთხეშია! მოგვაშორეთ სულელი, ბატონებო!

ოლივია—როგორ უყურებ ამ სულელს, მალვოლიო? მგონია, რომ გამოსწორება ეტყობა.

მალვოლიო—დიახ, ეტყობა და ეს გამოსწორება გასტანს მანამდე, ვიდრე სული ამოხდებოდეს. სიბერის მიხრწნილება გონებასრულ ადამიანთათვის ვნების მომტანია, ხოლო სულელებისათვის—მას სარგებლობა მოაქვს.

მასხარა—უფალმა მოგივლინოს, ბატონო, ნადრევი მიხრწნილება ჩვენი სისულელის წარმატებისათვის. სერ ტობი ფიცს დასდებს, რომ მე მელა არა ვარ, მაგრამ ის ორი პენსითაც კი არ დაგიდგება იმის თავდებად, რომ შენ სულელი არა ხარ!

ოლივია—ამაზე რაღას იტყვი, მალვოლიო?

მალვოლიო—მიკვირს, რა სიამოვნება უნდა ჰპოვოს თქვენ მა ბრწყინვალეებამ ამ უტვინო არამზადის ყბედობაში! ამასწინაჲ ჩემი თვალთა ვნახე, როგორ გააწბილა ეს ჩერჩეტი ერთმა სულელმა, რომლის თავშიც იმდენივე ტვინია, რაც ჩვეულებრივ ქვაში! აბა შეხედეთ: უკვე დაიბნა. თქვენ რომ გაცილება არ ინებოთ და, ამით საბაზი არ მისცეთ უკბილო ხუმრობისათვის, თავისით ვერაფერს მოახერხებდა! გარწმუნებთ, ჭკვიანი ადამიანები, რომელნიც ამ დაქირავებული სულელების ბლაგვ ოხუნჯობაზე ხარხარებენ, მათივე ხელქვეითი გამოდიან!

ოლივია—ო, მალვოლიო, გეტყობა პატივმოყვარეობით დაავადებულხარ და გემოვნებაც დაგკნინებია! კეთილშობილი, გულდია და უდანაშაულო ადამიანისათვის, ვინც სალად აზროვნებს, საჩატე ისრებია ეს ხუმრობანი, შენ რომ ზარბაზნის ყუმბარებად მოგჩვენებია: გონიერი მასხარა არ შეურაცხყოფს, თუმცა მუდმივად დაცინვანია, ისევე, როგორც ჭკუით ცნობილი ადამიანი არ დაცინებს, თუნდაც იგი მუდმივად ჰკიცხავდეს.



მასხარა—დაე, ოტარიდმა მოგანიქოს წაცრუების მასხარების მფარველობისათვის!

(შემოდის მარია)

მარია—ქალბატონო, ჭიშკართან ვილაც ახალგაზრდა ბატონი იცდის. მას დაბეჯითებით ჰსურს თქვენთან საუბარი.

ოლივია—აღმათ ისევე ჰერცოგ ორსინოს კაცია, არა?

მარია—არ ვიცი, ქალბატონო, მშვენიერი ჭაბუკია და ამა-  
ლაც შესაფერი ახლავს.

ოლივია—მერე რომელი კარისკაცი არ უშვებს იმას?

მარია—სერ ტობი, თქვენი ნათესავი, ქალბატონო!

ოლივია—მოაშორე, გეთაყვა, ის ყველასთან დამთხვეული-  
ვით ჩმახავს, ფუჰ! (მარია გადის) გადი, მალეოლიო, და  
ნახე: თუ ჰერცოგის კაცია, მაშინ შე ავადა ვარ, ან  
შინ არა ვარ, ან სხვა რამ უთხარ, რაც გინდოდეს,  
ოლონდ კი თავიდან მოიშორე. (მალეოლიო გადის) აი, ხომ  
ხედავ, როგორ მოძველდა და აღარავის მოსწონს  
შენი მასხრობა.

მასხარა—შენ კი, მადონავ, ჩვენს სასარგებლოდ ისე ლაპა-  
რაკობდი, თითქოს შენს სიყრმისშვილს მასხარის ხვედრი  
ელოდეს. დაე, იუპიტერმა ტვინით გამოტენოს იმისი  
გოგრა. ჩუ! აქეთ მოდის შენი ახლო ნათესავი, რომელ-  
საც ტვინის გარსი საკმაოდ შემოსცვეთია.

(შემოდის სერ ტობი ბელჩი)

ოლივია—ბატონსებას ვფიცავ, ნახევრად მთვრალია! ბი-  
ძაჩემო, ვინ დგას ჭიშკართან?

სერ ტობი—კაცია!

ოლივია—კაცი? ვინ კაცი?

სერ ტობი—ვილაც კაცია მეთქი!.. ეშმაკმა წაიღოს ის ჩამუ-  
ყუთებული ქაშაყი. რასა იქმ, სულელო!

მასხარა—დიდად კეთილო სერ ტობი!

ოლივია—ო, ბიძაჩემო, ბიძაჩემო, განა შეგფერით? ასე აღ-  
რიან უკვე გამომთვრალხართ და საღათას ძილამდე მი-  
სულხართ!





სერ ტობი—გათახსირებამდე! წავიდეს გათახსირება ვილაცაა, ჭიშკართან!

მასხარა—გამაგებინეთ, ვინ არის იგი?

სერ ტობი—თუნდაც თვით ეშმაკი იყოს, თუ იგი ამას ისურვებს, მე რას დავეძებ? აზნაურიძო და რახან მეც ვიმეორებ, რომ აზნაურია, უნდა დაიჯეროთ კიდევ. ა? განა სულერთი არ არის? (გადის)

ოლივია—(მასხარას) მითხარ, მასხარავ, რას უფრო ჰგავს მთვრალი ადამიანი?

მასხარა—დამხრჩვალს, სულელს და ჭკუაზე შეშლილს: პირველი ყლუპი—ადამიანს სულელადა ხდის, მეორე—ჭკუაზე შლის, მესამე კი—ახრჩობს.

ოლივია—მაშ წადი და მკურნალს უხმე ბიძაჩემის შესამოწმებლად, ის ახლა სიმთვრალის მაგ მესამე საფეხურზეა, ანუ დამხრჩვალი არი, წადი, მიჰხედე!

მასხარა—ჯერჯერობით ის მხოლოდ ჭკუაზე შეშლილია, მაშ გამოდის, რომ სულელი უვლის შეშლილს. (გადის)

მალვოლიო—(დაბრუნდება) გრაფის ასულო! ის ახალგაზრდა ფიცულობს, რომ უთუოდ შემოვა და მოგელაპარაკებათ. ვუთხარი ავადა ხართ, მაგრამ მარწმუნებს: მე ეს ვიცი და, სწორედ იმიტომ მოვედი, რომ ავადმყოფს მოველაპარაკო; მე ვაცნობე, რომ გძინავთ, მან კი თითქოს ესეც იცოდა და იმიტომ მოვიდა, რომ მძინარე გნახოთ. სხვას რას მიბრძანებთ, რომ გამოვუცხადო? ის შეიარაღებულია ყოველგვარი უარის წინააღმდეგ.

ოლივია—წადი და უთხარი, რომ არა მსურს მასთან ლაპარაკი!

მალვოლიო—ეგ უკვე ვუთხარი! ის მაინც თავისას განაგრძობს, თქვენს ჭიშკართან შერიფის ბოძივით დავერქობი, სანამ შემოსვლის ნებას არ მომცემთო.

ოლივია—რა კაცია?

მალვოლიო—მამრობითი სქესისა გახლავთ.

ოლივია—რა წოდებისა არის მეთქი, მე გეკითხები!

მალვოლიო—მეტისმეტად უკმეზი წოდებისა სჩანს: გინდათ თუ არა, მაინც თქვენთან შემოსვლას იქადის.



ო ლ ი ვ ი ა — რ ა ხ ნ ის ა ა რ ი, ა ნ რ ო გ ო რ ი გ ა რ ე გ ნ ო ბ ის ა?  
 მ ა ლ ვ ო ლ ი ო — ა რ ც თ უ ის ე ხ ნ ი ე რ ი ა, რ ო მ კ ა ც ა დ მი ი ჩ ნ ი ო თ,  
 ა რ ც ის ე ჭ ა ბ უ კ ი, რ ო მ ბ ი ჭ ა დ ჩ ა ს თ ვ ა ლ ო თ! ის ე თ ი ა, რ ო -  
 გ ო რ ც მო უ მ წ ი ფ ე ბ ე ლ ი რ ა მ ჰ ა ე რ ო ვ ა ნ ი, ს ა ნ ა მ მ ა ს შ ი მ ა რ -  
 ც ვ ლ ე ბ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ დ ე ბ ო დ ე ს, ა ნ დ ა, რ ო გ ო რ ც ბ უ ტ კ ო, რ ო -  
 მ ე ლ ი ც ჯ ე რ ვ ა შ ლ ა დ ა რ ქ ც ე უ ლ ა. ა ს ე ა, ო რ თ ა შ უ ა, უ ფ -  
 რ ო ბ ი ჭ ი ს ა დ ა კ ა ც ი ს მი ჯ ნ ა ზ ე გ ა ხ ლ ა ვ თ! ს ა ხ ი თ ლ ა მ ა ზ ი  
 ი ე რ ის ა ა, ნ ო რ ჩ ი, თ ი თ ქ ო ს დ ე დ ის რ ძ ე ჯ ე რ ტ უ ზ ე ბ ზ ე ა რ  
 შ ე მ რ ო ბ ი ა! თ ა მ ა მ ა დ კ ი ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს.

ო ლ ი ვ ი ა — შ ე მ ო უ შ ე ვ ი დ ა თ ა ნ ჩ ე მ ს ფ ა რ ე შ ს მო უ ხ მ ე ა ქ ა!  
 მ ა ლ ვ ო ლ ი ო — (გ ა ს ვ ლ ის ა ს) ფ ა რ ე შ ო, გ ე ს მ ის? ჩ ე მ ი ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ი  
 გ ი ხ მ ო ბ ს! (გ ა დ ის. მ ა რ ი ა შ ე მ ო დ ის)

ო ლ ი ვ ი ა — მ ო ი ტ ა რ ი დ ე დ ა ს ა ხ ე ზ ე ჩ ა მ ო მ ა ფ ა რ ე! ე რ თ ხ ე ლ  
 კ ი დ ე ვ ვ ც დ ი — მ ო ვ ე უ ს მ ი ნ ო ო რ ს ი ნ ო ს ე ლ ჩ ს ა!  
 (შ ე მ ო დ ი ა ნ ვ ი ო ლ ა დ ა მ ხ ლ ე ბ ე ლ ნ ი)

ვ ი ო ლ ა — რ ო მ ე ლ ი ა თ ქ ე ვ ე ნ ს შ ო რ ის ა მ ს ა ს ა ხ ლ ის კ ე თ ი ლ შ ო ბ ი -  
 ლ ი დ ი ა ს ა ხ ლ ის ი?

ო ლ ი ვ ი ა — მე მო მ მ ა რ თ ე თ დ ა გ ი პ ა ს უ ხ ე ბ თ ი მ ის მ ა გ ი ე რ. რ ა  
 გ ნ ე ბ ა ვ თ?

ვ ი ო ლ ა — ს ხ ი ვ მ ფ ი ნ ა რ ო დ ა ს წ ო რ უ პ ო ვ ა რ ო მ შ ე ვ ე ნ ე ბ ა ვ! გ ე მ უ -  
 დ ა რ ე ბ ი თ, მ ი თ ხ რ ა თ, გ ა ნ ა თ ქ ე ვ ე ნ ა რ ა ხ ა რ თ დ ი ა ს ა ხ ლ ის ი?  
 მე. ხ ო მ ჯ ე რ ი გ ი ა რ ა ს ო დ ე ს მ ი ნ ა ხ ა ვ ს! გ უ ლ ი დ ა მ წ ყ დ ე -  
 ბ ო დ ა, რ ო მ ჩ ე მ ი ს ი ტ ყ ვ ა უ შ უ ა ლ ო დ ა რ მი მ ე მ ა რ თ ა მ ის -  
 კ ე ნ, ვ ის ა ც ი გ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ე კ უ თ ვ ე ნ ის დ ა ე ს ი მ ი ტ ო მ,  
 რ ო მ ჩ ე მ ი ს ი ტ ყ ვ ა ა რ ა მ ა რ ტ ო დ ი დ ის ო ს ტ ა ტ ო ბ ი თ ა რ ის  
 შ ე დ გ ე ნ ი ლ ი, ა რ ა მ ე დ ი მ ი ტ ო მ ა ც, რ ო მ დ ი დ ი შ ო რ ო მ ა გ ა ვ -  
 წ ი ე მ ის დ ა ზ ე პ ი რ ე ბ ა ზ ე. ნ უ დ ა მ ც ი ნ ე ბ თ, უ ნ ა ტ რ ი ფ ე ს ნ ო, მე -  
 ტ ის მ ე ტ ა დ გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ი გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ დ ა ს უ ლ მ ც ი რ ე დ ი  
 ც უ დ ა დ მო ჰ ყ რ ო ბ ა ც კ ი გ ა მ ა გ უ ლ ის ე ბ ს.

ო ლ ი ვ ი ა — ს ა ი დ ა ნ ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი თ, ბ ა ტ ო ნ ო?

ვ ი ო ლ ა — მე შ ე მ ი ძ ლ ა ნ გ ი პ ა ს უ ხ ო თ ც ო ტ ა ი მ ა ზ ე დ მე ტ ი, რ ა ც  
 გ ა ზ ე პ ი რ ე ბ უ ლ ი მ ა ქ ვ ს, მ ა გ რ ა მ ე ვ კ ი თ ხ ვ ა ა მ ჩ ე მ ს რ ო ლ შ ი  
 ა რ მი წ ე რ ი ა. გ თ ხ ო ვ თ, დ ა მ ა რ წ მ უ ნ ო თ, რ ო მ თ ქ ე ვ ე ნ ა ხ ა რ თ  
 დ ი ა ს ა ხ ლ ის ი, მ ა შ ი ნ ჩ ე მ ს ს ი ტ ყ ვ ა ს პ ი რ დ ა პ ი რ თ ქ ე ვ ე ნ ს კ ე ნ  
 მო ვ ე მ ა რ თ ა ვ.

ო ლ ი ვ ი ა — თქვენ მსახიობი ხართ?

ვ ი ო ლ ა — არა, ჩემო გულისგულო! მაგრამ მაინც ვფიცავ ცბიერების ეშვებს, რომ მე იგი არა ვარ, რასაც ვთამაშობ! თქვენ ბრძანდებით დიასახლისი?

ო ლ ი ვ ი ა — თუ ამით არავის უფლებებს ვითვისებ, გეტყვი, რომ მე ვარ!

ვ ი ო ლ ა — იგულისხმება, რომ თუ მართლა თქვენა ხართ იგი; თქვენ მათ დიახაც ითვისებთ, რადგან რის დათმობაც შეგიძლიანთ — მისი მითვისების უფლება არა გაქვთ, მაგრამ არც ეს შედის ჩემს დავალებაში. მაშ ასე, მე შეეუდგები თქვენს ქებათაქებას, მერე კი ჩემი შუამავლობის არსსაც გაგაცნობთ.

ო ლ ი ვ ი ა — ილაპარაკეთ თვით საქმეზე, ქებათაქებისაგან განთავისუფლებით!

ვ ი ო ლ ა — ვაგლახ! დიდად საწყენია! რაოდენი დრო მოვანდომე მის დაზეპირებას! მერე რა პოეტურად არის ის შედგენილი!

ო ლ ი ვ ი ა — მით უფრო გამოგონილი და საპირფერო იქნება იგი. შეინახეთ ის სიტყვა თქვენთვის! მე გავიგე, რომ თქვენ კადნიერად იქცეოდით ჩემს ჭაშკართან და ნება დაგრთეთ შემოსვლისა უფრო იმისათვის, რომ მენახეთ, ვიდრე თქვენი ხობტა მომესმინა. თუ გონიერება შეგრჩენიათ — გამერიდეთ, თუ სრულ ჭკუაზე ხართ — მოკლედ მოსჭერთ; დღეს მე იმ გუნებაზე არ ვახლავართ, რომ მაგ უცნაურ, უქმ ვასართობში ჩამიყოლიოთ!

მ ა რ ი ა — ხომ არ ინებებთ — აფრები აუშვათ? აი გზა!

ვ ი ო ლ ა — არა, კეთილო, ჭილის ცოცხიანო გემის შევირდო! მე, ჯერ მცირეხანს, ამ მყუდრო ზღვაში დავუშვებ ღუზას! დააშოშმინეთ ეს თქვენი გოროზი, მშვენიერო ქალბატონო!

ო ლ ი ვ ი ა — სთქვით, რა გნებავთ ჩემგან!

ვ ი ო ლ ა — მე შეიკრიკი ვარ.

ო ლ ი ვ ი ა — სჩანს შემზარავი ამბავი ვსურთ შემატკობინოთ, თუ მის სათქმელად ამ საშინელ სამზადისს იწყებთ. გთხოვთ უფრო მოკლედ დაასრულოთ თქვენი სათქმელი.

- ვიოლა—ის მხოლოდ თქვენი სმენისათვის არს დანებდა  
მე არ მოვსულვარ რომ თქვენ ომი გამოგიცხადოთ,  
მოგთხოვოთ ხარკი და ლაშქარი შემოგისიოთ!  
ხელში მიჭირავს ზეთისხილის რტო და ჩემს ბაგეთ  
მხოლოდ მშვიდობის მაუწყებელ სიტყვებით გავრჯი!
- ოლივია—მით უფრო ნამდვილ უხეშობით დაიწყეთ საქმე!  
ვინ ხართ და რა გსურთ?
- ვიოლა—  
ო, მომიტევეთ,  
თუ რამ სიმკაცრე ჩავიდინე! ამის საბაზი აქ გულცივმა  
შეხვედრამ მომცა, ხოლო თუ ვინ ვარ, ან რა მინდა—  
საიდუმლოა, როგორც მშვენიერა კდემამოსილ სიქალწუ-  
ლისა, რაც თქვენი სმენისათვის სალოცავია, დანარჩენ-  
თათვის კი—სამკრეხლო!
- ოლივია—მარტო დაგვტოვეთ! (მარია და ამაღა გადიან). მაშ  
მოვისმინოთ ლაღადისი, ბრძანეთ, ბატონო,  
თუ რას შეიცავს თქვენს სიტყვაში ეგ სალოცავი!
- ვიოლა—უკეკლუცესო ქალბატონო!
- ოლივია—ნუგეშმცემელი მოძღვრებაა ასე მომართვა  
და ამ მცნებაზე შეიძლება ბევრი რამ ეთქვას,  
მაგრამ სად არის არსი თქვენის წყობილ სიტყვისა?
- ვიოლა--ორსინოს გულში!
- ოლივია— მის გულშია? რომელ ნაწილში?
- ვიოლა—სწორედ თუ გნებავთ, მისი გულის პირველ კარშია.
- ოლივია—ო, წამიკითხავს! ეგ ნამდვილი მწვალებლობაა.  
სხვა არაფერი დაგრჩათ კიდევ ჩემთვის სათქმელი?
- ვიოლა—ნება მიბოძეთ დავინახო ეგ თქვენი სახე.
- ოლივია—განა ჰერცოგმა ჩემი სახის ხილვაც მოგანდოთ?  
სათქმელს გადასცდით!.. მაგრამ მე მაინც ავხდი ფარ-  
დას და გიჩვენებთ სურათს (აიხდის რიფეს). აი მიყურეთ!  
ასეთი ვარ ნამდვილად ახლა, როცა თქვენ მიჭვრეტთ!  
ხომ კარვად შესრულებული სურათია?
- ვიოლა—ჩინებულია, თუ ის მხოლოდ ღვთაებამ შეჭმნა!
- ოლივია—ყალბი არ არის ეს სურათი, მის საღებავებს  
არც წვიმისა და არც ქარისა არ ეშინიანთ.
- ვიოლა—უტყუარი და სრულყოფილი მშვენიერა არი:

თეთრი და ეგ. წითელი ფერი შეხამებულად  
ამოუქარგავს თვით ბუნების ოსტატურ ხელსა!  
თქვენ ყველა ქალზე უმკაცრესი ქალი იქნებით,  
გრაფის ასულო, თუ მშვენიერებას საფლავს ჩაიტანთ  
და მის ანაბეჭდს არ დასტოვებთ ამ ქვეყანაზე!

ოლივია—არა, ბატონო, არ ვიქნები ესოდენ გულქვა: მე  
შევადგენ ჩემი სილამაზის აღწერილობას და მას დავურ-  
თავ ჩემს ანდერძს, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება  
ყოველი ნაწილი, ყოველი ნაკვთი ჩემი სახისა; ასე  
მაგალითად, პირველი: საკმაოდ ალისფერი ტუჩები,  
მეორე: წყვილი ნაცრისფერი თვალი, თავისი ქუთუ-  
თობებით, კიდევ: ერთი კისერი, ერთი ნიკაპი და ასე  
შემდეგ! რაო, თქვენ შემეფასებლად ხომ არა ხართ  
გამოგზავნილი?

ვიოლა—გაფასებთ ისე, როგორიც ხართ: ზომამზედ მეტად  
ამაყი სჩანხართ, ქედმაღალი, ზვიადი, მაგრამ  
თუნდ ეშმაკიც რომ იყოთ, მაინც მშვენიერი ხართ!  
თქვენ ჩემს მბრძანებელს უყვარხართ და ასეთ  
სიყვარულს,

არ შეიძლება არ მიაგოთ კუთვნილი ჯილდო,  
ო, ოლივია, მშვენიერო, თუნდაც მაგ შუბლზე  
ზეღვთაებრივი სილამაზის გვირგვინი გედგათ!

ოლივია—როგორ ვუყვარვარ მე თქვენს ბატონს?

ვიოლა—სათუთი კრძალვით, გაღმერთებით, ცრემლთა  
ნაკადით

და სიყვარულის ცეცხლით მგზნებარ ოხვრა-კვნესითა.

ოლივია—ჩემი განზრახვა შენს მბრძანებელს მოეხსენება:

იცის, რომ მისი სიყვარული ჩემთვის უცხოა,  
თუმც მიმაჩნია იგი დიდად კეთილშობილად!

მის სათნო გულსა, მის სიმდიდრეს და მამაცობას  
მე კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ თვითონ ბუნებას  
არ დაუზოგავს ჯილდო მისი გარეგნობისთვის:

ახალგაზრდობა იფურჩქნება მისი უმწიკვლოდ,  
მაგრამ მე მისი სიყვარული არ შემეძლიან  
და ეს პასუხი მას აქამდეც უნდა დაესკვნა!



ვიოლა—მე რომ მიყვარდეთ ასე მგზნებარ თავდავიწყებით,  
როგორც უყვარხართ ჩემს მბრძანებელს, თქვენს ამაყ  
პასუხს  
ყოვლად უაზროდ ჩავთვლიდი და მაგ უარის თქმას  
ვერ გავიგებდი!

ოლივია—რას იზამდით თქვენ მის აღგილას?

ვიოლა—თქვენს კარის ზღურბლთან ამოვწნავედი ტირიფის  
ქონსა

და ჩემს დამწყვედულ დედოფალზე ღაღაღს ვიწყებდი,  
შევქმნიდი ჰანგებს ჩემს უბედურ სიყვარულზედა  
და ვიმღერებდი მათ მე ღამის მყუდროებაში;  
გადავძახებდი სასოებით ბორცვებს თქვენს სახელს  
და წაიღებდა მას ჰაერის გამონახვევი:  
„ო, ოლივია!“ მოსვენება არ გექნებოდათ  
ცისა და მიწის შუა, ვიდრე თქვენს ამაყ გულსა  
არ აანთებდა სიბრაღული სიყვარულისა!

ოლივია—ბევრის მიღწევა შეგეძლებოდათ მაგგვარ ცდითა!  
შთამომავლობით ვინ ბრძანდებით?

ვიოლა—თუმც ჩემი ხვედრი ამ ყოფაშიც მძიმე არ არი,  
მაგრამ იმაზე მეტი ვარ მე, ვიდრე გგონივართ:  
ვარ აზნაური!

ოლივია— უკან დაბრუნდით  
და თქვენს მბრძანებელს მოახსენეთ, რომ მე არ ძალმიძს  
მის სიყვარული; დე, შესწყვიტოს ამიერიდან  
თქვენი აქ ელჩად გამოგზავნა, თუ მარტოოდენ  
მისთვის არ მოხვალთ, რომ მაცნობოთ თუ როგორ  
შეხვდა  
ორსინო ჩემგან უარის თქმას. გმადლობთ გარჯისთვის!  
აჰა, ეს ჯილდოც! დახარჯეთ ის ჩემის სახელით!

ვიოლა—გთხოვთ შეინახოთ ეგ საფულე! მსახური არ ვარ!  
მე კი არა და ჰერცოგს უნდა აწ თქვენგან ჯილდო!  
დე, ქვად გადიქვეს მისი გული, ვისაც ოდესმე  
თქვენ შეიყვარებთ მგზნებარედ და თავდავიწყებით!  
დე, სიძულვილით შეხვდეს იგი თქვენს სიყვარულსა,  
როგორც თქვენ ხვდებით სიძულვილით ორსინოს  
ტრფობას.

აწ კი მშვიდობით სამუდამოდ, ტურფავ, სასტიკო!  
(გადის)

ო ლ ი ვ ი ა — „შთამომავლობით ვინ ბრძანდებით?..“

„თუმც ჩემი ხვედრი ამ ყოფაშიც მძიმე არ არი,  
მაგრამ იმაზე მეტი ვარ მე, ვიდრე გგონივართ:  
ვარ აზნაური!“

ეს მართალია! ო, ვფიცავ, რომ ეს მართალია:  
ეგ შენი სახე, მიხვრა-მოხვრა, თვალტანადობა,  
შენი სიტყვები, ჭკვიანური შემმართველობა,  
გზდის ღირსეულად და განიჭებს ღერბის უფლებას!  
წყნარად განსაჯე, ოლივია, ნუ აჩქარდები!  
იგი ხომ მაინც პაჟია და არა ჰერკოგი!  
ნუთუ მოხიბლვა შესაძლოა ასე ადვილად?  
ვერძნობ, რომ იმ სრულქმნილ ახალგაზრდა ყმაწვილის  
სახე

აწ ჩემს თვალებში შეუმჩნეველად შემოიპარა!

რა გაეწყობა, ასე იყოს! ჰე, მალვოლიო!

მ ა ლ ვ ო ლ ი ო — მე აქ გახლავართ, ქალბატონო, თქვენს  
სამსახურად!

ო ლ ი ვ ი ა — გთხოვ, დაეწიო იმ კადნიერს, ორსინოს მსახურს...

მან ეს ბეჭედი დამიტოვა ჩემს უნებურად!

გააგებინე, რომ საჩუქარს მე არ ვღებულობ!

უთხარ, რომ ჰერკოგს ნუ მოხიბლავს ცრუ იმედებით:

მას ოლივია არ გაჰყვება არასდროს ცოლად!

ეგ ყმაწვილი კი, თუ ისურვებს ხვალ ჩემთან მოსვლას,

თვითონ აეუხსნი ამ უმტკიცეს განზრახვის მიზეზს.

აბა, იჩქარე!

მ ა ლ ვ ო ლ ი ო — მე შევასრულებ, ქალბატონო, თქვენს  
ბრძანებასა!

(გადის)

ო ლ ი ვ ი ა — არ ვიცი თუ რა მემართება... ნუთუ გონება

დაიმორჩილა მაცდურობამ თვალისმიერმა?

მაგრამ დე მოხდეს მოსახდენი, ჩვენ უძღურნი ვართ

და გარდაუვალ ბედისწერას ვერსად წაუვალთ!

(გადის)

## მოქმედება მეორე

სურათი I

ზღვის ნაპირი.

(შემოდინ ანტონიო და სებასტიანო)

ანტონიო— მაშ თქვენ არა გსურთ აქ დარჩენა და არც  
ნებას მრთავთ თან წამოგყვეთ?

სებასტიანო—თქვენის დასტურით უარს ვამბობ! ვერ გა-  
გიყოლებთ თანამგზავრად! ჩემი ვარსკვლავი მეტიმეტად  
სუსტად მინათებს და ჩემი ბედის უღმობეღმა გაბორო-  
ტებამ შესაძლო არის თქვენც დაგსაჯოთ. გთხოვთ, ნუ  
დამიშლით, რომ მარტოდმარტო გავუმკლავდე საკუ-  
თარ ტანჯვას. ნება რომ მოგცეთ ჩემი ხვედრის გაზი-  
არებისა, ამით ცუდ ჯილდოს მივაგებდი თქვენს ერთ-  
გულებას.

ანტონიო—ის მაინც მითხარით, საითკენ მიემართებით.

სებასტიანო—არა, ბატონო, მომიტევეთ! ჩემი შემდგომი  
მოგზაურობა უკვე უცნაური ახირებაა. მაგრამ მე გამ-  
ჩნევთ თანდაყოლილ მოკრძალებას; ვგრძნობ, ერიდებით  
გამომტეხოთ საიდუმლოებაში, რის დაფარვაც მსურს.  
სწორედ ამიტომ სიამოვნებით გაგენდობით: მაშ, უნდა  
იცოდეთ, ჩემო ანტონიო, რომ როდერიგო კი არა, სე-  
ბასტიანო მქვიან. მამაჩემი იყო ის მესალინელი სებას-  
ტიანო, რომლის სახელიც, მე ვიცი, რომ გსმენიათ.  
მამა რომ გარდაიცვალა, და-ძმანი დავრჩით ოჯახში



ობლად, ორივე ერთ საათში დაბადებულნი. ახ! რატომ  
ზეცამ არ ინება, რომ ჩვენ ერთადვე მომკვდარიყავით!  
მაგრამ ამას თქვენ შეუშალებთ ხელი, კეთილშობილო  
ანტონიო! ერთი საათით იმაზე წინ, როცა ბობოქარ  
ტალღებისაგან გამომიხსენით—ჩემი და დაიხრჩო.

ანტონიო—ვაგლახ იმ დღესა!

სებასტიანო—თუმცა ამბობდნენ, რომ ჩემი და ძალიან  
მგავდა, მაგრამ ბევრნი მას ულამაზეს ქალადა სთვლიდ-  
ნენ; მე, მართალია, არ ვენდობი მათს აღტაცებას, მაგ-  
რამ იმას კი გადაჭრით და თამამად გეტყვი, რომ  
თვით შურიც კი მის სულს სახელად უწოდებდა მშვე-  
ნიერებას. თუმც იგი უკვე შთანთქმულია მლაშე ტალ-  
ღებში, მე იმის ხსოვნას ცხარე ცრემლთა ტალღებში  
ვძირავ!

ანტონიო—გთხოვთ ნუ დამძრახავთ ამ ღარიბულ მასპინ-  
ძლობისთვის.

სებასტიანო—ო, კეთილო ანტონიო! პირიქით, გთხოვთ  
პატიებას იმ შეწუხებისათვის, რაც მოგაყენეთ!

ანტონიო—თუ არ გწადიათ მომკლათ ჩემი სიყვარულისა-  
თვის, ნება მომეცით ვიყო თქვენი თანამხლებელი.

სებასტიანო—თუ არ გინდათ, რომ გააქარწყლოთ თქვენი  
სიკეთე და მოუსწრაფოთ სიცოცხლე მას, ვინც თვითვე  
იხსენით, ნუ ისურვებთ მაგას. აწ კი მშვიდობით! ისე  
სავესეა ჩემი გული მაღლობის გრძნობით, რომ დედისა-  
გან თანდაყოლილ თვისებისამებრ, ამჟამად სულ მცი-  
რედი საბაბიც კმარა, რომ ჩემი თვალებიც ამეტყველ-  
დნენ. მე მივდივარ ჰერცოგ ორსინოს სასახლეში,  
მშვიდობით! (გადის)

ანტონიო—ზეცამ თავისი მფარველობა თან გაგაყოლოს!  
ჰერცოგ ორსინოს სასახლეში მძვინვარე მტრები  
რომ არა მყავდეს, იქაც მალე გინახულებდი!  
მაგრამ დე მოხდეს რაც მოხდება, რას ვაქნევ მტრებსა?  
თან გამოგყვები, რომ განსაკდელს პირისპირ შევხვდე.  
(გადის)

ქუჩა.

(შემოდის ვიოლა. მას მოსდევს მალფოლიო)

მალფოლიო—თქვენ ხომ არ ბრძანდებოდით მცირეხნის წინ გრაფის ასულ ოლივიასთან?

ვიოლა—მე ეს-ეს არი გამოვედი მისი სახლიდან, ბატონო, და ისე ნელა მოვდიოდი, რომ მხოლოდ აქამდე მოსვლა მოვასწარ!

მალფოლიო—მან დამავალა—ეს ბეჭედი უკან დაგიბრუნოთ! იგი თვითონვე რომ წამოგელოთ, ამაცდენდით ზედმეტ გარჯას, რაც თქვენს დევნაში დამეხარჯა. ამასთანავე მიბრძანა გთხოვოთ—დაბეჯითებით დაარწმუნოთ თქვენი ბატონი, რომ ოლივია მის თხოვნას არ შეიწყნარებს და ცოლად არ გაჰყვება! კიდევ ერთი: გთხოვთ, აღარ გაბედოთ მასთან ბატონის მოციქულად მოსვლა. მობრძანდით მხოლოდ იმის სათქმელად, თუ როგორ მიიღო მან ოლივიას შარი. აიღეთ მეთქი ეს ბეჭედი!

ვიოლა—მან ეს ბეჭედი გამომართვა თავის სურვილით და მე უკან აღარ მივიღებ!

მალფოლიო—სტყუით, ბატონო, თქვენ კადნიერად გადაუგდეთ მას ეს ბეჭედი და გრაფის ასულს ჰსურს, რომ ასევე დაგიბრუნოთ. თუ კი ღირს იმად, რომ ასაღებად დაიხაროთ—აი, ინებეთ, თქვენს წინა გდია და თუ არა გსურთ, დაე პირველმა გამომვლელმა აიღოს იგი!

(გადის)

ვიოლა—არავითარი ბეჭედი მე არ მიმიცია!  
ეს რა მახეა? ღმერთმა ნუ ქნას! გრაფის ასული ხომ არ მოვხიზღე ამ შეცვლილი გარეგნობითა? ის მიყურებდა ისე ვნებით და გარინდებით, რომ დალაგებით ლაპარაკსაც ვერ ახერხებდა. მისმა თვალებმა, სჩანს, დაჰკარგეს თავისი ენა! მას მე ვუყვარვარ! ო, ეს უკვე აშკარა არის! სჩანს თვალთმაქცობა აწ იმისი სიყვარულისა: უკან მიმიწვევს ამ უხეში შიკრიკის პირით!

მისთვის ბეჭედი არც ჩემს ბატონს გაუგზავნია!  
მაშ მე ვარ მისი მიზანი და, თუ ეს ასეა,  
ურჩევნია რომ შეიყვაროს თვითონ ზმანება!  
შენ, ტანსაცმელო, სჩანს ჰყოფილხარ უკეთურობა,  
რომელიც თურმე ძალას ჰმატებს ჩვენს ცბიერ მტერსა!  
როგორ ადვილად შეუძლიან პირმოთნე ჭაბუქს  
თავისი სახე ამოკვეთოს ქალის ნაზ გულზე!  
ახ! ჩვენ კი არა, თვითონ ჩვენი სისუსტე არის  
ამის მიზეზი და, რადაცა ვართ ჩვენ შექმნილნი,  
მხოლოდ იმადვე უნდა დავრჩეთ!  
ნეტავი როგორ გათავადება ეს ყველაფერი:  
ჩემს ბატონს უყვარს ოლივია თავდავიწყებით,  
მე კი —საბრალო ტყვე ვარ მისი სიყვარულისა;  
ოლივიას კი, გზაგადამცდარს, ჩემსკენ აქვს გული.  
რით გათავადება?.. ყმაწვილკაცად თუ დავრჩი ასე,  
მაშინ ორსინოს სიყვარულის იმედიც ქრება  
და თუ ქალობას დავუბრუნდი... ო, ვაი იმ დღეს!  
რამდენ ამაო ოხვრას მოვწყვეტ ოლივიას გულს!  
დროვ, შენ თუ გახსნი ამ გრძნობების დახლართულ  
კვანძსა,  
თორემ მე ძალა აღარ შემწევს მისი გახსნისა!  
(გადის)

### სურათი III

ოთხნი ოლივიას სახლში.

(შემოდინან სერ ტობი ბელჩი და სერ ენდრუ გვიუჩიკი)

სერ ტობი—აქეთ წამო, სერ ენდრუ, აქეთ წამო!.. შუალა-  
მის შემდეგ თუ ლოგინს სტოვებ, ეს ნიშნავს ადრე  
ადგომას; ზომ გაგიგონია ანდაზა: diluculo surgere! \*  
სერ ენდრუ—არა! ღმერთმანი არ ვიცი! მე ვიცი მარტო  
ის, რომ თუ გვიანობამდე არ გძინავს, ეს ნიშნავს იმას,  
რომ გვიანობამდე არ გძინავს!

\* შუალამეს ამდგარი—განთიადს აასწრებს.



სერტობი—მცდარი დასკვნაა, რომელიც ისევე მეტაფორულად როგორც ცარიელი მათარა. შუალაქმდე მაგიდასთან ჯდომა და შემდეგ დასაძინებლად წასვლა ნიშნავს—ადრეაო; ესე იგი, შუალამის შემდეგ დასაძინებლად დაწოლა ნიშნავს ადრე დაწოლას. განა ჩვენი ცხოვრება ოთხი ელემენტისაგან არ შესდგება?

სერენდრუ—ასე ამბობენ, მაგრამ მე კი მგონია, რომ ჩვენი ცხოვრება შესდგება ჭამისა და სმისაგან!

სერტობი—ბრძენი ხარ, ბრძენი! მაშ, მოიტა, ვკამოთ და ვსვათ! ჰეი, მარიან! ღვინო! (შემოდის მასხარა)

სერენდრუ—აი, კიდევ სულელი მოგვემატა!

მასხარა—როგორ გიკითხოთ, ჩემო საუნჯენო! ხომ გინახავთ სურათი: „ჩვენ სამნი ვართ!“

სერტობი—კეთილი იყოს შენი შემოხეტება, დიდუურავ! აბა ერთი საგუნდო ვიმღეროთ!

სერენდრუ—ღმერთმანი ჩინებული ყანყარტო აქვს ამ სულელსა! ორმოც შილინგს მივცემდი ამისთანა ფეხისა და მშვენიერი ხმის პატრონი რომ გამხადა, ჰო ღმერთმანი! შენ გუშინდამ საუცხოოდ მასხრობდი, როცა პიგროგრამიტუსსა და ვაპიანზე გვიამბობდი, რომელთაც კვებუსეს გადაღმა გადაიარეს. ღმერთმანი, ჩინებული იყავი! მე ექვსპენსიანი გამოგიგზავნე შენი სატრფოსათვის, ხომ მიიღე?

მასხარა—მე ის შენი სიუხვე ჯიბეში შევინახე, რადგან მალვოლიოს ცხვირი შოლტი არ არის, ჩემი სატრფო თეთრხელეაა და მირმიდონელები—სამიკიტნოს არ შეადგენენ!

სერენდრუ—მშვენიერია. ხუმრობისა—ყველაზე უკეთესი ბოლოა ხოლმე! აბა ახლა ერთი იმღერე კიდევ.

სერტობი—ჰო, იმღერე! აი, ეს ექვსპენსიანიც შენი! დაიწყე.

სერენდრუ—აი ჩემგანაც! როცა ერთი რაინდი ექვსპენსიანს იძლევა—იქ შეორე ექვსპენსიანი ჩემი უნდა იყოს! მაშ წამოიწყე სიმღერა.

მასხარა—რა გიმღეროთ? სასიყვარულო, თუ კეთილი ცხოვრებისა?

სერტობი—სასიყვარულო, სასიყვარულო!  
სერენდრუ—სასიყვარულო იყოს, რა ჯანდაბად მინდა კეთილი ცხოვრება!

მასხარა—სატრფოვ, სად ხარ? ო, შესდექ, მისწინე გატაცებით: მოდის შენი ერთგული—ის შენი საყვარელი, ვინც გიმღერის ხან სევდით და ხან კი აღტაცებით! შესდექ, ნულარსად წახვალ, სატრფოვ, გასახარელო!

სერენდრუ—ღმერთს გეფიცები, მშვენიერია!

მასხარა—ყველა ჭკვიან კაცის შვილს კარგად ესმის ეს ხვედრი, რომ მგზავრობა თავდება საყვარელთა შეზვედრით!

სერენდრუ—ფეიცავ ჩემს აზნაურულ რაინდობას, რომ პირდაპირ თაფლის ღმა გაქვს!

სერტობი—გადამდები სიმღერა იცის!

სერენდრუ—მეტად ტბილი და გადამდები, ჰო, ღმერთმანი!

სერტობი—ამ სიმღერის ცხვირით მოსმენა რომ შეიძლება, ისეთ შეზავებულ კეთილსურნელებას მიიღებდა ადამიანი, რომ პირდაპირ სენს გადაეყრებოდა! მაგრამ ჩვენ ცის თალი ხომ უნდა ვაცეკვოთ? ხომ უნდა გავალვიძოთ სიმღერით ჭოტი, რომ მან ფეიქარს სამწყება სული ამოხადოს? ხომ ასე უნდა მოვიქცეთ?

სერენდრუ—თუ გიყვარვარ, ასე მოვიქცეთ: მე საგუნდო სიმღერაში პირდაპირ ძაღლის ალლო მაქვს.

მასხარა—ღვთისმშობელს ვფეიცავ, რომ ზოგიერთ ძაღლს მართლაც მშვენიერი ალლო აქვს!

სერენდრუ—ეს უღავოა! მაშ ვიმღეროთ: „შენ, ავაზაკო“.

მასხარა—„ჩუმიად იყავ, ავაზაკო“? ასე რომ ვიმღერო, ხომ იძულებული ვიქნები ავაზაკი გიწოდო, რაინდო!

სერენდრუ—ეგ ხომ პირველად არ იქნება ჩემს ცხოვრებაში, რომ ვაიძულო ვინმე ავაზაკი მიწოდოს. დაიწყე, მასხარავ! „ჩუმიად იყავ..“

მასხარა—როგორღა დავიწყო, თუ ჩუმიად ვიყო?

სერენდრუ—კარგია, ღმერთმანი. კარგია, დაიწყე!

(მღერიან გუნდურს. შემოდის მარია)

მარია—ეს რა ღრიანცელია? თუ ჩემი ქალბატონი სასახლის



მმართველს არ მოუხმობს, რომ სამივენი აქედან გავსაღწიოთ. ნოთ, მაშინ ნულარც ერთ სიტყვას ნუ დამიჯერებთ!

სერ ტობი—ეგ შენი ქალბატონი ვილაც ჩინელია, ჩვენ სახელმწიფო ვაჟნი ვართ, ხოლო ის თქვენი მალვოლიო კი ნამდვილი პეგ რამზეი, ბებერი ჯოჯო ბრძანდება!

(მღერის)

„სამი კაბუკი, სამიგ მომღზენი..“

ეს ჩვენ გახლავართ! როგორ? ვანა მე მისი ნათესავი არა ვარ? არა, მე და შენი ქალბატონი სისხლი-სისხლთაგანი ვართ, თუ არა?

(მღერის)

„ვაჟი ვინმე ბაბილონში ცხოვრობდა, ქალბატონო, ბატონო.“

მასხარა—ეშმაკმა წაიღოს ჩემი თავი! მართლაც ჩინებულად სულელობს მათი ბრწყინვალეობა!

სერ ენდრუ—დიახ, ეგ სულელობის ოსტატია, როცა გუნებაზეა. მეც ასე ვარ, მაგრამ ეგ უფრო დახელოვნებულია სისულელეში, უფრო ბუნებრივად გამოუდის.

სერ ტობი—(მღერის)

„ო, დეკემბრის მეთორმეტე დღეს!“

მარია—ღვთის გულისათვის, გაჩუმდით!

(შემოდის მალვოლიო)

მალვოლიო—გაგიყებულხართ, ბატონებო, თუ რა მოგსვლიათ? არც სირცხვილი გაქეთ და აღარც პატიოსნება გაგაჩნიათ, რომ შუალამისას ღრიალით იკლებთ აქაურობას? ან იქნებ ჩემი ქალბატონის სახლი სამიკიტნო გგონიათ, რომ ხმას არ იზოგავთ და ყურთანსმენა მიგაქვთ მეჩექმური სიმღერებით? არ გაგაჩნიათ პატივისცემა არც პიროვნებისა, არც დროისა და არც ადგილისა?

სერ ტობი—არა, ბატონო, ჩვენ სიმღერებში დროს კარგად ვიცავთ, ჯანდაბას წადი, თუ ეს ვერ გაგივია!

მალვოლიო—სერ ტობი! პირდაპირ უნდა მოგელაპარაკოთ: ქალბატონმა დამავალა გადმოგცეთ, რომ თუმცა მან შეგივრდომათ, როგორც ნათესავი, მაგრამ მას სურვილი არა აქვს დაინათესავოს თქვენი უსაქციელობანიც! თუ შეგიძლიანთ დაეთხოვოთ ცუდ ყოფაქცევას—იგი დიდად

მოხარული იქნება, თუ არა და—მაშინ გრაფის ასულთან  
თვითონ გამოგეტხოვებათ!

სერ ტობი—(მღერის)

მშვიდობით, გულთ, რადგან  
ჩემი წასვლის დრო დადგა!

მარია—სერ ტობი! გთხოვთ!

მასხარა—თვალეში ვატყობ, მალე სიკვდილი მოიკითხავს!

მალვოლიო—გაგონილა ასეთი სისაძაგლე?

სერ ტობი—მაგრამ მე არასოდეს მოგკვდები!

მასხარა—სერ ტობი, აქ კი თქვენ სტყუით!

მალვოლიო—ეს მეტად დიდი ქება არის თქვენდამი!

სერ ტობი—ვუბრძანო—წავიდეს?

მასხარა—და მერე რა, თუ ასე მოიქცევი?

სერ ტობი—ვუბრძანო წავიდეს და არ შევიწყალო?

მასხარა—ო, არა, არა, არა, არა თქვენ ამას ვერ გაბედავთ!

სერ ტობი—„დროს არ სცემ პატივსო“? სტყუი, ბატონო!

თავი უფრო მეტი გგონია, ვიდრე სასახლის მსახური?  
იქნებ ფიქრობ, რომ რაკი შენ მარხული ბრძანდები,  
ქვეყანაზე ღვინო და ქადა უნდა მოისპოს?

მასხარა—ფეიცავ წმინდა ანნას, რომ ეს არ მოხდება! მაშინ  
ხომ ძველებურად ჰაღის წვენით გამოგვითუთქავდნენ  
პირსა!

სერ ტობი—ოღონდაც!.. აიფხიკე აქედან, წადი და ისევ  
სალაქოში იმამლაყინწე! აბა, მარია, კიდევ ერთი მათა-  
რა ღვინო.

მალვოლიო—ქალბატონო მერი! გრაფის ასულის მოწყალე-  
ბას პატივს რომ სცემდე, ამ სისაძაგლეს თვითონაც  
ხელს არ შეუწყობდი. ამ მარჯვენას ვფეიცავ, რომ მე  
მას ყველაფერს ამ წუთშივე შევატყობინებ! (გადის)

მარია—გასწი!.. აბარტყუნე ყურები.

სერ ენდრუ—მოდე ორთაბრძოლაში გამოვიწვიოთ და რა-  
კი არ გამოგვეყვება, ამით ერთი კარგად გავასულელოთ!  
ეს ხომ ისეთივე კარგი სეირი იქნება, როგორც მოწყუ-  
რებულზე—ღვინის სმა!

სერ ტობი—მოუწყე, ძვირფასო, ეგ ოინა! მე შენ დაგიწერ



გამოწვევას, ან, თუ გინდა, ვუამბობ, თუ როგორც უნდა  
რისხებული ხარ მასზე!

მარია—ტკბილო სერ ტობი! ოღონდ ამაღამ წყნარად იყავით! მას შემდეგ, რაც დღეს ჰერცოგის ახალგაზრდა მოციქული მეორედ ეწვია, გრაფის ასულს მოსვენება აღარა აქვს; მალეოლიოს კი თვითონ გაუფსწორდები: თუ ეგ ქვეყნის სასაცილო არ გავხადე, მაშინ ნება გაქვთ იფიქროთ, რომ ლოგინში გამართულად წოლა არ შემძლება; ვიცი რომ შეეძლებ!

სერ ტობი—მამ გვიამბე რამე მის შესახებ, შეგვიყოლიე!

მარია—ხანდისხან მგონია, რომ იგი პურიტანელის ჯილაგისაა!

სერ ენდრუ—ეს რომ მცოდნოდა, აქვე ძალღვივით მივახრჩობდი!

სერ ტობი—როგორ! პურიტანელობისათვის? მერე და განა ეს საკმაო საბაბია წახრჩობისათვის, ძვირფასო რაინდო?

სერ ენდრუ—ჩემი საბაბი იქნებ საკმაო არ არის, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგია!

მარია—ჯანდაბას მისი თავი! პურიტანელი კი არა, თუნდაც ეშმაკი იყოს, მაგრამ ის მაინც დიდი მედროვეა და საითაც ქარი დაჰბერს—იქით იხრება. იგი საზედარია, რომელსაც მაღალფარდოვანი სიტყვები უსწავლია და მათ ტლინკებივით ისერის გარშემო. უზომოდ კმაყოფილია თავისი თავით და სჯერა, რომ აღსავსეა სრულყოფილობით; სწამს, რომ ვინც კი შეხედავს, უეჭველად შეიყვარებს. ეს მისი ნაკლი ხელს შემოიწყოფს შურისძიებაში.

სერ ტობი—მაინც რა ოინს უპირებ შურის საძიებლად?

მარია—მე მას ბუნდოვან სატრფიალო წერილს მივუგდებ, რომელშიც ავწერ მისი თმების ფერს და სახის ნაკვთებს, იმის შუბლს, თვალებს, მის მიმოხვრას და ფეხების მოყვანილობას. ამაში იგი უეჭველად თავის თავს იცნობს. მე შემოძლიან სწორედ ისეთი ხელით დავწერო, რომ მივამსგავსო ოლივიას ნამდვილ ხელწერას: როცა ვნახუ-





ლობ რომელიმე მის ძველ ხელნაწერს, მე ჩემს დაწვეულ რილს მის ხელისაგან ვერ ვარჩევ ხოლმე.

სერ ტობი—სწორედ უბაღლო საქმე არის! მე ყნოსვითა ვგრძნობ ხუმრობის ძალას.

სერ ენდრუ—მეც პირდაპირ ცხვირში გამკრა!

სერ ტობი—მალვოლიო იფიქრებს, რომ წერილი ჩემი ძმისწულისაა და ეგონება—გრაფის ასულს თავდავიწყებით ვყვარებივარო!

მარია—ღიახ, ვფიქრობ, რომ ფონს გავიდე ამ ბედაურით.

სერ ენდრუ—ეგ ბედაური მალვოლიოს სახედრად აქცევს!

მარია—ნამდვილ სახედრად!

სერ ენდრუ—და ეს იქნება ჩინებული!

მარია—ეს მოხდენილი რამ გამოვა, ო, დამიჯერეთ, ჩემი წამალი გასჭრის მასზე, მე კარგად ვიცი. მე თქვენ ორივეს დაგაყენებთ იქ, ახლო-მახლოს, სადაც მან უნდა იპოვოს ის ჩემი წერილი. დაე, მასხარაც თქვენთან იყოს! თვალი ადევნეთ, თუ როგორ ახსნის ნაპოვნ წერილს და რას დაასკვნის! მაგრამ დღეისათვის ეს ვიკმაროთ... დამე მშვიდობის! გისურვებთ ძილში დაგესიზმროთ ჩვენი ხუმრობა. მშვიდობით! (გადის)

სერ ტობი—მშვიდობით, ამორძალო!

სერ ენდრუ—ჩემის აზრით, მშვენიერი ქალია!

სერ ტობი—საუცხოოდ არის გაწრთვნილი და თან ყნოსვაც მეტად კარგი აქვს: მე ვუყვარვარ გაღმერთებით, ისე რომ ჩემგან საყვედური სულაც არ ეთქმის!

სერ ენდრუ—ახ, ერთ დროს მეც მალმერთებდნენ!

სერ ტობი—ახლა წავიდეთ, დავიძინოთ, სერ! ცუდი არ იქნებოდა, რომ შენთვის ფული კიდევ გამოეგზავნათ!

სერ ენდრუ—თუ შენი ძმისწულის შერთვის იმედი ჩამეფუშა, მაშინ კარგად გაფცქვნილი ჩერჩეტი აღმოგჩნდება!

სერ ტობი—ოღონდ ფული გამოგიგზავნონ და თუ ჩემი ძმისწული არ შეგרתო, მაშინ ჯაგლაგი ცხენი მიწოდე-

სერ ენდრუ—უსინდისო ვიყო, თუ ასე არ მოვიქცე! როგორც გსურდეს—ისე გაიგე!



სერტობი—წამო, წავიდეთ. მე ხერესულ ღვინოს შევებობ და ლაზათიანად შევავოლოთ; ძილისათვის მაინც გვიან-  
ლაა, წავიდეთ მეთქი, მეგობარო, წავიდეთ!

(გადიან)

სურათი IV

ოთახი ჰერცოგის სასახლეში.

(შემოდინა ჰერცოგი, ვიოლა, კურიო და სხვანი)

ჰერცოგი—მომასმენინეთ კვლავ მუსიკა! სალამი თქვენდა! ჩემო კეთილო ცეზარიო! ნუ დაიზარებ და გამაგონე ის უბრალო, ძველი სიმღერა, გუშინ საღამოს რომ გვესმოდა... მისმა ჰანგებმა თითქოს გულიდან გადმიყარა სევდა-ნალღელი! ის უფრო ტკბილი, ახალი და აღმტაცი არის, ვიდრე სიტყვები იმ ბრჭყვიალა სიმღერებისა, ყურს რომ უღლიან ამ ღღეგანდელ ჭრელ საუკუნეს! გვიმღერე კიდევ, მხოლოდ ერთი ჰანგი გვიმღერე!

კურიო—გთხოვთ მოგვიტეოთ, მბრძანებელო! ის, ვინც მღეროდა იმ ჰანგებსა, ღღეს აქ არ არის!

ჰერცოგი—

ვინ იყო იგი?

კურიო—იგი მასხარა ფესტი გახლდათ, მასხარა ფესტი, ვინც თავის დროზე ოლივიას მამას ატკობდა თავის მომხიბლავ სიმღერებით. ახლა ის, ალბათ, აქვე სადმე მახლობლად არის.

ჰერცოგი—

მოძებნეთ იგი,

მოიყვანეთ და დაუკარით ის ტკბილი ჰანგი!

(კურიო გადის. მუსიკა უკრავს)

მოდო, ჰაბუკო! როცა ვინმე შენც შეგიყვარდეს, მომიგონებდე, ტრფიალებით ცეცხლმოდებული! ყველა, ჩემებრივ ჭეშმარიტად ვისაც კი უყვარს, ცვალებადია, ჟინიანი და უცნაური! მათში უცვლელი მხოლოდ ერთი—სატრფოს სახეა,

ის. ერთადერთი, რომელიც ჩვენ გულწრფელად  
გვიყვარს!

რას იტყვი, მოგწონს შენ ეს ჰანგი?

ვიოლა— მშვენიერია!

ტკბილ ექოსავით ისმის იგი იმ სასახლეში,  
სადაც ტახტზე ზის სიყვარული!

ჰერცოგი— შენ უდიდესი ხელოვნებითა ლაპარაკობ!  
სიცოცხლეს ვფიცავ, რომ თუმცა ჯერ ახალგაზრდა  
ხარ,

მაგრამ შენ მაინც გიძებნია სატრფოს თვალეში  
პასუხი შენის სიყვარულის! არა, ბიჭუნავ?

ვიოლა— დიახ, ერთგვარად მართალია, ჩემო ხელმწიფევ!

ჰერცოგი— როგორი არის შენი ტრფიალების საგანი?

ვიოლა— იგი თქვენა გვავთ სახის ფერით.

ჰერცოგი— მაშ თუ ასეა,  
შენი საფერო არ ყოფილა!.. ახალგაზრდაა?

ვიოლა— დაახლოვებით თქვენი ხნისა!

ჰერცოგი— ხნიერი არი!

ქალმა ქმრად უნდა აირჩიოს თვისზე წლოვანი,  
რადგან მით უფრო მეტ სიყვარულს მოიხვეჭს იგი  
და წონასწორად დაიმკვიდრებს მეუღლის გულსა!  
თუმცა თავს ვიქებთ, ჭაბუკო, ჩვენ, მამაკაცები,  
მაგრამ ჩვენ უფრო ცვალებადი ხასიათი გვაქვს:  
უფრო ხანმოკლე ერთგულების პატრონები ვართ,  
ვიდრე ქალების სიყვარული და შეჩვევა!

ვიოლა— მეც სწორედ მაგავ აზრისა ვარ, ჩემო ხელმწიფევ!

ჰერცოგი— თუ ახალგაზრდას არ ისატრფოვებ,  
ხანგრძლივ სიყვარულს სხვაგან სად ჰპოვებ?  
ქალი ვარდასა ჰგავს,  
იგი ბაღს ჰქარგავს,  
მაგრამ რა სრულად გაიფურჩქნება,  
ისევ უმაღლე დაიფურცლება!

(შემოდის კურიო. თან მოჰყავს მასხარა)

აბა, დაიწყე, მეგობარო, შენ ის სიმღერა,  
გუშინ საღამოს ისე ტკბილად რომ მოგვასმინე!

ყური დაუგდე, ცეზარიო! ძველი ჰანგია!  
როცა მინდორში ყანას მკიან შინაბერები,  
ან გოგონები როცა ჰქსოვენ ყაისნალითა,  
მაშინ მღერიან იმ სიმღერას. ის გულწრფელია  
და თრთის პირველი სიყვარულის უმანკოებით,  
როგორც წარსული.

მასხარა— მზად ბრძანდებით, ბატონო ჩემო?  
ჰერცოგი—ღიახ, ღიახ, გთხოვთ, რომ იმღერო!  
(მუსიკა)

მასხარა—მოდი, მოფრინდი სიკვდილის ლანდო,  
რომ კვიპაოსის კუბოში ჩამღონ!  
გაფრინდი სუნთქვავ, გაფრინდი სუნთქვავ,  
მე მომკლა უღვთოდ ლამაზმა გულქვამს!  
ამკვარ სიკვდილის ხედრი, მზარავი,  
ჯერ არ რგებია ქვეყნად არავის!  
თეთრი სუდარა ურთხელის რტოთა  
მწვანით მომირთვთ საგანგებოთა!  
მაგრაჰ ყვავილებს, ტკბილსურნელოვანს,  
ზედ ნუ დამაყრით, ნუ იწყებთ გლოვას,  
ნურც მეგობარი, ნურც მეგობარი  
მომესალმება, კუბოსთან მდგარი,  
რომ სადაც ჩემს ძვლებს ჩაჰყრიან ოხრად,  
ათას მეგობრის გადარჩეს ოხვრა!  
ო, დამმარხეთ იქ, სადაც ჩემს საფლავს  
შეყვარებული ღერასდროს ნახავს,  
რომ იქ დაეშხოს და აქვითინდეს!

ჰერცოგი—აჰა, გაწეულ შრომისათვის ეს ჩემი ჯილდო!  
(აძლევს ქისას)

მასხარა—რა შრომა არის, ხელმწიფეო, მაშინ, როდესაც  
ჩემი სიმღერა თვითონვე მგერის სიამოვნებას!

ჰერცოგი—მაშინ მიიღე ჯილდოდ სიამოვნებისათვის.

მასხარა—ეს კი სწორია: ჩვენ ხომ სიამოვნებისათვის, აღრე  
თუ გვიან, საზღაური მაინც უნდა გადავიხადოთ!

ჰერცოგი—ნება მომეცი დაგითხოვო!

მასხარა—დაე, გფარვიდეს მელანქოლიის ღმერთი, დაე,  
შენმა თერძმა ფერცვალებადი ღიბისაგან შეგიკეროს

ქათიბი, რადგან შენი გონება ცის დანაკივით ბუნდოვანია. შენსავით მტკიცე ადამიანები ზღვაში უნდა გაგზავნონ, რომ იქ მათ ყველაფერი აკეთონ და მათი განზრახვა ყველგან სწვდებოდეს, რადგან ეს არის ის, რასაც ყოველთვის იწვევს უსაქმურობა... მშვიდობით!  
(გადის)

ჰერცოგი—მარტო დაგვტოვეთ. (კურიო და მსახურნი გადიან)  
ცეზარიო, კვლავ წადი ერთხელ

იმ უღმობელთან, ნახე იგი და აუხსენი,  
რომ ქვეყანაზე ჩემი ტრფობა მაღლა სდგას ისე,  
როგორც თვით ზეცა მაღალია დედამიწაზე!  
ვიცი, მას ბედის ის სიმდიდრე არაფრად უღირს,  
რაც დაირღვევა და შლამიან მიწად იქცევა!  
და თან დასძინე, რომ თვითონაც არარაობად  
ვსთვლი ყველა ამას, მაგრამ თვით ის—დედოფალია  
ბედისგან უხვად მინიჭებულ თვალმარგალიტთა,  
და სწორედ ამით იზიდავს ის ჩემს სულსა და გულს!

ვიოლა—მაგრამ, თუ მაინც მას არ შესწევს იმის უნარი,  
რომ შეგიყვაროთ?

ჰერცოგი— ასეთ პასუხს მე არ ვლებულობ!

ვიოლა—მაგრამ თქვენ უნდა მიიღოთ ის! აბა დაფიქრდით:  
ვსთქვათ—თქვენ უყვარხართ რომელიმე უცხო

ქალბატონს,  
ვინც უნდა იყოს ის, და მას გული უკვნესის თქვენთვის  
ისეთი დიდი სიყვარულით, ვით თქვენი გული  
გამსჭვალულია ოლივიას სიყვარულითა!  
თქვენ კი—იმისი სიყვარული არ შეგიძლიანთ.  
თქვენ ეუზნებით ამას, განა თქვენი პასუხი  
არ უნდა მიიღოს?

ჰერცოგი—დედაკაცის გულს არასოდეს არ შეუძლიან  
გადაიტანოს სიყვარულის ის ქარიშხალი,  
რაც დღეს ბობოქრობს ამ ჩემს გულში... მეტად მცირეა  
იმათი სული ამდენ ლელვის დასატევად!  
ცვალებადია მათი ტრფობაც და, მათს სიყვარულს,

მხოლოდ სურვილი შეიძლება რომ დავუძახოთ იგი სისხლში აქვთ მათ გამჯდარი და არასულში. და რა პირველად იგემებენ მის სიტკბოებას, მალე სიმაძღრე მობეზრებით გულსაც კი ურევთ! ჩემი გული კი—აღტყინებულ მშიერ ზღვასა ჰგავს,— ის სიყვარულით ვერ გაძლება! ო, ნუ შეადრი ჩემს—ოლივიას სიყვარულთან—იმ ტრფიალებას, რაც სხვა დედაკაცს შეიძლება აღეძრას ჩემთვის!

ვიოლა—რაც არ უნდა სთქვათ, მაინც ვიცი!

ჰერცოგი— რა იცი შენა?

ვიოლა—მე მეტიმეტად კარგად ვიცი, დავკვირვებდევართუ რა უსაზღვროდ შეუძლიან ქალს სიყვარული! იმათი გულიც ჩვენებრ მტკიცე და უცვლელია! ჩემი მშობლების ქალს უყვარდა ისე, როგორც მე შემეძლო თქვენა მყვარებოდით, ქალი რომ ვიყო!

ჰერცოგი—როგორ დამთავრდა ეგ ამბავი მისი გულისა?

ვიოლა—ის დაიხურა ვით ფურცელი დაუწერელი:

მას სიყვარული არასოდეს გაუმხელია, სიტყვის უთქმელად საიდუმლო გულით დაჰქონდა და, როგორც ჭია, ვარდის კვირტში მოთავსებული, ის საიდუმლო გულს უღრღნიდა და ნელინელად მისი ლოყების იერფერით იკვებებოდა! როგორც სახება, შეურყეველ მოთმინებისა, საფლავის ქვაზე იდუმალად ამოკვეთილი, ის, შეპყრობილი ყვითელ-მწვანე მელანქოლიით, იჯდა და თავის მწუხარებას ღიმილს უცქერდა. ნუთუ არ იყო სიყვარული ეს ჰემმარტი? ჩვენ, მამაკაცებს, რა თქმა უნდა, იმათზე მეტად გვეადვილება ლაპარაკი, ფიცის მიცემა, მაგრამ ეს არის მხოლოდ ფუჭი სანახაობა! სწორუპოვარად მოგვაქვს თავი, როს აღთქმას ვაძლევეთ, სიყვარულში კი—მეტიმეტად არარანი ვართ!

ჰერცოგი—იმ სიყვარულმა, ჩემო ბიჭუნავ, მოკლა შენი და?

ვიოლა—მე წარმოვადგენ მამაჩემის ოჯახს მთლიანად: იმის ქალებსაც და ვაჟებსაც და... მე არ ვიცი...



მაგრამ ხომ დროა, რომ წავიდე გრაფის ასულთან?  
 ჰერცოგი—ჰო, აი, თურმე რა ყოფილა! წადი საჩქაროდ!  
 მიეცი ჩემგან ეს სამკაული და კვლავ უთხარ,  
 რომ ჩემს სიყვარულს აღარ ძალუძს დამემორჩილოს,  
 ან აიტანოს უარყოფა ოლივიასგან!

(გადიან)

სურათი V  
 ოლივიას ბაღი.

(შემოდინან სერ ტობი, სერ ენდრუ და ფაბიანო)

სერ ტობი—მოდის, მოდის, აქეთ მოდის. ბატონო ფაბიანო!  
 ფაბიანო—მოვალ და ეგრე? მელანქოლიასთან ერთად სიკვ-  
 დილამდე მხარშონ, თუ ამ ხუმრობის თუნდ ნამცეცი  
 გამომეპაროს.

სერ ტობი—ხომ გაგებარდება, რომ ის გაიძვერა თავითფე-  
 ხამდე გაითათხოს?

ფაბიანო—სიხარულით ცას დავეწევი! იცი თუ არა, რომ  
 ერთხელ დათვებზე ნადირობის დროს, მან მე გრაფის  
 ასულის მოწყალება დამაკარგვინა?

სერ ტობი—მაგითი გამოჯავრებულთ ახლა მივუსიოთ მას  
 დათვი და შიშისაგან არც ერთი ცოცხალი ბუწუწი  
 აღარ შევარჩინოთ! ასე არ იქნება. სერ ენდრუ?

სერ ენდრუ—სირცხვილიც იქნება ჩვენი ცხოვრებისათვის,  
 ასე რომ არ ვქნათ. (შემოდის მარია)

სერ ტობი—აი, ჩვენი პატარა გაიძვერაც მოვიდა! რას  
 იტყვი, ჩემო ინდუროო ჭინქარო?

მარია—თქვენ, სამივენი, ამ დაბურულ ჩირგვს მოეფარეთ,  
 მალეოლიო მოდის აქეთკენ. ის მთელ ნახევარსაათს იდგა  
 მზეზე და საკუთარ ჩრდილს თავს აწონებდა! თვალი  
 აღევნეთ დაკვირვებით: ვიცი ეს წერილი მას მობრძენო  
 ჩერჩეტად გადააქცევს; ჩუმად იყავით, გაუციებთ ყოვე-  
 ლივეს, რაც კი სახუმაროა! შენ აქ იდევი (წერილს და-  
 აგდებს). აქეთ მოცურავს ორაგული, რომელიც უნდა  
 დავიჭიროთ! (გადის. შემოდის მალეოლიო)

მალვოლიო—აშკარად მელის ბედნიერება, ყოველმხრივი ბედნიერება! ერთხელ აკი მარიასაც წამოსცდა, რომ გრამ ფის ასულს მოსწონხარო. ჩემი ყურითაც გავიგონე: მან გადაკვრიოთ, მაგრამ საკმაოდ გარკვევით, მითხრა, რომ, თუ ოდესმე შემიყვარდება ვინმე, უეჭველად შენი იერისა უნდა იყოსო! ეგეც არ იყოს—იგი მე განსაკუთრებული პატივისცემით მეპყრობა, ვიდრე დანარჩენ მსახურთ. რა უნდა დავასკვნა აქედან?

სერტობი—აი გაბრიყვებული არამზადა!

ფაბიანო—ჩუმი! ქეჟას ძალას ატანს და პირდაპირ იშვი-ათ ინდოურად იქცევა. შეხე, რა რიგ იფხორება!

სერენდრუ—ღმერთმანი, ლაზათიანად მივბეგვავდი მაგ გაიძვერას!

სერტობი—ჩუმი! მეთქი!

მალვოლიო—ერთიც ვნახოთ, მალვოლიო, და გრაფი გახდი!

სერტობი—ახ, არამზადავ!

სერენდრუ—მოდო და აქვე ნუ გააგორებ ამ არამზადას!

მალვოლიო—განა მსგავსი მაგალითები არ ყოფილა? გამიგონა, ქალბატონი სტრეჩი ცოლად გაჰყოლია ქალთა ტანსაკმეღით მოვაჭრესო!

სერტობი—ფუი, მაგ ბელზბელს!

ფაბიანო—ჩუმი! იყავით! ესლა მთლად ოცნებებში ჩაყურყუქალავდა! შეხეთ, როგორ ასულელებს საკუთარივე ოცნება!

მალვოლიო—გავიდა სამი თვე ჩვენი ქორწინების შემდეგ და მე ვზივარ ჩინებულ სავარძელში!

სერტობი—შურდული უნდა მქონდეს, რომ ქვა მეთხლიშნა!

მალვოლიო—ვზივარ ყვაფილებიანი ხავერდის ხალათით, ახლად ამდგარი საწოლიდან, სადაც მძანარე ოლივია დავტოვე და მოეუხმობ მოხელეთ.

სერტობი—ელვა და მეხი, შე გაიძვერავ!

ფაბიანო—ჩუმი! ჩუმი!

მალვოლიო—შემდეგ მომივლის ბატონკაცურა ჟანი, გოროზად გადავხედავ მათ და ვეუბნები: „მე ვიცი ჩემი ადგი-



ლი, თქვენც უნდა იცოდეთ თქვენი ადგილი!" და ბოლოს ვეკითხები ჩემი ნათესავის ტობის ამბავს.

სერ ტობი—კრულვა და ჯოჯოხეთი, შე არამზადავ!

ფაბიანო—ჩუმი მეთქი, ყური დაუგდეთ!

მალვოლიო—ჩემი შვიდი მსახური მონური მორჩილებით გარბის მის მოაყვანად. ამასობაში მე შუბლს ვიჭმუნხნი და ან საათის მომართვას ვიწყებ, ან ძვირფას ბეჭედს ვათამაშებ თითზე. სერ ტობი შემოდის, მოწიწებით მომესალმება...

სერ ტობი—ნუთუ ცოცხალი უნდა გაუშვა ეს გარეწარი?

ფაბიანო—ცხენებითაც რომ დაგვჭირდეს ამოზიდვა ჩვენი სიჩუმისა, მაინც სიჩუმე!

მალვოლიო—მე ასე ვუწვდი ხელს და მოწყალე ღიმილს ვცვლი უკმაყოფილო მკაცრი ღიმილით.

სერ ტობი—და მაშინ ტობი არ გაგაწნავს მაგ ტუჩებზე?

მალვოლიო—და ვეუბნები: ბიძაშვილო ტობი! ის გარემოება, რომ ბედმა იწება ჩემი მეუღლემა თქვენს ძმისწულთან, უფლებას მაძლევს ამგვარად გელაპარაკოთ!

სერ ტობი—რაო, რაო?..

მალვოლიო—თქვენ თავი უნდა დაანებოთ ლოთობას!

სერ ტობი—დაიკარგე, შე ქეციანო!

ფაბიანო—მოითმინე, გეთაყვა, თორემ ჩაშლი მთელს ხუმრობას.

მალვოლიო—ამას გარდა, თქვენ ძვირფას დროს ჰკარგავთ ვალაც სალახანა აზნაურთან მეგობრობაში!

სერ ენდრუ—ეს კი, გარწმუნებთ, რომ მე ვარ!

მალვოლიო—ვალაც სერ ენდრუსთან!

სერ ენდრუ—კარგად ვიცოდა, რომ მე ვიყავი, რადგან ბევრი სწორედ ასე სალახანას მიწოდებებს.

მალვოლიო—ეს რა არი? (იღებს წერილს)

ფაბიანო—აი, ეხლა კი ტყის ქათამი მახეს მიუახლოვდა!

სერ ტობი—ჩუმი! ხუმრობის ღმერთსა ვთხოვ ჩააგონოს, რომ ხმამაღლა წაიკითხოს ეკ წერილი.

მალვოლიო—სიცოცხლეს ვფიცავ, რომ ეს გრაფის ასულის ხელი არის... სწორედ მისია! ასოები ასე გამოჰყავს!



„სან“-იც მისია, „უნი“-ც, „არ“-იც, ასომთავრული  
 „პარსაც“ ასე სწერს... ეჭვს გარეშეა. მისი ხელია.

სერენდრუ—„სანიც“ მისია, „უნიც“ და „ტარიც“!..

მალვოლიო—(კითხულობს) „უცნობ საყვარელს მიერთვას ეს და ჩემი კეთილი სურვილები“... სწორედ მისი სიტყვებია! მოიცა, ბეჭედიც მისია!.. „ლუკრეცია“, რომელსაც იგი ხშირად ახსენებს... ეს გრაფის ასულია!.. მაგრამ ნეტავი ვის უგზავნის?

ფაბიანო--უკვე ჩაეფლო სულხორციანად!

მალვოლიო—(კითხულობს)

„თვით მაღალმა ზევსმა იცის,  
 რომ მე მიყვარს, მაგრამ ვინ?  
 ბაგე ჩემი სდუმს, რომ იგი  
 არ შემიტყოს არავინ!“

შემდეგ? ისევ ლექსი: „არ შემიტყოს არავინ.“ ნეტავი  
 შენ იყო, მალვოლიო!

სერტობი—პირველსავე ტოტზე ჩამოსახრჩობი ხარ, შე  
 მაჩვო, შენა!

მალვოლიო—(განაგრძობს კითხვას)

„მე შემოდლიან ვუბრძანო იმას,  
 ვისაც ვწირავ წრფელ სიყვარულსა,  
 მაგრამ სიჩუმე, ვითა ლუკრეციას  
 დანა, უსისხლოდ მიკოდავს გულსა!

მ. თ. ა. ი.

ჩენი სიცოცხლის მეუფეე!“

ფაბიანო—აი, გამოცანაც სწორედ ეს არი!

სერტობი—ხომ გეუბნებოდით: დიდი კუდრაჭა გოგოა  
 მეთქი!

მალვოლიო—„მ. თ. ა. ი.“ ჯერ ვნახოთ, ვნახოთ, ვნახოთ!

ფაბიანო—რა მშვენიერი საწამლავის კერძი შეუმზადებია  
 მარიას!

სერტობი—აკი ხარბ მიმინოსავით ეძგერა ესეკ!

მალვოლიო—ეს ცხადია, მას შეუძლიახ მე მიბრძანოს: მე  
 მსახური ვარ, იგი ჩემი ქალბატონია, ეს ნათელია  
 ყველა ჭკვათამყოფელისათვის; ეს თავსატეხ ამო-  
 ცანას არ შეადგენს, მაგრამ ბოლოს რას უნდა ნიშნავ-

დეს ეს ასოების უცნაური შერჩევა? მე რომ შემეძლოს  
რამენარჩად შევიფარდო ისინი: მოიცა! მ. ო. ა. ი.

სერ ტობი—აბა ეცადე, კვალს მიაგენი!  
ფაბიანო—მწვეარმა დაიწკმუტუნა, თითქოს მიაგნო მელიის  
კვალსა!

მალვოლიო—„მ“—მალვოლიოა! ჩემი სახელი ხომ „მან“-ით  
იწყება!

ფაბიანო—ხომ გითხარით, კვალს იპოვის შეთქი, საოცარი  
ყნოსვა აქვს მეძებრისა.

მალვოლიო—„მ“ კი, მაგრამ შემდეგი ასო რომ აღარ უდ-  
გება ამ ჩემს „მან“-სა! შემდეგ უნდა მოსდევდეს „ა“—  
„ანი“, აქ კი „ო“—„ონი“ ზის.

ფაბიანო ვიმედოვნებ, რომ სწორედ მაგ „ო“-თი გათავ-  
დება ყ ელაფერი.

სერ ტობი—სწორედ ასე თუ არ მოხდა, იმდენს ვურტყამ,  
რომ სულ „ო, ო“-ს იძახდეს!

მალვოლიო—შემდგ მოსდევს „ა“ და ბოლოში „ი“ უზის.

ფაბიანო—შენ რომ უკანიდან ერთი თვალი მაინც გქონდეს,  
დაინახავდი უფრო მეტს შერცხვენას შენს უკან, ვიდრე  
ბედნიე-ებას შენს წინ!

მალვოლიო—„მ. ო. ა. ი.“—ეს ქარაგმა უკვე ისეთი ნა-  
თელი არ არის, როგორც პირველი, მაგრამ მაინც, თუ  
თავს ძალას დავატან, ესეც ჩემზეა ზედკაოჭრილი, რად-  
გან ყველა ეს ასო მოიპოვება ჩემს სახელში. მაგრამ შემ-  
დეგ კი პროზა იწყება. (კითხულობს)

„თუ ეს წერილი ხელთ ჩაგივარდეს, ასწონ-დას-  
წონე! ჩემს ბადის ვარსკვლავს შენზე მალლა დაეუ-  
ყენებივარ, მაგრამ დიდებას არ შეუშინდე: ერთნი  
იბადებიან დიდებულნი, მეორენი—მას მოიპოვე-  
ბენ. ხოლო ზოგიერთს თავს ახვევენ ამ დიდებასა!  
ბედი ხელს გიწვდის: სულითხორციან ჩასქიდე ხე-  
ლი შენს ბედნიერებას, ხოლო იმისათვის, რომ შე-  
ეჩვიო მას, რად გარდაქმნის იმედიცა გაქვს, უარ-  
ჰყავ შენი მოკრძალება და მოგვევლინე განახლე-  
ბულად: ტლანქად მოეპყარ ჩემს ნათესავს, მსახურ-

თა მიმართ გახდი მკაცრი და უხეშიც. დაე შენი ბაგიდან ისმოდეს მხოლოდ მსჯელობა დიდსახელმწიფო საქმეებზე. არ მოგერიდოს უცნაურად მოქცევისა. ამას გირჩევს ის, ვინც შენთვის ოხრავს. გაიხსენე ვის მოსწონდა შენი ყვითელი წინდები და ვის ჰსურდა ენახე მუდამ ჯვარედინად შენასკვლულ წვივსაკრავებში, გეზნები—გაიხსენე მეთქი! თამამად! ბედნიერება შენს ხელთაა, თუ მოისურვებ; თუ არა—დარჩი მუდამ კარის ნსახურად, ლაქიების ამხანაგად და ბედის უღირსად! მშვიდობით! ის, ვისაც ჰსურდა გაეზიარებინა შენთვის თავისი წოდება. ბედნიერი—უბედური“.

მზის შუქზე უფრო ნათელია! აშკარა არის! მე შევიქმნები ამაყი, ვიკითხავ წიგნებს, რომლებშიც დიდსახელმწიფო საქმეებზე სწერია რამე, ჩამოვიბერტყავ მსახურთა დაბალ ნაცნობობის მტვერს, დაეიწყებ კობტაობას და ვიქნები ისეთი, როგორც ამიერიდან შემფერის. ეხლა თავს აღარ ვიტყუებ. ოცნებას ჩემთან საქმე აღარა აქვს. ამ დღეებში მან შეაქო ჩემი ყვითელი წინდები, აღტაცებული იყო ჩემი წვივსაკრავებით. აქ იგი სიყვარულში გამოძიბუდა და ნაზი ქარაგმით მავალებს ჩავიცვა მისი გემოვნებით! გმადლობ, ჩემო ბედის ვარსკვლავო, ბედნიერი ვარ! მე გავხდები უცნაური, ამაყი, ყვითელ წინდებს ჩავიცვამ და წვივსაკრავებს ჯვარედინად გამოვინასკვავ... კურთხეულ იყოს ზევსი და მასთან ჩემი ვარსკვლაველი!... აი კიდევ მინაწერი:

„შენ არ შეგიძლიან არ მიხედვე, ვინცა ვარ! თუ ჩემს სიყვარულს უპასუხებ სიყვარულითვე, დე ამის ნიშნად მუდამ შენი ღიმილი იყოს! როგორ გიხდება გაღიმიება. გთხოვ, როცა ჩემთან ხარ, მუდამ იღიმიებოდე“.

გმადლობ შენ, ზევსო! მე გავიღიმებ! მე გავაკეთებ ყოველივეს, რასაც მოითხოვ! (გადის)

ფ ა ბ ი ა ნ ო — ჩემთვის სპარსეთის შაჰის ათასი წლის შემოსავალიც რომ მოეცათ—არ დავეუთმობდი ამ ოინში ჩემს მონაწილეობას.

სერ ტობი—ამ მშვენიერი ხუმრობისათვის მე მზად ვარ ცო-  
ლად შევირთო ის ცელქი გოგო!

სერ ენდრუ—მეც შევირთავდი!

სერ ტობი—მზითვად არაფერს მოვითხოვდი, გარდა, ერთი  
კიდევ ასეთი ხუმრობისა!

სერ ენდრუ—არც მე მოვითხოვდი!

ფაბიანო—აი, ჩვენი კეთილშობილი ოინბაზიცი, რომელიც  
ცარიელ გოგრასაც კი ასულელებს. (შემოდის მარია)

სერ ტობი—ინებებ შენი ფეხის ჩემს კისერზე შედგმას?

სერ ენდრუ—თუ გინდა ჩემს კისერზე შედგი!

სერ ტობი—ან მიბრძანე, რომ ნარდში წავავაგო შენთან ჩემი  
თავისუფლება და შენს მონად გავხდე!

სერ ენდრუ—თუ გნებავთ მე.

სერ ტობი—შენ ისეთ ბურანში გაახვიე, რომ როცა მისი  
მოჩვენებანი გაქრებიან, იგი ჭკუიდან შეიშლება.

მარია—არა, მაგრამ სიმართლე სთქვით, იმოქმედა კი მასზე  
ამ ხუმრობამ?

სერ ტობი—როგორც არაყმა—დედაბერზე!

მარია—მაშ თუ გინდათ, რომ ჩვენი ხუმრობის ნაყოფიც ნა-  
ხოთ, დაუკვირდით მის გამოჩენას ჩემს ქალბატონთან.  
იგი მოვა ყვითელ წინდებში გამოწყობილი. ოლივიას კი  
ეჯავრება ყვითელი ფერი; წვიესაკრავები ჯვარედინად  
ექნება გამონასკვული, ხოლო გრაფის ასულს ეს ეზიზ-  
დება. იგი მასთან ღიმილს არ მოიშლის—ეს კი ისე შეუ-  
საბამოა ოლივიას ნაღვლიან სულიერ მდგომარეობასთან,  
რომ მის კეთილგანწყობილებას უნდა გამოეთხოვოს. თუ  
გინდათ, რომ მოიხილოთ ეს სანახაობა, თან გამოყევით.

სერ ტობი—თვით ჯოჯოხეთის კარიბჭემდეც თან გამოგ-  
ყვები, ჭკუამახვილობის საოცარო აღქაჯო!

სერ ენდრუ—იმ ჯოჯოხეთის კარიბჭემდე მეც გამოყვები!

(გადიან)

## მოქმედება მესამე

### სურათი I

ოლივიას ბაღი.

(შემოდინ ვიოლა და მასხარა—დაირით)

ვიოლა—ღმერთი გწყალობდეთ შენცა და შენს საკრავსაც.  
მაგ დაირით ცხოვრობ?

მასხარა—დიახ, დაირით, ეკლესიასთან!

ვიოლა—როგორ? განა შენ მსახური ხარ ეკლესიისა?

მასხარა—არა, ბატონო, მე მაგას კი არ მოგახსენებთ; მე  
ვცხოვრობ ეკლესიასთან იმიტომ, რომ ვცხოვრობ ჩემს  
სახლში და ჩემი სახლი კი ეკლესიასთან მდებარეობს.

ვიოლა—მაშ თუ ასეა, შეგიძლიან შენ ისიცა სთქვა, რომ მეფე  
ცხოვრობს მათხოვართან, თუ მათხოვარი მეფის ახლოს  
ცხოვრობს; ან ეკლესია შენს დაირასთან დგას, თუ ეგ  
დაირა ეკლესიის მახლობლად დასდეს!

მასხარა—მართალსა ბრძანებთ, ბატონო ჩემო! აი რა დრო  
დაგვიდგა! ჭკვიანი ადამიანისათვის ყოველი სიტყვა  
იგივეა, რაც სამოგვეს ხელთათმანი: უმაღვე უკულმა გა-  
დააბრუნებს!

ვიოლა—შენ მართალს ამბობ: ვინც მუღმივად სიტყვას ეთა-  
მაშება, იგი რყენის სიტყვას!

მასხარა—სწორედ მაგიტომ არ მსურდა, რომ ჩემს დას სა-  
ხელი რქმეოდა.

ვიოლა—ეგ რატომ?

მასხარა—იმიტომ, ბატონო ჩემო, რომ სახელიც იგივე სიტყვაა და სიტყვასთან თამაშით მოქცევა კი გარყვნიდა ჩემს დას. დიახაც რომ სიტყვებმა ძალა დაჰკარგეს მას შემდეგ, რაც ისინი ვალდებულებამ შერყვნა!

ვიოლა—რა საფუძველზე ამბობ მაგას?

მასხარა—გთხოვთ მომიტევეთ! საფუძველს ვერ დაგისახელებთ, თუ სიტყვებს არ მივმართე, ხოლო სიტყვები კი—სიცრუის ისეთ საშინელ იარაღად გადაიქცნენ, რომ მსჯელობის დროს მეჯავრება მათი ხმარება!

ვიოლა—გარწმუნებ, რომ მხიარული ყმაწვილი სჩანხარ და ყოველივეს არაფრად აგდებ!

მასხარა—არც ასე გახლავთ, ბატონო ჩემო! არის ზოგი რამ, რასაც მე რამედ ვაგდებ. აი, თუნდაც თქვენ, სიმართლე რომ ვთქვა, არაფრად ვაგდებთ! და თუ ეს არის ჩაგდება არაფრისა, მაშინ ვისურვებდი, რომ გამეუჩინარებინეთ!

ვიოლა—შენ ქალბატონ ოლივიას მასხარა ხარ?

მასხარა—არა, ბატონო, ოლივიას სისულელე არ გააჩნია და მასხარა მანამდის არ ეყოლება, სანამ ქმარს არ გაჰყვება. მასხარა ხომ ქმრებსა ჰგავს, როგორც ქაშაყი—ჭიჭყინას, მხოლოდ ქმარი—ორივეზე უფრო მოზრდილია! არა, ბატონო, მე ოლივიას მასხარა კი არა, მისი სიტყვის დამმახინჯებელი ვარ!

ვიოლა—მე ამ დღეებში შენა გნახე ორსინოს სახლში.

მასხარა—სისულელე ხომ მზესავით უვლის ქვეყნიერებას და ყველგანა ჰფენს თავის შუქსა: საწყენი იქნებოდა, რომ სისულელე ხშირად არ მოინახულებდეს თქვენს ბატონს ისევე, როგორც ჩემს ქალბატონს. მგონი თქვენი სიბრძნე იქ მინახავს!

ვიოლა—თუ ჩემს დაცინვას აპირებ, მაშინ შენთან სალაპარაკო აღარაფერი მაქვს. აი, ეს ექვსი პენსი შენ!

(აძლევს ფულს)

მასხარა—ხევისმა გაჩუქოს წვერი, როცა ის თმებით გამდიდრდება!



ვიოლა—მართლაც და, ღმერთს გეფიცები, სწორედ მისი ვნატრობ მეცა, თუმც კი არა მსურს, რომ ის ბალანი ჩემს სახეზე ამოდოდეს! გრაფის ასული შინ ბრძანდება?

მასხარა—(ნახუქარ ფულზე ზრუნებს) რას იტყვით? ამან საწყვილო რომ იშოვოს, ხომ ნამატი გაუჩნდებოდა?

ვიოლა—ღიახ, თუ ერთად ვამოქმედებდით!

მასხარა—მაშინ მე სიამოვნებით განვასახიერებ ფრიგიელ ბატონ პინდაროსს, რომ ტროილუსისათვის კრესიდა მომეყვანა.

ვიოლა—მიგიხვდი! დიდის ხელოვნებით მათხოვრობ სწორედ!

მასხარა—არც თუ ისე დიდი ხელოვნებაა, თუ მათხოვრობით ითხოვ მათხოვარს. კრესიდაც ხომ მათხოვარი იყო! ჩემი ქალბატონი შინ ბრძანდება, ბატონო ჩემო! მე მოვახსენებ თუ საიდან ბრძანდებით, ხოლო იმას კი, თუ ვინა ხართ და ან რა გნებავთ, არ შეეცხები, ეს ჩემს სფეროს სცილდება! შემედლო მეთქვა „ჰორიზონტს“ მეთქი, მაგრამ ეს სიტყვა უკვე მეტისმეტად გაცვეთილია!

(ვადის)

ვიოლა—მართლაც საკმაოდ ჭკვიანია იმისათვისა, რომ მან მასხარა ითამაშოს! და რომ ეს შესძლოს. უნარიც უნდა ხელს უწყობდეს ადამიანსა: უნდა იცნობდეს მათს ზნეობას და გუნებასა, ვისაც დასცინის, დროს შერჩევაც უნდა იცოდეს, რომ უადგილოდ, დაუგეშავ მიმინოსავით თავს არ ესხმოდეს მის წინ ყველა გაფრენილ ბუმბულს! მართლაც როდია ეს ხელობა უფრო ადვილი, ვიდრე თვით სიბრძნის ხელოვნება, გამჭრიახობა. როცა მასხარა მოხდენილად სულელობს ხოლმე, ეს მასა ჰშვენის, ხოლო ჭკვიანთა სისულელე—მათსავე ჭ უას ყველასათვის საეჭუოდა ჰხდის!

(შემოდინ სერ ტობი ბელჩი და სერ ენდრუ)

სერ ტობი—დილა მშვიდობის!

ვიოლა—მოგესალმებით!



სერენდრუ—Dieu vous garde, monsieur!

ვიოლა—Et vous aussi; votre serviteur!

სერენდრუ—ვიმედოვნებ, რომ ასე არის! დიახ ასეა, როგორც მე ვარ მზად თქვენის სამსახურისათვის!

სერტობი—სასახლეში აპირებთ შესვლას? ჩემს ძმისწულს ჰნებავს თქვენი ნახვა, თუ თქვენც საქმე გაქვთ.

ვიოლა—დავალებული ვარ მე მისგან... მე მსურდა მეთქვა, რომ დავალებული მაქვს ვეახლო მას!

სერტობი—მაშ ფეხები აიკრიფე და მოუსვი მისკენ!

ვიოლა—ჩემს ფეხებს ჩემი უკეთესად ესმით, ბატონო, ვიდრე მე თქვენი ბრძანება, რითაც გულისხმობთ გამოვცადო ჩემი ფეხები.

სერტობი—მე ვგულისხმობ—წასვლას, შესვლას, ჩემო ბატონო!

ვიოლა—მე გიპასუხებდით წასვლით და შესვლით, მაგრამ ჩვენ ხელი შეგვიშალეს. (შემოდინ თლივია და მარია) მშვენიერებით სრულყოფილო ქალბატონო! ზეცამ გაწვიმოს კეთილსურნელება!

სერენდრუ—ეს ახალგაზრდა ჩინებული კარის კაცია!.. „გაწვიმოს კეთილსურნელება“—მშვენიერია!

ვიოლა—ჩემს საქმეს ვერავის გავუმხელ, გრაფის ასულო, გარდა თქვენი კეთილგანწყობილი და მოწყალე სმენისა!

სერენდრუ—კეთილსურნელება, კეთილგანწყობილი!.. მოწყალე!.. ამ სამივე გამოთქმას დავიზებირებ და მზად მექნება.

ოლივია—დაკეტეთ ბაღის კარები და მარტო დაგვტოვეთ რომ მოვუსმინო. (სერტობი, სერენდრუ და მარია გადიან) მომეცით ხელი, ბატონო!

ვიოლა—ჩემი მოვალეობა და უმდაბლესი სამსახური თქვენ გეკუთვნით.

ოლივია—თქვენი სახელი?

ვიოლა—თქვენს მსახურს ცეზარიო ჰქვიათ სახელად, მშვენიერო ქალბატონო!

ოლივია—თქვენს მსახურსო, ბატონო ჩემო? ქვეყნად ღლიკარ-  
გა მხიარულება მას შემდეგ, რაც აქ პირფერობას  
ზრდილობად სთვლიან: თქვენ ხომ ორსინოს მსახური  
ხართ, ყმაწვილო კაცო?

ვიოლა—ის კი—თქვენი მსახური გახლავთ! თქვენი მსახუ-  
რის მსახური კი—ვალდებულია თქვენც გამსახურობდეთ,  
მშვენიერო გრაფის ასულო!

ოლივია—მე მასზე სულაც არა ვფიქრობ, ხოლო რაც შე-  
ეხება მის ფიქრებს, მე ვისურვებდი, რომ ისინი ცარი-  
ელი იყოს, ვიდრე ჩემით აღსავსე.

ვიოლა—გრაფის ასულო! მე მოველ, რომ მის მიმართ გული  
მოგიღბოთ.

ოლივია— მე უკვე გთხოვეთ! ნუ განაგრძობთ მასზე  
ლაპარაკს,  
მაგრამ თქვენ თვითონ, ო, თქვენ თუ გაქვთ სხვა  
სათხოვარი,  
მე მას მოვისმენ უფრო მეტის გულმოდგინებით,  
ვიდრე მუსიკას ზეციურსა!

ვიოლა— ძვირფასო ქალბატონო!

ოლივია—ო, ჯერ მაცალეთ! მაშინ, როს თქვენ ჩემთან  
იყავით,

სიტყვა-პასუხით და მშვენებით ისე მომზიბლეთ,  
რომ უმალ უკან დაგადევნეთ ჩემი ბეჭედი!

ამით მე თავიცი მოვიტყუე, ჩემი მსახურიც

და, ალბათ, თქვენცა... გაუგებარ ექვში ჩაგაგდეთ,

რომ სამარცხვინო ცბიერებით თავს მოგახვეით

ნივთი, რომელიც ნამდვილად თქვენ არ გეკუთვნოდათ.

რა უნდა გეფიქრათ თქვენ ჩემზე? ჩემი ღირსება

არ გააკარით სამარცხვინო ბოძზე და მკაცრად

არ დასცინეთ მას შეუზღუდველ უღმობელოებით,

ისე, როგორც ეს შეუძლიან ტირანის გულსა?

თქვენებრ გამჭრიახ გონებისთვის—მე საკმარისად

გამოვამჟღავნე ჩემი გული, რომელსაც მკერდის

ნაცვლად ჰჟაარავს საბურავი—ნათელგამსჭვირი!

ეხლა მე მზად ვარ მოგისმინოთ!

ვიოლა—მებრალვით!

ოლივია—

ეგ ხომ სიყვარულის დასაწყისია!

ვიოლა—ოდნავაც არა! ეს უხეში საბუთი არის

მისი, რომ ხშირად თვით მტერიც კი შეგვებრალება!

ოლივია—მაშ თუ ასეა, დროა ღიმილს კვლავ დავუბრუნდე!

როგორ ადვილად ამყდება ხშირად გლახაკიც!

მაგრამ თუ ბედი მსხვერპლად გამხდის—ის მირჩევნია,  
რომ მე ლომისა წინ დავეცე, ვიდრე მგლის წინა!

(საათი რეკავს)

საათის ზარი დროს დაკარგვას მისაყვედურებს!

ნუ შიშობთ, კარგო ახალგაზრდავ, მე თქვენ არ

მსურხართ!

თუმცა ვგრძნობ, როცა დაიდუღებთ და მომწიფდებით,

თქვენი მეუღლე შესანიშნავ სამკალს მოიმეკის!

აი, თქვენი გზა, იგი მიდის დასავლეთისკენ!

ვიოლა—მაშ დასავლეთისკენ? სიკვთე და მოწყალება

ნუ მოაკლდება ნურასოდეს თქვენს ბრწყინვალებას!..

ნუთუ ჰერცოგთან სიტყვას მაინც არ დამაბარებთ?

ოლივია—შეჩერდი წუთით! მითხარ მაინც, რას ჰფიქრობ

ჩემზე?

ვიოლა—ვფიქრობ: თქვენ ჰფიქრობთ, რომ ახლა თქვენ არა

ხართ იგი,

რაც ნამდვილად ხართ!

ოლივია—მაშ იცოდე, რომ თვით შენზედაც ამასვე ვფიქრობ!

ვიოლა—თქვენ არა სცდებით: არც მე ვარ ის, რასაცა

მხედავთ!

ოლივია—მე ვინატრებდი, რომ შენ იმად ჰყოფილიყავი,

რადაც მე მსურხარ!

ვიოლა—

განა ჩემთვის ეს აჯობებდა?

მე მერჩივნა, თუ უკეთესად გარდვიქმნებოდი,

თორემ მე მხოლოდ მასხარა ვარ თქვენი ამჟამად!

ოლივია—ო, რაოდენი სილამაზე მოსჩანს ამ ზიზღში,

ამ დაცინვასა და უეცარ გაბრაზებაში,

რაიც უსიტყვოდ აღბეჭდილა ამის ბაგეზე!

შენ, სიყვარულო, უფრო ძნელად დასამალი ხარ,



ვიდრე მხილება სისხლიანი დანაშაულის!  
 თვით სიყვარულის ღამეც ნათელ შუადღესა ჰგავს!

ახ, ცეხარო! გაზაფხულის ვარდებსა ვფიცავ,  
 ვფიცავ ყველაფერს: ქალწულობას, ჭეშმარიტებას,  
 რომ შენ მიყვარხარ უძლიერეს სიყვარულითა  
 და თუმცა შენი ზვიადობა ნავალებს - ვსდუმდე,  
 მაგრამ ვერც ჰკუა და ვერც კეთილგონიერება  
 ვერ იმორჩილებს მგზნებარე გულს, —სცდები თუ ჰფიქრობ,  
 რომ უძებნელი სიყვარული ღირსი არ არის  
 თანაგრძნობის და პასუხისა! ის სიყვარული,  
 რომელსაც ეძებ —კარგი არის, მაგრამ უფრორე  
 ტკბილია იგი, რომელიც მოდის უძებნელად!

ვიოლა—უჩანკობას და სიყრმესა ვფიცავ, რომ მე მაქვს  
 გულიც, უბიწო სიყვარულიც და ერთგულებაც,  
 რაიც არც ერთ ქალს არ ეკუთვნის და ვერასოდეს  
 მისი მეუფე ვერ გახდება ვერვინ, ჩემს გარდა!  
 ასე, მშვიდობით, ქალბატონო, ამიერიდან  
 ჩემი ბატონის ცრემლებით თავს აღარ შეგაწყენთ!  
 (გადის)

ოლივია—არა, დაბრუნდი! იქნებ შესძლო მომიღბო გული  
 მის მიმართ, ვისიც ზიზღს მინერგავს დღეს სიყვარული!  
 (გადიან)

სურათი II

ოთახი ოლივიას სახლში.

(შემოდინან სერ ტობი ბელჩი, სერ ენდრუ ვგიუჩიკი და ფაბიანო)

სერ ენდრუ—არა! ვფიცავ, რომ ამის შემდეგ მე აქ ერთ  
 წუთსაც აღარ დავრჩები.

სერ ტობი—რა მიზეზით, ძვირფასო ბრაზიანო? მითხარი შე-  
 ნი მიზეზი.

ფაბიანო—უთუოდ მიზეზი უნდა გვითხრა, სერ ენდრუ!  
 სერ ენდრუ—იმიტომ, რომ ჩემი თვალით ვნახე, რომ შენი  
 ძმისწული ჰეცოვგის მსახურთან უფრო აღერსიანი იყო,  
 ვიდრე მე მომქცევია ოდესმე. მე თვითონ ვნახე ეს ბაღში.

სერტობი—მერე იმ დროს ისიც გხედავდა, ჩემო ძველო მეგობარო?

სერენდრუ—ისევე, როგორც ახლა მე თქვენა გხედავთ!

ფაბიანო—ეს აშკარა დამტკიცებაა იმისი, რომ მას თქვენ ჰყვარებიხართ!

სერენდრუ—ღმერთო მართალო! თქვენ გინდათ, რომ ვირად მაქციოთ?

ფაბიანო—მე ამას კანონიერი გზით დაგიმტკიცებთ, ჭკუა-გონებისა და მართლმსაჯულების დამოწმებით.

სერტობი—ისინი ჯერ კიდევ მაშინ იყვნენ დიდი მსაჯულნი, სანამ ნოე მეზღვაური გახდებოდა.

ფაბიანო—ის თქვენს თვალწინ კეკლუცობდა იმ ჭაბუკთან მხოლოდ იმიტომ, რომ გაელიზიანებინეთ და გაელვიძებინა თქვენი მიძინებული ვაჟაკობა, ცეცხლი აღეგზნო თქვენს გულში და თქვენს ღვიძლში—გოგირდი აებოლუზინა. თქვენ გმართებდათ უმაღვე მიჭრილიყავით იმ ჭაბუკთან და ჩაგეჩუმებინათ ისეთი მოსწრებული ხუმრობით, რომ განცვიფრებისაგან ენა ჩავარდნოდა. სწორედ ამას ელოდნენ თქვენგან, მაგრამ ასეთი ბრწყინვალე შემთხვევა ჯკვე გაუშვით ხელიდან! თქვენ ნება მიეცით დროს, წაერეცხა ამ ჩინებული შემთხვევის ორმაგი ვარაყი და გრაფის ასულის გონებაში თვითონ გასცურდით შორს, ჩრდილოეთიაკენ, სადაც ჩაოკიდებული დარჩებით, როგორც ყინულის ლოლუა ჰოლანდიელის წვერზე—მანამდის, ვიდრე წამხდარ საქმეს საქები მამაცობით, ან გაბედული სახელმწიფო საქმით აოგამოასწორებთ.

სერენდრუ—თუ ეს აუცილებელია—ისევ მამაცობას მივმართავ, რადგან სახელმწიფო საქმეები მე მძულს. ჩემის აზრით, სჯობს კაცი ბრაუნის მიძღვეარი იყოს, ვიდრე სახელმწიფო საქმეს მისდევდეს.

სერტობი—მაშ მამაცობის საძირკველზე ააგე შენი ბეჯინერება: გამოიწვიე ჰერცოგის მოციქული ორთაბრძოლაში და თერთმეტი ჭრილობა მაინც მიაყრე. ჩემი ძმისწული შეიტყობს ამას და, მერწმუნე, რომ ქვეყნიერებაზე ვერც

ერთი მაჰანკალი ქალს ისე ადვილად ვერ გაგირიგებს,  
როგორც მამაცობის სახელი!



ფ ა ბ ი ა ნ ო — სხვა გზა არ დაგრჩენიათ, სერ ენდრუ!

ს ე რ ე ნ დ რ უ — რომელი თქვენგანი დათანხმდება, რომ მას ჩემი გამოწვევა გადასცეს?

ს ე რ ტ ო ბ ი — წადი და მეომრულ კილოზე დასწერე ეგ გამოწვევა: მოკლედ და გაბედულად. ენამახვილობას ნუ აჭყეები. მთავარია მოფიქრებული და მჭერმეტყველური იყოს: ამოუთხუბნე თავი, როგორც კი ეს მელნი " მოხერხდება, ლანძღე, სანამ ფურცელი დაიტევს. ამავე დროს, ცუდი არ იქნება თუ ერთი, ექვსიოდეჯერ, "შენ"-ობითაც მოიხსენიებ. სიცრუე — ტყუილით შეაზავე და გაათათხე მთელს ფურცელზე, თუნდაც ის ფურცელი ისე დიდი იყოს, რომ ინგლისში უორის საწოლის ზეწრად გამოდგეს. გასწი და ეცადე, რომ შენს მელანში საკმაო ბალლამი აღმოჩნდეს, თუმცა ბატის ფრთით დასწერ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მაშ ასე, საქმეს შეეუდგეთ!

ს ე რ ე ნ დ რ უ — მერე სად გნახავთ?

ს ე რ ტ ო ბ ი — თვითონ გამოგიძახებთ ჩვენს Cubiculo-ში, წადი!  
(სერ ენდრუ გადის)

ფ ა ბ ი ა ნ ო — რა ძვირფასი ტიკინაა ეს კაცი თქვენთვის, სერ ტობი!

ს ე რ ტ ო ბ ი — მეც ძვირად ვუღირვარ მაგას, ყმაწვილო! რაღაც ორი ათასამდე.

ფ ა ბ ი ა ნ ო — იშვიათი წერილი კი გვექნება მისგან. მაგრამ ხომ არ გადასცემთ იმ წერილს?

ს ე რ ტ ო ბ ი — მეტსაც ვიზამ! — იმ ქაბუკს კიდეც წავაქეზებ, რომ გაჰყვეს ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, რომ მაგათ ყვეარი ხართაც ვერ მიათრევ ბრძოლის ადგილზე. მე რომ ენდრუს ამბავი ვიცი, ახლა რომ განკვეთოთ, თუ შიშისაგან ლეიძლში იმდენი სისხლი კიდევ აღმოაჩნდება, რომ რწყილმა შიგ ფრჩიილები დაისველოს, მე მზად ვარ საუზმედ გიახლოთ ის, რაც მისგან განკვეთის შემდეგ დარჩება.

ფ ა ბ ი ა ნ ო — როგორც მისი სახის გამომეტყველება გვიჩვენებს,



არც თუ მაგისი მოწინააღმდეგე ჭაბუკი მოსჩანს მძვინვარე მებრძოლთაგანი.

სერ ტობი—აი, ჭინჭრაქას ცხრა ბარტყიდან ყველაზე უმცროსი აქ მოდის.

(შემოდის მარია)

მარია—თუ გინდათ, რომ სიცილისაგან ელენთა გაგისივდეთ, მომყევით: ჩვენი გამოთაყვანებული მალვოლიო ნამდვილი კერპთაყვანისმცემელი გახდა, ნამდვილი განდგომილი! არც ერთ ქრისტიანს, რომელიც სარწმუნოების სიტკბოებაში დარწმუნებულა, აზრად არ მოუვა თაყვანი სცეს ამდენ სისულელეს. ის უკვე ყვითელ წინდებში გამოწყობილა.

სერ ტობი—და წვივსაკრავებიც ჯვარედინად გაუნასკვავს?

მარია—სწორედ, როგორც ეკლესიის მოძღვარა, რომელიც მოწაფეებს ისე საძაგლად უქადაგებს. ის ახლა დასეირნობს, როგორც ყანჩა ჭაობში. მე მკვლელივით ვუთვალთვალედი. ის ჩემს მიერ მიგდებულ წერილის თვითეულ ასოს ახორციელებს: გაიღივებს თუ არა, სახე იმდენი ნაოჭებით დაეხაზება, რამდენიც ახალ რუკაზედაც არ მოიპოვება, ორივე ინდოეთის შიგ ჩათვლით. თქვენ ამის მსგავსი ჯერ არაფერი გინახავთ! თავი ძლივს შევიკავე, რომ არაფერი დამეთხლიშა მისთვის გოგრაში. დარწმუნებული ვარ, ჩემმა ქალბატონმა რომ ჩაართყას, ის გაიღივებს და ამას დიდ წკალობად ჩასთვლის.

სერ ტობი—წამო, წაგვიყვანე, წაგვიყვანე, სადაც ის არის!  
(გადიან)

სურათი III

ქუჩა.

(შემოდინ სებასტიანო და ანტონიო)

სებასტიანო—მე ვერასოდეს გავბედავდი თქვენს შეწუხებას, მაგრამ რაკი თქვენ გსიამოვნებთ ეს მწუხება, მეტს აღარ გისაყვედურებთ.

ანტონიო—მე იქ უთქვენოდ ვერ გავძელ და ჩემმა სურ-

ვიღმა, როგორც გაღვნილი ფოლადის დეზის შემოკვრამ,  
გამომჩქარა. ნახვის სურვილმა, თუშცა ესეც საკმაო  
იყო ამ მგზავრობისთვის, მაგრამ მაინც უპირველესად  
აქ მომიყვანა ზრუნვამა და ფიქრმა იმაზე, თუ ვით შეს-  
ძლებდით გზის გაკვლევას უცხო მხარეში, რომელიც უცხო  
ადამიანს—უმეგზუროსა და უმეგობროს—ხშირად უხე-  
შად უხვდება და არა მასპინძლობს. ამ შიშმა, თქვენის  
სიყვარულით შენივთებულმა, აღმიძრა გული, რომ კვალ-  
დაკვალ დაგდევენბოდით.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ო — ჩემო კეთილო ანტონიო!

უგულწრფელესად გმადლობ, გმადლობ და კიდევ  
გმადლობ!

მხოლოდ ეს სიტყვა გამაჩნია შენს საპასუხოდ!  
ხშირად კეთილი სამსახურის გაწვევისათვის,  
ამ უმნიშვნელო საფასურით აჯილდოვებენ!  
მაგრამ საფულებეც ამ გულივით სავსე რომ მქონდეს,  
უფრო უკეთეს გასამრჯელოს მიიღებდი შენ!  
როგორ მოვიქცეთ? ქალაქში ხომ არ გავიაროთ,  
ღირსშესანიშნავ ადგილების სანახავედა?

ანტონიო—ეგ ხვალისათვის გადავდოთ; ჯერ უკეთესია  
ღამის გასათევ თავშესაფარს დაუწყუოთ ძებნა.

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ო — მე არ დავდლიღვარ, ჯერ შორს არის  
დაღამებაცა.

მაშ გთხოვ გამომყევე, რომ ქალაქში ოვალი დავატკბოთ  
ძეგლებისა და იმ ძვირფას განძთა ნახვითა,  
რაც ამ ქალაქის დიდებას და სახელს შეადგენს.

ანტონიო—არა! ხიფათი მელის მე ამ ქუჩებში გავლით:  
ერთხელ, ჰერცოგის ხომალდებთან შეტაკების დროს,  
ისეთი წყენა მივაყენე მე აქაურებს,  
რომ თუ შეიძლეს იმათ ჩემი ხელში ჩაგდება,  
თავს ვერ დავალწევ გამძვინვებულ მათს შურისგებას!

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ო — მაშ, როგორცა სჩანს, ალბათ მისი ხალხიც  
დახოცე!

ანტონიო—არა, სისხლისღვრა არ შეიცავს ჩემს  
დანაშაულს,  
თუმც იქ მომხდარი ზოგიერთი გარემოება





შეიძლებოდა გამხდარიყო მკვლელობის საგნად!  
რალა თქმა უნდა, შემდეგ საქმის გამოსწორება  
შესაძლო იყო, თუ მათ უკან დაფებრუნებლით  
წართმეულ ნივთებს და ჩვენებურ მოქალაქეთა  
დიდი ნაწილი ასეც მოიქცა—ვაქრობისათვის.  
მაგრამ მე ეს არ მოვისურვე, გაუფიქრებ  
და, ამის შემდეგ, ამ ქალაქში ხელი თუ მტაცეს,  
ცხადია, ძვირად დამისვაძენ იმ ჯიუტობას!

სებასტიანო—მაშ ნულარ ივლი ამ ქუჩებში ასე აშკარად!

ანტონიო—არც ვივლი. აი, გამომართვით ეს ჩემი ქისა!  
სჯობს დავბინავდეთ ამ ქალაქის სამხრეთ უბანში.  
სასტუმრო „სპილოს“ შენობაში ვახშამს შევუკვეთ,  
თქვენ კი შემოვლეთ ეს ქალაქი დროს მოსაკლავად  
და გაიმდიდრეთ ცოდნა ახალ დაკვირვებებით.  
მე სასტუმროში დაგიხვდებით!

სებასტიანო— ქისა რად მინდა?

ანტონიო—შემთხვევა არი: ეგებ რამე წვრილმანი ნივთი  
მოგეწონოთ და მოისურვოთ მისი შეძენა.

სებასტიანო—კარგი, ვიქნები მე დროებით შენი მოლარე!  
და წავალ ერთი საათით.

ანტონიო— სასტუმრო „სპილოსში“!

სებასტიანო—მახსოვს! (გადიან)

#### სურათი IV

ოლივიას ბაღი.

(შემოდინ ოლივია და მარია)

ოლივია—მის მოსახზობად გავგზავნე და ამბობს რომ მოვა.  
რით ვუმასპინძლო და ან რითი დავასაჩუქრო?  
სიჭაბუკე ხომ ხშირად უფრო ძალგვიძს ვიყიდოთ,  
ვიდრე ვისესხოთ და ან კიდევ ვინათხოვროთ ის.  
სად არის ახლა მალვოლიო? ის კუმტი არის,  
დარბაისელი, თანაც დინჯი და ჩემს ბედში მყოფს

შეეფერება სწორედ მისი მსგავსი მსახური!  
სად უნდა იყოს მალვოლიო?

მარია— ის აქეთ მოდის, ქალბატონო!  
მაგრამ როგორღაც უცნაური იერი ადევს:  
თითქოს ქკუიდან შეშლილსა ჰგავს ის, ქალბატონო!

ოლივიკა—რა დაემართა, ჰბოდავს რამეს?

მარია— არა, პირიქით,  
სულ ილიმება! მაინც გირჩევთ, რომ თქვენს მახლობლად  
მოუხმოთ ვისმე, ვიდრე იგი თქვენთან იქნება,—  
ის უეჭველად შეშლილია!

ოლივიკა— აქ დაუძახე!  
(მარია გადის)

მეც იმასავით შეშლილი ვარ, თუ მხიარული  
და სევდიანი შეშლილობა თანაბარია!  
(მარია და მალვოლიო შემოდინ)

როგორ ბრძანდები, მალვოლიო?

მალვოლიო—მშვენიერო ქალბატონო, ხე, ხე!

ოლივიკა— შენ ილიმები? მე კი მკტად სევდიან საქმის  
გამო მოგიხმე.

მალვოლიო—სევდიანი საქმეო ბრძანებთ? შესაძლო არის სევ-  
დიანი მე ვყოფილიყავ, ეს ჯვარედინად შენასკვული წვიგ-  
საკრავები რომ არ ჰხუთავდნენ და არ აკოშტებდნენ ჩემს  
სისხლსა! მაგრამ რა უშავს? თუ კი ასე ვესიამოვნები ერთი  
ვინმეს თვალებს! მე გავიმეორებ ერთ მართალ სონეტს:  
„თუ ერთს მოვწონვ.რ, მოვწონვარ ყველას“...

ოლივიკა—რა მოგივიდა, მალვოლიო, რა დაგემართა?

მალვოლიო—ჩემი გონება არ გაშავებულა, თუმცა ფეხები  
გამიყვითლდა. „ის“ „მას“ ხელში ჩაუვარდა და ბრძანე-  
ბანი უნდა შესრულდეს! ვფიქრობ, რომ ვიცნობ იმ  
მშვენიერ ლათინურ ხელსა!

ოლივიკა—ლოგინში ხომ არ დაწვები, მალვოლიო?

მალვოლიო—ლოგინში? ახლავე, ჩემო საუნჯევ, ახლავე მო-  
ვალ შენთან?

ოლივიკა—ღმერთმა დაგიხსნას. რა მიზეზია, რომ ილიმები  
და ასე ხშირად საკუთარ ხელსა ჰკოცნი?

მარია—როგორ ბრძანდებით, მალვოლიო?

მალვოლიო—შენ გსურს ეს იცოდე? მაგრამ განა წესია, რომ ბულბულმა ყვავს უპასუხოს?

მარია—რას ნიშნავს ეგ უტიფარი და სასაცილო საქციელი, რომელსაც ჩემი ქალბატონის წინაშე იჩენ?

მალვოლიო—„არ შეგეშინდეს დიდებისა“, რა ჩინებულად ეწერა!

ოლივია—რა გსურს მაგით სთქვა, მალვოლიო?

მალვოლიო—ერთნი იბადებიან დიდებით მოსილნი“...

ოლივია—მერე?

მალვოლიო—„მეორენი—დიდებას მიიპოვებენ“...

ოლივია—რას ამბობ?

მალვოლიო—„ზოგიერთს კი პირდაპირ თავს ახვევენ ამ დიდებასა“...

ოლივია—ზეციერმა გამჩენმა გიხსნას!

მალვოლიო—„გაიხსენე ვის მოსწონდა შენი ყვითელი წინდები“...

ოლივია—შენი ყვითელი წინდები?

მალვოლიო—„და ვის უნდოდა ენახე ჯვარედინად შენაკვულ წვიგსაკრავებში“!..

ოლივია—ჯვარედინ წვიგსაკრავებში?

მალვოლიო—„თამამად! ბედნიერება შენს ხელთაა, თუ მოისურვებ“...

ოლივია—ბედნიერება შენს ხელთაა?

მალვოლიო—„თუ არა და დარჩა მუდამ კარის მსახურად!“

ოლივია—დიახ! ეს შუაზაფხულის სიგიჟეა!

(შემოდის მსახური)

მსახური—ქალბატონო! ჰერცოგ ორსინოს ახალგაზრდა მოციქული დაბრუნდა. ძლივს დავიყოლიე, რომ კარებთან დაეცადნა. იგი თქვენს დასტურს მოელის.

ოლივია—ახლავე მოვალ! (მსახური გადის) ძვირფასო მარია, გაეცი განკარგულება, რომ ამ კაცს ზრუნვა არ მოაკლონ. სად არის ბიძაჩემი ტობი? დაავალეთ ჩემს ორ მსახურს, რომ კარგად მოუარონ. ჩემი ნახევარი ქონებისათვისაც არ დავთანხმდები, რომ ამას რაიმე უბედურება დაატყდეს თავსა! (ოლივია და მარია გადიან)

მალვოლიო—ოჰო-ჰო! მიახლოვდები, ჩემო დიდებავ? უბრალო ვინმემ კი არა, თვით სერ ტობიმ უნდა იზრუ-



ნოს ჩემთვის! ეს პირდაპირ ეთანხმება წერილს. ჰგზავნის ჩემთან, რომ მე მას უხეშად მოვეპყრა! წერილშიაც ასეა ნათქვამი: „უარჰყავ შენი მოკრძალებათ“ — მეუბნება. „მკაცრად მოეპყარ ჩემს ნათესავს, მსახურთა მიმართ გახდი ტლანქი და გულზვიადი, დაე შენი ბაგიდან ისმოდეს მხოლოდ მსჯელობა დიდსახელმწიფოს საქმეებზე, არ მოგერიდოს უცნაურად მოქცევებისა“. და თან იმასაც დასძენს, რაც ამავე დროს აუცილებელია: „მკაცრი სახე, მტკიცე ნაბიჯი, დინჯი მსჯელობა — დიდგვაროვანთა მსგავსად“ და სხვა ამისი მსგავსნი. გავაბი მახეში! რაღა თქმა უნდა, ეს თვით ზევსის საქმეა და ზევსივე შეეცდება მადლიერი მყოს. ახლა ამასაც ჩაუჟვირდით წასვლის დროს რა სთქვა: „ამ კაცს ზრუნვა არ მოაკლონო!“ მალეგოლიოზე ან კარისკაცზე იზრუნეთო კი არ უთქვამს — „ამ კაცზე“ —ო. დიახ, ყველაფერი ერთმანეთს ემთხვევა! სულ მცირე, ნაქუჭისოდენი დაეჭვებაც კი არ შეიძლება, აღარავითარი დაბრკოლება, აღარავითარი უნდობლობა და სახიფათო მდგომარეობა! რაღაა სადავო? უკვე აღარაფერს შეუძლიან ჩემსა და ჩემს ბრწყინვალე იმედებს შუა ჩადგომა! მაგრამ ყველაფერი ეს მე კი არ მოვიმოქმედე, არამედ — ზევსმა. ამიტომ მადლობაც მასვე ეკუთვნის!

(შემოდინა მარია, სერ ტობი და ფაბიანო)

სერ ტობი — სად ჯანდაბაში დაიკარგა — გამაგებინეთ, ღვთის გულისათვის. მე მას მაინც ვიპოვი და მოველაპარაკები, თუნდაც ჯოჯოხეთის ყველა ეშმაკი დაპატარავდეს და და მასში ჩასახლდეს.

ფაბიანო — აი ისიც! აი ისაც!.. რა დაგმართვიათ, ბატონო, რა მოგსვლიათ, ადამიანო?

მალეგოლიო — დამეკარგეთ აქედან! ნე'ას გაძლეეთ წახვიდეთ. დამანებეთ დავსტკბე ჩემის მარტოობითა. დამეკარგეთ მეთქი!

მარია — ხომ გესმით, როგორ ხმამაღლა ლაპარაკობს მასში ავი სული? განა არ გეუბნებოდით? სერ ტობი! ჩემმა ქალბატონმა გთხოვათ, ზრუნვა არ მოაკლოთო!

მალვოლიო—ა-ა! ხომ სთხოვს!

სერტობი—წყნარად, წყნარად, მაგას ალერსიანად უნდა მოპყრობა. თავი დაკვანებეთ, მე ვიცი, რაც საჭიროა. რა მოგსვლიათ, მალვოლიო! ავად ხომ არ ხართ? მერე რა ვუყოთ, ადამიანო! უნდა დაამარცხო სატანა! ის ხომ მტერია ადამის მოდგმისა!

მალვოლიო—იცი თქვენ, რას ლაპარაკობთ?

მარია—ჰხედავთ, როგორ გულთან მიაქვს, როცა სატანას ცუდად ახსენებენ! ღმერთმა ინებოს, რომ მთლად მოჯადოებულნი არ აღმოჩნდეს!

ფაბიანო—ცუდი არ იქნება თუ მაგის შარდს მკითხავს ვაჩვენებთ!

მარია—თუ ვიცოცხლე, ხვალ დილითვე ვაჩვენებ. ქალბატონი ვერასგზით ვერ შეეღევა მაგას.

მალვოლიო—მართლა, ქალბატონო?

მარია—ჰოი, უფალო!

სერტობი—თუ ღმერთი გწამთ, დაჩუმდით. ეს საჭირო არ არის, განა ვერ ატყობთ, რომ მაგ ლაპარაკით მხოლოდ აღიზიანებთ? მარტო დამტოვებთ და თვითონ მოვუვლი!

ფაბიანო—მარტოოდენ ალერსით შეიძლება მაგისი მოთვინიერება. მაგის სულში ჩასახლებული სატანა მეტად ავია და არ ითმენს კადნიერებას.

სერტობი—რასა იქმ, ჩემო მტრედის ხუნდო, როგორა ხარ, ჩემო ბახალავ?

მალვოლიო—მოწყალეო ხელმწიფე!

სერტობი—ძიბ! ძიბ! ძიბ! მოდი ჩემთან. ადამიანო, სიღარბაისლეს როდი შეჭფერის სატანასთან ალუბლის კურკებით თამაში! განდევენე წყეული!

მარია—ლოცვები ათქმევინეთ, კეთილო სერტობი! უთხარით ილოცოს!

მალვოლიო—ვილოცო, კახპავ?

მარია—აი, გარწმუნებთ, ღვთის სახელის გაგონებაც კი არ უნდა.



მ ა ლ ვ ო ლ ი ო — დაიკარგეთ აქედან, თქვე სახრჩობელის <sup>გაქრძინო</sup>  
 ყეყეჩნო, ფუქსავატნო! თქვენი ტოლი არ გეგონოთ! თქვენ  
 ჩემს ამბავს კიდევ გაიგებთ! (გადის)

ს ე რ ტ ო ბ ი — შესაძლებელია?

ფ ა ბ ი ა ნ ო — ყველაფერი ეს სცენაზე რომ წარმოედგინათ — მე  
 გამოგონილ ხუმრობად ჩავთვლიდი.

ს ე რ ტ ო ბ ი — თავი კი მაგრა აქვს გამოტენილი ჩვენის ხუმ-  
 რობით.

მ ა რ ი ა — მაშ ნულარ ჩამოეხსნებით, რომ ეს ხუმრობა არ გა-  
 მოეფუკოს თავიდან!

ფ ა ბ ი ა ნ ო — ნამდვილად კკუაზე შეგშლით მაგ საცოდავს!

მ ა რ ი ა — მით მყუდროება დაისადგურებს ამ სახლში!

ს ე რ ტ ო ბ ი — წავიდეთ, ხელ-ფეხი შეგუკრათ და ბნელ ოთახ-  
 ში დავამწყვდიოთ. ჩემი ძმისწული უკვე დარწმუნდა,  
 რომ შეშლილია და ჩვენ შეგვიძლიან განვაგრძოთ ხუმ-  
 რობა: დაე, ეს ჩვენთვის სეირი იყოს, მაგისთვის კი —  
 მონანიება, სანამ სეირი თვითონვე მოგვწყინდებოდეს. მე-  
 რე კი შეიძლება შევიბრალოთ. ისე უნდა მოვაწყოთ,  
 რომ სამსჯავრო ვავმართოთ და შენ, ჩვენო ამორძალო,  
 შეამოწმო ის, როგორც გიყი! მაგრამ შეხედეთ, შეხედეთ!  
 (შემოდის სერ ვნდრუ ვეიუჩიკი)

ფ ა ბ ი ა ნ ო — აი, კიდევ ახალი სეირი, ღირსი წარმოდგენისა  
 მაისის დილით.

ს ე რ ე ნ დ რ უ — აჰა, ესეც თქვენი გამოწვევა! წაიკითხეთ. პი-  
 რობას ვიძლევი, რომ არც ძმარი აკლია და არც პილ-  
 პილი.

ფ ა ბ ი ა ნ ო — ნუთუ ასე ცხარედ არის დაწერილი?

ს ე რ ე ნ დ რ უ — პირობას ვიძლევი მეთქი! ჯერ წაიკითხეთ!

ს ე რ ტ ო ბ ი — აქ მომეცი! (კითხულობს) „ქაბუკო, ვინც არ უნდა  
 იყო შენ, მაინც არამზადა ხარ!“

ფ ა ბ ი ა ნ ო — კარგად და ძლიერად არის ნათქვამი!

ს ე რ ტ ო ბ ი — (კითხულობს) „ნუ გაიკვირვებ და ნუ განცვიფრ-  
 დები, რომ ასე გიწოდებ და მიზეზს კი არ გაძცნობ!“

ფ ა ბ ი ა ნ ო — ჩინებული ანკესია, მაგით კანონის წინაშეც  
 ადვილად დაიძვრენ თავსა!



სერ ტობი—(კითხულობს) „შენ მოდიხარ ქალბატონ ოლივიასთან და იგი ჩემს თვალწინ გესიყვარულება, მაგრამ ცრუპენტელა იქნები, თუ იტყვი, რომ ამის გამო გიწვევ!“

ფაბიანო—თუმცა მოკლეა, მაგრამ კარგ აზრს საოცრად მოკლებულია!

სერ ტობი—(კითხულობს) „მე დაგიდარაჯებ, როცა შინ დაბრუნდები და თუ ისე ბედნიერი იქნები, რომ მომკლა...“

ფაბიანო—საუცხოოა!

სერ ტობი—(კითხულობს) „მომკლავ, როგორც გარეწარი და არამზადა!“

ფაბიანო—შენ მაინც თავს არიდებ კანონის წინაშე პასუხისგებას, ჩინებულია!

სერ ტობი—(კითხულობს) „მშვიდობით! დაე უფალმა განუსვენოს ერთ-ერთი ჩვენთაგანის სულს. მას შეუძლიან თავისი წყალობა გარდმოუვლინოს ჩემსას, მაგრამ უკეთესის იმედი მაქვს! მაშ ასე, მიფრთხილდი! დავშთები შენი მეგობარი, თუ სურვილი გაქვს შემხვდე, როგორც მეგობარს,— ანდა, შენი დაუძინებელი მტერი ენდრუ ეგიუზიკ“. თუ ეს წერილი მას არ ააფორიაქებს, მაშინ მის ფეხებს მოძრაობის უნარი აღარა ჰქონიათ. მე მას გადავცემ ამ გამოწვევას.

მარია—თქვენ მაგისტვის მოხერხებული საბაბი გექნებათ, რადგან იგი ამჟამად ჩემს ქალბატონს ესაუბრება და მალე წავა.

სერ ტობი—გასწი, სერ ენდრუ, და ბალის კუთხეში ბუჩქის ძირას დაუდარაჯდი, როგორც მონადირე—კურდღელს, დაინახო თუ არა, მაშინვე დაშნა იშიშვლე და სეტყვასავით მიაყარე ლანძღვა-გიზება. ხშირად ხდება ხოლმე, რომ თუ ზმალვე დათვივით შეუღრიალე მოხდენილი გინებით, ეს უფრო მამაცად გამოგაჩენს, ვიდრე ნამდვილი საქმე. მაშ, იჩქარე.

სერ ენდრუ—თუ გინებაზე მიდკა საქმე, გინება საქმენელი არ გამიხდება. (გადის)

სერ ტობი—ამ წერილს, რა თქმა უნდა, არ გადავცემ! იმ ქაბუკის ყოფაქცევიდან სჩანს, რომ იგი ჭკვიანი და კარგად აღზრდილია. ამას მისი მოციქულობაც ადასტურებს



ჩემს ძმისწულსა და ჰერცოგ ორსინოს შორის. ეს უფლებ-  
რესად უფიციად შედგენილი წერილი ვერ შეაკრთობს.  
მყისვე მიხვდება, რომ ეს ბარათი დაწერილია სახედრის  
მიერ. მე მას სიტყვიერად ვამცნობ გამოწვევას და თა-  
ნაც ტყუილებით გავბერავ—სერ ენდრუს მამაცობის  
თაობაზე. შთავაგონებ: იგი მრისხანე, სწრაფი და გულ-  
ფიცხია მეთქი. იმდენად ახალგაზრდაა, რომ დამიჯუ-  
რებს. ეს კი ორივეს ისე შეაშინებს, რომ ვასილისკოს  
მსგავსად ერთმანეთს შეხედვით მოსპობენ.

(შემოდინ ოლივია და ვიოლა)

ფ ა ბ ი ა ნ ო — აი ისიც, შენს ძმისწულთან ერთად აქ მოდის.  
დავტოვოთ მარტონი; გამოეთხოვება თუ არა, მაშინვე  
დაეძგერე!

ს ე რ ტ ო ბ ი — მეც მანამდე შემზარავ გამოთქმებს მოვნახავ  
გამოწვევისათვის. (გადიან სერ ტობი, ფაბიანო და მარია)

ო ლ ი ვ ი ა — მეტად გულახდით და აშკარად გამოფუტყდი დღეს  
მე მაგ ქვის გულსა და ამით ჩემს პიტოსნებას  
მოუფიქრებელ განსაცდელის საფრთხე შევუქმენ!  
ხმა იღუმალი დანაშაულს მისაყვედურებს,  
მაგრამ ესოდენ მძლავრია ეს დანაშაული,  
რომ განუსჯელად საყვედურსა თვითვე დასცინის!

ვ ი ო ლ ა — როგორც თქვენ გიხრავთ გულს აღძრული ვნებათა  
ღელვა;

იგი ისევე აშფოთებს ჩემს ბატონის გულსაც!

ო ლ ი ვ ი ა — ატარეთ თქვენ ეს სამკაული, უარს ნუ მეტყვით:  
სურათი არის იგი ჩემი, ენა არა აქვს  
და ლაპარაკით არ შეგაწყენთ! მე გულითა გთხოვთ,  
ხვალ კვლავ მოხვიდეთ; და ისეთი რა უნდა მთხოვოთ,  
რომ უმალვე არ შეგისრულოთ, გარდა იმისი,  
რაც კი შელახავს ღირსებას და პატიოსნებას!

ვ ი ო ლ ა — არაფერსა გთხოვთ, გარდა წრფელი სიყვარულისა;  
მხოლოდ სიყვარულს გთხოვთ მე ჩემი ბატონისათვის!

ო ლ ი ვ ი ა — პატიოსნების შეულახავად განა ძალმიძს  
მივცე მე ჰერცოგს იგი, რაც თქვენ უკვე მოგეცით?

ვ ი ო ლ ა — მე ნებას გაძლევთ!





ო ღ ი ვ ი ა — კარგი, მშვიდობით, ხვალ ისევ მოდიო  
 ისეთ მაცდურ სულს, როგორც შენ ხარ, ჩემო კეთილო,  
 შეუძლია რომ შემიტყუოს თვით ჯოჯოხეთში!  
 (გადის. სერ ტობი და ფაბიანო შემოდის)

სერ ტობი — ზეცა გწყალობდეს, ყმაწვილო კაცო!

ვიოლა — აგრეთვე თქვენც, ბატონო ჩემო!

სერ ტობი — რა იარაღიც კი გაგაჩნიათ, მოამზადეთ თავის  
 დასაცავად! არ ვიცი რა დანაშაული მიგიძღვით მის  
 წინაშე, მაგრამ თქვენი მოწინააღმდეგე გააფთრებული  
 და სისხლმობარბე მონადირესავით გიდარაჯებთ ბალის  
 ბოლოში. იშიშვლეთ დაშნა, ნულარ აყოვნებთ, რადგან  
 თქვენი მოპირდაპირე მეტად მალისა, დახელოვნებული  
 და დაუნდობელი!

ვიოლა — თქვენ ალბათ სცდებით, ბატონო, მე საჩხუბარი  
 არავისთან მაქვს, ვამოწმებ მეხსიერებას და იოტისოდენ  
 საბაბს ვერ ვპოულობ, რომ ვისმესთვის, თუნდ მცირე  
 რამ წყენა მიმეგოს.

სერ ტობი — გარწმუნებთ, რომ მალე სულ საწინააღმდე-  
 გოში დარწმუნდებით და, თუ ოდნავ მაინც გენანებათ  
 სიცოცხლე, ფრთხილად იყავით: თქვენი მოპირდაპი-  
 რის მხარეზეა ყველა უპირატესობა, რასაც კი იძლევა  
 ახალგაზრდობა, ღონე, სიმკვირცხლე და მრისხანება!

ვიოლა — გთხოვთ მითხრათ მაინც — ვინ არის იგი!

სერ ტობი — იგი აზნაურია, რაინდად ნაკურთხი, ორლე-  
 სული მახვილის ქვეშ, რომლის ბასრ პირსაც ხალიჩის  
 ბეწვიც კი არ მიჰკარებია. მაგრამ ორთაბრძოლაში იგი  
 ნამდვილი ქაჯია: მან სამი ტანი უკვე გაჰყარა სულსა  
 და ამ წუთშიც ისე მძვინვარებს, რომ მას ვერაფერი  
 დააოკებს, გარდა განწირული მოწინააღმდეგის სასიკ-  
 ვდილო ხროტინისა! მისი დევიზია: „დაე მოხდეს, რაც  
 მოხდება!“ „მომეცი, ან წამართვი!“

ვიოლა — შინ შევბრუნდები და გრაფის ასულს ვსთხოვ გამ-  
 ყოლებს, თვითონ არა ვარ მე მებრძოლი, თუმცა მსმენია,  
 რომ არიან ქვეყნად ისეთნიც, ვინც განგებ უტყებს შფოთ-  
 სა და ჩხუპს მოპირდაპირეს, რომ გამოსცადოს მასზე



თვისი გულოვნება და, ალბათ, ეგ თქვენი შფოთის ვიც იმათთგანია.

სერ ტობი—არა, ბატონო! მისი განრისხება საფუძვლიანია, შეურაცხყოფის შედეგია და იგი უნდა დააკმაყოფილოთ. მაშ, წინ! თქვენ მას უნდა შეებრძოლოთ! თქვენ სახლში ვერ შებრუნდებით, ვიდრე ჩემთან არ გამართავთ ბრძოლას, რასაც შეუძლიან მასზედაც გამარჯვება მოგაპოვებინოთ! მაშ, წინ! იწიშვლეთ დაშნა! ან ამიერიდან ფიცით უარპყავით დაშნის ტარების უფლება!

ვიოლა—ეს იმდენადვე უზრდელობაა, რამდენადაც უცნაურია! გთხოვთ ვალად დამლოთ და ჰკითხოთ მას: რით შეურაცხვყავ? და თუ რამ მოხდა ამის მსგავსი ჩემს უნებურად, გაუფრთხილებელ მოქმედების შედეგად ჩავთვლი!

სერ ტობი—ასე მოვიქცეთ! ფაბიანო, შენ აქ დარჩები, ვიდრე მე უკან დავბრუნდები. (გადის)

ვიოლა—მოწყალეო ხელმწიფევე, თქვენ ხომ არ იცით რა უნდათ ჩემგან?

ფაბიანო—მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ის რაინდი უაღრესად განრისხებულია თქვენზე და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გიპირებთ! მეტი არაფერი ვიცი.

ვიოლა—გთხოვთ მითხრათ, იგი რა კაცია?

ფაბიანო—გარეგნობას თუ ვიტყვით—განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ საქმით კი—ღმერთმა დაგიხსნათ მასთან მტრულად შეხვედრისაგან! თქვენ განცვიფრდებით, როცა გამოსცდით მის ვაჟკაცობას: ქეშმარიტად მთელს ილირიაში ყველაზე საშიში, ყველაზე მოსისხარი, ყველაზე მარჯვე მოპირდაპირია! თუ არ გნებავთ მის შესახვედრად გასვლა—ვეცდები შეგარიგოთ, თუ ეს შესაძლებელი აღმოჩნდება.

ვიოლა—დიდად დაგიმადლებდით! რაც არ უნდა იფიქროთ ჩემს გარეგნობაზე, მე მაინც მირჩევნია მღვდელთან ვიქონიო საქმე, ვიდრე ასეთ უშიშარ რაინდთან!

(გადიან. შემოდიან სერ ტობი და სერ ენდრუ).

სერ ტობი—გეუბნები: ის კაცი კი არა, ნამდვილი ქაჯი მეთქი! ასეთი მოთარიავე მე არ მინახავს! მე დავაპირე მასთან დაშნით გათამაშება, ისე, სასინჯად, მაგრამ იგი ისეთი სისწრაფით ესხმის თავს, რომ თვალის დახამხამებასაც ვერ მოასწრებ! ხოლო თუ შემოგიქნია, ისევე აუცდენლად დაგკრავს, როგორც ფეხს არ ააცდენ მიწას, როცა ნაბიჯს გადასდგამ! ამბობენ, სპარსეთის შაჰს პირველ მოთარიავედ ჰყოლიაო!

სერ ენდრუ—ეშმაკმა წაიღოს! მე არ მსურს მაგასთან შებმა!

სერ ტობი—აბა, რას ამბობ? ახლა თვითონ ის არ აპირებს უკან დახევას: ფაბიანო ძლივსლა აჩერებს.

სერ ენდრუ—უფსკრულმა შთანთქას! რომ მცოდნოდა, თუ ასეთი გაწრთენილი და მამაცი იყო, არაფრის გულისათვის არ გამოვიწვევდი. დაიყოლიე, რომ ხელი აიღოს ჩემთან ბრძოლაზე და ჩემს ლურჯა ცხენს გაჩუქებ.

სერ ტობი—შევეცდები დავიყოლიო. შენ მანამდე აქ დამიცადე და გული მაგრა იქონიე. იქნებ უსისხლოდ გათავდეს საქმე. (თავისთვის) იმ შენს ლურჯა ცხენზედაც ისევე შევჯდები, როგორც შენ მოგჯექი ზურგზე, ძმობილო! (შემოდინან ფაბიანო და ვიოლა. სერ ტობი ფაბიანოს) იგი თავის ლურჯა ცხენს იძლევა მშვიდობიანად მორიგებაში. დავარწმუნე, რომ ეგ ყმაწვილი თითქმის სატანაა.

ფაბიანო—(სერ ტობის) ესეც ასეთივე აზრისაა მაგ ჩვენს რაინდზე. მთლად გაფითრდა და შიშით კანკალებს, თითქოს ქუსლებთან დათვი ედგას!

სერ ტობი—(ვიოლას) ხსნა არ არის, ბატონო ჩემო! მას აუცილებლად სურს თქვენთან ბრძოლა, რადგან დაფიცულია. ჩხუბის მიზეზიც ასწონ-დასწონა და სცნო, რომ ამაზე ლაპარაკიც კი არ არის საჭირო. მაშ ასე, გაიძრეთ დაზნა, რომ მით ფიცის შესრულება შეაძლებინოთ! იგი გარწმუნებთ, რომ ზიანს არ მოგაყენებთ.

ვიოლა—(თ.ვისთვის) ღმერთო დამიფარე! კიდევ ცოტა რამ და, იძულებული ვიქეზი გამოვტყდე, თუ რაოდენ მაკლია მამაკაცობა.



ფაბიანო—როგორც კი შეატყობ, რომ ის ბრძოლაში გარდა  
ხარდა, უკან დაიხიეთ!

სერტობი—არა, სერენდრუ! საშველი არ არის! ამ ქაბუკს  
თავისი ღირსების დასაცავად უეჭველად სურს, რამო-  
დენიმე დაშნის დაკვრით ბრძოლაში გაჰყვე. ამით უნდა  
ორთაბრძოლის წესის აღსრულება, მაგრამ აზნაურის  
პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ ზიანს არ მოგაყენებს.  
მაშ, მარჯვედ!

სერენდრუ—ღმერთმა ქნას, რომ ეგ თავისი ფიცი ნამ-  
დვილად შეასრულოს! (იშიშვლებს დაშნას)

ვიოლა—(იშიშვლებს ნაშნას) გარწმუნებთ, რომ ეს ჩემი სურვი-  
ლის წინააღმდეგ ხდება! (შემოდის ანტონიო)

ანტონიო—ეხლავ შესდგეით და ეგ დაშნა ქარქაშს ჩააგეთ!  
თუ მაგ ქაბუკმა შეურაცხგყობ, მაგის მაგიერ  
მეგამოგყვებით, ხოლო თუ ეგ შეურაცხყავით,  
მაშინ თქვენ გიწვევთ პასუხისთვის ორთაბრძოლაში!

სერტობი—ბატონო ჩემო, თქვენ გსურთ ბრძოლა? მერე  
თქვენ ვინ ხართ?

ანტონიო—მე ვარ ის, ვინც რომ თვის გულითად  
მეგობართათვის  
საქმით იმაზე მეტს აკეთებს, რასაც იქადის!

სერტობი—რაკი ასეთი ქომაგი ჰყოლიხართ, ჩემთან გექნე-  
ბათ საქმე. (დაშნას იშიშვლებს)

ფაბიანო—შესდგე, კეთილო სერტობი! ქალაქის მცველნი  
მოდიან აქეთ!

სერტობი—მე ეხლავე თქვენთან გავჩნდები.

ვიოლა—გთხოვთ, რომ ჩააგოთ თქვენი დაშნა, თუ თქვენც  
ისურვებთ!

სერენდრუ—სიამოვნებით!

მე მორჩილად შევასრულებ ჩემს დაპირებას:

ის ჩემი ცხენი ჩინებულად გახედნილია და მსუბუქად  
ატარებს.

(შემოდის ქალაქის მცველნი)

1-ლი მცველი—აი, ეს კაცია! შეასრულე მოვალეობა!

2-რე მცველი—ანტონიო, გაპატიმრებთ ჰერცოგ ორსინოს  
სახელით!

ანტონიო—თქვენ ალბათ სცდებით, მეგობარო, და სხვა  
გგონივართ!

1-ლი მცველი—არა, ბატონო, მე არ ვცდები! უმაღვე გიცან,  
თუმც არა გხურავს მეზღვაურის ქუდი, ვით მაშინ!  
შეიპყარ! მაგან კარგად იცის, რომ მე ვიცანი!

ანტონიო—იძულებული ვარ დაგნებდეთ! (ვიოლას)  
ეს ჩემგან თქვენი ძებნით არის გამოწვეული!  
რა გაეწყობა! ბედის ხარკი უნდა გადაგვხდეს!  
თქვენ რაღას იზამთ? გაჭირვება იძულებულს მხდის  
გთხოვოთ—კვლავ უკან დამიბრუნოთ ჩემი საფულე!  
ო, იმის ფიქრი, რომ თქვენ ველარ გამოგადგებით,  
ჩემს მძიმე ხვედრზე უფრო მეტად მიტანჯავს გულსა!  
თქვენ განცვიფრებით შემომყურებთ, თანაც უმწეოდ  
შემკრთალი ხართ! გთხოვთ, რომ გამხნევდეთ!

2-რე მცველი— გელით, ბატონო!

ანტონიო—გთხოვთ, მომცეთ ცოტა იმ ფულიდან.

ვიოლა—ფული? ჩემს მძიმე განსაცდელში თანაგრძნობისთვის,  
რამაც თქვენ ნამდვილ განსაცდელში აქ ჩაგაყენათ,  
მზად ვარ გაგიყოთ ჩემი მეტად მცირე სახსარი.  
მდიდარი არ ვარ, მაგრამ რაც მაქვს, იმის ნახევარს  
სიამოვნებით გინაწილებთ. აი, ინებეთ!

ანტონიო—როგორ? უარყოფთ? ნუთუ თქვენთვის  
შესაძლო არი,

ზურგი აქციოთ უანგარო ჩემს სამსახურსა?  
ნუ გადამიქცევთ წამებად ჩემს უბედურებას  
და იმდენად ნუ დამამცირებთ, რომ ჩამოვთვალო  
ყველა ამაგი, რაც მე თქვენთვის გამიწევია!

ვიოლა—ვაი, რომ მათგან მე არც ერთი არ მაგონდება!  
და, ამას გარდა, არც სახით და არც ხმით მეცნობით.  
უმაღურობა მე დიდად მძულს, მძულს უფრო მეტად,  
ვიდრე სიცრუე, ქედმაღლობა, ტრაბახი, კილვა,  
ლოთობა და სხვა სიმახინჯე, რაიც ხორცშესხმულ  
ადამიანთა სისხლში ბუდობს, ვით საწამლავი!



ანტონიო—ღმერთო მართალო!

2-რე მცველი— კმარა, ბატონო, წამომყევით!  
ნულარ გვაყოვნებთ!

ანტონიო— მათქმევინეთ კვლავ ორი სიტყვა:  
ეს ახალგაზრდა, ვინც უარმყო აქ, თქვენს წინაშე,  
თითქმის სიკვდილის კლანჭებიდან გამოვიხსენი!

ვზრუნავდი მისთვის უანგარო სიყვარულითა  
და, მის მშვენიერ გარეგნობას, მის კეთილ სახეს,  
სიკეთისა და სათნოების საწინდრად ვსთვლიდი  
და მზად ვიყავი, რომ მელოცნა, ვით ღვთაებმაზე!

1-ლი მცველი—ჩვენ რა საქმე გვაქვს მაგ ამბებთან? დრო  
მიდის და ჩვენც გვაჩქარებს წასასვლელად, ნულარ გვა-  
ყოვნებ!

ანტონიო—აწ ის ღვთაება საძულველი კერპი აღმოჩნდა!

შენ, სებასტიან, მაგ ნათელ პირს ლაქა დასდევ  
სამარადისო სირცხვილის და გაუტანლობის!

უმაღურობის უარესი სხვა სიმახინჯე  
და სისაძაგლე არ არსებობს თვით ბუნებაში!

სიკეთე არის სილამაზე დაუქნობელი,

ხოლო ლამაზი ბოროტება—სიცარიელე,

სატანის ხელით შემოსილი, ფერად სამოსით!

1-ლი მცველი—იგი ჭკუიდან შეიშალა! წამოიყვანეთ!  
წავიდეთ ჩქარა, გამოგვეყვით, ბატონო ჩემო!

ანტონიო—აწ წამიყვანეთ!

(გადის მცველებთან ერთად)

ვიოლა—რა დარწმუნებით და მგზნებარედ ლაპარაკობდა;

მას სჯერა იგი, რაც ჩემთვის ჯერ საეჭვო არის.

ო, ნეტავი ეს მოლოდინი ასრულდებოდეს

და, ძმაო ჩემო, გადარჩენილს კვლავ შეგხვდებოდე!

სერტობი—აქეთ წამოდი, რაინდო, და შენც, ფაბიანო!

სამიკიტნოში შევუხვიოთ, დავსხდეთ და ორიოდე ბრძნული  
სიტყვა ჩვენ გავუზიაროთ!

ვიოლა—სებასტიანო მიწოდა მან! მართლაც ჩემი ძმა

მე მგავდა სახით, ვით წყლის წვეთსა—მეორე წვეთი

და ასე ეცვა. ვით ვარ დღეს გამოწყობილი:

ამ ტანსაცმელით მე მას ვბაძავ!.. თუ ეს გამართლდა,

მაშინ ქარიშხალს შესძლებია გულკეთილობა  
და ზღვის ზვირთებსაც სიყვარული სცოდნიათ წრფელი.  
(გადის)

ს ე რ ტ ო ბ ი—ეს უსუსური, გარეწარი, ძეძუწოვარი, კურ  
დღელზე უფრო მშიშარაა! თავისი არაბზადობა მითაც  
დაამტკიცა, რომ გაჭირვებაში მიატოვა მეგობარი და  
უარჰყო იგი. ხოლო მაგისი სიმბდალე თუ გსურს გაიგო,  
ფაბიანოს ჰკითხე.

ფ ა ბ ი ა ნ ო—ღიახ, მხდალია, ყველა მხდალზე უმხდალესია!  
ს ე რ ე ნ დ რ უ—ეშმაკმა წაიღოს! მაშ დავეწევი და კარგად  
მივბეგვავ!

ს ე რ ტ ო ბ ი—აი, ეგ მოუხდება! წამოეწიე და ისე მიტყიპე,  
რომ დაშნაც კი არ ამოიღო!

ს ე რ ე ნ დ რ უ—არ ამოვიღებ!

ფ ა ბ ი ა ნ ო—წამო, სეირს ვლყუროთ.

ს ე რ ტ ო ბ ი—სანაქლეოს ვღებ, რომ მაგისაგანაც არაფერი  
გამოვა!

(გადი.5)

## მოქმედება მეოთხე

### სურათი I

ქუჩა ოლივიას სასახლის წინ.  
(შემოდინ სებასტიანო და მასხარა)

მასხარა—მაშ, გსურთ დამარწმუნოთ, რომ მე თქვენთან არა ვარ გამოგზავნილი?

სებასტიანო—გატყობ, დიდი ცუდლუტი უნდა იყო, მაგრამ გირჩევ—თავი დამანებო!

მასხარა—ზენაარს ვფიცავ, ჩინებულად თამაშობთ! მაშასადამე, მე თქვენ არ გიცნობთ! გრაფის ასულს თქვენთან არ გამოვუგზავნივარ თხოვნით, რომ მობრძანდეთ მასთან ორიოდე სიტყვის მოსასმენად, ცეზარიო თქვენ არა გქვიანთ სახელად, ეს ჩემი ცხვირი—ჩემი ცხვირი არ არის, ერთის სიტყვით—ყველაფერი ისე არ არის, როგორც ნამდვილად არის?

სებასტიანო—თუ ხათრი გაქვს, წადი და სხვაგან დახარჯე ეგ სისულელე! შენ მე არ მიცნობ!

მასხარა—დავხარჯო ეს სისულელე!.. ეს სიტყვა ალბათ რომელიმე წარჩინებულის მიმართ გაიგონა და სულელზე კი იყენებს. დავხარჯო სისულელე! ვაი თუ მაშინ ეს ვეება და აყლაყუდა ქვეყანა მთლად გასულელდეს! გთხოვთ თავი დაანებოთ მაგ ოინებს და მითხრათ: რა ამბავი დავხარჯო გრაფის ასულთან? ის ამბავი ხომ არა, რომ თქვენ მოხვალთ მასთან?



სებასტიანო—თავი დამანებე, ჭკუამახვილო თანამგზავთათ  
გამეცალე, აჰა შენ, ფული! ხოლო, თუ არ მომცილდები,  
უარესად დაგაჯილდოვებ!

მასხარა—პატროსნებას ფეიცავ, უხვი ხელი გქონია: როცა  
ბრძენნი ფულს აძლევენ სულელებს, ამით კეთილ სახელს  
იქმნიან, თუ სულელთა ჯიბეს თოთხმეტ წელიწადს მაინც  
ავსებენ მოწყალებითა! (შემოდის სერ ენდრუ)

სერ ენდრუ—აჰა, ბატონო, ჩვენ კვლავ შევხვდით! აი, ესეც  
შენ! (შემოჰკრავს სილას)

სებასტიანო—ეს კი შენ, ესეც, ესეც შენა,  
ესეც, ესეც შენ! (სცემს სერ ენდრუს)  
ხომ არ გაგიჟდით სუყველანი?  
(შემოდინან სერ ტობი და ფაბიანო)

სერ ტობი—შეჩერდი, თორემ მაგ შენს დაშნას სახლს იქით  
ვადავისვრი.

მასხარა—ახლავე წავალ და ყველაფერს გრაფის ასულს მო-  
ვახსენებ! მე ორ პენსადაც კი არ დავთანხმდებოდი, რო-  
მელიმე თქვენგანის სამოსელში მოვთავსებულიყავ!  
(გადის)

სერ ტობი—(იჭერს სებასტიანოს) შეჩერდით, კმარა!

სერ ენდრუ—დაეხსენ! მაგას მე სულ სხვა გზით გავუსწორო-  
დები: საჩივარს აღვძრავ და თუ ილირიაში კანონები კი-  
დეგ არსებობს, მაგას ბრალს დავდებ, როგორც შფოთის  
ამტეხს. თუმცა პირველად მე გავარტყი, მაგრამ კანონის  
შებრუნება განა ძნელია?

სებასტიანო—ხელი გამიშვით!

სერ ტობი—არა მეთქი, ხელს არ გაგიშვებ! თუმცა მამაცი  
კი ჰყოფილხარ, მაგრამ დაწყნარდი, ჩააგე დაშნა, გაათა-  
ვე აურზაური!

სებასტიანო—(გაუსხლტება) მაინც ვერ შემაკავებთ! რას  
იტყვი ახლა? თუ კიდევ გასურს, რომ ძალა სინჯო,  
გაიძრე დაშნა! (დაშნას ამოიღებს)

სერ ტობი—რაო? რას ამბობ? აუცილებლად გინდა, რომ  
მაგ თავხედი სისხლის ორიოდე უნცი მაინც გამომაშვე-  
ბინო? (დაშნას ამოიღებს, ბრძოლა იწყება, შემოდის ოლივია)



ოლივია—შეჩერდი, ტობი, თუ გინდა, რომ სიცოცხლე შეგარჩეს!

სერ ტობი—გრაფის ასულო!

ოლივია— უმაღურო, უხასიათო!

შენ უდაბნოში, ან და სადმე გამოქვაბულში  
უნდა ცხოვრობდე, სადაც არ სწამთ წესი და რიდი!..  
შორს ჩემს თვალთვან!.. შენ ნუ იწყენ ამ თავხედობას,  
ჩემო ძვირფასო ცეზარიო! შენ კი გამშორდი, ჩხუბისთავო!  
(სერ ტობი, სერ ვნდრუ და ფაბიანო გადიან)

ჩემო კეთილო მეგობარო, ჯავრს ნუ აჰყევი,  
რომ მყუდროება დაგირღვიეს უხეშ თავდასხმით!  
მისი უმგვანო საქციელი განსაჯე ჭკუით  
და არა გრძნობით; წამო ჩემთან, მე იქ გიამბობ,  
თუ რა შარით და შფოთით საესე ხუმრობა იცის;  
თვითვე იცინებ მის ოინზე! ხომ წამომყევი?  
გთხოვ, ნუ უარჰყოფ ამ ჩემს სურვილს!.. წყეულიმც იყოს!  
მაგ წყენით, შენში შეურაცხყო მან ჩემი გული!

სებასტიანო—სიდან მოდიან ესოდენი მოჩვენებანი?

შევიშალე თუ, სიზმარში ვარ? ლეტას ზვირთებო,  
ჩასძირეთ თქვენში ჩემი ფიქრი, ჭკუა, გონება,  
რომ თუ სიზმარში ვიმყოფები, არ გამელეძოს!

ოლივია—გთხოვ, წამოხვიდე!.. როგორ მინდა მეც ნება  
დამართო,

რომ განვაგებდე შენს ფიქრსა და ჭკუა-გონებას!

სებასტიანო—გეახლებით, ქალბატონო!

ოლივია—აი ასე სთქვი, ასეთი იყავ!

(გადიან)

სურათი II

ოთახი ოლივიას სასახლეში.

(შემოდინ მარია და მასხარა. მალვოლიო—მომიჯნავე ბნელ  
ოთახშია)

მარია—მოდი, ჩაიცივი ეს ანაფორა! წვერებიც მიიწებე  
და დაარწმუნე, რომ შენ ჩვენი სამრევლოს მოძღვარი  
სერ ტოპასი ხარ! იჩქარე! მეც მანამდე სერ ტობის  
დავუძახებ. (გადის)



**მასხარა**—ძალიან კარგი. ჩაეცვამ ანაფორას და მღვდლად მოვაჩვენებ. მე ხომ პირველი არ ვითვალთმაქცებ ამ ანაფორის ქვეშ, რომ ხალხს მოვაჩვენო; თითქოს ის არა ვარ მეთქი, რაც ნამდვილად ვარ! რასაკვირველია, მე არც ისე მაღალი ვარ, რომ ეს სახელი პატივით შევმოსო, მაგრამ არც ისე გამხდარი ვარ, რომ ნამდვილ სწავლულად ჩამთვალონ. მაგრამ თუ პატიოსან კაცად და კარგ მეოჯახედ მიმიჩნევენ, არც ეს ჩამოუვარდება სწავლულ მაღალღირსის სახელსა. აი, ჩემი თანამონაწილენიც მოდიან! (შემოდინ სერ ტობი ბელჩი და მარია)

**სერ ტობი**—ღმერთმა გაკურთხოს, სათნო მამაო!

**მასხარა**—Bonos dies \*, სერ ტობი! როგორც ერთხელ უწინარმა მხცოვანმა პრალელმა განდევილმა მოსწრებულად უთხრა მეფე გორბოდუჟის ძმისწულს: „ის, რაც არის — არის იმდენად, რამდენადაც არისო“; მეც იმდენად პატიოსანი მოძღვარი ვარ, რამდენადაც პატიოსანი მოძღვარი ვარ! რამეთუ რაი არს იგი, თუ არა იგი, ანუ რაი არს არის, თუ არა არის?

**სერ ტობი**—მაშ შედით მასთან, მამაო ტობას!

**მასხარა**—ჰეი, მისმინეთ! მშვიდობა ამა დილეგსა.

**სერ ტობი**—მშვენვირად ჰბაძავს ეს ოინბაზი! სწორედ მოქნილი ოინბაზია!

**მალგოლიო**—(სცენის იქიდან) მანდ ვინ იძახის?

**მასხარა**—მამა ტობასი, მოძღვარი, რომელიც მოვიდა, რათა მოიხილოს ჭკუაშემცდარი მალგოლიო!

**მალგოლიო**—მამაო ტობას! კეთილო მამაო ტობას! წადით ჩემს ქალბატონთან!

**მასხარა**—განვედ, წყეულო სულო! რარივ სტანჯავ ამ ადამიანს! არაფერზე ლაპარაკობ ქალბატონის გარდა?

**მალგოლიო**—ახ, მაღალღირსო მამაო ტობას! ასე სასტიკი შეურაცხყოფა ჯერ არავისთვის მიუყენებიათ. არ დაუჯეროთ, კეთილო მამაო, რომ შეშლილი ვარ! მათ განგებ ჩამსვეს ამ საშინელ წყვიდიადში.

\* შუადღე მშვიდობისა.



მასხარა—ჰოი, წყეულო სატანავ! მე შენ გიწოდებ უველახე მოკრძალებულ სახელს, რამეთუ იმ სათნოთაგანი ვარ, ვინც სატანასაც კი თავაზით იხსენიებს. შენ ამბობ, რომ ეს სახლი ბნელია?

მალვოლიო—ჯოჯოხეთივით, მამაო ტოპას.

მასხარა—რატომ? მას ხომ აქვს გამსჭვარვალე სარკმელნი, საიდანაც უუქი შემოდის, როგორც კუწუბოვან დარაბებში, ხოლო სამხრეთითა და ჩრდილოეთით მისი ჩარჩოები ბზინავენ ხეშავის მსგავსად და შენ კი მაინც უჩივი ბნელსა?

მალვოლიო—ნე გიყი არა ვარ, მამაო ტოპას! გეუბნები, რომ ამ ოთახში სრულიად ბნელა.

მასხარა—სცდები, შეშლილო, ამ სახლში არ არის სიბნელე გარდა უვიცობისა, რომელშიც შთანქმულხარ შენ, როგორც ეგვიპტელნი—ნისლში.

მალვოლიო—მე კი გეუბნებით, რომ ეს ოთახი ბნელია, როგორც უვიცობა, თუნდაც ის ჯოჯოხეთზე უფრო ბნელი იყოს. გიმეორებთ, რომ ასე მკაცრად არავინ შეუტაცხყოფილა, როგორც მე ვარ. მე იმდენადვე ვარ გიყი, რამდენადაც თქვენ! შეამოწმეთ ჩემი ჭკუა, როგორი ჭკვიანური მსჯელობითაც გნებავთ.

მასხარა—რას გვასწავლის პითაგორე გარეულ ფრინველებზე?

მალვოლიო—პითაგორე ამბობდა, რომ ბებიჩავენის სულს შეუძლიან ცხოვრობდეს გარეულ ფრინველებშიო.

მასხარა—შენ რას ფიქრობ ამ შეხედულებაზე?

მალვოლიო—მე სულს კეთილშობილად ვთვლი და პითაგორეს დებულება მიუღებლად მიმაჩნია.

მასხარა—მშვიდობით! დარჩი სიბნელეში, ვიდრე არ აღიარებ პითაგორეს აზრის ქემმარტებასა. უნდა გეშინოდეს ტყის ქათმის მოკვლისა, რომ არ განაფრთხო მისგან ბებიაშენის სული! მშვიდობით!

მალვოლიო—მამაო ტოპას! მამაო ტოპას!

სერტობი—ნეტარო და ღირსო მამაო ტოპას!

მასხარა—აკი ვითხარით, ყველაფერში გამოვდგები მეთქი!

მარია—შენ შეგეძლო ეგ საქმე უწვეროდ და უნაფოროდაც გაგეკეთებინა, იგი სრულიად ვერა გხედავდა.

სერ ტობი—ახლა საკუთარი ხმით დაელაპარაკე და ვიწრო ვირდი, თუ რა გუნებაზე დადგება. კარგი იქნება, თუ ამ ხუმრობას სასიკეთოდ გავათავებთ. ჩვენ შეგვიძლიან გავათავისუფლოთ კიდევ უდავიდარაბოდ, რადგან ჩემს ძმისწულთან დამოკიდებულება საკმაოდ გამიერთულდა და ამ ხუმრობის ბოლომდე მიყვანა სახიფათოა. მაშ მალე მოდი ჩემს ოთახში.

(სერ ტობი და მარია გადიან)

მასხარა — (მღერის) ჰეი, რობინ, მხიარულო, როგორა გყავს საყვარელი?  
—საყვარელი ჩემთვის, ვაგლახ, გულქვაა და უღმობელი.

მალვოლიო — მასხარავ!

მასხარა — (მღერის) „საყვარელი გულქვა არის!“

მალვოლიო — მასხარავ!

მასხარა — „ვაგლახ, ასე რატომ არის?“

მალვოლიო — მასხარავ, არ გესმის?

მასხარა — „მას სხვა უყვარს, ის სხვას ეტრფის!“

მანდ ვინ მეძახის?

მალვოლიო — კარგო მასხარავ! თუ ჩემთვის სიკეთე გინდა, მიშოვე ერთი სანთელი, კალამი და ქალაღლი. როგორც პატიოსანი აღამიანი, გარწმუნებ, რომ მთელს სიცოცხლეში დავალეგებული ვიქნები!

მასხარა — ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო მალვოლიო?

მალვოლიო — მე ვარ, კეთილო მასხარავ, მე ვარ!

მასხარა — ვაგლახ, ბატონო ჩემო, როგორ დაჰკარგეთ ხუთივე გრძნობა?

მალვოლიო — ძვირფასო მასხარავ! არასოდეს ჩემებრ არავინ დაუჩაგრავთ! მე ისევე ვფლობ ჩემს ჭკუას, როგორც შენ!

მასხარა — როგორ? როგორც მე? თუ მასხარაზე მეტი ჭკუა არა გაქვს, გამოდის, რომ მართლაც გიყი ყოფილხარ!

მალვოლიო — მე აქ ჩამკეტეს, ვყევართ სიბნელეში, მიგზავნიან მღვდლებს, ვილაცხა ვირებს და არაფერს ზოგავენ, რომ ნამდვილად გამაგიჟონ!



მასხარა—რაც შეიძლება ფრთხილად ილაპარაკე: მალე მოხდება  
 აქვეა. (წევლილი ხმით) მალე ვლიო! მალე ვლიო! მალ-  
 ვოლიო! უფალმა დაგიბრუნოს სალი გონება! მიიქეც  
 ძილად, რათა შესწყვიტო სულელნი ბოდვანი!

მალვოლიო—მამაო ტოპას!

მასხარა—ნუ ელაპარაკები მას! ვინ? მე მამაო ტოპას? არა-  
 სოდეს! ღმერთი იყოს თქვენი შემწე. „ამინ და იყავნ  
 ასე!“ აღარ ვიზამ, არასოდეს აღარ ვიზამ!

მალვოლიო—მასხარავ! მასხარავ, მასხარავ, გამიგონე!

მასხარა—ვაი ჩენს თავს! აღიჭურვეთ მოთმინებით. რას მი-  
 ბრძანებთ, ბატონო ჩემო? თქვენთან ლაპარაკისათვის მე  
 მკიცხავენ, ხომ გაიგონეთ თქვენის ყურიითა?

მალვოლიო—მიშოვე, კეთილო მასხარავ, სანთელი და ფა-  
 რატინა ქაღალდი. გეუბნები, რომ სრულ ჭკუაზე ვარ,  
 როგორც ყველა—ილირიაში!

მასხარა—ღმერთმა ქნას, რომ მართალი იყოს!

მალვოლიო—ფეციცავ ამ ხელს, რომ ეს მართალია. მხო-  
 ლოდ მიშოვე ქაღალდი და მელანი და რასაც დავწერ—  
 გრაფის ასულს მიუტანე. შენ ამისათვის გაცილებით  
 უფრო მეტს მოგცემენ, ვიდრე რომელიმე ფოსტალიონს  
 ოდესმე მიუღია.

მასხარა—კარგი, გ.შოვით, მაგრამ ჯერ ეს მითხარით, ნამ-  
 დვილად გაგიჟდით, თუ ისე, თავს იგიჟიანებთ?

მალვოლიო—დამიჯერე, რომ მე გიჟი არა ვარ და მარ-  
 თალს გეუბნები.

მასხარა—არა! შეშლილს მე ვერ დაეუჯერებ, თუ მის ტვინს  
 არა ვნახავ! ახლავე მოგიტანთ ქაღალდსა და საწერ-  
 კალანს.

მალვოლიო— ამისათვის უხვად დაგაჯილდოვებ; ჩქარა  
 წადი, გემუდარები!

მასხარა— მივალ! წასვლას დიდხანს არ მოვეუნდები,

მაგრამ წაწი უკანვე მოვბრუნდები!

ვერც მოასწრებთ შეხედვას, რომ აღარ ვარ,—

მე კი უმალ, თქვენს წინაშე დავმდგა—ვარ

და იმ ძველი ცოდვასავით, მაშინვე —

ხის მახვილით ბებერ ქაჯს რომ აშინებს—

შემოგდაზებთ:— „ჰეი, კარგო ბიძია!  
მაგ ფრჩხილების ძირში მოჭრამ გიწია?  
აწ მშვიდობით! სათქმელი სულ ეს მაქვსო,  
ჩემო ნაზად საყვარელო ეშმაკო!

(გადის)

### სურათი III

ოლივიას ბაღი.

(შემოდის სებასტიანო)

ს ე ბ ა ს ტ ი ა ნ ო — აი, კვლავ სუფთა ჰაერი და დიდებული მზე!  
აი, მის მიერ მოცემული მარგალიტიცა!  
მე ყველა ამას ვგრძნობ და ვხედავ, თუმც ჯადოსნობის  
ქსელი მარტყია, მაგრამ მაინც შეშლილი არ ვარ!  
ნეტავ სად არის ანტონიო? გზად როგორ ამცდა?  
ის სასტუმროში ვერა ვნახე, თუმც იქ ყოფილა  
და, როგორც მითხრეს, წამოსულა ჩემს საძებნელად!  
დღეს დიდ სამსახურს გამიწევდა იმისი რჩევა!..  
გრძნობა—გონებას ეურჩება: თუმცა მგონია,  
რომ აქ რაღაცა შეცდომაა და არა შეშლა,  
მაგრამ ბედნიერ შემთხვევათა ასე თავმოყრა,  
ესოდენ უხვი და ესოდენ უჩვეულოა,  
რომ მე მზადა ვარ თვალთნახული არ დავიჯერო  
და წინაღუდგე ჩემს გონებას; ის ჩამჩურჩულებს,  
რომ აქ ვიღაცა შეშლილია: ან მე—ან ქალი!  
მაგრამ იგი რომ სრულ ჭკუაზე არ იყოს, განა  
შესძლებდა ასე წარემართა სახლის საქმენი  
და გასძლოლოდა მსახურთ—ისე დინჯად და მტკიცედ,  
რა მომხიბლავი კდემითაც ის ამას ასრულებს?  
არა! აქ რაღაც შეცდომაა!.. აი, თვითონაც!

(შემოდის ოლივია და მღვდელი)

ო ლ ი ვ ი ა — აჩქარებისთვის ნუ გამკიცხავ! გთხოვ, მომიტევეო!  
მაგრამ თუ შენი განზრახვა და აზრი წრფელია,—  
ამ წმინდა მოძღვარს წავყვეთ აქვე, ეკლესიაში,  
რომ სამუდამო ერთგულების ფიცის დადებით

მყუდრო მშვიდობა მოანდოჳ ჩემს ეჭვიან გულს!  
ჩვენს ჯვარისწერას დაესწრება მხოლოდ მოძღვარი:  
ის საიდუმლოდ შეინახავს ჩვენს ქორწინებას,  
მანამდე, ვიდრე შენ ისურვებ მის გამჟღავნებას!  
ხოლო მაშინ კი გადავიხდით დიდებულ ქორწილს,  
ვით ეს შეჭფერის ჩემს წოდებას! შენ რაღას იტყვი?  
სებას ტიანო—მე გამოვყვები ამ კაცს, დიახ, წამოვალ  
თქვენთან  
და რა დავდებ ფიცს, მე მას მუდამ მტკიცედ დავიცავ-  
ოლი ვიქნა—მაშ წინ გაგვიძებ, წმინდა მამავ, დაე თვით  
ზეცამ  
გაასხივოსნოს თვის წყალობით ჩვენი კავშირი!

(გადიან)



## მოქმედება მისხუთე

### ხურათი I

ქუჩა ოლივიას სახლის წინ.

(შემოდინ მასხარა და ფაბიანო)

ფაბიანო—ეხლა კი, თუ გიყვარვარ, მაჩვენე მისი წერილი!  
მასხარა—ფაბიანო, ჩემო კეთილო, შენც სამაგიერო სიკეთე უნდა მიყო.

ფაბიანო—ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი მოისურვებ.  
მასხარა—ნუ მთხოვ ამ წერილს!

ფაბიანო—ესე იგი, შენ გინდა მაჩუქო მწვევარი და ამ ჩუქების საჩუქარში—უკანვე წაიყვანო?

(შემოდინ ჰერცოგი, ვიოლა, კურიო და ამალა)

ჰერცოგი—თქვენ გრაფის ასულ ოლივიას ემსახურებით?  
მასხარა—დიახ, თქვენო დიდებულებავ! მისი ძვირფასი ნივთების ნაწილი გახლავართ.

ჰერცოგი—შენ კარგად გიცნობ! როგორ ცხოვრობ, ჩემო ძვირფასო?

მასხარა—გულახდით რომ ვსთქვა, მტრებთან უკეთესად, მეგობრებთან—უარესად!

ჰერცოგი—პირიქით უნდა იყოს: უკეთესად მეგობრებთან.  
მასხარა—არა, ხელმწიფე! მოყვრების მიმართ სწორედ უარესი თუ ითქმის.

ჭერცოგი—როგორ?

მასხარა—როგორ და ასე: მეგობრები პირფერობით მაქე-  
ბენ და მით ვირად მხდებიან; მტრები კი—პირში მეუბნე-  
ბიან, რომ ვირი ვარ! ასე რომ მტრები მასწავლიან  
თვითშეგნებას, მეგობრები კი—მატყუებენ. ამრიგად,  
თუ დასკვნის დროს ისევე, როგორც კოცნის დროს,  
ოთხი საწინალო მტკიცება ორ დადასტურებას შეად-  
გენს—გამოდის, რომ რაც უფრო მეტი მეგობრები  
გვყავს, მით უარესია და რაც უფრო მეტი მტრები  
გაგვაჩნია—მით უკეთესია!

ჭერცოგი—ჩინებულად არის ნათქვამი.

მასხარა—არა, ხელმწიფევე, ჩინებულად არ არის, თუმცა  
თქვენს მოწყალებას ჰსურს ბრძანდებოდეს ერთი ჩემ  
მეგობართაგანი.

ჭერცოგი—ჩემი მეგობრობა შენთვის საზარალო არ იქნება:  
აი ეს ოქრო შენ!

მასხარა—მე თქვენს ადგილას გავაორკეცებდი ამ ჯილდოს,  
რომ მეხსნა სული ორჯერ შეცოდებისაგან!

ჭერცოგი—მაგით შენ მეტად ცუდ რჩევას მაძლევ!

მასხარა—მაშ ჯიბეს ჩაიდეთ, ხელმწიფეო, დაე მას მონად  
გაუხდეს თქვენი სისხლი და ხორცი!

ჭერცოგი—დე, ასე იყოს, შენის ხათრით გავაორმაგებ სულის  
შეცოდებისაგან დახსნის ცდას. აჰა, ეს ოქროც!

მასხარა—Primo, secundo, tercio! აი ეს იქნებოდა ჩინებულ-  
ლი თამაში. ძველი ანდაზაა: ღმერთს სამება უყვარსო;  
მუსიკაშიც ხომ სამი მეოთხედი ყელაზე ცოცხალი ბგე-  
რაა! ეგეც არ იყოს, თვითონ წმინდა ბენედიქტეს სამ-  
რეკლოს ზარებს შეუძლიანთ დაგარწმუნონ, რომ სამჯერ  
დარეკვა აუცილებელია. ისინი ხომ სულ ასე რეკავენ:  
„ერთი, ორი, სამი!“

ჭერცოგი—მაგგვარ ხუმრობით ველარ გამომტყუებ ჯიბიდან  
ფულსა, მაგრამ თუ მოახსენებ გრაფის ასულს, რომ მე  
აქა ვარ და მსურს მასთან ლაპარაკი, ამასთანავე, თუ  
თანვე მოიყვან მას, ამით ნამდვილად გააღვიძებ ჩემს  
გულუხვობას!



**მასხარა**—ასე იყოს! ტკბილად აძინეთ ეგ გულუხვობა: მე მივდივარ, ჩემო ხელნწიფევ! მაგრამ მსურდა გცოდნოდათ, რომ მე ოქროსმოყვარულობით გახლავართ დაავადებული და არა ვერცხლმოყვარულობით. დაე მცირეხანს ჩასთვლიმოს მაგ თქვენმა გულუხვობამ: არ დავაყოფენებ მის გაღვიძებას. (გადის)

**გიოლა**—აი, ხელმწიფევ, ჩემი მხსნელი აქეთკენ მოდის!

**ჭერცოგი**—სახით მეცნობა: თუმც მე იგი უკანასკნელად ვნახე კვამლისგან შერუჯული და შავი, როგორც ვულკანთან მდგომი... ერთ ბრტყელძირა გემს უფროსობდა, რომლითაც იგი თავს დაესხა ჩემს ხომალდებსა და ისე შედგრად, მამაცურად ეკვეთა იმით, რომ დამარცხებით აღძრული თვით შურის გრძნობაც კი ქებას ასხამდა მის გმირობას და აღიდებდა. რა ამბავია?

**1-ლი მცველი**—ორსინო! ეს ის ანტონიაო, რომელმაც შორი კანდიიდან აქ მომავალი გემი „ფენიქსი“, ძვირფას ტვირთით, დავლად ჩაიგდო! მან დაატყვევა თქვენი დიდი ხომალდი, „ვეფხვი“, რომლის დროს თქვენმა ყრმა ძმისწულმა ფეხი დაჰკარგა! ჩვენ ეს ქუჩაში შევებყარით, როს თავხედურად ვილაცას დაშნით ებრძოდა და სიკვდილს უქადდა!

**გიოლა**—მაგან მახვილი ამოიღო ჩემს დასაცავად, მაგრამ ბოლოს კი იმნაირი უცნაურობით იწყო მსჯელობა, რომ მე იგი ბოღვად ჩავთვალე!

**ჭერცოგი**—სახელგანთქმულო ზღვის ყაჩაღო! ოკეანეთა ქურდო! რომელმა მამაცობის გიჟურმა გრძნობამ ჩაგაგდო შენ იმ ხალხის ხელში, ვინც სისხლიანი, ბოროტი საქმით სამუდამო მტრად გადიკიდე?

**ანტონიო**—კეთილშობილო მბრძანებელო, სათნო ორსინო! ნება მიბოძეთ უარვეყო ეგ სახელწოდება! არა ვყოფილვარ მე არც ქურდი და არც ყაჩაღი! მაგრამ გულახდით გამოვტყუდები—მე ვიყავ მხოლოდ ორსინოს მტერი და ამისთვის საბაბიც მქონდა!

მე ამ ქალაქში მომიყვანა უცხო რამ ჯადომ:  
ეგ უმაღლური ახალგაზრდა, თქვენს გვერდით რომ დგას,  
მე გამოვგლიჯე ბობოქარ ზღვის მრისხანე ზვირთებს!  
უკვე სიკვდილის კლანჭებში მყოფს მე დავუბრუნე  
სიცოცხლე და თან შევიყვარე უსაზღვროდ, წრფელად!  
მე ამ ერთგულმა სიყვარულმა გამაბედვინა  
აქ, ამ ჩემდამი მტრულ ქალაქში, ფეხის შემოდგმა  
და, როცა მაგას თავს დაესხნენ, მე ხიფათში მყოფს  
გამოვესარჩლე და უმაღვე დაშნა ვიშიშვლე!  
მაგან კი, როცა დამინახა, რომ მე შემიპყრეს,—  
იმის ნაცვლად, რომ ჩემი ხვედრი გაეზიარა,  
უმალ უარმყო, როგორც ნივთი გადაგდებული  
და თვით ჩემივე საფულეც კი არ დამიბრუნა,  
რადც ნახევარ საათის წინ მას გადავეცი!

ვიოლა—უცნაური რამ ეჩვენება, ეგ როდის მოხდა?

ჭერცოგი—როდის დაბრუნდა ეს. ჰაბუკი ამ ჩვენს ქალაქში?

ანტონიო—დღეს დილით! სამ თვეს განუყრელად ერთად  
და წამითაც კი ჩვენ ერთმანეთს არ ვშორდებოდით,  
არც დღით, არც ღამით!

(შემოდის ოლივია ამალით)

ჭერცოგი— აქეთ მოდის გრაფის ასული!  
თვით ცის ნათელი ჩამოსულა დედამიწაზე!  
შენ შეშლილივით ლაპარაკობ: სამი თვე არი,  
რაც ეს ჰაბუკი სასახლეში მემსახურება!  
მაგრამ ამაზე ჩვენ შემდეგში ვილაპარაკოთ,  
ებლა კი მასთან ერთად გზიდან ჩამოეცაღე!

ოლივია—რა ნებავს ჭერცოგს? ოლივია მუდამ მზად არის,  
რომ გაუწიოს სამსახური თავის ხელმწიფეს,  
გარდა ტრფიალის საპასუხო თანაგრძნობისა!  
და თუ ამისთვის მობრძანდა აქ—უარს მიიღებს!..  
შენ, ცეზარიო, შენი სიტყვა უკვე გასტეხე!

ვიოლა—გრაფის ასულო!

ჭერცოგი— მშვენივით სავსე ოლივია!

ოლივია—რას მიპასუხებ, ცეზარიო?



ვიოლა—

ჩემს მბრძანებელს ჰსურს

ლაპარაკი და ეს ვალად მდებს, მე ჩუმაღ ვიყო!

ოლივია—ჰერცოგო! თუ თქვენ კვლავ ძველ ჰანგზე აპირებთ მღერას,

მე გიცხადებთ, რომ ეგ სიმღერა ჩემის სმენისთვის მქისე იქნება, ვით ღმუილი მუსიკის შემდეგ!

ჰერცოგი—შენ ძველებურად ისევ გულქვა და სასტიკი ხარ?

ოლივია—არა, ხელმწიფევე, ძველებურად ერთგული ვარ მე!

ჰერცოგი—ვაი, რომ მართლაც ერთგული ხარ ჯიუტობისა! უწყალო ქალბატონო! შენს უმადურ და ცივ

სამსხვერპლოს ეწირავდი გულის უწმინდეს მსხვერპლს—ფიქრებს და გრძნობას,

მაგრამ ამაოდ, სულ ამაოდ!.. როგორ მოვიქცე?

ოლივია—ისე, როგორც თქვენს დიდ ღირსებას შეეფერება!

ჰერცოგი—რატომ არ ძალმიძს, რომ მძვინვარე

ვეგვიპტელივით

მეც სიკვდილის წინ მოგაკვდინო, ვინც ცის ქვეშეთში ყველაზე უფრო მეტად მიყვარს და თავს ვეველები!

განა მქენჯნავი და უსაზღვრო ეჭვიანობა,

ზოგჯერ თვით წრფელს და კეთილშობილ გრძნობას არა ჰგავს?

მაგრამ არა! ჯერ მომიხმინე: ჩემს ერთგულებას შენ არაფრად სთვლი, მე ამისა ვხედავ და ვიცი,

ვიცნობ იმასაც, მაგ გულიდან ვინც გამაძევა!

დე ასე იყოს! შენ იცოცხლებ, მაგრამ იმას კი—

იმ შენი გულის სიყვარულის საგნად არჩეულს, ვინც არანაკლებ მიყვარს თვით მე, მოვწყვეტ მაგ თვალთა, სადაც ის თავის მბრძანებელის ჯიბრზე მბრძანებლობს!

წამო, ჰაბუკო!.. ჩემი ზრახვა უკვე მომწიფდა

ბოროტი საქმის ჩასადენად: ჩემს საყვარელ კრავს

მსხვერპლად შევწირავ, რომ მით გული მოვუკლა მტრედსა!

ვიოლა—მე ათას სიკვდილს მივიღებდი სიხარულითა, თუ ამით ნუგეშს და სიმშვიდეს მოგანიჭებდით!



ოლივია—მიტხარ, სად მიხვალ, ცეზარიო?

ვიოლა—

მე მიყვები მას,

ვინც მიყვარს უფრო მეტად, ვიდრე ეს თვალები,  
ვიდრე სიცოცხლე და ვიდრე შესაძლოა მიყვარდეს  
ცოლი. ო, ღმერთო! შენ ჩემი ფიცის მოწმე ხარ და თუ  
ოდნავ ვსტყუი,

დამსაჯე წმინდა სიყვარულის მკრეხელობისთვის!

ოლივია—ვაი, რა მწარედ მომატყუეს მე უბედური!

ვიოლა—ვინ მოგატყუათ, ქალბატონო, ვინ შეურაცხგყოთ?

ოლივია—დიდიხანია? ნუთუ შენი თავი არ გახსოვს?

მაშ აქ მოუხმეთ მოძღვარს! (მსახური გადის)

ჰერცოგი—(ვიოლას) კმარა! დროა წავიდეთ!

ოლივია—სად მიხვალ, ჩემო ბატონო, ცეზარიო, მეუღლევ,  
შესდექ!

ჰერცოგი—მეუღლევ?

ოლივია—

დიახ, მეუღლეა, მას ვერ უარყოფს!

ჰერცოგი—მისი მეუღლე ხარ შენ მართლა, შე ავაზაკო?

ვიოლა—არა, ხელმწიფევე! მე არა ვარ მაგის მეუღლე!

ოლივია—შენში სიმბდალე და მონური შიში მეტყველებს

და შთაგაგონებს—უარი სთქვა საკუთრებაზე!

ნუ გეშინიან, ცეზარიო! აწ გაბედულად

დაეპატრონე მოპოვებულ საკუთარ ბედსა!

იყავ აშკარად ის, რაცა ხარ, რომ შენ ამითი

ამაღლდე მასზე უფრო მეტად, რაც შენ გაშინებს!

(შემოდის მოძღვარი)

აქეთ, მოძღვარო! გაფიცებ შენს წმინდა წოდებას,

გამოუცხადო ამათ, შენის თანადასწრებით

რაც მოხდა მცირე ხნის წინ—ჩემს და ამ ჭაბუკს შორის!

რაც ჩვენ გვეწადა შეგვენახა საიდუმლოდა,

მაგრამ იმგვარად შეიცვალა გარემოება,

რომ თვითვე გვამხელს; ამიტომ გთხოვ, სთქვა ყველაფერი!

მოძღვარი—თქვენ შეკავშირდით სამუდამოდ სიყვარულითა,

ხელნი შეაქდეთ, ჯვარისწერის ბეჭდების შეცვლით

და შეაერთეთ თქვენ ბაგენი წმინდა ამბოროთ!

მე, ეს უმწიკვლო ქორწინების წესჩვეულება,

საკუთარ ხელით შევასრულე! მას შემდეგ მხოლოდ  
ორი საათით დაფუხლოვდი ჩემს სამარეს!

ჰერცოგი—ჰოი, თვალთმაქცი, საზიზლარო! რაღა იქნები,  
როცა მაგ შავ თმებს გაგითეთრებს დრო უღმობელი?  
ან თუ სიბერეს, ხანდაზმული ვერ მოესწრები,  
და, საკუთარი ცბიერება მოგიღებს ბოლოს?  
მშვიდობით! იგი შენი არის! დაეპატრონე!  
მაგრამ გახსოვდეს: ისეთ გზაზე არ დასდგა ფეხი,  
რომელიც ჩემთან შეგახვედრებს, თორემ ინანებ!

ვიოლა—ბატონო ჩემო, მე უარყოფ!

ოლივია— ნულარა ჰფიცავ!  
და მაგ შთანთქმელი შიშის დროსაც შეინარჩუნე,  
თუნდ ერთი წვეთი უზაკველი სინიდისისა!

(შემოდის სეო ენდრუ, თავდასისხლიანებული)

სერენდრუ—ღვთის გულისათვის, ჩქარა დოსტაქარს დაუ-  
ძახეთ, გემუდარებით, დოსტაქარი გაუგზავნეთ სერ ტო-  
ბისც!

ოლივია—რა ამბავია?

სერენდრუ—მან მე თავი დამიკება და კაცმა რომ თქვას,  
ვერც თუ სერ ტობის თავი გადარჩა დაუჩენავი! მისი  
ღერბი სისხლით იღებება! ღვთის გულისათვის, მომაშვე-  
ლეთ ჩქარა დოსტაქარი. ახ, რატომ სახლში არ დაე-  
ბრუნდი თავის დროზე! ორმოც გირვანქა სტერლინგსაც  
კი არ დაეზოგავდი, ოლონდ შინ ვიყო!

ოლივია—ვინ მიგიყვებათ ევ თავპირი ეგრე, სერ ენდრუ?

სერენდრუ—ჰერცოგის კარისკაცმა, ვილაც ცეზარიომ!  
ჩვენ ის მხდალი გვეგონა, მაგრამ პირწავარდნილი ეშმა-  
კის ნაშიერი აღმოჩნდა!

ჰერცოგი—ჩემმა მხლებელმა ცეზარიომ?

სერენდრუ—ჰოი, წყუულ-შეჩვენებული! აი, თვითონაც აქ  
ყოფილა! თქვენ მე ტყუილუბრალოდ გამიტყხეთ თავი;  
ის კი, რაც ჩავიდინე, მხოლოდ სერ ტობიმ ჩამაგონა!

ვიოლა—მე რად მომმართავთ? თქვენი დაქრა არც მიუიქრია:  
თქვენ უმიზეზოდ ჩემს წინააღმდეგ დაშნა გაიძრეთ,  
და მე კი მხოლოდ ტკბილი სიტყვით გაშოშმინებდით!

სერენდრუ—თუ გატეხილ თავს ჭრილობა ეთქმის, თქვენ დიახაც რომ დამკერით; მაგრამ იქნებ თქვენთვის ეს გახვრეტილი გოგრაც არაფერს ნიშნავს? (მასხარას შემოჰყავს მთვრალი სერ ტობი ბელჩი) აი, სერ ტობიც კოქლობათ მოდის, ზოგ რამეს ისიც შეგატყობინებთ. მაგას, როგორც ყოველთვის, ზომაზე მეტი ჰქონდა დაღეული, თორემ გიჩვენებდათ სეირსა!

ჰერცოგი—სერ ტობი, ეგ რა დავმართვიათ, რა ამბავია? სერ ტობი—არაფერია. მან დამკრა და სულ ეს არის. სხვა რა უნდა იყოს? (მასხარას) მითხარ, ყყყეო, დოსტაქარ დიკუსისათვის ხომ არ მოგიკრავს თვალი?

მასხარა—ერთი საათი იქნება, რაც დოსტაქარი დიკუსი კარგად გამოიბრუჟა, ხოლო მისი თვალები კი—დილის რვა საათიდანვე ჩაესვენენ!

სერ ტობი—აი, პირუტყვი არამზადა! ისეთი საძაგელი არავინ მინახავს, როგორც ის პირუტყვი არამზადა!

ოლივია—წაიყვანეთ იგი. ვინ აჩება ასე უწყალოდ?

სერენდრუ—მე შენ გიშველი ტობი! ბარემ ორივეს ერთად შეგვიხვიონ ჭრილობა!

სერ ტობი—შენ მე მიშველი? შე ხეპრევ, ჩერჩეტო, ვირის გოგრავ, სპილენძის ფილო! შენ მე მიშველი?

ოლივია—ჩქარა ლოგინში ჩააწვინეთ და შეუხვიეთ! (მასხარა, ფაბიანო, სერენდრუ და სერ ტობი გადიან. შემოდის სებასტიანო)

სებასტიანო—გრაფის ასულო! დიდად ვწუხვარ, რომ დაგჭერი თქვენი ნათესავი, მაგრამ ის თუნდაც ძმა ყოფილიყო საკუთარი—თავის დაცვისთვის მე სხვანაირად არ შემეძლო მოგქცეულიყავ! თვალებში გატყობთ განცვიფრებას, წყენას და რისხვას! გთხოვთ, მომიტევეთ, მშვენიერო გრაფის ასულო, თუნდ იმ ფიცისთვის, რაც ერთმანეთს დღეს ჩვენ მივეცი!

ჰერცოგი—სახე ერთია! ქცევა ერთი! ხმაც ერთი არის!..





და იმავე დროს ორ კაცად სჩანს, ისე, ვით ჩრდილო  
რომელიც არის და არც არის!

სებასტიანო— ო, ანტონიო!  
ჩემო ძვირფასო მეგობარო! როგორ ვიტანჯე  
მე უშენობით, მთელს იმ ხანში, რაც შენ დამცილდი.

ანტონიო—ეს შენ ხარ, ჩემო სებასტიან?

სებასტიანო— ხომ არა ექვობ?

ანტონიო—მერე და ასე როგორ მოხდა... როგორ გაორდი?  
თქვენ გაჭრილ ვაშლის მსგავსად ორნი ერთმანეთს  
ჰგავხართ!

სებასტიანო რომელი ხართ?

ოლივია— საოცარია!

სებასტიანო—ეგ მე ვდევნებ მანდ? არასოდეს ძმა არ  
მყოლია,

არც გამაჩნია ღვთაებრივი ძალი მისთვის, რომ  
ყველგან ვსუფევდე... მართალია, თუმცა და მყავდა,  
მაგრამ ის შთანთქა დაუნდობლად ზღვის ბრმა  
ზვირთებმა!

(ვიოლას) ღვთის გულისათვის, სთქვით ვინა ხართ,  
ან რად მომხედებით  
შთამომავლობით? რა გქვიანთ და ან საიდან ხართ?

ვიოლა—მესალინიდან! მამას ერქვა სებასტიანო,  
სებასტიანო მყავდა მე ძმაც და სწორედ ასეთ  
ტანისამოსში ჩაესვენა ის ზღვის საფლავში!  
და თუ კი სულებს შეუძლიანთ კვლავ ქვეყნად მოსვლა,  
არა თუ მარტო სხვისი სახით—სხვის სამოსითაც,  
მაშ თქვენ მოსულხართ, რომ ჩვენ შიშის თავზარი  
დაგვცეთ!

სებასტიანო—სწორედ სული ვარ, მაგრამ მყოფი იმ უხეშ  
გარსში,

რაშიც ბუნებას დაბადებით ჩავუმწყვდევივარ!  
ქალი რომ იყოთ, თქვენს ლაწვებზე ცრემლს  
დავაფრქვევდი

და გეტყოდით: სამგზის სალამი, დამხრჩველო დაო!

ვიოლა—მამას მარჯვენა წარბისთავზე თანდაყოლილი  
ნიშანი ჰქონდა!



სებასტიანო—ეგ ნიშანი მამაჩემსაც ჰქონდა!

ვიოლა—ის გარდიცვალა თვისი ქალის დაბადების დღეს,  
როცა ვიოლას შეუსრულდა ცამეტი წელი!

სებასტიანო—ის მძიმე წამი ჩემს ხსოვნაში მუდმივად  
ცოცხლობს:

მამა ნამდვილად, სწორედ იმ დღეს გარდაიცვალა,  
რა დღესაც ჩემი და შესრულდა ცამეტი წლისა!

ვიოლა—მაშ ისღა უშლის ჩვენს ბედნიერ სიხარულს, რომ მე  
ვარ მამაკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი!  
მაგრამ ჯერ შეხედე! ჯერ კიდევ ნუ გადამეხვევი,  
სანამ თვითონ დრო, ადგილი და გარემოება  
არ დაგიმტკიცებს, რომ ვიოლა შენს წინაშეა!  
მე კაპიტანთან წაგიყვან! მას შენახული აქვს  
ჩემი ნამდვილი, ის ქალური ტანისამოსი!  
იმავე დღიდან, როცა მან მე გადამარჩინა  
მსახურად დავდექე კეთილშობილ ჰერცოგის კარზე  
და რაც მას შემდეგ თავს გადამბდა—განისახლვრება  
გრაფის ასულთან და ჰერცოგთან სამსახურითა!

სებასტიანო—მაშ გამოდის, რომ თქვენ შემცდარხართ,  
გრაფის ასულო,

მაგრამ ბუნება მაინც დარჩა თვისი ერთგული:  
თქვენ მოისურვეთ ქალისათვის ცოლად გაყოლა;  
მაგრამ ნასროლი თავის ნამდვილ ნიშანს კი მოხვდა!  
და თქვენ გათხოვდით, როგორც ქალზე, ისე კაცზედა!

ჰერცოგი—ნუ განცვიფრდებით! კეთილშობილ სისხლის  
მოდგმა,

თუ ყველაფერი ეს ისევე ნამდვილი არის,  
როგორც სარკეში—ანარეკლი ნამდვილ საგნისა!  
(ვიოლას) მაშ იმ ხომალდის დაღუბვაში ყოფილა ჩემი  
ბედნიერების მცირე წვლილიც: შენ ბევრჯერ გითქვამს,  
რომ ქვეყანაზე ვერც ერთ ქალს ვერ შეიყვარებდი  
ისე მგზნებარედ, ისე ძლიერ, ვით მე გიყვარვარ!

ვიოლა—ფიცად მიიღეთ ეგ სიტყვები და მე ამ ფიცსა  
ისევე მტკიცედ შევინახავ ამ სპეტაკ სულში,

ვით ეს ცარგვალი ჩაუქრობელ მზის შუქს ინახავს  
დღისა და ღამის გასაყოფად!

ვერცოგი— მაშ, მომე ხელი  
და დამენახვე შენს საკუთარ ქალურ სამოსში.

ვიოლა—ჩემი სამოსი შესანახად კაპიტანსა აქვს.  
ის კი ამჟამად, მალვოლიოს საჩივრის გამო  
ციხეში არის დამწყვდეული.

ოლივია— გათავისუფლდეს  
იგი ახლავე. მალვოლიოს აქ დამიძახეთ!  
ახ! მხოლოდ ახლა გამახსენდა, რომ ის საბრალო  
სულ მთლად შემცდარა ჭკუაზედა, მაგრამ მე თვითონ  
ისე ვიყავი შეშლილი, რომ მისი ამბავი  
მთლად დამავიწყდა!

(შემოდინან ფაბიანო და მასხარა—წერილით)

როგორ არის ის ვაჟბატონი?

მასხარა—როგორ გახლდებათ, ქალბატონო! იგი ებრძვის  
ბელზებელს ისე, როგორც ეს შეუძლიან მის მდგომარეობაში  
მყოფ ადამიანს! აი მან ეს ბარათი მოგწერათ,  
რაც დილასვე უნდა გადმომეცა, მაგრამ რადგანაც შეშ-  
ლილთა წერილები ფსალმუნი არ არის, სულერთია  
როცა ჩაგაბარებდით!

ოლივია—გახსენ და წამიკითხე!

მასხარა—სულელი კითხულობს შეშლილის წერილს. ისმი-  
ნეთ, ჭკუის სასწავლად გამოგადგებათ! (კითხულობს)

„ღმერთს გეფიცებით, გრაფის ასულო!“

ოლივია—რა დაგემართა, ხომ არ შეიშალე?

მასხარა—არა, გრაფის ასულო! მე მხოლოდ სხვის შეშლი-  
ლობას გადმოგვემ. თუ გინდა, რომ ის მთელის გრძნო-  
ბით შეიცნო—ხელს ნუ შემიშლი.

ოლივია—გთხოვ, წაიკითხო საღი გონებით!

მასხარა—სწორედ ასე ვიზამ, მაღონავ, მაგრამ თუ გსურს,  
რომ აქედან საღი გონება ამოიკითხო, მაშინ ჩემებურად  
უნდა წამაკითხო. მაშ, მოისმინე, ჩემო პრინცესავ!

ოლივია—(ფაბიანოს) თქვენ წაიკითხეთ, ვაჟბატონო!

ფაბიანო—(კითხულობს) „ღმერთს გეფიცებით, გრაფის ასულო,  
თქვენ მე შეურაცხმყავით და ამას მთელი ქვეყანა გაიგებს.“



თუმცა ბნელ ოთახში ჩაამწყვდევინეთ ჩემი თავი და მე  
თვალყურედაც თქვენი ლოთი ბიძა დამინიშნეთ, მაგრამ  
მე ისევე სრულ კკუაზე ვარ, როგორც თქვენი ბრწყინვა-  
ლება! მე ხელთა მაქვს თქვენის ხელით მოწერილი წე-  
რილი, რომელმაც შთამაგონა ისე მოგქცეულიყავ, რო-  
გორც ვიქცეოდი. ვიმედოვნებ, ეს წერილი მე სრულიად  
გამამართლებს, თქვენ კი დიდ სირცხვილში ჩაგაგდებთ.  
იფიქრეთ ჩემზე, რაც გნებავთ, მე რაოდენადმე ვივიწყებ  
ჩემს მორჩილ ნოვალეობას და ვლაპარაკობ, როგორც გიჟად  
მიჩნეული. შეურაცხყოფილი მალვოლიო“.

ო ლ ი ვ ი ა—ეს მან დასწერა?

მ ა ს ხ ა რ ა—მან დასწერა, გრაფის ასულო!

ჰ ე რ ც ო გ ი—ეს არა ჰგავს შეშლილის წერილს!

ო ლ ი ვ ი ა—ფაბიანო, დაუბრუნე მას თავისუფლება

და მოიყვანე აქ საჩქაროდ. (ფაბიანო გადის. ჰერცოგს)

თუ თქვენს დიდებას

ჰსურს, რომ ვუყვარდე, როგორც და და არა ვით ცოლი,

ნება მომეცით გადვიხადოთ ერთდამივ დღეს

ჩემს სასახლეში, ჩემის ხარჯით ორი ქორწილი!

ჰ ე რ ც ო გ ი—მე უდიდესი სიამით და კმაყოფილებით

ვლებულობ თქვენს აზრს. (ვიოლას) აწ ბატონი

განთავისუფლებს,

ხოლო იმ მძიმე და წანგრძლივი სამსახურისთვის,

ჯილდოდ მიიღე ჩემი გული და დღეის შემდეგ

იყავ ბატონის დედოფალი და მბრძანებელი!

ო ლ ი ვ ი ა—თქვენ ჩემი და იქნებით!

(ფაბიანო შემოდის და შემოჰყ ვს მალვოლიო)

ჰ ე რ ც ო გ ი—ეს არის გიჟი?

ო ლ ი ვ ი ა—დიახ, ხელმწიფევე! მალვოლიო, რა დაგემართა?

მ ა ლ ვ ო ლ ი ო—გრაფის ასულო, თქვენ მე ძლიერ

შეურაცხმყავით,

შეურაცხმყავით უღმობლად.

ო ლ ი ვ ი ა—

მე? ოდნავაც არა!

მ ა ლ ვ ო ლ ი ო—დიახ, ნამდვილად! წაიკითხეთ, გრაფის ასულო,

ეს სტრიქონები, თქვენსავ სიტყვებს ხომ ვერ უარჰყოფთ?

აბა დასწერეთ სხვა ხელწერით, თუ შეგიძლიანთ,

ან გამოცვალეთ ასოები, მარცვალთა წყობა,  
სთქვით, რომ ეს კილო და ბეჭედი თქვენ არ გეკუთვნით?  
ამას ვერ შესძლებთ და, ამიტომ, უნდა სთქვათ კიდევ,  
რად გამომიტყდით სიყვარულში ასე აშკარად?  
ან რად მიბრძანეთ, რომ ღიმილით გხლებოდით მუდამ?  
რად მოისურვეთ, რომ გენახეთ ყვითელ წინდებში  
და ჯვარედინად გამონასკვეულ წვევსაკრავებში?  
განა თქვენ თვითონ არ მიბრძანეთ, რომ მე ამაყად  
მოგპყრობოდი თქვენს მსახურთა და თვით სერ ტობისაც?  
და როცა ყველა ამას მორჩილ გულმოდგინებით  
მე ვასრულებდი, რად უბრძანეთ თქვენს ხელქვეითებს  
ჩემი დაქერა და ჩამწყვდევა იმ ბნელ ოთახში?  
შემდეგ კი—მღვდელიც მომიგზავნეთ და მე გამხადეთ  
აწ ყველასათვის სასაცილო ტაკიმასხარა!  
მითხარით, რისთვის? რისთვის მეთქი?

ო ლ ი ვ დ ა —

ვაგლახ, მალვოლიო!

ვალარებ, რომ ეს ნაწერი ჩემს ნაწერსა ჰგავს,  
მაგრამ ეს ჩემი დაწერილი მაინც არ არის!  
ჟუქველია, ეს შარიას ოინებია!  
მახსოვს, პირველად სწორედ იმან შემატყობინა,  
რომ შენ ჰკუიდან შეიშალე! შემდეგ შენ თვითონ  
გამოგვეცხადე მოლიმარი, ყვითელ წინდებში  
გამოწყობილი, ჯვარედინა წვევსაკრავებით,  
როგორც წერილში გვეალება!.. გთხოვ, რომ დამშვიდდე,  
ძლიერ ბოროტად და სასტიკად გაგხუმრებინა!  
როცა ბრალდებულთ აღმოვაჩინეთ მაგ შენს საქმეში,  
თვითვე იქნები მსაჯულიც და მაძიებელიც!

ფ ა ბ ი ა ნ ო —

გრაფის ასულო! სიხარულით ამ სავესე წამებს  
დე, ნუ დაჩრდილავს საჩივარი, ნურც დღევანდელი,  
და ნურც სასჯელი ხვალინდელი... მე ამ იმედით  
გამოგიტყდებით, რომ ხუმრობა მალვოლიოსთან  
გამოვიგონეთ მე და ტობიმ! ჩვენ ამ ხუმრობით  
გვეწადა ოდნავ მაინც ჰკუა გვესწავლებინა,  
ჩვენს მიმართ უხეშ მოპყრობის და ყოყოჩობისთვის!  
წერილი, ტობის ჩაგონებით, შეთხზა მარიამ

და ამის ჯილდოდ სერ ტობი მას ცოლად ამრიგად, ამ ჩვენს ხუმრობაში მზიარულება უფრო მეტია, ვიდრე უფლლი, ან ბოროტება და მას სიცილი უფრო მეტად შეჰფერის, ვიდრე შურისძიება... და თუ განვსჯით ჩვენ პირუთვნელად — შეურაცხყოფაც ორივე მხარეს თანაბრად გვხვდება.

ოლივია — საბრალოვ, როგორ შესძლეს შენი გასულელება! მასხარა — დიახ! „ერთნი იბადებიან დიდებით მოსილნი, მეორენი — დიდებას მოიპოვებენ, ხოლო ზოგიერთს თავს ახვევენ ამ დიდებ-სა!“ ამ კომედიაში მეც ვითამაშე ჩემი როლი, მოწყალენო ხელმწიფენო! მამა ტოპასის შემსრულებელი გახლდით! ეს ჩემთვის ისეთი უბრალო რამ არის: „უფალსა ვფიცავ, მასხარავ, რომ მე გიჟი არა ვარ!“ ხომ გახსოვს შენი ნათქვამი: „მიკვირს, რა სიამოვნება უნდა ჰპოვოს თქვენმა ბრწყინვალეებამ ამ უნიკო არამზადის ყბედობაში! თქვენ რომ გაცინება არ ინებოთ, თვითონ პირის გაღებასაც ვერ მოახერხებდა!“ დრო ჩარხი არის, ის ტრიალებს შეუჩერებელი და თან თავისი უღმობელი განკითხვა მოაქვს!

მალგოლიო — მე გადაუხზდი მაგ თქვენს ხროვას სამაგიეროს!  
(გადის)

ოლივია — ახ, საბრალოსთვის რა სასტიკად დაუცინიათ!  
ჰერცოგი — წამოეწიეთ, დააბრუნეთ და შეარიგეთ!  
მას კაპიტანზე უნდა ვკითხოთ ჩვენ დაწვრილებით და როს შევიტყობთ ყოველივეს, უკვე დადგება დრო სანეტარო ქორწინებით შეერთებისა!  
ხოლო მანამდე შენთან ვრჩებით, კეთილო დაო! წავიდეთ, ჩემო ცეზარიო! შენ ვაჟად რჩები, სანამ არ გნახავ გამოწყობილს ქალის სამოსში!  
მაშინ კი ამ გულს სამუდამოდ დაეუფლები და სიყვარულის დედოფალი გახდები ჩემი.  
(გადიან ყველანი, მასხარას გარდა)

მასხარა — (მარტო)  
მაშინ, როცა ვიყავი პატარა ბიჭუკელა, —  
ჰეი, ჰო! წვიმა, ქარი, აედარი არაფრად მიჩნდა ყველა!

მარტოოდენ სულელურ სათამაშოებით მე  
ვერთობოდი, რადგანაც წვიმდა, წვიმდა ყოველდღე!

• მაგრამ როს დავვაჟაკდი, როცა შევიქმენ დიდი, —  
ჰეი, ჰო! წვიმას, ქარსა და ავდარს კიდევ არაფრად  
ვთვლიდი!

ქურდ, არამზადებისათვის კარს ღია არ ტოვებდნენ,  
რადგან ავდარი იყო: წვიმდა, წვიმდა ყოველდღე!

როცა საუბედუროდ, ვაგლახ, შევიროთე ცოლი, —  
ჰეი, ჰო! სულაც არაფრად მიჩნდა წვიმა, ქარი და თოვლი!

კვებნითა და ტრახახით შვება ვერსად ვბოვე მე,  
რადგან ავდარი იყო: წვიმდა, წვიმდა ყოველდღე!

ლოთი და ნამთვრალევი, როს საწოლში ვწვებოდი, —  
ჰეი, ჰო! წვიმას, ქარსა და ავდარს მაინც ვეურჩებოდი!

თავი გამობრუებული მქონდა, ისე მოვეწყე,  
რადგან ავდარი იყო: წვიმდა, წვიმდა ყოველდღე!

ოდითგანვე ასეა ეს ცრუ წუთისოფელი:

ჰეი, ჰო! წვიმა, ქარი, ავდარი არაფრად ჩანს ყოველი!

მაგრამ ეს სულერთია: დამთავრდა წარმოდგენა  
და ვეცდებით ყოველდღე გასიამოვნოთ თქვენა.

(გადის)

## მოკმედნი პირნი

დონ-პედრო—არაგონიის პრინცი.

დონ-ხუანი—მისი უკანონო ძმა.

კლავდიო—ფლორენციელი ახალგაზრდა თავადი.

ბენედიქტი—პადრუელი ახალგაზრდა თავადი.

ლევონტო—მესინის მთავარმმართველი.

ანტონიო—მისი ძმა

ბალთაზარი—დონ-პედროს მსახური.

ბორაჩიო }  
 კონრადი } — დონ-ხუანის მზღებელი.

შინდი—კონსტებლი.

ფურჯი—მამასახლისი.

ბერი ფრანცისკი

მნათე

ბიჭი

ჰერო—ლევონტოს ასული.

ბეატრიჩე—ლევონტოს ძმისწული.

მარგარეტი }  
 ურსულა } — ჰეროს მზღებელი ქალები.

შიკრიკები, მცველები, მზღებლები და სხვ. მოკმედების ადგილი—  
 მესინა.



## მოქმედება პირველი

### სურათი I

ლეონატოს სახლის წინ.

(შემოდინ ლეონატო, ჰერო, ბეატრიჩე, შიკრიკი და სხვები)

ლეონატო—ეს წერილი მაცნობებს, რომ დონ-პედრო არა-გონიელი ამაღამ მესინას მოდის.

შიკრიკი—ეს თითქმის ასეა, მე ის სამიოდე ეჯის სავალზე დავტოვე.

ლეონატო—რამდენი აზნაური დაჰკარგეთ ამ ბრძოლაში?

შიკრიკი—საერთოდ ძლიერ ცოტა; სახელოვანი კი—არც ერთი.

ლეონატო—გამარჯვება ორკეცდება, როცა გამარჯვებული უდანაკლისოდ ბრუნდება შინ. აქ ნათქვამია, რომ დონ-პედრომ დააჯილდოვა ფლორენციელი ჭაბუკი კლავდიო.

შიკრიკი—დიდი დამსახურება მიუძღვის და დონ-პედრო-მაც შესაფერისად დააფასა იგი. თავის წლოვანებასთან შედარებით მოლოდინს გადააჭარბა. გარეგნობით თითქოს კრავსა ჰგავს, მაგრამ ლომივით კი იბრძოდა. მან მართლაც იმდენად გადააჭარბა ყოველგვარ მოლოდინს, რომ ჩემგან აღარც კი უნდა ელოდეთ მისი ამბის მოყოლას.

ლეონატო—კლავდიოს ბიძა ჰყავს აქ, მესინაში. ეს ამბავი მას დიდად გაახარებს.

შიკრიკი—ბიძაშისს მე უკვე გადავეცი წერილები და მარ-



თლაც დიდად გახარებული სჩანს. ისე გაიხარა, როგორც სიხარულის დასამდგომებლად სიმწარეც კი აღიბეჭდა სახეზე.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ცრემლები ხომ არ წასკდა?

შ ი კ რ ი კ ი — და მერე როგორ!

ლ ე ო ნ ა ტ ო — კეთილი გრძნობების საამო მოზღვაება! არ არსებობს უფრო გულწრფელი სახე, ვიდრე ამგვარად განბანილი! რაოდენ უმჯობესია სიხარულისაგან ტიროდღე, ვიდრე ტირილი გიხაროდეს.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — ნება მიბოძეთ გკითხოთ, სინიორ ბლაგვი დაშნა დაბრუნდა. თუ არა ომიდან?

შ ი კ რ ი კ ი — ამგვარს არავის ვიცნობ, ქალბატონო, ასეთი კაცი ჩვენს ლაშქარში არა ყოფილა.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ვის კითხულობ, ჩემო ძმისწულო?

ჰ ე რ ო — ჩემი ბიძაშვილი სინიორ ბენედიქტ პადუელს გულისხმობს.

შ ი კ რ ი კ ი — ო! ის დაბრუნდა და ისევე მხიარულია, როგორც ყოველთვის.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — მან გამოაცხადა აქ, მესინაში რომ ის სროლაში ეჯიბრება კუპიდონს: ბიძაჩემის მასხარამ წაიკითხა გამოწვევა და კუპიდონის მაგიერ მოაწერა ხელი — ბლაგვი ისარი სროლაში გამოიწვია\*. ერთი ეს მითხარით, რამდენი მოჰკლა და შესჭამა ბენედიქტმა ამ ლაშქრობაში? ესე იგი, რამდენი მოჰკლა? რადგან მე პირობა მივეცი მისი ყოველი ნანადირევი გიახლოთ.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ჩემო ძმისწულო, შენ მართლაც ძალიან გადაეკიდე სინიორ ბენედიქტს, მაგრამ ეჭვი არა მაქვს, ის შენ გაგისწორდება.

შ ი კ რ ი კ ი — ამ ომებში, ქალბატონო, მან დიდი სამსახური გაგვიწია.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — უთუოდ დაობებული სანოვაგე გექნებოდათ და

\* ბლაგვი ისრებს ჩიტებს ესროდნენ, რათა დაუჭრელად ძირს ჩამოეგდათ ისინი. იგივე ისრები ხუმარათა ტრადიციულ ატრიბუტს წარმოადგენდნენ.

ის მოგეშველებოდათ ჭამაში. მამაკი ჯამილოკიაა. შესა  
ნიშნავი შადა აქვს.

შიკრიკი—არც მეომარია ურიგო, ქალბატონო.

ბეატრიჩე—კარგი მეომარია ქალთან, მაგრამ ვაჟკაცთან როგორილაა?

შიკრიკი—ბატონთან—ბატონია, ვაჟკაცთან—ვაჟკაცი, სავსე და სრული ყოველგვარი ღირსეული სათნოებით.

ბეატრიჩე—ეგ მართალია: ის სავსე და სრული კაცია, მაგრამ რაც შეეხება ამ მეტისმეტ სისავსეს... თუმცა, ჩვენ ყველანი მოკვდავნი ვართ.

ლეონატო—ცუდად არ გაიგოთ, ბატონო, ჩემი ძმისწულის ნათქვამი: მას სინიორ ბენედიქტთან რალაც სალალობო ომი აქვს. ეგენი ერთმანეთს ისე არ შეხვდებიან, სახუ-მარო პაექრობა არ გამართონ.

ბეატრიჩე—მაგრამ ვაი, რომ ის ვერაფერს აღწევს. ჩვენი უკანასკნელი შეტაკების დროს მისი გონების ხუთ უნართაგან \* ოთხი გაექცა და ახლა მთელი კაცი ერთი მათგანის ანაბარადაა. თუ კი მას ეს უნარა იმდენად მაინც შერჩენია, რომ როგორმე თავი გაიტანოს, დაე შერჩეს მისი ცხენისაგან განსასხვავებლად. რადგან ეს არის მთელი მისი ავლადიდება, რაც მას შერჩა იმისათვის, რომ გონიერ არსებად იცნონ. ვინ არის ახლა მისი ამხანაგი? ის ხომ ყოველთვიურად იცვლის ძმადნაფიცებს.

შიკრიკი—ნუთუ ეგ შესაძლებელია?

ბეატრიჩე—რატომაც არ არის შესაძლებელი? მას ერთგულება ისე სწამს, როგორც ქუდის ახალი მოდა. იგი ყოველ ახალ გოგრაზე სცვლის თავის რწმენას.

შიკრიკი—როგორც ჩანს, ქალბატონო, თქვენ მას ცუდი თვალთ უყურებთ.

ბეატრიჩე—ასე რომ არ იყოს, ბრმა ვიქნებოდი. მაინც მითხარით, ვინ არის მისი ამხანაგი? ნუთუ ისეთი თავზე

\* გონების ხუთ უნარად ითვლებოდა: სალი აზრი, წარმოდგენა, გამომგონებლობა, მსჯელობის უნარი და მეხსიერება. როგორც ჩანს ბენედიქტს შერჩა მხოლოდ პირველი.



ხელაღებული ახალგაზრდა აღარ აღმოჩნდა, რაღა მოხდა?  
ერთად ჯანდაბამდე იაროს?

შიკრიკი—იგი უფრო კეთილშობილ კლავდიოს მეგობრობს.

ბეატრიჩე—ოჰ, ღმერთო! სნებასავით შეეყრება კლავდიოს:  
შავი ჭირივით ეკიდება კაცს და ვ საც შეეყრება, მაშინ-  
ვე ქკუას აკარგვინებს. ღმერთო, დაიხსენ კეთილშობილი  
კლავდიო! თუ ბენედიქტი შეეყარა, ათასი გირვანქაც კი  
არ ეყოფა სამკურნალოდ.

შიკრიკი—მიზილეთ თქვენს მეგობრად, ქალბატონო.

ბეატრიჩე—კეთილი, ვიყოთ მეგობრები.

ლეონატო—შენ კი, ჩემო ძმისწულო, არასოდეს შეიშლები  
ქკუიდან.

ბეატრიჩე—იმ დრომდე, ვიდრე იანვარი არ დამაცხუნებს.

შიკრიკი—დონ-პედრო მობრძანდება!

(შემოდის დონ-პედრო, დონ-ხუანი, კლავდიო, ბენედიქტი,  
ბალთახარი და სხვები)

დონ-პედრო—კეთილო სინიორ ლეონატო, თვითონვე ცდი-  
ლობთ საზრუნავი გაიჩინოთ: ამ ქვეყნად ყველა გაურბის  
ხარჯებს, თქვენ კი, პირიქით, თვითონ დაეძებთ.

ლეონატო—საზრუნავი არასოდეს შემოსულა ჩემს სახლში  
თქვენი ბრწყინვალეების სახით. როცა საზრუნავი ჰქრება  
ხოლმე, მყუდროება დგება. მაგრამ როდესაც თქვენ  
მიბრძანდებით ჩემგან, ბედნიერება გეტოვებს და გარშემო  
სევდა ისადგურებს.

დონ-პედრო—თქვენ მეტად გულუხვი ბრძანდებით. ეს,  
ვგონებ, თქვენი ქალია.

ლეონატო—დედამისს ბევრჯერ უთქვამს ეს ჩემთვის.

ბენედიქტი—ეჭვი ხომ არ გ პარებოდათ, ამას რომ ეკით-  
ხებოდით?

ლეონატო—არა, სინიორ ბენედიქტ, თქვენ იმ დროს ბალდი  
იყავით.

დონ-პედრო—ესეც თქვენ, ბენედიქტ, ახლა გასაგებია, რა  
კაციც დამდგარხარ. ქალი პირწავარდნილი მამაა. იყა-  
ვით ბედნიერი, ქალბატონო! თქვენ ასე ჰგავხართ პატივ-  
ცემულ მამათქვენს.

- ბენედიქტი—თუმცა ლეონატო მამამისია, მაინც ეს ქალი მთელი მესინის გულისთვისაც კი არ დათანხმდება, რომ მამამისის თავი ედგას მხრებზე, თუმცა ძალიანაც ჩამოკვას მამას.
- ბეატრიჩე—მიყვირს, ამდენს ლაუბობთ, სინიორ ბენედიქტ, ხომ ხედავთ, არავინ გიგდებთ ყურს.
- ბენედიქტი—ოჰ, ჩემო ძვირფასო ქალბატონო გულზვიადობავ! თქვენ კიდევ ცოცხალი ხართ?
- ბეატრიჩე—განა შესაძლებელია გულზვიადობა მოკვდეს, როდესაც იგი ისეთი ნოყიერი საზრდოთი იკვებება, როგორც სინიორ ბენედიქია? როცა თქვენ გამოჩნდებით, თვით ზრდილობა იქცევა ხოლმე გულზვიადობად.
- ბენედიქტი—მაშ, ზრდილობა მოღალატე ყოფილა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ყველა ქალს ვუყვარვარ თქვენს გარდა. მე კი გულწრფელად ვწუხვარ, რომ ასეთი უგრძობელი გული მაქვს და არც ერთი მათგანი არ მიყვარს.
- ბეატრიჩე—რა დიდი ბედნიერებაა იმ ქალეისთვის! რა გაუძლებდა ამისთანა აბეზარ მოტრფიალეს! მადლობა ღმერთს, რომ მეც ცივი სისხლი მაქვს და ამაში მაინც გგავართ! მე მიჩრჩინიან ჩემს ძალს მივუგდო ყური, როდესაც იგი ყვავს უყვეს, ვიდრე მამაკაცის სასიყვარულო ფიცი ვისმინო.
- ბენედიქტი—ღმერთმა ნუ მოუშალოს თქვენს მოწყალებას ეგეთი აზრები! ცოტა მამაკაცი როდი გადარჩება სახის დაკაწვრას.
- ბეატრიჩე—თუ იმათი სახეც თქვენს სახესა ჰგავს, არა მგონია დაკაწვრამ უფრო დაამახინჯოს.
- ბენედიქტი—თქვენ საუცხოო მასწავლებელი იქნებოდით თუთიყუშისათვის\*.
- ბეატრიჩე—ჩემისთანა ყბელი ფრინველი სჯობია თქვენისთანა პირუტყვს.
- ბენედიქტი—ჩემს ცხენს ვუსურვებ თქვენი ენის სისწრაფეს და დაუღლელობას. თუმცა, განაგრძეთ, ღვთის გულისათვის, მე დავამთავრე.

\* იგულისხმება თუთიყუშებისათვის ცუდი სიტყვების სწავლება.

ბეატრიჩე—თქვენ მუდამ ჯაგლაგი ცხენის ხუმრობებით  
თავრებით ხოლმე ლაპარაკს. დიდი ხანია გიცნობთ.

დონ-პედრო—კეთილი, ლეონატო\*. სინიორ კლავდიო და  
სინიორ ბენედიქტ, ჩემი ძვირფასი მეგობარი ლეონატო  
გპატიებთ ყველას. მე ვეუბნები, აქ ერთ თვეს მაინც  
დავრჩებით მეთქი, მაგრამ ის გულწრფელად ნატრობს,  
რომ რაიმე შემთხვევამ უფრო მეტ ხანს დაგვაყოვნოს  
აქ. მზადა ვარ დავიფიცო, რომ ეს თვალთმაქცობა კი  
არა, გულითადი სურვილია.

ლეონატო—ეგ არ იქნება ცრუ ფიცი, ბატონო ჩემო.  
(დონ-ხუანს) ნება მიბოძეთ, მშვიდობით მობრძანება მო-  
გილოცოთ, ბატონო ჩემო! რაკი თქვენს ძმას შერიგე-  
ბიხართ, მეც მზად ვარ გემსახუროთ.

დონ-ხუანი—გმადლობთ, მე მჭერმეტყველი არა ვარ: გმად-  
ლობთ.

ლეონატო—ხომ არ წამობრძანდება თქვენი ბრწყინვალეობა?

დონ-პედრო—მომეცით ხელი, ლეონატო, ერთად შევიდეთ.  
(ყველანი გადიან გარდა ბენედიქტისა და კლავდიოსი)

კლავდიო—ბენედიქტ, შენიშნე სინიორ ლეონატოს ქალი?

ბენედიქტი—შენიშნით არ შემინიშნავს, დავინახე კია.

კლავდიო—ხომ მოკრძალებული ქალია?

ბენედიქტი—ისე მეკითხებით, როგორც პატიოსან კაცს  
და გნებავთ შეიტყოთ ჩემი ნამდვილი აზრი, თუ მიბრ-  
ძანებთ, ჩემი ჩვეულების თანახმად, გიპასუხოთ, რო-  
გორც ქალთა სქესის მოსისხლე მტერმა?

კლავდიო—არა, გთხოვ, შენი ნამდვილი აზრი გამაგებინო.

ბენედიქტი—გფიქრობ, ის მეტად დაბალია მაღალი ქები-  
სათვის, შავგვრემანია ნათელი ქებისათვის და პატარაა  
დიდი ქებისათვის. აი, ყველაფერი, რაც მის სასარ-  
გებლოდ მეთქმის. სხვანაირი რომ ყოფილიყო, ულამა-  
ზო იქნებოდა; ისეთი კი, როგორიც არის, მე არ მომ-  
წონს.

---

\* ბენედიქტისა და ბეატრიჩეს კამათის დროს დონ-პედრო ჩუმად ელა-  
პარაკებოდა ლეონატოს.

კლავდიო—გონია, გეხუმრები? გთხოვ, გემუდარები, ხარი ნამდვილად, როგორ მოგეწონა?

ბენედიქტი—ყიდვას ხომ არ აპირებთ, რა ძალიან იძიებთ?

კლავდიო—განა მაგისტანა ძვირფას ქვას ფასი დაედება?

ბენედიქტი—რამდენიც გინდა; შესანახი ბუდეც კი მოეძებნება. მაგრამ თქვენ მართლა ამბობთ, თუ ისე, ტყუილუბრალოდ ლაყბობთ, როგორც ცრუბენტელა, თითქოს კუპიდონი კურდღლების კარგი მონადირეა და ვულკანი—იშვიათი ხურო? \* არ შეიძლება თქვათ, რა ჰანგზე მღერით, რომ მეც შეგიწყოთ ხმა?

კლავდიო—მე თუ მკითხავ, მაგისტანა ლამაზი ქალი არ შემხვედრია.

ბენედიქტი—ჯერჯერობით სათვალეებს არა ვხმარობ და მაგის მსგავსს ვერაფერს ვხედავ. სულ სხვაა მისი ბიძა-შვილი. ალქაჯისაგან რომ არ იყოს შეპყრობილი, ისე აჯობებდა ჰეროსს, როგორც მაისის დასაწყისი—დეკემბრის დასასრულს. მაგრამ იმედი მაქვს ქმრად გახდომას არ აპირებთ? თუ უკვე დააპირეთ?

კლავდიო—ჩემს თავსაც ვერ დაუუჯერებდი, წინააღმდეგი რომ დამეფიცა, თუ კი ჰერო იქნებოდა ჩემი ცოლი.

ბენედიქტი—ნუთუ იქამდე მივიდა საქმე? ნუთუ ქვეყნად არ მოიპოვება ისეთი კაცი, რომელიც ქულს ისე დაიხურავს, რომ ეჭვი არავის\* აღუძრას? \*\* ნუთუ ვერასოდეს ვნახავ სამოცი წლის უცოლოს? თუმცა რა? ღმერთმა ხელი მოგიმართოს! დაიდგი ქედზე უღელი, ატარე მისი ნიშანი და გამოეთხოვე მოსვენებას. შეხედე, დონ-პედრო შენს საძებრად მოდის. (შემოდის დონ-პედრო)

დონ-პედრო—რა საიდუმლოებამ შეგაჩერათ, რომ ლეონატოს არ ეახელით.

ბენედიქტი—მე ვისურვებდი, რომ თქვენმა ბრწყინვალეობამ მაიძულოს ვილაბარაკო.

დონ-პედრო—გიბრძანებ, როგორც ქვეშევრდომს.

\* უაზრობის მაგალითებია, რადგან კუპიდონს ყოველთვის თვალები აქვს ახვეული, ვულკანი კი კარგი მჭედელია და სრულიადაც არ არის ხურო.

\*\* იგულისხმება მოტყუებული ქმრის რქები, ქულის ქვეშ მოთავსებული.



ბენედიქტი—ხომ გესმით, გრაფ კლავდიო? მე შემიძლია მუნჯივით დავდუმდე. მაგრამ ჩემი ქვეშევრდომობა? გაუწყებთ როგორც ქვეშევრდომი—ის შეყვარებულია. ვინ უყვარს? ეს თქვენი ბრწყინვალეების საქმეა. ნახეთ, რა მოკლეა მისი პასუხი: ტანმორჩილი ჰერო, ლეონატოს ქალი.

კლავდიო—ასე რომ იყოს, სხვანაირად არც ითქმებოდა. ბენედიქტი—როგორც ძველ ზღაპარშია, ბატონო ჩემო, ეს არც ასეა და არც ასე იყო, თუმცა ღმერთმა დაგიფაროს, რომ მართლაც ასე იყოს.

კლავდიო—თუ ჩემი გრძნობა მალე არ გაივლის, ღმერთმა ნუ ჰქმნას ასე არ იყოს?

დონ-პედრო—ამინ, თუ გიყვარს. ის სავსებით ღირსეული ქალია.

ბენედიქტი—ამას იმიტომ ბრძანებთ, რომ მეც გამაბათ, თქვენო ბრწყინვალეზავ?

დონ-პედრო—გარწმუნებ, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

კლავდიო—გეფიცებით, მეც ჩემსას მოგახსენებთ, ბატონო ჩემო.

ბენედიქტი—ორგზის გარწმუნებთ და ორგზის გეფიცებით, რომ მეც იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

კლავდიო—ის რომ მიყვარს, მე ამას ვგრძნობ.

დონ-პედრო—ის რომ ამის ღირსია, მე ეს ვიცი.

ბენედიქტი—მე კი არც მესმის, თუ როგორ შეიძლება მისი შეყვარება და არც ვიცი რატომ არის ის ამის ღირსი. ამ აზრს ცეცხლიც ვერ ამოზუგავს ჩემი არსებიდან. ამ რწმენით მოვკვდები კოცონზე.

დონ-პედრო—შენ ყოველთვის ჯიუტი ჰერეტიკოსი იყავი და მშვენიერი სქესის მოძულე.

კლავდიო—და ახლაც მხოლოდ კერპობით იცავს თავის აზრს.

ბენედიქტი—იმისათვის, რომ ქალმა დამბადა, მადლობელი ვარ მისი. მანვე აღმზარდა, —ამისთვისაც უმდაბლეს მადლობას ვწირავ. მაგრამ მაპატიოს ყველა ქალმა,



თუ ჩემს შუბლზე რქების საყვირი ვერ ავიტანო და ვერც  
უხილავ თასმაზე \* ჩამოვიკიდო რქის საყვირი. რომ საწყენად არ ჩამომართვას რომელიმე მათგანმა ეს ჩემი უნდობლობა, ჩემს თავს უფლებას ვაძლევ არც ერთ მათგანს არ დაეუჯერო. ბოლოს კი ყველაფერი იმით გათავდება, რათა არ მოვტყუვდე, რომ უცოლო დავრჩები.

დონ-პედრო—ისე არ მოგკვდები, შენი სახე, სიყვარულით გაფითრებული არა ვნახო.

ბენედიქტი—რითაც ვნებავთ, რისხვით, ავადმყოფობით ან შიშნაობით, ბატონო ჩემო, სიყვარულით კი არა. თუ ოდესმე სიყვარულმა სახის ელფერი ისე დამიკარგა, რომ ღვინის სმამაც ფერზე ვერ მომიყვანა, თვალები მოლექსის კალმით დამთხარეთ და ჩამომკიდეთ, როგორც აბრა საროსკიპოს კარზე, ბრუციანი კუბიდონის მაგიერ.

დონ-პედრო—იცოდე, თუ ოდესმე მაგ აზრებს უღალატე, ქვეყნის სასაცილო გახდები.

ბენედიქტი—თუ ვუღალატო, ჩამკიდეთ ქილაში კატასავით, ნიშანში ამომიღეთ და, ვინც მომარტყამს, დაჰკარით მხარზე ხელი და უწოდეთ ადამი\*\*.

დონ-პედრო—მაგას დრო გვაჩვენებს: „დრო მოვა, უღელს შეეჩვევა ველური ხარიც“\*\*\*.

ბენედიქტი—ველური ხარი შესაძლოა შეეჩვიოს, მაგრამ თუ ოდესმე გონიერმა ბენედიქტმა დაიდგას ქედზე უღელი, მაშინ ხარის რქები მის შუბლზე გადმოსხით, თუ ვნებავთ დაჯღაბნეთ მისი სურათი და დიდი ასოებით, როგორც აცხადებენ ხოლმე, „აქ ქირავდება კარგი ცხენი“, ზედ დააწერეთ: „აქ შეგიძლიანთ ნახოთ ბენედიქტი, ცოლიანი კაცი“.

კლავდიო—ასე რომ მოხდეს, შენ უსათუოდ რქენას დაიწყებ.

\* განსხვავებით ზილული თასმისაგან, რომელზედაც ჰკიდია მონადირის საყვირი.

\*\* ადამ ბელლი—ბალადებში შექმნილი ცნობილი ინგლისელი მოთხრობის ავტორი.

\*\*\* ეს სტრაქონი ამოღებულია კიდის „ესპანური ტრაგედიიდან“.



დონ-პედრო—არა, თუ კუპიდონმა თავისი კაპარტუნი  
 ციაში მთლად არ დასცალა, შენც მალე ავაკანკალებს\*.

ბენედიქტი—უმალ დედამიწა იძვრის და აკანკალებს.

დონ-პედრო—არა უშავს რა, დრო გამოვცვლის! ახლა კი,  
 კეთილო სინიორ ბენედიქტ, შეიარე ლეონატოსთან, მო-  
 მიკითხე და უთხარი, რომ ვახშმად უეჭველად ვეახლე-  
 ბით. მართლა დიდი სამზადისი აქვს.

ბენედიქტი—ამ დავალებას კი შეეასრულებ. მაშ ასე, მაქვს  
 პატივი...

კლავდიო—...წყალობით ღვთისა, ჩემს სახლში, რომ მქონ-  
 დეს იგი...

დონ-პედრო—...ივლისის ექვსსა დღესა. თქვენი მოსიყვა-  
 რულე მგობარი ბენედიქტი\*\*.

ბენედიქტი—კმარა, კმარა ოხუნჯობა. თქვენი ხუმრობა  
 ძველი კონკებისაგან არის შეკერილი და ეგ ძონძები  
 თავს ძლივს იმაგრებს. უმჯობესია საკუთარ სინი-  
 დისში ჩაიხედოთ, ვიდრე ძველ წერილებს მოუნახოთ  
 ახალი ბოლოები. ახლა კი გტოვებთ. (გადის)

კლავდიო—ჩემო მეუღლე! მომეხმარეთ, რაც შეგიძლიათ.

დონ-პედრო—ჩემო კლავდიო, თვითონ იცი, რარიგ  
 მიყვარხარ.

მითხარ ყოველი და გაჩვენებ, როგორ ადვილად, თუ  
 შენ ეს გარგებს,

მე გადავჭრი უმძიმეს საქმეს.

კლავდიო—ბატონო ჩემო, ლეონატოს არა ჰყავს ვაჟი?

დონ-პედრო—არავინ. ჰერო ერთადერთი არის მემკვიდრე.  
 რაო, კლავდიო, მოგეწონა?

კლავდიო— ბატონო ჩემო!  
 როდესაც თქვენ ამ ლაშქრობისთვის ემზადებოდით,

\* ვენეცია სხვა ქალაქებზე მეტად იყო სახელგანთქმული სასიყვარულო  
 თავგადასავალით.

\*\* კლავდიო და დონ-პედრო 'წარმოსთქვამენ ვითომ ბენედიქტის მიერ  
 დაწერილი სასიყვარულო ბარათის უკანასკნელ სტრიქონებს. ექვს ივლისს—  
 ივანობის წინაღღეს—ცრუმორწმუნეთა აზრით სიყვარულის გრძნეული  
 ძალა განსაკუთრებით მოქმედებს.

მე ის შევნიშნე, მაგრამ თვალი ჯარისკაცისა დაფანტულია. ჩემს წინ დიდი საქმენი იყვნენ. როცა საომრად მიხვალ, რა დროს სიყვარულია! ახლა დავბრუნდი და მეომრის ფიქრები უკვე გამშორდნენ და დღესმათ სანაცვლოდ ნაზი და წყნარი სურვილები და ოცნებები მოგროვდნენ ტკბილი. ჩამჩურჩულებენ, რა ლამაზი არისო ჰერო, მეუბნებიან, გიყვარდაო ომში წასვლამდე.

დონ-პედრო—ვხედავ, შენ უკვე ჭეშმარიტი მიჯნური გახდი და შენსა მსმენელს დაღლის შენი სიტყვამრავლობა. თუ გიყვარს ჰერო, დე გიყვარდეს. მე შევეცდები ქალი და მამაც დავითანხმო. ჰეროს შეირთავ! განა ასეთი დასასრული არ გქონდა მიზნად, როცა ასეთი გრძელი ამბის ქსოვა დაიწყე?

კლავდიო—როგორ გცნობიათ სიმძიმელი სიყვარულისა და როგორ უვლით ამ სიყვარულს ნაზი ალერსით! მე კი ვცდილობდი დამეძირა გრძნობა სიტყვებით, რადგან ვშიშობდი ნაჩქარევი არ გგონებოდათ.

დონ-პედრო—ვიწრო ნაკადულს განიერი რად უნდა ხიდი? ყველაფერს ის სჯობს, რასაც ითხოვს საჭიროება. აქ სულ უბრალო ამბავია: შენ გიყვარს ჰერო, მე კი მზადა ვარ დაგეხმარო და გიმკურნალო. ამაღამ დიდი ზეიმია, შენც კარგად იცი.

მე იქ შენს ნაცვლად გადაცმული გამოვცხადდები და ვეტყვი ჰეროს, მე ვარ მეთქი გრაფი კლავდიო. გულს გადავუშლი და მოვხიბლავ, ტყვედ ვქმნი მის სმენას,

მოულოდნელი სიყვარულის მძლავრი მოთხრობით; მერმე ვიპოვი მამამისსაც, ყველაფერს ვეტყვი, და საბოლოოდ—სხვა რა გინდა? დაგრჩება ქალი. ახლა კი უნდა დაჩქარებით შევუდგეთ საქმეს.

(გადიან)







მაგრამ აღიარებენ, რომ აშკარა არამზადა ვარ. დობიან, თუ ალიკაპი მაქვს ცხვირზე წამოცმული და თავისუფლებას მაძლევენ, თუ დაბორკილი ვარ. ამიტომ გადავწყვიტე აღარ ვიმღერო გალიაში. პირი რომ გამითავისუფლონ—კბენას დავიწყებ; თავისუფლება რომ მომცენ—ისე მოვიქცევი, როგორც მომეპრიანება. ჯერ-ჯერობით კი დამტოვე იმად, რაცა ვარ და ნუ ეცდები შემცვალო.

კონრადი—ნუთუ არ ძალგიძთ ალაგმოთ თქვენი უკმაყოფილება?

დონ-ხუანი—მე მხოლოდ მას ვაძლევ თავისუფლებას, მხოლოდ მას. ეს ვინ მოდის? (შემოდის ბორაჩიო) რა ამბავია, ბორაჩიო?

ბორაჩიო—მოვდივარ დიდებული ვახშმიდან, ლეონატო მეფურად უმასპინძლდება თქვენს ძმას პრინცს. შემიძლიან შეგატყობინოთ ახალი ამბავიც. მზადდება ქორწილი.

დონ-ხუანი—იქნებ გამომადგეს ეს ამბავი რაიმე ხრიკის მოსაწყობად? ვინ არის ის სულელი, რომელიც შფოთზე ჯვარს იწერს?

ბორაჩიო—თქვენი ძმის მარჯვენა ხელი.

დონ-ხუანი—ვინ? კლავდიო?

ბორაჩიო—სწორედ ის.

დონ-ხუანი—ნამდვილი რაინდი! ვის ირთავს? ვის ირთავს? საითკენ უმიზნებს?

ბორაჩიო—ჰეროს, ლეონატოს ქალს და ერთადერთ მემკვიდრეს.

დონ-ხუანი—სწრაფად შებუმბლილა ბარტყი! მერმე, როგორ გაიგე ეგ ამბავი?

ბორაჩიო—ნაბრძანები მქონდა სურნელი მეკმია ოთახში. შესვლისას დავინახე, პრინცი და კლავდიო ხელიხელ ჩაკიდებულნი მოდიან და დინჯი თათბირი აქვთ გამართული. მივიმალე ხალიჩის უკან და იქ გავიგონე, რომ პრინცს უნდა ითხოვოს ჰერო და თანხმობის მიღების შემდეგ გადასცეს გრაფ კლავდიოს.

დონ-ხუანი—დიდებულია, დიდებული! ამას ჩავკიდოთ ხელს!  
აქ კი შემიძლიან გადმოვანთხო ჩემი გულის ბოლმა, ეგ  
ძუძუმწოვარა არის მიზეზი ჩემი დაცემისა. თუ მოვა-  
ხერხე და გზა გადავუჭერი, ეს მე თვითონ გამიხსნის  
გზას. ხართ თუ არა ორივე ერთგული და დამეხმარე-  
ბით, თუ არა?

კონრადი— }  
ბორაჩიო— } კუბოს ფიცრამდე, ბატონო ჩემო.

დონ ხუანი—მაშ მივაშუროთ ამ დიდებულ ვახშამს, იგი  
მით უფრო საამურია მათთვის, რომ მე შერისხული ვარ.  
მზარეულიც რომ ჩემს აზრებს იზიარებდეს! წავიდეთ,  
იქ გამოჩნდება, რა უნდა ვაკეთოთ.

ბორაჩიო—მზად ვართ ვემსახუროთ თქვენს ბრწყინვალეებას.

(გადიან)

## მოძველება მეორე

### სურათი I

დარბაზი ლეონატოს სახლში.

(შემოდინ ლეონატო, ანტონიო, ჰერო, ბეატრიჩე და სხვები)

ლეონატო—გრაფი ხუანი ვახშმად არა ყოფილა?

ანტონიო—არ მინახავს.

ბეატრიჩე—რა უეჭურად გამოიყურება ეგ ჯენტლმენი.  
როგორც კი შევხედავ, მაშინვე გულის წვა მეწყება  
ხოლმე.

ჰერო—დიახ, მეტად სევდიანად არის განწყობილი.

ბეატრიჩე—რა შესანიშნავი კაცი გამოვიდოდა, სწორედ  
საშუალოს აღება რომ შეიძლებოდეს ბენედიქტსა და  
ხუანს შორის: ერთი მუდამ ენაჩავარდნილია, როგორც  
კერპი; მეორე კი, დიდ ქალბატონთა პირმშოს ჰგავს,  
მუდამ ტიკტიკებს.

ლეონატო—ბენედიქტის ენის ნახევარი გრაფ ხუანს რომ  
მისცა და გრაფ ხუანის სევდის ნახევარი ბენედიქტს...

ბეატრიჩე—მოუმატეთ მაგას მოყვანილი ფეხი, ბიძაჩემო,  
კობტა ტერფი და ქისაში საკმაო ფული,—ასეთი კაცი  
ყოველი ქალის გულს მოინადირებდა, თუ კი ქალის  
მოწყალებას დაიმსახურებდა.

ლეონატო—გარწმუნებ, ჩემო ძმისწულო, ვერასოდეს გათ-  
ხოვდები, თუ ენას ლაგამი არ ამოსდე.

ანტონიო—ენა, მართლაც მეტად ავი აქვს.





**ბეატრიჩე**—მეტად ავი მეტია, ვიდრე ავი. ამის გამო ღვეწის ერთერთ ნიჭს ვკარგავ: ამბობენ, ღმერთი რქენია ძროხას მოკლე რქებს აძლევსო. მეტად რქენიას ალბათ სულაც აღარ მისცემს.

**ლეონატო**—გგონია, ღმერთი რქებს არც შენ მოგცემს?  
**ბეატრიჩე**—დიახ, თუ ქმარს არ მომცემს, რაზედაც დღეღამ ვევედრები მუხლმოდრეკილი. ღმერთო, ვერ ავიტან წვერიან ქმარს. მირჩენია მატყლის საბანში უხეწოროდ ვიძინო.

**ლეონატო**—შეიძლება უწვერული შეგხვდეს.

**ბეატრიჩე**—მერე მაგისთანას რა უნდა ვუყო. ჩემი კაბა ჩავაცვა და მხეველად დავიყენო? წვერიანი კაცი უკვე ჭაბუკი აღარ არის, უწვერული კი ჯერ კიდევ არ არის კაცი. ვინც ჭაბუკი აღარ არის—მე არ გამომადგება, ვინც ჯერ კაცი არ არის—მე არ გამოვადგები: უმჯობესია ექვს პენსად დაფუდგე რომელიმე წინამძღოლს და მის მაიმუნებს ჯოჯოხეთისაკენ გავუძღვე\*.

**ლეონატო**—მაშ ჯოჯოხეთშიც კი მიდიხარ?

**ბეატრიჩე**—არა, მხოლოდ ალაყაფის კარამდე: იქ დამხედება ძველი რქოსანი ეშმაკი და მეტყვის: „წადი ზეცაში, ბეატრიჩე, წადი ზეცაში, აქ თქვენთვის, ქალწულებისათვის, ადგილი არ არისო“. მაშინ ჩავაბარებ მას მაიმუნებს და წმინდა პეტრესაკენ გავსწევ ზეცაში. ის მიჩვენებს, სად სხედან უქმრონი და უცოლონი და იქ ვიცხოვრებთ ჩვენთვის არხეინად.

**ანტონიო**—(ჰეროს) მაგრამ, ჩემო ძმისწულო, იმედი მაქვს მამის სურვილს ანგარიშს გაუწევთ?

**ბეატრიჩე**—რალა თქმა უნდა, ჩემი ბიძაშვილი მოვალეა გააკეთოს რევერანსი და თქვას: „როგორც გენებოსთ, მამაჩემო“. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, ბიძაშვილო, თუ საქმრო ლამაზი ყმაწვილია, თორემ მეორედ მოგიხდება გააკეთო რევერანსი და თქვა: „როგორც გენებოს, მამაჩემო“.

\* თქმულების მიხედვით, გაუთხოვარი ქალები ჯოჯოხეთში სასჯელად საბეღით ატარებენ სხვის ბავშვებს იმისათვის, რომ სიცოცხლეში საკუთარი არა ჰყავდათ.



ლ ე ო ნ ა ტ ო — კარგი, ძმისწულო! მაინც იმედი მაქვს, მშვენიერ დღეს შენც გათხოვილი გნახო.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — დიახ, თუ ღმერთი კაცს თიხისაგან კი არა, სხვა რამ მასალისაგან გააკეთებს. განა საწყენი არ არის, რომ ქალს თიხის მაგარი ბელტი განაგებდეს? შენი ცხოვრების ანგარიში როგორ უნდა ჩააბარო ერთ ჯიუტ გორახს? არა, ბიძაჩემო, არ მინდა! ადამის ყველა ვაჟი ჩემი ძმაა და ქეშმარიტად ცოდვად ვთვლი ცოლად გაყვე ჩემს ნათესავს.

ლ ე ო ნ ა ტ ო — არ დაივიწყო, შეილო, რაც გითხარი: თუ პრინცი დაგიწყებს ასეთ ლაპარაკს, შენ იცი რა პასუხს გასცემ.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — მუსიკა იქნება დამნაშავე, ბიძაშვილო, თუ დროზე გაგიმქლავნა ტრფობა, თუ მეტისმეტად გამედიდურდა, ასე უთხარი: ყველგან ზომიერების დაცვა არის თქო საჭირო და შენი პასუხი ცეკვით აცნობე. დამიჯერე, ჰერო, ნიშნობა, ქორწინება და სინანული სკოტლანდურ ჯიგსა ჰგავს, მენუეტსა და სინკპესს\*, ნიშნობა მხურვალეა და ჩქარი, როგორც სკოტლანდური ჯიგი, მოულოდნელი საოცრებებით აღსავსე. ქორწინება ზომიერია და დარბაისელი, როგორც მენუეტი, ძველებური სიმძიმით აღსავსე, შემდეგ მოდის სინანული და მისუსტებული ფეხებით მიბორძიკობს სინკპესს, სულ უფრო ჩქარა და ჩქარა, ვიდრე საფლავში არ ჩავა.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ძალიან ბოროტი თვალთახედვა გქონია, ძმისწულო.

ბ ე ა ტ რ ი ჩ ე — თვალი კარგად მიქრის, ბიძაჩემო, დღის სინათლეზე საყდარი შემძლიან დავინახო.

ლ ე ო ნ ა ტ ო — სტუმრები მოდიან, ძმაო, ადგილი გავათავისუფლოთ. (შემოდინ დონ-პედრო, კლავდიო, ბენედიქტი, ბალთაზარი, დონ-ხუანი, ბორაჩიო, მარგარეტი, ურსულა და სხვები, ყველას ნიღაბი უკეთია)

დ ო ნ - პ ე დ რ ო — ქალბატონო, ხომ არ გაისეირნებთ თქვენს თაყვანისმცემლებთან ერთად?

ჰ ე რ ო — თუ წყნარად ივლით, ალერსით მიყურებთ და არა-

\* სინკპესი — ინგლ. cinque-pace, ფრანგ. cinq-pas-დან (ცეკვა ხუთ პად).

ფერს ილაპარაკებთ, მზად ვარ წამოვიდეთ, განსაკუთრებით კი აქედან წავიდეთ.

დონ-პედრო — ჩემთან ერთად?

პერო — დიახ, თუ მომესურვება.

დონ-პედრო — მაგრამ, როდის მოგესურვებათ?

პერო — როდესაც მომეწონება თქვენი გარეგნობა. ღმერთმა დამიფაროს, თუ ფანდურიც ისეთივეა, როგორც მისი ბუდე.

დონ-პედრო — ჩემი ნილაბი ფილემონის ქოხსა \* ჰგავს: შიგ იუპიტერია.

პერო — მაშინ თქვენს ნილაბს ჩალა უნდა ეხუროს.

დონ-პედრო — ილაპარაკეთ ჩუმად, თუ სიყვარულზე ლაპარაკობთ.

(გაჰყავს განზე)

ბალთაზარი — ძალიან მინდა თავი მოგაწონოთ.

მარგარეტი — თქვენივე გულისთვის არ შემეძლიან. ძლიერ ბევრი ნაკლი მაქვს.

ბალთაზარი — ერთი მაინც დამისახელებთ.

მარგარეტი — ხმამაღლა ვლოცულობ ხოლმე.

ბალთაზარი — მით უფრო მეყვარები: გამგონე მუდამ გეტყვის: ამინ.

მარგარეტი — ღმერთო, კარგი მოცეკვავე შემახვედრე!

ბალთაზარი — ამინ!

მარგარეტი — და თავიდან მომაშორე, როცა ცეკვა დასრულდება! მიპასუხე, დიაკვანო.

ბალთაზარი — სიტყვა აღარა მაქვს. აი დიაკვნის პასუხი.  
(გაღიან)

ურსულა — კარგად გიცნობთ, სინიორ ანტონიო ბრძანდებით.

ანტონიო — პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, მე არა ვარ.

ურსულა — თავის ქნევაზედ გიცანით.

ანტონიო — მართალი თუ გნებავთ, მე ანტონიოს განგებ ვბაძავ.

\* ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ ერთგან მოთხრობილია, თუ როგორ ინახულა ზევსმა ფილემონი და ბაკვიდა, ჩალით დახურულ ქოხში მცხოვრებნი.



ურსულა—ასე კარგად ვერ მიბაძავდით, თვითონ იყოთ, აი, მისი ორივე მხრივ ხმელი ხელიც \*. რა თქმა უნდა თქვენა ხართ, რა თქმა უნდა თქვენა ხართ.

ანტონიო—პატიოსან სიტყვას გაძლევთ მე არა ვარ.

ურსულა—კმარა, კმარა. ნუთუ გგონიათ გონება მახვილობაზე მაინც ვერ გამოგიცანით. შუბი ხალთაში არ დაიმალება. ნულარ მეღავებით. ისა ხართ: განა სათნოება სადმე დაიმალება. ამით დაეასრულოთ. (გადიან)

ბეატრიჩე—მაშ, არ მეტყვით ვინ გითხრათ?

ბენედიქტი—მაპატიეთ, მაგრამ არა.

ბეატრიჩე—არც იმას მეტყვით, ვინა ხართ?

ბენედიქტი—ჯერჯერობით არა.

ბეატრიჩე—მაშასადამე, ამაყი ვარ და ჩემი მოსწრებული პასუხები „ასი მხიარული მოთხრობიდან“ \*\* არის ამოკითხული? ამას უთუოდ სინიორ ბენედიქტი გეტყობდათ.

ბენედიქტი—ეგ ვილა?

ბეატრიჩე—დარწმუნებული ვარ მშვენივრად იცნობთ.

ბენედიქტი—გარწმუნებთ, არა.

ბეატრიჩე—ნუთუ არასოდეს გაუცინებინათ?

ბენედიქტი—მითხარით, გეთაყვა, რა კაცია?

ბეატრიჩე—პრინცის ხუმარა, ყოვლად ბლაგვი ხუმარა, მთელი მისი ღირსება—დაუჯერებელი ჭორების გავრცელება. მხოლოდ გარყვნილებს მოსწონთ იგი. ისიც ჭკუამახვილობისათვის კი არა, არამედ ფლიდობისათვის. ის აცინებს და აჯავრებს კიდევ ხალხს; მსმენელები დასცინიან და სცემენ ხოლმე. ის, ალბათ, აქ ახლო-მახლოს დასცურავს სადმე. სასურველია ჩემთან მოსცურდეს.

ბენედიქტი—თუ გავიცანი ეგ ჯენტლმენი, უსათუოდ ვეტყვი ყველაფერს, რაც მის შესახებ ბრძანეთ.

ბეატრიჩე—აგრე, აგრე! იგი უთუოდ ერთი-ორ შედარებას დამამტვრევს თავზე, მაგრამ თუ ისე მოხდა, რომ ეს ვერავინ შენიშნა და არ გაიცინა, მაშინ ჩავარდება საგონებელში, და ამით კი რომელიმე ხოხბის ფრთა გადარ-

\* ხმელი ხელისგული ტემპერამენტის უქონლობის ნიშნად ითვლებოდა.

\*\* იმ დროს მეტად გავრცელებული უხეში ანეკდოტების კრებული.

ჩება, რადგან მასხარა ვახშამზე პირში არაფერს  
დებს. (მუსიკა) ახლა კი მოწინავე წყვილებს უნდა გავყვეთ.

ბენედიქტი—ყოველივე კარგში.

ბეატრიჩე—რალა თქმა უნდა, თუ ისინი ბოროტისაკენ  
წამიყვანენ, პირველსავე მოსახვევში მივატოვებ.

(ცეკვა. შემდეგ ყველანი გადიან, გარდა დონ-ხუანისა, ბორაჩიოსა  
და კლავდიოსი)

დონ-ხუანი—ცხადია, ჩემს ძმას უყვარს ჰერო. ქალის სათ-  
ხოვნელად მამამისიც გაიყვანა განზე. ქალები მათ გაპ-  
ყვნენ და მხოლოდ ერთი ნილაბილა დარჩა აქ.

ბორაჩიო—ეს კლავდიოა, ქცევაზე ვცნობ.

დონ-ხუანი—თქვენ სინიორ ბენედიქტი არა ხართ?

კლავდიო—გამოიცანით. მე გახლავართ.

დონ-ხუანი—სინიორ, თქვენ ძლიერ კარგად იცნობთ ჩემი  
ძმის გულისთქმას; მას უყვარს ჰერო და, გთხოვთ, რო-  
გორმე დაარწმუნოთ, რომ ეს ქალი მისი ტოლი არ არის.  
ამით თქვენ შეასრულებთ კეთილშობილი ადამიანის მოვა-  
ლეობას.

კლავდიო—საიდან იცით, რომ უყვარს?

დონ-ხუანი—თვითონ გავიგონე, როგორ ეფიცებოდა სი-  
ყვარულს.

ბორაჩიო—მეც გავიგონე, ჰპირდებოდა ამალამვე დავიწერ  
ჯვარსაო.

დონ-ხუანი—ნადიმს მივაშუროთ.

(გადიან დონ-ხუანი და ბორაჩიო)

კლავდიო—პასუხს ვაძლევი ბენედიქტის მაგიერ ახლა,  
მაგრამ ამბავი მოვისმინე კლავდიოს ყურით.

აშკარა არის—პრინცს თავისთვის უნდოდა ჰერო,  
ყველა საქმეში მეგობრობა ითვლება მტკიცედ,  
მაგრამ ირღვევა თუ სიყვარულს შეეხო იგი.  
იქ ყველა გული ხმარობს მხოლოდ საკუთარ ენას.  
ყოველი თვალი თავის საქმეს უნდა ეცადოს  
და სხვას არ ენდოს: სილამაზე ჯადოქარია,  
რომლის წინაშე ერთგულება დადნება სისხლში.



ეს უბედური შემთხვევაც ხომ საბუთი არის მოტყუებულის ჩემი ნდობის. მშვიდობით, ჰერო!

(შემოდის ბენედიქტი)

ბენედიქტი—გრაფი კლავდიო?

კლავდიო—დიახ, გახლავართ.

ბენედიქტი—წამოდით ჩემთან ერთად.

კლავდიო—საით?

ბენედიქტი—უახლოესი ტირიფისაკენ, გრაფ, თქვენივე საკუთარი საქმისათვის. როგორ აპირებთ თქვენი სამგლოვიარო გვირგვინის ტარებას? კისერზე გინდათ ჩამოიკიდოთ როგორც, მევახშის ჯაჭვი\*, თუ მხარზე გადაიგდოთ, როგორც ლეიტენანტის ბაფთა? ასეა თუ ისე, თქვენ მოგიხდებათ მისი ტარება, რადგან პრინციმა ხელში ჩაიგდო თქვენი ჰერო.

კლავდიო—ღმერთმა გააბედნიეროს.

ბენედიქტი—თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს საქონლის პატროსანი ვაქარი იყოთ, რომელმაც ხარი გაჰყიდა\*\*, მაგრამ გამოტყდით, ხომ არ მოელოდით, პრინცი ამგვარ სამსახურს გაგიწევდათ?

კლავდიო—გთხოვთ თავი დამანებოთ.

ბენედიქტი—თქვენ ისე იქცევით, როგორც უსინათლოს შეჰფერის, როცა ცელქი ყმაწვილი ჰპარავს ხორცს, უსინათლო კი სვეტს ურტყამს ყავარჯენს.

კლავდიო—თუ თქვენ არ მიდიხართ, მაშინ მე წავალ.

(გადის)

ბენედიქტი—ეჰა, საბრალო დაჭრილო ფრინველო! ახლა ლერწმებში დაიმალები. მაგრამ ეს ჩემი ქალბატონი ბეატრიჩე თითქოს მცნობს კიდევ და არცა მცნობს. პრინცის მასხარაო! ჰმ, შეიძლება მართლაც შემარტყვან ეგ სახელი ჩემი მზიარულების გამო. მაგრამ იქნება მე თვითონ ვექცევი ჩემს თავს უსამართლოდ. არც ისე სახელგატეხილი ვარ.

\* ლონდონელი მდიდარი მოქალაქენი ხშირად ატარებდნენ მსხვილ ოქროს ჯაჭვს.

\*\* მორიგების შემდეგ გამყიდველი მყიდველს უსურვებდა ხოლმე ხარისკეთილ მოვლა-პატრონობას.

ეს მხოლოდ ბეატრიქეს მწარე ენა ასაღებს თავის საზოგადოებრივ აზრად და ხმას მივრცელებს. მაშ კარგი. შურს ვიძიებ, როგორც შემეძლება.

(ბრუნდება დონ-პედრო)

დონ-პედრო—გრაფი სადღაა, სინიორ? ხომ არ გინახავთ? ბენედიქტი—უნდა გამოგიტყდეთ, თქვენო ბრწყინვალეობა, ქალბატონი ქორის როლი ვითამაშე. მე აქ ვპოვე ის სევდიანი, როგორც კურდღლის ოჩხში ჩასმული ძაღლი. შევატყობინე და, ვფიქრობ, სიმართლე ვუთხარ, რომ თქვენმა ბრწყინვალეობამ ერთი ახალგაზრდა ქალბატონის გული მოინადირა. მე მას შევთავაზე წამოსულიყო უახლოეს ტირიფამდე, რათა დამეწნა მისთვის ყვავილწუნული, როგორც მიტოვებული მიჯნურისათვის, ანდა გამომეჭრა წკებლა, რადგან დაიმსახურა.

დონ-პედრო—წკებლა? განა რა დააშავა?

ბენედიქტი—მოწაფესავით მოიქცა, მოწაფესავით, რომელმაც იპოვა ჩიტის ბუდე და გახარებულმა აჩვენა ამხანაგს. ამხანაგმა კი ეს ბუდე მოიპარა.

დონ-პედრო—მერე ნდობა დანაშაულად გინდა ჩამოართვა? დამნაშავეა, ვინც მოიპარა.

ბენედიქტი—მაინც ზედმეტი არ იქნებოდა არც წკებლის გამოჭრა და არც ყვავილწუნულის დაწნა. ყვავილწუნული მას თვითონვე გამოადგება, წკებლა—კი თქვენ, რომელმაც, თუ არა ვცდები, ხელში ჩაიგდეთ მისი ჩიტის ბუდე.

დონ-პედრო—მე ჩიტს მხოლოდ სიმღერას ვასწავლი და მერე კი პატრონს დავუბრუნებ.

ბენედიქტი—თუ მისი სიმღერა თქვენს სიტყვას გაამართლებს, მაშინ პატიოსანი სიტყვა გითქვამთ.

დონ-პედრო—ქალბატონი ბეატრიქე ძალიან გიწყურებათ: მასთან მოცეკვავე რაინდს უთქვამს მისთვის, რომ თქვენ ყოველნაირად დასცინოდით ბეატრიქეს.

ბენედიქტი—აგრე? ის თვითონ შექცეოდა ისე, რომ ხც კუნძიც კი ვერ აიტანდა. მუხაც კი, რომელსაც თუნდაც ერთი მწვანე ფოთოლი შერჩენია, გასცემდა მას პასუხს. თვით ჩემი ნილაბიც კი მზად იყო გაცოცხლებულიყო



და დაეწყო მასთან ჩხუბი. ბეატრიჩემ ვერ მიცნო ნიღბული, არ იცოდა, რომ მე მელაპარაკებოდა და მითხრა, რომ მე პრინცის მასხარა ვარ, და თანაც ბრიყვი, როგორც ზამთრის სითბო; დაცინვა დაცინვაზე ისეთი სისწრაფით მომყარა, რომ იმ წუთში დავემგვანე სანიშნოს, რომელსაც მთელი ლაშქარი ტყვიას ესვრის. ენაკი არა, ენის ნაცვლად ხანჯალი აქვს. მისი ყოველი სიტყვა ჰკვეთს. სუნთქვაც რომ ისევე საშინელი ჰქონდეს, როგორც სიტყვა აქვს, მის ახლოს ერთი ცოცხალი არსება ვერ გადარჩებოდა. ის მოწამლავდა ყველაფერს თვით ჩრდილოეთის ვარსკვლავამდე. არაფრის გულისათვის არ შევირთავდი ცოლად, მზითვადაც რომ მოეცათ ყველაფერი, რასაც ადამი შეცოდებამდე ფლობდა. იგი ჰერკულესსაც კი აიძულებდა მისთვის შამფური დაეჭირა და თანაც თავისი კვერთხი დაემსხვრია, რომ ცეცხლი გაეჩაღებინა. აღარაფერი მითხრათ იმის შესახებ. თქვენც დარწმუნდებით, რომ ეს იგივეა, რაც ქალღმერთი ატე \* ჯოჯოხეთში, მხოლოდ უფრო კოხტად მორთული. ღმერთსა ვთხოვ ვინმე სწავლული გამოჩნდებოდეს, რომელიც მას შეულოცავს და იქითკენ გაისტუმრებს. ვიდრე ეგ მიწაზეა, ჯოჯოხეთში ისე წყნარია ცხოვრება, როგორც წმინდა თავშესაფარში და ხალხი განზრახ ცოდავს, რომ როგორმე იქ მოხვდეს. სადაც კი ეგ გამოჩნდება თან მოსდევს შფოთი, საშინელება და არეულობა.

(შემოდინ კლავდიო, ბეატრიჩე, ლეონატო და ჰერო)

დონ-პედრო—შეხედეთ, აი თვითონაც მოდის.

ბენედიქტი—ხომ არ მომანდობს თქვენი ბრწყინვალეობა რაიმე დავალებას ქვეყნის დასავალში. მზად ვარ მოვინახულო ანტიპოდები სულ უმცირესი დავალების შესასრულებლად; მზად ვარ მოგართვათ კბილის საჩიჩქნი აზიის უშორესი კუთხიდან, მოვიტანო მღვდელ იოანეს \*\*

\* ატე—შურისგების და შუღლის ქალღმერთი ანტიკურ მითოლოგიაში.

\*\* მღვდელი იოანე—საშუალო საუკუნეებრივი ლეგენდების მიხედვით, ქრისტიანული სამეფოს მფლობელი იყო ინდოეთის სიღრმეში.



ფეხის ზომა; ვიშოვო ბეწვი დიდი მოლოლის წვერიდან გამგზავნეთ პიგმეებთან\*\* — ამ ჰარპიისთვის\*\*\* სამი სიტყვის თქმას ყველაფერი მირჩენია. ნუთუ არ მოგეპოვებათ დავალება?

დონ-პედრო—არავითარი, გარდა იმისა, რომ თქვენს სამურ საზოგადოებას ნუ მოგვაკლებთ.

ბენედიქტი—ო, ღმერთო, ეგ კერძი კი აღარ მომწონს. მე ვერ ავიტან ჩემს ქალბატონ ენას. (გადის)

დონ-პედრო—დიახ, დიახ, ქალბატონო, სინიორ ბენედიქტის გული თქვენთვის დაკარგულია.

ბეატრიჩე—მართლაც, ჩემო ბატონო, ცოტახნით ნათხოვარი მქონდა, მაგრამ უკან სარგებლით დაეუბრუნე: ორმაგი გული ერთი უბრალოს მაგიერ. ერთხელ მან ყალბი კამათლებით მომიგო თავისი გული, ისე, რომ თქვენი ბრწყინვალეობა მართალია: მისი გული ჩემთვის დაკარგულია.

დონ-პედრო—თქვენ ის წააქციეთ, ქალბატონო, თქვენ ის წააქციეთ.

ბეატრიჩე—კიდევ კარგი იმან არ წამაქცია, თორემ ვინ იცის, რამდენი სულელის დედა გავხდებოდი. აი, მოგვვარეთ გრაფი კლავდიო, ვისთვისაც გამგზავნეთ.

დონ-პედრო—რა ამბავია, გრაფ, რადა ხართ ასე დაღონებული?

კლავდიო—დაღონებული არა ვარ, ბატონო ჩემო.

დონ-პედრო—მაშ რა? ავადა ხართ?

კლავდიო—არც ავად, ბატონო ჩემო.

ბეატრიჩე—გრაფი არც დაღონებულია, არც ავად არის, არც მხიარულია, არც კარგად არის. გრაფი ზრდილია, როგორც ნარინჯი. ექვიანობის ყვითელი ფერითაც ჰგავს იგი ნარინჯს.

დონ-პედრო—მართლაც, ქალბატონო, სწორედ გამოიცანით, მაგრამ თუ ეს ასეა, ვფიცავ, მისი გუმანი მცდარია.

\* დიდი მოლოლეგი—XVI საუკ. დასაწყისში დაარსებული თურქული დინასტია ინდოეთში.

\*\* პიგმეების სამეფო—ანტიკური თქმულებების მიხედვით მდებარეობდა ინდოეთში.

\*\*\* ჰარპია (მით.) გადატანითი აზრით—მტაცებელი.



აი, კლავდიო, მე თქვენი სახელით ვითხოვე ჰერკულესი და ვითხოვე დავითანხმე; მოველაპარაკე მამამისსაც და მისი თანხმობაც მივიღე. დანიშნეთ ქორწილის დღე და ღმერთმა გაგაბედნიეროს!

ლეონატო—გრაფ, მიიღეთ ჩემი ასული და მასთან მთელი ჩემი ქონება, მისმა ბრწყინვალეობამ მოაწყო ეს შეუღლება. ღმერთმა აკურთხოს თქვენი კავშირი.

ბეატრიჩე—ილაპარაკეთ, გრაფ, ეხლა თქვენი ჯერია.

კლავდიო—დუმილი საუკეთესო მაცნეა სიხარულისა. მცირედ ვიქნებოდი ბედნიერი, რომ შემეძლოს იმის გამოთქმა, თუ რაოდენ ბედნიერი ვარ! თქვენ ჩემი ხართ, ქალბატონო, ისე როგორც მე თქვენი ვარ. მე თქვენში ვცვლი ჩემს თავს და აღტაცებული ვარ ამგვარი გაცვლით.

ბეატრიჩე—ილაპარაკეთ, ბიძაშვილო, მაგრამ თუ ლაპარაკის თავი არა გაქვთ, დაუხურეთ მასაც კოცნით ბაგე, ნულარც ის ილაპარაკებს.

დონ-პედრო—მხიარული გულის ყოფილხართ, ქალბატონო!

ბეატრიჩე—დიახ, ჩემო ბატონო, ძალიან ვემადლიერები ჩემს საბრალო სულელ გულს, რადგან არასოდეს ეძლევა ხოლმე ზრუნვას და ურვას. ჩემი ბიძაშვილი კლავდიოს ყურში ეჩურჩულებს, ჩემს გულში მხოლოდ შენა ხარო.

კლავდიო—სრული სიმართლეა, ბიძაშვილო.

ბეატრიჩე—ღმერთო კეთილო, ისევ ქორწილი! ამ ქვეყნად ყველა თხოვდება, ერთი მელა დავრჩი მზისგან დამწვარი. ახლა კი კუთხეში უნდა მივჯდე და ძახილი გავაბამ: მიშველეთ, მიშოვეთ მეუღლე!

დონ-პედრო—ქალბატონო ბეატრიჩე, მე გიშოვით მეუღლეს.

ბეატრიჩე—უკეთესი იყო მამათქვენს ეშოვნა ჩემთვის. ხომ არა ჰყავს თქვენს ბრწყინვალეობას ძმა, თქვენი მსგავსი? მამათქვენს კარგი საქმროები უკეთებია, ოღონდ მათი შესაფერი ქალი თუ იშოვება.

დონ-პედრო—მე არ წამომყვებით, ქალბატონო?

ბეატრიჩე—არა, ჩემო ბატონო, თუ არ მოიძებნება სხვა



საყოველღეო ქმარი, თქვენი ბრწყინვალეობა მეტად ძვირფასია ყოველდღე სატარებლად; მაგრამ მაპატიოს თქვენმა ბრწყინვალეობამ, მარტო ხუმრობისათვის ვარ გაჩენილი.

დონ-პედრო—თქვენი ღუმილი უფრო შეურაცხყოფს. მხიარულება უფრო გიხდებათ; უქვევლია მხიარულ საათს ხართ დაბადებული.

ბეტრიჩე—არა, დედაჩემი ძალზე ჰკიოდა, მაგრამ ცაში ერთი ვარსკვლავი ცეკვავდა და მეც იმ ვარსკვლავზე დავიბადე. ბიძაშვილებო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ!

ლეონატო—ღისწულო, წელან რომ გითხარით, იმ საქმეს მიხედეთ.

ბეტრიჩე—მაპატიეთ, ბიძაჩემო! ბოდის ვიხდი, თქვენო ბრწყინვალეობა. (გადის)

დონ-პედრო—ღმერთმანი, მეტად მხიარული ქალია!

ლეონატო—დიახ, ბატონო, მეტად მცირეა მელანქოლია მის ხასიათში; მხოლოდ ძილის დროს არის ღინჯი და ისიც არა ყოველთვის. ჩემი ქალი მეუბნებოდა, რომ ბეტრიჩეს ხანდახან ესიზმრება ათასგვარი ოინი და საკუთარი სიცილისაგან იღვიძებს.

დონ-პედრო—ქმარზე ლაპარაკს კი ვერ იტანს.

ლეონატო—ვინც უნდა იყოს მისი საქმრო, ის მაინც სასაცილოდ აიკდება.

დონ-პედრო—ბენედიქტის შესაფერისი კია.

ლეონატო—ღმერთო ჩემო! ჩემო ბატონო, ერთ კვირაში ჰკუაზე შემლიდნენ ერთმანეთს ყბედობით.

დონ-პედრო—ჯვარისწერას როდის ფიქრობთ?

კლავდია—ხვალ, ჩემო ბატონო. დრო ყავარჯენით მიბობლავს, ვიდრე სიყვარული ყველა წესს შეასრულებს.

ლეონატო—არა, ძვირფასო შვილო, ორშაბათამდე არ მობხერხდება, ესე იგი, სწორედ დღეის სწორამდე, და მაინც ძლივს მოვასწრებ ისე მოვაწესრიგო ყველაფერი, როგორც მე მინდა.



დონ-პედრო—თავს ნუ აქნევ ჯვრის წერის შორს ვადაღწე-  
ბის გამო. გარწმუნებთ, კლავდიო, ამ დროს უდარდე-  
ლად გავატარებთ. მე განზრახვა მაქვს, ამ ხანში ჰერკუ-  
ლესის საქმეები შევასრულო: უნდა შევავარო ერთმა-  
ნეთს სინიორი ბენედიქტი და ქალბატონი ბეატრიჩე.  
ძალიან მინდა მათი შეუღლება და ეჭვთ არ მეპარება,  
მოვახერხო კიდეც, თუ თქვენ სამივე დამეხმარებით და  
ჩემს მითითებებს შეასრულებთ.

ლეონატო—მზადა ვარ გემსახუროთ, ჩემო ბატონო, თუნ-  
დაც ათ ლამეს დავრჩე უძილო.

კლავდიო—მეც აგრეთვე, ჩემო ბატონო.

დონ-პედრო—თქვენ, კეთილო ჰერო?

ჰერო—სიამოვნებით შევასრულებ ყველა მცირე დავალება-  
საც კი, ჩემო ბატონო, რათა ჩემს ბიძაშვილს კარგი ქმარი  
ვუშოვო.

დონ-პედრო—ბენედიქტი უიმედო საქმრო როდია. ამის თავ-  
დები მე ვარ: კეთილშობილი წარმოშობისაა, ნაცადი  
ვაჟკაცია და უზადო პატიოსნების პატრონი. მე გასწავ-  
ლით, როგორ უნდა მომართოთ თქვენი ბიძაშვილი, რა-  
თა ბენედიქტი შეუყვარდეს. მე კიდეც თქვენ ორის დახ-  
მარებით ბენედიქტზე ისეთ ზეგავლენას მოვახდენ, რომ  
მისი მახვილი ჭკუისა და თავნება გემოვნების მიუხედა-  
ვად, ბეატრიჩე შევავარო. თუ ეს მოვახერხებთ, კუპიდო-  
ნი გამორიცხულია მსროლელთა რიგიდან, მისი დი-  
დება მოგვეფინება ჩვენ და მხოლოდ ჩვენ ვიქნებით საყ-  
ვარულის ღმერთები. წამომყევით და ჩემს გეგმას გაგაც-  
ნობთ. (გადიან)

## სურათი II

მეორე ოთახი ლეონატოს სახლში.

(შემოდინან დონ-ხუანი და ბორაჩიო)

დონ-ხუანი—გადაწყვეტილია: გრაფი კლავდიო ირთავს ლეო-  
ნატოს ასულს.

ბორაჩიო—აგრეა, ჩემო ბატონო, მაგრამ მე შემძლიან წინ  
გადაველობო.

დონ-ხუანი—ყოველგვარი შეფერხება, ყოველგვარი დაბრუნება, ყოველგვარი სიძნელე ჩემთვის ნამდვილი წამალია; მე ავადა ვარ მისდამი სიძულვილით: რაც კი მის სურვილს წინ აღუდგება, მე ხელს მიმართავს. რით შეგიძლიან შეაფერხო ეს ქორწინება?

ბორაჩიო—არაპატიოსანი გზით, ჩემო ბატონო, მაგრამ ისე ფარულად, რომ ჩემი უსინიღისობა ვერავინ შენიშნოს.

დონ-ხუანი—მოკლედ ამიხსენი.

ბორაჩიო—ვგონებ გახსოვთ, ერთი წლის წინათ მოგახსენეთ, თუ რა რიგ დაახლოვებული ვარ მარგარეტთან, ჰეროს მხლებელ ქალთან?

დონ-ხუანი—მაგონდება.

ბორაჩიო—ლამის რომელ საათზედაც გნებავთ, თუნდაც ერთობ შეუფერებელ ჟამს, შემიძლიან გამოვახედო იგი მისი ქალბატონის სარკმლიდან.

დონ-ხუანი—მერმე რა არის აქ ისეთი, რომ ქორწილი ჩაშალოს?

ბორაჩიო—აქედან შხამის გამოხდა თქვენზეა დამოკიდებული. მოინახულეთ თქვენი ძმა პრინცი და მოახსენეთ, რომ ქორწინება სახელგანთქმული კლავდიოსი, რომლისადმი უღრმესი პატივისცემით ხართ გამსჭვალული, ისეთ უნამუსო ქალთან, როგორც არის ჰერო, პრინცის ღირსებას შებღალავს.

დონ-ხუანი—რა საბუთი შემიძლიან წარმოვადგინო?

ბორაჩიო—ისეთი საბუთი, რომ პრინცი მოტყუებული დარჩება, კლავდიო დატანჯული, ჰერო თავმოჭრილი და ლეონატო მოსპობილი. მეტი რაღა გინდათ?

დონ-ხუანი—ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ როგორმე ეგენი გავამწარო.

ბორაჩიო—მაშ, წამობრძანდით. შეარჩიეთ ხელსაყრელი ჟამი და მოელაპარაკეთ დონ-პედროს და გრაფ კლავდიოს ცალცალკე; უთხარით, რომ თქვენთვის ცნობილია ჩემი კავშირი ჰეროსთან. თავი მოაჩვენეთ, თითქოს ერთგულების გრძნობა: გალაპარაკებთ და თქვენი ძმის



ღირსებაზე ზრუნავთ, რომელმაც მოაწყო ეს ქორწილი? აგრეთვე ზრუნავთ მისი მეგობრის სახელზე, რომელსაც მოჩვენებითი სიქალწულის ატყუებენ. უთხარით, რომ ეს ყველაფერი თქვენ აღმოაჩინეთ. საეჭვოა, რომ უსაბუთოდ დაგიჯერონ. მაშინ წარუდგინეთ ყველაზე დამაჯერებელი საბუთი: ისინი დამინახავენ ჰეროს საწოლი ოთახის სარკმელთან და გაიგონებენ როგორ ვეძახი, მარგარეტს—ჰეროს და მარგარეტი კი მეძახის კლავდისო. თანაც ყველაფერი ეს სწორედ ქორწილის წინაღამით უნდა მოეწყოს. თანაც ისე მოვახერხებ, რომ ჰერო იმ ღამეს სხვაგან იყოს, და ისე დამარწმუნებლად გამოვაჩენ მის ღალატს, რომ ეჭვიანობა რწმენად გადაიქცევა და მთელი საქორწილო სამზადისი ჩაიშლება.

დონ-ხუანი—რა უბედურებაც უნდა მოჰყვეს ამას, მე ამას განვახორციელებ. მარჯვედ იყავი და შენი ჯილდო ათასი დუკატი იქნება.

ბორაჩიო—თქვენ მტკიცედ იყავით ბრალდების ჟამს და მე ჩემი სიმარჯვე არ შეჰარცხვენს.

დონ-ხუანი—წავალ, გავიგებ, როდისთვის არის ქორწილი დანიშნული.

(გადიან)

### სურათი III

ლეონატოს ბაღი.

(შემოდის ბენედიქტი)

ბენედიქტი—ბიჭო! (შემოდის ბიჭი)

ბიჭი—რას მიბრძანებთ?

ბენედიქტი—ჩემი ოთახის სარკმელზე წიგნი დევს. ბაღში ჩამომიტანე.

ბიჭი—ამ წუთში აქა ვარ, ბატონო.

ბენედიქტი—ამას მეც ვხედავ. მე მინდა ამ წუთში იქ იყო და მერე აქ. (ბიჭი გადის) მიკვირს და გამკვირვებია, რომ ადამიანი, რომელიც ხედავდა, თუ რაოდენ ასულელებს სხვა ადამიანებს სიყვარული და დასცინოდა სხვების უკუყო-

ბას, უცებ თვითონვე ხდება სიყვარულის მსხვერპლი და საკუთარ დაცინვათა სანიშნო. სწორედ ასეთი ადამიანია კლავდიო. მახსოვს ის დრო, როდესაც მისთვის არ არსებობდა მუსიკა, გარდა დოლისა და საყვირისა. ახლა კი დაირასა და სალამურს უფრო მეტი სიამოვნებით ისმენს. მახსოვს, ოდესღაც იგი მზად იყო ათი მილი გაეწვლო ფეხით, რათა გაესინჯა კარგი საჭურველი— ახლა კი ათ ლამეს არ სძინავს, რათა მოიფიქროს ახალი ტანსაცმელის ყაიდა. წინათ სადა და პირდაპირი ლაპარაკი იცოდა, როგორც პატიოსან კაცსა და ჯარისკაცს შეჰფერის. ახლა ენამჭევრობა დასჩემდა: ეს ლაპარაკი კი არა, ნამდვილი ზღაპრული ნადიმია, სადაც უამრავი საოცარი კერძია. ნუთუ მეც ოდესმე ასე გამოვიცვლები, ვიდრე ქვეყანას უმზერენ ჩემი თვალები? ვერ ვიტყვი, არა მგონია. ვერ დავიფიცავ, რომ სიყვარული ლოკოკინად არ მაქცევს, მაგრამ ერთი კი შემოიძლია დავიფიცო, რომ სიყვარული ჯერ ლოკოკინად მაქცევს და შემდეგ კი ასეთ სულელად. ერთი ქალი ლამაზია— ძალიან კარგი; მეორე ჭკვიანია— ძალიან კარგი; მესამე სათნოა— ძალიან კარგი, მაგრამ ვიდრე ყველა ღირსება არ შეერთდება ერთ ქალში, არც ერთი ქალი არ მომეწონება. ქალი უნდა იყოს მდიდარი— ეს გარკვეულია. ჭკვიანი, თორემ რად მინდა; სათნო, თორემ შეფასებასაც არ დავუწყებ; ლამაზი, თორემ არც კი შევხედავ; წყნარი, თორემ არ გამეკაროს; კეთილშობილი, თორემ ფულისთვისაც არ წავიყვან; კარგი მოუბარი, მშვენიერი მუსიკოსი, თმები კი ღმერთმა როგორიც მისცეს, ისეთი ჰქონდეს! აჰა, აი, პრინცი და ბატონი სიყვარული! წავალ, ხეებს მოვეფარები.

(შემოდინ დონ პედრო, ლეონატო და კლავდიო. უკან მოსდევენ ბალთაზარი და მუსიკოსები)

დონ-პედრო— რაო, მოვისმენთ ამ სიმღერას?

კლავდიო— დიახ, ბატონო.

ისე წყნარია ეს სალამო, თითქოს ყოველი გარინდებულა ჰარმონიის დასამშვენებლად.



დონ-პედრო—ხომ დაინახეთ, ბენედიქტი სად დაიშალა?  
 კლავდიო—დიახ, ბატონო. ეს მუსიკა რომ დამთავრდება,  
 დაფუგოთ მახე და სულ შუქთად დავიჭერთ მელას.

დონ-პედრო—აბა, ბალთაზარ! გაგვაგონე შენი სიმღერა.  
 ბალთაზარი—ბატონო ჩემო, კიდევ ერთხელ ნუ  
 მოისურვებთ

კვლავ შეურაცხვეო მე სიმღერა ჩემი ცუდი ხმით.

დონ-პედრო—ეგ სისასტიკე საკუთარი ნიჭისა მიმართ  
 სრულყოფილების არის მუდამ მაჩვენებელი.

გვიმღერე მაინც. აშიკობას ნუ მაიძულებ.

ბალთაზარი—რადგან შეეხეთ აშიკობას, ახლა ვიმღერებ:  
 ბევრი მთხოვნელი თხოულობს ქალს, რომელსაც ღირსად  
 ამგვარ თხოვნისა. სულაც არ სთვლის, მაგრამ  
 თხოულობს,

ფიცულობს კიდევ მის სიყვარულს.

დონ-პედრო— კმარა, დაიწყე.  
 ან უარი სთქვი, თუ ძლიერ გსურს, ოღონდ ნოტებით.

ბალთაზარი—ვიდრე ჩემს ნოტებს მოისმენდეთ, მიიღეთ  
 ნოტა,

რომ არა აქვთ რა ნოტაციის ღირსი ჩემს ნოტებს.

დონ-პედრო—გესმით, რა ჰანგზე მღერის? (მუსიკა).

ბენედიქტი—(ხეებს უკან) დაიწყო ღვთაებრივი მელოდია!  
 ახლა მისი სული მოიხიბლება. განა საკვირველი არ არის,  
 რომ ცხვრის ნაწლავები ადამიანის სხეულს აძრობენ  
 სულს? კარგია: ეს საყვირი ჩემს ფულებს მოუხმობს,  
 როდესაც სიმღერა დამთავრდება.

ბალთაზარი—(მღერის)

ქალბატონებო, ნუ ოხრავთ ნურვინ,  
 მატყუარაა ყოველთვის ვაჟი,  
 ერთ ქალთან ყოფნის არ იჩენს სურვილს,  
 ხან ნაპირზეა და ხან კი ზღვაში.

ერიდეთ ნაღველს,  
 მიეცით სახეს

მეტი სიცოცხლე და სიხარული,  
 გულის სამყოფელს ნაღველი დახვეს,  
 სჯობს სიხარულით აივსოთ გული.



ამაო არის სევდა და მოთქმა,  
ამას ვერავენ უშველა ღღემდე,  
ასეთი დარჩა კაცების მოდგმა  
ქვეყნის პირველი ზაფხულის შემდეგ.  
ერიდეთ ნაღველს,  
მიეცით სახეს  
მეტი სიცოცხლე და სიხარული.  
გულის სამყოფელს ნაღველი დახვეს,  
სჯობს სიხარულით აივსოთ გული.

დონ-პედრო—ღმერთმანი, მშვენიერი სიმღერაა!

ბალთაზარი—და ცუდი მომღერალი, ბატონო ჩემო.

დონ-პედრო—არა, გარწმუნებ, სრულებითაც არა. გაკირ-  
ვებისას საკმაოდ კარგად მღერი.

ბენედიქტი—(განზე) ასე რომ დაეცმუვლა ძაღლს, ალბათ  
ჩამოახრჩობდნენ, ღმერთსა ვთხოვ, ამ ყმუილმა რაიმე  
უბედურება არ მოგვიტანოს! ასეთივე სიამოვნებით მო-  
ვუსმენდი ღამის ყორანს, რომელიც ავბედითად დაგვჩხა-  
ვის თავზე.

დონ-პედრო—რასაკვირველია \*. არ გესმის, ბალთაზარ,  
გვიპოვე სადმე, გეთაყვა, კარგი მუსიკოსები. გვინდა  
ქალბატონ პეროს სარკმელთან ვამღეროთ ხვალ საღა-  
მოთი.

ბალთაზარი—რაც შემოძლიან ვეცდები, ბატონო ჩემო.

დონ-პედრო—ასე მოიქეც. მშვიდობით. (ბალთაზარი და მუსი-  
კოსები გადაიან) რას მეუბნებოდით წელან, ლეონატო,  
თქვენს ძმისწულს ბეატრიჩეს უყვარს სინიორ ბენედიქტიო?

კლავდიო—ნუთუ? (ჩუმად დონ-პედროს) მიეპარეთ, მიეპარეთ,  
ფრინველი უკვე ზის. (ხმამაღლა ლეონატოს) ამას კი ვერა-  
სოდეს მოვიფიქრებდი, რომ მაგ ქალს ვისიმე სიყვარუ-  
ლი შეეძლო.

ლეონატო—ვერც მე. ყველაზე საკვირველი ის არის, რომ

\* ბენედიქტის ამ ლაპარაკის დროს დონ-პედრო ჩუმად ელაპარაკებოდა  
კლავდიოს ან ლეონატოს და სიტყვა „რასაკვირველია“ მათგან არის მი-  
მართული.



სწორედ სინიორ ბენედიქტი შეჰყვარებია, თითქოს ყოველთვის ეზიზღებოდა.

ბენედიქტი—(ხეებს უკან) განა ეს შესაძლოა? აი, თურმე საიდან უბერავს ქარი!

ლეონატო—გარწმუნებთ, ჩემო ბატონო, არ ვიცი რა ვიფიქრო. ასეთი გახელებული სიყვარული გონებისთვის მიუწვდომელია.

დონ-პედრო იქნებ მხოლოდ თავს იკატუნებს!

კლავდიო—მართლაც თითქოს ასეა.

ლეონატო—ღმერთო ჩემო! თავს იკატუნებს! როგორ შეიძლება მოგონილი ვნება ისე ძალიან ჰგავდეს ნამდვილს, როგორც ბეატრიჩეს სიყვარული ჰგავს?

დონ-პედრო—მინც რანაირად ამჟღავნებს ამ გრძნობას?

კლავდიო—(ჩუმად) ანკესი კარგად მოუმარჯვეთ, თევზმა პირი დააღო.

ლეონატო—როგორ ამჟღავნებს, ჩემო ბატონო? აი, მაგალითად... თუმცა ხომ უკვე გაიმბოთ ჩემმა ქალმა?

კლავდიო—დიახ, მართალია, მიამბო.

დონ-პედრო—როგორ, როგორ? მიამბეთ, ძალიან გთხოვთ, განცვიფრებისაგან გონს ვერ მოგსულვარ. მე მეგონა, ისეთი ხასიათი აქვს, სიყვარული ვერაფერს დააკლებს მეთქი.

ლეონატო—ამას მეც ფიციით დავადასტურებდი, ბატონო ჩემო, განსაკუთრებით ბენედიქტის მიმართ.

ბენედიქტი—(ხეებს უკან) მე ამას ხუმრობად ჩავთვლიდი, ეს თეთრწვერაც რომ არ ლაპარაკობდეს: გაიძვერობა ასეთი პატივსაცემი გარეგნობის საფარველს უკან ვერ დაიმალება.

კლავდიო—(ჩუმად) შხამი უკვე მოქმედობს. კიდევ ასწიეთ.

დონ-პედრო—ნეტავი, თავისი სიყვარული ბენედიქტს თუ შეატყობინა?

ლეონატო—არა, და ფიცულობს, რომ არც არასოდეს შეატყობინებს, სწორედ ეს არის მისი სატანჯველი.

კლავდიო—სრული ქეშმარიტებაა. თქვენმა ქალმა გადმოიმ-

- ცა ბეატრიჩეს ნათქვამი: „როგორ მივწერო მიყვარებულ მეტი კაცს, რომელსაც ასეთი ზიზღით ვეპყრობოდიო“.
- ლ ე ო ნ ა ტ ო—ასე ამბობდა თურმე, როდესაც ბენედიქტისთვის წერილის წერას შესდგომია. ოცჯერ მაინც ამდგარა ღამით ლოგინიდან პერანგის ამარა და ქალაღლის მთელი დასტა გადაუჭრელებია. ასე მიაშობ ჩემმა ქალმა.
- კ ლ ა ვ დ ი ო—ახლა, რადგან ქალაღლის ფურცელი ახსენეთ, მომაგონდა ერთი სასაცილო ამბავი, რომელიც თქვენმა ქალმა მიაშობ.
- ლ ე ო ნ ა ტ ო—ღიახ, ღიახ. როდესაც წერილი დასწერა და შემდეგ გადაიკითხა, შენიშნა, თუ წერილს ორად გაკეცავს, ბენედიქტის და ბეატრიჩეს სახელები ერთმანეთს ხვდება.
- კ ლ ა ვ დ ი ო—სწორედ, სწორედ.
- ლ ე ო ნ ა ტ ო—იმავე წუთს წერილი ნაკუწ-ნაკუწად აქცია და თავის თავი დატუქსა, ასეთი თავდაუჭერელი რათა ვარო: ისეთ კაცს რად ვწერ წერილს, რომელიც უსათუოდ დამცინებსო; „მე ასე ვმსჯელობ“, ამბობდა ის, „მეც ხომ მასხარად ავიგდებდი ჩემთვის რომ მოეწერა წერილი. ღიახ, მიუხედავად იმისა, რომ მიყვარს“.
- კ ლ ა ვ დ ი ო—შემდეგ დაეცა მუხლებზე, კვნესოდა, ქვითინებდა, მკერდში ხელს იცემდა, თმებს იგლეჯდა, ლოცულობდა, ფიცულობდა: „ტკბილო ბენედიქტ! ღმერთო, მომეცი მოთმინებაო!“
- ლ ე ო ნ ა ტ ო—სრული სიმართლეა. ჩემი ქალიც სწორედ მაგას ამბობს. ამასთანავე ეს გულისთქმა ისე მძლავრად დაეუფლება ხოლმე, ჩემს ქალს ეშინიან, თავის თავს არაფერი აუტეხოსო. ეს სრული ჭეშმარიტებაა.
- დ ო ნ - პ ე დ რ ო—კარგი იქნებოდა, ბენედიქტს ვინმესაგან შეეტყო ეს ამბავი, თუ ბეატრიჩეს არ სურს თვითონვე გამოუტყდეს.
- კ ლ ა ვ დ ი ო—რა საჭიროა? ყველაფერს ხუმრობად გადააქცევს და საბრალო ქალს უფრო დასტანჯავს.
- დ ო ნ - პ ე დ რ ო—ამისათვის ჩამოხრჩობის ღირსიც არის. ბეატრიჩე შესანიშნავი ქალია და, ეჭვს გარეშეა, დიდად სათნოც.

კლავდიო—თანაც არაჩვეულებრივად ჰკვიანი.  
დონ-პედრო—დიახ, ყველაფერში, გარდა ბენედიქტისადმი  
სიყვარულისა.

ლეონატო—ო, ბატონო ჩემო, თუ ასეთ ნაზ სხეულში გონება და სისხლი იბრძვის, ათი საბუთია ერთის წინააღმდეგ, რომ გამარჯვება სცხსლს დარჩება. ძალიან მენანება ბეატრიჩე და მიზეზიცა მაქვს, როგორც მის ბიძასა და მეურვეს.

დონ-პედრო—უმჯობესი კი იყო ჩემსკენ მოემართა თავისი გრძნობა. ყოველგვარ ცერემონიებს გვერდზე გადავდებდი და შევირთავდი. ძალიან გთხოვთ, ბენედიქტს შეატყობინოთ. ვნახოთ, რას გვიპასუხებს.

ლეონატო—თქვენ გგონიათ ეს კარგი იქნება?  
კლავდიო—ჰერო დარწმუნებულია, ბეატრიჩე მოკვდება. თვითონ ბეატრიჩეც ამბობს, რომ მოკვდება თუ ბენედიქტი არ შეიყვარებს; სიყვარულს კი ვერ გამოამეღვენებს, თუნდაც მოკვდეს. ბენედიქტმა რომ ითხოვოს კიდევ, მოკვდება და ვერც თავის ჩვეულებრივ დაცინვაზე აიღებს ხელს.

დონ-პედრო—მართალიც არის; შესაძლოა, ბეატრიჩეს რომ სიყვარული გაემეღავნებინა, ბენედიქტს მართლაც სასაცილოდ აედო. თქვენც იცით, რა ქედმაღალი ჰაბუკია ბენედიქტი.

კლავდიო—სამაგიეროდ ვაჟკაცია!  
დონ-პედრო—რა თქმა უნდა, მეტად ჩინებული გარეგნობის პატრონია.

კლავდიო—ჩემის აზრით, ძალიან გონიერიც არის.  
დონ-პედრო—დიახ, რა თქმა უნდა, ზოგჯერ ჰკუამახვილობასაც ამეღვენებს.

ლეონატო—ვფიქრობ, მამაციც უნდა იყოს.  
დონ-პედრო—როგორც ჰექტორი, გარწმუნებთ. რაც შეეხება ჩხუბს, აქ შეიძლება ბრძენადაც კი ჩაითვალოს. ან დიდის თავდაბლობით გაურბის ბრძოლას, ან შიშით გამსჭვალული მიდის ომში, როგორც ქეშმარიტი ქრისტიანე.

ლეონატო—აგრეც უნდა იყოს, თუ ღვთის შიში აქვს, უნდა მშვიდობასაც ეძიებდეს, მაგრამ თუ მშვიდობა დარღვეულია, საომრადაც შიშით და ცახცახით უნდა მიდიოდეს.

დონ-პედრო—სრული სიმართლეა, მას აქვს ღვთის შიში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ზოგჯერ თავხედურად ხუმრობს. ჭეშმარიტად მებრალება თქვენი ძმისწული. წავიდეთ, მოვძებნოთ ბენედიქტი და ბეატრიჩეს სიყვარული ვაუწყოთ.

კლავდიო—ნურაფერს ეტყვი, ჩემო ბატონო, უმჯობესია, ქალს მივცეთ კეთილი რჩევა.

ლეონატო—არა, ეგ შეუძლებელია. ის მხოლოდ საკუთარი გულის რჩევას ისმენს.

დონ-პედრო—მაშ, კარგი, ჯერ გავიგოთ, რას იტყვის თქვენი ქალი. იქნებ იმ დროისთვის ცოტა შენელდეს ბეატრიჩეს გრძნობა. მე ბენედიქტი ძალიან მიყვარს და მინდა თვითონვე მიუდგომლად შეაფასოს თავისი თავი. მაშინ დაინახავს; თუ რაოდენ უღირსია იგი ასეთი მშვენიერი ქალბატონისა.

ლეონატო—წამობრძანდით, ბატონო ჩემო, სადილობის დროა.

კლავდიო—(ჩუმად) თუ ამის შემდეგ ბენედიქტს არ შეუყვარდება ბეატრიჩე, მაშინ ყველაზე უფრო სარწმუნო ვარაუდსაც ველარ ვერწმუნები.

დონ-პედრო—(ჩუმად) ახლა ასეთივე მახე ბეატრიჩესაც დავუგოთ. ეს კი თქვენმა ქალმა და მისმა მოახლემ უნდა მოაწყონ. რა სერიი იქნება, როცა ერთს მეორე ეგონება შეყვარებული და ნამდვილად კი ამის მსგავსიც არაფერია. ნეტავი ის სურათი დამანახა. ჰო, რა პანტომიმა იქნება! მოდი, ბეატრიჩე გავგზავნოთ რომ ბენედიქტი სადილად მოიწვიოს.

(დონ-პედრო, კლავდიო და ლეონატო გადიან)

ბენედიქტი—(წინ გამოდის) ეს უკვე ხუმრობა აღარაა. თათბირი დარბაისლური იყო. ჰეროს უთქვამს ყველაფერი. ეტყობა, ებრალებათ ქალი. ჩანს, მისი სიყვარული უკი-

დურესობამდე მისულა. ვუყვარვარ! მეც სანაცვლად უნდა მიეუხლო. მათი აზრიც გავიგე ჩემს შესახებ. გააწყვეტა; თუ გაიგო რომ ბეატრიჩეს უყვარსო; ქალი კი სიკვდილს ირჩევს და სიყვარულს არ გაამჟღავნებსო. ჩემს სიცოცხლეში ცოლის შერთვა აზრადაც არ მომსვლია, მაგრამ გაამაყებაც საჭირო არ არის. რა დიდი ბედნიერებაა, როცა თვითონვე ისმენ, როგორ არჩევენ შენს ნაკლს! მაშინ შეგიძლიან გამოსწორდე. მათ სთქვეს, ქალი ლამაზიაო. სრული სიმართლეა. მეც შემიძლიან დავამოწმო. სათნო არისო; ესეც მართალია, ვერც ამას უარგყოფ; გონიერიო, თუმცა მე ვუყვარვარ, უნდა ვაღიარო, ეს მართლაც არ ამტკიცებს მის გონიერებას, მაგრამ არც დიდი უჭკუობის ნიშანია, რადგან მე თვითონ შემიძლიან გაგიყვებით შევიყვარო. თუმცა რამდენი დაცინვა უნდა გადავიტანო! ყველას ჭკუამახვილობის ნამსხვრევები თავს დამატყდება, რადგან აქამდე მუდამ ქორწინების წინააღმდეგ ვქადაგებდი. მაგრამ განა არ შეიძლება კაცს შეეცვალოს გემოვნება? ბავშვობაში ხშირად გვიყვარს რომელიმე საქმელი, რაც შემდეგ ხანდაზმულობაში გვეჯავრება. განა მწარე სიტყვების ან შეგონების გამო, კაცმა გზიდან უნდა გადაუხვიოს? არა, მოსახლეობა უნდა გაიზარდოს! როცა ვამბობდი, უცოლოდ მოგკვდები მეთქი, მე არ მეგონა ჩემს ქორწილს მოვესწრებოდი. მაგრამ, აი ბეატრიჩეც მოდის. ღმერთს გეფიცებით, ნამდვილი მზეთუნახავია. სიყვარულსაც ვამჩნევ. (შემოდის ბეატრიჩე)

ბეატრიჩე—ჩემი სურვილის წინააღმდეგ გამომგზავნეს თქვენთან, რომ გთხოვოთ სადილად წამობრძანდეთ.

ბენედიქტი—მადლობელი ვარ გარჯისათვის, მშვენიერო ბეატრიჩე!

ბეატრიჩე—მე იმდენივე გარჯა მომიხდა თქვენი მადლობის დამსახურებისათვის, რამდენიც თქვენ—ჩემთვის მადლობის გადასახდელად. ეს რომ გარჯა ყოფილიყო, აქ არც მოვიდოდი.

ბენედიქტი—მაშ, ამ დავალებამ თქვენ გასიამოვნათ?



ბეატრიჩე—დიახ, სწორედ იმდენად, რამდენადაც გასია მოვნებდათ დანის ალება და ქილყავის გამოთატვო. მადა არა გაქვთ, სინიორ? მშვიდობით ბრძანდებოდეთ!  
(გადის)

ბენედიქტი—ეჰე! „ჩემი სურვილის წინააღმდეგ გამომგზავნეს თქვენთან, რათა სადილად წამოსვლა გთხოვოთ“—აქ ორი აზრია ჩაქსოვილი. „მე იმდენივე გარჯა მომიხდა თქვენი მაღლობის დამსახურებისათვის, რამდენიც თქვენ ჩემთვის მაღლობის გადასახდელად“. ეს იგივეა, ვითომც ასე უთქვამს: „თქვენი გულისთვის გარჯა ჩემთვის ისევე ადვილია, როგორც მაღლობის გადახდა“. მართლაც ავაზაკი ვიქნები, რომ არ შევიბრალო ეს ქალი! არამზადა ვიქნები, თუ არ შევიყვარებ. წავალ, ეგებ მისი სურათი ვიშოვო საღმე.  
(გადის)



## მოქმედება მისამხმ

### სურათი I

ლეონატოს ბაღი.

(შემოდინან ჰერო, მარგარეტ და ურსულა)

ჰერო—კარგო მარგარეტ, შეირბინე დარბაზში ამ წუთს.  
იქ ჩემს ბიძაშვილს, ბეატრიჩეს ნახავ ამჟამად—  
პრინცს და კლავდიოს მხიარულად ესაუბრება.  
ყურში უთხარი ბეატრიჩეს, რომ მის შესახებ  
ბაღში ჩასულნი ვლაპარაკობთ მე და ურსულა.  
უთხარი, თითქოს ყური მოჰკარ შენ ამ ლაპარაკს.  
ურჩიე, ჩუმად შეიპაროს ბნელ ტალავარში,  
სად ჩიტისვაშლა გადაშლილა ტოტებაყრილი,  
მზის სხივებს იჭერს, ამპარტავნობს, ვით კარისკაცნი  
გალაღებულნი პრინცთა დიდი წყალობის გამო  
თვითონ პრინცებზე უფრო მეტად ამპარტავნობენ.  
იქ შეუძლიან დაიმალოს და ყური გვიგდოს.  
ეს გევალება. მარჯვედ იყავ. ახლა დაკვტოვე.

მარგარეტ—სიტყვას ვიძლევი, ბეატრიჩეს ახლავე  
მოგვერით.

(გადის)

ჰერო—ჩემო ურსულა, ბეატრიჩე რომ გამოჩნდება  
და ჩვენ შეგვნიშნავს ხეივანში მოსიარულეთ,  
მყის საუბარი ბენედიქტზე გადავიტანოთ.  
როცა ვახსენებ, შენ მაშინვე დაუწყე ქება



ყველა საზღვრის და ყოველგვარი ზომის გარეშე.  
 მერმე მე ვიტყვი, თუ საბრალო ვით შეუპყრია  
 დღეს ბეატრიჩეს სიყვარულის ზაფრას და სნებას.  
 კუბიდონს მშვილდი იმგვარად აქვს მომარჯვებული,  
 რომ მხოლოდ სმენით შეუძლიან მოარტყას მიზანს.

(სცენის სიღრმეში გამოჩნდება ბეატრიჩე)

აბა, დაიწყე! ხედავ? როგორ მოიპარება

და მიწას ეკვრის, როგორც ფრთხილი ველის ფრინველი.  
 უ რ ს უ ლ ა — თევზაობის დროს გვსიამოვნებს, როდესაც  
 ვხედავთ,

როგორ მოარღვევს ნაკადს თევზი ოქროსფრთიანი,  
 ვერცხლისფერ ნაკადს, რომ ანკესზე აეგოს ბოლოს.

ჩვენც ასე ვიჭერთ ბეატრიჩეს. ხედავთ? ის უკვე  
 შესულა ჩრდილში და ხშირნარში ჩასაფრებულა.

თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, მე ჩემის მხრივ არ ჩაპოგორჩებით.

ჰერო — მივიდეთ ახლოს. ამ მიმზიდველ საზრდოდან მის ყურს,  
 უნდა ვეცადოთ, არაფერი გამოეპაროს.

(უახლოვდებიან ფანჩატურს. შემდეგ ხმამაღლა)

მართლაც, ურსულა, მეტისმეტად ამაყი არის  
 და ხასიათი აქვს ლალი და თანაც ველური,  
 ვით კლდის შევარდენს.

უ რ ს უ ლ ა — ნუთუ გჯერათ, ბენედიქტს მაინც  
 ასეთი ქალი გაგიყვებით შეპყვარება?

ჰერო — ასე ამბობდნენ დონ-პედრო და კლავდიო ჩემი.

ურსულა — და განა გთხოვეს ბეატრიჩეს შეატყობინოთ?

ჰერო — მათ მთხოვეს მემცნო ეს ამბავი ბეატრიჩესთვის.

მე ავუხსენი, რომ ბენედიქტს თვით ურჩევნიან  
 საკუთარ გრძნობას მოერიოს როგორმე თვითონ,  
 ვიდრე შეიტყოს ბეატრიჩემ ამბავი მისი.

უ რ ს უ ლ ა — და მერმე რისთვის? იქნებ ფიქრობთ ღირსება  
 მისი

არ არის დიდი და ამიტომ არ შეიძლება  
 მან ბეატრიჩეს სარეცელი გაიზიაროს?

ჰერო — სიყვარულის ღმერთს ვფიცავ, იგი ღირსია უფრო,  
 ვიდრე ვინმე სხვა, მაგრამ მთელი უბედურება

იმაშია, რომ ჯერ ბუნებას არ შეუქმნია  
ბეატრიჩეზე უფრო მეტად ამაყი ქალი.  
მისი თვალები დაცინვით და ზიზლით ელავენ.  
გონებას თვისას იგი ისე დიდად აფასებს,  
თითქოს ამ ქვეყნად არაფერი ყოფილა ღირსი  
ყურადღებისა. და გამსქვალულს თავისი თავის  
ამ სიყვარულით, მას არამც თუ სხვის შეყვარება,  
სულაც არ ესმის სიყვარული.

ურსულა— მართალსა ბრძანებთ,  
უმჯობესია არაფერი შევატყობინოთ,  
თორემ აიგდებს ის საბრალო ბენედიქტს მასხრად.

ჰერო—რალა თქმა უნდა. თუნდაც ბრძენი, კეთილშობილი,  
გინდ ახალგაზრდა, გინდ ლამაზიც რომ იყოს საქმრო,  
ეს ყველაფერი მას უკუღმა მოეჩვენება:  
თუნდ იყოს თეთრი—მის დობილად გამოდგებოდეს,  
ან შავგვრემანი—როგორც მეღნით ლაქმოცხებული,  
მაღალი—როგორც ხმელი სარი, ან და დაბალი—  
ცუდი ოსტატის ნაკეთები გიშერის მსგავსად,  
მუნჯი—ვით კუნძი, ან მეტყველი—როგორც აფქიო,—  
ყოველი კაცის სარჩულს ისე გადმოაბრუნებს,  
რომ არასოდეს სიმართლით და მარტივად მისგან  
აღამიანის ღირსებები არ დაფასდება.

ურსულა—წუნიაობა ესოდენი დასაგმობია.

ჰერო—მუდამ ცდილობდე განასხვავო სხვათაგან თავი,  
როგორც იქცევა ბეატრიჩე, რა საქებია!  
მაგრამ ვინ ეტყვის მას ამ ამბავს, ვინ გაუბედავს?  
მე რომ გავბედო, გამიმწარებს სიცოცხლეს ალბათ,  
ქვეყნად თავს მომჭრის, გამამასხრებს, სიკვდილს  
მანატრებს,  
ამიტომ უჯობს ბენედიქტსაც დაიწვას ჩუმაღ  
და ფერფლად იქცეს დაფარული ტრფიალის ცეცხლით,  
ვიდრე იმგვარი დაცინვების მსხვერპლი შეიქმნეს,  
რაც ღიტიანისგან საკვდილზეც კი უარესია.

ურსულა—მანც უთხარით, რომ ვიცოდეთ მისი პასუხი.

ჭერო—უმჯობესია ბენედიქტთან მივიღე ადრე  
და მას ვუბრძო რანაირად დასძლიოს გრძნობა.  
ან ეგებ სჯობდეს მოეუგონო რამე ბიძაშვილს,  
უენებელი რამ, ბენედიქტის მხსნელი გრძნობისგან:  
ნართაულ სიტყვას შხამი მუდამ მოეპოვება.

ურსულა—არა, რად უნდა შეამთხვიოთ ბიძაშვილს ცუდი?  
დიდად ნაქები და მახვილი მისი გონება  
და სალი აზრი თვით მიხვდება, რომ არ ეგების  
თქმა უარისა სინიორი ბენედიქტისთვის,  
რადგან სინიორ ბენედიქტი ღირსეულია.

ჭერო—იტალიაში პირველია იგი უდავოდ,  
თუ არ ჩავაგდეთ სათვალავში ჩემი კლავდიო.

ურსულა—ნუ გამიწყრებით, ქალბატონო, თუ ჩემი აზრი  
პირდაპირ გითხრათ: სიმამაცით, ჭკუით და სახით  
და გარეგნული თავდაჭერით იტალიაში  
პირველი კაცი სინიორი ბენედიქტია.

ჭერო—ოღონდაც, ფრიად განთქმულია მისი სახელი.

ურსულა—და ეგ სახელი მან სავსებით დაიმსახურა.  
რა გადაწყვიტეთ, ქალბატონო, ჯვარს როდის იწერთ?

ჭერო—აბა რა ვიცი, დღეს-ხვალ—ასე ვნიშნავ ყოველდღე-  
წვიდეთ, მინდა სამოსელი გიჩვენო ჩემი,  
მირჩიე ერთი, რომლის ჩაცმა სჯობს ხვალისათვის.

ურსულა—(ჩუმად)

უკვე გაბმულა, ქალბატონო, ჩენი ფრინველი.

ჭერო—(ჩუმად)

თუ კი აგრეა—სიყვარულს სურს შემთხვევებს აჰყვეს.  
ზოგს კუპიდონი ისრითა ჰკლავს, ზოგს უგებს მახეს.

(გადიან ჭერო და ურსულა)

ბეატრიჩე — (გამოდის ტალავარიდან)

რა ცეცხლი ელავს ჩემს ყურებში? ეს მართალია?  
ამპარტავანის დამრქმეგია ავი სახელი.

მშვიდობით, ჩემო სიამაყევ, აწ შეგიძლიან  
აჩინო გრძნობა, სიყვარულის გამომსახველი.

თურმე ბენედიქტს ვყვარებივარ, ველური გული  
ჩემი მივანდო უნდა მის ხელს, მოსიყვარულეს.



უწმინდეს ალექსიტ დადებულ კავშირი სრულყოფილია ჩვენს გრძნობებს მალე შეაერთებს, ჯერ დაფარულებს. „ის ღირსიაო“, ჩემს გარშემო გაისმის ქლერა. რად უნდა ქება? მე თვითონაც ვხედავ და მჯერა.

(გადის)

სურათი II

ოთახი ლეონატოს სახლში.

(შემოდის დონ-პედრო, კლავდიო, ბენედიქტი და ლეონატო)

დონ-პედრო—მე მხოლოდ თქვენს ქორწინებამდე მოვიციდი და მერე კი არაგონისაკენ გავსწევ.

კლავდიო — მე მიგაცილებთ იქამდე, ბატონო ჩემო, თუ ღირსად ჩამთვლით.

დონ-პედრო—არა, არ მინდა ჩრდილი მივაყენო თქვენს ქორწინების ბრწყინვალეობას; ეს იმას ემგვანებოდა, ბავშვს ახალი ტანსაცმელი უჩვენო, ჩაცმა კი დაუშალო. მე მხოლოდ გავბედავ და ბენედიქტს ავიყვან თანამგზავრად: ის თავით ფეხებამდე მხიარულებდა. ორჯერ თუ სამჯერ გაუწყობა მან კუპიდონს მშვილდის ლამბა, ისე რომ ეს პატარა ჯალათი მას უკვე ველარ უბედავს სროლას. მისი გული ზარივით ქლერს და ენაც შიგვე ჰკიდიდა ისე, რომ რაც გულში აქვს, ენაზეც ის აკვრია.

ბენედიქტი—ბატონებო, ის აღარა ვარ, რაც ვიყავ.

ლეონატო—მეც ასე ვფიქრობ: უფრო დადინჯებული მე-ჩვენებით.

კლავდიო—მგონი შეყვარებული უნდა იყოს.

დონ-პედრო—ჩამოახრჩეთ, ეგ ჩიტირეკია! მაგას ერთი წვეთი სისხლიც კი არ გააჩნია სიყვარულით რომ აუჩქეფდეს. დაღვრემილი იმიტომ არის, რომ ფული არა აქვს.

ბენედიქტი—კბილი მტკივა.

დონ-პედრო—ამოაძრეთ!

ბენედიქტი—ჩამოახრჩეთ!

კლავდიო—ჯერ ჩამოახრჩეთ და მერე ამოაძრეთ.

დონ-პედრო—რაო, განა კბილის ტკივილისთვის ღირს ოხვრა-ვაება!

ლეონატო—რაღაც უბრალო დაქიანების ან სიმსივნის გამო?

ბენედიქტი—დიახ, იმისთვის ადვილია ლაპარაკი, ვისაც არაფერი სტკივა.

კლავდიო—მე კი გარწმუნებთ, შეყვარებულია მეთქი.

დონ-პედრო—შეყვარებულს არაფრითა ჰგავს, გარდა იმისა, რომ უცნაური ტანსაცმელები უყვარს: დღეს ჰოლანდელია, ხვალ ფრანგი, ან ზეგ ორ სხვადასხვა ეროვნებას აერთიანებს: წელს ქვევით გერმანელია და წელს ზევით ესპანელი. თუ სისულელეების სიყვარულს არ ჩავთვლით, ეგ არც ისეთი სულელია, როგორც თქვენ გგონიათ, რომ შეყვარებულს ჰგავდეს.

კლავდიო—არა, თუ მაგას ქალი არ უყვარს, მაშინ აღარაფერი დაეჯერება. ყოველ დილით ჯაგრისით ქუდს იწმენდს; ეს რისგანაა?

დონ-პედრო—დალაქთან მისული ხომ არავის უნახავს?

კლავდიო—სამაგიეროდ დალაქი უნახავთ მაგასთან მისული და მისი ლოყების ძველი მოკაზმულობით ახლა უკვე რამდენიმე ბურთიც კია გატენილი.

ლეონატო—ამიტომ გამოიყურება თურმე ასე ახალგაზრდად: წვერი მოუშორებია.

დონ-პედრო—ნელსაცხებელსაც იცხებს, გესმით რა სურნელს აფრქვევს?

კლავდიო—ეს იგივეა, რომ ვთქვათ, მშვენიერი ჭაბუკი შეყვარებულია.

დონ-პედრო—მაგრამ მთავარი საბუთი—მისი დაღვრემილობაა.

კლავდიო—განა წინათ როდის იბანდა პირს?

დონ-პედრო—და ფერს როდის იცხებდა? ამის შესახებ უკვე ლაპარაკობენ.

კლავდიო—მისი ჭკუამახვილობა კი ჩანვის სიმებს შეეწინა,  
სიყვარულის ჰანგზე აქდერდა.

დონ-პედრო—დიახ, ეს ყველაფერი სავალალო რამეზე  
ლაპარაკობს; ეჭვი არ არის, ვიღაცა უყვარს.

კლავდიო—მე ვიცი ეგ ვისაც უყვარს.

დონ-პედრო—კარგია, მეც ვიცოდე: ალბათ ისეთს, რომე-  
ლიც მაგას სრულიად არ იცნობს.

კლავდიო—პირიქით, მაგის ყველა ცუდი მხარე იცის და  
მაინც მისი სიყვარულით კვდება.

დონ-პედრო—სამაგიეროდ მას პირაღმა დამარხავენ.

ბენედიქტი—მაინც ეს ყველაფერი კბილის ტკივილს ვერ  
დამიამებს. (ლეონატოს) მოხუცო სინიორ, წამოზრძანდით  
მცირე ხნით ჩემთან ერთად: ათიოდე ჭკვიანი სიტყვა  
მაქვს თქვენთვის მომზადებული, რომელიც ამ ყმაწვი-  
ლებმა არ უნდა გაიგონონ.

(გადიან ბენედიქტი და ლეონატო)

დონ-პედრო—სიცოცხლეს გეფიცვებით, ბეატრიჩე უნდა  
ითხოვოს.

კლავდიო—ჰერომ და მარგარეტმაც ალბათ უკვე შეასრუ-  
ლეს თავისი როლები ბეატრიჩეს წინაშე და ახლა ეს  
ორი დათვი ერთმანეთთან შეხვედრისას აღარ დაიწყებს  
ღრენას. (შემოდის დონ-ხუანი)

დონ-ხუანი—ღმერთი გფარავდეთ, ჩემო ძმაო და ბატონო.

დონ-პედრო—დღე მშვიდობისა, ძმაო.

დონ-ხუანი—თუ დრო გაქვთ, თქვენთან ლაპარაკი მსურს!

დონ-პედრო—ცალკე?

დონ-ხუანი—როგორც გენებოთ. თუმცა გრაფ კლავდიოს  
შეუძლიან მოისმინოს, რადგან ეს საქმე იმას ეხება.

დონ-პედრო—რა ამბავია?

დონ-ხუანი—(კლავდიოს) თქვენი მოწყალება ხვალ აპირებს  
ქორწინებას?

დონ-პედრო—თქვენ ეს იცით.

დონ-ხუანი—მე ეგ არ ვიცი, ვიდრე მას არ ეცოდინება  
ის, რაც მე ვიცი.

კლავდიო—თუ არსებობს რაიმე დაბრკოლება, გთხოვთ  
ახლავე შემატყობინოთ.

დონ-ხუანი—თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რომ მე არ მიყვარ-  
ხართ. ეს შემდეგ გამოირკვევა, ახლა კი იმსჯელეთ იმის  
მიხედვით, რასაც მე გამცნობთ. რაც შეეხება ჩემს ძმას,  
დარწმუნებული ვარ, ძალიან უყვარხართ და მხოლოდ  
გულითაღმა გრძნობამ გაარიგებინა თქვენთვის ეს საქმე.  
ამაო გარიგებაა და ამაო გარჯა!

დონ-პედრო—რატომ? რა ამბავია?

დონ-ხუანი—სწორედ მაგის სათქმელად ვარ მოსული, მოკ-  
ლედ მოგახსენებთ, ისედაც ბევრი ვილაპარაკეთ, ქა-  
ლი მოლაღატეა!

კლავდიო—ვინა? ჰერო?

დონ-ხუანი—დიახ, ჰერო, ლეონატოს ჰერო, თქვენი ჰერო,  
ვისიც გნებავთ ჰერო!

კლავდიო—მოლაღატეა?

დონ-ხუანი—ეგ სიტყვა როდი კმარა მისი უზნეობის გამო-  
სახატავად: მე უფრო მეტსაც ვიტყოდი. იპოვეთ უარე-  
სი სიტყვა და მე დავამტკიცებ, რომ ის ამის ღირსია.  
ნუ გაიკვირებთ, ვიდრე არ დაგარწმუნებთ. გამომყევით  
ამაღამ და დაინახავთ, როგორ ძვრებიან მისი ოთახის  
სარკმელში ქორწილის წინაღამესაც კი. თუ ამის შემდე-  
გაც გეყვარებათ, ხვალვე დაიწერეთ ჯვარი. მაგრამ  
თქვენი ღირსებისათვის უმჯობესი იქნებოდა განზრახვა  
შეგეცვალათ.

კლავდიო—ნუთუ ეს შესაძლოა?

დონ-პედრო—ვერ დავიჯერებ.

დონ-ხუანი—თუ არ გინდათ საკუთარ თვალებს დაუჯე-  
როთ, მაშინ უარპყავით ყოველგვარი ცოდნა. თუ წა-  
მომყვებით, ყველაფერს გიჩვენებთ. შემდეგ კი ნახულისა  
და გაგონილის მიხედვით იმოქმედეთ.

კლავდიო—თუ ამაღამ ისეთი რამ ვნახე, რისთვისაც ხვა-  
ლინდელ ქორწილზე ხელი უნდა ავიღო, მთელი პა-  
ტიოსანი ხალხის წინაშე შევარცხვენ.

დონ-პედრო—მე გაგირიგე ის და მისი პატივის აყრაშიც  
შენთან ვიქნები.



დონ-ხუანი—ალარ მინდა მისი კიცხვა, ვიდრე საწინააღმდეგო  
წარმომიდგენია. მოითმინეთ შუალამემდე და დანარჩენი  
თავისთავად გამოჩნდება.

დონ-პედრო—ოჰ, დღეო ბედუკულმართო!

კლავდიო—ო, შემბორკავო უბედურებაჲ!

დონ-ხუანი—ო, მოშორებულო ქირო! ასე იტყვიო თქვენ,  
როდესაც დასასრულს ნახავთ.

(გადიან)

### სურათი III

ქუჩა.

(შემოდინ შინდი და გურზი მცველებითურთ)

შინდი—მაშ თქვენ კარგი და მართალი ხალხი ხართ?

გურზი—რალა თქმა უნდა, თორემ სხვანაირად რომ იყოს,  
სამწუხარო იქნებოდა გახსენება სულისა და ხორცის  
საუკუნო ნეტარებისა.\*

შინდი—ეგ სასჯელი ცოტაც იქნებოდა მაგათთვის, თუ კი  
ერთგულებას გამოიჩინდნენ. ეგენი ხომ პრინცის მცვე-  
ლებად აირჩიეს.

გურზი—რალა თქმა უნდა. ახლა კი გაეცი განკარგულება,  
მეზობელო შინდო.

შინდი—უპირველეს ყოვლისა, თქვენის აზრით, ვინ არის  
ყველაზე უფრო მეტად უღირსი კონსტებლობისა?

პირველი დარაჯი—პიუ ფეტვისკვერი და ჯორჯ ნახ-  
შირი, ბატონო, რადგან წერა-კითხვა იციან.

შინდი—აქეთ მოდი, მეზობელო ნახშირო, ღმერთს შენთვის  
კარგი სახელი უბოძებია. კარგი გარეგნობა ბედობალის  
საქმეა; წერა და კითხვა კი ბუნებით თანდაყოლილი თვის-  
ებაა.

\* შექსპირის სხვა სახუმარო პერსონაჟთა მსგავსად, შინდი და გურზი  
ზშირად ამაზინჯებენ სიტყვებს და ამბობენ იმის საწინააღმდეგოს, რაც  
უნდა ეთქვათ. ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო „საუკუნო ნეტარების“ ნა-  
ცვლად, „საუკუნო ტანჯვა“, ისევე, როგორც ზოგჯერ იქნება ქვემოთაც



მეორე დარაჯი—ერთიც და მეორეც, ბატონო კონსტანტე. შინდი—შენი ხედრია. ასეთ პასუხს ველოდი. რას იზამ, თქვენთვისვე სჯობია აგრე; გარეგნობისათვის ღმერთს მადლობა შესწირე და ტრაბახს თავი გაანებე. რაც შეეხება წერა-კითხვას, გამოიყენე იქ, სადაც ასეთი ამოება სრულებით არ არის საჭირო. ამბობენ, შენ ყველაზე უვარგისი ხარ მცველების კონსტებლად, მაშ, აჰა, დაიქი სანათი. შენი მოვალეობაა, სტაცო ხელი ყოველ უქმ მაწანწალას. უნდა პრინციის სახელით შეაჩერო ყოველი კაცი.

მეორე დარაჯი—კარგი, მაგრამ თუ არ შეჩერდა? შინდი—ნუ მიაქცევ ყურადღებას, გაუშვი, წავიდეს. მაშინვე თავი მოუყარე დანარჩენ მცველებს და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ ავაზაკი მოგაშორათ.

გურზი—თუ ბრძანებას არ დაემორჩილა, მაშ, პრინციის ქვეშევრდომი არა ყოფილა.

შინდი—მართალია, და სხვის ქვეშევრდომებთან კი მაგათ საქმე არა აქვთ. მერმე, ქუჩაში არ უნდა იხმაუროთ, მცველი, რომელიც ყბედობს და ლაპარაკობს—ასატანია და მოსათმენი არ არის.

მეორე დარაჯი—რად უნდა ვიყბედოთ, ძილი არ გვირჩევნია? ჩვენც ვიცით, მცველს რა ევალება.

შინდი—ბიჭოს, კაცს ეგონება ძველისძველი მცველიაო: მეტი გძინავს—ნაკლებს ცოდავ. მხოლოდ თვალი გეჭიროთ, შუბები არ ავაცალონ. მაშ, კარგი. სამიკიტნოები შემოიარეთ და ბრძანება გაეცით მთვრალეებმა დაიძინონ.

მეორე დარაჯი—რომ არ დაიძინონ?

შინდი—დაანებეთ თავი, ვიდრე გამოფხიზლდებიან; თუ არც ამაზე დაგთანხმდნენ, მაშინ უთხარით, რომ შეგეშალათ: ის ხალხი არა ყოფილხართ, ვინც მეგონეთ თქო.

მეორე დარაჯი—მესმის, ბატონო კონსტებლ.

შინდი—ქურდს თუ წააწყდე, შეგიძლიან, სამსახურებრივი წესის თანახმად, ეჭვი შეიტანო მის პატიოსნებაში. მაგრამ ასეთ ხალხთან რაც ნაკლებად დაიქერ საქმეს, მით უკეთესია შენი ღირსებისათვის.



მეორე დარაჯი—თუ გვეცოდინება, რომ ქურდიანი ვიქროთ?

შინდი—რა თქმა უნდა, შეგიძლიანთ დაიჭიროთ კიდეც, სამსახურებრივი წესის თანახმად, მაგრამ მე ასე მგონია: კუპრს რომ ხელი ახლო, თვითონვე გაისვრები. ყველაზე მშვიდობიანი ხერხია, თუ ქურდს დაიჭერთ, თვითონვე დაამტკიცოს, რა ბიჭიც არის და გაპარვის საშუალებაც მიეცით.

გურზი—ტყუილად კი არ ამბობენ, ძმაო, რომ მოწყალე აღამიანი ბრძანდებით.

შინდი—მართალია, ჩემი ნებით ძალსაც კი არ ჩამოვახრჩობ, არამც თუ კაცს, რომელსაც ცოტაოდენი პატიოსნება მაინც შერჩენია.

გურზი—თუ გაიგონოთ ღამით ბავშვის ტირილი, გასძახეთ ძიძას და უბრძანეთ გააჩუმოს.

მეორე დარაჯი—მაგრამ თუ ძიძას სძინავს და ჩვენი არ ესმის?

შინდი—მაშინ, თქვენს გზაზე წადით. ბავშვის ტირილმა თვითონ გააღვიძოს ძიძა. თუ ცხვარს თავისი კრავის ძახილი არ ესმის, ხბოს ბლავილს არაოდეს გამოეხმაურება.

გურზი—სრული ჭეშმარიტებაა.

შინდი—სულ ეგ არის თქვენი მოვალეობა! კონსტებლი წარმომადგენელია თავად პრინცის პიროვნებისა: თვითონ პრინციც რომ შეგხვდეს ღამით, შეგიძლიან გააჩერო.

გურზი—ღვთისმშობელს ვფიცავ! ეგ კი უკვე, ვგონებ, აღარ შეუძლიან.

შინდი—სანაძლეოდ ხუთ შილინგსა ვდებ: ჰკითხეთ ვინც წესდება იცის. შეუძლიან გააჩეროს, რა თქმა უნდა, პრინცისავე ნებართვით. რადგან მცველმა არავინ უნდა შეურაცხჰყოს, კაცის გაჩერება კი მისი სურვილის წინააღმდეგ—შეურაცხყოფაა.

გურზი—ღვთისმშობელს ვფიცავ, ეგ ასე უნდა იყოს.

შინდი—ჰა, ჰა, ჰა! აბა, ყმაწვილებო, ღამე მშვიდობისა! თუ მოხდეს დიდი რამ ამბავი, დამიძახეთ. მიჰყევით თქვენი

ამხანაგების მითითებას და თქვენს საკუთარსაც.\*  
მშვიდობისა! წავიდეთ, მეზობელო!



მეორე დარაჯი—ძალიან კარგი, ბატონებო. ჩვენი საქმე ჩვენვე ვიცით. ჩამოვსხდებით აქვე საყდრის მახლობლად ორ საათამდე, და მერმე კი ყველანი დავიძინებთ.

შინდი—გამიგონეთ, აი კიდევ რა, მეზობლებო: გთხოვთ სინიორ ლეონატოს სახლთან იტრიალოთ, ხვალ იქ ქორწილია და ამაღამ დიდი ფუსფუსი იქნება. მშვიდობით! აბა, ფხიზლად იყავით.

(გადიან შინდი და გურზი. შემოდიან ბორაჩიო და კონრადი)

ბორაჩიო—რაო, კონრად!

პირველი დარაჯი—(ჩუმად) წყნარად! არ გაინძრეთ!

ბორაჩიო—კონრად მეთქი!

კონრადი—აქა ვარ, კაცო, შენს გვერდით.

ბორაჩიო—დასწყევლოს! თურმე იმიტომ მექავება გვერდი, ვიფიქრე, მდიერი ხომ არ შემეყარა მეთქი.

კონრადი—მაგის პასუხი ჩემზე იყოს! ახლა განაგრძე შენი ამბავი.

ბორაჩიო—მოდო აქეთ, მოფარებულში დავდგეთ; წვიმა სტრის; და მე, როგორც ქეშმარიტი ლოთი, ყველაფერს გაიმბობ.

პირველი დარაჯი—(ჩუმად) რაღაც ლალატია, ყმაწვილებო, ახლო მოდექით!

ბორაჩიო—უპირველეს ყოვლისა, დეე იცოდე, რომ დონ-ხუანის ათასი დუკატი დავიმსახურე.

კონრადი—განა შეიძლება არამზადობა ასე ძვირად ფასობდეს?

ბორაჩიო—შენ ისა სთქვი, რომ არამზადობა შეიძლება ასე მდიდარი იყოს. თუ მდიდარ არამზადს სჭირდება ღარიბი არამზადა, ღარიბს შეუძლიან ისეთი ფასი მიიღოს, როგორც მოესურვება.

\* ნაწყვეტი ფიცისა, რომელსაც შექსპირის დროს სდებდნენ ინგლისელი ნაფიცი მსაჯულები: „ვალდებულნი ვართ საიდუმლოდ შევიწახოთ მითითებანი დედოფლისა, ჩვენი ამხანაგებისა და ჩვენი საკუთარი.“

კონრადი—მაკვირვებს ეგ ამბავი!

ბორაჩიო—იმიტომ, რომ საქმე არ იცი. მაგალითად, ყაიდა. ხომ სულერთია, რა ყაიდის ქუდი ექნება კაცს, ან რანაირი ტანსაცმელი, ან წამოსასხამი?

კონრადი—კარგი, მაგრამ, ეგ მხოლოდ ტანსაცმელია.

ბორაჩიო—მე ყაიდაზე გელაპარაკები.

კონრადი—შერმე რა? ყაიდა ყაიდაა.

ბორაჩიო—ფუჰ! გეტყოდი, სულელი კი სულელია მეთქი, განა არ იცი, რა მახინჯი ვინმეა ეს ყაიდა?

პირველი დარაჯი—(ზუზუ) მე ვიცნობ მაგ ყაიდას, ეს შეიძლება წელიწადია მაგის ქურდობა მესმის და რომ შეხედო ნამდვილი ჯენტლმენი გეგონება. მისი სახელი კარგად მახსოვს.

ბორაჩიო—კაცის ხმა არ გესმის?

კონრადი—არა, ეს აფქიო ხმაურობს სახურავზე.

ბორაჩიო—განა არ იცი, გეუბნები, რა მარჯვე რამეა ეგ ყაიდა? რანაირად შლის ჭკუაზე ხალხს თოთხმეტიდან ოცდახუთმეტ წლამდე. ხან ფარაონის მეომართა ტანსაცმელს აცმევს, როგორც გამჭვარტლულ სურათებზეა დახატული. ხან ბაალის ქურუმებად აქცევს, ძველი საყდრის სარკმელების შებოლილ ნახატების მსგავსად. ხან გაცრეცილი, გაქონილი კედლის ხალიჩებზე გამოხატულ გაპარსულ ჰერკულესად, რომლის შარვალზე ქამრის გასაყრელი მისი კვერთხის სიმსხოა.

კონრადი—ეგ ყველაფერა ვიცი, ისიც ვიცი, რომ ყაიდა ტანსაცმელს უფროსცვეთს, ვიდრე ადამიანი. მაგრამ მაგ ყაიდამ ხომ არ დავასხა შენც თავბრუ, რომ შენი ამბის ნაცვლად ყაიდის შესახებ მელაპარაკები.

ბორაჩიო—სრულებითაც არა. მაშ, იცოდე: ამ ღამით ვეაშიკებოდი მარგარეტს, ჰეროს მზლებელ ქალს და სახელად ჰეროს ვეძახდი. ისიც გადმოხრილიყო თავისი ქალბატონის ოთახიდან და ათასჯერ მისურვებდა მშვიდობის ღამეს... რა ვქნა, რა უთავბოლოდ გიამბობ. ჯერ უნდა მეთქვა, როგორ გაასულელა დონ-ხუანმა დონ-პედრო და კლაედიო, როგორ მოიყვანა ბალში და შორიდან აჩვენა ეს საამური პაემანი.

კონრადი—და მერმე იმათაც მარგარეტი ჰერო ეგონათ.  
ბორაჩიო—ორ მათგანს, პრინცს და კლავდიოს ეგონა.

წყეულმა დონ-ხუანმა იცოდა მარგარეტი იყო. ნაწილობრივ დონ-ხუანის ფიცის გამო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ღამეც ბნელი იყო და, რაც მთავარია, ჩემი ფლიდობის წყალობით, რამაც დაადასტურა დონ-ხუანის ცილისწამება, კლავდიო გაცოფებულნი წავიდა. მან დაიფიცა, რომ ის დაპირებისამებრ ხვალ საყდარში მივა და იქ გამოაცხადებს მთელი პატიოსანი ხალხის წინაშე რაც წინაღამით ნახა, ჰეროს შეარცხვენს და შინ უქმროდ გაისტუმრებს.

პირველი დარაჯი—პრინცის სახელით შესდევ!

მეორე დარაჯი—დაუძახეთ უფროსს, ჩვენს კონსტებლს! ჩვენ აქ ისეთი არამზადობა აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს სახელმწიფოში ჯერ არავის სწენია.

პირველი დარაჯი—„ყაიდაც“ მასთან ერთად! მე მას ვიცნობ: ხუჭუჭა თმებს ატარებს.

კონრადი—ყმაწვილებო, ყმაწვილებო!

მეორე დარაჯი—მაგ „ყაიდასაც“ აქვე მოგაყვანინებთ, გარწმუნებთ!

კონრადი—ყმაწვალეებო...

პირველი დარაჯი—ლაპარაკი ზედმეტია! გიბრძანებთ დაგვმორჩილდეთ და უკან გამოგყვეთ.

ბორაჩიო—რათა დავრწმუნდეთ, რაოდენ სასარგებლოა თქვენს შუბებზე წამოგება?

კონრადი—საეჭვო სარგებელია, შენ არ მომიკვდე. წავიდეთ, გემორჩილებით! (ჯადიან)

სურათი IV

ოთახი ლეონატოს სახლში.  
(შემოდინა ჰერო, მარგარეტი და ურსულა)

ჰერო—კარგო ურსულა, გააღვიძე ჩემი ბიძაშვილი ბეატრიჩე; სთხოვე ადგეს.

ურსულა—ახლავე, ქალბატონო.

ჰერო—უთხარი აქ მოვიდეს.

უ რ ს უ ლ ა — კ ა რ გ ი .

(გადის)

- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — მართლა, მე ვფიქრობ, სხვა საყულო აჯობებდა.
- ჰ ე რ ო — არა, გეთაყვა, ჩემო მეგ, ამას გავიკეთებ.
- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — ჩემმა მზემ, ეგ ისე კარგი არაა; აი ნახავთ, თქვენი ბიძაშვილიც ამასვე გეტყვით.
- ჰ ე რ ო — ჩემი ბიძაშვილი სულელია და შენც იმასა ჰგეგხარ, მე ამის გარდა სხვას არ გავიკეთებ.
- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — აი, თქვენი ახალი თავსამკაული ძალიან მომწონს, რომ თმა ცოტა უფრო მუჭი გქონდეთ. ღმერთმანი, კაბაც იშვიათი ყაიდისაა. მილანის ჰერცოგის მეუღლის კაბა მინახავს, რომელსაც დიდად აქებენ.
- ჰ ე რ ო — ამბობენ, რაღაც არაჩვეულებრივიაო.
- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — ღმერთმანი, თქვენ კაბასთან შედარებით უბრალო საღამურის სამოსია. ოქროს ქსოვილი ვერცხლითაა ნაკერი და მარგალიტით ნაქარგი; ზემო სახელოები, ქვემო სახელოები და მრგვალი ქობა მოლურჯო სარჩულზეა, მაგრამ სიფაქიზით, სილამაზით და მოხდენილობით თქვენი ათჯერ უკეთესია.
- ჰ ე რ ო — ღმერთმა ჰქმნას, მხიარულად ვატარო, რადგან გულზე რაღაც სიმძიმე მაწევს.
- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — მალე კიდევ უფრო დაგიმძიმდებათ: მოგესვენებათ მამაკაცის სიმძიმე.
- ჰ ე რ ო — ფუჰ, არც კი გრცხვენინან!
- მ ა რ გ ა რ ე ტ ი — რისა, ქალბატონო, განა რა ვთქვი აგეთი უხამსი. განა ქორწინება გლახებისათვისაც საპატიო საქმე არ არის? განა თქვენი მეუღლე ქორწინების გარეშეც პატიოსანი კაცი არ არის? იქნებ ასე გენებათ, მეთქვა: „არ გეწყინოთ და მოგესვენებათ ქმრის სიმძიმე!“ მაგრამ ცუდი გაგება სიტყვას ვერ დაამახინჯებს. მე არავისი წყენა არ მინდოდა. განა ვის შეურაცხვეოფ რომ ვთქვა: „ქმარი კიდევ უფრო მეტი სიმძიმეა?“ ჩემის აზრით, არავის, რადგან კანონიერ ქმარზე და კანონიერ ცოლზეა ლაპარაკი. ასე რომ არ იყოს, სიმძიმე კი არა; ძალიან დიდი სიმსუბუქეც იქნებოდა. აი, თუნდაც ქალ-

ბატონ ბეატრიჩეს ჰკითხეთ. სწორედ თვითონაც  
ბრძანდება. (შემოდის ბეატრიჩე)

- ჰერო—დილამწვიდობისა, ბიძაშვილო!
- ბეატრიჩე—დილამწვიდობისა, საყვარელო ჰერო!
- ჰერო—რა ამბავია, რა სნეულის ხმაზე ლაპარაკობ?
- ბეატრიჩე—ეტყობა ყველა სხვა ხმა დაკარგული მაქვს.
- მარგარეტე—მაშ გადადიო „სიყვარულის სინათლეზე!“ იქ მიმღერება არ უნდა, თქვენ იმღერეთ, მე კი ვიცეკვებ.
- ბეატრიჩე—დიახ, „სიყვარულის სინათლე“ სწორედ თქვენს ქუსლებზეა ზედ გამოქრილი! თუ თქვენ ქმარს საკმაო ფარები ექნება, კრავები არ დააკლდება.
- მარგარეტე—აი, მოულოდნელი დასკენა! მე უარს ვაცხადებ ჩემი ქუსლებით.
- ბეატრიჩე—მალე ხუთი საათიც შესრულდება, ბიძაშვილო, დროა მოემზადო. ღმერთმანი ძალიან ავადა ვარ. ოჰ! ოჰ-მე!
- მარგარეტე—რაზე ოხრავთ? ქორზე, ქარივით ცხენზე თუ ქმარზე?
- ბეატრიჩე—იმ ასოზე, რომლითაც ყველა ეგ სიტყვა იწყება.
- მარგარეტე—ღმერთმანი, ვიდრე თურქობას არ მიმართეთ, ვარსკვლავებით გზას ველარაფინ გაიგნებს\*.
- ბეატრიჩე—რა გინდა ამით სთქვა, სულელო? ჰა?
- მარგარეტე—სრულებით არაფერი: ღმერთმა ყველას შეუსრულოს გულის წადილი.
- ჰერო—აი, ეს ხელთათმანები გამომიგზავნა გრაფმა. მეტად სასიამოვნო სურნელი ასდით!
- ბეატრიჩე—ცხვირი გაქედილი მაქვს. ვერაფერსა ვგრძნობ.
- მარგარეტე—ქალწული და გაქედილი! ეტყობა ძალზე გაცივებულხართ!
- ბეატრიჩე—ღმერთო, შენ მიშველე! ღმერთო, შენ მიშველე! რამდენი ხანია, რაც ხუმრობა დაიწყე?

\* ე. ი. თუ რწმენას არ გამოიკვლით (იგულისხმება მამაკაცებისადმი სიძულვილი), მაშინ აღარ შეიძლება დაფუჯვროთ იმ ნათელ მითითებებს, რასაც ბუნება იძლევა.



მარგარეტი—მას შემდეგ, რაც თქვენ დაანებეთ თქვენი  
არ მიხდება ჭკუამახვილობა?

ბეტრიჩე—არ ვიცი! არაფერი გეტყობა. ქულზე მაინც  
ძიგეკერებინა. ღმერთმანი, ავადა ვარ.

მარგარეტი—იშოვეთ ცოტაოდენი Cardus Benedictus-ის\*  
ნაყენი და გულზე მიიდეთ. ერთადერთი საშუალებაა  
გულისრევის წინააღმდეგ.

ჰერო—ვითომც შავი ნარით გიჩხვლეთია!

ბეტრიჩე—Benedictus! რატომ Benedictus? შენ მაგ ბენე-  
დიქტუსით რაღაცას მიაჩნებ.

მარგარეტი—გიარაკებთ? გარწმუნებთ, მხოლოდ უბრალო  
სამკურნალო მცენარეს ვგულისხმობ. იქნებ გგონიათ,  
შეყვარებულად გთვლიდეთ? არა, ღვთისმშობელს გეფი-  
ცებათ, არც ეგრე დამიკარგავს ჭკუა, რომ ის ვიფიქრო,  
რაც კი მომაგონდება. არც კი მინდა ვიფიქრო ის, რის  
ფიქრიც შეიძლება. რამდენიც არ უნდა მეფიქრა, მართ-  
ლაც ვერ მოვიფიქრებდი, რომ თქვენ შეყვარებული ხართ,  
ან აპირებთ. სიყვარულს, ან შეგიძლიანთ შეყვარებული  
იყოთ. მაგრამ მაინც აი, ბენედიქტიც თქვენისთანა იყო  
და ახლა კი ისეთივე გახდა, როგორც ვეღა სხვა. ჰფიცავდა  
არასოდეს შევირთავ ცოლსაო, და ახლა კი, თუმცა გული  
არ მიუდის, მაინც ხორცს ისე მიირთმევს, რომ აღარ  
ბუზღუნებს. როგორ გამოსწორდებით, არ ვიცი, მაგრამ  
ვგონებ თქვენც ისევე გამოიყურებით, როგორც ყველა  
ქალი.

ბეტრიჩე—ეგ საითკენ გააქენე ენა?

მარგარეტი—საითაც საჭიროა. (შემოდის ურსულა)

ურსულა—მოემზადეთ, ქალბატონო, პრინცი, გრაფი, სი-  
ნიორ ბენედიქტი, დონ-ხუანი და ყველა ქალაქელი ჰა-  
ბუკი შემოკრებილან თქვენს მისაცილებლად საყდრამდე.

ჰერო—მომეიმარეთ ჩავიცვა, ჩემო ბიძაშვილო, ჩემო მეგ,  
ჩემო ურსულა!

(გადიან)

\* სამკურნალო მცენარე (სახელდობრ შავი ნარი), რომელიც ითვლებოდა კარგ საშუალებად გულისტივილის წინააღმდეგ.



სურათი V

სხვა ოთახი ლეონატოს სახლში.

(შემოდინ ლეონატო, უკან შინდი და გურზი)

ლეონატო—რა გინდათ ჩემგან, ჩემო კეთილო მეზობელო?  
შინდი—აი რა, ბატონო, მოლაპარაკება იმ საქმის შესახებ,  
რომელიც თქვენ დიდად გეხებათ.

ლეონატო—გთხოვთ, მოკლედ: ხომ ხედავთ რამდენი საქმე  
მაქვს?

შინდი—დიახ, ასეა, ბატონო.

გურზი—დიახ, ბატონო, ჭეშმარიტად ასეა.

ლეონატო—მაინც რა გნებავეთ, ჩემო კეთილო მეგობრებო?  
შინდი—აი, ეს კაი კაცი გურზი ვიამბობთ რალაცას, ბატონო,  
მობუცი კაცია, ბატონო, მაგრამ ჭკუა ჯერ ისე არ  
დაუკარგავს, როგორც მე მინდა, ღვთის წყალობით,  
დაკარგავს; გეფიცებით დიდად პატიოსანი კაცია.

გურზი—დიახ, ღვთის მადლით, პატიოსანი გახლავართ,  
როგორც ყოველი კაცი, რომელმაც სიბერეს მიაღწია  
და ჩემზე უფრო პატიოსანი არაა.

შინდი—მეზობელო! ნუ ამლაშებ!

ლეონატო—მეზობლებო, აბეზრები ყოფილხართ.

შინდი—როგორც თქვენს მოწყალებას ესიამოვნება. ჩვენ  
მისი ბრწყინვალეების საწყალი მსახურნი გახლავართ, მაგ-  
რამ ჭეშმარიტად ისე აბეზარიც \* რომ ვიყო, როგორც  
თვით მეფე, ამ ჩემს საგანძურს მთლად თქვენს მოწყა-  
ლებას მოვართმევდი.

ლეონატო—მთელ შენს აბეზარობას? მე? ჰა?

შინდი—დიახ, ბატონო, ამაზე ათასჯერ უფრო მეტიც  
რომ იყოს. ქალაქში ყოველი კაცისაგან მსმენია თქვენი  
მოწყალების ქება და თუმცა ერთი საწყალი კაცი ვარ,  
მაგრამ მიხარია, როდესაც ეს მესმის.

გურზი—და მეც ასევე.

ლეონატო—გულით მწაღია ვიცოდე, მაინც რა გაქვთ ჩემ-  
თვის სათქმელი?

\* შინდმა ვერ გაიგო სიტყვა tedious (აბეზარობა) და ქებად მიიღო.



გ უ რ ზ ი—აი რა, ბატონო, ჩვენმა რაზმმა წუხელ დაგაპატიმრეს რა, თქვენთვის დიდი ბოდისში მოგვიხსენებია, ორი ავაზაკი, რომელთა მსგავსი მესინაში არ მოიძებნება.

შ ი ნ დ ი—კარგი მოხუცია, ბატონო! ყბედობს, როგორც ამბობენ, სიბერე მოდის, ჭკუა მიდისო. ღმერთო, შენ დავგიფარე. რას არ ნახავს კაცი ამ ქვეყანაზე. კარგი ნათქვამია, მეზობელო, შე ღვთისნიერო! მაგრამ როცა ორი კაცი ერთ ცხენზე ზის, ერთი მუდამ მეორის უკანაა, პატიოსანი სულია, გეფიცები, ბატონო; ასეთი ბევრი კი არ მოიძებნება მათ შორის, ვისაც პური გაუტეხია. მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველა ერთმანეთის ტოლი არ არის. ასე არ არის, მეზობელო?

ლ ე ო ნ ა ტ ო —მართლაც, ძმობილო, შენ ეგ ვერ დაგეწევა.

შ ი ნ დ ი—ეგ, როგორც ღმერთს უბრძანებია.

ლ ე ო ნ ა ტ ო—უნდა დაგტოვოთ.

შ ი ნ დ ი—ერთი სიტყვა, ბატონო; ჩვენმა მცველებმა, ბატონო, მართლაც დააპატიმრეს ორი საეჭვო პიროვნება და ჩვენც გვინდოდა ისინი ამ დილითვე თქვენი მოწყალეების წინაშე დაგვეკითხა.

ლ ე ო ნ ა ტ ო —თქვენ ავითონ დაკითხეთ და მერმე მომახსენეთ. როგორც ხედავთ, ძალიან მეჩქარება.

შ ი ნ დ ი—კმაყოფილი დარჩებით.

ლ ე ო ნ ა ტ ო —წასვლამდე ცოტა ღვინო დალიეთ. ნახვამდის!  
(შემოდის შიკრიკი)

შ ი კ რ ი კ ი—გელოდებიან, ბატონო, ქალი უნდა ჩააბაროთ მეუღლეს.

ლ ე ო ნ ა ტ ო —ეხლავე მოგყვებით, მზადა ვარ.  
(გადიან ლეონატო და შიკრიკი)

შ ი ნ დ ი—გასწი, მეგობარო! მიდი, ფრენსის ნახშირს უბრძანე თავისი მელანი და საწერ-კალამი ციხეში მოიტანოს. ახლავე უნდა დაკითხოთ.

გ უ რ ზ ი—მხოლოდ ჭკუით უნდა მოვიქცეთ.

შ ი ნ დ ი—შენ ფიქრი ნუ გაქვს. ჭკუა არ გვაკლია (უთითებს შუბლს). აქ მოიძებნება ისეთი რამ, რომ ისინი გამოეტეხონ. ოღონდ სწავლული მწერალი იშოვე, რომ მტკიცედ ჩასწეროს ჩვენი ძიება, და ციხეში დამხვდი. (გადიან)

## მოქმედება მეოთხე

სურათი I

საყდარში.

(შემოდინან დონ-პედრო, დონ-ხუანი, ლეონატო, ბერი, კლავდიო, ბენედიქტი, ჰერო, ბატონიჩე და მხლებლები)

ლეონატო—მოკლედ, მოკლედ, მამაო ფრანცისკ! თქვენ ჯერ მარტო ჯვარი დასწერეთ და მოვალეობანი მერმე აუხსენით.

ბერი—(კლავდიოს) თქვენ აქ იმისათვის მოხვედით, ბატონო ჩემო, რათა ჯვარი დაიწეროთ ამ ქალზე?

კლავდიო—არა.

ლეონატო—რათა შეირთოს ეგ ქალი, მამაო, ჯვარი კი თქვენ უნდა დასწეროთ.

ბერი—ქალბატონო, თქვენ აქ იმისათვის მოხვედით, რათა მისთხოვდეთ ამ გრაფს?

ჰერო—დიახ.

ბერი—თუ რომელიმე თქვენგანმა იცის იღუმალი რამ დაბრკოლება, რაც ხელს უშლის თქვენს შეუღლებას, თქვენსავე სულს გაფიცებთ, სოქვით.

კლავდიო—თქვენ ხომ არაფერი იცით, ჰერო?

ჰერო—არაფერი, ბატონო ჩემო.

ბერი—თქვენ, გრაფ?

ლეონატო—ვბედავ მის მაგიერ გიპასუხოთ: არაფერი.



კლავდიო—ო, რას არ ბედავენ ადამიანები! რა ლიანთ, რას არ აკეთებენ ყოველდღიურად და არ იციან კი, რას აკეთებენ!

ბენედიქტი—ეს რა ამბავია? შორისდებულები? მე მგონი უფრო სამხიარულოც მოიძებნებია. მაგალითად—ჰა, ჰა, ჰა!

კლავდიო—იქით მიდექით, ბერო! ნება მიბოძეთ, მამავ, გკითხვით, ნამდვილად თავისუფლად და წრფელი გულით მაძლევთ თქვენს ასულს?

ლეონატო—ისევე წრფელად, შვილო, როგორც ღვთისგან მივიღე.

კლავდიო—მაშ, აწ მიბრძანეთ, რით მოგიძღნათ საზაგაირო

ასე ძვირფასი და მდიდრული საჩუქრისათვის.

დონ-პედრო—არაფრით, მხოლოდ დაუბრუნე უკანვე ქალი.

კლავდიო—კეთილშობილი არის, პრინცო, თათბირი თქვენი.

მიიღეთ უკან, ლეონატო, თქვენი ასული:—

დამპალი ხილით სტუმრებს ნულარ უქასპინძლდებით.

პატიოსნება მისი—მხოლოდ მოჩვენებაა.

აი, შეხედეთ! ქალწულივით როგორ წითლდება.

რა თვალთმაქცურად შეუძლიან იღუმალ ცოდვას

ქეშმარიტების უცოდველი სახის ქვეშ მალვა.

ვინ არ იტყოდა, შემხედვარე ამ სიწითლსა,

რომ ის სათნოა? განა თქვენ არ დაიფიცავდით,

რომ ეს ასული, თქვენს წინ მდგარი, ქალწული არის,

თუ იმსჯელებდით გარეგნობის მისის მიხედვით.

მაგრამ ის იცნობს სარეცელის განცხრომის სიცხეს

და ეს სიწითლე უბიწობის ფერი კი არა,

გარყვნილების და თვალთმაქცობის ცოდვის ფერია.

ლეონატო—ბატონო ჩემო, რის თქმა გნებავთ?

კლავდიო—რომ ჯვარს არ ვიწერ,

არ ვუკავშირებ ჩემს სიცოცხლეს გარყვნილ ქმნილებას.

ლეონატო—მაგრამ მიბრძანეთ, იქნებ, ჩემო ძვირფასო

გრაფო,

თვითონ დასძლიეთ თავდაქერა ახალგაზრდული

და ქალწულობა იქნებ თვითონ თქვენ დაამარცხეთ?

კლავდიო—ვიცი, რაც გინდათ მაგითი თქვით. ჰერო

მომავალ

თავის მეუღლეს მოეხვია და ამიტომაც  
ეგ წინასწარი ცოდვა—მართლა ცოდვა არ არის.  
არა, ლეონატო,

მაცდუნებელი ერთი სიტყვაც არ მიხმარია.  
მხოლოდ, როგორც ძმა საკუთარ დას, თავს ვეველებოდი  
და ვუჩვენებდი გულწრფელობას სიყვარულისას.

ჰერო—და განა მე კი სხვანაირად გეჩვენებოდით?

კლავდიო—შორს ეგ „ჩვენება!“ გინდა აქვე ხელწერილს  
დავწერ,

რომ დიანაზე უფრო ცივი მეჩვენებოდი  
და წმინდა კვირტზე უფრო მეტად გაუთუურჩქნელი.  
მაგრამ შენ სისხლი ვენერაზე უფრო ცხელი გაქვს  
და, როგორც მხეცი, დაუცხრომელ ვნებაში იწვი.

ჰერო—ჩემი ბატონი სალად არის? ამას რას ბრძანებს?

კლავდიო—კეთილო პრინცი, რატომ თქვენ კი აღარას  
იტყვი?

დონ-პედრო—რალა უნდა ვთქვა, შელახულა ჩემი ღირსებაც,  
ძვირფას მეგობარს გაუფრიგე უზნეო ქალი.

ლეონატო—რაებს ამბობენ? ცხადი არის ეს, თუ სიზმარი?

დონ-ხუანი—დიახ, ამბობენ და ეს ყველა სიმართლე  
გახლავთ.

ბენედიქტი—ეს უკვე ქორწილს აღარა ჰგავს.

ჰერო—სიმართლე! ღმერთო!

კლავდიო—თქვით, ლეონატო, ეს მე ვარ არა?

ეს ხომ პრინცია? ეს პრინცის ძმა არ არის განა?

ეს ხომ ჰეროა? არ სტყუიან ჩვენი თვალები?

ლეონატო—არა სტყუიან, მაგრამ მაინც რა გნებავთ  
ბრძანოთ?

კლავდიო—ნება მიბოძეთ, ჰეროს ვკითხო ერთი რამ აქვე,  
და თქვენ კი, თქვენი მამობრივი ხელისუფლებით

უბრძანეთ მასვე, ჩვენ პასუხად სიმართლე გვითხრას.

ლეონატო—მოვითხოვ შენგან, როგორც მამა, გვითხრა  
სიმართლე.

ჰერო—ღმერთო, მიშველე! რა სასტიკად მავიწროვებენ!

რა კითხვებია? სადაური კატეხიზმოსი?



კლავდიო—უნდა ნამდვილი მოგვახსენოთ თქვენი  
ჰერო—ჰერო არ მქვიან? ეს სახელი განა ვის ძალუძს  
ცილისწამებით შეურაცხყოს?

კლავდიო—თვითონვე ჰეროს.  
თვითონვე ჰეროს შეუძლიან ჰეროს შერცხვენა.  
ვინ იყო კაცი, წუხელ ღამით რომ გესაუბრათ  
ღია სარკმელთან შუალამის საათის შემდეგ?  
თუ ქალწული ხართ, ამ კითხვაზე უნდა მომივით.

ჰერო—ასეთ დროს და ჟამს არავისთან მისაუბრია.  
დონ-პედრო—არა ყოფილხართ, მაშ ქალწული. ძალიან  
გწუხვარ,

უნდა გაგიტყდეთ, ლეონატო, ღირსებას ვფიცავ,  
წუხელი ღამით მე, ჩემმა ძმამ და გრაფ კლავდიომ  
თავათ ვნახეთ და გავიგონეთ: თავის სარკმლიდან  
ვიღაც უცნობთან საუბრობდა თქვენი ასული.  
უცნობი იგი მაწანწალის უსირცხვილობით  
ლაპარაკობდა საძაგელი მათი კავშირის  
და საიდუმლო შეხვედრათა ძველთა გარშემო.

დონ-ხუანი—ფუჰ! არც ეგების იმ სიტყვათა დასახელება,  
არც ლაპარაკი ღირს მათ გამო!  
მე მათ წარმოთქმას არ მანებებს სირცხვილის გრძნობა,  
არც ენა მომდევს. მაშ, აგრეა, ტურფა ასულო!  
სამწუხაროა, რომ ცოდვილი ყოფილხართ ესდენ.

კლავდიო—ო, ჰერო, ჰერო! იქნებოდი რაოდენ კარგი,  
რომ შენი ტურფა გარეგნობის თუნდ ნახევარი  
მიეღო შენს გულს რჩევათა და აზრების სახით.  
მშვიდობით ახლა, შელახულო მშვენიერებაე,  
უმანკო ცოდვავ და ცოდვილო უმანკოებაე!  
მე გადავრაზე სიყვარულის ყველა ჭიშკარი.  
ეჭვიანობას დავიყენებ თვალთა დარაჯად,  
მშვენიერებას გადავაქცევ აწ ბოროტებად  
და აღარასდროს სილამაზედ აღარ მივიჩნევ.

ლეონატო—ვინ მომცემს მახვილს, რათა აქვე მოვიკლა  
თავი?

(ჰეროს გული შეუწუხდება)

ბეატრიჩე—რა დაგეწართა, ბიძაშვილო, რატომ ეცემი?

დონ-ხუანი—წამო, წავიდეთ! მას დაფარულ საიდუმლოთა  
გამომჟღავნებამ თავზარი დასცა.

(დონ-ხუანი, დონ-ჰედრო და კლავდიო მზღებლებითურთ გადიან)

ბენედიქტი—რა დაგეწართა?

ბეატრიჩე— მოკვდა მგონი, მიშველეთ ბიძავ!  
ჰერო, სინიორ, მომეხმარეთ! ბიძავ, მამაო!

ლეონატო—არ მოარიდო, ბედისწერავ, მსახვრალი ხელი.  
სიკვდილი მისი სირცხვილისთვის საუკეთესო  
საფარველია. ჩვენ უკეთესს ვერც ვისურვებდით.

ბეატრიჩე—რალა ვქნა ახლა? ჰერო, ჰერო!

ბერი— დამშვიდდით, ქალო!

ლეონატო—მოხვედი გონზე?

ბერი— რატომ არა?

ლეონატო— როგორ თუ რატომ?

განა ყოველი მიწიერი არსება მაგას

დღეს არ შესძახის გრცხვენოდესო? განა შეეძლო  
უარეყო მას ეს სირცხვილი მისი სისხლისა?

ნულარ იცოცხლებ, მოკვდი, ჰერო, თვალს ნუ გაახეღ,  
რომ არ ვფიქრობდე, რომ შენ ჩქარა მოკვდები თვითონ,  
ან და ვიცოდე გადაიტან ამ მძიმე სირცხვილს,  
საყვედურების დამატებად თვითონ მოგკლავდი.

ვემდურებოდი ჩემს ბედს განა, რომ მხოლოდ ერთი  
მაჩუქა შვილი? კმაყოფილი ვიყავი შენით.

ჩემს თვალებს მარად მშვენიერად ეჩვენებოდი.

ახლა კი ვნანობ, რატომ ვინმე გამვლელ მათხოვარს  
არ მოუვიდა აზრად ჩემთვის მოეგლო ბავშვი.

მე უცხოს შვილად სიყვარულით შევივრდომებდი  
და, თუ ოდესმე ისიც ასე გაისვრებოდა,

ვიტყოდი მაინც: „ეს ხომ ჩემი არ არის მეთქი,  
დამნაშავეა ამ სირცხვილში უცნობი სისხლი“.

ეს კი ჩემია, ვამაყობდი, რომ ჩემი იყო,

მიყვარდა ისე, რომ თავიც კი მავიწყდებოდა.

ახლა შესვრილი დაცემულა. უსაზღვრო ზღვებში

წვეთები მისი გამრეცხავნი ვერ დაეტონ,  
ვერ მოიძებნოს საკმარისი მათში მარილი,  
რომ მისი ხორცი ხრწნას და ლპობას გადაარჩინოს.

ბენედიქტი—ბატონო ჩემო, მოითმინეთ. სულ დავიბენი,  
აღარც კი ვიცი რა უნდა ვთქვა განცვიფრებულმა.

ბეატრიჩე—სულს გეფიცები, ჩემს ბიძაშვილს ცილი  
დასწამეს.

ბენედიქტი—წუხელის ღამით თქვენ ჰეროსთან ერთად  
გეძინათ?

ბეატრიჩე—წუხელის არა, მართალია, მაგრამ მანამდე  
ეს თორმეტი თვე მე და ჰეროს ერთადა გეძინავს.

ლეონატო—ქეშმარიტება შეურყევლად დგას, როგორც  
რკინა.

დანაშაული აშკარაა. ან ორი პრინცი  
ტყუილს იკადრებს? ან კლავდიო? კაცი, რომელმაც  
ცხარე ცრემლები დააფრქვია საყვარელ ქალის  
სირცხვილის ამბავს. მომაშორეთ! წავიდეს, მოკვდეს!

ბერი—მეც მომისმინეთ ორი სიტყვა.  
მე ასე დიდხანს მისთვის ვიდექ გაჩუმებული,  
რომ გზა მიმეცა ამ ამბავთა მდინარებისთვის.  
კარგად შევნიშნე, ამ ასულის სახემ ათასჯერ  
დაჰკარგა ფერი და სიწითლემ გადაუარა.  
მე მის თვალბში შევამჩნიე უმანკო ცეცხლი,  
სადაც იწვოდა ბრალმდებელთა ცილისწამება.  
დამარქვით გიჟი, ჩემს მიხვედრას ნუ დაუჯერებთ,  
ნურც კითხვის უნარს, ნურც სიბერეს, გამოცდილებას,  
ნუ დაიჯერებთ ჩემს წოდებას, ღირსებას ღვთიურს,—  
თუ თქვენი ქალი დამნაშავე აღმოჩნდეს მართლა  
და არა მსხვერპლი შეცდომისა.

ლეონატო— არ შეიძლება,  
არ შეიძლება აგრე იყოს. ბერო, ხომ ხედავ,  
ცოტაოდენი შერჩენია მაინც ნამუსი:  
იგი ცრუ ფაციოთ თავის ცოდვას არ აორკეცებს  
და არ უარყოფს დანაშაულს: შენ რაღად ცდილობ  
შენი შენდობით დაითარო სიშიშვლე მისი.



- ბერი—კავშირი ვისთან დაგაბრალებს მათ, ქალბატონო?
- ჭერი—ჰკითხეთ ბრალმდებლებს: მე საიდან მეცოდინება?  
თუ კი ვიცოდე მე ცოცხალი ადამიანი,  
ვისთანაც ჩემი ქალწულური მოვალეობა  
გადამელახოს—არ დამზოგოთ, არ შემიბრალოთ.  
დამისაბუთე, მამაჩემო, რომ გვიან საათს  
საერთოდ ვინმე მაპაკაცი მენახოს სადმე,  
ან წუხელ ღამით მესაუბროს მე ცოცხალ არსთან—  
და შემიძულე, უარმყავი, მომკალ წამებით.
- ბერი—მსხვერპლნი გამხდარან შეცდომისა, ვატყობ,  
პრინციპი.
- ბენედიქტი—ორ მათგანს, ვიცი, არ დასტოვებს  
პატიოსნება,  
მაგრამ თუ მათი სიბრძნე მართლაც ექვმა მოიცვა,  
ეს ნაბიჭვარი დონ-ხუანის საქმე იქნება.  
არამზადობით ცოცხლობს მუდამ იმისი სული.
- ლეონატო—მე ეგ არ ვიცი, ვიცი მხოლოდ, იმათი სიტყვა  
თუ ოდნავ მაინც შემცველია ქეშმარიტების,  
ჩემს ქალს ამ ხელით თვითონ გავვლევ, მაგრამ  
თუ ვინმემ  
ცილი დასწამა—მოგახერხებ შურისგებასაც.  
მე სიბერისგან ჯერ გონება არ დამიკარგავს,  
წლებს ჩემი სისხლი ჯერ სავსებით არ გაუშრია,  
გლახა არა ვარ და ცბიერი ცხოვრების გზაზე  
მე მეგობრები აქეთ-იქით არ გამიფანტავს.  
დე, შეურაცხმყონ—პასუხისთვის მომეძებნება  
ძლიერი სული და სიმაგრე ბებერ სხეულში,  
საშუალება და ერთგული ამხანაგებიც.
- ბერი—ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ჯერ ჩემი რჩევა:  
მათი წასვლის დროს თქვენი ქალი უგონოდ იყო.  
ალბათ პრინციპმაც გარდაცვლილად ჩასთვალეს იგი.  
გამოაცხადეთ, რომ ის მართლაც გარდაიცვალა;  
ერთხანს ფარულად გადამალეთ ასული თქვენი  
და წააწერეთ თქვენს აკლდამას საგვარეულოს  
ეპიტაფია. შეასრულეთ ყოველი წესი,  
რაც დაკრძალვისთვის საჭიროა და მიღებული.



ლ ე ო ნ ა ტ ო — მერმე მაგითი რა გამოვა? რა უნდა  
 ბ ე რ ი — თუ მართლაც ამას შევასრულებთ ჩვენ ოსტატურად —  
 თქვენი ქალისთვის სასარგებლო იქნება ფრიად:  
 ცილისწამებას სინანული შესცვლის უთუოდ.  
 მაგრამ მე მხოლოდ ამ მიზნისთვის არ მოვიგონე  
 ეს ჩემი გეგმა უცნაური. მე უფრო შორს ვჭკვრეტ.  
 როს შეიტყობენ თქვენი ქალის გარდაცვალებას  
 იმ დროს, როდესაც აბრალებდნენ უმძიმეს ცოდვას, —  
 დაიტირებენ სიბრაღულით გამსჭვალულები,  
 შეუტრაცხოფილს შებრალებით მოხდიან ბოდის.  
 ასეა მუდამ: არასოდეს ვაფასებთ იმას,  
 რაც ჩვენ გვეკუთვნის. ვერც კი ვხედავთ ღირსებას მისას,  
 ვიდრე ჩვენია, მაგრამ თუ კი დავკარგეთ იგი,  
 აღმოაჩნდება მას იმდენი რამ ღირსეული,  
 რაც ჩვენ აქამდე არასოდეს შეგვიმჩნევია.  
 ასეთი საქმე კლავდიოსაც დაემართება.  
 ისიც შეიტყობს, რომ მის სასტიკ სიტყვათა მსხვერპლი  
 გამხდარა ჰერო; გარდაცვლილი სატრფოს მშვენება  
 შეეპარება შეუმჩნევლად მის წარმოდგენას;  
 რაც კი ცოცხალში მომხიბლავი იყო და ნაზი,  
 აღსდგება მის წინ, შემოსილი მეტი მშვენებით  
 და აღელვებს უფრო მეტად, ვიდრე ცოცხალი  
 მას აღელვებდა სიცოცხლის ჟამს. ნამდვილი სატრფო  
 წარმოუდგება სულთერთა თვალთა წინაშე.  
 და თუ უყვარდა მას თავისი სატრფო ოდესმე,  
 შექველია, წრფელი გულით დაიწყებს გლოვას.  
 ჰეროს ცოდვებში თუნდაც იყოს დარწმუნებული,  
 მოინანიებს საყვარელი არსების დასჯას.  
 მოაწყვეთ აგრე, გამარჯვების ნულარ გაქვთ ეჭვი  
 და გამართლდება მოლოდინი ჩემი ყოველი.  
 მაგრამ თუ შევცდი, მიზანს მაინც ვერ მივალწიე,  
 ერთი რამ მაინც უდავო და შექველია:  
 ქალის სიკვდილის ხმა უთუოდ დააცხრობს ჰორებს  
 და ჩამორეცხავს სამარცხვინო ლაქას მის სახელს.  
 დამალეთ სადმე. მიაშურეთ წმინდა სავანეს:

იქ შეაფარეთ შელახული მისი სახელი  
ქვეყნის თვალთაგან, წყენათაგან, ჰორთაგან დიდთა.

ბენედიქტი—დაემორჩილეთ, ლეონატო, ამ ბერის რჩევას.  
და თუმცა მიცნობთ კლავდიოს და პრინცის მეგობრად,  
პატიოსნებას გეფიცებით და ჩემს ღირსებას  
დავდუმდე თქვენებრ და ნამდვილად გავხდე ერთგული  
თქვენი საქმისა, ისე, როგორც თქვენი სხეულის  
ერთგული არის თქვენი სული.

ლეონატო— სევდით ძლეული,  
წყალწალღებული მე მზადა ვარ ხავსს მოვექიდო.

ბერი—გონივრულია, მეგობრებო. წავიდეთ ახლა.  
მძიმე ავადმყოფს მკურნალობა სჭირდება მძიმედ.  
სიცოცხლეს მოგვცემს სიცოცხლესთან დროებით გაყრა  
და ოდნავ გვიან ხორცს შეასხამს ქორწილის იმედს.  
(ყველანი გადიან, გარდა ბენედიქტისა და ბეატრიჩესი)

ბენედიქტი—ქალბატონო ბეატრიჩე, მთელი ეს ხანი თქვენ  
სულ ტიროდით?

ბეატრიჩე—ღიახ და კიდევ დიდხანს ვიტირებ.

ბენედიქტი—მე ვგ არა მსურს.

ბეატრიჩე—არც უნდა გსურდეთ. მე ჩემის ნებით ვტირი.

ბენედიქტი—დარწმუნებული ვარ, თქვენს ბიძაშვილს ცილი  
დასწამეს.

ბეატრიჩე—როგორ დამავალებდა ის კაცი, ვინც მოახერ-  
ხებდა მის გამართლებას!

ბენედიქტი—რა გზით შეიძლება თქვენთვის ასეთი მეგობ-  
რობის დამტკიცება?

ბეატრიჩე—ასეთი გზა არსებობს, მეგობარი კი არა.

ბენედიქტი—მამაკაცს შეუძლიან მაგის გაკეთება?

ბეატრიჩე—ღიახ, ეს მამაკაცის საქმეა, მხოლოდ თქვენი  
კი არა.

ბენედიქტი—ამ ქვეყნად ყველაფერზე უფრო მეტად თქვენ  
მიყვარხართ. განა უცნაური არ არის?

ბეატრიჩე—უცნაურია, როგორც ისეთი რამ, რომლისაც  
სრულიად არაფერი ვიცი, მეც შემიძლიან ვსთქვა, რომ  
ყველაფერზე უფრო მეტად თქვენ მიყვარხართ ამ ქვეყ-



ნად, მაგრამ არ დამიჯეროთ, თუმცა არა არათფერს ვაღიარებ, მაგრამ არც არათფერს მე მენანება ჩემი ბიძაშვილი.

ბენედიქტი—ჩემს ხმალს გეფიცები, ბეატრიჩე, თქვენ მე გიყვარვართ.

ბეატრიჩე—ხმალს ნუ იფიცავთ: უმჯობესია შეჭამოთ იგი.

ბენედიქტი—გეფიცებით, თქვენ მე გიყვარვართ და ჩემს ხმალს შევაქმევ ყველას, ვინც იტყვის, რომ მეც არ მიყვარხართ.

ბეატრიჩე—თქვენს სიტყვას ხომ არ შესჯამთ?

ბენედიქტი—შეუკაზმავად გამიძნელდება. მე ვაცხადებ, რომ მიყვარხართ.

ბეატრიჩე—მაშ, შემინდე, უფალო!

ბენედიქტი—რომელი ცოდვა, საყვარელო ბეატრიჩე?

ბეატრიჩე—კარგ დროს შემაწყვეტინეთ. ის იყო ვაპირებდი გამომეცხადებინა, მეც მიყვარხართ მეთქი.

ბენედიქტი—მაშ, გამომიცხადე მთელი გულით!

ბეატრიჩე—ჩემი გული ისე სავსეა თქვენდამი სიყვარულით, რომ მასში განცხადებისათვის აღგილი აღარ არის.

ბენედიქტი—მაშ, მომთხოვე, რაც გინდა.

ბეატრიჩე—მოჰკალით კლავდიო!

ბენედიქტი—არათფრის გულისათვის.

ბეატრიჩე—მე მკლავს თქვენი უარი! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ბენედიქტი—დაიცა, საყვარელო ბეატრიჩე!

ბეატრიჩე—უკვე წავიდი, თუმცა ჯერ აქა ვარ.\* თქვენ მე არ გიყვარვართ, გთხოვთ გამიშვათ.

ბენედიქტი—ბეატრიჩე!

ბეატრიჩე—გეფიცებით, მივდივარ.

ბენედიქტი—ჯერ დავმეგობრდეთ.

ბეატრიჩე—რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრობა უფრო აღვილია, ვიდრე ჩემს მტერთან შებმა.

\* გ. ი. თუმცა ჩემი პირთვნება დარჩა თქვენთან, ჩემი გული თქვენგან წავიდა.

ბენედიქტი—განა კლავდიო შენი მტერია?

ბეატრიჩე—განა მან არ დაამტკიცა, რომ ნამდვილი ავა-  
ზაკია, როცა ცილი დასწამა, გაამასხარავე იგი და პა-  
ტივი აპყარა ჩემს ნათესავს? ო, ნეტავი მამაკაცი ვყო-  
ფილიყავი! როგორ! ხელით ატარო, ვიდრე მის ხელს  
მიიღებდე და შემდეგ საჯაროდ თავი მოსჭრა, ასე ბო-  
როტად ცილი დასწამო! ო, ღმერთო, მამაკაცი ვყოფი-  
ლიყავი! მის გულს ბაზრის მოედანზე შევეჭამდი.

ბენედიქტი—გამიგონე, ბეატრიჩე...

ბეატრიჩე—სარკმელიდან უცნობ კაცს ელაპარაკებოდაო!  
კარგი მოგონილია!

ბენედიქტი—კი მაგრამ, ბეატრიჩე...

ბეატრიჩე—საყვარელო ჰერო! ის შეურაცხვეს, ცილი დას-  
წამეს, დაღუპეს!

ბენედიქტი—ბეატ...

ბეატრიჩე—პრინციები და გრაფები! პრინცი—მოწამე, გრა-  
ფი—ბრალმდებელი, შაქრის გრაფი, მსუყე არშიყი, ისემა-  
რა ვუთხრა? ო, მამაკაცი ვყოფილიყავი და მისთვის  
ქკუა მესწავლებინა! ან ისეთი მეგობარი მყავდეს, რომე-  
ლიც ჩემი გულისათვის კაცად ქცევას მოიხდომებდა!..  
არა, ჩვენს დროში ვაჟკაცობა თავაზიანობად იქცა, მა-  
მაცობა—ქათინაურად, ვაჟკაცები—ენებად და კობტაო-  
ბად გადაიქცნენ. ახლა ის არის ჰერკულესი, ვინც ყვე-  
ლაზე უკეთ სტყუის და ფიცულობს. თუმცა, მარტო  
ნატვრით ხომ კაცად ვერ ვიქცევი! ამიტომ მიჯობს  
მწუხარებაში მოვკვდე, როგორც ქალი.

ბენედიქტი—დაიცა, საყვარელო ბეატრიჩე, ამ ხელსა ვფი-  
ცავ, მიყვარხარ!

ბეატრიჩე—ჩემს სიყვარულს იგი უფრო სხვანაირად მოახ-  
მარეთ, ვიდრე იფიცოთ.

ბენედიქტი—გულის სიღრმეშიც დარწმუნებული ხართ,  
კლავდიომ ჰეროს ნამდვილად უსამართლოდ დასდო  
ბრალი?

ბეატრიჩე—დიახ, ისევე, როგორც ნამდვილად მაქვს აზრი  
და გული.

ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ი — კ მ ა რ ა ! ს ი ტ ყ ვ ა ს გაძლევთ, ხმაღში გამოსვლას  
ხელს გიკოცნით და გტოვებთ. ვფიცავ ამ ხელს, კლავ-  
დიოს ძვირად ვაზღვევინებ სამაგიეროს. რაც ჩემზე გაი-  
გონოთ, იმის მიხედვით იმსჯელეთ. წადით, დაამშვიდეთ  
თქვენი ბიძაშვილი. მეც ვიტყვი, გარდაიცვალა მეთქი.  
ჯერჯერობით, მშვიდობით.

(გადიან)

სურათი II  
საპატიმრო.

(შემოდინ შინდი, გურზი, მნათე მოსამართლის სამოსელში და  
მცველები. შემოჰყავთ კონრადი და ბორაჩიო)

შ ი ნ დ ი — არის თუ არა მთელი ჩვენი კრება დაშლილი?  
გ უ რ ზ ი — ჰეი, მთავრით მნათეს სკამი და ბალიში!  
მ ნ ა თ ე — ვინ არიან აქ ბოროტმოქმედნი?  
შ ი ნ დ ი — მე და ჩემი თანაშემწე.  
გ უ რ ზ ი — სრული სიპართლეა. ჩვენ გამოვცხადდით გამოძი-  
ების ჩასატარებლად.  
მ ნ ა თ ე — კი, მაგრამ სად არიან რომელთაც უნდა დაეკითხოთ?  
მოვიდნენ ისინი უფროს კონსტებლთან.  
შ ი ნ დ ი — დიახ, დიახ, გამოვცხადდნენ ჩემს წინაშე. რა გქვიან  
სახელი, მეგობარო?  
ბ ო რ ა ჩ ი ო — ბორაჩიო.  
შ ი ნ დ ი — ჩაწერეთ. გეთაყვა: ბორაჩიო. თქვენი სახელი, ბატონო?  
კ ო ნ რ ა დ ი — მე აზნაური ვარ და ჩემი სახელია კონრად.  
შ ი ნ დ ი — ჩაწერეთ: აზნაური კონრად. ყმაწვილებო, გწამთ  
თუ არა ღმერთი?  
კ ო ნ რ ა დ ი და ბ ო რ ა ჩ ი ო — დიახ, ბატონო, იმედი გვაქვს.  
შ ი ნ დ ი — ჩაწერეთ: იმედი აქვთ, რომ სწამთ ღმერთი. დასწე-  
რეთ ჯერ ღმერთი, რადგან ღმერთი ასეთ ავაზაკებზე წინ  
უნდა ეწეროს. ყმაწვილებო, უკვე სავსებით დამტკიცე-  
ბულია, რომ დიდი ავაზაკები ხართ და მე მინდა გამო-  
ვიყვანოთ მშრალზე. რა შეგიძლიანთ მიპასუხოთ?  
კ ო ნ რ ა დ ი — რომ ჩვენ ავაზაკები არა ვართ.  
შ ი ნ დ ი — ბიჭოს, რა ეშმაკი არამზადა ყოფილა! მაშ, ახლა  
მეორეს მოველაპარაკები. (ბორაჩიოს) აქეთ მოდი, უქნა-

- რა. ერთი სიტყვა უნდა გითხრა ყურში: თქვენზე ამბობენ, რომ დიდი ავაზაკები ყოფილხართ.
- ბორაჩიო—მე კი მოგახსენებთ ავაზაკები არა ვართ.
- შინდი—კარგი. იქით წიდექი. ღმერთმანი, მოლაპარაკებელი არიან. ჩასწერეთ, რომ „არ არიან ავაზაკები“.
- მნათე—ბატონო კონსტებლო, თქვენ ასწორედ არ ატარებთ დაკითხვას. უნდა დაუძახოთ მცველებს და ბრალს ისინი დასდებენ.
- შინდი—დიახ, მართლაც, ეგ ყველაზე სწრაფი საშუალებაა. მოვიდნენ მცველები. ყმაწვილებო, გიბრძანებთ პრინციის სახელით ამ ხალხს ბრალი დასდოთ.
- პირველი დარაჯი—ამ კაცმა თქვა, ბატონო, რომ პრინციის ძმა დონ-ხუანი ავაზაკია.
- შინდი—ჩაწერეთ: პრინცი ხუანი ავაზაკია. ეგ ხომ აღმაშფოთებელი ლალატია—პრინციის ძმისათვის ავაზაკის წოდება.
- ბორაჩიო—ბატონო კონსტებლო...
- შინდი—თუ ძმა ხარ, გაჩუმდი. გაფრთხილებ, არ მომწონს შენი გამოხედვა.
- მნათე—კიდევ რა თქვა?
- მეორე დარაჯი—რომ მიიღო ათასი დუკატი დონ-ხუანისაგან ქალბატონ ჰეროს ცილისწამებისათვის.
- შინდი—ასეთი ძარცვა-გლეჯა არ გაგონილა!
- გურზი—ღმერთს გეფიცებით, ავრეა.
- მნათე—კიდევ რა, ძმობილო?
- პირველი დარაჯი—და რომ გრაფმა კლავდიომ გადასწყვიტა მის სიტყვებზე დაყრდნობით შეარცხვინოს ჰერო მთელი შეკრებულობის წინაშე და უარი სთქვას ჯვარის წერაზე.
- შინდი—ო, ავაზაკო! ამისათვის საუკუნო ტანჯვა გექნება მოსჯილი.
- მნათე—კიდევ რა?
- მეორე დარაჯი—მეტი არაფერი.
- მნათე—ესეც საკმარისია, მით უმეტეს, რომ თავს ვერ გაიმართლებთ. პრინცი ხუანი დღეს დილით ჩუმად გაიპარა. ჰეროს მართლაც ამგვარად დასდეს ბრალი, ამგვარად



უარპყვეს და ჯავრისაგან უეცრად გარდაიცვალა. მასტროს კონსტებლო, შეჰკარით ეს ხალხი და მიუყვანეთ ლეონატოს სახლში. მე კი წავალ და მათ ჩვენებას ვაჩვენებ. (გადის)

შინდი—აბა, გაამზადეთ!

გურზი—შეჰკარით!

კონრადი—გაიწი იქით, რეგვენო!

შინდი—ღმერთო, მაცხოვარო! სად არის მნათე? ჩასწეროს: პრინცის მსახური რეგვენია. აბა, შეჰკარით! შე მდაბალო ქმნილებავ!

კონრადი—გაიწი იქით! ვირო, ვირო!

შინდი—რაო? არავეითარი ეჭვი ჩემი თანამდებობის მიმართ? არავეითარი ეჭვი ჩემი წლების მიმართ? ჰაი, რომ მნათე წასულია: ერთი ჩაეწერა, რომ მე ვირი ვარ. მაგრამ, ყმაწვილებო, დაიხსომეთ, რომ მე ვირი ვარ. თუმცა ჩაწერილი არ არის, მაინც არ დაგავიწყდეთ, რომ მე ვირი ვარ. დამაცა, ავაზაკო, თუმცა მორიდება გქონია. მაინც შენი მოწმეებიც მოიძებნება! ჭკვიანი კაცი ვარ! და ამაზე მეტიც—მოსამსახურე ვარ; ამას გარდა, ოჯახის პატრონი ვარ; ამას გარდა, ყველაზე გემრიელი ლუკმა ვარ მთელს მესინაში. კანონები ვიცი, ესეც ჩადი! საკმაოდ მდიდარი ვარ, ესეც ჩადი! ნაკლოვანება—რამდენიც გინდა. ერთი იმათგანი ვარ, ვისაც ორი სამოსელი აქვს და ყველაჟერი მოწესრიგებული. გაიყვანეთ! ეჰ, რატომ არავინ ჩაწერა, რომ მე ვირი ვარ!

(გადის)



## მოქმედება მისთვის

### სურათი I

ლეონატოს სახლის წინ.

(შემოდინ ლეონატო და ანტონიო)

ანტონიო—ასე რომ მიჰყევე, ალბათ მალე ჯაგრიტ მოკვდები.  
ან რა ჰკუაა, მწუხარება გაიორკეცო  
და შენს თავს ავნო?

ლეონატო— დაანებე მაგ რჩევას თავი.  
იგი ამოდ შედის ყუ ში, ვით ცხრილში წყალი.  
შენ მომიყვანე უკეთესი ნუგეშისმცემი.  
მან მანუგეშოს, ვინც ჩემსავეთ იყო უბედო;  
თავისი ქალი ვისაც ასე ნაზად უყვარდა  
და დაეკარგა ვისაც ჩემებრ ბედნიერება—  
მომინებისკენ მხოლოდ იგი მომიწოდებდეს.  
თუ მწუხარება მისი ასე ღრმა და სრულია  
და ჩემი სევდის თანასწორი ყოველნაირად.  
თუ ჩემსას უგავს სიმძიმის ყოველი ნაკვთი,  
ყოველი შტო და ყოველგვარი გამომქლავნება  
და კაცი იგი ჩაიცინებს ულვაშში უცებ,  
წამოიჭრება და შესძახებს „მორს ჩემგან, სევდავ“,  
იკითხავს წიგნებს ლამლამობით—წუხილის ნაცვლად  
და ანდაზებით თავს გაირთობს—ის მომიყვანეთ!  
იმან მასწავლოს მე მოთმინება.  
მაგრამ ვერ ნახოთ თქვენ ასეთი ვაჟკაცი ვერსად.

მისთვის არ არის ძნელი რჩევა, ნუგეზისცემა,  
ვინც სევდისაგან შორს დგას, მისგან გამოუცდელ  
მაგრამ მრჩეველმა, აბა, ერთხელ თვითონ იგემოს  
ასეთი სევდა—მისი რჩევა იქცევა ვნებად,  
ანთებულ რისხვას ვერ უშოვის ის მკურნალ წამალს,  
ველარც სიგიჟეს შეკრავს ნაზი აბრეშუმებით,  
ვერც აგონიას დააწყნარებს ცარიელ სიტყვით.  
არა და არა. ყველა კაცი ვალდებულია  
მწუხარე მოყვასს სიმშვიდეზე ელაპარაკოს,  
მაგრამ თვით მრჩეველს არასოდეს შესწევს ძალ-ღონე  
მიჰყვეს ამ სიბრძნეს, თუ შეხედება მსგავსი ნალგელი.  
მაშ, ნულარ მირჩევ! ჩემი სევდა იძახის, ჰგოდებს  
უფრო ხმამაღლა, ვიდრე ყველა შენი მსჯელობა.  
ანტონიო—მაშ აღარაფრით განსხვავდება დიდისგან ბავშვი.  
ლეონატო—გთხოვ, ჩუმიად იყო. მე ხორცი და სისხლი ვარ  
მხოლოდ

და შენ ვერც მეტყვი, სადმე ვინმე ფილოსოფოსი  
კბილისა ტკივილს იტანდაო მშვიდად და წყნარად,  
თუნდაც ეწეროს მას მანამდე ღმერთების მსგავსად,  
რომ უიღბლობა და ტანჯვანი—სისულელეა...  
ანტონიო—მაშინ ერთი რამ მაინც ჰქმენი: ნუ სწუხარ მარ-  
ტოდ, ვინც შეუტრაცხყო, სატანჯველი მიუზღე მათაც.  
ლეონატო—შენ მართალი ხარ. მართლაც უნდა მოვიქცე  
აგრე.

თან გულიც მიგრძნობს, ჰეროს მხოლოდ ცილი დასწამეს:  
დე, ეს გაიგოს კლავდიომაც და თვითონ პრინცმა,  
ყველამ, ჩემს ასულს ვინც პატივი აჰყარა ასე.  
ანტონიო—აქეთ მოდიან კლავდიო და პრინცი საჩქაროდ-  
(შემოდინ დონ-პედრო და კლავდიო)

დონ-პედრო—დღე მშვიდობისა!  
კლავდიო— მშვიდობის დღე ორივე ბატონს.  
ლეონატო—აწ მომისმინეთ, ბატონებო...  
დონ-პედრო— მიგვეჩქარება.

\* ე. ი. ოლიმპიელი ღმერთების უდარდელი განწყობილებით.

ლეონატო—ნიგეჩქარებათ? გამარჯვებით, ბატონო ჩემო!  
ნუთუ ესოდენ გეჩქარებათ? თუმც—სულერთია!  
დონ-პედრო—ნუ გვეჩხუბები, ჩემო კარგო მოხუცო კაცო!  
ანტონიო—მართლაც, რომ ჩხუბი წამოეწყო—ერთი ჩვენგანი  
ძირს ეგდებოდა უკვე ალბათ.

კლავდიო— ვინ შეურაცხავოთ?  
ლეონატო—შენ შეურაცხმყავ, შენ ცბიერო, შენ შეურაცხმყავ!  
არა, ამოდ ხელს ნუ ივლებ ემაგ მახვილზე.  
ვერ შემაშინებ.

კლავდიო— მაშინ მართლაც შემახმეს ხელი,  
თუ თქვენი ხნის კაცს დაემუქროს იგი ნამდვილად.  
არც მიფიქრია მახვილისთვის ხელი წამეველო.

ლეონატო—სამარცხვინოა! ნუ დამცინი! ჩემი სიტყვები  
უჭკვო ბებერის ან შეშლილის ბოდვა არ არის.  
მე არ ვიყენებ ჩემი წლების უფლებას ავად  
და არ ვტრაბახობ, რომ ქაბუკი ვიყავი ოდეს,  
მე ესა და ეს ჩავიდინე და დღეს რომ ისევ  
ქაბუკი ვიყო, ჩავიდინდი ამას და ამას.  
გეტყვი, კლავდიო: ჩემი ქალი შენ ისე ძლიერ  
შეურაცხყავი, რომ ვიფიქრებ ყველა ღირსებას,  
ჩემს ჭიკაძესა და განვლილი წლების სიმძიმეს  
და ხმაღში გიწვივ, სამართალში ვაჟიკაცისა.  
შენ ჩემს უმანკო, უმწიკვლო ქალს ცილი დასწამე.  
ცილის წამება მას უწყალოდ გაუპო გული  
და წინაპართა აკლდამაში ის განისვენებს,  
იქ სადაც დღემდე არ შესულან შერცხვენილები,  
გარდა ჰეროსი—ისიც შენი ავაზაკობით.

კლავდიო—ავაზაკობით! ისიც ჩემით?

ლეონატო— შენით, კლავდიო,  
მე გეუბნები, შენით მეთქი.

დონ-პედრო—მართალს არ ბრძანებთ, თქვენ, მოხუცო!

ლეონატო— ბატონო ჩემო!

ხმაღში გავიწვივ, დავამტკიცებ მისსავე ტანზე—  
მისი სიმტკიცის, სიმარჯვისა, ხელოვნებისა,  
აყვავებული სიკაბუკის მიუხედავად.



კ ლ ა ვ დ ი ო — ჩაშომეცალეთ, მე თქვენ ხმალში არ გამოგყვებით  
 ლ ე ო ნ ა ტ ო — როგორ? უარობ? შენ მომიკალ ბავშვი, ყმაწვილო,  
 ბარემ მეც მომიკალ, ბარემ მოჰკალ მოზრდილი კაციც.  
 ა ნ ტ ო ნ ი ო — ორთავე მოგვკლას, მოჰკლას ორი ნამდვილი კაცი.  
 არაფერია. ჯერ გამიშვი მე შევებრძოლო.  
 დეე, დამჯაბნოს, მომიკლას, მაგრამ გამცეს პასუხი.  
 მომყევ, ყმაწვილო, მე ვასწავლი შენებრ ბიქს ჭკუას.  
 მინდა გაგშოლტო და გაგშოლტავ, მოფარიაკავევ,  
 ტყუილად არ ვარ აზნაური, გაგშოლტავ კიდევც.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ძმაო...

ა ნ ტ ო ნ ი ო — ხელს ნუღარ მიშლი. ღმერთმან იცის, როგორ  
 მიყვარდა

აგაზაკების ხელით მკვდარი ჩემი ძმისწული,—  
 სამაგიერო ღირსეული მინდა მიეუზლო,  
 როგორც გველს მინდა ამოვადრო მგესლავი ენა.  
 მაიმუნებო, ტრაბახებო, ძუძუმწოვრებო!

ლ ე ო ნ ა ტ ო — ძმაო...

ა ნ ტ ო ნ ი ო — შენთვის იყავი: ხელს ნუ მიშლი. გიცნობთ, რაცა  
 ხართ;

რასაც იწონით, ეგეც ჩვენთვის ცნობილი არის!  
 შფოთისთავეები, მოჩხუბარნი, კოხტა აშიენი.  
 ცილისწამება, ფლიდობა და სიცრუე გიყვართ.  
 დასეირნობენ დიდრაჯულად, თან სასაცილოდ,  
 დასაშინებლად ორი სიტყვა დაუსწავლიათ:  
 „ვინმემ გაბედოს და ვიციო, როგორ მიეუგებ“.  
 მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია.

ლ ე ო ნ ა ტ ო — მიამინე, ძმაო...

ა ნ ტ ო ნ ი ო — ხელს ნუ მიშლი. არაფერია.  
 მე ვიცი, როგორც გავუსწორდე, შენ ნუ ერევი.

დ ო ნ . პ ე დ რ ო — ორთავ ბატონო, გაჯავრება არ გვინდა  
 თქვენი.

ჩემი გულიც სწუხს თქვენი ქალის სიკვდილის გამო,  
 მაგრამ გარწმუნებთ, ის არ იყო ცრუდ ბრალდებული,  
 დანაშაული დაუმტკიცდა, ღირსებას ვფიცავ.

ლ ე ო ნ ა ტ ო — ბატონო ჩემო!

დონ-პედრო—აღარ გისმენთ.

ლეონატო— არა? მაშ აგრე,

წავიდეთ, ძმაო, დრო დადგება და მომისმენენ.

ანტონიო—ან ვინმე ჩვენგანს დაუჯდება ეს საქმე ძვირად.

(ლეონატო და ანტონიო გადიან. შემოდის ბენედიქტი)

დონ-პედრო—შეხედე, შეხედე! აქ მოდის, ვისაც ვეძებდით!

კლავდიო—ახალი რა იცი, სინიორ?

ბენედიქტი—გამარჯვება, ბატონო ჩემო

დონ-პედრო—მშვიდობა თქვენს მოსვლას, სინიორ. ცოტა ადრე რომ მოსულიყავით, მოშულართა გაშველება მოგიხდებოდათ.

კლავდიო—ცოტა კიდევ და ორი უკბილო ბებერი ცხვირებს მოგვაკენებდა.

დონ-პედრო—ლეონატო და მისი ძმა, როგორ გგონია? ვეჭვობ, ომზე რომ მიმდგარიყო საქმე, ჩვენ მათთვის მეტად ახალგაზრდანი აღმოვჩნდებოდით. \*

ბენედიქტი—უსამართლო ჩხუბში არ გამოჩნდება ქეშმარიტი სიმამაცე. მე თქვენ ორთავეს დაგეძებდით.

კლავდიო—ჩვენ კი ყველგან შენ დაგეძებდით. სევდამ დაგვრია ხელი და გვინდოდა როგორმე გაგვეფანტა. ეგებ შენი ხუმრობით გავგართო.

ბენედიქტი—ქარქაშში მაქვს მოთავსებული. გნებავთ ვიშიშვლო?

დონ-პედრო—როგორ? შენი ჭკუამახვილობა ქამარზე გკიდია?

კლავდიო—ეს არავის მოსვლია, თუმცა ბევრი ვინმე თავის გონებისაგან განზე გამდგარა. ერთი მინდა გთხოვო, ისე იშიშვლე, როგორც მუსიკოსებში იშიშვლებენ ხოლმე თავის საკრავებს. მოილე მოწყალება, იშიშვლე ჩვენს გასართობად.

დონ-პედრო—პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ფერი წასვლია. ავად ხომ არა ხარ, ან ხომ არ გაგაჯავრეს?

\* ზ. ი. მეტად ძლიერი მოწინააღმდეგენი.



კლავდიო—რაო? გამაგრდი, ვაჟკაცო! თუმცა საზოგადოებრივი ტასაც კი მოჰკლავს, მაგრამ შენ ისეთი ცოცხალი ხასიათი გაქვს, რომ თვითონვე მოჰკლავ საზოგადოებას.

ბენედიქტი—თქვენს დაცინვებს გაჭენებულ ცხენზე მჯდარიც კი დაგიქერ,\* თუ კი შე მეხება. გთხოვთ, საუბრის საგანი გამოსცვალოთ.

კლავდიო—ეტყობა, ახალი შუბი დასჭირვებია. წინანდელი შუაზე გადაემტვრა.

დონ-პედრო—პატიოსან სიტყვას გაძლევ, სულ უფრო და უფრო ეშლება სახე, ვგონებ აღარც კი ხუმრობს.

კლავდიო—თუ აგრეა, თვითონვე იცის, როგორ მოატრიანოს სარტყელი\*\*.

ბენედიქტი—შიძლეა ერთი სიტყვა გითხრათ ყურში?

კლავდიო—ღმერთო, გამოწვევისაგან დამიფარე.

ბენედიქტი—თქვენა ხართ ავაზაკი, არ გეხუმრებით. სადაც გნებავთ, როგორც გნებავთ და როდესაც გნებავთ—დავდასტურებ, მდვილობა დაკმაყოფილებას, თორემ ლაჩრად გამოგაცხადებთ, თქვენ მოჰკალით მშვენიერი ქალწული და თქვენს კისერზეა მისი სიკვდილის სიმძიმე. მინდა ვიცოდე თქვენი პასუხი.

კლავდიო—სიამოვნებით გამოვალ და დიდებულადაც გაგიმასპინძლები.

დონ-პედრო—რაო, ნადიმია? ნადიმია?

კლავდიო—ღიახ, დიდ მადლობას მოვახსენებ, ხბოს თავზე და ყვერულზე მეპატიეება. თუ ორივე ოსტატურად ვერ გავქერი, მაშინ მიბრძანეთ შენი დანა არაფრად გარგებულა თქო. ეგებ ტყის ქათამიც მოგეპოვება ჩემთვის?

ბენედიქტი—თქვენი ჭკუამახვილობა თოხარიკით დადის. მსუბუქად მიჭრის.

დონ-პედრო—უნდა გითხრა, როგორ აქებდა შენს გონებას იმ დღეს ბეატრიჩე. მე ვამბობდი, რომ შენ მეტად მშვენიერი გონება გაქვს, „ღიახ“ სთქვა მან, „ისე მშვენიერად

\* რაინდული ტურნირის პრაქტიკიდან აღებული სახეა, რომელიც შეიცავს ხმალში გამოწვევის აშკარა მუქარას.

\*\* სარტყელის მოტრიალება ნიშნავდა ხმალში გამოწვევას.



მცირე, რომ თვალთაც კი ვერ დაინახავთ.“ „არა“, პასუხე, „ფართო გონება“. „მართალია“, დაუმატა მან, „სიბრტყეა თვალმიწვდენელი“. მინდა ვთქვა, „სასიამოვნო გონება მეტქი.“ „დიახ“, მეუბნება, „მეტად სასიამოვნო. არავის აზიანებს“. მინდა ვთქვა, „დიდი ჭკუის პატრონია მეტქი“. მითხრა, „დიახ, ჭკუის კოლოფია“. „რამდენიმე ენა იცის მეტქი“, ვუთხარი. მიპასუხა: „ორშაბათს აღამოს რაღაცას მეფიცებოდა, სამშაბათ დილას კი უარჰყო. ეს ორი სხვადასხვა ენაა“. ასე ამაჩინებდა მის მთელ საათს შენს კერძო ღირსებებს, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ოხვრით გაათავა და თქვა, მასზე უკეთესი არავინ არის მთელ იტალიაშიო.

კლავდიო—ამის შემდეგ მწარედ ატირდა და იძახდა, ეს მე სრულებითაც არ მეხებაო.

დონ-პედრო—დიახ, სრული სიმართლეა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ასე სიკვდილივით რომ არ ეჯავრებოდეს ბენედიქტი, უსათუოდ გაგიყვებით შეიყვარებდა. მოხუცის ქალმა ყველაფერი გვიამბო.

კლავდიო—დიახ, ყველაფერი, ყველაფერი. ისიც კი, თუ „როგორ დაინახა ღმერთმა იგი ბალში დამალული“\*.

დონ-პედრო—როდისღა დავადგამთ ველური ხარის რქებს გონიერი ბენედიქტის თავზე?

კლავდიო—დიახ და წარწერას: „აქ ცხოვრობს ბენედიქტი, ცოლიანი კაცი“.

ბენედიქტი—მშვიდობით, ყმაწვილო. თქვენ იცით ჩემი აზრი. უჩემოდ რამდენიც გენებოს, იყბედე: თქვენი ხუმრობა, როგორც ტრაბახა კაცის მახვილი, მადლობა ღმერთს, არავის ავნებს. ბატონო ჩემო, მადლობას გწირავთ თქვენი თავაზიანობისათვის! იძულებული ვარ დაგტოვოთ. თქვენი უკანონო ძმა დონ-ბუანი გაიქცა მესინიდან. თქვენ ყველამ ერთად მოჰკალით უდანაშაულო და მშვენიერი ქალი. რაც შეეხება ამ ძუძუმწოვარა ბატონს, კიდევ შეეხვდებით. მანამდე კი, მშვიდობით ბრძანდებოდეს!

\* იგულისხმება ბიბლიური მოთხრობა ადამის ცოდვაზე.

დონ-პედრო—აღარ ხუმრობს.

კლავდიო—მეტი არ შეიძლება, და გარწმუნებთ, სულ ბეატრიჩეს სიყვარულის გამო.

დონ-პედრო—ხმალში გამოგიწვია?

კლავდიო—მართლაც გულწრფელად.

დონ-პედრო—რა სასაცილო რამ არის კაცი, როდესაც შარვალსა და ხიფთანს იცვამს და ჭკუას კი შინ სტოვებს!

კლავდიო—მაშინ ის დევია მაიმუნთან შედარებით, მაგრამ სამაგიეროდ მაიმუნიც მასთან შედარებით მეცნიერია.

დონ-პედრო—მაგრამ დამშვიდდი. რაც უნდა ისა ჰქმნას! ნუ დაღონდები, ჩემო კარგო, გამაგრდი, გულო. ვგონებ ისიცა თქვა, ჩემი ძმა მიიმალაო, არა?

(შემოდინა შინდი, გურბი და მცველები კონრადითა და ბორაჩიოთურთ)

შინდი—წამობრძანდით, წამობრძანდით, ვაჟბატონო! თუ მართლმსაჯულებამ ვერ მოგარჯულათ, მაშინ ვერაოდეს ასწონოს მან თავის სასწოროზე გონიერი რამ. თუმცა წყეული თვალთმაქცი ბრძანდები, მაინც გამოგაჩენენ.

დონ-პედრო—რა ამბავია? ჩემი ძმის ორი მხლებელი შეუქრავთ? და ერთი მათგანი ბორაჩიოა?

კლავდიო—გამოჰკითხეთ, ბატონო ჩემო, რა დააშავეს?

დონ-პედრო—რა დააშავა ამ ხალხმა, ბატონებო?

შინდი—ღიახ, ბატონო, მათ შეადგინეს ყალბი მოხსენება. კიდევ მეტი, გარდა ამისა, ილაპარაკეს სიცრუე; მეორე, ცილი დასწამეს; მეექვსე და უკანასკნელი—ტყუილი დააბრალებს ქალწულს; მესამე: უმართებლო ამბები დაამოწმეს. და, დასასრულ, მატყუარა ავაზაკები არიან.

დონ-პედრო—ჯერ ერთი, გეკითხებით, რა დააშავეს? მესამე, რა არის მათი დანაშაული? მეექვსე და უკანასკნელი, რა ჩაიდინეს მათ? და დასასრულ, რა ბრალს სდებთ?

კლავდიო—აი რას ქვიან რიგიანი მსჯელობა! გეფიცებით, მშვენივრად განვითარებული დებულებაა.

დონ-პედრო—ასეთი რა ჩაიდინეთ, ყმაწვილებო, რომ შეგკრეს და დასაკითხათ მიჰყავხართ? ეს სწავლული კონსტებლი ისეთი ბრძენია, რომ ვერაფერს გაუგებ. რა არის თქვენი დანაშაული?



**ბორაჩიო**—საყვარელო პრინცი, ნუ გამგზავნით დასაკითხავად. მომისმინეთ და მერმე ამ გრაფმა მომკლას. მე თქვენი საკუთარი თვალებიც კი მოვატყუე. რაც თქვენმა გონებამ ვერ აღმოაჩინა, ის ამ ბრიყვებმა გამოააშკარავეს. წუხელის ღამით მათ ყური მოჰკრეს, როცა აი, ამ კაცს ვუამბობდი, თუ როგორ დამავალა თქვენმა ძმამ დონ-ხუანმა ჰეროსთვის ცილის წამება: როგორ მიგაცილეს თქვენ ბალამდე და იქ მოწმენი გაგხადეს ჩემი პაემანისა მარგარეტთან, რომელსაც ჰეროს ტანსაცმელი ეცვა; როგორ გადასწყვიტეთ ჰეროს შერცხვენა ქორწინების დროს. მათ ჩაიწერეს მთელი ჩემი დანაშაული. მე მიჩვენებდნენ გამოვისყიდო იგი ჩემი სიკვდილით, ვიდრე გავიმეორო ჩემი შერცხვენის ამბავი. ჩემი და ჩემი ბატონის ცრუ ბრალდების შედეგად გარდაიცვალა ქალბატონი. ერთი სიტყვით, აღარაფერი მინდა გარდა სასჯელისა არამზადობის ჩადენისათვის.

**დონ-პედრო**—მისი მოთხრობა მახვილივით არ შედის სისხლში?

**კლავდიო**—მისმა ამბავმა საწამლავის გესლი შემასვა.

**დონ-პედრო**—ეს ბოროტება მაშ ჩემმა ძმამ გასწავლა შენა?

**ბორაჩიო**—დიახ, და მისთვის გულუხვადაც დამასაჩუქრა.

**დონ-პედრო**—ცბიერებისთვის არის იგი მხოლოდ შექმნილი.

მაშ, აი რისთვის გაქცეულა ის მესინიდან!

**კლავდიო**—ძვირფასო ჰერო! შენი სახე კვლავინდებურად აღსდგა ჩემს თვალწინ ისეთივე, მე რომ მიყვარდა!

**შინდი**—აბა, ორივე დამნაშავე გაიყვანეთ აქედან! მნათემ ალბათ უკვე ყველაფერი მოახსენა სინიორ ლეონატოს. თქვენ კი, ყმაწვილებო, არ დაივიწყოთ და შესაფერდროს დამიდასტურეთ, რომ მე ვირი ვარ.

**გურზი**—აი, ბატონო, სინიორ ლეონატოც მოდის მნათესთან ერთად.

(შემოდინ ლეონატო, ანტონიო და მნათე)

**ლეონატო**—რომელი არის ავაზაკი? მაჩვენეთ თვალით, რათა თუ კიდევ შემხვდა ვინმე კვლავ მისი მსგავსი, შორს განვერიდო, რომელია მათ შორის იგი?



ზორაჩიო—თუ დანაშაუკის ნახვა გნებავთ, შემხედეთ, შევარდ  
ლეონატო—მაშ, შენ მოჰკალი ჩემი ბავშვი, მდაბალო  
მონავ?

ზოროტი სუნთქვით შენ მომიკალ?

ზორაჩიო— დიახ, მე მარტომ.  
ლეონატო—არა და არა, ავაზაკო, ტყუილს იბრალებ.

აი, აქ არის ორი კაცი პატიოსანი,  
მესამე უკვე გაქცეულა, რომელთა ხელი  
დანაშაულში ურევია შენს ხელთან ერთად.  
გმადლობთ, პრინცებო, ჩემი ქალის სიკვდილისათვის!  
ჩასთვალეთ ესეც თქვენს ბრწყინვალე საქმეთა შორის.  
მათ იგი მართლაც აღარაფრით დაუვარდება.

კლავდიო—აღარც კი ვიცი, მოთმინება როგორღა  
გთხოვოთ.

მაგრამ არ ძალმიძს აწ დუმილა: თვით დამინიშნეთ  
ჩემი ცოდვისთვის შესაფერი სასჯელი დიდი.  
თუმცა შევცოდდე,—ცოდვა ჩემი იყო შეცდომა.

დონ-პედრო—მეც აგრე გავხდი უნებური შეცდომის  
მსხვერპლი.

მაგრამ მოხუცმა დაგვინიშნოს მძიმე სასჯელი  
და მე მზადა ვარ ეს შეცდომა გამოვისყიდო.

ლეონატო—მე გიბრძანებდით ასულს ჩემსას აღდგომა  
მკვდრეთით

უბრძანეთ მეთქი, მაგრამ სიკვდილს ვერავინ დასძლევს.  
შეატყობინეთ მესინის ხალხს, როგორ უმანკოდ  
გარდაიცვალა ჩემი ქალი, და თუ გიყვარდათ,—  
იქ შთავონებაც სუფევს სადაც სიყვარულია:  
პატივი ეცით ხსოვნას მისაა მწუხარე ლექსით  
და ჩამოჰკიდეთ მის საფლავზე იგი ამალამ.  
მიცვალებულის ხსოვნას ჰიმნი უმღერეთ ღამით,  
ღილით კი სახლში მესტუმრენით, მობრძანდით ისევ;  
ბედს არ უნდოდა ჩემი შვილი ჰყოფილიყავით,  
ახლა ძმისწული მაინც გახდით: ჩემი ძმის ქალი  
მიცვალებული ჩემი ქალის ასლია სახით.  
ისლამ მამის და მწუხარე ბიძის მემკვიდრე.

შეირთეთ ცოლად ბიძაშვილის მაგიერ იგი  
და მოიხსენით ცოდვა ამით.

კლავდიო— მზად ვარ ვიტყვო  
მაგ თქვენს სიტყვაზე, ო, კეთილო ადამიანო!  
თქვენს კეთილ რჩევას უყოყმანოდ ვემორჩილები.  
უბრძანეთ, რაც კი მოგესურვით, საწყალ კლავდიოს.  
ლეონატო—თქვენს მობრძანებას მე ხვალ დილით  
დაველოდები,

ეს კაცი უნდა წაფუყენოთ პირში მარგარეტს,  
რომელიც, მჯერა, მოსყიდული იყო უთუოდ  
თქვენი ძმის ძიერ და იცოდა ეს ყველაფერი.

ბორახიო—არა, ღმერთმანი, მარგარეტმა არც კი იცოდა  
იმ ლაპარაკის მნიშვნელობა და არც მიზანი.  
და რამდენადაც ვიცნობ მე მას, ყოველივეში  
ყოფილა სათნო და ყოველთვის პატიოსანი.

შინდი—გარდა ამისა, ბატონო,—თუმცა ეს არ არის თეთ-  
რით შავზე დაწერილი, მოსარჩელემ, ამ დამნაშავემ—  
მიწოდა ვირი. უმორჩილესად გთხოვთ არ დაივიწყოთ  
ეს სასჯელის დადების ჟამს. გარდა ამისა, მცველებს  
გაუგონიათ, ისინი ლაპარაკობდნენ ვილაც ყაიდას შე-  
სახებ: ამბობენ, თურმე ეს კაცი ყურში კამერტონს ატა-  
რებს და თავზე ხუჭუჭა თმას და ყველასაგან ღვთის სა-  
ხელით ფულსა სესხულობს. მერმე ყველას დიდხანს ატ-  
ყუებს და უკან აღარავის უბრუნებს, ისე, რომ ახლა  
ხალხი გულქვა გახდა და ღვთის სახელით აღარაფერს  
იძლევა. გთხოვთ, ამის შესახებაც კარგად გამოჰკითხოთ.

ლეონატო—გმადლობ ზრუნვისა და პატიოსანი გარჯი-  
სათვის.

შინდი—თქვენი მოწყალება ლაპარაკობს, როგორც მორი-  
დებულსა და მაღლიერ კაბუკს შეეფერება, დიდება  
უფალს.

ლეონატო—აჰა, შენი გარჯისათვის.

შინდი—ღმერთო აკურთხე შენი დაწესებულება\*.

\* მათხოვრების ფორმულა მაღლობის გადახდის დროს, როდესაც ისინი  
მოწყალებას იღებდნენ მონასტერში.



ლ ე ო ნ ა ტ ო — წადი. შენი პატიმრები აქ დარჩებიან. გმადლობა  
 შ ი ნ დ ი — ვტოვებ თქვენს პატიოსნებას თავზე ხელაღებული  
 ავაზაკებთან და, რომელიც დაბეჯითებით გთხოვთ, და-  
 საჯოთ ისინი სხვებისათვის სამაგალითოდ. უფალი იყოს  
 თქვენი პატიოსნების მცველი. გისურვებთ ყოველგვარ  
 სიკეთეს. ღმერთმა მოგცეთ ჯანმრთელობა. უმდაბლესად  
 მოგახსენებთ მშვიდობას. ღმერთმა დამიფაროს სასიამო  
 შეხვედრამდე! წავიდეთ, მეზობელო.

(შინდი და გურზი გადიან)

ლ ე ო ნ ა ტ ო — მაშ, ხვალ დილამდე, ბატონებო, მშვიდობით  
 კიდეც!

ან ტ ო ნ ი ო — მშვიდობით. გელით უსათუოდ ხვალ, ბატონებო.  
 დ ო ნ - პ ე დ რ ო — მოვალთ უთუოდ.

კ ლ ა ვ დ ი ო — მე ამაღამ დავიტირებ ჰეროს.

(დონ-პედრო და კლავდიო გადიან)

ლ ე ო ნ ა ტ ო — წამოიყვანეთ ორივენი. ვკითხოთ მარგარეტს.  
 ეს მაწანწალა რანაირად დაიახლოვა.  
 (გადიან)

სურათი II

ლეონატოს ბაღი.

(ბენედიქტი და მარგარეტი ხვდებიან ერთმანეთს)

ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ი — ძვირფასო ქალბატონო მარგარეტ, ძალიან  
 გთხოვ, დამავალე და სალაპარაკოდ შემახვედრე ბეატ-  
 რიჩეს.

მ ა რ გ ა რ ე ტ ი — მერმე, დამიწერთ ჩემი სილამაზისადმი მოძ-  
 ღვნილ სონეტს?

ბ ე ნ ე დ ი ქ ტ ი — ისეთი მაღალი სტილით, რომ ძეხორციელი  
 ველარ მოგწვდეს. ძალზე მაღალით, როგორც შენ შეგე-  
 ფერება.

მ ა რ გ ა რ ე ტ ი — რომ ველარავინ მომწვდეს? მაშ, კიბის  
 მოდგმა იქნება საჭირო.

ბენედიქტი—შენი ჰკუა ისე მკვირცხლია, როგორც მღერის ვარი.

მარგარეტი—თქვენი კიდევ როგორც ბლავი დაშნა: მიზანს ხედება, მაგრამ ვერაფერს აკლებს.

ბენედიქტი—ნამდვილი ვაჟკაცური ჰკუაა: ქალებს არც უნდა ვნებდეს. ახლა კი დაუძახე, გთხოვ, ბეატრიჩეს ფარს მოგართმევ.

მარგარეტი—უმჯობესია მახვილები მოგვცეთ. ფარები საკუთარიც მოგვეპოვება.

ბენედიქტი—თუ იმათ გამოიყენებთ, მარგარეტი, იცოდეთ, შუბებთან მოგიხდებათ საქმის დაქერა. შუბები კი ქალწულებისთვის საშიში იარაღია.

მარგარეტი—მაშ, ახლავე დაფუძახებ ბეატრიჩეს. ვფიქრობ ფეხები არ წართმევია. (მარგარეტი ვადის)

ბენედიქტი—და ამიტომაც მოვა.

(მღერის)

ღმერთო სიყვარულისა,  
ოხვრა ჩემი გულისა,  
რომელმაც იცი, რომელმაც იცი,  
შემხედე, რა საბრალო ვარ...

როდესაც ვმღერი, რასაკვირველია; რაც შეეხება სიყვარულს, არც გამოცდილი მცურავი ლეიანდრი, არც ტროილუსი, რომელმაც პირველმა მიმართა მაქანკლებს, არც იმ მოაშიკეთა მთელი სია, რომელთა სახელები მსუბუქად მიჰქრინან თეთრი ლექსის შარავზახე, —არცერთი მათგანი სიყვარულს ისე არ გაუტანჯია, როგორც მე, საწყალი. მხოლოდ არ შემიძლიან ამის გამოთქმა ლექსად. ვცადე, მაგრამ წყეული რითმა არ გამოდის. ვერაფერი მოვიგონე: „სალამი—კალამი“—გაცვეთილი რითმაა; „ბალახი—ტალახი“—უსუფთაო რითმაა; „მგოსანი—რქოსანი“—აუტანელი რითმაა საერთოდ თვალბედითი ბოლოები გამომივიდა. არა, ეტყობა მოლექსე პლანეტის ქვეშ არ დავბადებულვარ და მაღალფარდოვანი აშიკობაც არ მეხერხება. (შემოდის ბეატრიჩე) ძვირფასო ბეატრიჩე, იმიტომ მოხვედი, რომ მე-დაგიძახე?



ბეატრიჩე—დიახ, სინიორ. და წავალ როდესაც შენ დასრულდება  
ნებთ.

ბენედიქტი—ო, დარჩი მანამდე, ვიდრე...

ბეატრიჩე—„ვიდრე“ უკვე ნათქვამია—მაშ, მშვიდობით.  
მართლა: მითხარით, ვიდრე არ წავსულვარ, მე ხომ  
ამისათვის მოვედი—როგორ არის თქვენი და კლავდიოს  
საქმე?

ბენედიქტი—საქმაოდ მაგარი ლაპარაკი მოგვივიდა, ისე  
რომ ახლა შემძღიან გაკოცო.

ბეატრიჩე—ლაპარაკი—ქარია, მაგარი ლაპარაკი—ორჭო-  
ლი ქარი, ორჭოლი ქარი კი მავნებელია. ამიტომაც  
წავალ უკოცნელი.

ბენედიქტი—გიყვარს სიტყვის აზრის დამახინჯება. შენ  
ჭკუამახვილობას ძალას ატან. მაშ, კარგი, პირდაპირ  
გეტყვი, როგორც იყო საქმე. კლავდიომ მიიღო ჩემი  
გამოწვევა და ახლა ორში ერთია: ან ჩვენ შევხვდებით  
ერთმანეთს ხმალში, ანდა მე მას ლაჩრად გამოვაცხადებ.  
ახლა კი, მითხარი, გეთაყვა, რომელმა ჩემმა ნაკლოვა-  
ნებამ შთაგინერგა, უპირველეს ყოვლისა, ჩემი სიყვა-  
რული?

ბეატრიჩე—ყველამ ერთბაშად. ისინი ისე კარგად მართა-  
ვენ თქვენში ბოროტების სამეფოს, რომ ვერაფერი კარ-  
გი შიგ ვერ შეერევა. მაგრამ რომელმა ჩემმა სიკეთემ  
გაიძულათ პირველად დატანჯულიყავით ჩემი სიყვარუ-  
ლისგან.

ბენედიქტი—„დავტანჯულიყავი სიყვარულისაგან“? კარგი  
ნათქვამია. დიახ, მართლაც ვიტანჯები, რადგან ჩემი  
სურვილის წინააღმდეგ მიყვარხართ.

ბეატრიჩე—ესე იგი, თქვენი გულის წინააღმდეგ, არა? ეჰა,  
საბრალო გულო! თუ მას ჩემი გულისთვის ეწინააღმ-  
დეგებით, მეც თქვენი გულისთვის მას გაუფუწვევ წინააღ-  
მდეგობას. არასოდეს შევიყვარებ იმას, ვისაც ჩემი მე-  
გობარი სძულს.

ბენედიქტი—მე და შენ ისე ჭკვიანები ვართ, რომ არ შეგ-  
ვიძღიან უშფოთველად ვიაშვიკოთ.

ბეატრიჩე—თქვენს სიტყვებში ეგ არა ჩანს: ოც კაცში არცერთი ჭკვიანი არ დაიწყებს თავის ქებას.

ბენედიქტი—ჩვენი პაპების დროს იყო, ბეატრიჩე, ეგ ამბავი, ჩვენს დროში კი თუ კაცმა სიცოცხლეშივე არ დაიღვა ძეგლი, მისი ხსოვნა მანამდე ცოცხლობს, ვიდრე ზარებს რეკავენ და მისი ქვრივი ქვითინებს.

ბეატრიჩე—მერმე რამდენ ხანს გრძელდება ეგ, თქვენის აზრით?

ბენედიქტი—ეგ რა საკითხავია? ერთი საათი მოთქმა და მეოთხედი საათიც—ცრემლების დენა. მაშასადამე, უმჯობესია (თუ მისი უდიდებულესობა ქალბატონი სინიდისი არ დაგაბრკოლებს), თვითონვე დაუკრა ბუკი და ნალარა საკუთარ ღირსებათა გამო. აი, რატომ ვაქებ ჩემს თავს. ახლა კი კმარა თავის ქება, რომლის ღირსი, გარწმუნებთ, დიახაც გახლავართ. მითხარით, როგორ გრძნობს თავს თქვენი ბიძაშვილი?

ბეატრიჩე—ძალიან ცუდად.

ბენედიქტი—თქვენ როგორღა ბრძანდებით?

ბეატრიჩე—მეც ძალიან ცუდად.

ბენედიქტი—ილოცეთ ღმერთი, გიყვარდეთ მე და ეცადეთ გამოსწორდეთ. ახლა კი დაგტოვებთ, რადგან აქეთ ვილაც მოიჩქარის.

(შემოდის ურსულა)

ურსულა—ქალბატონო, მიბრძანდით ბიძათქვენთან. სახლში დიდი აურზაურია. გამოირკვა, რომ ქალბატონ ჰეროს ცილი დასწამეს და პრინცი და კლავდიო შეაცდინეს. ეს ყველაფერი დონ-ხუანს შეუთხზავს. თვითონ გაქცეულა და დამალულა. წამობრძანდით ახლავე.

ბეატრიჩე—არ გინდათ ჩემთან ერთად გაიგოთ ახალი ამბები, სინიორ?

ბენედიქტი—მინდა ვიცხოვრო შენს გულში, მენდა შენს მკერდზე მოვკვდე და დავიმარხო შენს თვალეში, ხოლო გარდა ამისა, მინდა შენთან ერთად წამოვიდე ბიძაშენთან.

(გადიან)

### სურათი III

ეკლესია.

(შემოდინან დონ-პედრო, კლავდიო და ამაღა მუსიკით და ჩირალდნებით)

კლავდიო—მაშ, ეს ყოფილა ლეონატოს გვარის აკლდამა?  
მხლებლები—დიახ, ბატონო ჩემო.

კლავდიო—(კითხულობს)

ჰერო, ბოროტი ჭორების მსხვერპლი,  
აქ განისვენებს აკლდამის კარად,  
სიკვდილმა მისი უმანკო ფერფლი  
სადიდებელი გახადა მარად.  
უმანკოება სიკვდილმა მისცა,  
დიდების შუქი მოჭყინა ირგვლივ.  
ჩამოეკიდე აკლდამას მისას,  
ჩენი სახელით ადიდე იგი.

აწ შეასრულეთ ჰიმნი თქვენი სამგლოვიარო.

სიმღერა

ლამის ქალღმერთო, შეინდე შენი  
უმანკო ქალის ავი მკვლელები.  
ისინი სევდის მოვიდნენ ჩენით  
და სინანულის წყნარ სიმღერებით.  
ისმინე, ღამევე, მათი ჩივილი,  
ცრემლები, ოხვრა, გულისტკივილი,  
მძიმე და მძიმე.  
სამარევე, კარი გახსენი ისევ,  
ჩვენი ოხვრანი მიიღე მყისვე,  
მძიმე და მძიმე.

ყოველ წელიწადს აკლდამის კარად  
მე შევასრულებ ამ წესებს მარად.

დონ-პედრო—მშვიდობის დილა, ბატონებო! ეგ ჩირალდნები  
დროა ჩააქროთ. მგლები უკვე ჩაჩუმდნენ ნელა.  
ფებუსის ეტლის შესახვედრად ზეცის ტატნობი  
აღმოსავლეთით აღისფერად გადაისერა.



მშვიდობა ყველას, მსურს დაგშორდეთ ახლა მადლობით  
და გთხოვოთ წასვლა. ბედნიერი გზა გქონდეთ ყველას.  
კლავდიო—მშვიდობის დილა, ბატონებო. აწ გავიყაროთ.  
დონ-პედრო—წავიდეთ ახლა, მოვიშოროთ შავი ძაძვები  
და მივაშუროთ ლეონატოს კვლავ თქვენთან ერთად.  
კლავდიო—დატირებული იმედები იქნებ სავსებით  
აწ გავვიმართლოს ქორწინების მოწყალე ღმერთმა.  
(გადიან)

#### სურათი IV

ოთახი ლეონატოს სახლში.

(შემოდინან ლეონატო, ანტონიო, ბენედიქტი, ბეატრიჩე,  
ურსულა, ბერი და ჰერო)

ბერი—ხომ მოგახსენეთ, ქალი იყო უმანკო მეთქი?  
ლეონატო—დიახ, თვით პრინცი და კლავდიოც მხოლოდ  
შეცდომით  
მას ბრალსა სდებდნენ, როგორც იცით, მაგრამ  
მარგარეტს

ცოტაოდენი შეჰქველად ექნება ბრალი.  
თუმცა, როგორც ჩანს, ამ საქმეში იგი ნამდვილად  
თვისი სურვილის წინააღმდეგ მონაწილეობს.

ანტონიო—მოხარული ვარ ბედნიერი დასასრულისა.

ბენედიქტი—მეც მიხარია. მით უმეტეს, რომ აწ კლავდიოს  
წინააღმდეგაც ხმაღში გასვლა არ დამჭირდება.

ლეონატო—აწ კი მიბრძანდით, ჩემო ქალო, და თქვენც,  
მხლებლებო,

ცალკე დარბაზში. ჭაიკეთეთ ნიღაბი ყველამ  
და მოიცადეთ, ვიდრე თვითონ დაგიძახებდეთ.  
პრინცს და კლავდიოს პირობა აქვთ დღეს დადებული  
და ამ საათზე აქ ჩაჰოვლენ, შენც, ჩემო ძმაო,  
დროებით გახდი მამა შენი ძმისწულისთვის.

(ქალები გადიან)



ანტონიო—არ ვეჭვობ მარჯვედ შევასრულო მოვალეობა.  
ბენედიქტი—მამაო, თქვენი შეწუხება მჭირდება ვგონებ.  
ბერი—რისთვის, სინიორ?

ბენედიქტი—ორშიერთია: ან გამოთოკოთ, ან შემხსნათ თოკი.  
ბატონო ჩემო ლეონატო, ძმისწული თქვენი  
უკვე მიყურებს ქეშმარიტად მოწყალე თვალით.

ლეონატო—აგრეთი მზერა შთააგონა მას ჩემმა ქალმა.  
ბენედიქტი—მეც სიყვარულის თვალით მინდა გავცე  
პასუხი.

ლეონატო—მე კი მგონია, ეგ პასუხი შენ გიკარნახეთ  
კლავდიომ, პრინცმა და მე; მაგრამ რა გნებაეს კიდევ?

ბენედიქტი—თქვენი პასუხი ბუნდოვანი გახლავთ, ბატონო,  
თუმც სულერთია, სურვილი მაქვს მე მხოლოდ ერთი:  
სასურველია, სურვილს თქვენსას სურვილი ჩვენი  
დღეს შეუთანხმდეს და იკურთხოს ქორწილის წესით.  
სწორედ აქ მინდა დახმარება თქვენი, მამაო.

ლეონატო—მე თქვენთანა ვარ წრფელი გულით.  
ბერი— მე დახმარებით.  
აი, პრინცი და კლავდიოცა.

(შემოდინ დონ-პედრო და კლავდიო ამალით)

ლეონატო—მშვიდობის დილა, პრინცი, მშვიდობის დილა.  
კლავდიოს!

აქ გელოდებით. სხვა? კლავდიო, ხომ არ შესცვალეთ  
თქვენი განზრახვა ჩემს ძმისწულზე ქორწინებისა?

კლავდიო—არა, მტკიცედ ვარ, ეთიოპის ქალიც რომ იყოს

ლეონატო—შემოიყვანე, ძმაო, ბერიც მზად არის აქვე.  
(ანტონიო გადის)

დონ-პედრო—ბენედიქტ, დილა მშვიდობისა, რა  
დაგემართა?

თებერვალს ჰკავხარ: შენ სახეზე ყინვა და ქარი  
და ღრუბლანი ავი დარი მრისხანებს, ვხედავ.

კლავდიო—აღბათ, ველური მოაგონდა ბენედიქტს ხარი:  
ნუ გეშინია, რქებს ოქროთი მოგივარაყებთ.

\* იგულისხმება მითი იუპიტერზე, რომელიც ხარად იქცა, რათა ევროპა  
მოეტაცნა.

მთელი ევროპა სიხარულით მიგიღებს მაშინ,  
როგორც მიიღეს, სიყვარულით ერთხელ ძლეული  
იუპიტერი, ველურ ხარად გადაქცეული.\*

ბენედიქტი—იუპიტერი-ხარი ერთდროს მკერმეტყველურად  
ბლაოდა, მაგრამ მამაშენის უმანკო ძროხა  
ნეტავ რომელ ხარს შეეყარა? ასე ველურად  
როდესაც ბლავი, მაგონდება, იმისი ხბო ხარ.  
(შემოდინან ანტონიო და შენიღბული ქალები)

კლავდიო—მაგის პასუხი ჩემზე იყოს; დრო აღარ არის.  
ნეტავ, ამათში რომელია ჩემი საცოლვე?

ანტონიო—აი, ეს არის და გაბარებთ ამიერიდან.

კლავდიო—მამ, ეს ყოფილა? დამანახვე, ძვირფასო, სახე.

ლეონატო—არ შეიძლება, ვიდრე აქ ამ ბერის წინაშე  
არ დაიფიცავო, რომ დაიწვრთ ჯვარს ჩვენს ასულზე.

კლავდიო—მომეცით ხელი, აქვე, წმინდა ბერის წინაშე,  
თქვენი ქმარი ვარ, თუ თანახმა იქნებით თქვენცა.

ჰერო—მე სიცოცხლეში ვიყავ თქვენი პირველი ცოლი.  
(იხსნის ნიღაბს)

პირველი ქმარიც თქვენ იყავით, როცა გიყვარდით.

კლავდიო—მეორე ჰერო!

ჰერო— რალა არის ამაზე ცხადი?

პირველი ჰერო მოკვდა, მაგრამ მე ვცოცხლობ ისევ  
და როგორც ვცოცხლობ, ქალწული ვარ ისე ნამდვილაღ.

დონ-პედრო—იგივე ჰერო! ის, რომელიც გარდაიცვალა!

ლეონატო—ის მკვდარი იყო, ავი სიტყვა ვიდრე  
ცოცხლობდა.

ბერი—როს შევასრულებ ქორწინების უწმინდეს წესებს,  
მაშინ გაიმბობთ ჩვენი ჰეროს სიკვდილის ამბავს.

მკვდრეთით აღდგომას ჯერჯერობით ნუ გაიკვირებთ.  
დრო არის უკვე საყდრისაკენ გავსწიოთ ყველამ.

\* იგულისხმება კომედიის პირველ სურათში ციტირებული პასაჟი კიდის  
„ესპანური ტრაგედიიდან“ (შექსპირის თანამედროვე დრამა).

ბენედიქტი—ჯერ მოითმინეთ. რომელია აქ ბეატრიქი?

ბეატრიქე—მე მეწოდება ეგ სახელი. (იხსნის ნიღაბს)

რა გნებავთ ჩემგან?

ბენედიქტი—მე არ გიყვარვართ?

ბეატრიქე— არც თუ ძლიერ მაინცდამაინც.

ბენედიქტი—მაშ, ბიძა თქვენი, კლავდიო და პრინცი მოტყუებდნენ?

ისინი ფიცით მარწმუნებდნენ, თითქოს გიყვარდით.

ბეატრიქე—მე არ გიყვარვართ?

ბენედიქტი— არც თუ ძლიერ მაინცდამაინც.

ბეატრიქე—მაშ მარგარეტი, ურსულა და ჰერო მოტყუებდნენ?

ისინი ფიცით მარწმუნებდნენ, თითქოს გიყვარდით.

ბენედიქტი—მათ დაიფიცეს, რომ ტრფიალმა ავად გაგხადათ.

ბეატრიქე—მათ დაიფიცეს, რომ თქვენ გახდით სიყვარულისგან.

ბენედიქტი—ეგ ტყუილია. მაშ თქვენ მართლაც არ გყვარებდით?

ბეატრიქე—მხოლოდ მადლობის გრძნობისათვის, ნამდვილად არა.

ლენონატო—კმარა. მე ვიცი, ბეატრიქე, შენ გიყვარს იგი.

კლავდიო—გნებავთ ფიცს დავდებ, ბენედიქტსაც ეგ ქალი უყვარს.

მე მისი ხელით დაწერილი მაქვს აქ ქალაღი, კოჭლი სონეტი, თვითონ მისგან გამონაგონი, ცამდე აღიდებს ბეატრიქეს.

ჰერო— აი, მეორეც:

ეს ამოვიღე ბეატრიქეს ჯიბიდან ჩუმად, აქ აშკარად ჩანს ბეატრიქეც ბენედიქტს ეტრფის.

ბენედიქტი—აჰა, სასწაული! ჩვენი საკუთარი ხელები ჩვენი გულების წინააღმდეგ ლაპარაკობენ! კმარა! შენ ჩემი იქ-

ნები, მაგრამ პატოსან სიტყვას გაძლევ, სიბრალდე  
გამო მიმყავხარ.

ბეატრიჩე—უარს არ ვამბობ, მაგრამ გარწმუნებთ სხვებმა  
შემაგონეს და იმიტომ დაგითმეთ. ნაწილობრივ იმის გა-  
მოც, რათა სიკვდილისაგან გიხსნათ: ამბობენ, ქლეჩი  
შეგყრიათ.

ბენედიქტი—კმარა. მე დავადუმებ შენს ბაგეებს. (ჰკოცნის)  
დონ-პედრო— როგორ ბრძანდები, ბენედიქტ, ცოლიანო  
კაცო?

ბენედიქტი—იცი, რას გეტყვით, პრინც: ხუმარათა მთელ  
სკოლასაც კი აღარ შეუძლიან განზრახვაზე ხელი ამაღე-  
ბინოს. იქნებ გგონიათ, სატირისა, ან ეპიგრამისა შე-  
მეშინდება? არა: კაცი რომ ხუმარებმა შეაშინოს, მაშ,  
ხეირიანი ტანსაცმელიც ჯელარავის ჩაუცვამს!\* ერთი სიტ-  
ყვით, რაკი ქორწინება გადავწყვიტე, ახლა თუნდა მთელ-  
მა ქვეყანამ გადაწყვიტოს ამის წინააღმდეგ ლაპარაკი.  
საკუთარი სიტყვებიც კი, რაც წინათ ქორწინების წი-  
ნააღმდეგ მითქვამს, ახლა ველარ შემაჩერებენ. ადამიან-  
ი დაუდგარი არსებაა. აი, ეს არის ჩემი დასკვნა.  
რაც შეგეხება შენ, კლავდიო, მე შენს გალახვას ვაპი-  
რებდი. მაგრამ რახან ახლა ჩემი ნათესავი გახდი, დარჩი  
უვნებლად და გიყვარდეს ჩემი ბიძაშვილი.

კლავდიო—მე კი იმედი მქონდა ბეატრიჩეზე უარს იტყოდ: ი-  
მაშინ კი გასწავლიდი, როგორ უნდა ორმაგი თამაში.  
სამწუხაროდ ალბათ კიდევ განაგრძობ, თუ ჩემი ბიძა-  
შვილი ფხიზლად არ დაიჭერს თვალს შენზე.

ბენედიქტი—კმარა, კმარა. ვიყოს მეგობრები. კარგი იქ-  
ნება ახლავე ვიცეკვით, ვიდრე დავქორწინდებით. ჩვენც  
ცოტა გული შეგვიმსუბუქდება და ჩვენი ცოლებიც ფე-  
ხებს გამართავენ.

ლეონატო—ცეკვა იქნება შემდეგ.

\* იმის შიშით, რომ ტალახი არ ესროლონ და არ გასვარონ.



ბენედიქტი—უსათუოდ წინასწარ! ჰეი, მუსიკაშია ჩონჩხი,  
მოწყენილი ხართ: შეირთეთ ცოლი, შეირთეთ ცოლი!  
არ ვარგა ის კომბალი, რომელსაც თავზე რქები არა  
აქვს. (შემოდის შიკრიკი)

შიკრიკი—ბატონო ჩემო, დონ-ხუანი შეპყრობილია  
და მესინაში მოყვანილი ბადრაგის მიერ.

ბენედიქტი—დავიფიწყოთ ხვალამდე იგი. ხვალ გამოვი-  
გონებ მისთვის კარგ სასჯელს! ჩაპბერეთ, მესაკრავენო!

(ცეკვა. გადიან)



ს ა რ ჩ ე ვ ი

ქარიშხალი . . . . .	3
ქირვეულის მორჯულება . . . . .	81
მეთორმეტე ღამე . . . . .	185
აურზაური არაფრის გამო . . . . .	283

რედაქტორები { ნათელა კეშელავა  
                          { ალ. კვიციანი

მხატვარი ვლ. გრიგოლია

ბელმოწერილია დასაბეჭდად 18/X-48 შ. უე 13598. ანაწყობის ზომა 5,5×9.  
ქალაქის ზომა 54×84. ნაბეჭდ ფორმათა რაოდ. 24. შეკვეთის № 935.  
ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და  
გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.  
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.